ქართული ხალხური ზღაპრები



შეადგინა, გამოარჩია
და წინასიტყვაობა დაურთო

ალექსანდრე ღლონტმა

თბილისი, „მერანი“ 1991

84 rP-4

ჯ279

რედაქტორი: მანანა სანადირაძე

მხატვარი: ჯემალ ზენაიშვილი

ზ 4702017 / 3 604 (08) 1991 — 1991წ. © გამომცემლობა მერანი 1991

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ზღაპარს დიდძალი მკითხველი ჰყავს, განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან მას ბავშვები. ბნელია უდიდესი საკითხაი წიგნის მიწოდება ბავშვებისათვის, ვიდრე ხალხური სიბრძნის ეს ნიშუშია. ზღაპარს ზოზრდილებიც ასევე გატაცებით კითხულობენ და ყოველიეე ამის გამო მისი მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ნორმი თაობის მხატერულ-ესთეტიკური აღზრდისათვის განუზომლად დიდია. ზღაპარში ჩაქსოვილია ხალხის ღრმა ფილოსოფიური აზრი, ადამიანთა თანაცხოვრების რეალიები, სიხარულისა და წუხილის, სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობები. აქ რეალური ცხოვრების პერიპეტიები საოცარი წარმოსახვის, უკიდეგანო ოცნებისა და ფანტაზიის სამყაროშია გადატანილი, ასახულია კეთილისა და ბოროტის დაუსრულებელი ბრძოლის გრანდიოზული პროცესი, რომელიც ყოველთვის იმით მთავრდება, რომ კეთილი ძალა ამარცხებს ბოროტ ძალას, ბნელი ძალების წინააღმდეგ ამხედრებული კეთილი ძალები გამარჯვებას ზეიმობენ. ხალხური ზღაპარი ჰუსანიზმის, ოპტიმიზმის ადამიანური ბედნიერებისა და ნათელი მომავლის განუზომელი საგალობელია.

ზღაპარი დედის ნანასაეი» ატკბობს ნორმი ადამიანის სულს, ხელს უწყობს მასში ფანტაზიისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, ნებისყოფის გამოკეეთას, კარგისა და ავის სწორად გარჩევის ალღოს გამომუშავებას. ზღაპარი ნორმი თაობის გონებრივი, შრომითი, მხატერულ-ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა და ამითაა, უწინარეს ყოვლისა, გაპირობებული მისი დიდი პოპულარობა და სიყვარული.

წინამდებარე კრებულში შეტანილია ქართული ხალხური ზღაპრებისა და ეპიკური ციკლის ჭრილებების რჩეული ნიმუშები, ვაჟდოსნური და ცხოველთა ზღაპრები, ხალხური ნოველები და თქმულებები. იმის გამო, რომ კრებული გათვალისწინებულია მოზარდი თაობის საკითხავად, მასში შეტანილია ჩვენი ეროვნული ეპოსის — ამირანიანის, ეთერიანის, ტარიელიანისა და როსტომიანის — ყველაზე გავრცელებული ვარიანტები. კრებული მკითხველს სრულ წარმოდგენას აძლევს ქართული ხალხური პროზის ეანრობრივ მრავალფეროვნებაზე. ეს ტექსტები ჩაწერილია უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში რესპუბლიკის ყველა ეთნიკურ კუთხეში და თითოეულ მათგანს მეტ-ნაკლებად თან ახლავს ადგილობრივი აქსენიური. კრებულში თავმოყრილი ტექსტები ამოკრეფილია ჩვენი ხალხური შემოქმედების ძველ და ახალ მოამაგეთა კოლექციებიდან, რომლებიც სხვადასხვა დროსაა გამოცემული, და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას

წარმოადგენენ. გათვალისწინებულია: ლადო აღნიაშვილის, სევასტი გაჩეჩილაძის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი გონაშვილის, გიორგი ელიავას, ელენე ჟირსალაძის, ზურაბ თანდილავას (ლაზური), ექვთიმე თაყაიშვილის, ანუსია კარგარეთლის, მერი კეიციანი-მალლაფერიძის (სვანური), ილია მაისურაძის, იოსებ მეგრელიძის, სოსიკო მერკვილაძის, პეტრე მირიანაშვილის, ბერნარდე ნეაპოლელის, შოთა ნიკარაძის, ვლემალ ნოღაიდელის, თედო რაზიკაშვილის, ქსენია სიხარულიძის, ვენერა სომხიშვილის, პეტრე უმიკაშვილის, იოსებ ყოფშიძის (მეგრული), აკაკი შანიძის, მიხეილ ჩიქოვანის, აპოლონ ცანავას, შოთა ძიძიგურის, აკაკი წერეთლის, მაკარ ხუბუას (მეგრული), ამ სტრიქონების ავტორისა და სხვათა კოლექცია-პუბლიკაციები. გამოყენებულია ქართველური ზღაპრების თითქმის ყველა გამოცემა, ძირითადად თ. რაზიკაშვილის, ე. თაყაიშვილის, მ. ჩიქოვანის, ქ. სიხარულიძის, ე. ჟირსალაძის, ა. ცანავას, ამ სტრიქონების ავტორის კრებულები.

ამ ზღაპრების მნიშვნელოვან ნაწილს მოეპოვება საინტერესო ვარიანტები არა მარტო ქართულ ეპოსში, არამედ სხვაგანაც. ზოგი ზღაპრის სიუჟეტის ან მოტივის ვარიაციები მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

ქართული ხალხური ზღაპრების ჩანაწერები სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვაგვარად არის გამოცემული და ეს სავსებით ბუნებრივია. გამოცემის მიზანი ყოველთვის განსაზღვრავდა ტექსტების ენობრივ-სტილისტურ სამოსელს. ასეა დღესაც. წინამდებარე გამოცემაში ტრადიციული ტექსტები უცვლელად, ხელუხლებლად იბეჭდება, ოღონდ ზოგიერთი მათგანი რამდენადმე გამართულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესაბამისად. დიალოგებიც აქ უფრო მეტადაა გაშლილი, ვიდრე წინანდელ გამოცემებში გვხვდება. სხვა ცვლილებები ტექსტებში არ შეგვიტანია.

კრებული ილუსტრირებულია მხატვარ ვლემალ ზენაიშვილის ნაშუშევრებით. „მერანმა" ყველაფერი ილონა ჩვენი ეროვნული საუნჯის თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისად გამოცემისათვის. ამისთანა გამოცემა ქართული ხალხური ზღაპრების კრებულისა ჯერ არ გვქონია, პირველია და, ვფიქრობ, იგი კარგი საჩუქარი იქნება მკითხველისათვის.

ალ. ღლონტი

ჯადოსნური
ხელთათმანი

კუდიანი დედაბერი და ოქროსთმიანი ბიჭი

იყო ერთი გლეხი და ჰყავდა პატარა ვაჟი. ერთხელ, როცა გლეხი ყანაში მიდიოდა, პატარა ბიჭიც გაედევნა. ბევრი უშალა მამამ, ნუ მოდიხარო, მაგრამ ბიჭმა არ დაიშალა და წაჰყვა. გზაზე ბავშვს მოსწყურდა და წყაროსაკენ შეუხვია. წყალი რომ დალია, მაღლა აიხედა და წითელი ვაშლებით დახუნძლული ვაშლის ხე დაინახა. ვეღარ მოითმინა, კბილები აუკაწკაწდა და ხეზე აფორთხდა. დაკრიფა ვაშლები და დაიწყო ჭამა.

სად იყო და სად არა, ვაშლის ხის ძირას გაჩნდა მოკუზული, კუდიანი დედაბერი.

— შვილო, ერთი ტოტი ჩამოზნიქე ფეხით, ორიოდე ვაშლს მოვწყვეტო, — შესძახა დედაბერმა.

ბავშვმა დაზნიქა ვაშლის ტოტი; დედაბერმა მოზიდა თავისკენ, წაველო ბავშვს ფეხში ხელი, ჩამოიყვანა ძირს, ჩასვა გუდაში, თავი მოუკრა და კუნკულ- კუნკულით შინისაკენ გაარბენინა.

გზაში დედაბერმა მოიხსნა გუდა, გზის ნაპირს დადო და თვითონ გზას გადაუხვია. მის დაბრუნებამდის ბიჭი ამოძვრა გუდიდან, შიგ ქვა და რიყე ჩაყარა, მოუკრა თავი და თვითონ ისევ ვაშლის ხეზე ავიდა.

დაბრუნდა დედაბერი, ისევ წამოიკიდა გუდა, შინ მიიტანა და რძალს დაუძახა:

— რძალო, რძალო, მოიტანე გობი, ოქროსთმიანი ბიჭი მოგიყვანეო.

რძალმა ქოხიდან სიხარულით გამოარბენინა გობი. დედაბერმა მოხსნა თავი გუდას და საშინლად გაოცდა, როცა გობი ქვითა და რიყით აივსო.

დედაბერი ისევ გაექანა ვაშლის ხისაკენ, მიკუნკულდა იქ და ისევ მოტყუებით ჩამოიყვანა ბიჭი ძირს და თავმოკრულ გუდით მიიყვანა შინ. რძალმა ისევ გამოიტანა გობი, მოხსნა დედაბერმა გუდას თავი და გობზე ოქროსთმიანი ბიჭი გააგორა.

ზრდიდნენ და ასუქებდნენ ოქროსთმიან ბიჭს რძალ-დედამთილი.

ერთხელ დედაბერი სადღაც მიდიოდა და რძალს ჩუმად დაუბარა:

– ეგ ბიჭი დაკალი, ქვაბიო ცეცხლზე შეიოდგი და სადილად მომიხარშეო.

ბიჭმა ყური მოჰკრა დედაბერის ნათქვამს.

პატარძალმა გალესა დანა და ბიჭს დაკვლა დაუპირა.

ბიჭმა უთხრა:

-- მომეცი დანა, მე თვითონ გამოვიჭრი ყელსაო.

რძალმა დანა მისცა. ბიჭმა გაუქნია დანა რძალს და კიტრივით გააგორა. ნაწილ-ნაწილ აჭრა, ქვაბში ჩაყარა და ცეცხლზე შემოდგა, თვითონ კი ჭერში აძვრა.

დაბრუნდა დედაბერი და დაიწყო მოხარშული ხორცის ჭამა. ჩამოყარა ბიჭმა ჭერიდან ჭვარტლი და ხორცს დააყარა. დედაბერს თაგვი ეგონა და მიაძახა:

— ფრთხილად, თაგუნა, თუ არა შენც შეგჭამო.

კიდევ ჩამოყარა ბიჭმა ჭვარტლი. დედაბერს ახლა კატა ეგონა და მიაძახა:

— ციც, ციცუნია, თუ არა მოგაჯდები ზურგზე და წელს გაგიშლიო.

ჭვარტლი ისევ ჩამოცვივდა ჭერიდან — დედაბერმა აიხედა ზევით და რას ხედავს? ოქროსთმიანი ბიჭი ჭერში არხეინად ზის. შემოეყარა დედაბერს გული, ახლა კი მიხვდა, რომ რძლის ხორცი შეჭამა.

— დედაშვილობას, როგორ ახვედი მანდ, მასწავლეო, — შეეხვეწა ბიჭს.

— როგორ ავედი და გავახურე კეცები, დავადე კეცი კეცზე, დავაჯექ და ამოვხტი ჭერზეო.

დედაბერი მართლა ასე მოიქცა, დაიმტვრა, დაიწვა, მაგრამ ჭერში ვერ ახტა.

მეორედ შეეკითხა:

— მასწავლე, მართლა როგორ ახვედი მანდაო?

— როგორ და გავახურე შამფურები, დავაწყვე შამფური შამფურზე, დავჯექ და ამოვხტი ჭერზეო.

დედაბერმა ასეც სცადა ჭერზე ასვლა, მაგრამ გახურებულ შამფურზე წამოეგო და ჭერზე ვერ ავიდა.

მესამედაც შეეხვეწა:

— სწორი მითხარი, რით ახვედი მანდაო?

— გავახურე თონე, ზედ დავჯექი და აქ ამომახტუნაო.

ესეც სცადა კუდიანმა დედაბერმა, დააჯდა ავარვარებულ თონეს და შიგ ჩაიფუფქა.

ოქროსთმიანი ბიჭი ჩამოვიდა ძირს და შინისაკენ მოუსვა.

ნ ა ს ი ა

იყო ერთი ულონო კაცი, სახელად ნასია. ისეთი მსუქანი იყო, რომ ქარის შემობერვაზე ერთ ვერსზე გადავარდებოდა.

ერთხელ ნასია ქარმა სკაში ჩააგდო, თამაშობდა ფუტკრებში და იყო ასე. მოიმწყვდევდა ხელში ათას ფუტკარს და ხოცავდა.

ერთხელ ნასიამ ჩვეულებრივად მოიმწყვდია ხელში ათასი ფუტკარი და დახოცა. აიღო ქაღალდი და დააწერა:

“ მე ვარ ბიჭი ნასია,
ცალი ხელით მომიკლავს ათასი კაცია .
ქაღალდი მინდვრად დააგდო.
მეფის ვეზირებმა იპოვეს მინდვრად დაგდებული ქაღალდი და მიართვეს მეფეს.
მეფეს გაუკვირდა ასეთი ღონიერი კაცის არსებობა და ბრძანება გასცა — მომიძებნეთ ნასიაო.
წავიდნენ სხვადასხვა მხარეს ნასიას საძებრად. ნახეს — ერთ მინდორში კაცი გორაობს. ეს ნასია იყო, რომელიც ქარს სკიდან ამოეგდო და მიწაზე გორაობდა.
ვეზირებმა აჩვენეს დაწერილი ქაღალდი და ჰკითხეს, ასეთი კაცის შესახებ ხომ არა იცი რაო.
— ეს მე ვარო, — მიუგო ნასიამ.
ნასია შემოსეს ძვირფასი ტანისამოსით და მეფეს მიჰგვარეს.
შეიტყო მეზობელმა ხელმწიფემ, ამ მეფეს ასეთი და ასეთი შესანიშნავი კაცი ჰყოლიაო, და შემოუთვალა: ეგ ვილაცაა ჩემთან გამოგზავნე საჩხუბრადო.
შეუკაზმეს ნასიას ცხენი და გაგზავნეს საომრად.
ნასიამ გაიხედა და დაინახა — ხელმწიფეს აუსხამს ურიცხვი იარაღი და მოდის მისკენ. შიშით კინაღამ გული გაუსკდა, თვალებზე ხელი მიიფარა და მტერს მიუახლოვდა.
ხელმწიფემ დაინახა — ნასია თვალებზე ხელაფარებული მიდის მისკენ, იფიქრა: ეს კაცი ან სასაცილოდ მიგდებს, ან ეს არის კარგი საომარი ხერხიო, მოდი, მეც დავხუჭავ თვალებს. მართლაც დახუჭა თვალები.
შიშისაგან აკანკალებულმა ნასიამ გამოიხედა და დაინახა, რომ მტერი თვალდახუჭულია. იძრო ხმალი, გაჰკრა ხელმწიფეს და თავი წააგდებინა.
დაბრუნდა ნასია გამარჯვებული. მეფემ თავისი ქალი მიათხოვა.
შეიტყო მეორე ხელმწიფემ ნასიას გმირობა და ახლა ამან გამოითხოვა საომრად.
ნასიამ სიმამრს მოსთხოვა:
— გამატანე ასი კაცი, თითოეულმა წამოიღოს თითო კეტი, თითო ქათამი და რაც მე გავაკეთო, იმათაც იგივე გაიმეორონო.
სიმამრმა თხოვნა შეასრულა.
გამოეთხოვა ნასია სიმამრს, ცოლს და წავიდა საომრად.
გზაში მდინარე შეხვდათ გასავლელი. ნასიამ გადვა თავისი კეტი მდინარეზე, ასმა კაცმაც ასევე ქნა და გავიდნენ ზედ, როგორც ხიდზე.
იარეს, იარეს და დაინახეს, რომ მოდის მტრის უთვალავი ჯარი.
ნასია თავისი მხლებლებით მინდორზე დაჯდა. ყველამ ქათმებს დაუწყო ჭამა. მოვარდა მტრის ძაღლი და ერთი ქათამი მოიტაცა. წამოაელო ნასიამ კეტს ხელი და გამოუდგა. მას სხვებმაც მიჰბაძეს და მისდიეს ძაღლს მტრის ბანაკამდის.
ხელმწიფემ იფიქრა: ესენი ამოგვექლეტენ კეტებითო და თავისი ჯარით უკან გაიქცა.

გამარჯვებული ნასია მივიდა სიმამრთან. სიმამრმა თავისი ტახტი ნასიას მისცა.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა.

მ ე ნ ა ხ ი რ ე

ერთხელ მამამ თავისი უმცროსი შვილი წაიყვანა შორს მთაზე, სადღაც დაებნა და თვითონ დაღონებული შინ წამოვიდა. ამ ქედზე გველეშაპი ცხოვრობდა, გადაიხარა, დაინახა ბიჭი და ჩამოსძახა:

— ეი, შენ, ადამიანის შვილო, არ გინდა გაგზარდო ჩემ ძმადაო?

ბიჭმა თანხმობა გამოუცხადა.

გველეშაპმა აიყვანა ბიჭი მაღალ ქედზე და უთხრა:

— აქედან პირდაპირ ჩადი. ერთი ალვის ხე დგას, იქ ნახავ ჩემ დედმამას და უთხარი: თქვენს მზეს, ამაღამ შემინახეთ-თქო, ისინი დაგაყენებენ; დილით უთხარი: თქვენი შვილის მზეს, ამ ალვის ხის ნაფოტი მოშეცით-თქო, მამაჩემი უარს გეტყვის, მაგრამ დედაჩემი მოგცემსო.

ყმაწვილი ჩავიდა ალვის ხესთან. იქ ერთი კაცი და დედაკაცი ცხოვრობდნენ. ბიჭმა სთხოვა:

— თქვენს მზეს, ამაღამ შემინახეთო.

მისცეს ბინა.

დილით სთხოვა:

— თქვენი შვილის მზეს, ამ ალვის ხის ნაფოტი მომეცითო.

კაცი არ შვრებოდა, მაგრამ ქალმა მისცა და თან დაარიგა:

— რასაც ინატრებ, მოგცემს ეს ნაფოტი, მხოლოდ უთხარი: ნაფოტო, შენს მზესა, შენი გამომცემის მზესა, ესა და ეს ამისრულე-თქო.

ბიჭმა წაიღო ნაფოტი და წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთ ქვეყანაში. იქ ერთ დედაკაცს სთხოვა:

— დედი, პური მშია, მაჭამეო.

დედაკაცს ორი პური ჰქონდა და ერთი მისცა ბიჭს. ბიჭმა შეჭამა, დედაკაცმა მეორე პურის ნახევარიც მისცა, ისიც შეჭამა, ნარჩენი ნატეხიც მისცა, ბიჭმა ისიც შეჭამა. ბიჭი დანაყრდა და დედაკაცს უთხრა:

— დედი, შენი შვილი ვიქნებიო.

— მე შვილი არა მყავს და შენ იყავი ჩემი შვილიო, — მიუგო დედაკაცმა.

ბიჭმა უთხრა:

— წამიყვანე სადმე, მოჯამაგირედ დამაყენეო.

დედაკაცმა წაიყვანა სოფელში და ერთი წლის ვადით მებატონედ დააყენა; მეორე წელიწადს მეღორედ დააყენა; მესამე წელიწადს — სოფლის მენახირედ.

იქაურ ხელმწიფის ქალს ორი ძროხა ჰყავდა და თვითონ წველავდა. ერთხელ, როცა ქალი ძროხას წველავდა, მენახირემ საქონელი ჩაატარა. დაინახა ხელმწიფის ქალი, ამოიღო ნაფოტი და დაეკითხა:

— ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამ ქალს მე ნუ ამაცდენ, ჩემი გახადეო.

შუადღისას მენახირემ ნახირი წყალზე მირეკა. ხელმწიფის ქალიც იქ იყო. დაინახა ქალმა მენახირე და შეიყვარა, ხვდებოდნენ ერთმანეთს. ქალი დაორსულდა, შვილი შეეძინა.

ერთ დღეს ხელმწიფემ გაიგონა ბავშვის ტირილი და გაუკვირდა:

— ჩემ ქალს როდის, საიდან ან ვისგან გაუჩნდა შვილი, ეს რა ამბავია ჩემს თავსაო?

შეყარა ჯარი-ჯარამათი. უნდოდა გაეგო, ვინ იყო ბავშვის მამა.

ბავშვი გაიძახოდა:

— დედა აქა მყავს და მამა არაო.

ხელმწიფემ იკითხა:

— კიდევ აკლია ვინმეო?

— არავინ არ აკლია მენახირის მეტიო, — უთხრეს ხელმწიფეს.

მოიყვანეს მენახირე; ზოგი თავში სცემდა, ზოგი დასცინოდა:

— ხელმწიფის ქალი სწორედ შენ გიკადრებდა, რომ ბავშვმა მამა შენ დაგიძახოსო.

ბავშვმა დაინახა მენახირე და მოყვა ძახილს:

— დედა აქა მყავს, მამაც მოვიდა, დედა აქა მყავს, მამაც მოვიდაო!

ხელმწიფე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე: გადევნა ქალი და სიძე; თვითონ ჯავრისაგან ავად გახდა. დაიბარა უფრისი სიძეები და უთხრა:

— უკვდავების წყალს თუ მომიტანთ, მოვრჩები, თუ არა და არაო.

მენახირის ცოლმა გაიგო მამის სურვილი, მივიდა მამასთან და უთხრა:

— ჩემ ქმარს გავგზავნი უკვდავების წყლის მოსატანადაო.

მამა გაუწყრა:

— წადი, თვალით არ დამენახო, თქვენი მიზეზით ვარ ავადაო.

გააგდო ქალი. სიძეები წავიდნენ უკვდავების წყლისათვის.

მენახირემ აიღო ნაფოტი და ინატრა:

— აბა, ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი კარგი შეკაზმული ცხენი და ტანისამოსი მომეციო.

გაჩნდა შეკაზმული ცხენი და კარგი ტანისამოსი. მოირთო მენახირე, შეაჯდა ცხენს და მიაქროლა წყალთან.

უფროსი სიძეები მისულიყვნენ წყალთან. მენახირემ დაუყვირა:

— ვინა ხართ, რისთვის მოსულხართ აქაო?

სიძეებს წყლის პატრონი ეგონათ და მიუგეს:

— წყალი გვინდა ვიყიდოთო.

— არა ვყიდიო, — უთხრა მენახირემ.

— მაშ რა ვქნათ, უწყლოდ როგორ წავიდეთ, ხელმწიფე კვდებაო, — შეწუხდნენ სიძეები.

— წყალს არა ვყიდი, მაგრამ რადგან ასეა საქმე, მოგყიდით, მაგრამ ფასად კი ყურის ბიბილოებს მოგაჭრითო.

მოაჭრევინეს სიძეებმა ყურის ბიბილოები და წაიღეს წყალი.
ხელმწიფე მაინც არ განიკურნა. ისევ დაიბარა სიძეები და უთხრა:
— უკვდავების ყურძენი მომიტანეთ, იქნება მარგოსო.
მენახირის ცოლმა კიდევ სთხოვა მამას:
— ჩემი ქმარიც გაგზავნე უკვდავების ყურძნის მოსატანადაო.
ხელმწიფემ დაითხოვა თავისი ქალი, ქმარს ნუ ახსენებო.
მენახირემ სიძეებს მიასწრო უკვდავების ყურძენთან.
მივიდნენ სიძეები და სთხოვეს მენახირეს:
— უკვდავების ყურძენი მოგვყიდე, სიმამრი გვყავს ავადაო.
— ყურძენს არ ვყიდი, მაგრამ თუ ჩემს ცხენს თითო წიხლს მიაკვრევინებთ, მოგყიდით, თუ არა და არაო, — მიუგო მენახირემ.
რას იზამდნენ სიძეები, მიაკვრევინეს ცხენს წიხლები, წაიღეს ყურძენი. ხელმწიფეს ვერც ყურძენმა უშველა რაიმე. ისევ დაიბარა სიძეები და უთხრა:
— ირმის რძე მომიტანეთ, თუ მარგებს, ის მარგებსო.
მენახირემ ახლაც გაასწრო სიძეებს, ამოიღო ნაფოტი და დაიკივლა:

— ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, რაც ირმები არიან, სულ აქ მოგროვდნენო.
მოცვივდნენ ყოველი მხრიდან ირმები და ერთ ადგილას მოგროვდნენ.
ქვისლები მივიდნენ მენახირესთან და სთხოვეს:
— ირმის რძე მოგვყიდეო.
— თუ თითო შოლტ ტყავს ამაძრობინებთ, მაშინ მოგყიდითო, — მიუგო მენახირემ.
რას იზამდნენ ქვისლები, ააძრობინეს თითო შოლტი ტყავი. მენახირემ მისცა ირმის რძე და მიუტანეს სიმამრს. ხელმწიფე მორჩა, დიდი მეჯლისი გამართა. მენახირემ კარგად ჩაიცვა და ხალხში გაერია. ხელმწიფის სიძეებმა დაინახეს მენახირე და უთხრეს სიმამრს:
— აი ის კაცი გვაძლევდა უკვდავების წყალს, უკვდავების ყურძენს და ირმის რძესაო.
ხელმწიფემ ახლო მიიწვია უცხო სტუმარი, გვერდით მოისვა და ჰკითხა:
— ვინ ბრძანდები, სადაური ხარო?
მენახირემ არაფერი უპასუხა ამაზე და ჰკითხა:
— უფროსი ქალები თუ დაპატიჟეთ მეჯლისზე, რატომ უმცროსი ქალი არა გყავთ დაპატიჟებულიო?
— უმცროს ქალს ცოცხლებში აღარ ვთვლი, ისეთი მასხარა მენახირე ქმარი შეირთო, რომ საქვეყნოდ თავი მომჭრაო, — მიუგო ხელმწიფემ.
— მენახირე სიძე მე გახლავარ, რით მჯობიან სხვა სიძეები, ჩემგან მოჰქონდათ უკვდავების წყალი, უკვდავების ყურძენი და ირმის რძე; აი მაგათი ყურის ბიბილოები, საშოლტე ტყავები, გახადეთ შარვლები, თუ ჩემი ცხენის ნალის კვალები არ ამჩნევიათო, — თქვა მენახირემ და გამოხსნა ხელსახოცში გახვეული ყურის ბიბილოები და ტყავები.
ხელმწიფე დარწმუნდა, მენახირე სიძე სჯობნებია სხვა სიძეებსო, პატიება სთხოვა და თავისი სახელმწიფო ჩააბარა.

ყოფილმა მენახირემ დაპატიჟა ძმობილი გველეშაპი, მამა და ძმები. სანამ გამოეცნაურებოდა, მამას ჰკითხა:

— შვილი ხომ არა გყავს დაკარგულიო?

— მგონი ერთ დროს დავკარგე პატარა შვილი, კარგად არ მახსოვსო, — მიუგო მამამ.

გველეშაპს გული მოუვიდა და თქვა:

— მეც უდიერი მამისაგან ვარ დაკარგული და გველეშაპის ტყავში გავიზარდეო.

შვილი გამოეცნაურა მამას და თავის სახელმწიფოში ცხოვრობდა ბედნიერად.

ასფურცელა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი ქალი. მამა ადრე გარდა-იცვალა. დედამ უთხრა შვილებს:

— შვილებო, თქვენს დედულ-მამულს რატომ არ მოუვლითო?

შვილებმა არ იცოდნენ, თუ დედულ-მამული ჰქონდათ. დედას უთხრეს:

— ჩვენ რომ წავიდეთ, საჭმელი ვინ უნდა წამოგვიღოსო? - დედამ უთხრა:

— თქვენს დას გამოვატანო.

მართლაც, გაუმზადა ერთი კვირის საგზალი და თან ხახვი გაატანა. გზადაგზა რომ იაროთ, ეს ხახვის ნაფცქვენები ყარეთ გზაშიო. თქვენი და გამოყვება ამ ნაფცქვენებს და მოგაგნებთო. გზაზე ერთი სოფელი იყო გასავლელი. იქ ცხოვრობდა ასთავიანი დევი, რომელსაც ჰყავდა ბებერი დედა. გამოვიდა, მოკრიფა ხახვის ნაფცქვენები და თავის გზაზე დაყარა. ერთი კვირის შემდეგ დედამ თავის ქალიშვილს გაატანა ბიჭების საჭმელი. მისდევს იგი ხახვის ნაფცქვენებს, მიადგა ასთავიანი დევის სახლს. დახვდა ასთავიანის დედა შინ. მოხუცს ძალიან მოეწონა ქალი და უთხრა:

— მოდი, შვილო, ახლოს, თორემ ჩემმა შვილმა რომ დაგინახოს, შეგჭამსო.

ქალი მივიდა მოხუცთან. დედაბერმა დამალა. მოვიდა დევი და დედას ჰკითხა:

— დედი, ადამიანის სუნი მომდისო.

— არა, შვილო, აქ ადამიანს რა უნდაო. — ბოლოს გამოტყდა დედა:— თუ არ შეჭამ, გამოგიჩენო.

გამოუჩინა ქალი. ასთავიან დევს ძალიან მოეწონა, შეირთო ცოლად.

რაკი დანიშნულ დროზე ამ ძმებს ხარჯი არ ჩაუტანა, ბიჭები შინ წამოვიდნენ. დედას უთხრეს:

— რატომ ხარჯი არ გამოგვიგზავნეო?

დედამ იცოდა, იმ სოფელში რომ ასთავიანი დევი იყო და დაიწყო ტირილი: — ჩემს შვილს ასთავიანი დევი შეჭამდაო. ძმებმაც გაიგეს ეს ამბავი და გაემგზავრნენ დის დასახსნელად. როდესაც მივიდნენ, გამოიხედა ბებერმა. დაიწყო ჩხუბი:

— ჩემი შვილის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია, დაბლა ჭინჭველასაო. ვაჟებმა უთხრეს, რომ ის ქალი მათი და იყო, მოხუცმა მიიპატიჟა შინ. ასთავიანი დევი სანადიროდ იყო წასული. როდესაც დევს მოსვლის დრო ჰქონდა, დედაბერმა ვაჟები დამალა. მოვიდა დევი, მოიტანა ნანადირევი და გაიგო, რომ აქ ვიღაცა იყო. დედამ უთხრა :

— თუ არ შეჭამ, გამოგიჩენო.

მართლაც, გამოუჩინა დედამ და შეუდგნენ ვახშმის მზადებას. სანამდის ორნი ერთ ირემს გაატყავებდნენ, მანამ ასთავიანმა დევმა მოხარშა კიდეც. მიიპატიჟა ცოლისძმები და ჰკითხა: — ხორცის კაცნი ხართ, თუ ძვლისანიო? ცოლისძმებს შეეშინდათ და უთხრეს: — ძვლის კაცები, ხორცი რა ჩვენი საქმეაო. მართლაც, ასთავიანი დევი ხორცს ჭამს, ძვლებს კი იმათ აძლევს. მოიტანა ღვინო და უთხრა: — დოქის კაცები ხართ, თუ ყანწისაო? — დოქი რა ჩვენი საქმეა, ყანწი მოგვიტანეო. ვახშამი რომ დაამთავრეს, დევმა უთხრა: — ლოგინის კაცები ხართ, თუ გომისაო? — ლოგინი რა ჩვენი საქმეა, გომში დავიძინებთო.

დილით ადგა ასთავიანი დევი და უთხრა დედას: — საგზალი გამიმზადე, სანადიროდ მივალო. დედამ უთხრა: — შვილო, დაბლა ორი კუტი არის, ისინი ჩაილაგეო. ასთავიანი დევი ჩავიდა გომში, ერთი შეჭამა, ერთი იღლიაში ამოიჩარა და გაემგზავრა სანადიროდ.

გავიდა დრო. ვაჟებიც დაკარგა დედამ და ქალიც. ტირის. ერთ მშვენიერ დღეს ჩამოიარა კაცმა და ეკითხება დედაკაცს, რა გატირებსო? დედაკაცმა უამბო თავისი თავგადასავალი. კაცმა ამოიღო ერთი ვაშლი, მისცა დედაკაცს და უთხრა: — ეს ვაშლი ას ნაწილად გაჭერი და დღეში თითო შეჭამეო. დედაკაცმა დაჭრა ვაშლი ას ნაწილად. დაუწყო სათითაოდ ჭამა. გაათავა თუ არა ვაშლი, გაუჩნდა ერთი ვაჟი, დაუძახა ასფურცელა. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს უბნის ბიჭები კოჭობას თამაშობდნენ. ასფურცელაც ამ ბიჭებში იყო. ერთ სოფლის დედაკაცს კოკით წყალი მოჰქონდა. ასფურცელამ კორა გაარტყა ჯოხს, გაბზრიალდა ის ჯოხი, კოკას მოხვდა და გატეხა.დედაკაცი გაბრაზდა: — დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, დედისერთა ხარ, ვერ გიმეტებო. თუ შნო გაქვს, შენი ძმები და შენი და ასთავიანი დევისაგან გამოიხსენიო!

ასფურცელამ ეს რომ გაიგო, იმ წამს შინ გაიქცა. დედას უთხრა: — ძუძუ მინდაო. დედამ დაუწყო ჩხუბი: — რაღა დროს შენი ძუძუაო! მაგრამ ასფურცელამ ძალიან და ძალიან შეაწუხა. მისცა ძუძუ. ასფურცელამ მოუჭირა კბილები და დედას შეეკითხა: — მითხარი, და-ძმები მყავს თუ არაო? დედამ უთხრა: — ასთავიან დევთან არიანო. ასფურცელა ადგა და გაემგზავრა ასთავიანი დევის სახლისაკენ. გზაზე ერთი ხევი ჰქონდა გასაელელი. ხევს რომ მიუახლოვდა, გამოჩნდა ის სახლი, სადაც ასთავიანი

დევი იყო. ბებერმა შენიშნა ეს ახალგაზრდა და თქვა: - ეა დედიშენის ღმერთსაო! მიუახლოვდა ასფურცელა იმ სახლს. შევიდა ეზოში და სიბრაზით დაიწყო სიარული. ბებერმა ჩხუბი დაუწყო ახალგაზრდას: — წადი აქედან, თორემ ჩემი შვილი მოვა და შეგჭამსო. ასფურცელამ უთხრა: — მე მოგიველი შენცა და შენ შვილსაცაო! საღამო ხანს მოვიდა დევი და მოიტანა ნანადირევი, დაინახა ვიღაც უცნობი, თვალებიდან ცეცხლი გადმოსცვივდა სიბრაზისაგან. მივიდა ახალგაზრდასთან. ახალგაზრდამ უთხრა ასთავიან დევს: — შენი ცოლისძმა ვარ და არ მიმიღებ ამაღამო? ასთავიანი დევი დაყაბულდა და მიიპატიჟა სახლში. დაიწყეს ნანადირევის გატყავება. სანამდის ასთავიანი დევი ერთს გაატყავებდა, მანამ ასფურცელამ ორი გაატყავა, დაკუწა და მოხარშა კიდეც.

დასხდნენ ვახშამზე. ასთავიანი დევი ეუბნება ასფურცელას: — ძელის კაცი ხარ, თუ ხორციანი? — ძვალი რა ჩემი ხელობაა, ხორცი მომიტანეო! ხორცს ასფურცელა ჭამდა, ძელებს კი ასთავიან დევს აძლევდა. ღვინოზეც ისევე ქნა: — დოქის კაცი ხარ, თუ ყანწიანი? — ყანწი რა ჩემი ხელობაა, დოქი მოიტანეო! დაამთავრეს ვახშამი და უთხრა ასფურცელას: — მოდი, ერთი დავიჭიდოთ, რომელმაც წააქციოს, ის იყოს ნაჯობნიო. ასთავიანმა წაავლო ხელი და ნძრევაც ვერ უყო. მერე წაავლო ხელი ასფურცელამ და წააქცია. ამ დევს ძალიან შეეშინდა, უთხრა: — გომის კაცი ხარ, თუ ლოგინისაო? — გომი რა ჩემი საქმეა, ლოგინისაო. როდესაც ჩავიდა ასთავიანი დევი გომში, დაიწყო ხმლის ლესვა. ასფურცელამ გაიგო ეს ამბავი, ადგა ჩუმად, გამოაღო კარები, შეიტანა ერთი კუნძი, დადო ლოგინზე, დააფარა ზევიდან საბანი და თვითონ კი კუთხეში დაიმალა. როდესაც იფიქრა ასთავიანმა დევმა, ახლა კი სძინავსო, ამოვიდა მაღლა, შეაღო კარი ჩუმად და დაუშინა ლოგინს ხმალი. ეს ლოგინი სულ ქუცმაქუცმა აქცია, მერე წავიდა და დაიძინა.

ასფურცელა მივიდა, გადმობერტყა ლოგინი, ჩაწვა ისევე. ასთავიან დევს ეგონა, მოკალიო. ძილით გამოეღვიძა თუ არა, ავიდა მაღლა, ნახა, ასფურცელა ისევე ლოგინში წევს, და შეეკითხა: — წუხელი რწყილებს ხომ არ უკბენია შენთვისაო? — არაფერი შემიტყვიაო. ასთავიან დევს უფრო შეეშინდა და უთხრა: მოდი, ერთხელაც დავიჭიდნეთ და თუ კიღევ მაჯობე, შენი მონა ვიქნებიო. ასფურცელამ წაავლო ხელი, გადმოაგდო მაღლიდან, ყელამდის ჩაჯდა მიწაში ასთავიანი დევი. ამოიღო ხმალი ასფურცელამ და უთხრა: — თქვი, რა უყავი ჩემი ძმები და ჩემი და, თორემ თავებს დაგაყრევინებო. ასთავიანმა დევმა უპასუხა: — შენი და სახლში არის, შენი ძმები კი შუცელში ერთი კოლოფი მაქვს და იმაში სხედანო. ასფურცელამ დააჭრა თავები, გაჭრა შუაზე, ამოიღო კოლოფი, რომელშიც ისხდნენ ძმები. მონახა თავისი დაც და გაემგზავრნენ შინისაკენ. ერთ მშვენიერ ალაგას ერთი მუხა იდგა. მუხასთან რომ მივიდნენ, ასფურცელა შეეხვეწა თავის ძმებს და დას: — აქ დავისვენოთ, ძალიან დაღლილი ვარო. არ გაუტეხეს ხათრი და დაისვენეს. ასფურცელა ცოტა ხნით მიწვა. დაეძინა. უმადურმა ძმებმა დაგრიხეს წნელები, ააყენეს მძინარე ასფურცელა, მიაკრეს მუხაზე ისე, რომ თითის ფრჩხილებიდან სისხლი გასდიოდა. გამოეღვიძა ასფურცელას. ნახა, დაბმული იყო მუხაზე.

შეეხვეწა ღმერთს: — თუ მე ვტყუი ჩემს ძმებთან.აქვე მომკალი, თუ არადა, ეს მუხა მომაგლეჯინეო. მართლაც, მოგლიჯა მუხა და შინისაკენ გაეშურა. შინ რომ მივიდა, დაუძახა თავის ძმებს: — გამოიხედეთ, ეს მუხა მაინც მომხსენითო. ძმებს ძალიან შეეშინდათ: ახლა კი დაგეხოცავს ჩვენი ძმაო. მაგრამ რას იზამდნენ: მოხსნეს მუხა. შევიდა სახლში ასფურცელა და დედას ეუბნება: — დედავ, შენი შვილები მოგგვარე, მხოლოდ ძალიან დამტანჯესო. ამათ ყურებას ვერ შევძლებ, სხვაგან უნდა წავიდეო! მართლაც ადგა და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ მინდორში. ერთი რცხილა იდგა, შეჩერდა ხესთან, გაისროლა მშვილდ-ისარი. წავიდა ისარი, გადაიარა ცხრა მთა და დაერჭო ერთი სახლის წინ. იქ ცხოვრობდა ცხრა დევი. დილით ნახეს ისარი. ცხრანიენ დაეჭიდნენ და ვერ ამოაძრეს. შეეშინდათ დევებს და გადაიხვეწნენ იმ ადგილიდან. მივიდა ასფურცელა, დაათვალიერა სახლი. ერთ ოთახს კლიტე ედო, გატეხა კლიტე, შევიდა შიგნით და ნახა ცხრა მზეთუნახავი ქალი. გაუღო კარები: — წადით, თქვენ თქვენი გზა ნახეთ, ახლა თავისუფლები ხართო! ქალები არ წავიდნენ. შემოეხვივნენ ასფურცელას და ეუბნებიან: არა ჩემი ქმარი უნდა იყო და არა ჩემიო. ასფურცელას ყველაზე ნაბოლარა მოეწონა და შეირთო.

ასფურცელას ნადირობა მოუნდა და გაემგზავრა სანადიროდ. როდესაც ინადირა, დაეძინა. ამ დროს ცხრა დევმა ნახა, მოსაკლავად ვერ გაიმეტეს და თვალები დასთხარეს. გაუშვეს ისევე ტყეში. დადის ასფურცელა. იარა, ცოტა იარა თუ ბევრი, გავიდა ერთ მინდორზე. ყვირილი შემოესმა. რომ მიუახლოვდა ასფურცელა, გაიგო — კამეჩი ჩავარდნოდათ ღელეში მეხრეებს და ვერ ამოჰყავდათ. მივიდა ასფურცელა მეხრეებთან, უთხრა: ისე მიმიყვანეთ ნაპირას, რომ შიგ არ ჩავვარდე და მე ამოვიყვან კამეჩსაო. მეხრეებმა უთხრეს: — შვიდუღელა საქონლით ვერ ამოვიყვანეთ, შენ როგორ ამოიყვანო. მართლაც დააყენეს ნაპირას. ჩასწვდა ასფურცელა კამეჩს, დააკლო ხელი და მაღლა შემოისროლა. ეს კამეჩი სულ ქუცმა-ქუცმად დაიბნა.

მეხრეებში იყო ერთი კაცი, რომლის ქალიშვილებიც ტყვეობაში ჰყავდა იმ ცხრა დევს. ასფურცელამ თავისი ამბავი აუხსნა მეხრეებს. მაშინ ენიშნა ეს სიტყვები. ამ კაცმა უთხრა ასფურცელას: ჩემთან წამოდი, თვალებს მე აგიხელო. წაიყვანა, წამალი გაუკეთა, წაუსვა თვალებზე და მოურჩინა. ასფურცელა გამოემშვიდობა ხალხს და გასწია თავისი სახლისაკენ: მივიდა, ნახა ცოლი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ნასყიდა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ, ლუკმა პური ენატრებოდათ. შვილი ვერაფრით შველოდა მშობლებს და ძალიან წუხდა. უთხრა თავის დედ-მამას, წამიყვანეთ და გამყიდეთ, ჩემი ნაფასურით ჭამეთ და ტანთ ჩაიცვითო, ჯერჯერობით გეყოფათ და მერე იქნება ღმერთმა მიშველოს და თავი დავიხსნაო. ამის გაგონებაზე დედამ და მამამ ტირილი დაიწყეს: — შვილო, შენი ნაფასური ჩვენ როგორ უნდა მოვიხმაროთო და უარი უთხრეს. შვილმა მაინც თავისი არ დაიშალა. მამამ წაიყვანა ტირილით თავისი შვილი გასაყიდად. გამოემშვიდობა დედას და მამა-შვილი გაუდგა გზას. შვილმა უთხრა მამას:

— რომ გკითხონ, როგორა ჰყიდიო, უთხარი — ხუთ'თუმნათა-თქო. თუ გკითხონ, რა იცის ხუთი თუმნისაო? — უთხარი: ჩემი შვილი თვალსა, კაცსა და ცხენსა ცნობს-თქო.

ბევრი სიარულის შემდეგ მივიდნენ ერთ სახელმწიფოში. ხელმწიფემ გაიგო, რომ ერთ კაცს შვილი მოუყვანია გასაყიდად. უბრძანა, ის კაცი იმასთან მიეყვანათ. როცა მამა-შვილი მიიყვანეს ხელმწიფესთან, ჰკითხა: — როგორა ჰყიდი შვილსაო? — ხუთ თუმნათაო, — უპასუხა კაცმა. —ხუთი თუმნისა რა იცის შენმა შვილმა? — ჰკითხა ხელმწიფემ. — ჩემი შვილი -თვალსა, ცხენსა და კაცსა ცნობსო,— უპასუხა მამამ. იყიდა ხელმწიფემ ეს ბიჭი, შვილმა გამოაცილა მამა და უთხრა: — ეგ ფული უსათუოდ მოიხმარეთ, რაც გიჭირდეთ, იყიდეთო.

მივიდა კაცი შინ, მისცა ცოლს ხუთი თუმანი, ბევრი იტირა ცოლ-ქმარმა, დაკეცეს ეს ფული და შეინახეს — ეს ჩვენი შვილიაო.

ხელმწიფემ ნაყიდი ბიჭი მიაბარა თავის მეპურეს და უბრძანა: —დღეში ერთი პური მიეციო.

იმ სახელმწიფოში ერთმა კაცმა რაღაც უცნაური თვალი მოიტანა გასაყიდად. კაცი ხელმწიფესთან მიიყვანეს. გასინჯა ხელმწიფემ თვალი, ძალიან მოეწონა და ჰკითხა: — რას აფასებო? — თავის წონა ფულსაო, — უპასუხა კაცმა. დადვეს სასწორზე, მეორეზე დააყარეს ფული, მაგრამ რამდენსაც უმატებდნენ, თვალს ვერ შეუწონეს. ხელმწიფემ მთელი თავისი ქონება შეუწონა, მაგრამ თვალი მაინც მეტი მოდიოდა. გაუკვირდა ხელმწიფეს, დაიბარა თავისი ნაყიდი ბიჭი, რომელსაც ახლა ყველა ნასყიდას ეძახდა და უბრძანა: —აბა, გაიგე, რის თვალიაო? ნასყიდამ გასინჯა თვალი და მოახსენა: — ეს თვალი ადამიანისაა: ადამიანის თვალი ხარბი და გაუმაძღარია, მიწის მეტი ვერაფერი გააძღობსო. დაასველა თვალი, გააგორა მიწაზე, თვალმა მიწა აიკრა, დადეს სასწორზე და ერთი კაპეიკიც ველარ აიწონა. ხელმწიფემ მეპურეს უბრძანა: —ნასყიდას დღეში სამი

პური აძლიეო. გაიარა ხანმა. იმ სახელმწიფოში ერთმა კაცმა გასაყიდად ისეთი ცხენი მოიყვანა, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ხელმწიფეს ძალიან მოეწონა და უნდა ეყიდნა. დაუძახა ნასყიდა ბიჭს და უთხრა: — ეს ცხენი როგორიაო? —ცხენი კარგია, მთელ შენს სახელმწიფოში ასეთი ცხენი არ არის, მაგრამ კამეჩის რძით არის გაზრდილი, ამას დედა ძალიან პატარას მოჰკვდომია, კამეჩისათვის შეუჩვევიათ, ამას როცა დასცხება, მაშინვე ტალახში ჩაეშვებაო.

ხელმწიფემ არ დაუჯერა, ცხენი ძალიან მოეწონა და იყიდა. ერთხელ შეკაზმა და სანადიროდ წავიდა. დაინახა ჯიხვი, გამოუდგა ცხენდაცხენ, ცხენი მერცხალივით მიფრინავდა, წამოეწია ჯიხვს, ის იყო, უნდა მოეკლა ჯიხვი, ცხენს დასცხა, გუბე დაინახა, შიგ ჩაწვა და ხელმწიფე სულ ამოისვარა ლაფში და ჯიხვიც გაექცა. ხელმწიფე ახლა კი დარწმუნდა ნასყიდას ნათქვამის სიმართლეში, მაგრამ გვიანღა იყო. ხელმწიფე შინ რომ მივიდა, მეპურეს უბრძანა: — ნასყიდას ერთი პური მიუმატეო.

ხელმწიფე დარწმუნდა, რომ ნაყიდი ბიჭი მართლა ყველაფერს კარგადა ცნობდა, გადაწყვიტა, ჩემს სამეფოს შევაგროვებ, უნდა გავიგო, ვის უნდა ჩემთვის კარგიო, ვინ არის ჩემი ერთგული და ვინ ორგულიო. დაიბარა ხალხი. შეიკრიბა ხალხი და მოახსენეს ხელმწიფეს, სუყველანი აქ გახლავართ და რას გვიბრძანებ, დიდებულო ხელმწიფეო? ხელმწიფემ დაიბარა ნასყიდა, უბრძანა: — შენ უნდა გამიგო, ვინ არის ამ ხალხში კარგი ჩემთვის და ვინ ორგულიო. ნასყიდამ მოახსენა: — პირობა უნდა დამიდო და დამიწერო, რომ მე რასაც ვიტყვი, იმისათვის არ დამსაჯოთო. ხელმწიფემ მისცა პირობა და ქაღალდიც დაუწერა. ხალხი შეშინდა: ყველას ეშინოდა, ორგულობა არ დაგვწამოსო. მოჰქონდათ და მოჰქონდათ ნასყიდასთვის საჩუქრები — ჩემზე კარგი თქვიო. ნასყიდა ყველას პირობას აძლევდა: — ნუ გეშინიათ, არავის არაფერი არ დაგიშავდებათო. გაყო ნასყიდამ ხალხი ორად. თვითონ შუაში ჩადგა. ხან ერთ მხარეს გახედა ხალხს, ხან მეორეს. მერე ხელმწიფეს პირობის ქაღალდი დაანახვა: — დიდებულო ხელმწიფევ, პირობა ხომ გახსოვთო? — მახსოვს, მახსოვს, — მიუგო ხელმწიფემ. კიდევ გადახედა ხალხს, მერე ხელმწიფეს შეხედა და მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფევ, აქ ერთი კაციც არ არის ავი და ცუდი, ყველა თქვენი ერთგულია და კეთილის მსურველია, ავიც შენა ხარ და ხარაზის შვილიცაო.

ეწყინა ხელმწიფეს, მაგრამ რას იზამდა. წავიდა დაღონებული შინ და თავის დედას ჰკითხა: — დედაჩემო, მართალი მითხარი, ვინ იყო მამაჩემი? — ვინა და ხელმწიფე! — მიუგო დედამ. ხელმწიფე არ ეშვებოდა: — თუ სიმართლეს არ მეტყვი, ვინ იყო მამაჩემი, შენს თვალწინ თავს მოვიკლავო. მეტი რა გზა ჰქონდა, უთხრა: — შვილო, მამაშენი ხელმწიფე რომ მოკვდა, მე შვილი არა მყავდა, შენი სახელმწიფო რომ სხვას არ დარჩენოდა, ერთი ხარაზი გვყავდა და იმასთან დავიწყე ცხოვრება და იმისაგან მეყოლეო.

ხელმწიფემ დაიბარა ნაყიდი ბიჭი, აჰკიდა ცხენებს თვალ-მარგალიტი და უბრძანა: — წადი აქედან, ჩემს სახელმწიფოში თვალი აღარ დაგკრაო. წამოიღო ბიჭმა ეს ამოდენა სიმდიდრე და მივიდა თავის დედ-მამასთან. მშობლები დარდითა და სიღარიბით ძალიან დაბერებულიყვნენ, ის ხუთი თუმანი ისევე ჰქონდათ შენახული — ჩვენი შვილის ნაფასურს როგორ დავხარჯავთო. გაიხარეს, ბევრი სიხარულის ცრემლი დაღვარეს შვილის

მშვიდობით დაბრუნებითა და ნახვით, სიხარულით გაახალგაზრდავდნენ, გაიკეთეს ლამაზი სახლები და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება, ახე რომ დღესაც კი ბედნიერად ცხოვრობენ.

კ ო მ ბ ლ ე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე, ჰყავდა სამი ცხვარი. ერთხელ ცხვრები ტყეში გარეკა, თვითონ თავი გაანება, დაჯდა და კომბლებს ღაუწყო კეთება.

კაცებმა ჰკითხეს:

— კომბლე, რა სულ კომბლებს აკეთებო?

კომბლემ უპასუხა:

— მე ეს ხელობა ვიცი და ამან უნდა მაცხოვროსო.

გააკეთა კომბლები და ადგა, გაიდო ერთი დიდი კომბალი მხარზე და წავიდა ცხვრების საძებნელად. მიადგა ერთი მგლის სოროს და დაუძახა:

— შენ შეჭამე ჩემი ცხვრებიო?

— არაო, — უპასუხა მგელმა.

—აბა პირი დააღე, კბილებში ჩაგრჩენია ხორციო.

მგელმა უთხრა:

ოღონდ ნუ მომკლავ და ბედსა გწევო.

— რა ბედსა? — ჰკითხა კომბლემ.

— აგე, აქ მეცხვარეებს ბევრი ცხვარი ჰყავთ, იმ ცხვრებში ერთი ოქროს ბატკანი ურევია, იმ ოქროს ბატკანს მე მოვიტაცებ და სულ ყველანი მე ამედევნებიან, შენ მოუარე და ცხვრები გარეკეო, — უთხრა მგელმა.

მგელი წავიდა და მოიტაცა ოქროს ბატკანი. მართლაც სულ ყველა მწყემსი იმას დაედევნა. მოუარა კომბლემ ცხვრებსა და გარეკა.

კომბლეს გზაზე კაცები შემოხვდნენ და ჰკითხეს:

—კომბლე, შენ სამი ცხვარი გყავდა, აგრე როგორ გაამრავლე ერთ თვეშიო?

კომბლემ უპასუხა:

ტყეში გავუშვი და გამრავლებულანო.

იმათაც იყიდეს სამი ცხვარი, გაანებეს ტყეში თავი და წამოვიდნენ შინ. ერთი თვის შემდეგ წავიდნენ საძებნელად, ცხვრები უნდა ეპოვნათ, მაგრამ ცხვრები მგელს შეეჭამა.

წამოვიდნენ შინ და თქვეს:

— რა ვუყოთ კომბლესაო?

— სახლი დავუწვათო.

დაუწვეს სახლი.

კომბლემ გაანელა ცეცხლი და აიღო ერთი საცალო ნახშირი, დაახურდავა სანი მანეთი და თავზე გადააშალა ნახშირს. მოუკრა პირი, აიკიდა საცალო და წაიღო. მივიდა ერთ სალაროსთან და უთხრა ყარაულს:

— ამაღამ აქ დამაყენეთ და ეს საცალოც შემინახეთო.

— დადექიო, — უთხრა ყარაულმა.

იმ ღამეს იქ იყო. გათენდა დილა და ეუბნება კომბლე სალაროს ყარაულს:

— ჩემი საცალო მომეცითო!

მოუტანეს საცალო, კომბლემ გახსნა და ნახა, შემდეგ შარი მოუდო:

— მე საცალო ფულით საკმე მქონდა, თქვენ კი ნახშირი ჩაგიყრიათ და ზევიდან თეთრი ფული გადაგიშლიათო; თუ მომცემთ, მომეცით, თუ არა და წავალ ხელმწიფესთან და გიჩივლებთო.

— ოღონდ ნუ გვიჩივლებ ხელმწიფესთან და საცალოს ფულით აგივსებთ და გაგატანთო, — უთხრეს ყარაულებმა.

აუვსეს საცალო ფულით და გაატანეს.

კომბლემ მოიტანა შინ ფული.

კაცებმა ჰკითხეს:

— კომბლე, შენ ნახშირი წაიღე და ფული როგორ მოიტანეო.

— სახლი დავწვი, ნახშირი გავაქრე, წავიღე და ფულზე გავცვალეო.

დაწვეს თავიანთი სახლები იმათაც, აიღეს ნახშირი, ჩაყარეს საცალოებში, დაჰქონდათ სოფელში და იძახდნენ:

— ნახშირი ფულზედო!

ნახშირზე ფულს ვინ გაუცელიდა და აკი არავინ გაუცვალა, წამოვიდნენ შინ და თქვეს:

— რა ვუყოთ კომბლესაო?

— ცოლი მოვუკლათო.

მოუკლეს ცოლი.

კომბლემ წამოიღო თავისი მკვდარი ცოლი და მივიდა ერთ კაცთან. ამ კაცს ჰყავდა სამი ქალი, ძალიან კარგები.

კომბლემ უთხრა:

—ამაღამ აქ დამაყენეო!

— დადექიო!

თავისი მკვდარი ცოლი იქით მიაყუდა და თვითონ მივიდა.

— იქ ვინღა დადგაო? — ჰკითხეს.

— ჩემი ცოლია, ჭკვიანია, რცხვენია და იქ დადგაო. წადით, ხელი მოსჭიდეთ და წამოიყვანეთო.

წავიდა ერთი ქალი, ხელი მოსჭიდა — და მკვდარი გადაიქცა. ქალი მამასთან მივიდა და უთხრა:

— ხელი მოვსჭიდე, გადაიქცა და მოკვდაო.

წამოხტა კომბლე და დაიწყო ყვირილი.

— ჩემი ცოლი ცოცხალი იყო, რად მომიკალით; თუ მომცემთ, მომეცით ერთ-ერთი ქალი, თუ არა და წავალ ხელმწიფესთან და გიჩივლებთო.

— ოღონდ ნუ გვიჩივლებ ხელმწიფესთან და აი ამ სამ ქალს დავამწკრივებ და რომელიც გინდა წაიყვანეო.

დამწკრივდნენ სამთავე ქალები და კომბლეს რომელიც მოეწონა, აიყვანა და წაიყვანა.

შინ რომ მიიყვანა ქალი, ჰკითხეს:

— კომბლე შენ მკვდარი ქალი წაიღე და ცოცხალი ვინ მოგცაო?

— მკვდარს ცოცხალზე ცელიანო, — უპასუხა კომბლემ.

იმათაც დახოცეს თავიანთი ცოლები, წაიღეს სოფლებში და იძახიან:

— მკვდარი ცოცხალზედაო.

მკვდარზე ცოცხალი მათ არავინ არ გაუცვალა, წამოვიდნენ შინ და თქვეს:

— რა ვუყოთ კომბლესაო?

—მოვკლათო.

წამოვიდნენ, კომბლე უნდა მოეკლათ.

კომბლემ უთხრა:

— ოღონდ ახლა ნუ მომკლავთ და მე თვითონ მოგაკლევინებთ ჩემ თავსაო.

წავიდა კომბლე მინდორში, გაჭრა სამი თხრილი, მერე წამოიყვანა ორი კაცი და თან ხმლები წამოაღებინა. შუა თხრილში კომბლე დადგა, იქითაქეთ კი ის კაცები დააყენა, ხმლები დააჭერინა და უთხრა:

— როცა დავიყვირო, მაშინ შემომკარით ხმლებიო.

უცებ დაიყვირა და თითონ თხრილში ჩახტა.

მათი ხმლები ერთმანეთს მოხვდა და ორივენი დაიხოცნენ, კომბლე კი მშვიდობით გადარჩა.

მეჩონგურე

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთადერთი ქალი, რომელიც სილამაზით მზეს ეცილებოდა. მამა ქალის მთხოვნელებს ეუბნებოდა: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ბაღში იზრდება უკვდავების ვაშლის ხე, ვინც იმ ვაშლის ნაყოფს მომიტანს, ჩემ ქალს იმას მივათხოვებო.

ყველა მიდიოდა ვაშლის საძებრად. ბევრი ვაჟკაცი წავიდა, მაგრამ უკან დაბრუნებული არავინ უნახავთ.

ხელმწიფის მახლობლად ერთი მეჩონგურე ცხოვრობდა. განთქმული იყო თავისი სიმღერებითა და დაკვრით. მასაც მოსწონდა მზეთუნახავი, მაგრამ თხოვას აბა როგორ გაბედავდა! ერთ მშვენიერ დღეს ეს მეჩონგურეც მივიდა ხელმწიფესთან და მზეთუნახავი სთხოვა. მასაც უკვდავების ვაშლის მოტანა დაავალეს.

მეჩონგურემ აიღო თავისი ჩონგური და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა. მიადგა ერთ უზარმაზარ ბაღს, რომელიც ისეთი მაღალი კედლით იყო შემოვლებული, რომ ჩიტიც ვერ გადააფრინდებოდა.

მეჩონგურემ დიდხანს უარა ბაღს, მაგრამ კარი ვერსად უპოვა. უელის ბაღს მეჩონგურე ირგვლივ, უკრავს ჩონგურს და მღერის ტკბილად. ამ სიმღერას ყურს უგდებს მთელი ქვეყანა. ტყემ შეაჩერა ფოთლების შრიალი და ტკბება სიმღერით, ცაში მონავარდე ფრინველები ბაღისაკენ მიფრინავენ, სხდებიან მახლობელ ხეებზე და ყურს უგდებენ მეჩონგურის ხმას. სიმღერამ დაატკბო ყველაფერი, თვით ქვის კედელიც კი.

უცებ მეჩონგურის წინ გაიხსნა სალი კლდის კედელი და გამოჩნდა ყვავილებით მოფენილი გზა. გზა პირდაპირ ბაღში მიდიოდა. მიჰყვება ამ ყვავილოვან გზას მეჩონგურე და თანაც მღერის თავის გულსაკლავ სიმღერას.

ის უკვდავების ვაშლის ხე, თურმე, ამ ბაღში იდგა და მას მცველად ჰყავდა გველეშაპი. ვინც ბაღს ახლო მიეკარებოდა, ცოცხლად ყლაპავდა. მოესმა უცხო ხმა, ახრიალდა, საზიზღარი პირი დააღო და დაიღმუვლა: ვინ არის ეს თავხედი, ვინ გაბედა ჩემს ბაღში შემოსვლაო. აქ ჩემი შიშით დაბლა ჭიანჭველები ვერ დადიან და ცაში ფრინველები ვერ დაფრინავენო!

მეჩონგურე უკრავს და მღერის თავის სიმღერას და თვალებიდან თქრიალით მოსდის მდუღარე ცრემლი, მღერის და თანაც ტირის. გველეშაპი ღრიალით გამოქანდა მეჩონგურისაკენ, საზარელი პირი დააღო, უნდა ჩაეყლაპა, მაგრამ უცებ შეჩერდა და ყური დაუგდო მას. ტკბილმა სიმღერამ გააბრუა გველეშაპი. დიდხანს უსმენდა გაჩუმებული. ვეღარ გაუძლო მისმა ბოროტმა გულმაც და გასისხლიანებული თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. აკანკალებული და აცრემლებული უცქეროდა საზიზღარი გველეშაპი მეჩონგურეს, რომელიც კიდევ უფრო მგრძნობიარე სიმღერებს მღეროდა.

ერთი კიდევ ჩამოჰკრა მეჩონგურემ და უცებ დაწყდა ჩონგურს ლარები. შეწყდა წკრიალა ხმებიც. თავდახრილი მეჩონგურე დგას პირდაღებული ურჩხულის წინაშე და გადმოსდის ცრემლი. თვალებდასისხლული გველეშაპი დუმს, მასაც თვალებში ცრემლები უჩანს და სიბრალულით შესცქერის მეჩონგურეს.

უცებ გველეშაპი გონს მოვიდა. ასწია თავი, მოწყვიტა უკვდავების ვაშლი და გაუწოდა მეჩონგურეს. მეჩონგურე შეკრთა, თვალებს არ უჯეროდა. გველეშაპმა უთხრა: წაიღე, ნუ მორცხვობ. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არა მსმენია, არავინ დამლაპარაკებია მაგნაირი ენით. წადი, წაიღე ეს ვაშლი და სიტყვას გაძლევ, დღეის იქით აღარ დავღვარო შენი მოდგმის სისხლი, რა ტკბილი ყოფილა ადამიანის ხმაო!

გახარებულმა მეჩონგურემ დაავლო ხელი უკვდავების ვაშლს და უკან გამობრუნდა.

ცეროდენა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლი და ქმარი.

ქმარს გუთანი ება და ხნავდა. ცოლმა სადილი წაუღო. ხურჯინი გადაიკიდა მხარზე. შიგ მჭადები ეწყო და ქილით მაწონი ედგა. ცოლი ორსულად იყო. შუა გზაზე რომ მივიდა, მუცლიდან დაუძახა ვაჟმა.

— დედი, მომეცი, მე ავიკიდებ ხურჯინსაო!

— სადა ხარ, შვილო, საიდან აგკიდოო? — უპასუხა დედამ.

— აი, დედილო, აქა ვარო, — მოესმა დედას დაბლა, მიწიდან. დაიხედა და ცერის ტოლა ვაჟი კი დაინახა. ხელები გაეშვირა და იდგა.

— მომეცი, დედი, მე წამოვიღებო! —არ ეშვებოდა ცეროდენა დედას.

მისცა დედამაც. აიკიდა ცეროდენამ ხურჯინი, მაგრამ რას წაიღებდა? ხურჯინი დააწვა ზევიდან, კინაღამ დაახრჩო. წავიდნენ დედა და შვილი მამასთან. გუთანი რომ დაინახა, ცეროდენამ დაუყვინა მამას.

— მამილო, შენ ჩამოდი, მე უნდა დავუჯდეო.

— შენ რა ხარ, შე პაწაწკინავ, — უთხრა მამამ, — შენ რა უღელზე დასაჯდომი ხარ, ხომ ჩამოვარდი და გაგჭყლიტეს ხარებმაო.

— არა, უნდა დავუჯდე და უნდა დავუჯდეო, — დაიყვინა ცეროდენამ. ჩამოვიდა მამა. ცეროდენა დაუჯდა, მაგრამ გადმოვარდა და კამეჩის პატიეში ჩავარდა.

ეძება მამამ, მაგრამ ვერ იპოვა და ვერა. დაიკარგა ჩვენი ცეროდენა. დაღონდა დედაც და მამაც.

ბედად ცა მოიღრუბლა, წარბი შეიკრა, შავი ღრუბლების ზეწარი გადაიბურა, დაიქუხა, დაიგრიალა, გააგრიალ-გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზე და კოკისპირულად დაუშვა წვიმა. წამოვიდა წყალი. კამეჩის პატივი გაშალა, გაფანტა და ჩვენი ცეროდენა უვნებლად კი ამოვიდა. გამოირეცხა პირი, ყურები და ისევ ის ბიჭი დადგა. ცოტათი შესცივდა. წამოვიდა და ვაზის ძირში ცეცხლი დაინთო, მიუჯდა გვერდზე და თბებოდა.

ერთიც ვნახოთ, მშიერი მგელი მოძუნძულდა, დაინახა ცეროდენა და ესიამოვნა: ერთი ლუკმა მაინც გამომივაო.

მივიდა ცეროდენასთან და უთხრა:

— რომ შეგჭამო, რას იზამო?

— ვერ შემჭამო, — უპასუხა ცეროდენამ გულადად. წამოხტა და მგელს წვეტიანი ჯოხით შეუტია. მგელმა პირი დააღო და გადაყლაპა ჩვენი ცეროდენა თავის ჯოხიანად. მგელს ძელების ხვრაში ერთი კბილი ჰქონდა ახლადმოტეხილი და საშინლად სტკიოდა. ჩაჯდა იმ ნაკბილარში

ცეროდენა და დაუწყო ჯოხით ჩხვლეტა. მგელს საშინლად ეტკინა და ღრიალი მორთო.

— გამოდიო! — შეეხვეწა ცეროდენას მგელი.

— ვერ გამოვალ, შენ გინდა კბილებში როგორმე მიგდო, — უპასუხა ცეროდენამ, — მე აქაც კარგა თბილად ვარო.

მგელს კბილი ძალიან ეწვოდა. შეჰფიცა ცეროდენას:

— ოღონდ გამოდი მანდედან და, პირიქით, ოქროსმატყლიან ერკემალსაც გაჩუქებო.

გამოვიდა ცეროდენა კბილიდან. მგელსაც დაუამდა ტკივილი, აჩუქა ერთი ოქროსმატყლიანი ერკემალი ცეროდენას და თვითონ თავის გზაზე გასწია.

ცეროდენა უდგას თავის ოქროსმატყლიან ერკემალს და აძოვებს, თან მღერის და უკრავს ჩალის სტვირსა.

ყაჩაღებმა ჩამოიარეს, საყდრის გატეხა უნდოდათ, მაგრამ რადგან საყდრის კარები შიგნიდან იყო დაკეტილი, ვერაფერი მოეხერხებინათ. ცეროდენა რომ დაინახეს, ძალიან გაუხარდათ.

— წამოდი, — უთხრეს ცეროდენას, — საყდარში გადაგსვამთ ფანჯრიდან, კარები გაგვიღე და, რასაც გამოვიტანთ, შენც გინაწილებთო.

— არა მცალია, ჩემს ერკემალს რაღა ვუყო, — უპასუხა ცეროდენამ, — მგელი შემიჭამს, მარტოკა რომ დავტოვოო.

ყაჩაღებმა არ დაიშალეს, ნახევარს მოგცემთო, უთხრეს და როგორც იყო, დაიყოლიეს, წაიყვანეს და გადასვეს ფანჯრიდან.

ცეროდენამ გაუღო კარები. როცა ყველაფერი გამოზიდეს, ცეროდენამ უთხრა ყაჩაღებს: მომეცით ჩემი ერკემალი და დაპირებული ნახევარიო.

ყაჩაღებმა ნახევარზედაც უარი უთხრეს და ერკემალიც წაართვეს. დარჩა ცარიელი ცეროდენა.

ცეროდენა მაშინვე სოფლისაკენ გაიქცა ყვირილით:

— მდევარი, მდევარი ჩქარა, ყაჩაღებმა საყდარი გაძარცვესო!

გამოეკიდა ხალხი ყაჩაღებს, დახოცეს, ის ოქროს ერკემალიც წაართვეს და ის ნაპარავი ნივთებიცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.



სამი და

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა; ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი.

იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ სამი ქალიშვილი. ძალიან ღარიბად იყვნენ. არაფერი ებადათ, მამული არა ჰქონდათ და დედული.

ერთხელ იმ კაცის ცოლი თაროს წმენდდა. თაროს წმენდის დროს პურის მარცვალი გადმოვარდა. წაიღეს ეს მარცვლები, გაჩიჩქნეს მიწა და დათესეს. ყანა მოვიდა ისეთი, რომ აკი თვალით არ შეეხედებოდა, ზღვასავით ღელავდა; თავთავისაგან მისხეპილი და მიწოლილი იყო. ცოლ-ქმარი სიხარულით ცას ეწეოდა.

აი, დამწიფდა მარცვალიც, შემოვიდა ყანა. ყველანი წავიდნენ მოსამკელად. მომკეს, შეკონეს და დადგეს უზარმაზარი ძნა.

მეორე დღეს მამამ გაგზავნა უფროსი ქალი ძნის სანახავად. მივიდა ქალი, შეხედა, ძნას ერთი უზარმაზარი გველეშაპი შემოხვეია, სულ შემოსწვდენია ამ ძნას და კუდი პირში უჭირავს. ქალს შიშით გული წაუვიდა, მოვიდა მამასთან, უთხრა, ასეა საქმეო.

მამამ ახლა შუათანა ქალი გაგზავნა:

— ჰკითხე, რა უნდა, რისთვის მოვიდაო. ქალი შიშით კინაღამ მოკვდა, ვერაფერიც ვერა ჰკითხა:

მერე უმცროსი ქალი გაგზავნა მამამ. ქალი მივიდა გველეშაპთან და ჰკითხა:

— რა გინდა, რისთვის მოსულხარ, შეგვატყობინეო!

გველეშაპმა უთხრა:

— წადი, მამაშენს უთხარი, ერთ-ერთი ქალი მომცეს ცოლადაო! ქალი წავიდა მამასთან და უთხრა გველეშაპის დანაბარები.

მამამ უფროს ქალს ჰკითხა:

— გაჰყვები თუ არა, შვილოო?

— აბა, მაშ! — უპასუხა უფროსმა ქალმა, — აღარაფერს დაეუკლებ, მე მაგას ცოლად გავყვეო!

შუათანამაც ასე თქვა. ჯერი უმცროსზე მიდგა. უმცროსმა ქალმა თქვა:

— გავყვებიო.

წამოიყვანა გველეშაპმა ეს ქალი და წამოვიდა. წინ გველეშაპი მიცურავს და უკან ქალი მისდევს. იმ სოფელს რომ გასცდნენ, გადიძრო გველეშაპმა ტყავი და ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდა, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა. ქალს ძალიან გაუხარდა.

ქმარმა უთხრა: ჩვენს ქვეყანაში ქაჯურად ლაპარაკობენ, ჩემმა დედამ რომ გითხრას, კოკა გატეხეო, კოკა უნდა მიუტანო; რომ გითხრას, წყალი

დააქციეო, წყალი უნდა მიუტანო; რომ გითხრას, თონე დაამტვრიეო, შენ თონე უნდა გაახურო; რომ გითხრას, სუფრა აალაგეო, შენ სუფრა გაშალე, რომ გითხრას, ჯამები დაამტვრიეო, შენ მოიტანეო. ასე დაარიგა ცოლი და წავიდნენ.

ქაჯების ქვეყანაში რომ მივიდნენ, დედამთილმა უთხრა ახალ რძალს, წყალი დააქციეო. რძალმა აიღო და მიუტანა. ყველაფერი ისე აასრულა, როგორც ქმარმა დაარიგა. ძალიან უკვირდა ყველას: ახალმოსულია და როგორ იცის აქაური რიგი და წესიო. ყველამ მოიწონა და შეიყვარა.

ქალი დაორსულდა. მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა, წინაწვევად მამის სახლში, სამშობლოში წაიყვანეს. დებს ძალიან შეშურდათ იმისი ბედი და ცხოვრება.

მოილოგინა ქალმა. ვაჟი ეყოლა. ქმარიც მოუვიდა. როცა წასვლა დააპირეს, უფროსმა დამ გაყოლა მოინდომა. უმცროსმა დამ უთხრა:

— ნუ წამოხვალ, ჩემი დედამთილი ბოროტია, არ მოგასვენებსო!

ქალმა არ დაიშალა და გაჰყვა.

გზაზე რომ მიდიან, ცოლისდამ უთხრა სიძეს:

— შენ წინ წადი და მოგეწევითო!

ვაჟი წავიდა და დები უკან მიდიან.

გზაზე ერთი მსხმოიარე ვაშლის ხე შეხვდათ. ძალიან მაღალი იყო და გლუვი, უტოტო. უფროსმა დამ უთხრა უმცროს დას:

— მოდი, დაო, ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი, შენი ტანისამოსი არ დაგეხიოს. მე გიზურგულებ, ადი ამ ვაშლზე, დაკრიფე, სანამ ჩამიხვალ, ბავშვს მე დავიჭერო!

რას იფიქრებდა საბრალო დედა! შვილი დას მისცა, იმან უზურგულა და ავიდა ვაშლზე. ქალმა აიყვანა ვაჟი ხელში და გზას გაუდგა. ტირის ბავშვი, ტირის, სულ მუშტისტოლა ცრემლებს აბნევს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს?

ზის ქალი ვაშლზე და ესმის შვილის ტირილი. ვერ გაძლო და დაუძახა დას:

დაო, დაო, ძუძუაღლო,
ნუ მიტირებ წულსა ყრმასა,
შემოიხვი ქანდარასა,
მოგიწოვებ პატარასა.

ამ ქალმა სიძე რომ დაინახა, დაუძახა:

— მოიცა, ადამიანო, რძე გამიშრა და ბავშვი მიტირისო!

დაუცადა კაცმაც. იმასაც თავისი ცოლი ჰგონია, რაკი ისე არის მორთული, როგორც მისი ცოლი. წამოვიდნენ შინ და წამოიყვანეს ვაჟიც.

— და რაღა უყავიო? — ჰკითხა გველეშაპმა.

— მე ვუთხარი, რომ ჩემს დედამთილს ვერ გაუძლებ-მეთქი და უკან დაბრუნდაო.

მივიდნენ სახლში. დედამთილი ეუბნება: ლიტრა გატეხეო. ისიც აიღებს, დასცხებს და ჩახ! ჯამები დაამტვრიეო! ისიც აიღებს, დასცხებს და ამტვრევს. თონე ჩაანგრიეო! აიღო ცული, დასცხო და ჩაანგრია. ყველამ ეჭვი შეიტანა, აქ რაღაც ამბავიაო!

რაკი რძე არა ჰქონდა, ერთი ძროხა ჰყავდათ და იმისი რძით დაუწყეს ბავშვს ზრდა, როდესაც ცოტა მოიზარდა, წაიყვანდა ხოლმე თავის ძროხას მინდორში და თვითონაც იქ ედგა და აძოვებდა.

დედა ვაშლზე რომ დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, რომ ცრემლად და სისხლად ჩამოიღვარა მიწაზე, სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი მოვიდა, როგორც ტყე. ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა.

ერთხელ ბიჭმა წაიყვანა ძროხა და იმ ვაშლთან მივიდა. მოსტეხა ერთი ლერწამი, ფრჩხილით გააკეთა სტვირი, დაუკრა და დაუკრა. სტვირი უკრავდა და თან იძახოდა:

სტვირო, სტვირო,
რასა ტირო?
მე დედაშენი ვშავდები,
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

სტვირი სულ ამას იძახდა. ვაჟმაც ჩაიკრა გულში სტვირი და აღარ იშორებდა. შინ რომ მოვიდა, მოიტანა. დაუკრა და სტვირმაც ისევე ის სიტყვები დაიძახა. ქალს გულზე ცეცხლი წაეკიდა. წაართვა სტვირი ბავშვს და დაუმტვრია, მაგრამ ნატეხი სტვირი ისევ უკრავდა და იძახოდა:

სტვირო, სტვირო,
რასა ტირო?
მე დედაშენი ვშავდები,
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

ქალმა გაიგონა კიდევ, წაართვა ნამტვრევებიც ბავშვს და თონეში ჩაყარა. ნამტვრევები რომ დაიწვა, ნაცრისაგან ქალის სახე გამოისახა და მიესვენა თონეზე, ბავშვიც იქვე იჯდა და ჩასტიროდა.

ჩაიხედა იმ ქალმაც და დაინახა თონეში დის სახე. გაცეცხლდა, გაბრაზდა, ამოაღებინა ნაცარი და ბანზე მოაყრევინა. იმ ადგილას მშვენიერი ალვის ხე ამოვიდა. ნახა გველეშაპმა, ძალიან გაუხარდა, აატანინა ლოგინი და იმის ძირში დაიდგა, ღამე რომ დაეძინებოდა, ჩამოხრიდა ალვის ხე ტოტებს და ჩაეკონებოდა მძინარე ქმარსა.

ქალი კი სიბოროტით კვდებოდა. მოიავადმყოფა თავი და უთხრა ქმარს:

— თუ მაგ ალვის ხეს მოჭრით, მაგის ვარცლს გააკეთებთ და შიგ იმ ვარცლში მაბანავებთ, ხომ კარგი, მოვრჩები, თუ არა და მოკვდებიო.

— ჯანდაბას შენი თავი, თუ მოკვდები, — უპასუხა ქმარმა, — მოკვდი და მომასვენეო!

გველეშაპი სანადიროდ წავიდა. ცოლმა მუშებს დაუძახა და მოაჭრევინა ალვის ხე, გააკეთებინა ვარცლი, მაგრამ არ გაიბანა კი: ავად არ იყო და რად გაიბანებოდა? მოვიდა ქმარი. ძალიან ეწყინა და გაჯავრდა, მაგრამ გაჯავრება რაღას უშველიდა.

იმ ალვის ხის ერთი ნაფოტი ერთი უშვილო ბებრის ბანზე დაეცა. იპოვა ბებერმა, შინ შეიტანა და სახაშეს დააფარა. ბებერი რომ სადმე წავა, ის ნაფოტი გადაიქცევა ქალად, დაგვის, დააკრიალებს იქაურობას, დარეცხავს

ჯამ-ჭურჭელს, დაალაგებს, ისევ ნაფოტად გადაიქცევა და ისევ, სახაშეს დაეფარება.

მოვა ბებერი, დაინახავს დაგვილ-დაწმენდილ სახლს, დარეცხილ-დასუფთავებულ ჭურჭელს, უკვირს. მიდის მეზობლებში და ზოგ ვის ეუბნება მადლობას და ზოგ ვისა.

— შენს სახლში ფეხიც არ შეგვიდგამს, არც დაგვიგვია და არც დაგვისუფთავებია, იქნება ვინ იყოს, კარებს უკან დაიმალე და ნახეო. — ეუბნებოდნენ მეზობლები.

ბებერი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უთხრეს. დაიმალა კარებს უკან და დაუწყო ცდა.

ნაფოტმა იფიქრა: ახლა კი წავიდა ბებერიო, იქცა ქალად და დაუწყო სახლს დაგვა და დაწმენდა. მიეპარა ბებერი, სწედა და დაიჭირა:

— ვაიმეო! — დაიწივლა ქალმა.

— ნუ გეშინია, შენ შვილი და მე დედა, — უთხრა ბებერმა, — ღმერთმა სხვა შვილი არ მომცა და შენ მაინც იყავი ჩემი ქალიშვილიო.

ქალსაც ძალიან გაუხარდა. ამას იქით ერთად იყვნენ და ცხოვრობდნენ ტკბილად.

ერთხელ ქალი შეეხვეწა ბებერს:

— შენი ჭირიმე, ჩემო დედავ, აქ რომ ვეშაპია, ის დავპატიჟოთ, იმის ცოლიცა და შვილიცაო.

ბებერმა ნება დართო, რატომ არა, შვილო, ვინც გინდა, მე რა წინააღმდეგი გაგიხდები, დავპატიჟოთ, თუკი ვინმე გესიამოვნებაო.

გამართა ქალმა სადილი და მიიპატიჟა თავისი ქმარი, შვილი და ის ბოროტი და.

სადილზე სადღეგრძელოები რომ ჩამოაყოლეს და ყველამ მიირთვა, ქალმა აიღო ჭიქა, დაასხა ღვინო და დაილოცა:

— გაცოცხლოს შენ, ჩემო ქმარო, შენც, ჩემო შვილო, და შენც, ჩემო დაო!

ქმარს აქამდისაც ეცნობოდა ეს ქალი, გულშიც შეუვარდა და ახლა კი დარწმუნდა, რომ მისი ცოლი ეს იყო.

ქალმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი. მოაბა ქმარმა ის მოღალატე და ცხენის ძუას და დააჩქლეთინა. თვითონ ისევ თავისი წინანდელი ცოლი შეირთო და ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამოძეხით,
საიქიოს — ცხონებითა.

ეშმაკის ლაგამი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საშინლად ძუნწი, მაგრამ ძალიან მდიდარი კაცი. აუარებელი ცხვარი და ძროხა ჰყავდა, შინაც სარჩო მრავალი ჰქონდა. ისეთი ძუნწი იყო, რომ სულ მშიერი და ტიტველი დადიოდა, არაფერს არ იცვამდა ტანზე, ცოლ-შვილსაც შიმშილით ხოცავდა. მწყემსებს არ იჭერდა: დაკლავენ და შეჭამენ რასმეო, თვითონ მწყემსავდა.

არც თვითონა ჭამდა და არც სხვებს აჭმევდა, არც მეზობლისა და არც სტუმრისა შინ შეყვანა არ იცოდა.

ერთხელ ეს ძუნწი კაცი მინდორში ცხვრებს მიერეკებოდა, შეხედა, მგელს ერთი უსახელო, ეშმაკის პატარა შვილი, უჭირავს პირში და მიარბენინებს. მეცხვარემ მოიგლიჯა თოფი, გადაურბინა მგელს წინ, ესროლა და გააგდებინა. მერე მივიდა და თან წამოიყვანა.

უსახელომ უთხრა:

— რაკი გადამარჩინე, ჩემ დედ-მამასთან თუ არ წაგიყვანე, არ იქნება; ისინი გადაგიხდიან ჩემს მაგიერ სიკეთესაო.

აღარ მოეშვა უსახელო ამ ძუნწსა. დაუყენა ძუნწმა ცხვარს კაცი და გაჰყვა. უსახელომ ისეთ ღადაღუდაზე ატარა, ისეთ კლდეებზე მიჰყავს, რომ ეს ძუნწი ძლივსღა მიათრევს ფეხებს.

იარეს და იარეს ამ კლდეებზე. უსკდება გული ძუნწსა. ფიქრობს: ვაითუ ამ ეშმაკმა გამიტყუოს და გადამჩეხოსო.

უსახელომ უთხრა:

— ჩემს დედ-მამას დიდი სარჩო აქვს, ბევრ ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევენო და არ აიღო. შენ უთხარი: ჩემი ქონება მომეციით-თქო.

მივიდნენ ეშმაკის სახლში. უამბო პატარა ეშმაკმა, როგორ გამოსტაცა ამ მეცხვარემ მგელსა. ეშმაკებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ძუნწი, შეიყვანეს სულ ოქროთი და ვერცხლით სავსე ოთახში.

— აი, შვილო, წაიღე რამდენიც გინდა, აკრიფე, გუდაში ჩაიყარეო! — უთხრეს ძუნწ მდიდარს პატარა ეშმაკის მშობლებმა.

მისდის სული ძუნწსა, უნდა აკრიფოს ეს ოქრო-ვერცხლი, გაივსოს გუდა და წაიღოს, მაგრამ პატარა ეშმაკი თვალს უშვრება.

— აკრიფე ოქრო და ვერცხლი, რამდენიც გინდაო! — ეუბნებიან ეშმაკის მშობლები.

ძუნწი ხმას არ იღებს.

— წაიღე ოქრო-ვერცხლი რამდენიც გინდაო! — ეუბნებიან. ის კიდევ ჩუმად არის, არ იღებს ხმას.

— მაშ, რას ითხოვ, რა მოგცეთ, გვითხარ და აგისრულებთ. შენთვის არაფერს დავიშურებთო!

— ჩემი ქონება მომეციოთ! — უთხრა ძუნწმა.

Prometheus Bound

ეშმაკებს როგორღაც ემძიმათ ძუნწის სათხოვარი. შეყოყმანდნენ, მაგრამ მერმე მივიდნენ ძუნწთან და ქისტი წაჰკრეს კისერში. ამ ძუნწს პირიდან ლაგამი კი წავარდა. დაავლო ლაგამს ხელი ეშმაკმა და შეინახა.

ეს ძუნწი თითქოს ახლა გამოერკვაო, მიიხედ-მოიხედა: სადა ვარ, აქ რას ვაკეთებ, ვინ მომიყვანა ამ სახლშიო.

დაიხედა ტანზე. ხედავს, თითქმის ტიტველია, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილია, თავი შეზიზღდა. ფეხაკრეფით გამოსწია. მოდის გზაზე და ფიქრობს თავის თავზე. მოაგონდა მაშინ, ცოლ-შვილიც მშიერ-ტიტველი და საცოდავები რომ ჰყავდა, დანანდა, გაუჯავრდა თავის თავსა. ახლა სულ თვალწინ წარმოუდგა, რაც თავისი სიძუნწით გაჭირვება და სიხარბე გასწია.

მოვიდა ცხვარში. უბრძანა ბიჭს, დაეკლა ერთი კარგი ჭედილა, გაგზავნა შინ საკლავი. ცოლს შეუთვალა: ტანისამოსი გამომიგზავნეო. იყიდა ყველაფერი ცოლ-შვილისათვის და გაგზავნა. სანამ ტანისამოსი არ მოუვიდა, თვითონ შინ ვერ წავიდა, რცხვენოდა.

უხარია ცოლ-შვილს, ეს რა ხასიათი შესცვლია ამ კაცსო.

ამრიგად, მისი ქონება ეშმაკებს აღარ დარჩა და თვითონვე მოიხმარა.

ღღისით მკვდარი

იყო ერთი სოფდაგარი. ჰყავდა სამი ქალიშვილი.

ერთხელ სავაჭროდ მიდიოდა, თავისი ქალიშვილები მოიხმო და ჰკითხა:

— უცხო მხარეს მივდივარ და რა მოგიტანოთო?

უფროსმა უთხრა:

— ისეთი კაბა მომიტანე, მისით ჩამეცმებოდეს და მისით გამეხდებოდესო.

შუათანამ უთხრა:

— ისეთი სარკე მომიტანე, რომ ყველაფერი დამანახოს, რაც დედამიწის ზურგზე და მაღლა ცაში ხდებაო.

უმცროსს უთხრა:

— შენ რაღა მოგიტანოო?

უმცროსმა უთხრა:

— მოვიფიქრებ და გეტყვიო.

ქალს ერთი ძალიან ჭკვიანი ძიძა ჰყავდა და იმას ჰკითხა:

— მამა უცხო მხარეს მიდის და რა დავაბარო, რა მომიტანოს, შენ მასწავლეო!

ძიძამ უთხრა:

—ისეთი ვაშლი მოგიტანოს, რომ ნატვრას გისრულებდესო.

წავიდა ქალი და მამას დააბარა:

— ისეთი ვაშლი მიყიდე, გაჭრა, ისევ გამთელდეს, გაჭრილი შეეჭამო და მეფის დედა გაუხდეო.

— კარგიო, — უპასუხა მამამ და წავიდა. დაბრუნდა ერთი წლის შემდეგ-უფროსებს მოუტანა, რაც დაბარეს, უმცროსს უთხრა:

— შენ რაც დამბარე, ვერ ვიშოვე. აღმოსავლეთით ყოფილა ერთი ბაღი, გველების ღობე ჰქონია, მცველად პირდაღებული ვეშაპები ჰყოლია და ის ვაშლიც იქა მდგარა. იმ ბაღს ჯერ ადამიანის ძე არ მიჰკარებია და აბა, მე როგორ მოგიტანდიო!

დაღონდა ქალი, ტირილი დაიწყო. მივიდა ძიძა და ჰკითხა:

— რად ტირი, გენაცვალეო?

— ასეა ჩემი საქმე, მამას ის ვაშლი ვერ უშოვია, ჩემი დების დებარებული საჩუქრები კი მოუტანიაო.

ძიძამ ანუგეშა: თუ მარჯვედ მოიქცევი, შენ თვითონ იშოვი მაგ ვაშლსაო. წადი აღმოსავლეთისაკენ, ერთ ტრიალ მინდორში თვალს მოჰკრავ პატარა ბაღსა. ეს არის სწორედ ის ბაღი, გველების ღობე რომ ავლია და ორი პირდაღებული ვეშაპი შესასვლელთან რომ უწევსო. ბაღში ერთადერთი ის ხე დგას. ესენი იმ ხესა და ნაყოფს დარაჯობენო. შუადღეზე, მზე მაღლა რომ აიწევა და სიცხე ჩამოაჭერს, მაშინ გველებსა და ვეშაპებს ეძინებათო. სწორედ ის დრო შეარჩიე, შევარდი, მოწყვიტე ერთი ვაშლი და უკან არ მიიხედო, ისე გამოიქეცი.

წავიდა ქალი. იარა ერთი დღე, მეორე, მესამე, ერთი თვე. მიაღწია, როგორც იყო, იმ მინდორს. გაიხედ-გამოიხედა, დაინახა საკვირველება: ერთ ალაგას მრგვალად არის მოვლებული გველების ღობე. შესასვლელთან პირდაღებული გველეშაპები წვანან. შიგნით ერთადერთი ვერცხლის ხე დგას, ზურმუხტის ფოთლები ასხია, მსხვილ-მსხვილი ვაშლები აბია: ერთ მხარეს ლალის ფერის, მეორე მხარეს ალმასის ფერისა.

ამის დანახვაზე ქალმა კინაღამ ჭკუა დაკარგა. გადაწყვიტა: ან ამ ქვემძრომების ლუკმა უნდა გავხდე, ანდა ეს ვაშლი უნდა დავკრიფოო, შუადღისას მივიდა ახლოს. გაიხედა, მართლაც, სძინავთ გველეშაპებს, დაუდვიათ მიწაზე თავი და ხვრინავენ. ქალმა ისკუპა და შევარდა ბაღში. მოწყვიტა ერთი ვაშლი და გამოიქცა უკან. მორბის და მოაქვს ვაშლი. უხარია, მაგრამ რაღაც ხმაურობა ესმის: აშლილა მთელი გველეთი, გველეშაპები წივილ-კივილითა და ყვირილით მოსდევენ ქალსა. მოიხედა უკან, რაღა ქნას! მირბის, ღონე ელევა. უკან მისდევს აუარება ქვემძრომი. რაღაც ხმა გაიგონა: გადაუგდე ვაშლი, თუ არა, დაიღუპებიო.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ქალმა გადაუგდო ვაშლი და გრძნობამიხდილი იქვე დაეცა. ცოტა ხანს მერმე გონს მოვიდა, ადგა. გაიხედ-გამოიხედა, არაფერი არა ჩანს, არც ვაშლია, არც გველეშაპები და გველები მისდევენ. დგას ერთ მინდორში, უნდა დაბრუნდეს შინ, მაგრამ გზა დაეკარგა, საით წავიდეს, არ იცის. დაადგა გზას და მიდის. სად მიდის, თვითონაც არ იცის.

გაიხედა, თვალი მოჰკრა პატარა საყდარს. მიადგა კარს. კარი დაკეტილია შიგნიდან. არც საჭმელი, არც არაფერი. შემოუარა გარს: უნდა თავი შეაფაროს. ტირის, დაჯდა იქვე. რომ დაღამდა, როდესაც ხმაური გაიგონა შიგნიდან. შეეშინდა და იქვე დაიმალა. უცებ გაიღო კარი. ერთი ახალგაზ-

რდა ვაჟი გამოვიდა საყდრიდან და ბნელაში მიიმალა. კარი ღია დარჩა. ქალი შიგ შეეიდა და ნახა: ერთ კუთხეში კუბო დგას, მეორეში — ლოგინი. ლოგინის წინ სუფრაა გაშლილი პურ-ღვინით. ქალს ძილიან ჰშია. უნდა პური მოტეხოს, მაგრამ ამ დროს ფეხის ხმა გაიგონა. ლოგინქვეშ შეძვრა. შემოვიდა ვაჟი. გაიარ-გამოიარა, პირი დაიბანა. დაჯდა და პურის ჭამას შეუდგა. ჭამს ბიჭი პურსა.

გათენებამ მოაღწია თუ არა, ვაჟმა ახადა კუბოს თავი და შიგ ჩაწვა.

ქალი გამოვიდა სარდაფიდან. მივიდა კუბოსთან. უნდა ამ ბიჭს პური სთხოვოს. ნახა, რომ ვაჟი უკვე მკვდარია. ქალს შეეშინდა, მივიდა სუფრასთან და იფიქრა: მე თვითონ მოვტეხ პურსა და ვჭამო. ყველაფერი ხელუხლებელივით დახვდა. გაუკვირდა ძილიან: ეს კაცი წუხელ პურსა ჭამდა და სუფრა კიდევ სავსეაო. ქალმა ვერ გაბედა პურის ჭამა. ჰშია, მაგრამ არ ახლო ხელი არაფერს.

გააღო კარი და გამოვიდა გარეთ. უნდა წასვლა, მაგრამ სად წავიდეს. ვერაფერს ხედავს, არც გზა არის, არც არაფერი.

იხეტიალა ცოტა ხანს. საღამოს ჟამს ისევ ამ საყდარში შევიდა.

მზე რომ ჩავიდა, სინათლე თავისთავად აინთო საყდარში. მიიხედა, კუბოდან კიდევ რაღაცა ხმაური გაიგონა. შეეშინდა, ისევ იმ ლოგინქვეშ შეძვრა და დაიმალა. გამოიჭყიტა და ხედავს, კუბოდან მშვენიერი ვაჟი ამოძვრა, გაიზმორა, გაიარ-გამოიარა, პირი დაიბანა, მივიდა სუფრასთან, დაჯდა, აიღო პური და ჭამას შეუდგა. პურის ნამცეცები სუფრის წინ ცვივა. ქალმა ხელი გამოჰყო, პაწაწინა ნამცეცები პირში ჩაიდო და სული მოითქვა.

გათენებამ მოაწია თუ არა, ვაჟი ისევ ჩაწვა კუბოში. ქალი არ შეუმჩნევია.

მეორე დილას ქალი გამოვიდა ლოგინქვეშიდან. ახლა კი ვეღარ მოითმინა, შიმშილისაგან დასუსტდა, მივიდა სუფრასთან, ნახა, ყველაფერი ისევ ხელუხლებელია. გაბედა, როგორც იყო, პური და ხორცი მოჭრა და შეჭამა, ერთი ჭიქა ღვინოც დაისხა და დალია.

ამასობაში დაღამდა. კვლავ შეძვრა ლოგინქვეშ. ვაჟიც ადგა კუბოდან ცოტა ხნის მერმე და მიუჯდა სუფრას. დახედა პურს თუ არა, ზეზე წამოვარდა: ეს რა ამბავია ჩემს თავსაო! ოცდაათი წლის განმავლობაში თაგვი რა არის, ისიც არ მინახავს ამ საყდარშიო.

ერთი მოზრდილი პურის ნაჭერი ისროლა. ქალმა გამოყო ხელი და წაეტანა. ვაჟმა სტაცა ხელში ხელი და გამოათრია. შეხედა, რას ხედავს, მშვენიერი ქალია!

მოეწონა ძალიან. უამბეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი. ქალმა ვაჟს ჰკითხა:

— რა არის, რომ დღისით მკვდარი ხარ და ღამით ცოცხალიო?

ვაჟმა უამბო:

— მე ვარ ერთი სოფლის ბატონიშვილი. ნადირობა მიყვარდა ძალიან. ერთხელ სანადიროდ წავედი. ერთ ირემს გამოვეკიდე. ირემი თვალიდან არ მეკარგებოდა, დღე და ღამ მივდევდი. ერთ მაღალ მთაზე ავიდა და იქ გაქრა. მთაზე რომ ავდიოდი, მზის ცხრა თვალი დაჰყურებდა დედამიწას და არემარეს წვავდა. მეც, სიცხისაგან შეწუხებულმა, მზეს მშვილდ-ისარი

ვესროლე. მოხვდა თვალში და ცალი თვალი წაუხდინა. იმის მერმე ქვეყნის ნახევარი სულ ბნელშია გახვეულიო. ამისთვის ღმერთმა დამსაჯა: დღე მკვდარი ვარ და ღამე ცოცხალიო. ნათესავებთან ცხოვრება არ შემიძლია, დედ-მამამ ამ მინდორში ამიშენა საყდარი. აქ დაასვენეს ჩემი კუბო და ასე ვცხოვრობ მერმე. დღეში ერთი პური, ერთი ცხვრის გავა და ერთი დოქი ღვინო მეძლევა. გადმოვასხამ, ღვინოს იმდენივე ემატება, მოვჭრი ხორცსა — ხორცი მთელდება, მოვჭრი პურსა — პური მთელდებაო... აი, შენ რომ პური მოგიჭრია, ხომ ხედავ, ემჩნევა, არ გამთელებულა! ახლა არ ვიცი, შენ რა უნდა გაჭამოო?

ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ვაჟი გაქრებოდა ღამის სიბნელეში, მოჰქონდა პურის ნატეხები. ხან თვითონ მშიერი რჩებოდა და იმ ქალს აძლევდა თავის ულუფას.

ასე შეინახა ვაჟმა ქალი ექვს თვეს. ქალს დაეტყო ორსულობა. ვაჟმა უთხრა:

— შენი აქ ყოფნა შეუძლებელია. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ აქ ვერ შეგინახავ, უნდა წახვიდეო!

ქალმა ტირილით უთხრა:

— მე შენ თავს ვერ დაგანებებო.

ვაჟმა არ უსმინა. ამოიღო გორგალი, ძაფის ბოლო ხელში მისცა, გორგალი გააგორა მინდორში და უთხრა:

— მიყევი მაგ გორგალს და ჩემს მშობლებთან მიგიყვანსო. მშობლებს არაფერი უთხრა, ბავშვი გეყოლება, ბავშვს იქვე დატოვებ და ისევ ჩემთან გამოიქცევიო.

გადაეხვია ქალს, აკოცა და გაისტუმრა.

წავიდა ქალი, მიჰყვება გორგალს. იგორა გორგალმა და ერთი ციხე-დარბაზის წინ გაჩერდა. ქალიც იქვე ჩამოჯდა. ნახეს მოსამსახურეებმა, ჯერ არ შეუშვეს სახლში, მაგრამ მერმე სახლის პატრონმა მოჰკრა თვალი, შეეცოდა ორსული ქალი და შინ შეუშვა. ცხოვრობდა იქ. ერთ დღეს ეყოლა მშვენიერი ვაჟიშვილი.

კუთხეში აგდია საწყალი, ჩალა უგია და კონკები ახურავს.

ღამღამობით ვიღაცა მოდის ამ ქალთან და გარედან უძახის:

— სულო ჩემო, როგორ შენ და როგორ ჩემი ძეო?

— ჩალაზე ვწევართ მე და შენი ძე, კონკები გვახურავს, პურის ქერქი გვიყრია, იმის დასალბობად ერთი კათხა წყალი გვიდგასო.

კაცმა ჩაილაპარაკა: ვაი დედასა ჩემსა! ვაი მამასა ჩემსა! ვაი უფრო გადიასაო!

ეს გაიგონეს მოსამსახურეებმა. წავიდნენ და ბატონს უთხრეს:

— ვიღაც კაცი მოდის ღამით და ამისთანა სიტყვებს ეძახის იმ ქალს, ჩვენ რომ აქ გვყავს სამადლოდაო.

ერთ ღამეს თვითონ ოჯახის პატრონები ჩამოვიდნენ ძირს და დაიმალნენ კუთხეში. ღამით ისევ მოვიდა ეს კაცი და დაიძახა:

— სულო ჩემო, როგორ შენ და როგორ ჩემი ძეო?

იმ ქალმაც დაუძახა:

— ჩალაზე ვწევართ მე და შენი ძე, კონკები გვახურავს, გამხმარი პურის ქერქები წინ გვიყრია, იმის დასალბობად ერთი კათხა წყალი გვიდგასო.

კაცმა გარედან დაუძახა:

— ვაი დედასა ჩემსა! ვაი მამასა ჩემსა! ვაი უფრო გადიასაო! — და გაქრა ღამის სიბნელეში. გამოცვივდნენ გარეთ, მაგრამ ვერაფერი დაინახეს.

ქალს გამოჰკითხეს:

— ვინ არის, რომ გელაპარაკებაო?

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი. ვაჟის დედ-მამას ეჭვი დაებადა: ეს უთუოდ ჩვენი შვილი იქნებაო.

ქალი დააწვინეს მშვენიერ ოთახში და მომვლელები დააყენეს თავზე.

— ის ვაჟი რომ მოვიდეს, აქ შემოიხმე და არ გაუშვა, გვაჩვენეო.

იმ ღამეს არაფერი. მეორე ღამეს მოვიდა კარს უკანა და დაიძახა:

— სულო ჩემო, როგორ შენ და როგორ ჩემი ძეო?

ქალმა რა გაიგონა, აქედან ხმა მისცა:

— შემოდი ოთახშიო!

იმან უთხრა:

— მე შემოსვლა არ შემიძლია. ის კი არა, აქ მოსვლის უფლებაც არა მაქვსო. მითხარი, როგორ ხართო?

ქალი არ მოუშვა:

— არ გეტყვი, შენი თვალითა ნახეო!

კაცმა ვერ გაუძლო ქალის მუდარას. შევიდა. ბავშვს დაუწყო კოცნა, ქალსაც გადაეხვია. კარის უკან დედ-მამა იყო ჩასაფრებული. შემოცვივდნენ მაშინვე, შემოეხვიენენ ვაჟს, იცნეს შვილი, დაუწყეს კოცნა. დედ-მამა ტიროდა. არ უშვებდნენ: ჩვენთან დარჩიო, ეუბნებოდნენ.

ვაჟი არ ნებდებოდა: საცა არის, გათენდება, უნდა წავიდე, თუ არა, აქ მოვკვდებიო.

ამასობაში მამალმაც იყივლა. უკვე თენდებოდა. ვაჟს მუხლები მოეკვეთა და მკვდარი დაეცა.

შეიქნა წივილ-კივილი. დედ-მამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ამ დროს ქალი წამოვარდა: მე უნდა ვიშოვნო ამის მოსარჩენი წამალიო.

ადგა და წავიდა. დედ-მამამ მოსამსახურეები გააყოლა — ოთხი კაცი.

ქალი ფიქრობს: უნდა წავიდე მზესთან და იმან უნდა მომცეს მაგის მოსარჩენი წამალიო.

მიდის ქალი. მიჰყვებიან კაცები. თვეობით მიდიან, წლობით მიდიან. მოსამსახურეები გზაში დაეხოცნენ. თვითონ ტანისამოსი დაეხა, დაგლახაკდა. მობრუნების იმედი არა აქვს. გადაწყვიტა, ცოცხალი არ დაბრუნდებიო. მზის ქვეყანას უნდა მიაღწიოს. მზეს უნდა გამოსთხოვოს ვაჟის მოსარჩენი წამალი.

მივიდა მზის სასახლეში, სული ძლივს მიიტანა.

მზე შინ არ იყო. მზის დედას გაუკვირდა:

— აქ ჩემი შვილის შიშით ადამიანი არ მოსულა, ყოველივე სულდგმულს წვავს მისი სიახლოვე, შენ როგორღა გაბედე მოსვლაო?

— მე არ მეშინია, — უთხრა ქალმა, — სათხოვარი მაქვს მზესთანო. მოუყვა თავის თავგადასავალს. სთხოვა, მზე მაჩვენეო. მზის დედამ უთხრა:

— მზის ნახვა არ იქნება, სიახლოვეს ყველაფერს დაწვავს, შენს გაჭირვებას მე მოვახსენებო.

ლელისთვის შეკვლეული

მზის დედას ქალი შეეცოდა, რადგანაც თვითონაც დედამიწის შვილი იყო. ქალი დაბანა, ჩააცვა, აჭამა და დამალა.

საღამო ჟამს მოვიდა მზე თავისი ცეცხლისმფრქეველი თვალებით. დაიძახა მაშინვე:

—ადამიანის სუნი მეცაო!

დედამ უთხრა:

— არაფერია, შვილო, დღეს ტანისამოსი გამოვიცვალე. ტანი დავიბანე, მე ხომ ადამიანი ვარ, ჩემი სუნი იქნებაო.

ამ სიტყვებმა ნათქვამი გადააკეთყა შვილსა. დასხდნენ. ვახშამი მოუტანა დედამ და თანაც სიტყვა შეაპარა:

— მოგიკვდეს, შვილო, დედა! ეგ მეცხრე თვალიც რომ გქონოდა, რა ლამაზი იქნებოდი! მოუკვდეს იმას თავი, ვინც ის თვალი წამოგთხარა! მაშინვე იქ რატომ არ დაწვიო.

— არა, დედი, იმას ეყოფა სატანჯველი: დღისით მკვდარია და ღამით ცოცხალიო! ოცდაათი წელიწადია ადამიანი არ უნახავსო.

— უი, შვილო, ნამეტანი მოგსვლია მაგის დატანჯვაო! — უთხრა დედამ.

— აბა, დედი, ამისთანა საქმე დამემართა, ამდენი ხანია მარტოდმარტოა, ტრიალ მინდორში დგას ერთი საყდარი, იქ კუბოში ასვენია დღისით, ღამე გაიღვიძებს, გაივლ-გამოივლის, დილას ისევ მოკვდებაო.

დედამ წუწუნი დაიწყო:

— უი, შვილო, დიდად დაგიტანჯავსო!

— მეც მეცოდება, მაგრამ შველაც არ შემიძლიაო.

— ნუთუ იმისი მოსარჩენი წამალი არ იქნება ქვეყანაზეო? — უთხრა დედამ, — კმარა სატანჯველიო.

— წამალი როგორ არ არის, მაგრამ ვინ მიუტანსო!

— რა არის, მაინცაო? — ჰკითხა დედამ.

— ერთი წვეთი ჩემი პირის ნაბანი წყლის წასმა და მისი მორჩენა ერთი იქნებაო.

მეორე დღეს დედამ წყალი მიუტანა მზესა. მზემ პირი დაიბანა, რაღაც ეჭვი აიღო და დედას უთხრა:

— ეს წყალი გადაღვარეო!

დედამ წყალი გადაღვარა, ცოტა კი მაინც ჩატოვა.

მზე ადგა და წავიდა. დედამ ქალი გამოიყვანა. ეს წყალი სურაში ჩაუსხა, საგზალი გაატანა და გაუშვა.

— გზაში თუ ვისმე მკვდარი ნახო, ყველას წაუსვი და გააცოცხლეო. — დაბარა.

წავიდა ქალი. მიფრინავს ჩიტივით. თოვლში ჩამხრჩვალ ხალხს ხედავს. მივა, წაუსვამს ამ წყალსა და ყველას აცოცხლებს, გააცოცხლა თავისი მოსამსახურეებიც.

ერთი წლის მერმე შინ მოაღწია. ყველას გაუხარდა მისი მოსვლა, მით უმეტეს, წამალი მოჰქონდა ქმრის მოსარჩენად. წაუსვა და გააცოცხლა. იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე

ერთ სოვდაგარს მუდამ წელიწადს მოჯამაგირე ჰყავდა. წელიწადში სამ თუმანს უხდიდა.

ერთ წელიწადს ერთი საწყალი გლეხი დაუდგა მოჯამაგირედ. წლის ბოლოს სამი თუმანი დაუწყო წინ და უთხრა:

— ეს სამი თუმანი გირჩევნია, თუ სამი სიტყვაო?

გლეხმა იფიქრა: მაინც ღარიბი ვარ და ღარიბი, სამი თუმანი ხომ ვერ გამამდიდრებსო, მოდი, ამ სამ თუმანს დავანებებ და სამი სიტყვა მითხრასო.

სოვდაგარმა ეს სამი თუმანი მაშინვე ჩაიკეცა ჯიბეში და უთხრა სამი სიტყვა:

— ერთი — აქედან რომ წახვალ, რაც შენმა თვალებმა მოიწონოს, უბრალო კენჭიც კი, აიღე და შინ წაიღე; მეორე — რასაც ვერ შესწვდე, არ წაეპოტინო; მესამე — შენი გულის პასუხი, ცოლი რა არის, იმასაც კი არ უთხრაო!

გლეხი ადგა და წავიდა. "ვაი, სამო თუმანო, აბა, რად მინდოდა სამი სიტყვა, სამი თუმანი ჩემს გაჭირვებულ ცოლ-შვილს ცოტა რამეს უშველიდაო, დარდობდა გზაში. მოდის დაფიქრებული.

ერთ ჭრელ გველს ტყავი გაუხდია და გზაზე გდია. მოეწონა. მოაგონდა სოვდაგრის სიტყვა, აიღო და ჯიბეში ჩაიდო. ეზოში რომ შევიდა, გველის ტყავის გადაგდება უნდოდა, მაგრამ შეეშინდა: არაფერი აკნოს ვისმესო და დიდი ქვის ქვეშ შედო. შევიდა შინ, დაწვა და დასაძინებლად მოემზადა. ცოლმა ჰკითხა:

— რა ქენი, კაცო?

— დამაცა, გათენდეს, ხვალ გეტყვი!

გათენდა მშვიდობის დილა. ქალი გარეთ გამოვიდა, შეხედა, ეზოში ერთი ძალიან დიდი ალვის ხე ამოსულა. ცაში აქვს წვერი. შევარდა შინ და ქმარს უთხრა:

— კაცო, ეს ალვის ხე შენ ხომ არ მოგიტანია, გუშინ არ იყო, დღეს საიდან გაჩნდაო?

გლეხმა შეხედა თუ არა თქვა: ერთი თუმანი უკვე გავინაღდეო! ახლა მთელი სოფელი ალაპარაკდა: საიდან და როგორ ამოვიდა ამოდენა ალვის ხეო! გლეხმა ხალხს უთხრა:

— თუ ძალიან გინდათ გაგება, მე ვიცი, რაზეც არის ამოსული ეს ალვის ხე, დავნაძლევდეთ და თუ ვინმემ გაიგოს, თავი მომჭერით, თუ არადა, სანაძლეო დააწყვეთო!

დღესა, ხვალა, ზეგა ამ კაცმა გაიმარჯვა სანაძლეოებით. საქმე წინ მიდის. მოდის და მოდის სანაძლეო. ერთ დღეს ვიღაც ვაჭარმა ჩამოიარა. ყრილობა რომ დაინახა, იკითხა:

— ეგ ხალხი რად მოგროვილაო?

— აგერ, ეს ალვის ხე ერთ ღამეს ამოვიდა და ამხელა გაიზარდა: პატრონმა იცის რაზეა ამოსული და სანაძლეოებს იგებსო — უპასუხეს.

ვაჭარმა თქვა: ამ საქმეს თუ გავიგებ მხოლოდ ქალისაგან, თორემ ქმარი არ იტყვისო!

ერთ დილით ადრე ჩამოიარა. გლეხის კარზე ჯერ არავინ მოსულიყო. აიღო ათი მეტრი ჩითი და გადაუგდო. მეორე დილასაც ადრე ჩამოიარა და ათი მეტრი აბრეშუმი გადაუგდო. მესამე დილას საკაბე გადაუგდო. ახლა ქალმა დაუძახა:

— აქეთ გამოიარე, რატომ ყრი მაგ ფართალს, გუნებაში რა გაქვსო?

— რამდენი წელიწადია, მიყვარხარ, პირში ვერ გიბედავ და ასე შორიდან მინდა, რამე გასარგებლოო! — უპასუხა ვაჭარმა.

ქალმა იფიქრა: თუკი ამ ვაჭარს ვუყვარვარ, მეც ის მიყვარსო! გამოუტყდა სიყვარულში. ვაჭარმა დაიწყო ქალთან სიარული. გავიდა დღე, თვე, წელიწადი. ერთხელ ქალს უთხრა:

— ნუთუ არ იცი, ეს ხე რაზეა ამოსული?

— არ ვიცი და არც მიკითხავს!

— აბა, საღამოზე შეეკითხე ქმარს და სინამდვილე გაიგე!

მოვიდა საღამოს ქმარი და ცოლმა ჰკითხა:

— რა კარგია, მეც ვიცოდე, ეს ხე რაზეა ამოსული, განა არ მეტყვი?

— აბა, რად გინდა?

— როგორ არ მინდა, დღეს დიდი სანაძლეო დავკარგე, შენ შინ არ იყავი, მსურველები კი უკან წავიდნენ. რომ მცოდნოდა, მეც მოვიგებდი სანაძლეოს!

— არა უშავს რა, რასაც მე ვლებულობ, საკმარისია! — უთხრა ქმარმა.

ცოლი კიდევ შეუჩნდა, ჩააცივდა, დღე და ღამე მოსვენება არ მისცა, უნდა მითხრა და უნდა მითხრაო!

— კარგი, ხვალ გეტყვიო, — უთხრა გაბეზრებულმა ქმარმა, — ოღონდ არავინ გაიგოსო!

ქალმა მეორე დღეს გააფრთხილა ვაჭარი: კარებთან დაწექი, ჩუმად მოისმინე, რასაც ქმარი მეტყვისო. ვაჭარი ღამით მიიპარა კარებთან და ყური დაუგდო ცოლ-ქმრის საუბარს. შუაღამეა და ქმარი ჩუმად ეუბნება:

— არავინ გაგვიგოს კია და ეს ალვის ხე გველის ტყავზეა ამოსულიო!

— რაო, გველის ტყავზეო? — წამოიძახა ქალმა ხმამაღლა; რა არის, კარებში რომ ვაჭარი წევს, იმას გააგონოს.

ვაჭარმა გაიგონა ყველაფერი, წავიდა და ტკბილად დაიძინა. გათენდა დილა და ჯორ-აქლემით მიადგა გლეხს კარზე.

— აბა, სანაძლეო დავდოთ, გამოდი გარეთ! — დაუძახა გლეხს, — მე ვიცი, ეს ხე რაზეც არის ამოსული. თუ გამოვიცნო, სამ რამეს დავადებ შენს ოჯახში ხელს და მომეცი, თუ ვერ გამოვიცნო, სამ რამეს, რასაც შენ დაადებ ჩემს სახლში ხელს, მოგართმევო!

დანაძლევდნენ. ვაჭარმა უთხრა:

— ეგ ალვის ხე გველის ტყავზეა ამოსულიო!

— მართალია, ნამდვილად გველის ტყავზეა ამოსულიო! — უპასუხა გაკვირვებულმა გლეხმა.

მართლაც, მოჭრეს ალვის ხე, ნახეს, გველის ტყავზეა ამოსული. წააგო სანაძლეო! ბოლოს, ვაჭარს სთხოვა: სანაძლეო მოიგე, მაგრამ მომეცი ერთი დღე-ღამის ვადა, ამის შემდეგ, პირობის თანახმად, სამ რამეს, რასაც ისურვებ, მიიღებო!

ვაჭარმა მისცა ვადა. თვითონ საქეიფოდ დაჯდა. გლეხმა კი დაჰკრა ფეხი და სოვდაგართან გაიქცა. სოვდაგარს მისი მისვლა გაუკვირდა.

— რა გაგიჭირდა, რად დაღონებულხარ, ხომ არა შეგემთხვა რაო?

— ასეა და ასე ჩემი საქმე, სანაძლეო წავაგე, რამე მიშველეო.

— დაჯექი, ჯერ პური ვჭამოთ და მერმე მოვიფიქროთო! — უთხრა სოვდაგარმა.

დასხდნენ, პური ჭამეს და საუბარი გამართეს.

— განა არ გითხარ, შენი საიდუმლო არავის უთხრა-მეთქი? საიდუმლო გაგიმხელია და სანაძლეო იმისათვის წაგიგიაო.

— რა ვქნა, ქალმა შეშაცდინა, ცოლია, ვენდობი-მეთქი, ვიფიქრე.

სოვდაგარმა მისცა ერთი ხოროსნის ხმალი და ერთიც სალესავი; თანაც დაარიგა: წადი, დადექ ამაღამ და მთელი ღამე ლესე ეს ხმალი. კარგად გალესე და დილით ადრე კიბეზე დადექი, ვაჭარი მოვა თუ არა, შემოდგება საფეხურზე და ცალ ხელს მოაჯირს მოჰკიდებს, მეორე ნაბიჯს რომ გადმოდგამს, მეორედ მოჰკიდებს ხელს, მესამე საფეხურზე მესამედ მოჰკიდებს ხელს მოაჯირს. შენ მაშინვე გააჩერე, სამ რამეს უკვე დაადე ხელი-თქო, ჩამოუჭერი ეს მოაჯირი და მიეციო.

გლეხი გახარებული წამოვიდა. მთელი ღამე ლესა და ლესა ხმალი. ცოლს გული უსკდება: თუ თავს მჭრის, რაღას აგვიანებსო! შიშით არა და არ ეძინება. გათენდა დილა, მოვიდა ვაჭარიც.

— აბა, მეგობარო, სანაძლეო ხომ მოგიგე, მზად ხარ თუ არაო?

— მობრძანდი, მზადა ვარ, რაც გნებავს, დაადე ხელი და წაიღეო!

ჩაუდგა მეხუთე საფეხურს და დაუდგა ხმლით. ამოდის ვაჭარი, ფეხი რომ გადმოდგა, ხელიც დაადო მოაჯირს, მეორე ნაბიჯზე მეორედ დაადო ხელი, მესამედაც რომ დაადო ხელი, გლეხმა ჩამოუჭრა მოაჯირი და უთხრა:

— აი, სამჯერ ამას დაადე ხელი, აიღე და წაიღეო!

ხალხმა თქვა:

— სწორია ეგ კაცი, არა ტყუისო!

— არა, ძმაო, არ მინდა თქვენი მოაჯირი, აქვე იყოს, ეხედავ, მაჯობეო! — თქვა ვაჭარმა და წავიდა ხახამშრალი.

გლეხი მობრუნდა, მიდგა ცოლს და სულ ტყავი გააძრო: ღამით გითხარ საიდუმლო, დილით უკვე გამეცი, რა ადამიანი ხარო!

ამ სანაძლეოში ერთ ხელმწიფეს ოქროსტარიანი დანაც მოუგო. ეს ხელმწიფე უკვე დიდი ხანია მოკვდა, ახლა მისი შვილი განაგებს სახელმწიფოს. მიუტანეს ამბავი ახალ ხელმწიფეს: მამაშენს ერთი ოქროსტარიანი დანა ჰქონდა, ამა და ამ გლეხმა სანაძლეოში მოუგო, უნდა მოიპატიჟო ისა და დანა როგორმე ხელში ჩაიგდოო.

ও পরের দুপুরে তারা গেল বেড়াতে

ხელმწიფემ დიდძალი ხალხი დაპატიჟა, მათ შორის — ეს გლეხიცა და სოვდაგარიც. ყველა სტუმარს შემწვარი ქათამი ან ინდაური მიართვეს. მასპინძელმა გამოაცხადა:

— სამყოფი დანები არა გვაქვს, საკუთარი დანები ამოიღეთ, დაჭერით ქათმები და მიირთვითო.

ყველამ ამოიღო დანა, დაიწყეს ქათამ-ინდაურების დაჭრა, გლეხი დანას არ იღებს. ქალი შეუჩნდა:

— ამოიღე ეგ დანა, რა შავი ღღისთვის გინდაო!

სოვდაგარმა თვალი უყო: არ ამოიღო დანა, არ გაბრიყვდეო! მაგრამ ქალი არ მოეშვა, აიძულა, ამოეღო დანა. როგორც კი დანა გაშალა და ფრთა და ბარკალი მოაჭრა შემწვარ ქათამს, ხელმწიფის შვილმა უყვირა:

— დააგდე, ეგ მამაჩემის დანაა, შენ მოგიკლავს მამაჩემი და დანაც წაგირთმევიაო!

დაიჭირეს გლეხი და მიაბრძანეს დილეგში. ხალხმა განაგრძო ქეიფი.

გათენდა მშვიდობის დილა. სოვდაგარმა თქვა: მოდი ერთს კიდევ ეუშველი, ერთი თუმანიც კიდევ მმართებსო. წაიყვანა კატა და მივიდა ციხესთან. ეს პატიმარი ფანჯრიდან იყურებოდა და ყველაფერს ხედავდა.

— შენ ხომ იცი, — ვითომ კატას ეუბნება სოვდაგარი და სცემს, — გეტყვიან, ეგ დანა ვინ მოგცაო, ადექი და უპასუხე: მართალია, დანა მამაშენის ნაქონია, მას მამაჩემის ვალი მართებია, არ გადაუხდია, მამაჩემი გაბრაზებულა, მამაშენი მოუკლავს და დანაც წაურთმევიაო. თუ მამის ვალს გადამახდევინებ, იცოდე არც შენ შეგრჩება და ჩემი შვილი გაზღვევინებს ჩემს ვალსაო.

ყველაფერი გაიგონა პატიმარმა. დილით დაიბარა ხელმწიფემ და ჰკითხა:

— ეს დანა ვინ მოგცაო?

— ეგ დანა, მართალია, მამაშენის ნაქონია, მაგრამ მას მამაჩემის ვალი ჰქონია, ვალი რომ არ გადაუხდია, ამღგარა მამაჩემი, მოუკლავს მამაშენი და დანაც წაურთმევია, და თუ მე, შვილს გადამახდევინებ მამის ვალს, იცოდე, არც შენ შეგრჩება, ჩემი შვილი მაინც გაზღვევინებსო, — უპასუხა გლეხმა.

მაშინ ხელმწიფემ თქვა: დანას ვართმევ, ვართმევ, სიკვდილს რაღას ვემართლებიო. გაათავისუფლა გლეხი.

გლეხი შინ რომ მივიდა, კარგად დაბეჟა ცოლი: ყველაფერი შენი ენისაგან მჭირსო.

ამის შემდეგ კარგად ცხოვრობენ და მხიარულადაც არიან.

გველის ძმობილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქერიკი დედაკაცი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ქერიკ- ობლობაში გამოზარდა. ვაჟი რომ დავაჟკაცდა, დედას უთხრა:

— დედი, განა სულ შენ უნდა იწვალო, წავალ, ან მოჯამაგირედ დავდგები, ან სხვა რამეს მოვახერხებო.

— შვილო, ისე კი არ გამიხადო საქმე, რომ თვეში ერთხელ არა მნახო!

— დრო მეფობს, დედი, იქნებ ორ თვეშიც ვერა გნახო, მაგრამ წერილს მოგწერო.

ადგა და წავიდა ეს ბიჭი. იარა, იარა, ერთ ხელმწიფესთან მივიდა.

— დიდებულო ხელმწიფეკ, ერთი ქერიკ-ობერი დედა მყავს შესანახი და, თუ შეიძლება და გჭირდება, მოსამსახურედ ამიყვანეთო.

— მოდი, შვილო, თუკი ასეთი ჭკვიანი ხარ და დედის ამაგს აფასებ, მოდი, კარგი ადამიანი იქნებიო. მეცხვარეს ყავლი გასდის, აღარა დგება და ცხვარში შენ წადიო!

აიყვანა იმ ხელმწიფემ მწყემსად. უთხრა:

—ხვალ ცხვარს მორეკავენ და შენ ჩაიბარეო.

ჩაიბარა ცხვარი. იმისთანა ყისმათიანი იყო ის ბიჭი, რომ სამი წელიწადი იდგა მეცხვარედ და ერთი ცხვარი არ დაჰკლებია.

— ამას კი გთხოვთ, — უთხრა მან წინასწარ, — ექვს კვირაში ერთხელ დედაჩემი უნდა ვნახო, თორემ თავს მოიკლავს დარდითაო. დაჰპირდა ხელმწიფე — გაგგზავნიო!

ერთი თვე გავიდა და გაგზავნა. მატყლი, ერბო, პური, ფქვილი და ვინ იცის, კიდევ რა არ გაატანა დედასთან; ფულიც კი მისცა.

მიდის ეს ვაჟი და, დასწყევლოს წმინდა გიორგიმ ჩვენი დამძრახავი, ერთი მცურავი დახვდა გზაზე გაშოტილი. ჩამოვიდა ბიჭი, აიყვანა ეს მცურავი და შეიყვანა ჯაგებში. წინ პური და ყველი დაუდო და უთხრა:

— ჩემო გველანა ძმობილო, ნუღარ გამოხვალ გზაზე, თორემ დაგხვდება ვინმე, ქვას დაგიშენსო; იყავი შენთვის, შენც სიცოცხლე გინდაო.

წავიდა დედასთან ის ბიჭი, თქვენც გაიხარეთ, ვინცა გყავთ წასულები იმათი მოსვლითა და მეცა, როგორც იმ დედამ გაიხარა. იყო იმ ღამეს იქა. გათენდა დილა და ბიჭი ადრე ადგა, ისაუზმა და წავიდა. ის მცურავი ისევ იქ დახვდა. დაუძახა ბიჭმა:

— მე რომ გთხოვე, ჩემო გველანა ძმობილო, ნუღარ გამოხვალ გზაზეო, რატომ არ მიჯერებო?

ჩამოვიდა ცხენიდან, შეიყვანა ჯაგებში, დაუდო პური და ყველი:

— აი, ეს ჭამე, ნუღარ გამოხვალ აქედან, ქვას დაგარტყავენ თავშიო.

მცურავმა უთხრა:

— რაკი ეგრე მადლიანი ხარ, ენა გამოყავი და ჩემ ენის წვერს დაადეო.

ბიჭი შეკრთა, მაგრამ მერე თქვა, რაც იქნება, იქნებაო. დაადეს ენის წვერები ერთმანეთს.

— ახლა წადი, — უთხრა გველმა, — ცხვარი დაიბღავლებს, გაიგებ, ძაღლი დაიყეფებს — გაიგებ, ცხენი დაიჭიხვინებს — გაიგებ, სულ ყველა ოთხფეხისა და ფრინველის, ყველა მცენარის ენა იციო. ახლა რომ გაივლი, ყური უგდე, ცხენი ქვას ფეხს რომ წამოჰკრავს, გაიგონებ, რასაც იტყვისო.

მიდის და, მართლაც, პირველად ცხენმა ქვას წამოჰკრა ფეხი. ქვამა თქვა:

— ოჰ, მეცხვარეე, შენამც გაქვავდები, პირი დამამტვრიეო!

— შენ გაქვავდიო! — დაუჭიხვინა ცხენმა და ქვას მეორედ დასცხო წიხლი.

გაიარა და ახლა ბებერ ხესთან მიეიდა. დაუკაკუნა, ვითომ მოჭრა უნდა.

— არა, არა, მე ძნელი მოსაჭრელი ვარ, დაგიგვიანდება, ადვილად მოსაჭრელ ხესთან მიდიო!

მიეიდა ახლა პატარასთან. პატარამ შესტირა:

— წადი და ბებერს უთხარი, რომ ჯერ მე მაგხელა გავიზარდო, რაც ის ბებერია, ვნახო წუთისოფელი და მერმე მომჭერიო.

ერთი სიტყვით, ესმის ყველაფრის ენა ამ ყმაწვილს. ან ჩიტი დაიჭიკჭიკებს, ან რა...

მოვიდა ცხვარში. იმსახურა სამი წელიწადი. როცა გაუვიდა ყავლი, ბევრი სთხოვა ხელმწიფემ, მაგრამ იმ ბიჭს დედა მოუხუცდა და — უნდა მივხედოო!

— ჩამორეკე, შვილო, ცხვარი და გავყოთო, — უთხრა ხელმწიფემ, — რაკი ასეთი ადამიანი ხარ და დედა გეცოდებაო.

ჩამორეკა ცხვარი. შემოვიდა ცხვარი ფარეხში და ბატკნები თავის დედებს ეთამაშებიან.

ამ ბიჭს ერთი კოჭლი ცხვარი ჰყავდა შეჩვეული, სულ თან დასდევდა. ბატკანი შეუკუნტრუშდა კოჭლ ცხვარს და უთხრა:

— როგორ გულს მაკლია, დედი, რომ შენ კოჭლობ და სხვასავით ბატკნებს ვერ ეთამაშები, სულ უკან რჩებიო!

ცხვარმა უპასუხა:

— ეჰ, შვილო, განა მართლა კოჭლი ვარ? მთელი ე მაგ ცხვრის დოვლათი ზურგზე მკიდია და ამიტომ ვკოჭლობ. ე მაგ ბიჭს თუ ჭკუა აქვს, ხელიდან არ გამიშვებსო.

წაიყვანა ბიჭმა კოჭლი ცხვარი სხვა ცხვრებთან ერთად. წამოვიდნენ. გზის პირას ერთი მეკომური დგას. საფქვავი გაუფენია და ქალი უზის. რომ გამოატარა ცხვარი და ახლოს მოაღწია, ქალი შინ შევარდა და სარკმლიდან უყურებს. საფქვავს ჩიტები დაეხვევნენ და იძახიან:

— როგორც ეს პურია გამრავლებული, ისე გამრავლდეს შენი ცხვარ-ბატკანი, სანამ შენ ცხვარს ჩამოატარებ, ჩვენ მაგრად გავძღებითო!

ბიჭს გულიანად გაეცინა, გადაიხარხარა.

ეგვლოის ქმოტბილი

მოვიდა ბიჭი თაეის დედასთან. გაუხარდა დედას. მეცხვარეღ სხვა დაიჭირეს. სახლები გამართა, ის კოჭლი ცხვარი კი სულ თანა ჰყავს. მერე დედამ უთხრა:

— ახლა უნდა დაგაქორწილო, წაიყვანე ნათლიდედა დღეობაში და ვინც მოგეწონება, აირჩიეო!

წავიდნენ დღეობაში. დადის და ვერავინ აურჩევია. ერთ ადგილას ერთი ქალი ნახა და ძალიან მოეწონა. ითხოვა და გადაიხადეს დიდი ქორწილი. თურმე ეს ქალი ის იყო, სარკმლიდან რომ იყურებოდა. იმ ღამეს აბა რა იქნებოდა, მეორე ღამეს კი, ერთად რომ დაწვნენ, ქალი ჩამოეკიდა: რაზე გაიცინე, როცა ცხვარი მიგყავდა ჩემ სახლთანაო?

ამ ბიჭს კი გველისაგან ნათქვამი ჰქონდა, არამც და არამც არ გასცე ეს საიდუმლო, თორემ მოლევის ქვად იქცევიო.

— შენ ჩემი სიკვდილი გინდაო! — უთხრა ბიჭმა.

სამი-ოთხი ღამე ასე აწვალებს ამ ვაჟს.

ვაჟმა თქვა: ეს ცხვარი უნდა გავყიდოო! გარეკა ცხვარი და ესმის, ცხვრები ლაპარაკობენ: ვაი, რა პატრონი გვიკვდებაო!

ერთი ციკანი შეეთამაშა დედას. თხამ უთხრა:

— ნეტავი შენ, რა გათამაშებს, როგორი პატრონი გვიკვდებაო!

ციკანმა უპასუხა:

— ნეტა რა გადარდებს! თუ არ უნდა სიკვდილი, გამოჭრას სამი წკეპლა, ამაღამ შინ შეიტანოს და როგორც კი ის ქალი ხმას ამოიღებს, მოსცხოს; მანამდის სცემოს, სანამ არ შეეხვეწება: მომეშვი, აღარაფერი მინდა შენიო. ისიც ცოცხალი დარჩება და ჩვენც პატრონი გვეყოლებაო!

ბიჭი ასეც მოიქცა. როცა ივახშმეს და დასაწოლად შეეიდნენ, ქალმა უთხრა:

— შენ განაცვალე, უნდა მითხრა რაზე გაიცინეო!

გადმოიღო ბიჭმა ეს სამი კონა წკეპლა და ერთი რომ გადაამტვრია ზედ, ახლა მეორე დაიწყო. ქალი შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ მომკლავ და, თუ კიდევ გკითხო, მძინარეს ყელი გამომჭერიო!

მას შემდეგ ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ი რ მ ი ს ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბერიკაცი. ეს ბერიკაცი უშვილოდ დაბერებულიყო. ისიც და მისი ცოლიც სულ იმას ევედრებოდნენ ღმერთსა, რომ შვილი მიეცა მათთვის. გავიდა ხანი და მიეცათ შვილი, მაგრამ უბედური ბერიკაცი კი მოკვდა.

ცოლს მწუხარებით რძე დააკლდა და ბავშვის რჩენა არ შეეძლო. ბავშვი ერთ კოჭლ ირემს მიაბარა და სთხოვა: შენ გამიზარდეო!

ბავშვი მიეჩვია ირემს, ტყეში თან დასდევდა და როცა მოუნდებოდა,ძუძუს სწოვდა. იმ არემარეში, სადაც ეს ირემი ცხოვრობდა, ხშირად დადიოდა სანადიროდ მეფის შვილი.

ერთხელ ნახა ბავშვი, ირემს რომ დასდევდა. მეფის შვილმა დაანება ნადირობას თავი და გასწია შინისაკენ. შინ რომ მივიდა, მამამ ჰკითხა:

— შვილო, რატომ არ ინადირეო?

მვილმა არა უპასუხა რა, მხოლოდ სთხოვა — ეშოვა მისთვის სამოცდაათი ფუთი ჯაჭვი და ასოცი კაცი ჯაჭვის მსროლელი.

მამამ წადილი აუსრულა, უშოვა ჯაჭვიცა და კაცებიც. წავიდნენ სანადიროდ. ტყეში რომ მივიდა ხელმწიფის შვილი, ეძება ბავშვი და, როცა იპოვა, თავის კაცებს უბრძანა, დაეჭირათ. ესროლეს ქამანდი და შემოახვიეს ბავშვს, მაგრამ, ბავშვმა რომ გაიწია, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა.

გაწყვეტილი ჯაჭვი მოხვდა კაცებს და მეფის შვილის მეტი ყველა დაიხოცნენ. შინ რომ მივიდა ხელმწიფის შვილი, მამას მოახსენა:

— ჩემი წადილი თუ არ ავისრულე, თავს მოვიკლავო!

მამამ უთხრა:

— შვილო, რა არის მაგისთანა, რომ თავს იკლავო?

შვილმა მიუგო:

— ერთი პატარა ბავშვი ენახე ტყეში, კოჭლ ირემს დასდევსო და ვერ დავიჭირეო.

მამამ კიდევ გაატანა რამდენიმე ფუთი ჯაჭვი და კაცები, მაგრამ ვერც ახლა დაიჭირეს.

ხალხი დახოცა, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა ასე ხუთჯერ. ბოლოს, დაიჭირეს და მოიყვანეს შინ, ირემიც თან მოჰყვა. ბავშვი ტიტველა იყო და ლაპარაკი არ იცოდა.

ხელმწიფის შვილმა ამ ბავშვს ოთახი მისცა. როცა მოშივდებოდა, ძირს ჩამოვიდოდა, ირემთან მივიდოდა და ძუძუს მოსწოვდა. ხელმწიფის შვილმა იფიქრა: ვასწავლი საჭმლის ჭამასა და ტანთ ჩაცმასო. სადილობისას და ვახშმობისას შედიოდა მასთან, გაშლიდა სუფრას, მოიტანდა საჭმელს,

ხელ-პირს დაიბანდა და დაჯდებოდა პურის საჭმელად. ასე მოდიოდა ახალ-ახალ ტანისამოსჩაცმული.

მერმე ბავშვიც ასე მოიქცა, როგორც მეფის შვილი: ადგებოდა, ჩაიცვამდა, კანკალით დაიბანდა პირს და დაჯდებოდა პურის საჭმელად. დიდხანს იყო ასე. ერთხელ მეფის შვილმა თვალი მოჰკრა, სიხარულით შეევარდა ოთახში და მამას შეატყობინა ეს ამბავი. მამამ უთხრა:

— შემოიყვანე სასახლეში და ჩვენთან იცხოვროსო! ჯერ ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ მათთან ცხოვრებამ ლაპარაკიც ასწავლა და კიდეც შეაჩვია ამათ.

სანადიროდ ისა და ხელმწიფის შვილი ერთად დადიოდნენ, მაგრამ ირმისა უფრო ღონიერი იყო. ზევით ისარს რომ აისროდა და მიწაზე ჩამოვარდნილი დაესობოდა, მისი ამოძრობა ხელმწიფის შვილს არ შეეძლოო, ირმისა კი ადვილად ამოაძრობდა ხოლმე.

ერთხელ ხელმწიფე სხვაგან წაბრძანდა. გასაღები ჩააბარა ირმისას და უბრძანა;

— ჩემმა შვილმა თუ გამოიღვიძოს და გითხრას, დამატარე ოთახებიო, თერთმეტი ოთახი აჩვენე, მეთორმეტეში არ შეიყვანოო, არ დამლუპოო.

წავიდა მეფე. ადგა მეფის შვილი და უთხრა:

— ოთახები მაჩვენეო!

ირმისა დასთანხმდა, მხოლოდ მეთორმეტეში არ შეიყვანა: ეს შენი საქმე არ არისო. ხელმწიფის შვილმა იშიშვლა სატევარი და უთხრა:

— თუ არ გააღებ, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო!

ირმისა ადგა და გააღო. გააღო თუ არა, დაინახა სურათი ერთი საოცარი ქალისა. ხელმწიფის შვილი ცოცხალ-მკვდარი დაეცა. ირმისამ წამოაყენა, დააწვინა ოთახში და უთხრა:

— შენ ოღონდ კარგად იყავი და მე გიპოვნი იმასაო!

ხელმწიფე რომ მოვიდა, ნახა და უსაყვედურა:

— რად მომკალი, რად აჩვენე ის სურათიო?

ირმისამ უთხრა:

— მე მოვგვრი იმ ქალს, ოღონდ წასვლის ნება მომეცითო!

ხელმწიფემ ნება დართო და ორნივ წავიდნენ.

იარეს დიდხანს, წელიწადი დაყვეს გზაში. ბოლოს მიაღწიეს ერთი ზღვის პირას. აქ იდგა ერთი ძირი ვაშლის ხე, ზედ ვაშლები ესხა. ირმისამ უთხრა ხელმწიფის შვილს:

— ჩამოაგდე ვაშლიო!

ხელმწიფის შვილმა ვერ შეძლო. მაშინ ირმისამ მუშტი ჰკრა, ჩამოყარა ვაშლები და დასხდნენ საჭმელად. ზღვიდან ამოვიდა ერთი დევი და აყვირდა:

– ვინ არის, რომ პაპაჩემის დარგულ ვაშლსა ჭამს, ახლავ გავათავებო!

ირმისამ უპასუხა:

— აქ მოდი და საკადრისს მოგახსენებო!

დევი მივიდა თუ არა, ირმისა ეცა და დაიწყეს ჭიდაობა. დიდხანს იჭიდავეს; როგორც იყო, ირმისამ დასძლია და მოკლა დევი. ადგა, ჩამოყარა ვაშლი, ჩაიწყო უბეში და ზოგიც ხელში დაიჭირა; ორი ხელმწიფის შვილს მისცა და წამოვიდნენ თავიანთ გზაზე.

იარეს დიდხანს, მივიდნენ ერთი დევის სახლში. აქ ნახეს ორი დევის ქალი, ამათ უთხრეს:

— ყმაწვილებო, გირჩევთ ახლავე წახვიდეთ, თორემ დევები მოვლენ და შეგჭამენო!

არ დაუჯერა ირმისამ და დაჯდა ჩრდილში. ამოიღეს ვაშლები და დაიწყეს ჭამა. დევის ქალები მორბილდნენ და მუქარის მაგიერ, რაც კი შეიძლებოდა პატივი სცეს. როცა ისინი ვაშლს შეექცეოდნენ, სამი ძმა დევი მოვიდა.

— რა სულიერი ხართ, ჩემს სახლში მოსულხართო და ჩრდილში დამჯდარხართო? — ჰკითხა ერთმა დევმა.

ირმისამ მიუგო:

— მოდი და გეტყვიო!

დევი მივიდა თუ არა, ირმისა ეცა, წააქცია და ზედ მუხლით შედგა.

მოვიდა მეორე დევი, გაუმეორა პირველი დევის სიტყვები. ესეც წააქცია ირმისამ და ერთიმეორეზე დააწვინა. მოვიდა მესამე დევი და დაიღრიალა:

— ვინ არის იმისთანა, რომ ჩემი ძმები ერთმანეთზე დააწვინა და მოკვლას უპირებს, რომ აქვე გავათავოო!

ირმისამ უთხრა:

— მოდი აქ და მე გეტყვი, ვინცა ვარო!

მოვიდა თუ არა, დაუწყო მუშტის ქნევა. ირმისამ სტაცა ხელი, წააქცია, სამივე ძმა ერთმანეთზე დააწვინა და უთხრა:

— მოგკლათ, თუ არაო?

დევები შეეხვეწნენ:

— დღეიდან ჩვენც თქვენი ძმები ვიქნებიო და თქვენც ჩვენი ძმები იყავითო!

აუშვა ირმისამ და შევიდნენ სახლში.

დევებმა მასპინძლობა გაუმართეს ხელმწიფის შვილსა და ირმისას. მერმე ურჩიეს, რა გზით უნდა წასულიყვნენ ქალთან: აქეთ თუ წახვალთ, ოცდაათ დღეს მოუნდებით, მაგრამ უშიშრად მიხვალთ. მეორე გზით თუ წახვალთ, ათ დღეში მიხვალთ, მაგრამ დევები არიან მძლავრები და შეგჭამენო. თუ ამ დევებს გადაურჩით, მერმე მიხვალთ იმ ქალთან. როცა დაღამდება, ლოგინს დაგიგებთ, საჭმელს გაჭმევთ და დაგაწვენთ. სწორედ მაშინ, როცა იმ ქალს შენთან მოპარვა მოუნდება, ჩვენ აქედან მაშხალას ვისვრით. თუ ის ქალი მოგეპარა და თითზე ბეჭედი ისე გაგიკეთა, რომ ვერ გაგეღვიძა, უსათუოდ მოგკლავს. ამიტომ ვახშმის შემდეგ არ დაიძინო იმ ქალის სახლში. ჩვენ უთუოდ მაშხალას ვისვრით და მაშინ დაიჭირეთ ის ქალიო.

წავიდნენ ორივენი. იარეს დიდხანს და მივიდნენ ერთი დევის სახლში.

დევი იწვა და ტყვედ მოყვანილი ქალი ბუზებს უგერიებდა. დაინახა თუ არა ეს ყმაწვილები, ქალმა უთხრა:

— აქედან წადით ჩქარა, თორემ, როცა დევი გაიღვიძებს, მეც შემჭამს და თქვენცაო!

ირმისამ უთხრა:

— შენ აქ ჩამოღი და ის მე ვიცი, დევი რასაც მიზამსო!

ქალმა მიუგო:

— ბუზები დაეხვევა, გამოიღვიძებს და დაგვხოცავსო!
ირმისამ უთხრა:
— აქ ჩამოდი, აქაო!
ჩამოვიდა ქალი. დევს გამოეღვიძა და შეჰყვირა:
— ვინ წამართვა ჩემი საკბილო ცხოველიო?
ირმისამ უთხრა:
— მე გახლავარო!
გაბრაზებული დევი ჩამოვიდა და შეება ირმისას. დაიწყეს ბრძოლა. დიდი ხნის შემდეგ ირმისამ დასძლია და მოკლა დევი. ირმისამ წაიყვანა ქალი და ჩააბარა იმ სამ დევს, როგორც თავიანთი და.
წამოვიდნენ ისევ, იარეს დიდხანს. მივიდნენ ერთ სასახლეში, ნახეს, რომ დევების ქორწილია. შევიდნენ ეზოში. დაინახა თუ არა დევების უფროსმა, ჩამოგზავნა ერთი მათგანი ვინაობის შესატყობად. შეიტყვეს, რომ სხვა რჯულისანი იყვნენ. ჩამოგზავნა ხელმეორედ: დახოცეთ ეს კაცები, თუ არ ამოვიდნენ ჩვენთანაო! მაგრამ ირმისამ ეს დევი უცებ მოკლა. როცა შეიტყვეს დევი მოკლესო, ჩამოგზავნეს სხვა დევი, ისიც მოკლა. ასე, რომ ყველა დახოცა. ახლა ჯერი მიდგა უფროს დევზე.
ჩამოვიდა თუ არა უფროსი დევი, მაშინვე ეძგერა ირმისას. დაიწყეს ჭიდაობა. იჭიდავეს დიდხანს. დევმა მოიქნია ირმისა და მუხლებამდე ჩასვა მიწაში. მერმე ირმისამ მოიქნია დევი და მიწაში ჩასვა წელამდე. ბოლოს მაინც ირმისამ აჯობა: ჩასვა მიწაში თავებამდე და მერმე ხელი მიჰყო ამ თავების მოჭრას. დევი ასთავიანი იყო, მოსჭრა ოთხმოცდაცხრამეტი თავი და უთხრა:
— რომელი გირჩევნია, სიკვდილი თუ სიცოცხლე?
დევმა მიუგო:
— სიცოცხლე მირჩევნიაო, ოღონდ ამიშვი და ჩემი საცხოვრებელი შენთვის მომიციაო! ღმერთი თავდებად მისცა.
როცა ამოვიდა, ისევ ჩხუბი დაუწყო, მაგრამ ისევ ირმისამ დაძლია. მაშინ დევმა უთხრა:
— ცა და ღმერთი ზევით და მიწა და წყალი ქვევით თავდებად გქონდეს, ოღონდ ამიშვი და ჩემს ღონეს მეფის შვილს მივცემო!
აუშვა, დაუტოვა მეფის შვილი ამას და თვითონ წავიდა.
წასვლისას დევს უთხრა:
— შენ ამას ასწავლე ყველა შენი ხერხი და ღონე, თორემ, როცა გამოვიელი, მოგკლავო!
წავიდა ირმისა. მივიდა იმ ქალთან, რომელსაც ეძებდნენ. საღამო იყო. ქალმა ვახშამი აჭამა, დაუგო ლოგინი და დააწვინა. როცა გავიდა ერთი საათი, მივიდა ის ქალი, აიღო ბეჭედი და თითზე უნდა გაეკეთებინა. მაშინ სამმა დევმა მაშხალა ესროლა და ზურგში მოხვდა. სტაცა უცებ ხელი ირმისამ ამ ქალს თითში. ქალმა უთხრა:
— მე შენი ბედი ვყოფილვარო და გაიკეთა ბეჭედი თითზე.
ირმისამ მიუგო:
— ჩემთვის კი არა, ჩემი ძმისთვის მინდიხარ ცოლადაო.
დილა რომ გათენდა, ქალმა გასცა ბრძანება დევების ქალაქში, სუყველას მოეტანა თითო ხელი ქვეშაგები ძღვნად: სხვა რჯულის კაცზე ვთხოვ-

დებიო. ყველამ მიუტანა, მხოლოდ ერთმა სახლობამ უარი უთხრა. ირმისამ მოჰკიდა ხელი იმ დევს, წააქცია და უთხრა იმის ცოლ-შვილს:

— თუ არ მომიტანთ ძვირფას ქვეშაგებს, მოვკლავ ამასაც და თქვენც ზედ მიგაყოლებთო. იმათ უარი უთხრეს. მაშინ ირმისამ როგორც დევი, ისე მისი ცოლ-შვილი სულ ერთიანად ამოწყვიტა.

მეორე დღე რომ გათენდა, დევები მოგროვდნენ ირმისასთან და ქალი თავისი მზითვით წამოიყვანეს მეფის შვილთან. მაშინ მეფის შვილი ისევ დევის სახლში იყო ხერხისა და ღონის სასწავლებლად. მეფის შვილთან რომ მივიდნენ, ნახეს, რომ ნაცარში იჯდა და ღონის მომატება კი არა, რაც ღონე ჰქონდა, ისიც წართმეოდა.

მივიდა ირმისა დევთან და უთხრა:

— რა არის ესა, რატომ პირობა არ აასრულეო?

დევმა მაშინვე თავისი ღონე მისცა მეფის შვილს ირმისას ბრძანებით. ირმისამ მოკლა დევი. იმისი ქონება მთლად წამოიღო და ყველა ერთად წამოვიდა.

იმ სამ ძმა დევთან რომ მოვიდნენ, გამართეს კიდევ ქორწილი. სამ დღეს აქ დარჩნენ, მერმე წამოვიდნენ. დიდხანს იარეს და მივიდნენ იმ ვაშლის ძირში. იმ ღამეს იქ იყვნენ დევები, მეფის შვილი, ირმისა და ხუთი ქალი: სამი ქალი სამი ძმა დევის და იყო. ერთიც ის, რომელიც დევს წაართვა, მეხუთეც — ცოლი მეფის შვილისა. იმ ღამეს ყველანი დაწვნენ და დაეძინათ. ირმისასაც მიეძინა.

ამ დროს მოფრინდა ერთი რაღაცა ცხოველი და მეფის შვილის ცოლი ჰაერში აიტაცა. ირმისა უცებ წამოხტა, გააღვიძა ამხანაგები და უთხრა:

— ხომ ხედავთ, რომ დევმა წაიყვანა მეფის შვილის ცოლიო!

მეფის შვილს ეწყინა, მაგრამ რას იზამდა. ირმისამ დევებს უთხრა:

— თქვენ აქ იყავით, სანამ არ მოვიღე, თორემ ყველას დაგხოცავთო.

დევები დათანხმდნენ და იქ დარჩნენ, ირმისა და მეფის შვილი კი წამოვიდნენ.

იარეს დიდხანს, მივიდნენ ერთი დევის სახლში. დევი სანადიროდ წასულიყო. მოტაცებული ქალი ეზოში დასეირნობდა. ირმისა და მეფის შვილი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა და უთხრა:

— წადით ახლავე, თორემ მოვა ჩემი ქმარი დევი და ორივეს შეგჭამთო!

მაგრამ ირმისამ უთხრა:

— შენ იმას გეხვეწებით, რომ შეგვიტყვე, სადა აქვს იმას თავისი სულიო.

— კარგიო, — უთხრა ქალმა და ადგილი დაუნიშნა, რომ ერთი თვის შემდეგ მოსულიყვნენ.

წავიდნენ ირმისა და მეფის შვილი და დადგნენ ერთ გამოქვაბულში. როცა დევი მოვიდა, თავის ცოლს ჰკითხა:

— არავინ მოსულაო?

იმან უპასუხა:

—არავინაო.

ერთი კვირის უკან ცოლმა დევს უთხრა:

— შენი სული სად არის, რომ შემოვწირო რამეო?

დევმა ჰკითხა:

— ჩემი სული შენ რად განდაო?

ცოლმა უთხრა:

— როგორ რად მინდა, რასმე შეეწირავ, რომ ცხონდე და ჩემთვისაც კარგი იყოსო!

დევმა უთხრა:

— ჩემი სული სვეტშიაო!

ქალმა ეს სვეტი ისე შეღება, რომ იმის შეხედვას არა სჯობდა რა. დევმა რომ ეს ნახა, უთხრა:

— ჩემი სული თუ ასე გიყვარს, ამ კატაში არისო!

ცოლმა ეს კატა ისე გაალამაზა, მეტი არ შეიძლებოდა. უკერავდა კარგსა და კარგს ტანისამოსს და აცმევდა. ეს რომ ნახა დევმა, უფრო მოუწონა და უთხრა:

— ჩემი სული ცხრა მთას იქით არისო. ერთს ხეზე ჩამოკიდებულია ცხრათავიანი დევი. იმას შიგნით უზის ირემი. ირემში შველია, შველში — კურდღელი, კურდღელში არის ბაჭია, ბაჭიაში — კოლოფი და იმ კოლოფში — სამი მერცხალი, ორი მერცხალი არის ჩემი თვალები და ერთი ჩემი სულიაო.

გაუხარდა ქალს, რომ ყველაფერი შეიტყო, მეორე დღეს უნდა მოსულიყვნენ მეფის შვილი და ირმისა.

როგორც მოვიდნენ, ქალმა ყველაფერი უამბო, რაც დევისაგან გაეგონა. იმათ წასვლა დააპირეს, მაგრამ ქალმა უთხრა:

— ისეე თავი დაანებეთ, რადგან ის დევი, რომელიც ხეზეა ჩამოკიდებული, თუ სუნი მოუვიდა ადამიანისა, დიდ მანძილზე მიიზიდავს და შეჭამსო!

ირმისამ უთხრა:

— ნუ გეშინია. მე იმას მოვუხერხებ და ხელში ჩავიგდებო! ორივენი წავიდნენ.

ირმისამ და მეფის შვილმა დიღხანს იარეს, მივიდნენ ერთი მთის სიახლოვეს. გაიარეს ცხრა მთა. მივიდნენ თუ არა მთის ძირში, მეფის შვილი ააკანკალა დევის შუქმა, მაგრამ ირმისამ დაიმაგრა. როცა ორიოდე ადლის სიახლოვეს მივიდნენ, ორივენი გამოაგდო შუქმა. მაგრამ როგორც იყო, ირმისამ გაჭრა თოკი, ჩამოვარდა დევი, მოსჭრა ამ დევს ცხრა თავი, გაჭრა შუაზე, ამოიყვანა ირემი. ისიც გაჭრა, ამოიყვანა შველი. ისიც გაჭრა, გადმოხტა კურდღელი. სტაცა ხელი კურდღელს და გაჭრა. შიგ ნახა ბაჭია. ისიც გაჭრა, ამოიღო კოლოფი.

ამ დროს გახდა ავად დევი. ირმისამ გახსნა კოლოფი, ამოიყვანა ერთი მერცხალი და მოკლა. მაშინ დევს ცალი თვალი დაუბრმავდა. მივიდა დევთან ირმისა და უთხრა:

— ეს ქალი რომ წამოიყვანე, ეგ იმიტომ მოგივიდაო.

მაშინ დევმა თქვა:

— ქალს რომ კაცი დაენდოს, ქვეყანას დააქცევინებსო!

ირმისამ ამოიყვანა მეორე მერცხალი და ისიც მოკლა. დევი ორივე თვალით დაბრმავდა.

წამოიყვანეს ქალი და მოვიდნენ იმ ვაშლის ძირში. აქ დახვდათ სამივე დევი. იმ ღამეს იქ დარჩნენ, მაგრამ ირმისას არ დასძინებია, რადგან ეშინოდა, კიდევ არავინ წამართვას ქალიო.

როცა შეიქნა შუაღამე, მოვიდა სამი ქაჯი, შემოსხდნენ ვაშლის წვეროზე და დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა თქვა:

— რა ბედი მივცეთ ამ ცოლ-ქმარსაო?

მეორემ თქვა: — ის ბედი მივცეთ, რომ როგორც შევიდეს სიძე ეზოში და ცხენი გამოათამაშოს, ცხენიდან გადმოვარდეს და მოკვდესო!

მესამემ თქვა:

— თუ ამას გადარჩეს, ხელმწიფის ცოლმა რომ მოართვას ოქროს სარტყელი და ოქროს ფეხსაცმელი, მაშინ სარტყელი გველად გადაიქცეს და ქალი შეჭამოს და თუ ამას გადარჩეს, ფეხსაცმელმა ფეხი მოსტეხოსო.

პირველმა კიდევ თქვა:

— თუ ამასაც გადარჩეს, ღამე მოვიდეს გველეშაპი და ორივე ჩანთქასო! თუ ამას ვინმე ყურს უგდებს და გააცხადოს, ქვაგრილად იქცესო!

ამას ყურს უგდებდა ირმისა, მაგრამ არავის უთხრა.

მეორე დღეს შინ წამოვიდნენ. როგორც შევიდნენ ყველანი ეზოში, იმ დროს მეფის შვილმა გადაჭკრა ცხენს მათრახი და უნდოდა გაეთამაშებინა, მაგრამ ირმისამ არ გაუშვა, ცხენს აღვირი დაუჭირა და ჩამოხტნენ ცხენებიდან.

დედამთილმა მიართვა რძალს ოქროს სარტყელი და ფეხსაცმელი, მაგრამ ირმისამ გამოართვა, დაამტვრია და გადაყარა.

ამას ყველაფერს გადარჩნენ, მაგრამ ის ღამე კი საშიში იყო.

ირმისამ იმ ღამეს არ დაიძინა. საცა ცოლ-ქმარი იწვა, იმ ოთახს დარაჯობდა. შუაღამისას მივიდა გველეშაპი. ირმისამ მოკლა ისა, გამოიტანა, ერთ სახლში შეიტანა და იქ დააგდო, თვითონ დაწვა და დაიძინა. როცა ადგა, ეს სახლი შელესა.

გაიმართა ქორწილი და სამი დღე გასტანა.

ქორწილის შემდეგ დევები წავიდნენ თავიანთ სახლში.

ერთხელ დღესასწაულში ხელმწიფე და მისი შვილი სალოცავად წავიდნენ, მაშინ დედოფალმა და რძალმა ირმისას დაუწყეს გამოკითხვა:

— რატომ არ მიეცი ნება მეფის შვილს ცხენი გაეთამაშებინა და ოქროს სარტყელი და ფეხსაცმელი რად დაამტვრიე და გადაყარეო?

ირმისამ არაფერი უთხრა, მხოლოდ სთხოვა — დამეხსენითო.

დიდხანს ეხვეწნენ და ბოლოს ირმისამ უთხრა:

— ჩემი სიკვდილი გინდათ და აი, გეტყვითო!

ირმისამ ყველაფერი უამბო, რაც ქაჯებმა ილაპარაკეს და როგორც დაამთავრა, ქვაგრილად იქცა. დაიწყეს ტირილი დედამთილმა და რძალმა. ადგა რძალი და გაიქცა მკითხავთან. მივიდა და შეეხვეწა:

— მირჩიე რამე ქვაგრილისაო!

მკითხავმა უთხრა:

— შენი შვილი მოხარშე მდუღარე წყალში და გადაასხი იმ ქვაგრილსა. ის ბავშვი და ირმისა ერთად მოვლენ შენთანაო!

წამოვიდა და მოხარშა თავისი შვილი, გადაასხა ირმისას და თვითონ შევიდა ოთახში.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი სიმღერით ამოვიდნენ. ამის შემდეგ ყველამ ერთად და ბედნიერად დაიწყო ცხოვრება.

ს ი ზ მ ა რ ა

ერთი ყმაწვილი იყო და დედინაცვალი ჰყავდა. ერთხელ დედინაცვალმა პური გაფინა გასაშრობად და გერი გვერდით მიუსვა. ყმაწვილს დაეძინა. პურს ქათმები მიესივნენ და კენკვა დაუწყეს. დედინაცვალი გაჯავრდა, გერს სცემა.

— რა ეშმაკმა დაგაძინა, პური შეჭამეს ქათმებმაო!

— დედი, დედი! მაცალე რა გითხრაო!

— რაო? — ჰკითხა დედინაცვალმა.

— ძილმა წამიღო, ბურანმა: ცალი ფეხი ბაღდადს მედგა, ცალი —ბაღდადის ბოლოსა; აქეთ მზე მეჯდა, იქით — მთვარე, შუქურვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო.

დედინაცვალს სიზმარი მოეწონა, სტაცა გერს ხელი და უთხრა:

— მომეცი ჩქარა ეგ სიზმარი!

— ეს ხომ სიზმარი იყო, აბა, რა მოგცეო?

დედინაცვალმა სცემა და გააგდო ეს სიზმარა. წავიდა, იარა, ხელმწიფის კარს მიადგა.

— რას დადიხარ, ბიჭო, რას ეძებ? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ასე და ასე იყო ჩემი საქმე, დედინაცვალმა მცემა და გამაგდოო, — მოახსენა ყმაწვილმა და სიზმარი უამბო ხელმწიფეს.

ხელმწიფესაც მოეწონა ეს სიზმარი და უბრძანა:

— მომეცი ეგ სიზმარიო!

— აბა, რა მოგართვა, სიზმარი იყოო!

აიღო ხელმწიფემ და ეს ყმაწვილი ხაროში ჩააგდო.

ამ ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალს ყმაწვილი შეეცოდა: საღილის შემდეგ აიღებდა ხოლმე საჭმელს, სიზმარას ჩუმად მიუტანდა და ხაროში ჩაუყრიდა.

ეს ხელმწიფე დასავლეთის ხელმწიფე იყო. ამ მზეთუნახავ ქალს აღმოსავლეთის ხელმწიფე სთხოვდა, მაგრამ მამა არ აძლევდა.

ერთხელ აღმოსავლეთის ხელმწიფემ მზეთუნახავის მამას ოთხი ჭაკი ცხენი გამოუგზავნა და შემოუთვალა:

— გამოიცან, რომელია ამ ცხენში დედა, რომელი უფროსი კვიცი და რომელი საშუალი და რომელი უმცროსი? თუ გამოიცნობ, ხომ კარგი, თუ არადა, შენი ქალი ჩემიაო!

ხელმწიფე და მისი ქალი დაღონდნენ, რადგან ეს გამოცანა ვერ გამოიცნეს. წავიდა ქალი სიზმარასთან და უთხრა:

— რა გეშველება, შე საწყალო სიზმარავ! მე ხომ აღმოსავლეთის ხელმწიფეს მივყევარ, შენ აქ მშიერი მოკვდებიო და უამბო გამოგზავნილი ცხენების ამბავი.

— ნუ გეშინია, – უთხრა სიზმარამ, — დაუდეთ ცხენებს მარილი და ბლომად აჭამეთ; მერმე თავლაში შერეკეთ და კარი დაუკეტეთ. მეორე დღეს, კარებს რომ გააღებთ, დაუკვირდით: პირველად წყლის დასალევად გამოვა დედა, იმას გამოჰყვება სულ პატარა კვიცი, პატარა კვიცს გამოჰყვება იმაზე უფროსი და სულ ბოლოს გამოვა დიდი კვიცი!

ქალი წამოვიდა და ყველაფერი მამას უამბო. მართლაც ასე მოხდა.

ეს გამოცანა რომ გამოიცნო, აღმოსავლეთის ხელმწიფემ ახლა მარილის ქვა გამოუგზავნა და შემოუთვალა:

— ამ მარილის ქვას თუ კოპად დახვევ, ღეგეხსნები, თუ არა და შენი ქალი ჩემიაო!

ქალი ისევ სიზმარასთან წავიდა და გამოცანაც უამბო.

— ნუ გეშინია, - უთხრა სიზმარამ, — მამაშენმა ეს მარილის ქვა უკანვე გაგზავნოს და შეუთვალოს: პირი აართვას ამ მარილის ქვას — როგორ უნდა დახვევა — მსხვილად თუ წვრილად, რომ მეც იმის მიხედვით დავხიოთქო!

ესეც რომ მოუგო, მაშინ აღმოსავლეთის ხელმწიფემ მშვილდი მოზიდა, ისარი იმ ხელმწიფის სახლის წინ ჩაერჭო და ადგილიდან ვერავინ დაძრა.

ქალი ისევ სიზმარასთან მივიდა და ყველაფერი უამბო.

— ნუ გეშინია, — უთხრა სიზმარამ, — ამაღამ მე ამოვალ და ამოვიღებო!

მართლაც, იმ ღამეს სიზმარა ამოვიდა, მიანძრ-მოანძრია ისარი, ამოიღო და იქვე დააგდო, თვითონ კი ისევ ხაროში ჩაჯდა.

მეორე დილას ხელმწიფე გამოვიდა და გაკვირდა:

— ვინ ამოიღო, ვინა, ჩემი ქალი იმას უნდა მივცეო!

ყველა იძახის: მე, მეო, მაგრამ ხელმწიფე რომ ეტყოდა: აბა, თუ შენ ამოიღე, ახლაც დასძარ ადგილიდანაო, ისარი ვერავინ დაძრა. მაშინ ქალმა უთხრა:

— მამაკ, იქნება ის სიზმარა ცოცხალი იყოს და იმან ამოიღოს?

გაგზავნეს ვეზირები, ნახეს: სიზმარა დევს დამსგავსებია. მოიყვანეს, აიღო ხელში ისარი, გაჰკრა და აღმოსავლეთის ხელმწიფის სახლში ჩაარჭო.

მეფეს გაუხარდა და თავისი ქალი სიზმარას მიათხოვა. ორი-სამი კვირა ქალი და ვაჟი ერთად იყვნენ, შემდეგ სიზმარა ადგა და იმ ხელმწიფესთან საომრად გაემართა.

კარგა გზა რომ გაიარა, ერთი კაცი დაინახა. ეს კაცი თან ხნავს და თან მოხნულ ბელტებს ყლაპავს.

— კაცო, კაცო, ძალიან ძნელ საქმეს არ ჩადიხარ, რომ მაგოდენა ბელტებსა ყლაპავ? — ჰკითხა სიზმარამ.

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა. ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჰქნა: ჩვენი ხელმწიფის ქალი შეირთო და მეორე ხელმწიფეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, მოდი, დაეძმობილდეთო!

წავიდნენ. ერთ ალაგას შენიშნეს, ერთი კაცი ზღვას დაყუდებია და სრუტავს.

— ძალიან საქმე არ არის, მაგოდენა ზღვას სრუტავ? — უთხრა სიზმარამ.

— ეჰ, ძნელი საქმე ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს კი ეომება!

— მე ვარ სიზმარა, მოდი ჩვენთან, შენც ჩვენი ძმა იყავიო!

წავიდნენ სამნი. ნახეს, ერთ კაცს ფეხებზე წისქვილის ქვები შემოეცვა და კურდღლებს იჭერდა. ყველას გაუკვირდა და უთხრეს:

— კაცო, კაცო, რა ძნელ საქმეს ჩადიხარ?

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომება!

— სიზმარაც მე ვარ, წამოდი ჩვენთანაო!

წავიდნენ ოთხნი ერთად. ნახეს, ერთ კაცს ყური მიწაზე დაუდვია და რაღაცას ლაპარაკობს.

— კაცო, რას შვრებიო? — ჰკითხეს.

— ქვესკნელს ჭიანჭველები იბრძვიან, აქედან ვაშველებ და სამართალს ვაძლევ.

— ძალიან ძნელი საქმე უნდა იყოს ესა? — უთხრა სიზმარამ.

— ეჰ, ძნელი საქმე ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, წამოდი ჩვენთანაო!

წავიდნენ ხუთნი ერთად. ნახეს, ერთი კაცი ზევით შეჰყურებს.

— რას შეჰყურებო? — ჰკითხეს.

— სამი დღეა, რაც ისარი ცისაკენ ვტყორცნე და აგერ ახლა დაბრუნდა ქვევით, — უთხრა უცნობმა.

— ოჰ, ძალიან ძნელი საქმე გიქნიაო! — უთხრა სიზმარამ.

— ეჰ, რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომება!

— მე ვარ სიზმარა, შენც ჩვენთან წამოდიო!

წავიდნენ ექვსნი. ნახეს, ერთი კაცი მტრედებს მიპარვია, ფრთებს აძრობს და ერთის ფრთას მეორეს უკეთებს, მეორისას — მესამეს, მესამისას — მეოთხეს და მტრედები კი ვერას იგებენ.

— უჰ, ძალიან ძნელი საქმე არ არის, მტრედები ვერ გებულობენ, ფრთებს ისე უცვლი?

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო და მეორეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, აბა, შენც ჩვენი ძმა იყავიო!

წავიდნენ შვიდნი. ნახეს, ერთ მღვდელს ეკლესია აეკიდა და სადაც უნდოდა, იქ დადგამდა და წირავდა.

— ოჰ, მღვდელო, მღვდელო, სწორედ ძალიან დიდი საქმეა, მაგოდენა ეკლესიას, რომ დაარბენინებ?

— ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, აბა, შენც ჩვენი ძმა იყავიო! — უთხრა სიზმარამ.

წავიდნენ რვანი. მივიდნენ აღმოსავლეთის ხელმწიფესთან და ქალი სთხოვეს. ამ ხელმწიფემ უთხრა:

— ჯერ გამოგცდით, რა კაცები ხართ და მერმე ქალს მოგცემთო. სამ დღეს ჩემს ხაბაზებს პურს ვაცხობინებ და თუ ერთ დღეს შეჭამთ, ხომ მოგცემთ ქალს, თუ არადა, თავებს დაგაყრევინებთო!

— არიქა, — უთხრეს ბელტიყლაპიას, — კაცო, თუ იმოდენა ბელტებსა ყლაპავდი, ამ გამტკიცულ პურს როგორ ვერ შეჭამო?

— თქვენ არხეინად იყავით, ისე შევჭამ, რომ ერთი ნამცეციც არ დარჩეს, — თქვა ბელტიყლაპიამ.

მრავლის უმრავლესი პური გამოაცხვეს, მაგრამ ბელტიყლაპიას ერთი ნატეხიც არ დარჩენია.

— კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ, — ახლა კიდევ ღვინოს დაგალევინებთ. თუ ჩემს ექვსურმიან ქვევრს ერთ დასხდომაზე დაცლით, ხომ მოგცემთ ქალს, თუ არადა, თავებს დაგაყრევინებთო!

— აბა, ძმაო, ზღვახვრეპიავ, თუკი იმ მლაშე წყალსა ხვრეპავდი, ამ ღვინოს განა ვერ დალევ?

— თქვენ მიმიყვანეთ და მე ვიციო!

ზღვახვრეპია ქვევრთან მიიყვანეს, დახედა ქვევრს, გაიცინა და თქვა:

— აბა, ხრუპი ვქნა, ხრაპი არ არის და სრაპი ვქნა, სრუპი არ არისო!

დაეწაფა ქვევრს და სულ ამოსრუპა.

— კარგიო, — თქვა ხელმწიფემ, — ახლა მოდით და სამი დღის სავალიდან წყალი მოვატანინოთ; თქვენ თქვენი კაცი გაგზავნეთ, მე ჩემ კაცს გავგზავნი. თუ ჩემმა კაცმა მოასწრო, არც ქალს მოგცემთ და თავებსაც დაგჭრით. თუ თქვენმა კაცმა მოასწრო, მაშინ ჩემი ქალი წაიყვანეთ!

ახლა, კურდღელს რომ იჭერდა, იმას უთხრეს:

— კაცო, ფეხებზე წისქვილის ქვებწამოცმული კურდღელს იჭერდი, წყალს მალე როგორ ვერ მოიტან?

— ოღონდ გამგზავნეთ და მე ვიციო!

წავიდნენ ისა და ხელმწიფის კაცი. ერთი დღე ირბინეს. ჩამორჩა უკან ხელმწიფის კაცი, ქვებიანი კი მირბის და მირბის. ხელმწიფის კაცმა ხერხი მოიგონა, დაუძახა და უთხრა:

— კაცო, მოიცა, ნელა წავიდეთ, თავს რისთვის ვიხოცავთ, ცოტა შევისვენოთ და ისე ვიაროთო!

ამანაც დაუჯერა. დასხდნენ, პური ჭამეს, ღვინო დალიეს. პურის ჭამის დროს ხელმწიფის კაცმა ქვებიანს ღვინის მაგივრად ბანგი შეაპარა.

დაწვა ქვებიანი და დაეძინა. ხელმწიფის კაცი კი წავიდა, ორი დღის სავალი გზა გაიარა, მივიდა წყალთან, ააესო ჭურჭელი და გამოიარა კიდეც ერთი დღის სავალი გზა. ქვებიანს კი ისევ სძინავს.

სიზმარამ მეისრეს უთხრა:

— აბა, ერთი გაიხედე და გაიგე, ის კაცი მოდის, იქვე არის, თუ რა დაემართა?

გაიხედა და თქვა:

— ვაიმე, ვაიმე, ჩვენს კაცს შუა გზაზე სძინავს და იმათ კაცს კი ჭურჭელი აუვსია და მოდის.

— აბა, თუ გვიშველი რასმე! — შესძახა ყველამ.

მეისრემ მშვილდ-ისარი მომართა, გატყორცნა და ისარი წისქვილის ქვას მოახვედრა. დაიმსხვრა ქვა; გამოეღვიძა მძინარეს, წყლისაკენ

მოკურცხლა, ჭურჭელი წყლით ააავსო და ერთი დღის სავალი კიდევ მოასწრო ხელმწიფის კაცს.

— ახლა კი დაიწერეთ ჯვარი! — უთხრა ხელმწიფემ.

სიზმარამ მიწის მხვნელს მისცა ქალი.

წაიყვანეს და ჯვარი დასწერეს. იმ ღამეს ხელმწიფემ კარგი ნადიმი გამართა. მაგრამ თავის კარისკაცებს ჩუმად უთხრა:

— სტუმრების კერძში ისეთი წამალი ჩაყარეთ, ყველანი მოიწამლონ და დაიხოცონო!

ამ საიდუმლო ლაპარაკს ყური მოჰკრა ჭიანჭველების მოსამართლე და ეს ამბავი, მტრედებს რომ ფრთებს უცელიდა, იმას უთხრა. ამანაც ისე შეუცვალა თეფშები, რომ მეფის ხალხმა ვერაფერი გაიგო რა და, ვინცა ჭამა, ყველა დაიხოცა.

— ახლა მოიყვანეთ ისეთი კაცი, რომ ჩემი ქალის მზითევი დაძრასო! — თქვა ხელმწიფემ.

— არიქა, მღვდელო, გვიშველე. თუკი იმოდენა ეკლესიას დაარბენინებდი, ამ მზითევს როგორ ვერ დასძრავ?

— თქვენ დარდი ნუ გაქვთ, — თქვა მღვდელმა, — მზითევს კი არა, თუ გინდა, თქვენც ზედ დასხედით, ყველას წაგიღებო!

აჰკიდეს მღვდელს მზითევი, ის იძახის: მოიტათ, მოიტათო! წამოვიდნენ ყველანი და შინ მშვიდობით მიეიდნენ. ყველამ თავ-თავისი ადგილი მონახა და საქმეზე დადგა.

ამ მოგზაურობაში გავიდა ხუთი-ექვსი წელიწადი. სიზმარას ქალ-ვაჟი უკვე დიდები გამხდარიყვნენ. როცა სიზმარა თავის ხელმწიფე სიმამრთან მივიდა, ცოლი ერთ მხარეს მოისვა, ქალიშვილი — მეორეს, ვაჟიშვილმა აიღო ოქროს სურა, თავის მამას წინ ოქროს ტაშტი დაუდგა და ხელ-პირი დააბანინა.

— აი, ეს მზეა და ეს მთვარეო! — მოახსენა სიზმარამ და მოხვია ხელები ცოლ-შვილს. — აი, ეს კიდევ შუქურვარსკვლავია, ხელ-პირს რომ მაბანინებს. აბა, ესენი როგორ მოგცე შენო!..

ხელმწიფემ თავისი ტახტი დაულოცა და თავისი სამეფო გვირგვინიც იმას გადასცა.

ფ ი ს ა ს ო

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟი და სამი ქალი.

როდესაც ხელმწიფე კვდებოდა, შვილებს უანდერძა:

— შვილებო, ეს მთელი ჩემი სახელმწიფო თქვენთვის დამილოცნია: როგორც გსურდეთ, ისე მოუარეთ. მაგ სამ ცოდვის შვილს კი ნუ გამიუბედურებთ, — ვინც პირველმა გთხოვოთ, იმას მიეცითო!

ამასთანავე უმცროს შვილს მისცა ერთი თვალი და უთხრა, რომ უბედურების დროს დაგიხსნისო. შვილებს აჩვენა ერთი შავი მთა და უთხრა:

— იმ მთაზე ნუ წახვალთ. წითელსა და თეთრ მთაზე კი შეგიძლიათ ნადირობაო!

მოკვდა ხელმწიფე. დამარხეს, როგორც ხელმწიფეს შეეფერებოდა და იგლოვეს.

გავიდა ორი თვე. ერთ დღეს, კარებზე რომ დიდი ქვა იდო, იმაზე ბუ შემოჯდა. ძმებს კაცი შეუგზავნა და სთხოვა და ცოლად.

ძმებმა, უფროსმა და შუალამ, კეტებს მოავლეს ხელი, წაეთრიოს იქვე, საიდანაც მოთრეულა, ჩვენს დას ბუს როგორ მივცემთო!

უმცროსმა ძმამ კი მოაველო უფროს დას ხელი: მამის ანდერძს ვერ გავტეხო და მისცა ბუს.

ბუმ შეისვა მხრებზე ქალი და გაუდგა გზას.

მეორე დღეს მოვიდა მგელი. უფროსმა ძმებმა ისეთივე პასუხი მისცეს, როგორც ბუს. უმცროსმა კი გამოუყვანა და და მისცა.

სიტყვა რაღა გავაგრძელოთ, მესამე დღეს შავარდენი მოფრინდა და უმცროსმა ძმამ უმცროსი და მისცა. შავარდენმა შეისვა ქალი მხარზე და ღრუბლებში აფრინდა.

რაკი დები დაათხოვა, უმცროსმა ვაჟმა იფიქრა, მამის ეს ერთი ანდერძი ხომ არ გავტეხე, მოდი და ერთი იმ შავ მთაზე კი წავალ და ვნახავ, რა არის იქ ისეთი, რომ კაცის მავნებელი იყოსო.

მართლაც, ადგა, ჩაიცვა ჯაჭვი, აისხა აბჯარი, შეჯდა ცხენზე და გასწია სანადიროდ. მთელი დღე ინადირა შავ მთაზე, ვერსად სულიერი და ვერსად მცენარე ვერა ნახა, ვერც ვერაფერი მოკლა. იმ ღამეს იქ დადგა.

მეორე დღეს იარა კიდევ და, ბოლოს, ერთი ტბა ნახა. შუა ტბაში ერთი ბატი დაცურავდა. კაცს ეგონებოდა, ან ფეხები ექნება დამტვრეული და ან მხრებიო.

ვაჟმა იფიქრა, რადგან სხვა ვერაფერი მოვკალ, ვეცდები, ეს ბატი მაინც მოვკლა, თორემ შიმშილი ყელს ამომწვავსო. ვაჟმა ტბას მიაშურა და ბატს თოფის სროლა დაუწყო. მაგრამ ვერ მოარტყა. თოფის გასროლაზე ის ჩაყურყუმელავდებოდა, აქა და იქ, შორს სადმე აღმოჩნდებოდა. ვაჟმა

იმდენი ესროლა, რომ ტყვია-წამალი სულ გაუთავდა, მაგრამ მაინც ვერ მოარტყა. ბოლოს, შეჯდა ცხენზე და გამოუდგა ცხენდაცხენ დასაჭერად, მაგრამ ბატი ისე დაცურავდა, რომ ეშმაკიც ვერ დაიჭერდა: ხან წინ გაუცურდებოდა ცხენს, ხან უკან მოექცეოდა, ხან ფეხქვეშ, ხან შორს გაუცურდებოდა. ბოლოს ბატმა ვაჟი ტბაში კარგა შორს შეიტყუა. უცებ ცხენი და კაცი ჩაილუპა ტბაში. რაღაც განგებით ვაჟი უკან გამოცურდა, მაგრამ ცხენი და აბჯარი სულ იქ დარჩა. ტბიდან ვაჟი გაწუწული და მშიერი გამოვიდა. ის იყო, ღამდებოდა კიდევაც. შორს, სადღაც ტყეში, ცეცხლი გამოჩნდა. ვაჟმა გასწია ცეცხლის შუქზე.

იარა, იარა და ბოლოს, ბუების სოფელში მივიდა. ბუები ხნავდნენ და თესავდნენ. ვაჟი მივიდა იმათთან და მიესალმა:

— გამარჯობათ, ბუებო, ბუს ქვეყნისანო! ან სალამი, ან გამარჯობა არ იცით? ან ბატონი არა გყავთ?

ბუები კაცები ყოფილიყვნენ, მაგრამ ბუების ტყავები კი ეცვათ.

— გამარჯობაც ვიცით და ბატონიცა გვყავს! — უპასუხეს ბუებმა. — ჩვენმა ბატონმა ახლა ამომავალი ხელმწიფის ქალი მოიყვანა და ყველანი გახარებული ვართ!

— აბა, ერთი მაჩვენეთ, სად არის თქვენი ბატონის სახლი! — უთხრა ვაჟმა.

ერთი დიდი ლამაზი სახლი უჩვენეს. ვაჟმა გასწია მეფის სასახლისაკენ და შორიდანვე იცნო თავისი უფროსი და. და ჩამოეგება ძმას, გადაეხვია და კოცნა დაუწყო. დასხდნენ ტკბილად და ერთმანეთს ამბავი გამოკითხეს.

საღამო რომ მოახლოვდა, დამ უთხრა ძმას:

— ძმაო, ახლა შენ სხვა ოთახში უნდა გახვიდე. ბუთ ბატონი რომ მოვიდეს, ვაითუ ან კლანჭი გამოგკრას და ან ნისკარტიო.

საღამოზე მოვიდა ბუ. გადიძრო ბუს ტყავი და გამოჩნდა მშვენიერი ვაჟკაცი. ცოლს რომ მიესალმა, უთხრა: სულიერის სუნი მომდისო!

— შენ იფრინე ქვეყანაზე, შენ მოგყვებოდა კაცის სუნი, აქ სხვას რა უნდაო! — უთხრა ცოლმა.

შემდეგ ცოლმა ჰკითხა:

— ახლა რომ აქ ჩემი ძმა იყოს, რას უზამ?

— უფროსს და შუალა ძმას თვალებს გამოვჩიჩქნი, უმცროსს კი გადაეხვევი და ვაკოცებ.

— აქ არის ჩემი ძმა, — უთხრა ცოლმა და გამოუჩინა უმცროსი ძმა.

ბუ გადაეხვია თავის პატარა ცოლისძმასა და კოცნა დაუწყო. ბოლოს, მოსვლის მიზეზი გამოჰკითხა. ვაჟმაც ყველაფერი უამბო, რაც დაემართა. ბუმ უთხრა:

— მე სამი წელი ვდიე იმ ბატს, — ის ბატი ქალია, — მაგრამ ხელთ ვერ ვიგდე და, აბა შენ რას დაიჭერდი?

— მაშ ვერაფერს გავხდები? — ჰკითხა ვაჟმა.

— მე ვერაფერს გიშველი, — უთხრა ბუმ, — და იქნება მგელი დაგეხმაროსო.

ვაჟი მგელთან მივიდა. მგელმაც უთხრა:

— ორი წელი ვცდილობდი იმის დაჭერას, მაგრამ ვერაფერს გავხდი. იქნება შავარდენი დაგეხმაროსო.

ვაჟი წავიდა შავარდენთან. შავარდენმაც დიდი სიხარულით მიიღო. როდესაც ცოლისძმამ უამბო თავისი თავგადასავალი, შავარდენმა უთხრა:

— მაგ ბატს ტყუილად სდევ; ეგ ბატი მზეთუნახავია და ბატის ტყავით დაცურავს. მე ერთი წელიწადი ვდევდი, ცაზე ავდიოდი, იქიდან დავიხუჭებდი, მაგრამ ბატი, როგორც კი დაინახავდა მხრის შენძრევას, ტბის ძირს ჩაცურდებოდა. იმას ვერავინ დაიჭერს. ერთი დევია, მას ცალი გვერდი გამხმარი აქვს და ცალი ხალი. თუ ეცოდინება, იმას ეცოდინება ბატის გარემოებაო.

ვაჟი მაშინვე წავიდა იმ დევთან. ბევრი ხიარულის შემდეგ დაინახა, რომ ერთ გორაზე ხესავით უზარმაზარი კაცი აყუდებულა. ვაჟმა მოუარა დევს გამხმარი გვერდიდან და უთხრა:

— გამარჯობა მამავ!

— აქეთ მოდი, — უთხრა დევმა, — მამობა რომ არ გეთქვა, შენი საქმე ცუდად იქნებოდა! რა გაგიჭირდა, რომ ჩემთან გაბედე მოსვლა?

ვაჟმა უამბო თავისი თავგადასავალი. დევმა უთხრა:

— მე დევების ხელმწიფე ვიყავ. რეა ცოლი მყავდა, მაგრამ, რადგანაც ეგ ბატი ლამაზი ქალი იყო, მაგის მოტაცებაც მოვინდომე. აქედან იმის სახლი კარგა დიდ მანძილზეა; ღამე ტბიდან შინ ბრუნდება. მიეედი იმის სახლში და დავიმალე. მინდოდა მოტაცება, მაგრამ გამიგო: ამიტეხა ქარი და სეტყვა, გამოვექეცი. ის იყო, იმის საზღვარს უნდა გადმოვსულიყავ, ერთი ფეხი ჩემს მიწაზე მედგა, რომ დამკრა ქარი და გამაქვავა. ახლა ვინც იმ ქალთან მივა, თუ სტუმრულად არის, ქალი არაფერს ეტყვის; ვისაც იმისი ცოლად შერთვა უნდა, იმან სამი სიტყვა უნდა ათქმევინოს და იმას გაჰყვება ცოლად; თუ ვერ ათქმევინა, თავს მოსჭრის. ნეტავი მე კი გავექვავებინე და ჩემს მიწაზე ფეხი არ გადმომედგა, რომ ტანჯვას მოვრჩენილიყავ!

ვაჟმა მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და მივიდა იმ ქალის სახლში. შევიდა და წამოწვა ტახტზე იმედით, რამდენი ზღაპარი და ლექსი ვიცი, განა ვერ ვათქმევინებ რასმეო!

საღამოზე მოვიდა ქალი და დაწვა ვაჟის პირდაპირ. ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ ვაჟს სულ დაავიწყდა, თუ სადმე ან გაეგონა, ან ენახა რამე.

მიდიოდა დრო და ვაჟი მაინც ვერაფერს ამბობდა. ბოლოს ვაჟმა თქვა გულში: ეს ღამე მიდის და ხვალ თავს მომჭრიან, თუ არაფერი მოვიგონეო.

ამ დროს ვაჟს მოაგონდა მამის მიცემული თვალი და თქვა, რაღა ოხრად მინდა ან თვალი და ან სხვა რამე, თუკი ახლა ვერაფერს მიშველისო.

ამოიღო თვალი და უთხრა:

— აბა, ახლა მიშველეო!

ქალს ფეხებთან სანთელი ედგა. ვაჟმა თვალი სანთელთან დადო. თვალმა უთხრა სანთელს:

— ფისასო, ხომ ხედავ, ჩვენი ბატონები შეწუხებულები არიან, მოდი, ზღაპარი ვთქვათ და შევაქციოთ.

— რა ვთქვათ? — უთხრა სანთელმა, — საღამოზე ამანთეს, თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდე დავდნები.

— მაშ კარგი, — უთხრა თვალმა, — მე გეტყვი.

თვალმა დაიწყო:

— ერთი მღვდელი, ერთი თერძი და ერთი დურგალი მიდიოდნენ. გზაზე ერთ ტყეში დაულამდათ, დაანთეს ცეცხლი და დადგნეს. როდესაც დასაძინებლად მოემზადნენ, თქვეს, მხეცმა რომ არაფერი გვაკნოს, ვიყარაულოთო.

წილი ყარეს. პირველად დარაჯობა დურგალს შეხვდა. როდესაც მღვდელსა და მკერავს დაეძინათ, დურგალმა, რომ არ დასძინებოდა, ამოიღო თავისი იარაღები, გააკეთა ერთი მშვენიერი ხის ქალი და მიაყუდა ხეზე.

როდესაც დურგლის ვადა გავიდა, დარაჯობა თერძმა დაიწყო. მან ხეზე აყუდებული ხის ქალი დაინახა, რომ არ დასძინებოდა, ამოიღო თავისი იარაღები და შეუკერა მშვენიერი ტანსაცმელი, შემოსა დედოფალივით და ხეზე მიაყუდა.

დარაჯობა მღვდელს ერგო. მღვდელმა ხეზე მიყუდებული ქალი დაინახა, იფიქრა: ეშმაკი თუ არისო და დაუძახა:

— ვინა ხარ, ეშმაკი თუ კაციო?

ქალი ხმას არ სცემდა.

— შე წყეულო, ვინა ხარ? — გაუმეორა მღვდელმა.

ქალმა პასუხი არ გასცა.

მღვდელი გულადი იყო. მიეიდა, მოჰკიდა ხელი, ცეცხლში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ხელში ხის ქალი შერჩა. მღვდელი მაშინვე მისვდა ყველაფერს. ამოიღო ჯვარსახარება და დაიწყო ლოცვა. ილოცა დიდხანს და ქალი გააცოცხლა.

— ახლა, ფისასო, ვის ეკუთვნის ის ქალი, — ჰკითხა თვალმა, — დურგალს, თერძს, თუ მღვდელს?

— მე რა ვიცი, თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდე გავთავდები, — უპასუხა სანთელმა, — მე რა იმის ჯავრი მაქვს!

ამ დროს წამოიწია ქალმა და გაჯავრებულმა უთხრა სანთელს:

— შე წყეულო, ისე იქცევი, თითქოს ჯერ ჩემთან არა ყოფილიყო! უთხარ, რომ იმას, ვინც წინ-წინ შეუდგა საქმეს. დურგალს რომ არ დაეწყო, ან თერძი ვის რას ჩააცმევდა და ან მღვდელი ვის ჩაუდგამდა ხელსაო...

— ეს ერთიო, — თქვა ვაჟმა.

— აბა, ფისასო, ახლა შენი ჯერია! — უთხრა თვალმა სანთელს.

— რა ზღაპრისა მცხელა? — უპასუხა სანთელმა, — თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდის გავთავდები!

— მაშ, ისევ მე გეტყვი, — თქვა თვალმა და დაიწყო:

— გზაზე სამი კაცი მიდიოდა: ფეხმარდი, გულთმისანი და აქიმი. ფეხმარდს სარბენად გული ერჩოდა. გულთმისანს უთხრა: თუ ძმა ხარ, ერთი ჩაიხედე საწუთროს ჯამში, იქნება ვინმე იყოს ავად, ეს აქიმი წამალს მოამზადებს, მე გავაქცევ და მოვარჩენთო!

გულთმისანმა ჩაიხედა ჯამში და თქვა: ერთ ქვეყანაში ხელმწიფის შვილი კვდება და ის შეგვიძლია მოვარჩინოთო!

აქიმმა მაშინვე მოამზადა წამალი, ფეხმარდმა ფეხებიდან დოლაბები მოიყრეინა და ხელმწიფისაკენ მოუსვა. მიუტანა წამალი და მოარჩინა ხელმწიფის შვილი! ახლა შენ მითხარი, ფისასო, ვინ მოარჩინა ის ხელმწიფის შვილი?

— მე რა ვიცი, — უპასუხა ფისასომ, — ხომ ხედავ, ჩემი დარდი მაქვს, ვიწვები!

— შე წყეულო, უთხარ, რომ იმან, ვინც წამალი მიუტანა, — დაუძახა გაჯავრებულმა ქალმა სანთელს.

— ეს მეორეო, — თქვა ვაჟმა.

— აბა, ახლა შენა თქვი, ფისასო, — მიუბრუნდა თვალი სანთელს, — სულ მე ვლაპარაკობ და შენ კი არაფერს ამბობ.

— რა ლაპარაკისა მცხელა, — უპასუხა სანთელმა, — თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდის ჩამოვდნები.

— მაშ, უკაცრავად ნუ ვიქნებით, — თქვა თვალმა, — და ერთს კიდევ ვიტყვი.

დაიწყო.

— გზაზე ერთი კაცი მიდიოდა ცოლითა და ცოლისძმით. წინ ყაჩაღები დახვდნენ, გაძარცვეს, დასჭრეს თავები კაცებს და დაყარეს. ქალი ცალკე ქმარზე ტიროდა, ცალკე ძმაზე. ღმერთს შეესმა ქალის ტირილი და გამოგზავნა ორი ანგელოზი:

— წადით, უშველეთ რამეო!

ანგელოზები მოფრინდნენ, დასხდნენ მტრედებივით მკვდრების ახლომდგომ ხეზე, ჩააგდეს ერთი შტო და თქვეს: მაგ ქალს რომ ესმოდეს და იმ შტოს მკვდრებს წაუსვამდეს, ხომ გაუცოცხლდებოდნენო!

ქალმა აიღო ეს შტო და მოუსვა მკვდრებს. მკვდრები გაცოცხლდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, ქმრის თავი ძმას მოება და ძმისა — ქმარს.

— ახლა შენ მითხარი, ფისასო, ვის უნდა დარჩეს ის ქალი?

— მე რა იმათი ჯავრი მაქვს, — უპასუხა ფისასომ, — ხომ ხედავ, გავთავდი. თავზე ცეცხლი მეკიდება და გონი მერევაო!

— აი, შე წყეულო, — უთხრა ქალმა და ადგა, — განა შენ ჩემ ხელში არა ყოფილხარ, რომ ვერაფერს ეუბნები? უთხარ, რომ იმის ცოლი იქნება, ვის ტანზედაც ქმრის თავია მიბმული.

— ესეც მესამეო! — დაიძახა ვაჟმა, — შენ ჩემი ცოლი იქნებიო, და ქალს მოეხვია

გადაიხადეს ქორწილი და ზღაპარიც აქა თავდება.

მონადირე და დიდი არწივი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი მონადირე.

ერთხელ მინდორში ნადირობდა, ნახა, სამ მუხაზე ერთი დიდი არწივი იჯდა, სამივე მუხა ეჭირა. მოზიდა მონადირემ მშვილდი, დაუმიზნა ისარი.

არწივმა უთხრა:

— ნუ მომკლავ, მხარი მაქვს მოტეხილი, წამიყვანე შინ, ბარტყი ვარ, მომიარე, მოიარჩინე, ბოლოს მეც გამოგადგებიო!

მონადირემ აღარ მოკლა, თან წაიყვანა.

ცოლს ძალიან ეწყინა, ჩვენთვის არაფერი გვაქვს, მაგას რა ვაჭამოთო.

მართლაც, ისეთი ღარიბები იყვნენ, კბილის გამოსაჩიჩქნი ჩხირიც კი არა ჰქონდათ.

ორ კვირას უწამლა, მორჩენა დაეტყო.

არწივმა უთხრა მონადირეს:

— წამიყვანე მუხებთანაო!

მონადირემ წაიყვანა. დაუქროლა არწივმა და ერთი მუხა ძირიანად მოგლიჯა და სამი მთის იქით გადაისროლა. მონადირეს უთხრა:

— კიდევ წამიყვანე, ცოტა კიდევ მაკლიაო!

მონადირემ ისევ წამოიყვანა. ორ კვირას კიდევ ჰყავდა.

შემდეგ არწივმა უთხრა:

— წამიყვანე მუხებთანაო!

მონადირემ წაიყვანა. დაუქროლა არწივმა, მოგლიჯა მეორე მუხა და ცხრა მთას იქით გადააბზრიალა.

არწივმა კვლავ უთხრა:

— ცოტა კიდევ მაკლია მორჩენა, წამიყვანე ცოტა ხანსაო!

მონადირემ ისევ წაიყვანა, ცოლი ძალიან გაუწყრა:

— ჩვენთვის არაფერი გვაქვს, ეგ რაღად მოათრიეო!

არწივი ორი კვირა კიდევ იყო. მონადირე წამლებს აღებდა და მხარს უხვევდა.

ორი კვირის შემდეგ სრულებით გასაღდა და მონადირეს უთხრა:

— ახლა წავიდეთ მუხებთანაო!

წავიდნენ. დაუქროლა არწივმა და მესამე მუხა სრულებით გადაკარგა. ველარ გაიგეს, სად გადავარდა.

მაშინ არწივმა უთხრა:

— ახლა კარგადა ვარ, უნდა შემაჯდე მხრებზე, ერთი დაკლული ხარი თან წამოიღე, ჩემს დედ-მამასთან წაგიყვან და დაგასაჩუქრებენ. ამას კი გეტყვი, რაც უნდა გაძლიონ, არ გამოართვა; სთხოვე, თქვენ რომ ჟანგიანი ყუთი გაქვთ, ეგ მომეცით-თქო!

წავიდა მონადირე, დაკლა ერთი ხარი, დაუდო არწივს მხრებზე და თვითონ ზედ შეაჯდა. არწივი აფრინდა და წავიდა სულ მაღლა და მაღლა. რამდენიც შემოტრიალდებოდა, მონადირე იმდენ ნაჭერ ხორცს ჩაუდებდა პირში.

ის იყო მივიდნენ, რომ ხორციც გაუთავდა. გამოიჭრა კანჭიდან მონადირემ ხორცი და შეაჭამა.

— ოჰ, ეს რა გემრიელი რამე შემაჭამეო! — უთხრა არწივმა.

ბინაზე რომ მივიდნენ, გადმოსვა დაბლა და მონადირემ კოჭლობა დაიწყო.

- რაღა კოჭლობ? — ჰკითხა არწივმა.

— წელან შენ რომ თქვი, ეს რა გემრიელი რამ შემაჭამეო, ის ჩემი ხორცი იყო: ხარის ხორცი გამითავდა და კანჭიდან გამოვიჭერიო.

არწივმა მოუსვა ფრთა და გაუმთელა.

მონადირე დედასთან მიიყვანა. დედას უთხრა:

— დედავ, მხარმოტეხილი ვიყავ, ამ კაცმა სიკვდილს გადამარჩინა და რაც ისურვოს, ყველაფერი მიეცითო!

არწივის დედამ გადმოუღო და გადმოუღო მონადირეს ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, ჩასაცმელი და დასახური, მაგრამ კაცმა არაფერს ხელი არ მოჰკიდა.

— მაშ რა გინდა? — ჰკითხა არწივის დედამ.

— თქვენ რომ ჟანგიანი ყუთი გაქვთ, ის მომეცით, — უპასუხა მონადირემ.

არწივის დედამ კიდევ ძვირფასი და ძვირფასი საჩუქარი გადმოუღო. მონადირე აღგა და წასვლა დააპირა.

— მოდი, მოდი წაიღე, - დაუძახა ისევ არწივის დედამ.

გადმოუღო კიდევ ძვირფასი და ძვირფასი რამე, ყუთი კი არ მისცა. მონადირე კიდევ წამოვიდა.

- მოდი, მოდი წაიღე, - დაუძახა ისევ არწივის დედამ.

მობრუნდა მონადირე. კიდევ ძვირფასი და ძვირფასი რამეები გადმოუღო, ყუთს მაინც არ აძლევს.

მონადირემ მაინც სხვას არაფერს მოჰკიდა ხელი.

მესამედაც დაუძახა არწივის დედამ და მისცა ყუთი.

უთხრა:

— სანამ შინ მიხვიდე, არამც და არამც არ გახსნა, თორემ ძალიან ინანებო!

შეისვა არწივმა მონადირე მხრებზე და ისევ ძირს ჩამოიყვანა.

მიდის მონადირე, მოაქვს ყუთი, იფიქრა: იქნებ იმათ მომატყუეს და ცარიელი ყუთი მომცეს. ვნახავ, რა არის შიგ! იქნება ისეთი რამე დევს, რომ მომკლასო.

გახსნა. ამოვიდა და ამოვიდა ღუქან-ბაზარი და სასახლეები, გაიჭიმა უზარმაზარი ქალაქი, გაჩაღდა ბაზრობა, გარბიან და გამორბიან ვაჭრები, ერთი ხუმრობა და ამბავია.

მონადირე კი დგას და შესცქერის. უნდა ყუთი დაკეტოს, მაგრამ ვერა კეტავს. იცემს გულში ხელს, იბღვნის თმასა.

ამ დროს ჩამოიელის ერთი დევი, ჰკითხავს:

— რადა სტირი, კაცოო?

— რას არა ვტირი, ყუთი გავხსენ, ეს ქალაქი იქიდან ამოვიდა და ველარ დავხურეო!

— რას მომცემ, რომ დავხურო, ხომ მომცემ იმას, რაც შენ არ იციო.

— მოგცემო, — უთხრა მონადირემ.

მონადირის ცოლი ორსულად იყო და სანამ მონადირე დაბრუნდებოდა, მის ცოლს ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა, მონადირემ კი არა იცოდა რა.

დევმა ყუთი დაუხურა. ქალაქიც აიკრიფა და ისევ ისეთი ადგილი დარჩა, როგორიც წინათ იყო.

— ამა და ამ დროს მე ჩემსას მოვიკითხავ და გამომიგზავნეო! — უთხრა დევმა.

კაცი წავიდა, გახსნა შინ ყუთი. ამოვიდა და ამოვიდა ისევ დუქან-ბაზარი და სასახლეები. გაიმართა ქალაქი. ეს კაცი ქალაქის პატრონია, მაგრამ შვილი აღარდებს: დევს უნდა გაუგზავნოს, არ ასცილდება.

როცა ვაჟი მოიზარდა, ადგა და დევთან წავიდა. იარა, იარა და გზაზე ერთი დედაკაცი შეხვდა.

— სად მიდიხარ, შვილო? — ჰკითხა.

— დევთან მივდივარ უნდა შემჭამოს, — უპასუხა.

— შვილო, — უთხრა დედაკაცმა, — რომ მიხვალ, წყალს ნახავ, იმ წყალზე დევის ქალები ჩამოდიან საბანაოდ. შენც იქვე დაიმალე. ზევით რომელიცა ღგას — უფროსია, იმის ქვემოთ რომ ღგას — შუალაა, და ბოლოს რომაა — ის უმცროსია. იმას დაუმალე ტანისამოსი, გამოვა, იმისი დები წაელენ და ის ტიტველი რაღას იზამს? რაკი ტანისამოსს არ მისცემ, შენი ცოლი გახდება, მერე კი ის გიხსნის გაჭირვებიდანო.

ვაჟი ისე მოიქცა, როგორც იმ დედაკაცმა დაარიგა. მივიდა წყლის პირს. ჩასაფრდა. როცა ქალები მოვიდნენ, ბანაობა დაიწყეს, ვაჟი მივიდა და უმცროსი ქალის ტანისამოსი აიღო.

გაათავეს ქალებმა ბანაობა. გამოვიდნენ, უფროსებმა ჩაიცვეს, გასწიეს. უმცროსმა ვერ იპოვა ტანისამოსი და დაიძახა:

— ვინა ხარ, გამოჩნდი, შენ — ძმა და მე — დაო!

ვაჟი არ გამოვიდა.

ბოლოს ქალმა დაიძახა:

— გამოჩნდი ვინა ხარ, ჯანი გაგვარდეს, შენ ქმარი და მე — ცოლიო!

მაშინ გამოვიდა ვაჟი და მისცა ტანისამოსი.

ქალმა შეხედა, ეს ოქროსქოჩრიანი ვაჟი ძალიან მოეწონა, უთხრა:

— რად მოსულხარ აქაო.

— მამაშენის ლუკმა ვარ, — უთხრა ვაჟმა, — უნდა შემჭამოსო!

— ნუ გეშინია, — უთხრა ქალმა, — როცა გაგიჭირდეს, მე შემატყობინეო!

მივიდა ვაჟი დევთან.

დევმა უთხრა:

— ერთ რამეს შეგიკვეთ ღა, თუ არ აასრულე, იცოდე, შეგჭამ: ჩემი ეზო სულ ოქროს ქსოვილით უნდა დაფინო!

წამოვიდა ვაჟი ცოლთან დაღონებული:

— მამაშენმა ასე და ასე მიბრძანაო!

— წადი, შენ დაიძინე და მე ვიციო! — უთხრა ქალმა.

იმ დამეს ქალმა დაიბარა თავისი კაცები და სულ ძვირფასი ოქროს ქსოვილით დააფენინა ეზო-კარი.

დილით უთხრა ქმარს:

— მოდი, დაჯექ და დაუწყე სწორება, ვითომ შენ დაფინეო!

გამოვიდა ვაჟი და ასწორებს ოქროს ქსოვილებს. რალა იქნებოდა?!

მეორედ უბრძანა:

— ხვალისათვის ისეთი სასახლეები უნდა დამიდგა, რაც ხელმწიფეს ეკადრებოდესო!

წავიდა ვაჟი ცოლთან. ცოლმა უთხრა:

— შენ წადი, არხეინად დაიძინე, მე თვითონ ვიცი!

წავიდა ვაჟი, დაიძინა.

ქალმა დაიბარა თავისი კაცები და უბრძანა, აბა, როგორ მარდად მოიქცევით, თქვენი იმედი მაქვსო.

დილისათვის ისეთი სასახლეები დადგეს, კაცს თვალს სტაცებს. ქალმა ქმარს უთხრა:

— ადი ზედ, აიტანე ჩაქუჩი, ვითომ რაღაც დაგკლებია და აკაკუნეო! ავიდა ვაჟი სასახლეზე, უჭირავს ჩაქუჩი და აკაკუნებს.

გამოვიდა დევი, ნახა მშვენიერი სასახლეები დაუდგამს. ტუჩზე იკბინა, მაგრამ რალა იქნებოდა?!

მერმე უთხრა:

— ერთი ცხენი მყავს გასახედნი და ის უნდა გამიხედნოო!

— კარგიო, — უთხრა ვაჟმა.

წამოვიდა ცოლთან. ცოლს უთხრა:

— მამაშენს გასახედნი კვიცი ჰყოლია, ის უნდა გავუხედნოო!

— აქამდე არაფერი, საქმე ახლა არის, — უთხრა ცოლმა, — თვითონ მამაჩემი იქცევა კვიცად და იმას უნდა უმზერო. მე ერთ ლაგამს მოგცემ, ის ლაგამი ამოსდე იმას პირში, თან ერთი რკინის კვერი წაიღე: აღმა აფრინდეს — თავში სცემე, დაღმა წავიდეს — ცხვირში. ნუ შეიბრალებ, რაც ძალა და ღონე გქონდეს. მაგრად დაჰკარ, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებსო!

მეორე დღეს წაიღო ლაგამი და ჩაქუჩი ვაჟმა. შეეჯდა კვიცზე და გაფრინდა ცხენიც ცისკენ. რამდენსაც ის ცხენი ზევით აიწევდა, იმდენს დაუშვნიდა ვაჟი თავში კვერს; ძირს დაეშვებოდა და ახლა ცხვირში სცემდა. ისე მოღალა, ისე, რომ არაქათი გამოელია და დადგა ცხენი.

ვაჟმა მოიყვანა დევის კარებზე, შეიყვანა თავლაში, წამოჰყარა ლაგამი და გამოვიდა.

ცხენიც იქცა ისევ დევად და ისიც გამოვიდა.

დევი კარებთან დგას.

— რა ჰქენ, გახედნე ჩემი ცხენი თუ არაო? — ჰკითხა წყრომით ვაჟსა

ვაჟი ხედავს, რომ დევს ყბები სულ ჩამოღადრული აქვს ცემისაგან.

— რა გჭირს მაგ სახეზეო? — ჰკითხა ვაჟმა.

— ეს შენი ნაცემი არის, — უთხრა დევმა, — შენ რომ იჯექ, ის ცხენი კი არ იყო, მე ვიყავი. ხვალ კი აღარაფერი გიხსნის, უნდა შეგჭამოო!

ვაჟი შეშფოთებული მივიდა ცოლთან.

— რა ჰქენ, უმხედრე ცხენსა თუ ვერაო? — ჰკითხა ცოლმა.
მამაშენმა მითხრა, ხვალ უნდა შეგჭამო, ყველაფერი გიშველისო!

იმ ღამესვე ეს ქალი და ვაჟი აღგნენ და გასწიეს. იარეს, იარეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. რომ გათენდა, გაიგო დევმა მათი გაპარვა და ისიც გამოეკიდა.

მიდიან ქალი და ვაჟი. ქალმა უთხრა ვაჟსა:

— აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო?

ვაჟმა მიიხედა, — ბუზისტოლად შორს რაღაცა მოჩანსო.

იქცა ქალი შემოსულ ყანად, ვაჟი მომკელად. დგას და მკის, თან ხვითქი გადასდის. მოვიდა დევი.

— ამაზე ქალსა და ვაჟს ხომ არ ჩამოუვლიაო? — შეეკითხა მომკელსა.

— მთელი ღღეა ვმკი, სიცხით ვიწვი, რა ამველელისა და ჩამომველელისა მცხელა, არავინ მინახავსო! — უპასუხა მომკელმა.

დევი გაბრუნდა უკან.

— ვერავინა ვნახე იმათი მნახველიო, — უთხრა დევმა თავის ცოლს.

სრულებით არავინ იყოო? — ჰკითხა ცოლმა.

— როგორ არა, ერთ ალაგას ყანა იყო და მომკელი მკიდა. მიველ, ეკითხე და: არავინ მინახავსო!

— ისინი შენი ქალ-სიძე ყოფილანო, — უთხრა ცოლმა.

როცა დევი შინ გამობრუნდა, იქცა ქალი ისევ ქალად, მომკელი ვაჟად და გაუღგნენ გზას.

იარეს, იარეს, დიდი გზა გაიარეს. დევიც დაბრუნდა ისევ სახლიდან და გამოეკიდა.

ქალმა უთხრა ვაჟსა:

— აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოჩანსო?

— ბუზისტოლად რაღაცა ჩანსო, — უპასუხა ვაჟმა.

— ის მამაჩემიაო, — თქვა ქალმა.

იქცა ქალი დაბურულ ტყედ, ამის ქალწულ გულში მზის სხივი არ ჩავარღება. ვაჟი იქცა მოხუცებულ კაცად, დადის ტყის პირას და ჩინჩხერებსა კრეფს.

მოვიდა დევი.

— აქაზე ქალსა და ვაჟს ხომ არავის ჩამოუვლიაო? — ჰკითხა დევმა ბერიკაცსა.

— ამ ტყის მაღლმა, რაც ეს ტყე გაჩენილა, აქა ვარ და მე აქ სხვა არავინ მინახავს, შენს მეტი. მოხუცებული ვარ, რა მგზავრების დარღი მაქვსო, უპასუხა ბერიკაცმა.

გამობრუნდა დევი და წავიდა შინ.

იქცა ტყე ისევ ქალად, მოხუცებული — ვაჟად და გაუღგნენ გზასა. მოვიდა დევი სახლში.

— რა ჰქენ, ვერსად დაეწიე, ვერ დაიჭირეო? — ჰკითხა ცოლმა.

— ვერა, — უთხრა დევმა, — იმათი მნახველი ძე-ხორციელი ვერა ვნახე. გზაზე ერთი ულრანი ტყე იყო; ერთი ბერიკაცი ჩინჩხერებსა კრეფდა, სხვა არავინ მინახავსო!

— შე გამოყრუებულო, ის ტყე შენი ქალი იყო და ის მოხუცებული — შენი სიძე, — უთხრა ცოლმა, — ახლა კი მეც წამოვალ და ენახოთ, სად წამიყვანო!

შესხდნენ რაშებზე ორივენი და გამოეკიდნენ ქალსა და ვაჟსა. მიდიან ქალი და ვაჟი, მისდევენ დეკი და მისი ცოლი.

ქალმა უთხრა ვაჟსა:

— აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო?

ვაჟმა მიიხედა:

— ბუზისტოლად რაღაცა მოჩანსო!

— ის მამაჩემი იქნებაო, — თქვა ქალმა და მიიხედა — ორად მოჩანდა.

— ახლა დედაჩემიც მოგვდევს და ვეღარ გადვურჩებითო!

იქცა ქალი უძირო ტბად და ვაჟი იხვად. ლაპლაპებს ტბა და იხვიც არხეინად დაცურავს. მოვიდნენ დეკი და იმისი ცოლი. დაეწაფა დეკის ცოლი ტბას, დაუწყო სმა, უნდა სულ ამოეცალა. დაუწყო სმა დეკმაც. სვეს, სვეს და ორივენი დასკდნენ.

იქცა ტბა ისევ ქალად, იხვი — ვაჟად. გადაეხვივნენ ერთმანეთსა და გადაკოცნეს, რომ გადარჩნენ. შესხდნენ დეკისა და იმისი ცოლის რაშებზე და გამოსწიეს ვაჟის მამასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ბოჟმის ყვავილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო შვიდი ძმა. ძალიან მდიდრები იყვნენ, აუარებელი სარჩო-საბადებელი ჰქონდათ; თვალისა და მარგალიტის ანგარიში არ იცოდნენ, მუდამ ლხინსა და გახარებაში იყვნენ, მაგრამ ერთი არც მტერი ჰყავდათ და არც მოკეთე. ქვეყნისა არაფერი არ იცოდნენ.

ბოლოს თქვეს ძმებმა, ასე სიცოცხლეც არ შეიძლება, მოდი, წავიდეთ, ან მტერი ვინმე შევიძინოთ და ან მოკეთეო! თქვეს და აასრულეს.

აჰკიდეს შვიდ ცხენს შვიდი საპალნე თვალ-მარგალიტი, აისხეს თვითონაც იარაღი და წავიდნენ მტრისა ან მოკეთის შესაძენად.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ დიდ ტრიალ მინდორზე. გაიხედეს: სხვა არაფერი ჩანს, მთელი მინდორი მარტო ცხვრით არის თეთრად დაფარული და ერთი მეცხვარე უდგას.

ძმები მაშინვე მივიდნენ იმასთან და უთხრეს, ესეა ჩვენი საქმე, გვინდა, დაგიმოკეთოთ ვინმეო!

მეცხვარეს გაუხარდა. მაშინვე მიიპატიჟა შინ და მშვენიერად გაუმასპინძლდა. შვილი ჰყავდა მოსანათლი, ისიც მოანათვლინა და დანათესა-

ვდნენ. როცა ძმებმა წასვლა დააპირეს, მეცხვარემ იმღენი ცხვარი გაატანა, რამდენსაც კი შეიძლებდნენ და წაასხამდნენ. წამოვიდნენ ძმები გახარებული, რომ კარგი მოკეთე იშოვეს. ცხვარი კი არ უხაროდათ. იმიტომ რომ თავისი სარჩოც ბევრი ჰქონდათ.

გავიდა კარგა ხანი. აღარც არაფერი ძმებმა იცოდნენ მეცხვარისა, აღარც მეცხვარემ იმათი. ერთმანეთი აღარ ენახათ.

ბოლოს ძმებმა თქვეს: მოდი, წავიდეთ, ჩვენი ნათლული და ნათლიმამა ვნახოთო.

წავიდნენ, ნახეს: აღარსად ნათლიმამა, აღარსად ნათლული, აღარსად ცხვარი, აღარც სადმე მეცხვარე. ძალიან გაუკვირდათ. ბევრი ეძებეს, ბევრი თავიც შეიწუხეს.

ბოლოს ერთი ბებერი ნახეს, ჰკითხეს:

- მაკანი და მაკანი მეცხვარე თუ გაგიგონია, რა იქნა, სად წავიდაო?

ბებერმა უთხრა:

— ღმერთმანი, ეგეთი მეცხვარე დიდი ხანია ამოწყდა. ერთი შვილი დარჩა; სამადლოდ ხან ვინ აჭმევს და ხან ვინ. დღეს ერთთან გაძღება, ხვალ მეორესთან; საღაც დაულამდება, იქ გაუთენდება, ერთი თავშესაფარი არა აქვსო!

ძმებმა სთხოვეს ბებერს:

— ერთი ის ბიჭი გვიპოვე და, რასაც გეთხოვ, მოგცემთო!

ბებერმა მოუყვანა ნათლული. კარგა მოზრდილი ბიჭი იყო. ძმებს ძალიან გაუხარდათ. წამოიყვანეს, ასვეს, აჭამეს, ჩააცვეს, დაახურეს, დაბანეს და გაურეცხეს, გაუშალეს ბუმბულის ლოგინი და უთხრეს, მოისვენეო!

მაგრამ ბიჭმა უარი უთხრა:

— არ შემიძლია, მაგაზე ვერ დავიძინებ, ბანზე ავალ და იქ დავიძინებ. ერთ საბანს კი დავიხურავ ზემოდანო.

ძმები თავს რალას შეაწყენდნენ, — როგორც გენებოსო, — მოახსენეს.

ავიდა ბიჭი და დაიძინა ბანზე.

თურმე იმ ღამეს ერთი ხელმწიფის ქალსა და ხელმწიფის შვილს პირობა ჰქონდათ: იმ ბანზე უნდა მოსულიყვნენ და მერმე უნდა წასულიყვნენ ჯვრისდასაწერად.

მოვიდა ქალი პირველი. ნახა, არსადაა დაპირებული. მივიდა, ასწია საბანი; იქნება ის იყოსო, ის არ გამოჩნდა. ქალმა დიდხანს იცადა კიდევ.

ბოლოს რომ არა და არ მოუვიდა ხელმწიფის შვილი, ქალმა თქვა, ხომ მაინც მომატყუილა და მომატყუილა, შემარცხვინა და, რასაც ღმერთი მაძლევს, მოდი ნუ დავკარგავო!

გააღვიძა ვაჟი და უთხრა:

— ჩქარა წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ, ქმრად მინდიხარო!

ვაჟი რის ვაი-ვაგლახით დათანხმდა:

- ერთი ღარიბი კაცი ვარ, რასაც არა მხედავ, ამაზე მეტი არც სახლი მაქვს. არც კარი, არც სარჩო-საბადებელი, არც საჭმელი, სასმელი და საცმელიო!

— არაფერი უშავს, — უთხრა ქალმა, — ყველაფერი მე მაქვსო!

წაიყვანა ქალმა ვაჟი შინ. მერმე წავიდნენ იქიდან და ერთი ხელმწიფის ქალაქში მივიდნენ. იქირავეს ხელმწიფისაგან სახლი და დადგნენ.

ის ქალი ისეთი ლამაზია, რომ ხელმწიფე კინაღამ გაგიჟდა იმისი სილამაზით. დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უთხრა:

— მე ისეთი ცოლი მყავს, რომ ქრისტიან კაცს პური არ ეჭმევა იმასთან და დახეთ, იმ მთიულს როგორი ლამაზი ცოლი ჰყავსო!

— რა ვუყოთ, დიდებულო ხელმწიფევ, — უპასუხეს ნაზირ-ვეზირებმა, — ძალით ხომ ვერ წავართმევთო!

ხელმწიფემ უბრძანა, ნაზირ-ვეზირებმა ისეთი ღონე იღონეთ, რომ იმას ცოლი წავართვათო!

ნაზირ-ვეზირებმა იფიქრეს, იფიქრეს და მოახსენეს: ის მთიული კაცია, არაფერი უნახავს, საღილად მოვიპატიჟოთ, ის წესზე ვერ მოიქცევა. ვერ ადგებ-დაჯდება, გაურისხდი და წაართვი ცოლიო!

მაშინვე გაუგზავნეს ვაჟს კაცი, რომ ხვალ ხელმწიფე გეპატიჟება საღილზეო.

ვაჟი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა: არ ვიცი, არაფერი მინახავს, ან როგორ უნდა ადგომა და დაჯდომა, ან სხვა საქციელიო!

ცოლმა დაარიგა:

— რომ შეხვიდე, არ გაიცინო: თუ გაიცინონ, შენც გაიცინე, დაილაპარაკონ, შენც დაილაპარაკეო!

ბოლოს, ექვსი ვაშლი მისცა, - საღილი რომ გათავდეს, ეს ექვსი ვაშლი თეფშზე დააწყვე და მიართვი ხელმწიფეს. ხელმწიფე ისევ დაგიბრუნებს, დაჭერი და ისევ ხელმწიფეს შესთავაზე. საჭმელი რომ მოგიტანონ, ყველა საჭმლიდან თითო ლუკმა აიღე და გადადგი. მერმე ადექ, დაუკარ თავი და წამოდიო!

ვაჟი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ცოლმა დაარიგა.

საღილი რომ გაათავეს, ადგა, დაუკრა თავი და წამოვიდა.

ხელმწიფე ძალიან გაურისხდა ნაზირ-ვეზირებს, თქვე ვირებო, ვირები მართლა თქვენა ყოფილხართ და არა ის მთიული. რაზე შემარცხვინეთ და თავი მომჭერით?! ახლა სხვა რამე მოიფიქრეთ, თორემ ცოცხლები ვერ გადამირჩებითო!

ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს:

— სასეირნოდ წაბრძანდით და ისიც დაიბარეთ, რომ თან გახლდეთ. ან წინ წავა, ან უკან დარჩება, არაფერი ეცოდინება და გაურისხდითო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა ვაჟი და უბრძანა:

- სასეირნოდ მივდივარ ხვალ და შენც თან უნდა მახლდეო!

ვაჟს მეტი რა ღონე ჰქონდა! წამოვიდა ცოლთან დაღონებული.

- რას დაღონებულხარ? - უთხრა ცოლმა, — აჰა, ეს ძუა, ეს ბურთი ჯიბეში ჩაიდე და როდესაც იმათ მიუახლოვდები, ძუა გამოხსენი, დანიშნულ ადგილას რომ მიხვიდეთ, უცებ მოატრიალე რაში, ბურთი ამოხტება ჯიბიდან და თამაშობას დაიწყებს. რაშიც იმას დაუწყებს თამაშობას და ხელმწიფეც შენ დაგიწყებს ცქერას. გზაზე კი არა და არა ჰქნა და ან წინ არ წაასწრო, ან უკან არ ჩამორჩე. გააქციონ ცხენები, შენც გააქციე, დააყენონ, შენც დააყენეო.

წავიდა ვაჟი, წაიღო ძუა და ბურთი.

როდესაც ხელმწიფე და დიდებულები სასეირნოდ გამოვიდნენ, გამოხსნა ვაჟმა ძუა და ერთი მშვენიერი რაში მაშინვე იმასთან დაიბადა. მოახტა ვაჟი რაშსა და ამოუდგა გვერდში ხელმწიფეს.

გააჩქარებს ხელმწიფე, გააჩქარებს ვაჟიც. ნელა წავა ხელმწიფე, ვაჟიც ნელა წავა. იარეს და, როდესაც დანიშნულ ადგილას მივიდნენ, უცებ რაში მოაბრუნა.

ამოხტა ბურთი ჯიბიდან და დაიწყეს რაშმა და იმათ თამაშობა. მთელი დიდებულები და ხელმწიფეც იდგნენ და პირდაღებულები შესცქეროდნენ რაშისა და ბურთის თამაშს.

როდესაც მორჩა თამაშობას, დაუკრა ვაჟმა თავი ხელმწიფეს და შინ გაეშურა.

ხელმწიფე ახლა უფრო მეტადაც გაუწყრა ნაზირ-ვეზირებს: თქვე ვირებო, მეც ვირად გამხადეთ და გამაბრიყვეთ. იმაზე კარგი და შესაქცევი მხედარი ვის უნახავს?! თუ ისეთი არაფერი მოიგონეთ, რომ იმას არ შეეძლოს გაკეთება, ვაი თქვენს ტყავსაო!

ნაზირ-ვეზირებმა ბევრი იფიქრეს, ეძიეს და ბოლოს, გადაწყვიტეს: ბოჟმის ყვავილი მოვატანინოთ, იქიდან კი ვერასგზით ვეღარ მოვაო.

წავიდნენ და მოახსენეს ხელმწიფეს. ხელმწიფესაც ძალიან გაუხარდა.

დაიბარა მეორე დღეს ვაჟი და უბრძანა:

— ბოჟმის ყვავილი უნდა მომიტანოო!

ვაჟმა დაუკრა თავი და გამობრუნდა.

მივიდა ცოლთან და უთხრა:

— ესე, ესე არის ჩემი საქმე და რა ვქნაო!

ცოლმა უთხრა:

— წადი, ხელმწიფეს ცხრა თვე, ცხრა დღე და ცხრა საათი ვადა გამოსთხოვე და ჩემთვის კიდევ სასმელ-საჭმელიო!

წავიდა ვაჟი ხელმწიფესთან და ყველაფერი ესენი გამოსთხოვა.

მოვიდა ცოლთან, მოუტანა ცხრა თვის საზრდო და თვითონ კი წავიდა ბოჟმის ყვავილის მოსატანად. ბევრი ეძება, ბევრი იარა, რა სოფელზედაც გაივლიდა, იკითხავდა, ბოჟმის ყვავილი ხომ არ იცით, სად არისო? ყველა ერთ პასუხს აძლევდა:

— ჩამვლელი ბევრი გვინახავს ბოჟმის ყვავილის მოსატანად და ამომვლელი ბოჟმის ყვავილით კი აღარც ერთიო.

ვაჟმა ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა, ბოლოს, ერთ ადგილას, — სამი ყანა დგას და სამი ძმა მკის: ერთი ბოლოს დგას, ერთი — შუაზე და ერთიც — თავში. მკიან და ვერ მოუმკიათ.

მივიდა ქვეითა კაცთან ვაჟი და მიესალმა. ერთმანეთს გამარჯვება უთხრეს და ამბავი ჰკითხეს.

ვაჟმა უთხრა:

— ბოჟმის ყვავილისთვის ვარ წამოსული და იქნება იცოდე რამე, მასწავლეო!

ის კაცი ისეთი ბებერი იყო, რომ თეთრი დახავსებული წვერი წელზე ედო.

ამ ბერიკაცმა უთხრა:

— მე კი არ ვიცი, და ეგრე იარე, ზეკით რომ ყანასა მკის, ის ჩემზე უფროსი ძმა არის, და იქნებ იმან კი იცოდესო!

გადაუხადა ამ კაცს მადლობა ვაჟმა და წავიდა; შუათანა ძმასთან მივიდა, ნახა, იმ კაცს თეთრი ძლივს ურევია, ყოჩაღად არის. მიესალმა, გამარჯვება უთხრეს ერთმანეთს. დასხდნენ, დაისვენეს. სამი დღე აქ მოუგვიანდა ვაჟს, სამი იმ უმცროს ძმასთან.

ცხრა თვე გასულია და ექვსი დღეც. სამი დღე და ცხრა საათიღა დარჩა ვადა.

ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი და ვაჟმაც უამბო ყველა თავისი თავგადასავალი და უთხრა:

— ახლა ბოჟმის ყვავილის მოსატანად ვარ წამოსული, და არ ვიცი, გავიმარჯვებ, თუ ვერა. იქნება, შენ იცოდე, სად არის, როგორია, როგორ იშოვება, მასწავლეო.

კაცმა უთხრა:

— მე კი არ ვიცი და იქნება ჩემმა უფროსმა ძმამ კი იცოდეს! ეგრე ზეკით რომ აივლი, ის არის ჩემი ძმაო.

გამოეთხოვა ამასაც ვაჟი, მადლობა გადაუხადა და წავიდა უფროს ძმასთან. უფროს ძმას ეძინა. კარებში იმის ცოლი დახვდა, მშვენიერად მიიღო, პატივი სცა და გამოჰკითხა ასე შორს წამოსვლის მიზეზი. ვაჟმა უთხრა:

— ბოჟმის ყვავილის მაძებარი ვარ და იქნება თქვენმა ქმარმა იცოდესო!

— ქმარსა სძინავს, — უთხრა დიასახლისმა, — გავაღვიძებ, ვკითხოთ, იქნება იცოდესო.

ახადა სკივრს, ამოიღო იქიდან ცხრა წლის ნიშნობის ქოშები, ჩაიცვა და გაიარ-გამოიარა ქმრის ოთახის კარებზე: ეგება ქოშების ხმამ გააღვიძოსო.

გაეღვიძა ქმარს და ცოლს უსაყვედურა:

— რად გამაღვიძეო?

ჩაიხედა სარკეში, ერთი თეთრი თმა გამოჰრეოდა, გამოიგლიჯა და გადააგდო.

ცოლმა უთხრა:

— ეს ყმაწვილი ბოჟმის ყვავილისთვის არის მოსული და ხომ არ იცი, სად არისო?

— მოიცადე, — უთხრა იმ კაცმა, — ჯერ ვისადილოთ, დროება გავატაროთ და მერმე გასწავლი, მაგრამ ადვილი კი არ არის მოტანაო!

გაშალეს სუფრა. სადილს რომ მორჩნენ, ქმარმა უთხრა ცოლს:

— ჩადი და ერთი ნესვი ამოიტანეო.

ცოლი ორსულად იყო და უკანასკნელ თვეში იდგა. ჩავიდა ცოლი ნესვისათვის ძირს, მეოთხე სართულში, ამოიტანა ერთი ნესვი. ქმარმა დაუწუნა:

— ეს არ ვარგა, სხვა ამოიტანეო!

ჩავიდა მეორედ ცოლი. ამოიტანა კიდევ, ქმარმა ისიც დაუწუნა. ჩავიდა მესამედ ცოლი. ვაჟი ატყობდა, რომ ქალს ძალიან უჭირდა, სულ ოფლი დაასხა. ქმარი მაინც არ მოეშვა, სანამ ცხრაჯერ არ ჩაგზავნა, ამოატანინა და ჩაატანინა.

ვაჟი ეხვეწებოდა ქმარს:

— ნუ აწუხებ ცოლს, ცოდო არისო!

მაგრამ იმან არ გაუგონა, ბოლოს უთხრა:

— ხომ ნახე ჩემი უმცროსი და შუათანა ძმები როგორები იყვნენ და მე როგორი ვარ. ეს ერთხელ ჩემ უნებურად გამაღვიძა ცოლმა და მაშინაც თეთრი თმა გამომერია. ისინი უფროსები ეგონება კაცს და მე უმცროსი, იმიტომ რომ ასეთი მასიამოვნებელი ცოლი მყავს. ცხრა წელიწადია ცოლს ჩემთვის ერთი ჩემი უნებური სიტყვაც არ ამოსცდენია; მე ამ ჩემს ცოლზე დანიშნული ვიყავი, ჩემი ძმები შემეცილნენ, დიდხანს არ ვანებებდით ერთმანეთს; ბოლოს, უცხო კაცმა ჩამოიარა და გაგვასამართლა: ვინც პირველი დაინიშნეთ, ცოლი იმისი არისო. მას შემდეგ ჩემ უმცროს ძმას ძაღლის ყეფის მეტი არაფერი ესმის თავის სიცოცხლეში, შუათანას — ვირის ყროყინის მეტი და მე — მამლის ყივილის მეტი. ბედმა ასე გვარგუნაო.

მერმე უთხრა, ბოქმის ყვავილი სადაც იყო. ერთი კლდე უჩვენა, თავი თეთრი ჰქონდა, შუაგული წითელი და ძირი შავი. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ ჭადრის წვერიც ვერ ასწვდებოდა.

— იმ კლდეზე ქაჯის ქალი დაჯდება და გადმოჰფენს თმებს, თმას სულ ბოქმის ყვავილი ასხია; იმისი თმა კლდის ძირზე დაეფინება, ვინც მივა, იქ დაიმალება და, თუ იშოვის, მაშინ იშოვის იმ ყვავილს. ბევრი ახალგაზრდა ვაჟი დაღუპა და დაანელა იმან. შენ რომ მიხვიდე, ის თმა ხელზე დაიხვიე და თვითონ იცის მერმე, მოგკლავს თუ დაგარჩენსო.

წავიდა ვაჟი და დაჯდა კლდის ძირას.

გამოვიდა ქაჯის ქალი და გადმოფინა თავისი ოქროს თმა კლდეზე, ათასნაირი ყვავილით აჭრელებული და აყვავილებული.

მივიდა ვაჟი. დაიხვია, დაიხვია იმისი თმა მკლავზე და უნდოდა დაჭერა. ქალმა სიმძიმე იგრძნო, გაიგო ვინც იყო მიზეზი, აიწია, აკრიფა თმები და ვაჟი თავის ოთახში გადატყორცნა, თვითონაც თან მიჰყვა. ვაჟი უვნებლად ფეხზე იდგა.

ქალმა ჰკითხა:

— რა გინდა, რისთვის მოხვედი, რამ გაგაბედვინა აქ მოსვლაო?

— ბოქმის ყვავილი მინდაო, — უპასუხა ვაჟმა.

— ვიცი, რადაც გინდა, — უთხრა ქალმა, — ნულარ დავიგვიანებთ, ცხრა საათიღა არის დარჩენილი, წავიდეთ, მეც წამოვალო!

შესხდნენ ნიავქარის ცხენებზე და გაეშურნენ.

ღამე იყო, იმის ცოლთან რომ მივიდნენ. ჩამოხტნენ კარებზე და ვაჟმა დაუკაკუნა ცოლსა. ქალი გულგახეთქილი წამოვარდა, ეგონა, ხელმწიფიანი მოვიდნენ ჩემ წასაყვანადო.

— თქვე ულმერთოებო, გათენებას მაინც მოუცდიდით, რა გაუძლებარი გჭირთო!

კარებს უკან გასანთლული თოკი ჰქონდა ჩამობმული, თუ ვადა გადავიდოდა და ქმარი არ დაბრუნდებოდა, გაჰყოფდა შიგ თავს და დაიხრჩობდა თავს.

ქაჯის ქალმა უთხრა ვაჟს:

— არაფერი გაქვს განა შენი ცოლისა, რომ აჩვენო, არ შეწუხდესო?!

ვაჟს ხელზე ბეჭედი ჰქონდა, გამოიძრო და კარებიდან შეუგდო ქალსა. ცოლს საშინლად გაუხარდა, გაულო კარი და გადაეხვია თავის ქმარსა.

მეორე დღეს ქაჯთა ქალმა გაუგზავნა ხელმწიფეს ბოქმის ყვავილი და შეუთვალა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ეს როგორი ხელმწიფე ყოფილხარ, ზღვაზე გამოვიარე და ხიდი არ იდო. სამი ქალი მიშოვე და გამომიგზავნე, მე ხიდს აეუშენებ, ასწიონ და გადონ ზღვაზეო!

როგორც იყო, ის სამი ქალი უშოვა ხელმწიფემ და გამოუგზავნა, თავის ნაწნავები ხეებად აქცია და უბრძანა იმ ქალებს, ზღვაზე ხიდად გადეთო. ასწიეს ქალებმა და გააკეთეს ხიდი. თვითონ ქაჯთა ქალიც იქვე ჩაეკრა. ხიდია .იმისთანა, რომ კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. შეუთვალა ქალმა ხელმწიფეს:

— შენი ცოლის გარდა წამოიყვანე შენი დიდებულები და ნახე ხიდიო!

ხელმწიფე წავიდა თავისი დიდებულებით, ნაზირ-ვეზირებით ხიდის სანახავად. შედგნენ ზედ და გაისეირნ-გამოისეირნეს. მართლა ძალიან მოეწონათ. მესამედ რომ გაირეს და შუა ადგილას მივიდნენ, ასწია ხიდი ქაჯთა ქალმა, აქცია ხეები თმებად, შეიკეცა და ხელმწიფე თავის ნაზირ-ვეზირ-დიდებულებით წყალში გადაუძახა, იმათი ლეშით თევზები დააძღო.

ვაჟი ხელმწიფედ დასვა, ქალიც იმას დაუნარჩუნა. ხელმწიფის ცოლი კიდევ ხელზე მოსამსახურედ დაუყენა. გამოემშვიდობა და თვითონ წავიდა თავის ადგილას.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, ბიჭო, მელასა,
კოკა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გვაამოს ყველასა.
უნაგირი მცხეთას დამრჩა,
მოსართავი არაგვზედა,
ღმერთმა ყველა გაღღეგრძელოთ,
ვინცა სხედხართ ალაგზედა.
ჩიტი გაფრინდა ცხრა ფრთანი,
ასი ტყუილი, ერთი მართალი.

Ernst Ludwig Kirchner

მუხაგლეჯია სიდედრი და სიმამრი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეხკაცი. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. როცა ეს ვაჟი მოიზარდა, მამამ მოინდომა იმისი დაქორწილება, მოღალა მაჭანკლები, შემოიარა ქვეყანა, მაგრამ ტყუილად, არ იქნა,იმისი ბედი არ გაიხსნა.

ადგა, ბოლოს, ეს ბიჭი და წავიდა მკითხაეთან. მკითხავმა უთხრა:

— წადი, ამა და ამ ადგილას რომ ერთი მუხა დგას და იმ მუხის ძირში წყარო გამოდის, იქ მიდი. იმ წყაროზე პირი დაიბანე, აიხედე მაღლა, იქ ერთ ქალსა ნახავ, წაიყვანე და ის იქნება შენი ბედიო!

წამოვიდა ბიჭი. როგორც მკითხავმა უკითხა, ისე მოიქცა. იპოვა ის მუხა, მივიდა იმის ქვეშ და დაიბანა პირი, მერმე აიხედა და ხეზე ერთი ქალი დაინახა, ჩამოიყვანა და წაიყვანა ცოლად.

ის დალოცვილის გაზრდილი საკვირველი სულიერი გამოდგა: თითო ჯერზე სამ თონე პურსა ჭამდა. ცოტა არ იყოს, ძალიან შეწუხდა ამ ქალის ქმარი, სადა ჰქონდა იმდენი, რომ ის გამოეკვება.

— ვისი ქალი ხარ, სადაური ხარ, ვინ არის შენი დედ-მამა? — ჰკითხავს ქმარი, — უნდა წავიდე, შენი დედ-მამა ვნახო, თან მოსაკითხი წავუღოო.

ცოლმა ასწავლა, სადაც უნდა წასულიყო, რა მხარეზე ეძებნა სიმამრი; გამოაცხო ექვსი თონე პური, დაკლა საკლავი, ქათამ-ინდაურები, ჩაალაგა, შეჯდა ცხენზე და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა თავის სიმამრთან. ხნულში წყალი უდიოდა. უნდოდა იმ წყალში გასვლა, მაგრამ მოიტაცა წყალმა თავის ცხენიანად და ჩაიტანა ბოლოში. ფართხალებს ეს კაცი, ცდილობს, გამოვიდეს, მაგრამ ლამის დაიხრჩოს. შეეცოდა სიმამრს, ამოსდო ბარი და გადმოაგდო თავის ცხენ-ხურჯინიანად მშრალზე. წამოდგა სიძეკაცი, მიესალმა თავის სიმამრს, გამოეცნაურა.

— კაცო, რაზე დაიხრჩობოდი, ჩემი სიძე ყოფილხარ, წამო და დავისვენოთ; შენი სიდედრიც მოვა, სადილს მოიტანს, პატარა კიდეც შეეჭამოთ რამე!

დასხდნენ, სიძეკაცმა ამოიღო რაც რამ ნამცხვარი ჰქონდა, მოსაკითხად წამოღებული. დაუსხდნენ, დაუწყეს ჭამა, სიმამრმა მიუსვ-მოუსვა, მიჭამ-მოჭამა ყველაფერი, ლუკმა აღარაფრისა გადარჩა, მერმე ულვაშებზე გადაისვა ხელი, შესცქერის სიძეკაცი, შიშით სული სცვივა: მეც არ ჩამყლაპოსო.

ამხანად სიდედრიც მოვიდა. არც ის იყო პატარა ტანისა. თავზე ერთი ხახალი ედგა, ზედ ექვსი თონის ნამცხვარი ეწყო, ხელში ერთი ქილა შეჭამანდი ეჭირა, იქნებოდა ესე სამი კოკისტოლა.

— მოიტანე ადამიანო? ძლივს არ მოხველ, რა დაგემართა, აქამდე ლამის შიმშილით მოკვდე! — უთხრა ქმარმა ცოლსა.

მოიხადა ხახალი დედაკაცმა, ჩამოდგა ძირსა, დაუდგა ის შეჭამანდიანი ქილაც.

— ცოტა დამიგვიანდა, შეჭამანდი არ იყო მოხარშული, — უთხრა ცოლმა, — აი, ახლა მიირთვით!

თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— ჭამე კაცო, მე შინა ვჭამე, აქ განა იმიტომ დავჯექ, რომ ვჭამო რამე, შენა ჭამე, დაღლილი ხარ!

დაჯდა ეს სიმამრი, დაიწყო ჭამა. თითო პურს თითო ლუკმად იდებდა.

— რატომ არა ჭამ, სიძეკაცო? — ეუბნება სიძეს სიმამრი.

რასა ჭამს, შიშით მუშტისტოლა გამხდარა, მეც არ შემაყოლოსო. სიმამრმა ეს ექვსი თონე პური და ეს იმოდენა შეჭამანდი სულ ერთიანად გაათავა და ულვაშები გადაიწმინდა.

საღამო ხანზე შინ წავიდნენ, სიძეც გაიპატიჟეს. მიდიან გზაზე. სიდედრი და სიმამრი ფეხით არიან, სიძე ცხენით მობრძანდება, მაგრამ ვერ ეწევა, მიაჭენებს ცხენს, მაგრამ მაინც ვერ ეწევა. შეეცოდა სიდედრს თავისი სიძე.

— აქ მოდი, სიძე, მოდი, ხახალზე დაჯექ, ცხენიც აქ დასვი, ხომ ხედავ, დავარდი!

მოუცადა სიდედრმა, ჩამოდგა მიწაზე ცარიელი ხახალი, თავის ცხენიანად სიძე აიყვანა და ზედ დასვა. მერმე ისევ შეიდგა თავზე და მიაქვს.

გზაზე ერთ მუხას გაუარეს. სიძეკაცი მუხაზე წკეპლას მისწვდა მოსატეხად. ხელი წაავლო, მაგრამ რაკი სიდედრი მიდიოდა, ველარ მოასწრო ხელის გაშვება და ზედ შერჩა. რაკი სიძეკაცი ხახალში ველარ დაინახა, სიდედრი მობრუნდა: რა მექნა, სად წავიდაო. დაინახა, რომ სიძე მუხის ტოტზე აკონწიალია.

— რას აკეთებ მანდ, სიძე ბატონო? — ჰკითხა სიდედრმა.

სიძე კი ვერ ჩამოსულა მუხიდან და გაჭირვებული ძლივს ქშიტინებს.

— არაფერს, ჩემო სიდედრო, ცხენისთვის წკეპლა მინდოდა მომეტეხნა და ამ მუხაზე გაველო.

მოგლიჯა მუხა ძირიანად სიდედრმა და დაიდვა ისიც ხახალზე. ახლა კი, ცოტა არ იყოს, შიში მიეცა სიძეკაცსა.

აქ ხეირი არ არის, თუ თავს არ ვუშველეო, იფიქრა გულში.

— სიდედრო, წყალი მინდა დავალევინო ცხენს, ჩამოგვსვი და მალე მოგეწევით ისევა, თქვენ წადით, ნუ მომიცდით!

ჩამოსვა სიდედრმა ხახალიდან თავის ცხენიანად.

ცოტა დაიცადა სიძეკაცმა და, როცა სიმამრ-სიდედრი კარგა მანძილს გასცდნენ, მოახტა თავის ცხენს და მოძუძგა სახლისაკენ გულგახეთქილმა.

Ungeheuer so groß und so stark

მიწა თავისას მოითხოვს

იყო ერთი ქერივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟი იზრდებოდა და ხედავდა, რომ მის გარდა ყველასა ჰყავდა მამა, მარტო ის მამობას ვერავის ეტყოდა. შვილი გადაეკიდა დედას: დედავ, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა მყავსო?

დედამ უთხრა:

— მოკვდა შვილოო!

— მაშ აღარ მოვა? ან რა არის სიკვდილი? — ჰკითხა შვილმა.

— ის კი აღარ მოვა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ იმასთან; სიკვდილს ვერავინ მოვრჩებით, ყველანი მიწად ვიქცევით, დავიხოცებით!

— მე არ მითხოვნია ღმერთისთვის, გამაჩინეო, და რაკი გამაჩინა, რადღა უნდა მომკლას? — თქვა ვაჟმა, — ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არისო!

დედამ აბრუნა შვილი, მაგრამ არ დაიშალა.

მოიარა მთელი ქვეყანა, სადაც მიდიოდა, ჰკითხავდა, აქ არის სიკვდილიო?

ყველასაგან ერთი პასუხი ესმოდა, არისო.

დაღონდა ვაჟი, ადგილი არ იყო, რომ სიკვდილი არა ყოფილიყო. ამ დროს ვაჟი ოცი წლისაც გახდა.

ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა; გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა, მისი რქები ღრუბლებში იყო აწვდილი.

ვაჟი მიუახლოვდა ირემს, ძალიან მოეწონა მისი რქები და ჰკითხა:

— შენი გამჩენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ირემმა უთხრა:

— მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის ნაწესებს ვასრულებ. სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ვიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და მეც მოკვდები; თუ გინდა, შენც ჩემთან იყავ, და სანამ მე ვიქნები, შენც იცოცხლებო!

ვაჟმა უთხრა:

— თუ ვიცოცხლებ, უნდა მუდამ ვიცოცხლო, თორემ აქ მოუსვლელადაც მოკვდებოდიო!

გასცდა ვაჟი და გაუდგა გზას; გაიარა მინდორი, ველები და შეება ტყიან და კლდიან ადგილს. ერთ ხევს მიადგა: სულ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა, რომ თვალი ვერ ჩასწვდებოდა იმის ძირს. ხევის პირზე კლდეზე იჯდა ყორანი და ასკინტლებდა ხევში. ეს ყორანიც ღვთის მოციქული იყო.

ვაჟმა ჰკითხა ყორანს:

— არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო?

ყორანმა უთხრა:

— მე ღვთისგან დაწერილი მაქვს სიცოცხლე იქამდის, სანამ ამ ხევს სკინტლით არ ამოვავსებ. თუ გინდა ჩემთან იყავ და შენც ცოცხალი იქნები, სანამ მე არ მოვკვდები; არაფერზე არ დაგეჭირდება ზრუნვა, ყველაფერი მზა გექნებაო!

ვაჟმა ჩაიხედა ხევის უფსკრულში, მაგრამ მაინც ცოტა ეჩვენა: გასწი, გასწი შორსაო, ეუბნებოდა რაღაც.

ამასაც გასცდა ვაჟი და მოათავა ხმელეთიც და მიადგა ზღვის პირს; აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე, და ვერაფერს შეხედა. მესამე დღეს დაინახა სადღაც შორს მბრდღვინავი სარკე. ვაჟი წავიდა იმისაკენ და ნახა, რომ ის მბრდღვინავი სარკე სალი მინის სახლი იყო.

შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოვა კარები, ბოლოს, ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო, გააღო და შიგ შევიდა. ოთახში ისეთი ლამაზი ქალი იწვა, რომ მზეს შეშურდებოდა იმისი სილამაზე. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალსაც ვაჟი.

ვაჟმა ჰკითხა ქალს:

— მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექეცი, არ იცი იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყოს?

ქალმა უთხრა:

— მაგისთანა ადგილი არსად არის. რას ეძებ, ჩემთან იყავო!

ვაჟმა უთხრა:

— მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოველ, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვო, სადაც სიკვდილი არ არისო!

ქალმა უთხრა:

— მიწა თავისას მოითხოვს, შენ მაინც უკვდავებას ვერ შეიფერებ. აბა, მითხარ, რამდენი წლისა ვიქნები?

ვაჟმა დახედა: ქალის ახლად აკოკრებული მკერდი, ვარდისფერი ლოყები ისეთი საუცხოო იყო, რომ ვაჟს ერთ წუთში დააკიწყდა სიკვდილი.

ვაჟმა უთხრა:

— ბევრი-ბევრი თხუთმეტი წლისა იყო!

— არა, — უპასუხა ქალმა, — მე შექმნის პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარ. მე ტურფა მქვია და არც დაბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არც მოვკვდები. შენ აქ დარჩებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგითხოვს!

ვაჟმა პირობა დაუდო, რომ არასდროს არ მოშორდებოდა. დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერთად ცხოვრება.

წლები წუთებივით მიფრინავდნენ; ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა. ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, ეს ეტყობოდა ყველაფერს, მაგრამ ვაჟი ვერ ამჩნევდა დროის ფრენას. ქალი ისევ ისეთი ლამაზი იყო და ვაჟი ისეთივე ახალგაზრდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუნდა თავისი ქვეყნის ნახვა; თავისი დედისა და ნათესავების დანახვა მოსწყურდა. ქალს უთხრა:

— უნდა წავიდე და ვნახო ჩემი დედა და ნათესავებიო!

ქალი არ უშვებდა:

— ახლა იმათი ძვლებიც აღარ იქნებაო.

ვაჟმა უთხრა:

— რას ამბობ, ეს სამი-ოთხი დღე არის, რაც მოვსულვარ და როდის დაიხოცებოდნენ?

ქალმა უთხრა:

— აკი გითხარ, მიწა თავისას მოითხოვს-მეთქი! კარგი წადი, რაც მოგივიდეს, შენ თავს დააბრალეო.

სამი ვაშლი მისცა:

— როდესაც იქ მიხვალ, მაშინ შეჭამეო!

წავიდა ვაჟი და აი, შემოჰხვდა ნაცნობი ადგილები. აი, ხევიც, ის უძირო უფსკრული. ყორანი მაშინღა მომკვდარიყო, ამოევსო ხევი და თვითონაც გამხმარი იჯდა კლდის წვერზე.

ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, მოინდომა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისევ წინ წავიდა.

გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზე. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებოდა. ის იყო მაშინღა მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაჟი, რომ მართლა კარგა ხანი გასულაო.

მაინც გასწია თავის ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარავინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ იმის გამგონიც კი აღარავინ მოიპოვებოდა.

ბოლოს, ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა თავისი დედის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა, ის დედაკაცი როგორც მამა-პაპას უთქვამს, ათასი წლის წინათ ყოფილა და როგორ შეიძლება, რომ იმის შვილი ახლა ცოცხალი იყოსო.

ხალხს არა სჯეროდა და ამბობდა, ეგ გამოგზავნილია საიქიოდანაო.

გავარდა ამაზე ხმა სოფლებში და ხალხი კალიასავით ედებოდა ამ ვაჟს სანახავად.

ბოლოს, ვაჟი მივიდა იმ ადგილას, სადაც იმათი ხახლი იყო; ნასახლარზე ყვითელხავსმოკიდებული ქვითკირის კედლები კიდევ დახვდა.

ვაჟს მოაგონდა ყველაფერი, თავისი დედა, თავისი ბალღობა, დაღონდა; ბოლოს თქვა: მოიტა ერთი, შევჭამ ერთ ვაშლსაო.

ამოიღო, შეჭამა და ერთ წამში ხავსივით წვერი დაეკიდა წელამდე. შეჭამა მეორე და მოეშვა მუხლები, ვეღარ გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეჰზიზღდა; დაინახა ახლოს ერთი ბალღი და დაუძახა:

— მოდი, ჯიბეში ერთი ვაშლი მაქვს და ამომიღეო!

ბალღმა ამოუღო ვაშლი, შეჭამა ბერიკაცმა და განუტევა სული. გაიტანა სოფელმა და სამაღლოდ დამარხა.

მიწა თავისას მოითხოვს

ია ხათუნი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დედაკაცი. ჰყავდა რვა ვაჟი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო; რომ გაიცინებდა, სულ ია და ვარდი გაიშლებოდა. ძმებს ძალიან უყვარდათ და აზიზებდნენ.

ეს ქალი, რამდენჯერაც წყალზე წავა, აუძღვება ერთი პატარა ჩიტი და შესძახის: ქალო, შენს თავს ბალა! ქალო, შენს თავს ბალაო!

რომ გაუჭირა საქმე, დედას უთხრა:

— რამდენჯერაც წყალზე წავალ, ერთი ჩიტი ამიძღვება და მეძახის: ქალო, შენს თავს ბალაო!

— ვაიმე, შვილო, — უთხრა დედამ, — ასე უთქვამს: შენს თავს ხათაბალაო!

გავიდა ხანი. ხალხი დღეობაში მიდის. ქალმაც მოინდომა წასვლა. ძმებს უთხრა: რვა ძმას ერთი და გყავართ და მეც გულის მურაზს არ მისრულებთო!

დედასაც უსაყვედურა. დედამ უთხრა:

— შვილო, თუ გაჰყვები, აგე შენი ძმები მიდიან და გაჰყეო!

ძმები წავიდნენ, წაიყვანეს დაცა.

ერთი ხიდი ჰქონდათ გასავლელი. ძმები ერთად გავიდნენ, დაც უნდა გასულიყო, მაგრამ ამ დროს ერთი ციხე დაედვა თავზე. მოემწყვდია ქალი შიგ, არც კარი აქვს, არც ფანჯარა. ქალი ტირის, ტირის, სულ თვალებს ითხრის.

მოვიდნენ შინ ძმები, უამბეს დედას, რაც დაემართა იმათ დასა. ასეთები არიან, რომ სულ ტირიან.

ქალი რომ ტირის, ამ დროს ამოიელის ერთი ბებერი კაცი, გაიღება ციხის კარები, ხედავს ქალი ტირის.

— რადა სტირი, შვილო, — ეტყვის ბერიკაცი, — რა ძალა დაგდგომია ასეთი?

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი.

— წამო, შვილო, ჩემთან, შვიდი ქალი მყავს, მერვე შენ მეყოლები, თუ მეტად არ მეყვარები, იმათზე ნაკლებად ხომ არ გაგიფრთხილდებიო!

გაჰყვა ქალი. ამ კაცის ქალებიც, ეს კაცი და ამისი ცოლიც ისე უფრთხილდებიან ამ ქალსა, რომ ცივ ნიავს არ აკარებენ. სულ ამის კითხულია ყველაფერი.

ერთხელ დედობილმა უთხრა:

— მოდი, შვილო, ერთი თავი მომიხილეო!

მოუხილა ქალმა თავი და ამ დედაკაცს ქალის კალთაში კი დაეძინა. ხედავს, თმაში ერთი გასაღები აქვს ჩატანებული. ქალი მუხლს გამოაც-

ლის, მუთაქას დაუდებს, თვითონ გასაღებს წაიღებს, გააღებს დაკეტილ ოთახს და ერთი დევი კი შემოაჭყეტს თვალებსა. ქალი უცებ გამოუხურავს კარებს და გასაღებს ისევ თმაში ჩაატანს დედობილსა.

ეს დედაკაცი როცა შეეა ამ დევთან, დევი ეტყვის: შენც ლამაზი და მეც, მაგრამ ია ხათუნისთანა კი არავინ იქნებაო!

ისეთია ეს დედაკაცი, სულ ნაღველი ჩაექცა. წამოვიდა, დაწვა, მოიავადმყოფა თავი, წევს და კვნესის. ეკითხებიან:

— რა გიშველისო?

— მე სხვა არაფერი მიშველის, თუ ია ხათუნს დაკლავთ და იმის გულ-ღვიძლს მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არა და — მოვკვდებიო!

შეწუხდა ძალიან ეს კაცი. ძალიან უყვარს ია ხათუნი.

— აბა, როგორ დავკლათ, — ეუბნება ცოლს, — შვილად ავიყვანეთ, თავის დედ-მამასავით გვიცქერის, გვენდო და ახლა რომ დავკლათ, ხალხს რა ეუთხრათო?!

წევს ეს დედაკაცი და კვნესის, ორი სამი თვეა, აღარ დგება.

ძალიან რომ გაბეზრდა, ბერიკაცმა უთხრა მოჯამაგირეს:

— წაიყვანე მინდორში ია ხათუნი, დაკალ და გულ-ღვიძლი მომიტანეო!

წაიყვანა ბიჭმა ია ხათუნი; ბიჭს ერთი გოშია ჰყავდა, ის დაკლა, გულ-ღვიძლი ამოაცალა, ქალი გზაზე დააყენა და დალოცა, წადი და ღმერთმა გიშველოსო! მოუტანა ის გულ-ღვიძლი. ჭამა თუ არა იმ დედაკაცმა, მერცხალივით ზეზე წამოვარდა საღ-სალამათი.

ია ხათუნმა კი იარა, იარა და ერთ ადგილას ცხრა ძმა დევი მდგარა, იმათ სახლთან მოვიდა. რვა ძმა სანადიროდ ყოფილა წასული და მეცხრე ძმა კი კოჭლი ყოფილა, ის სახლში გაუშვიათ.

მიეიდა ია ხათუნი, დგას სახლის წინ და ტირის. გადმოიხედავს ეს დევი და გადმოსძახებს:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, ჩემი ძმების შიშით ცაში ფრინველს ვერ გადაუფრენია და დედამიწაზე ჭიანჭველასა, შენ კი მოსულხარ და მანდა დგახარო!

— ესე, ესე არის ჩემი საქმე, — უთხრა ქალმა, — და ახლა შენ იცი, რასაც მიზამ!

დევს ძალიან გაეხარდა:

— მაინც ჩვენ ცხრა ძმას და არა გვყავს, შენ და და მე — ძმა. მოვლენ ჩემი ძმებიცა, დაგმალავ და მერე გამოგაჩენო!

დამალა ქალი, როცა მოვიდნენ ძმები, უთხრეს, ადამიანის სუნი მოგვდისო.

— თქვენ თვითონ მოგყვებოდათ, — უთხრა ძმამ, — აქ ადამიანს რა უნდაო!

როცა ირმები მოხარშეს და პურის საჭმელად დასხდნენ, კოჭლმა დევმა უთხრა ძმებს:

— ცხრა ძმა ვართ და ერთი და არა გვყავს. არ გინდათ, რომ გყავდეთ?!

— ბარემ გვინდა, მაგრამ, აბა, საიდან მოვიყვანოთ?

მაშინ გამოუჩინა ია ხათუნი ძმებსა. ყველამ დიდი სიხარულით მიიღო. ამის შემდეგ ია ხათუნი იყო დიასახლისი და ყველაფერი იმას ეკითხებოდა; უელიდა სახლსა, აკეთებდა საჭმელს. ისეთია, დევები ძლივს შესცქერიან...

ის დედაკაცი რომ შევიდა დევთან, დევმა ისევ უთხრა:

— შენც ლამაზი ხარ და მეც, მაგრამ ცხრა ძმა დევს რომ დად ია ხათუნი ჰყავთ, იმისთანა არავინ იქნებაო!

ისეთია ეს დედაკაცი, სულ ცოფებსა ყრის. მიუხტა ქმარსა:

— აკი მოვაკვლევინეო, იძახოდი. ის ცხრა ძმა დევთანა ყოფილა! თუ არ წასულხარ და, რითაც იქნება და არ იქნება, აქ არ მოგიყვანია, ან არ მოწამლე, შენს ცოლობაზე ხელს ავიღებო! — გაატანა ერთი მთელი კალათი სხვადასხვა წვრილმანი და ასე უთხრა: — უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში გვეწვიე-თქო. თუ არ გამოგყვეს, ეს წვრილმანი მიეცი, ესენი მაინცა გქონდეს-თქო!

აიღებს ბერიკაცი ჯოხს, წაიღებს ერთ კალათა წვრილმანს და წავა ცხრა ძმა დევისაკენ. იმ დროს მივა, რომ ძმები სანადიროდ წასულან, მარტო ია ხათუნიღაა შინა. დადგება ძირსა და ელის, როდის გამოვა კარზე.

როცა ქალი გამოვა, ის კაცი მიესალმება:

— ია ხათუნო, შვილივით გვიყვარდი და განა ეგრე უნდა, რომ ჩვენსკენ ერთხელ აღარ შემოიხედე. შენმა დედობილმა გამომგზავნა: უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში მეწვიეო!

— თუ ჩემი ყოფნა გინდოდათ ქორწილში, მე იქ არ ვიყავი, რომ დაკელა დამიპირეთ? ტყუილად გარჯილხარ, მე იქ აღარ წამოვალო!

— თუ არ წამოხვალ, შვილო, ე წვრილმანი მაინც აიტანე!

— ყველაფერი ბევრი მაქვს, მე თქვენი არაფერი მინდა, — ჩამოსძახა ქალმა, — თუ გაქვს, კეკი ამომაწოდე!

ჩამოუშვა თოკი, ასწია და აიტანა კეკი. დაღეჭა და ჩაუვარდა ენა, ისეთია, აღარაფერი ესმის.

მოვიდნენ ძმები. ნახეს, რაღა სანახავია ქალი! აღარც ენა აქვს, აღარც გონება. ბევრი იმწუხრეს, ბევრი იტირეს, ბოლოს, შეუკრეს ერთი კიდობანი, ჩააწვინეს შიგ და მისცეს წყალსა.

ატარა წყალმა, ატარა და ერთ სახელმწიფოში მიიტანა.

იქაურ ხელმწიფის შვილს ცოლი უნდა შერთონ; ხელმწიფეს გამოუცია ბრძანება: ვისაც გასათხოვარი ქალი გყავთ, ყველამ მოიყვანეთ, ჩემ შვილს უნდა ცოლი შეერთოო. ისეთია ეს ხალხი: მოდის და მოდის! სულ თავების მტვრევაა, იქნება მე მომიწონოსო. ამ დროს დაინახავენ, რომ წყალს კიდობანი მოაქვს, შეგზავნიან მცურავებს, გამოიტანენ ნაპირზე, გახსნიან: ია ხათუნი უკვე გასაღებულა, ისეთია, კაცს თვალს მოსტაცებს. აბა, სხვა ვიღა მოეწონებოდა. ხელმწიფის შვილმა დაიწერა ჯვარი ია ხათუნზე. ცხოვრობენ ტკბილად და უდარდელად.

დედაკაცი რომ დევთან შევიდა, დევმა უთხრა:

— ლამაზი ხარ, მაგრამ ამა და ამ ხელმწიფის შვილს რომ ცოლად ია ხათუნი ჰყავს, იმასთან კი ვერავინ მოვაო!

ოჰ, გაუსკდა გული დედაკაცს. დაეტაკა ქმარსა:

— ეგ მეორედ გაუშვი ის ქალი ცოცხალი! წადი და აუტეხე რამე, თორემ იცოდე, ცოცხალი აღარ დამენახოო!

წავიდა ეს კაცი. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ქვეყანაში, სადაც ია ხათუნია.

მივიდა ხელმწიფის შვილთან და სთხოვა, მებაღედ დამიჭირეთო.

ია ხათუნმა უთხრა:

— ნუ გინდა, გაანებე თავი, თორემ ინანებო!

არ დაიშალა ხელმწიფის შვილმა, მაგან რა უნდა გეიყოსო!

იარა ბერიკაცმა, იმდენი ძერა, რომ ხელზე მოსამსახურედ შეეპარა.

ერთხელ ხელმწიფის შვილი სხვაგან იყო სტუმრად; ია ხათუნი დაწვა და ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა. ამ ბერიკაცმა როცა დრო იპოვა, შევიდა, გამოსჭრა ყელი დედასა და შვილს და ერთ წყალში გადაყარა. მოიყვანა თავისი უფროსი ქალი და დააწვინა ლოგინში.

ია ხათუნი წყალში ოქროს თევზად იქცა. ისეთია სულ მზესავით ანათებს.

ხელმწიფის შვილი დაბრუნებულა და სწორედ ამ წყალზე გამოიარა. ეს ოქროს თევზი ისეთია, სულ ზედ ახტება. დაიჭირა და წამოიყვანა შინ.

ასეთია მეფის შვილი, სულ ზედ დაჰკანკალებს ამ თევზს. გაუკეთა აუზი, გაუშვა შიგ და დღე და ღამე აღარა შორდება.

ეს ქალი კი ჯოჯოხავით გამოიყურება ლოგინიდან. გახდა ავად.

— თუ მაგ თევზს დაკლავთ და მაჭმეეთ, მოვრჩები, თუ არა და — მოვკვდებიო!

რამ იზამს ხელმწიფის შვილი? თუმცა არ ემეტება, მაგრამ დედ-მამას ხათრს არ უტეხს.

— ისე აკრიფეთ ფხები, რომ ერთიც არსად არ გადაგიყარდეთო! — ბრძანა ქალმა.

დაკლეს და მოუხარშეს. მოაგროვეს ფხებიც, მაგრამ ერთი ფხა მაინც გაჰყვა ნაგავსა.ამ ფხაზე ისეთი ალვის ხე ამოვიდა, წვერით ცასა სწვდება. ეს ხელმწიფის შვილი დღეც იმის ძირში არის და ღამეც. ჩამოუშვებს ეს ალვის ხე ტოტებს. ქვეშაც ეშლება და ზევიდანაც ეხურება.

გახდა ეს ქალი ავად. აიხირა, თუ მაგ ალვის ხეს მოსჭრით და მაგის ნაფოტს ისე აკრეფთ, რომ ერთი არსად გადავარდეს, მოვრჩები, თუ არა და — მოვკვდებიო!

მეტი რა ღონე იყო! მოჭრეს, მაგრამ ერთი ნაფოტი ერთი ბებრის ეზოში გადავარდა.

ისეთია ეს ბებერი, ამ ნაფოტს გადააბრუნებს, აკოცებს, გადმოაბრუნებს, აკოცებს. ეს ბებერი რომ წავა, ეს ნაფოტი ქალად იქცევა, დაგვის, დარეცხავს, დაწმენდს, შეადგამს შეჯამადს, იქცევა ისევ ნაფოტად და დაეხურება ქოთანს.

ისეთია ეს ბებერი, უკვირს: არ იცის, ვინ უელის სახლსა! მეზობლებში ამბობს: ესეა ესე ჩემ თავს და არ ვიცი, ვინ შემოდიხართ, ვინ უვლით ჩემ სახლსაო?

— უდარაჯე და ნახავ, ვინც არისო! — უთხრეს მეზობლებმა.

მართლაც, გამოვიდა ერთხელ ბებერი, ვითომ სხვაგან მიდის და იქვე კი დაიმალა.

ამ ნაფოტმა რომ იფიქრა, ახლა კი წავიდა ბებერიო, გადმოხტა, იქცა ქალად, დატრიალდა; ყველაფერი ხელად გააკეთა და რომ ისევ ნაფოტად უნდა ქცეულიყო, შემოასწრო ბებერმაც, მე დედა და შენ — შვილიო!

გაუხარდა ამ ბებერს. ისეთია, სულ თავს დასტრიალებს. უამბო ია ხათუნმა თავისი თავგადასავალი ბებერსა.

ده جسمان

ბებერმა უთხრა:

-- ხელმწიფის შვილი დავპატიჟოთ, შვილოო!

— არა, დედი, ის არ გვიკადრებს, არ მოვა. ისევ ერთ წამალს გავაკეთებ, წადი, იმის ცხენებს გადააყარე; ისეთი ჭირი გაუჩნდებათ, რომ ჩვენს მეტმა ვერავინ მოარჩინოსო!

მართლაც, მისცა წამალი. წაიღო ამ ბებერმა და გადააყარა ცხენებს.

გაუჩნდათ ცხენებს ჭირი. ისეთია, სულ დაფქვა, მივიდა ბებერი ხელმწიფესთან, მოახსენა, მე მყავს ერთი ქალი და ის მოარჩენსო.

წაუყვანეს ქალს ცხენები; გადააყარა წამალი და, როგორებიც წინათ იყვნენ, ხელად ისეთებივე გახდნენ.

გაუხარდა ძალიან ხელმწიფის შვილს.

— რა მოგცე, — ეკითხება ბებერს, — რით დაგასაჩუქროო?

ბებერმა უთხრა:

— მე არაფერი მინდა, ჩვენსა წამობრძანდი და ჩემს ქალს უბრძანე მადლობა, იმან მოგირჩინაო!

მოვიდა ხელმწიფის შვილი ბებერთან. ხადავს, ია ხათუნი იქ არის. გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ქალმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

ხელმწიფის შვილმა ის კაცი და იმისი ქალი ცხენის ძუაზე გამოაბმევინა და სულ დააგლეჯინა.

ია ხათუნზე ხელმეორედ დაიწერა ჯვარი და გაბედნიერდნენ.

ს ა მ ი ძ მ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა, ღარიბები და საწყლები საშინლად. არაფერი არ ებადათ ღვთის განაჩენი. შიმშილით კუჭები უხმებოდათ და სიციეით ზურგები აძრებოდათ. ძმებმა თქვეს: ყველანი რომ შინ ვიყვნეთ, რა უნდა ვჭამოთ, ავდგეთ, ზოგი სად წავიდეთ და ზოგი სად, ლუკმა მაინც ვიშოვნოთო.

ადგნენ, მართლაც, და წავიდნენ სამუშაოდ. იშოვეს ცოტა რამ, მოიტანეს და დაიწყეს ცხოვრება. ისიც რომ გაუთავდათ. უმცროსი ძმა გამოაგდეს: წადი შენთვის, რაც გინდა ჰქენიო!

წავიდა, მართლაც, უმცროსი ძმა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ადგილას დაისვენა; გაიხედა და დაინახა, რომ ერთ გორასქვეშ ყაჩაღები დგანან. ერთ მხარეს ოქრო უგროვიათ, მეორე ადგილას — ვერცხლი, სხვაგან — თვალი და მარგალიტი და ათასი სხვა რამ უნჯი. უგდო უმცროსმა ძმამ ყური ყაჩაღებს, აბა, რას იზამენო. ყაჩაღებმა მოტანილი ოქრო-ვერცხლი აწყეს, დააყარეს წინანდელს და უთხრეს გორას:

— გორავ, გაიხსენო! — გორა გაიხსნა. შეიტანეს შიგ.

— დაიკეტე ისევაო! — უთხრეს. გორამ პირი შეიკრა; და წავიდნენ სადავლოდ.

ისინი რომ გაიგულა, უმცროსი ძმა მივიდა:

— გაიხსენიო! — უთხრა გორას.

გორა გიახსნა. ჩაიყარა გუდაში ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და წამოიღო. გამოიტანა. გორას უთხრა:

— შეიკარიო! გორა ისევ შეიკრა და გახარებულმა გასწია შინ.

მივიდა შინ. გამოართვა ლიტრიანი ძმებს, აწყა თვალ-მარგალიტი და ლიტრიანი ისევ წაუღო. სულ ხუთი ლიტრა გამოუვიდა. გამდიდრდა უმცროსი ძმა. მიდის თან და ისევ მოაქვს ცხენ-ჯორებით.

ერთხელ ძალიან ბევრი მოიტანა. ძმებს ისევ ლიტრიანი სთხოვა ასაწყავად. უფროსმა ძმამ თქვა: მოდი, ერთი გავიგებ, რასა წყავს, რა აქვს მაგდენიო! მოუსვა ლიტრიანს ძირზე ერბო, რომ ან ზედ მიეკრას, ან დააჩნდეს, რასა წყავსო, და მისცა.

აწყო უმცროსმა ძმამ მოტანილი სარჩო და ის კი ვერ შენიშნა, რომ ლიტრიანს ძირზე მარგალიტები მიეკრა. დაუბრუნა ლიტრიანი უფროს ძმას და მადლობაც გადაუხადა. უფროსმა ძმამ თქვა: ჰო, ახლა კი გავიგე, რაც უზიდნია მაგას. წავალ, ეკითხავ, საიდან მოაქვს და მეც წავალო.

უმცროსმა ძმამ უთხრა:

— ძმაო, იქიდან მოტანა საჭირო აღარ არის, ისინი შენ მოგასწრობენ, ჩემი მოტანილი თავსა გვდისო.

გაჯავრდა უფროსი ძმა:

— რას ამბობ, ეგ რომ მინდოდეს, არც შენთან მოვიდოდიო!

უმცროსმა ძმამ უთხრა:

— კარგი, წადი. ამა და ამ ადგილას რომ ერთი გორაა, იქ მიდი, იმას უთხარი: გორავ, გაიხსენი-თქო. გორა კარს გიზამს, შედი, გამოიტანე, რამდენიც გინდოდეს და წამოდიო!

უფროსმა ძმამ წაასხა უთვალავი ჯორ-ცხენები და წავიდა მოსატანად. მიდის გზაზე და იმეორებს: გორავ, გაიხსენიო, გორავ, შეიკარიო! მივიდა. უყო კარი გორამ და შევიდა. აწყო იქ ოქრო-ვერცხლი, ჩაყარა ტომრებში და აკი დაავიწყდა: გორავ, გაიხსენიო, დარჩა იქ.

მოვიდნენ ყაჩაღები, ნახეს ქურდი შიგ, გაჭრეს ეს უფროსი ძმა ოთხად და ყოველ მხრივ დაუყუდეს ოქრო-ვერცხლს. ელიან ძმები უფროს ძმას. აღარსადაა ის, ყაჩაღებს კიდევ ისა ჰქონდათ გულში, იმ კაცს ოთხად რომ ჭრიდნენ, რომ ამის პატრონი მოვა, ნათესავი ვინმე ეყოლება, წაიღებს და ჩვენ გავიგებთ მერმე, ოთხადგაჭრილი მკვდარი ვინ დამარხაო!

ელოდებიან ძმები უფროს ძმას, მაგრამ აბაა! ბოლოს, უმცროსი ძმა ადგა, წაასხა ოჯორ-აქლემები და წავიდა. მივიდა გორასთან:

— გორავ, გაიხსენიო! — მიაძახა.

გორა გაიხსნა, შევიდა შიგ, ნახა მკვდარი კაცი. მაშინვე ჩააწყო საცალოში, ჩაყარა თვალ-მარგალიტიც, გამოვიდა და წამოვიდა. მოვიდა შინ და შეუდგა დასაფლავების თადარიგს. წავიდა, ერთ ხარაზს ათი თუმანი მისცა, წამოიყვანა თვალებდახვეული, შეაკერინა ერთი დიდი ტყავის პერანგი, შიგ ჩაყარა გაჭრილი ძმა და ისე დამარხა.

მივიდნენ ყაჩაღები ადგილას, ნახეს: აღარც კაცი, აღარც თვალ-მარგალიტი. მაშინვე იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ, ერთი ძებნა, ერთი ამბავი. ბოლოს, იმ ხარაზს შეხვდნენ. ხარაზმა უთხრა, რომ ერთ კაცს მე შევუკერე ოთხად გაჭრილი კაცის სუდარა, თვალები ამიხვიეს და ისე წამიყვანესო. ყაჩაღებმა უთხრეს:

— უნდა გამოგვყვე და გვაჩვენო ის სახლიო!

ხარაზმა უთხრა:

— თვალახილული ვერ გავიგებ გზას, თუ თვალებს ამიხვევთ და ისე წამიყვანთ, იქნება კი გავიგოო!

აუხვიეს ხარაზს მაშინვე თვალები და წაიყვანეს. ხარაზმა იარა ანდით, იარა და მოვიდა იმ კარებზე, სადაც ის ამბავი იყო. ეს საქმე ღამე ქნეს, რომ არ შეშლოდა სახლი, კარებზე ნიშანი დააღეს და წავიდნენ...

ძმები ძალიანა ფრთხილობდნენ. ერთი მოსამსახურე ქალი ჰყავდათ, ის გამოვიდოდა ხოლმე და დაათვალიერებდა კარებსაც და სახლსაც, ხომ არაფერია ისეთი საზიანოო. იმ დილასაც გამოვიდა ძალიან ადრე, ნახა, რომ ალაყაფის კარებზე რაღაც ნიშანია, მაშინვე გაიქცა და ყველა კარს ის ნიშანი გაუკეთა.

მოვიდნენ ყაჩაღები იმათ დასახოცად, ნახეს, ყველა კარს ნიშანი აქვს, მოგვიგეს საქმეო და დაბრუნდნენ შინ. სხვანაირად მოვიქცეთო. ადგა ერთი მოხუცი ყაჩაღი, იშოვა ერთი დიდი რუმბი, ერთიც ამაზე მომცრო, ჩასხა იმ რუმბში თერთმეტი ყაჩაღი, ერთში კი ზეთი ჩაასხა და წაიღო იქ, სადაც ძმები ცხოვრობდნენ. ააატარა და ჩაატარა: ზეთი გასაყიდიო! ხაღამოზე იმათთან დადგა. უფროსმა ყაჩაღმა უთხრა იმათ, რომლებიც რუმბში ისხდნენ:

— მე ჯიბეს კენჭებით ავივსებ, თქვენ ფრთხილად იყავით; როცა ამათი დახოცის დრო მოვა, კენჭებს დავაყრი რუმბს, თქვენ ამოცვივდით და დახოცეთო!

კაცებიანი ურემი გარეთ დააყენეს.

მოსამსახურე ქალმა გაიგო, რომ რუმბებში ზეთი არ არისო, ადგა, რომელ რუმბშიაც ზეთი იყო, ჩამოუშვა, ააღუღა, წაიღო და ჩაუშვა იმ რუმბში, სადაც ყაჩაღები ისხდნენ და სულ ერთიან კი დაახრჩო.

შუაღამე რომ მოვიდა, ადგა ყაჩაღი, დაუწყო რუმბს კენჭების ხროლა, მაგრამ ყაჩაღები არ ინძრეოდნენ. მეორე დღეს ჩავიდა, შედგა წიხლებით: თქვე, ოხრებო, რად დაიძინეთ, რომ მე კენჭებს გესროდითო! მაგრამ ყაჩაღები მკვდრები ნახა. ადგა და წავიდა. ვერც ეს მოუხერხდა. ბოლოს, ჩაიცვა ვაჭრულად, წაიყვანა თავისი შვილი, წაიღო სავაჭრო: ვაჭრობს და ნახევარს მუქთად ურიგებს. ძმებმა თქვეს:

— ეგ კაცი რამდენს აძლევს მუქთად და არავინ კი არ ეპატიჟება, ჩვენ დავიპატიჟოთო!

დაიპატიჟეს. მშვენიერი ვახშამი აჭამეს. ვახშამზე სხედან. მოხამსახურე ქალი იქ არის. ულესს კბილებს ყაჩაღი ქალს, უნდა როგორმე მოიშოროს თავიდან, რომ დაატყუოს ძმები და ამოიყაროს იმათი ჯავრი, მაგრამ ქალი არ შორდება. დაჯდება და დაიწყებს ტკბილ სიმღერას. მოყვება ბაიათებს.

ძმები უიარაღოდ სხედან, ყაჩაღი და იმის შვილი აბჯრით არიან შელესილნი.

— საჭირო არ არის ბაიათები, ჩვენ მაგდენი პატივისცემის ღირსნი არა ვართ, ქალს ნუ აწუხებთ, წავიდესო!

— არა მიშავს, — ეტყვის ქალი, — ხანჯლები მომიტანეთ, ხანჯლებზე ვითამაშებო!

მოატანინა ხანჯლები. დაუკრა დაირა და დაუარა. ატრიალებს ხანჯლებს, ივლებს ფეხებში. უცებ გაიელვებს ხანჯალი... და ყაჩაღების თავები გაგორდებიან იატაკზე. ეცემიან ძმები ქალს და წაუჭერენ ყელში:

— რად გმე პურ-მარილი, სტუმარი რად მოგვიკალიო!

— არა უშავს, — უთხრა ქალმა, — ეგენი იმის ღირსნი იყვნენო, — და მოუყვა ყველაფერს, რასაც ძმები ხედავდნენ და ვერ იგებდნენ, ესმოდათ და ვერ არჩევდნენ...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა — მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსა და გამგონებელსაც
ჯვარი გვეწეროს ყველასა.

ტ ა რ ი ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი, სახელად ტარია.დეკეკაცი იყო იგი. სულ ტყე-ტყე დადიოდა, ნადირის ხორცსა ჭამდა და წყაროს წყალს სვამდა. რასაც ხელს დააკლებდა, მტერსავით გახდიდა. არც დედა ჰყავდა და არც მამა. ტყეში მისი შიშით ოჩოკოჩსაც ვერ გაეკლო. სულ ბოროტ სულებს, დევებსა და ოჩოკოჩებს დასდევდა, სადაც წაასწრებდა, სპობდა, ანადგურებდა. საწყალი, მართალი კაცი უყვარდა, მას არას ერჩოდა, იქით შველოდა ხოლმე.

კეთილი საქმის მთესავს ტყეში ჰქონდა ბინა. ერთი მეფის ქალი შეჰყვარებოდა, სახელად დარჯა. მეფეს ცხრაკლიტულში ჰყავდა ჩამწყვდეული თავისი დარჯა. ირგვლივ დევები ეყენა მცველებად. დღედაღამ ფხიზლობდნენ დევები, ახლოს არავის აკარებდნენ. ტარიას შიშით დევები ღამით კოშკებში იკეტებოდნენ და იქიდან აღევნებდნენ თვალს გალავანსა და ციხეს.

ტარია სულ ციხის ირგვლივ დადიოდა, მაგრამ ციხეში შესასვლელი ვერ ეპოვა და ვერა. ამით დანაღვლიანებული იჯდა ტყეში ვაჟკაცი და ტიროდა. ერთხელ, მწარედ დაღონებული ტარია ცეცხლის პირას იჯდა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა, თავს წაადგა ერთი მისებრ დეკეკაცი.

— ტარია, ღმერთმა შენს საშველად გამომგზავნა, მოდი, ვიიმოთ, მე ჭირში გიშველი, შენ კი შავი დევის წინააღმდეგ გამომყევ და მამაჩემის სული მახსნევინეო! — უთხრა უცხო ვაჟკაცმა.

ტარიას ძლიერ გაუხარდა ვაჟკაცის ნახვა. მოიწვია ცეცხლის პირას, ეძმნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს ხვალ დილით ციხის აღება.

დაუსტვინა ტარიას ძმობილმა ავთამ და მათ წინ, მინდორზე, გაიშალა ჯარი. ტარიამ და ავთამ ცხენები შეკაზმეს და ჯართან ერთად ციხისაკენ გასწიეს. გამთენიის ჟამს ციხეს მიაღწიეს. დიდი ბრძოლის შემდეგ ციხე აიღეს, მოკლეს დარჯას ბოროტი მამა. დარჯა და ტარია დაქორწინდნენ. იმ ღამეს მოილხინეს.

მეორე დღეს ტარია და ავთა წავიდნენ შავი დევის საძებრად. შავ დევს გაეგო მათი მოსვლა და შიშით კლდეზე გადაჩეხილიყო. მონახეს ავთას მამის სული, რომელიც შავ დევს შავ კიდობანში ჩაემწყვდია, გაათავისუფლეს იგი ტყვეობიდან და სიმღერით უკან დაბრუნდნენ.

ასე გაიმარჯვეს მეგობრებმა მტრებზე. ასე შეირთო ტარიამ მზეთუნახავი დარჯა. დიდი დიარა გადაიხადეს. დიდხანს ტკბებოდნენ ერთმანეთის სიყვარულით. მეც მათ დიარაში გახლდით. გუშინაც იქ ვიყავ, დღეს აქ გეახელით.

დედის გული

ქვრივ დედას ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. წამოიზარდა ვაჟი, დაავაჟკაცდა და ერთი ლამაზი გოგონა შეუყვარდა.

ქალს მაინცდამაინც არ მოსწონდა ყმაწვილი და, თავიდან რომ მოეშორებინა, უთხრა:

— დედაშენზე მეტად თუ გიყვარვარ, წამოგყეები ცოლად, თუ არადა — არაო! ამოართვი დედაშენს გული და ცოცხლად-ცოცხალი მომიტანეო!

არ დაფიქრებულა მიჯნურობის ალში გახვეული ვაჟი. არც აცია, არც აცხელა, მძინარე დედას გული ამოართვა და გააქანა ცხელი, ათახთახებული გული თავის სატრფოსთან. ისეთი თავგამეტებით მირბოდა, რომ თვალები აუჭრელდა, წამოჰკრა ფეხი ქვას და ორივე ხელით მიწას დაასკდა. დედის გული მძიმედ დაეცა მიწაზე...

დაიკვნესა დედის გულმა და შვილს შესძახა:

— ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა, ხომ არაფერი გეტკინაო?

ვაჟი გონს მოვიდა, საშინელი ბოღმა მოაწვა, მიიჭრა სატრფოსთან და ისეთი გამეტებით ჰკრა გულზე დედის ცხელი გული, რომ იქვე სული გააცხებინა: ეს ჩემი დედის ცოცხალი გული და ესეც შენი სიკვდილიო!

ი ლ ა ნ კ უ ლ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ვაჟი, სახელად ილანკულა, და იზრდებოდა ერთ კოშკში. ისე იზრდებოდა, რომ ქვეყნიერებისა არა იცოდა რა.

ერთ დღეს გაიხედა ფანჯრიდან და ნახა, მკვდარი მოაქვთ. ჰკითხა თავის გამზრდელს:

— ეს რა მოაქვთო? — და მან უამბო, კაცი როგორ კვდებოდა. ილანკულამ თქვა: სიკვდილიც ყოფილაო და მე რად მზრდიან ასე, რომ ქვეყნიერებისა არა ვიცი რაო! ჩამოვიდა მამასთან.

ცხრა მთას იქით ცხრა ძმა დევს, თითოს ცხრა-ცხრა თავი რომ ჰქონდა, ცხრაკლიტულში ერთი მზეთუნახავი და ჰყავთ. ღამე რომ გარეთ გამოიყვანდნენ, როგორც მთვარეს, აქ ისე დაინახავდნენ. რადგან ილანკულა ძლიერ მძლავრი იზრდებოდა, მამა კოშკს არ აშორებდა: იმ ქალის ამბავი არავინ უთხრას, საძებრად არ წავიდეს და დევებმა არ მომიკლანო.

ხელმწიფემ მთელ თავის სახელმწიფოში გასცა ბრძანება: იმ ქალის ამბავი არავინ უთხრას ჩემს შვილსაო!

ერთ დღეს ილანკულა ტოლებში გაერია და თამაშობა დაიწყო. ერთ თავის ტოლს ხელი მოაკლო, გასწია და კინაღამ დალეწა. მერმე იმან უთხრა:

— ჩემი მორევა კი არაფერია, თუ ღონიერი ხარ, ცხრა ძმა დევს რომ ერთი და ჰყავს, ის მოიტაცე და ცოლად შეირთეო!

გაიქცა ილანკულა მამასთან და უთხრა:

— ერთი რაში მიბოძე, უნდა წავიდე და, ცხრა ძმას რომ მზეთუნახავი და ჰყავს, ის უნდა მოვიტაცო და ცოლად შევირთოო!

ხელმწიფემ ბევრი იტირა და ეხვეწა, ნუ წახვალო, მაგრამ ვაჟმა არ დაიშალა და წავიდა.

ბევრი იარა და დაუღამდა. ერთ ტრიალ მინდორზე ნახა, რომ სახლი დგას და ცეცხლის შუქი გამოდის. იფიქრა, ამაღამ აქ დავდგებიო. გადახტა რაშიდან, რაში ხეზე მიაბა და სახლში შევიდა. ძლიერ გაუკვირდა: მშვენიერი ცეცხლი ენთო, სამი შამფური მწვადი თავისით იწვოდა, თვით ტრიალებდა. ერთ კუთხეში ტახტი იდგა, კედელზე ერთი ხმალი, ერთი ქუდი და ხელსახოცი ეკიდა. ილანკულამ იფიქრა: უნდა გავიგო, ეს სახლი ვისიაო და ტახტქვეშ დაიმალა. დაუგდო ყური. თურმე ეს სახლი სამი ეშმაკისა იყო. სად იყო, სად არა, მოვიდნენ ეშმაკები. გაშალეს სუფრა, მოიტანეს მწვადები და შეუდგნენ ჭამას. დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა თქვა:

— აბა, თქვით, ვინ რა იცითო!

— ჩემ ხმალს, რომ ეუთხრა, ქარქაშიდან ამოვა და, რაც უნდა ბევრი ხალხი იყოს, ყველას თავებს დააყრევინებსო! — თქვა ერთმა.

— ჩემი ქუდი უჩინმაჩინის ქუდია, ვინც დაიხურავს, თვითონ ყველას დაინახავს, მას კი ვერავინ დაინახავსო! — თქვა მეორემ.

— ჩემი ხელსახოცი მკვდარს გააცოცხლებსო! — დაუმატა მესამემ.

მერმე თქვეს:

— ასე რომ ვლაპარაკობთ, ილანკულა კი აქ არსად იყოსო!

გაათავეს ვახშამი ეშმაკებმა და წავიდნენ. გამოვიდა ილანკულა, ჩამოიღო ქუდი, თავზე დაიხურა, ხმალი წელზე შემოიკრა, ხელსახოცი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ცხრათავიანი დევების სახლთან. ამ დევებს წესი აქვთ: ერთს ვახშმობისას და ერთს სადილობისას შეკლენ თავიანთ დასთან და სადილ-ვახშამს შეუტანენ ხოლმე. ილანკულამ უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა თავზე და დაუდარაჯდა. დევებმა როცა კარები გააღეს და ვახშამი შეიტანეს ქალთან, ილანკულაც უჩინრად თან შეჰყვა. ძმებმა დას ვახშამი მიართვეს და გამოვიდნენ. ისევ ცხრა კარი დაკეტეს, მზეთუნახავმა ივახშმა: და დაწვა. ილანკულა მივიდა და აკოცა. ქალმა ერთი ისეთი შეჰკივლა, რომ დევები შემოცვივდნენ, ჰკითხეს:

— რა მოხდა, რატომ იკივლეო?

— ვიღაცამ მაკოცაო! — უთხრა დამ.

ძმებმა ბევრი ათვალიერეს, მაგრამ ვერავინ ნახეს,ლსხ უთხრეს:

— სიზმარი გინახავსო! და გავიდნენ. ისევ გაიკეტეს კარები.

კიდევ მივიდა ილანკულა და კვლავ აკოცა ქალს. ქალმა უთხრა:

— რას მაწვალებ, ვიღაცა ხარ, თუ ილანკულა ხარ, გამოჩნდიო!

— სწორედ ილანკულა გახლავარო! — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

ქალმა გაშალა თითები და უთხრა:

— აბა, ამ თითებს თუ ერთმანეთთან მიმიტან, ილანკულა იქნებიო!

მოჰკიდა ილანკულამ ხელი და კინაღამ დაამტვრია.

— გამიშვიო! — უთხრა ქალმა.

გაუშვა და ახლა ილანკულამ უთხრა:

— აბა, ნახე, შენ თუ მიმიტან ერთმანეთთან თითებსო!

მოუჭირა ქალმა ხელი, მაგრამ თითები ვერ მიუტანა ერთმანეთთან. მაშინ ერთმანეთს ცოლ-ქმრობის პირობა მისცეს. ილანკულას მოჰშივდა და უთხრა:

— შენს ძმებს უთხარი, ღამით მომშივდება და მეტი საჭმელი მომიტანეთ-თქო!

შემოვიდნენ ძმები. დამ უთხრა:

— მეტი სადილ-ვახშამი მომიტანეთო!

შემოუტანეს, ჭამეს.

— ახლა წავიდეთო! — უთხრა ილანკულამ ქალს, გაჭრა შუაზე უჩინმაჩინის ქუდი, ნახევარი თვითონ დაიხურა, ნახევარი თავის ცოლს დაახურა და, როცა ძმებმა ვახშამი შემოიტანეს და გავიდნენ, ისინიც უკან გაჰყვნენ. შესხდნენ რაშზე და წავიდნენ.

ბევრი იარეს და მერმე ილანკულამ ცოლს უთხრა:

— მოიხედე უკან, ხომ არავინ მოგვდევსო!

— მოგვდევენ, ბუზის ტოლა ჩანანო! — უთხრა ცოლმა.

გაიარეს რამდენიმე გზა და კიდევ მიახედა. ცოლმა უთხრა:

— არიქა, დაგვეწიენენო!

ილანკუღამ ხმალს უთხრა:

— აბა, ხმალო, ამოღი, ამ ცხრა ძმა დევს თავები დააყრევინეო!

ამოვარდა ხმალი და ყველას თავები მოსჭრა. მზეთუნახავი ძლიერ შეწუხდა. ქმარმა უთხრა:

— რას შეწუხდი, თუ გინდა შენს ძმებს ახლავე გავაცოცხლებო! და ჯერ ერთს მოუსვა ხელსახოცი, გააცოცხლა, ჩამოართვა პირობა, რომ თავის დაზე აღარაფერი ეთქვა, შემდეგ მეორეს, მესამეს... სუყველა თითო-თითოდ გააცოცხლა. ყველას პირობა ჩამოართვა და დიდი სიხარულით წავიდნენ.

მოვიდა ილანკუდა მამასთან, ცოლითა და ცოლის ძმებით, ხელმწიფემ დიდი ქორწილი გადაიხადა, დიდი სიხარული დადგა იმათ საბრძანებლოში.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
სამი ვაშლი, სამი ბროწეული,
ღმერთმა ნუ მოგაკლოთ
თქვენი ხელით მოწეული.

ხუთკუნჭულა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ცხრა ძმანი. ცხრაც ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ იმათას ვერც არას ცეცხლი დაწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა. ნახევარზე მშიერები იყვნენ. ბოლოს, თქვეს ძმებმა: წავიდეთ, ან მოჯამაგირედ ვისმე დავუდგეთ, ან კიდეე ვიმუშაოთ, დღიური ლუკმა ვიშოვოთო.

წავიდნენ, იარეს, ერთ ქვეყანაში მივიდნენ. იქ ერთი დევი შეხვდათ. დევმა ჰკითხა:

— სად მიდიხართო?

იმათ უპასუხეს:

— სამუშაოდ, ლუკმის საშოვნელად, გვინდა მოჯამაგირედ ვისმე დავუდგეთო!

დევმა უთხრა:

— მე დამიდექითო!

ძმებმა უპასუხეს:

— კარგიო!

წაიყვანა დევმა და წავიდნენ. დევს ცხრა ქალი, აუარებელი საქონელი, ძროხა და ცხვნი ჰყავდა. იმ ღამეს დევმა კარგი ვახშამი აჭამა, დააწვინა და თვითონ კი დაუწყო თვალის ჭერა, თუ როდის დაეძინებათო. რვა ძმას სძინავს, ხუთკუნჭულა კი, უმცროსი ძმა, არ იძინებს, ლოგინში წევს და დევზე აქვს თვალი.

— დეგეძინათ? — დაუძახა დევმა.
— არა! — უპასუხა ხუთკუნჭულამ.
— რა არ გაძინებს? — ჰკითხა დევმა.
— შენი ბატების ყიყინიო! — უპასუხა ხუთკუნჭულამ.
მაშინვე წავიდა დევი, გადაყლაპა ბატები და ცოტა მოიცადა.
— დაგეძინა, თუ ისევ გლვიძავს? — ჰკითხა ხელახლა დევმა.
— არაო! — უპასუხა ხუთკუნჭულამ.
— რა არ გაძინებს? — ჰკითხა ხელახლა დევმა.
— შენი ძროხების ფეხის ხმაო, — უპასუხა ხუთკუნჭულამ.
წავიდა დევი, გადაყლაპა ყველა ძროხა და დაბრუნდა. დაუგდო ყური, ყველას სძინავს ვითომ.
— დაგეძინა? — დაუძახა ხუთკუნჭულას.
— არა! — უპასუხა ისევ ხუთკუნჭულამ.
— რა არ გაძინებს? — დაუძახა გაცეცხლებულმა დევმა.
— შენი ცხენების ჭიხვინიო, — უპასუხა ხუთკუნჭულამ.
დევი ისევ წავიდა, ახლა ცხენების დასაჭმელად. ამ დროს ადგა ხუთკუნჭულა, აიღო დევის ქალების ტანისამოსი და ძმებს დაუწყო, ძმებისა და თავის ხანჯლები და ტანისამოსი — დევის ქალებს, და გაიტრუნა, თითქოს დაეძინაო. მოვიდა დევი, დაუარა თავის ქალებს, ვაჟები ჰგონია, დასჭრა თავები და დაყარა. ხუთკუნჭულამ ჩააცვა ძმებს ქალების ტანისამოსი და გაისტუმრა, უთხრა:
— თქვენ წადით, ხიდს გადითო!
თვითონ იქ დარჩა.
მეორე დღეს ქალად ჩაცმულმა დევს უთხრა:
— ხორცს ჩავყრი, ის ვაჟები რომ დავხოცეთ იმათას, და მეც ჩემ დებთან წავალ, საყდარში წავიდნენ.
— კარგი, წადიო! — უთხრა დევმა.
წავიდა ხუთკუნჭულა და გავიდა ხიდს. დევმა ხორცი ამოიღო, ჭამა და აკი ძუძუები ამოუჩნდა. მაშინვე თქვა: ეს ხუთკუნჭულამ მიყოო. გადააგდო ხორცი და გამოუდგა ხუთკუნჭულას. კარგა გზა გაიარა და დაუძახა:
— ხუთკუნჭულავ, გამასწარ ხიდსაო? — გაგასწარ და თვალიც მოგთხარეო! — უპასუხა ხუთკუნჭულამ.
ის ხიდი დევისა და ერთი ხელმწიფის საზღვარზე იდო. იმ ხიდს დევი ვერაროგორ ვერ გავიდოდა და ძალიან ეშინოდა, ამიტომ, რაკი ხიდს გავიდა ხუთკუნჭულა, სამშვიდობოს იყო გასული. დაბრუნდა დევი შინ კბილის კრაჭუნით. ძმები კი წავიდნენ და მივიდნენ ერთ ხელმწიფესთან. ახლა იმას დაუდგნენ მოჯამაგირედ. ძმები აუშარდნენ ხუთკუნჭულას, მოინდომეს იმისი მოკვლა. ხელმწიფეს უთხრეს:
— ერთ დევს ერთი თხა ჰყავს, ის თხა გულთმისანია და, რასაც ნახავს, ან გაიგონებს, ყველაფერს იტყვის. ის თხა რომ მოიყვანოს კარგი იქნებაო!
თხა იმ დევისა იყო, ვისთანაც ძმები იყვნენ. ხელმწიფემ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა:
— წადი და, ამა და ამ დევს რომ თხა ჰყავს, აქ მოიყვანე, თუ არ მოიყვან, სისხლის მეტი ვერაფერი გიხსნისო!

რას იზამდა ხუთკუნჭულა, ადგა და წავიდა თხის მოსაყვანად. მივიდა დევის სახლში და დაენახვა თხას. თხამ დაუძახა დევს:

— ხუთკუნჭულა! ხუთკუნჭულა!

გამოვიდა დევი გარეთ, ეძებს ხუთკუნჭულას. ხუთკუნჭულა კი კარის უკან არის დამალული. ეძებს დევი, მაგრამ ტყუილად. ხუთკუნჭულა კიდევ დაენახვა თხას. თხამ კიდევ დაიძახა:

— ხუთკუნჭულა!

კიდევ ეძებს დევი, მაინც ვერა პოულობს. ბოლოს, გაბრაზებული გადაისვრის თხას გარეთ. ხუთკუნჭულა დაავლებს ხელს, გაიქცევა და გავარდება ხიდს. დევი იფიქრებს: ბიჭო, იქნება ის ოხერი ხუთკუნჭულა მართლა აქ სადმე იყოს, თხა მომტაცოს და წაიყვანოსო. და გამოიხედა გარეთ. სადღაა თხა! იმის კვალიც აღარ იყო. მაშინვე გამოეკიდა დევი, ირბინა და მიუახლოვდა ხიდს.

— ხუთკუნჭულავ, გახველ ხიდს, თუ არა?

— თვალი კი არ მოგთხარეო! — მოაძახა ხუთკუნჭულამ და წაიყვანა თხა. დევი შინ დაბრუნდა გაბრაზებული.

ხუთკუნჭულამ თხა ხელმწიფეს მოუყვანა და ძმებს კი, რასაკვირველია, ვერაფრად ეპიტნავათ. ხელმწიფეს უთხრეს:

— დიდებულო ხელმწიფეე, მაგ თხის პატრონს ისეთი ხელიჩა აქვს, რომ მისი ფასი დედამიწის ზურგზე არაფერი იქნება. თუ ხუთკუნჭულამ იმისი თხა მოიყვანა, ხალიჩასაც ადრე მოიტანსო!

ხელმწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა, რომ შენ უნდა წახვიდე და, ამ დევს რომ ხალიჩა აქვს, ის მოიტანოო!

ხუთკუნჭულას რა მეტი ღონე ჰქონდა, ადგა და წავიდა. ხელმწიფეს კი მოახსენა, რომ ერთი მუჭა ნესმ-მახათი ებოძებინა. მისცეს და წაიღო.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა დევის სახლში, შეიპარა, სადაც ხალიჩა იყო დაგებული და დაარჭო ხელიჩაში ნემსები. მოვიდა დევი, დაჯდა ნემსებზე — შეერჭო, იქით გადაიწია, იქითაც შეერჭო, აქეთ გადმოიწია — აქეთაც შეერჭო. ბოლოს, რაკი ძალიან შეწუხდა, მოაველო ხალიჩას ხელი და გადაუძახა გარეთ. დაავლო ხელი ხუთკუნჭულამ, გააქცია და გავარდა ხიდს. დევმა იფიქრა: ის ეშმაკი ხუთკუნჭულა კი არ იყოს აქ სადმე და ხალიჩა არ წაიღოსო! გამოიხედა მაგრამ სადღაა ხალიჩა! დარჩა ხახაცარიელი დევი. გამოეკიდა ხუთკუნჭულას და დაუძახა:

— ხიდს გახველ, ხუთკუნჭულავ, თუ არაო?

— გაველ და თვალიც მოგთხარეო! — უპასუხა ხუთკუნჭულამ.

მივიდა და მიუტანა ხალიჩა. ძმებს უფრო აერიათ გული. ხელმწიფეს მოახსენეს:

— ხუთკუნჭულამ მაგ თხის და ხალიჩის პატრონიც რომ მოიყვანოს, ძალიან კარგი რამ სახილველი იქნებაო!

დაიბარა ისევ ხუთკუნჭულა ხელმწიფემ და უთხრა:

— უნდა წახვიდე და ამ ხალიჩის პატრონიც აქ მოიყვანოო!

— კარგიო, — მოახსენა ხუთკუნჭულამ, — მხოლოდ ერთი ხელი იმერული ტანისამოსი კი მიშოვეთ და ხუროს იარაღები, რაც რამ არისო.

ხელმწიფემ უშოვნა, ჩაიცვა ხუთკუნჭულამ, აიღო ხელში ხერხი, ჯრო, ხუსტარა, საწარბელა, შალაშინი და სხვა და გასწია.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა დევის საბრძანებელში. უცებ დევს შეხვდა ტყეში.

— ოჰ, შენ არა ხარ ხუთკუნჭულაო? — დაუძახა დევმა.

— აი, ასე და ისე მოუვიდეს ხუთკუნჭულას ჩემი ცოდვა ნუ დაულიოს ღმერთმა, — უთხრა დევს ხუთკუნჭულამ: — იმ ვერანას ვშველოდი, იმერელი ვარ, არაფერი მომცა, გამომაგდო. დევმა მართლა დაუჯერა.

— თუ იმერელი ხარ, — ჰკითხა, — მაშ შენ კაი ხელობა გეცოდინება, რას გააკეთებ საკვირველსაო?

— მე ისეთ კიდობანს გავაკეთებ, — უთხრა ხუთკუნჭულამ, — რომ შიგ ჩაჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინოო.

— აბა, გააკეთეო! — უთხრა დევმა.

საჩქაროდ გააკეთა კიდობანი ხუთკუნჭულამ და უთხრა დევს:

— აბა, ჩადი, ნახე, ძირს გააგდებინებ თუ ვერაო?

ჩაჯდა დევი, ჰკრა წიხლი და გააგდებინა. გააკეთა მეორედ, ჩასვა დევი და უთხრა:

— აბა, ახლაც გააგდებინეო?

დევმა, მართლაც, ვეღარ გააგდებინა, დაულურსმა და უთხრა:

— ფეხით არ იარო, ზურგზე აგიკიდებ და შენს სახლში ისე მიგიყვანო!

— კარგიო! — უთხრა დევმა.

მოიკიდა ხუთკუნჭულამ და ხუსხუს ხელმწიფისაკენ! ხიდს რომ გავიდა, დევს გულმა გაუგო.

— აი, გადამიყვანე, განა ხიდს?! — უთხრა ხუთკუნჭულას და დაიზიდა, მაგრამ სად წავიდოდა?

წამოიყვანა ხუთკუნჭულამ და მოუყვანა ხელმწიფეს. დევის სანახავად შეიკრიბა მთელი ჯარი, ნაზირ-ვეზირი, ხელმწიფე და სხვა დიდებული. უნდოდათ, გაეხსნათ და ენახათ. ხუთკუნჭულა კი გაიქცა, წაიღო ერთი მარილის ქვა და ავიდა ერთ მაღალ ჭადარზე. იქიდან უცქერის სეირს. ახადეს კიდობანს, ამოვარდა იქიდან გაგიჟებული დევი, დაერია ხალხს და ყველა ერთად კი მოაქცია თავისი ხელმწიფითა და რვა ძმით შავ მუცელში. რაკი ყველა მიყლაპ-მოყლაპა, ხუთკუნჭულას დაუწყო ძებნა და მერმე ჭადარზე შეიხედა. იქ მჯდომი ხუთკუნჭულა დაინახა და დაუძახა:

— ხუთკუნჭულავ, მასწავლე, მანდ როგორ ახველო?

— ამ მარილის ქვას ხომ ხედავ? — დაუძახა ხუთკუნჭულამ დევს, — ეს მარილის ქვა გულზე დავიდე, ამოვფრინდი და ამოველო.

— სად ვიშოვნო მაგისთანა ქვაო? — ჰკითხა დევმა.

— გულაღმა დაწექ, მე ჩამოვუშვებ, გულზე დაგეცემა და ამოხტებიო, — დაუძახა ხუთკუნჭულამ.

დაწვა დევი გულაღმა. ჩამოუშვა მარილის ქვა, დაეცა დევს და ორად გახვრიტა. ხუთკუნჭულამ ამრიგად მოიშორა დევი თავიდან. ჩამოვიდა ხიდან, ის იმოდენა სარჩო იმას დარჩა. გახდა სიმდიდრისა და შეძლების პატრონი; გახდა ქვეყნის ბატონიცა და პატრონიც. აქეს მუდამ ძველი პური და ძველი ღვინო.

ხელმწიფე და მისი ცხრა ვაჟი

თქმა იყოს და გაგონება,
გორგოლაჭის გაგორება.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდი და დიდებული ხელმწიფე. იმ ხელმწიფეს ცხრა ვაჟი ჰყავდა. ამდენ შვილებს იქნება სხვა კი გაეხარებინა, მაგრამ ხელმწიფე კი სულ სხვა თვალით უცქეროდა ამას. ის ერთი თვალითა ტიროდა და ერთი თვალით იცინოდა; რომ ვისმე ეკითხა ხელმწიფისაოვის: დიდებულო ხელმწიფეე, რა გახარებს, ერთი თვალით რომ იცინით და ერთი თვალით ტირითო, ის ეტყოდა: ერთი თვალით იმიტომ ვიცინი, შვილო, რომ ცხრა ვაჟი მყავს და ერთი თვალით იმიტომ ვტირი, რომ ამ ცხრა ვაჟში ისეთი არავინ გამოერია, რომ ჩემი ნაქნარი ექნა, ჩემი ჩანადენი ჩაედინაო.

ერთხელ უფროსმა შვილმა გაიგონა მამის სიტყვები, მივიდა და უთხრა:

— მამავ, რა გაწუხებს, რაზე ტირი, შვილები ამდენი გყავართ, რამ დაგაღონაო?

— იმან, შვილო, — უპასუხა ხელმწიფემ, — რომ ცხრა ვაჟში ერთი არ გამოხვედით იმისთანა, რომ ჩემი საქმენი თქვენც გეთავათო.

— იქნებ ჩვენც შევიძლოთ, მამავ, წინათვე რად იტეხთ გულსაო! — უთხრა შვილმა.

ჯერ არ ეუბნებოდა მამა და, რაკი შვილმა მოაბეზრა თავი, უთხრა:

— მაშ შეგიძლია, სანამ ხოხობი მოიხრაკებოდეს, წახვიდე და უკედავების წყალი მოიტანო?

— ვერაო! —უპასუხა შვილმა.

მერმე მერვე ვაჟი წამოდგა, იმასაც შეუკვეთა ხელმწიფემ. ასე ზოგი უარს ამბობდა წასვლაზე, ზოგიც წავიდოდა, მაგრამ ხოხობი დანაცრდებოდა კიდეც იმის მოსვლამდე.

ბოლოს, უმცროსი ვაჟი მივიდა მამასთან და უთხრა:

— მამავ, მე წავალ და მოვიტან, თუ შენ რაშს მომცემო!

მამამ ძალიან უარი უთხრა. მაშინ, ადგა ვაჟი, მოჰპარა მამას რაში, გადააჯდა ზედ და გაფრინდა რაში ჰაერში. მამამ რომ გაიგო შვილის გაპარვა, დასწყევლა: ასემც წასულხარ, არამც მოსულხარო!

მიფრინდა უკვდავების წყაროსთან და მიაწოდა თევზ-ქალს ჩარექა წყლის ამოსაკრეფად. ის ქალი უკვდავების წყალში იდგა, წელზევით ქალი იყო და წელქვევით თევზი. ქალმა უთხრა კაცს:

— დაბრუნდი, უკან ნუღარ წახვალ, მამისგან დაწყეველილი ხარ; შენ მაინცდამაინც სიკეთე არ დაგეყრება, გზაზე მოკვდებიო!

ვაჟმა არ დაიშალა, გამოართვა უკვდავების წყალი, შემოჰკრა თავის რაშს მათრახი და გაეშურა სახლისაკენ. მაგრამ მთაზე ლეკები დახვდნენ,

მოკლეს, დაჭრეს და გადაჰკიდეს რაშს. რაში დაბრუნდა უკან და ჭიხვინით მოვიდა ქალთან. ქალმა დააწყო ვაჟის ლეში ასო-ასოზე, გადაასხა უკვდავების წყალი და გააცოცხლა.

— ოჰ, რა ბევრი მძინებიაო! — თქვა ვაჟმა და მოიფშვნიტა თვალები.

— აკი გითხარი, — უთხრა ქალმა, — რომ მამის წყევლას კაცი ვერსად წაუვა; მე რომ არ დაგსწრებოდი ან შენი რაში, შენი ლეშიც აღარსად იქნებოდა ახლა. შინ ნულარ წახვალ, — უთხრა ქალმა, — და სადაც გინდოდეს, სხვაგან წადიო!

გამოეთხოვა ქალს ვაჟი. შემოჰკრა რაშს გეზი და გაუდგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს, გამოვიდა ერთ დუზ მინდორზე, გაიხედა და დაინახა, რომ მინდორში რაღაცა ბრჭყვიალებს: ისეთი საკვირველია, ისეთი ჭრელი რამ არის, რომ იმისთანა არაფერი იქნება ქვეყანაზე. მიუახლოვდა ვაჟი, ნახა, რომ ბუმბულია. რაშსა ჰკითხა:

— რას მირჩევ, ავიღო თუ არაო?

— აიღებ — ინანებ, — უპასუხა რაშმა, — არ აიღებ — მაინც ინანებო!

— რაც უნდა მომივიდეს, ავიღებო! — თქვა ვაჟმა.

აიღო ფთე, ჩაიდო უბეში და გაუდგა გზას. ბევრი სიარულის შემდეგ ვაჟი ერთ ხელმწიფესთან მივიდა და დაუდგა მეჯინიბედ. მეორე დღეს გიაყოლა თავის რაში, ორი ბიჭიც სხვა გაიყოლა, წაასხეს ცხენები და გარეკეს მინდორში. ამოიღო ვაჟმა ის ბუმბული, დაიჭირა ხელში და მთელი დღე იმას შესცქეროდა. ცხენებიც დაავიწყდა და წუთისოფელიც. ორი დღე უთმინეს ამხანაგებმა და მერმე კი დაასმინეს ხელმწიფესთან:

— ჩვენ ახალ მეჯინიბეს, დიდებულო ხელმწიფევ, ერთი რაღაცა აქვს, ამოიღებს იმას და მთელი დღე შესცქერის, არც არას თვითონ ჭამს და არც არას ცხენებს აჭმევს. საწყლები მთელი დღე ფერდი ფერდზე აქვთ მიკრულიო!

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ ვაჟი და ჰკითხა:

— რა გაქვს ისეთი, რომ მთელი დღე იმას შესცქერიო?

— რა უნდა მქონდეს? — უპასუხა ვაჟმა, — რომ რამე მქონებოდა, ხომ არც თქვენ დაგიდგებოდით მოჯამაგირედო!

— არა, — უთხრა ხელმწიფემ, — აუცილებლად უნდა მომცეო!

ამოიღო ვაჟმაც ბუმბული და გადასცა ხელმწიფეს. ხელმწიფე ფთის საკვირველებიდან იყო გამოსული, გაეღო ხახა და შესცქეროდა ბუმბულს, სხვა ვეღარაფერი გაეგო იმის ცქერით, არც სასმელი და არც საჭმელი!

— რა ხახა დაგიღრენია და შემომცქერი, — უთხრა ბუმბულმა ხელმწიფეს, — მე კი არა ვარ საკვირველი, საკვირველი ის არის, ვისაც მე გავარდიო!

— ვინ მოიყვანს იმასო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ვინც მე მომიტანაო! — უპასუხა ბუმბულმა.

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ ვაჟი და უთხრა:

— უნდა წახვიდე და, სადაც იქნება და სადაც არა, ის ფრინველი მოიყვანო, რომელსაც ის ბუმბული გავარდაო!

ვაჟი ძალიან შეწუხდა. წავიდა და შესჩივლა რაშს:

— ესე ესეა საქმე, ხელმწიფემ შემიკვეთა, უნდა ის ფრინველი მოვიყვანო, რომელსაც ის ფთე გავარდაო!

— რა მეტი ღონეა, — უპასუხა რაშმა, — უნდა წავიდეთ და მოვიყვანოთ. შენ კი წადი და ხელმწიფეს ერთი ჯორი გამოართვი, ერთი კვერი (ჩაქუჩი) და ცხრა მოსართავიო.

წავიდა ვაჟი, გამოართვა ყველაფერი და მოიტანა რაშთან.

— შემჯექ და წავიდეთო! — უთხრა რაშმა. შეჯდა ვაჟი და წავიდა იმ ფრინველის საძებნელად.

ერთ მთაზე მივიდნენ. რაშმა უთხრა ვაჟს:

— იმ ფრინველებმა აქ იციან ჩამოსხდომა. ეგ ჯორი დაკალ, გამოაცალე წელები, ერთი დიდი რკინის პალო ძალიან მაგრად დაარჭე მიწაში, ზედ ჯორი დააბი, რომ ვერ წაიღოს იმ ფრინველმა, შენ ჯორის გვამში დაჯექი. ფრინველი მოვა, ჯერ ერთხელ დაუქროლებს, ჩაუყრის ბრჭყალებს წასაღებად, მაგრამ რადგანაც დაბმული იქნება, ვერ წაიღებს. მერმე მეორედ. რაკი ვერა და ვერ წაიღებს, იმას ძალიან უყვარს ჯორის ხორცი, დააჯდება და დაუწყებს ჭამას. შენ მაშინ ხელი სტაცე, დაიჭირე, მოგეშველები მეც; ჯერ დავასუსტოთ, მერმე მე დამაკარ, ზედ ცხრა მოსართავი გადააკარ, შენც ზედ შემაჯექ, რამდენიც აიწიოს, შენ კიდევ კვერი უკაკუნე თავშიო!

ვაჟმა ყველაფერი ისე ქნა, როგორც რაშმა უთხრა. მოვიდა ის ფრინველიც. ისეთი ტურფა რამ იყო, რომ იმაზე კარგს კაცის თვალი ვერაფერს ნახავდა. ჯერ ერთხელ დაუტია ლეშს, ჩაუყარა ბრჭყალები, მაგრამ ვერ წაიღო, ახლა მეორედ, მაგრამ ვერც მაშინ წაიღო. მერმე კი დაჯდა და დაუწყო გლეჯა ჯორის ხორცს.

ვაჟი იქვე იჯდა. გამოაპარა ჩუმად ხელი, სტაცა ფეხში ამ ფრინველს და დაიჭირა. დაიზიდა ფრინველმა, მაგრამ ამოუხტა კაცი, შედგა ზედ წიხლით. გაუარა და გამოუარა. მოეშველა რაშიც და, როგორც იყო, დაიმორჩილეს.

დასუსტებული ფრინველი დააკრეს რაშს და გადაუჭირეს ცხრა მოსართავი. ზედ თვითონ შეჯდა ვაჟი და გასწიეს. გზაზე თანდათან ცოცხლდება ფრინველი, აიწევს ზევით და გაგლეჯს თითო მოსართავს. უბრაზუნებს ვაჟიც თავში კვერს, რაც ძალი და ღონე აქვს. მაგრამ იმდენს ვერაფერს აკლებს. რვა მოსართავი გაგლიჯა, ერთითღაა დაკრული და ის არის, მივიდნენ ხელმწიფესთანც.

ყვირის ვაჟი:

— მომეშველეთო!

მიეშველნენ მაშინვე და შეიყვანეს ფრინველი ცალკე ოთახში. ხელმწიფე მისჩერებოდა ამ ფრინველს და ვეღარ აშორებდა თვალს.

— რა ხახა დაგიღრენია და შემცქერი, — უთხრა ხელმწიფეს ფრინველმა, — მე რა ვარ, საკვირველი ის არის ვინც მე გამზარდეო!

— ვინ მოიყვანს იმასაო? — ჰკითხა ხელმწიფემ ფრინველს.

— ვინც მე მომიყვანა! ჩემს მომყვანს არც იმის მოყვანა გაუჭირდებაო.

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ ვაჟი და უთხრა:

— უნდა წახვიდე და, სადაც იქნება და სადაც არა, ამ ფრინველის გამზრდელი ქალი უნდა მოიყვანოო!

— მე საიდან მოვიყვანო, ბატონო! — უთხრა ვაჟმა, — მე რა ვიცი, სად არის ის ქალიო!

— ეგ ჩემი საქმე არ არის, — უთხრა ხელმწიფემ, — თავში ქვა უნდა იხალო და მოიყვანოო!

რაღას იზამდა საწყალი ვაჟი? დაღონებული დაბუნდა რაშთან.

— რამ დაგაღონა, ჩემო პატრონო, — ჰკითხა რაშმა, — რას დაუფიქრებიხარ? ჯავრს ნუ მიუშვებ გულადა, გულს ჟანგი მოეკიდებაო!

— ესე ესეა ჩემი საქმე, — უთხრა ვაჟმა, — და არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცეთო?

— მაგის ნუ გეფიქრება, — უთხრა რაშმა, — წადი, ორი ქილა ერბო და ორი ცხვარი გამოართვი და წავიდეთო!

წავიდა ვაჟი ხელმწიფესთან, გამოართვა ორი ქილა ერბო, ორიც ცხვარი, შეჯდა და გასწიეს.

ბევრი იარეს, თუ ცოტა, მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ქალის სახლი იყო. რაშმა უთხრა:

— კარებზე ორი ლომია, ისინი შეგვჭამენ, თუ ცხვრები არ გადაუგდე. მერმე ორი ძაღლია, იმათ ის ერბოიანი ქილები გადაუყარე და გაგვიშვებენ. ქალის სახლში რომ შეხვიდე, რაც გაშლილი დაგხვდეს, შეკეცე და რაც შეკეცილი — გაშალე. იქ ათასი აბრეშუმეული და ფარჩეული ოქროქსოვილი აფენია, ქალი დამალულია და უიმისოდ არ გამოჩნდებაო.

ადგა ვაჟი და წავიდა ქალის სახლისაკენ. წინ ლომები შეხვდნენ, გადაუყარა ცხვრები, გასცდა იმათ, ძაღლებს ერბოიანი ქილები მიუყარა და შევიდა ქალის ოთახში. რაც შეკეცილი და შეკრული ნახა, გახსნა და გაშალა, რაც გაშლილი ნახა — შეკეცა. გამოჩნდა კიდეც ქალი, ისეთი მშვენიერი, რომ სანახავად სანატრელი იყო. შეისვა რაშზე ქალი ვაჟმა და გააფრინა ხელმწიფისაკენ.

— მიშველეთ, ჩემო ლომებო! — დაიძახა ქალმა, — მტერმა მომიტაცაო!

— არა გვცალია, ცხვრებისა კიდევ გვიკლია ცოტა რამ შესაჭმელიო! — უპასუხეს ლომებმა.

— მაშ, თქვენ მაინც მომეშველენითო! — დაუძახა ქალმა ძაღლებს, მაგრამ აღარც ძაღლებმა უგდეს ყური:

— არა გვცალია, ერბოიანი ქილები მოსალოკი გვაქვსო!

წაიყვანა, წაიყვანა! მოუყვანა ხელმწიფეს და უთხრა:

— აი, ესეც თქვენი ქალიო!

ხელმწიფე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მერმე მალე კი გაუცივდა სიხარული. ქალმა უთხრა:

— სანამ ჩემი ნების რაშების რძეს არ მომიტანთ და არ ვებანები, არ დავიწერ შენზე ჯვარსაო!

— ვინ მოიტანს შენი ნების რაშების რძესაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ვინც მე მომიყვანაო! — უპასუხა ქალმა.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა ვაჟი და უთხრა:

— უნდა წახვიდე და ქალის რაშების რძე მოიტანოო!

დაბრუნდა რაშთან დაღონებული ვაჟი.

— რამ დაგაღონაო? — ჰკითხა რაშმა ვაჟს.

— რამ არ დამაღონა, ახლა რაშების რძისათვის მგზავნისო, — უპასუხა ვაჟმა.

ऊँटके समान मुँहवाले उस मनुष्यको देखकर

— შენ ნუ იდარდებ! — უთხრა რაშმა. — წადი, ხელმწიფეს ცხრა კამეჩის ტყავი გამოართვი, ცხრა მოსართავი და ერთი ბოთლი ზეთიო!

წავიდა ვაჟი, რაც ნათქვამი იყო, ყველაფერი გამოართვა, წამოიღო და წამოვიდა...

ბევრი იარა, ცოტა იარა, მიეიდა იმ ზღვასთან, რომელშიაც ქალის რაშები იყვნენ. ჩამოხტა და დაისვენეს. რაშმა უთხრა:

— მომაკარ ცხრა კამეჩის ტყავი, ცხრა მოსართავი, ჩავალ ზღვაში, ეგ ერთი ბოთლი ზეთიც თანდათანობით ჩამოასხი; თუ თეთრი ქაფი ამოვიდა, ცოცხალი მიგულე, ამოვალ მეც, თუ არა და — მკვდარი ვარ, ჩემი იმედი ნულარ გექნებაო!

ჩავიდა რაში ზღვაში, დაირეკა ეს ქალის რაშები; ზოგს სწიხლავს, ზოგს ჰკბენს, ერეკება ზევით, მაგრამ არც ისინი აყრიან სიკეთეს: ჰკბენენ, აგლეჯენ კამეჩის ტყავს და რაშს კი ვერაფერს აკლებენ. ბოლოს, ერთი კამეჩის ტყავიღა შერჩა. ჩაასხამს ვაჟიც ზეთს და ამოვა თეთრი ქაფი. იმედი მიეცა, რაში ისევ ამოვაო! ამოვიდა რაში და ამორეკა ქალის რაშებიც.

პირობა ჰქონდათ: ვაჟი ხეზე უნდა მჯდარიყო და უცებ უნდა გადამჯდარიყო თავის რაშზე. გაურბინა ქვეშ რაშმა, მოახტა ზედ ვაჟი და მოქუსლეს. გაირეკეს რაშები და მოაღებინეს გრიალი ხელმწიფის კარზე.

შევიდა ვაჟიც ხელმწიფესთან და მოახსენა რაშების მოყვანა. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა. დაწველეს რაშები და უნდა იბანაონ. ისეთია რაშების რძე, რომ სულ ზევით ისერის ქაფს: დუღს, დუღს და იქანცება.

— ჩადი, ხელმწიფევ, ჯერ შენო! — უთხრა ქალმა.

— აბა, მე გაბანილიცა ვარ და სუფთაც, — უპასუხა ხელმწიფემ, — მე გაბანა აღარ მინდაო!

რაშმა უახრა ვაჟს:

— მე დაებერავ, გაციცდება, წადი, შენ ებანე, ქალიც ჩამოვა. ისიც ებანება. მერმე ისევ დაებერავ — რძე ადუღდება, ხელმწიფე ჩავა და რაც მოუვა-მოუვაო!

დაჰბერა რაშმა და ჩავარდა ქვაბში ვაჟი, ებანა მშვენივრად და ამოვიდა ისევ. ჩაჰყვა ქალი, ებანა და ამოვიდა. ხელმწიფემაც თქვა: ბიჭოს, თუ ესენი ებანებიან და არაფერს უშერება, მე რაღა უნდა მიყოსო! ჩავიდა თვითონაც. დაჰბერა რაშმა, ადუღდა რძე და ეს ხელმწიფე გაშეშებული კი ამოიღეს ქვაბიდან.

დაიწერეს ჯვარი ქალმა და ვაჟმა. სახელმწიფოც იმათ დარჩათ და მთელი იმათი საცხოვრებელიც. მერმე დედ-მამასთან წავიდა. წაიყვანა თავისი ცოლიც და გაახარა თავისი დედ-მამაც. დალოცა მამამ ისევ შვილი და ღღესაც ტკბილად ცხოვრობენ, თეთრ პურსა ჭამენ და წითელ ღვინოსა სვამენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა-მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსა და გამგონებელსაც
ჯვარი გვეწეროს ყველასა.

მეთევზე და სამი თევზი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი მეთევზე; მუდამდღე ის მეთევზე თევზს იჭერდა, ყიდიდა ბაზარში და იმათი ირჩენდა თავსაც და არჩენდა ცოლ-შვილსაც.

ერთხელ თევზი ისე გაიაფდა, რომ აღარავინ ყიდულობდა. მეთევზესაც რაღა უნდა ექნა? ეეღარ გაყიდა თევზები. ბოლოს, აიღო და რაღაც ჭკუამ უთხრა, სამი თევზი წყალში გაუშვა: ერთს დაუძახა ჭკუა, მეორეს — გონება, მესამეს — ფილთაქვა და გასწია შინ.

გავიდა დრო. თევზი შეცოტავდა, მომხმარე ბევრი გამოჩნდა, დამჭერი კი — ცოტა. ჩვენმა მეთევზემ ცოტა სარფა ნახა.

ერთხელ მეთევზეს მოაგონდა თავისი თევზები. იფიქრა: ახლა ისინი დაიზრდებოდნენ, წავალ, დავიჭერ და გავყიდიო!

აიღო ბადე, მიეიდა წყლის პირას და დაიძახა:

— ჭკუავ, ნაპირს გამოდი, უნდა დაგიჭიროო!

მოცურდა თევზი ნაპირას და დაუძახა მეთევზეს:

— შენ თუ ჭკუა გქონდა, მე აქ აღარ გამიშვებდიო!

დაღონდა მეთევზე: თევზი წაუვიდა ხელიდან.

მეთევზემ ახლა მეორეს დაუძახა:

— გონებავ, გამოდიო!

— შენ რომ გონებიანი ყოფილიყავი, — უპასუხა თევზმა, — მე წყალში აღარ გამიშვებდიო! — შემოჰკრა ბოლო და გაცურა ზვირთებში.

მეთევზემ ახლა მესამე თევზს დაუძახა:

— ფილვაქვავ, სადა ხარ, გამოცურდი ნაპირას, უნდა დაგიჭიროო!

— შენ რომ ფილთაქვისოდენა ჭკუა მაინც გქონოდა, — გამოსძახა მესამე თევზმა, — აქ, წყალში კი არ გამიშვებდი, შინ წამიღებდი ცოლ-შვილთანაო!

დარჩა გაწბილებული მეთევზე.

მეორე დღეს ბაზარში ეეღარ გაიარა საწყალმა, რადგანაც წინადღით პირობა მისცა, რომ ხვალ თევზს მივიტანო, და პირღია კი დარჩა. შერცხვენილი იჯდა შინ და ქაქვდა ნაცარს...

ასე იყო წყალში თევზის გამშვები მეთევზის საქმე!

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ঘুমন্ত ছেলে ও ছায়া

მზის ძალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო სამი ძმაკაცი. მოხნეს სამი დღის მიწა და დათესეს: ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზე. მოვიდა მშვენიერი ჯეჯილი. აღელდა ყანა ზღვისებრ. აღელდა პატრონის გულიც სიხარულით იმ ყანის მნახველი. მაგრამ დახე უბედურებას!

ერთ მშვენიერ დღეს მოიქუშა ცამ პირი, დაუშვა სეტყვა და შუალა ყანა სულ მიწაში ჩაიტანა. ის ორი ნაპირისა კი გადარჩა.

მოვიდა პატრონი, დახედა ყანას და ჩასწყდა გული. მაინც აღარაფერი თქვა, აიღო ნამგალი, გადიდო მხარზე და გაუდგა გზას ბედის საძებნელად.

იარა, იარა და ერთ მდიდარ კაცთან მივიდა. ასი დღის ყანა ჰქონდა იმ მდიდარ კაცს. მივიდა და უთხრა:

— რას მომცემ, რომ ეგ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოგიმკაო?

— შუაზე გაგიყოფო! — უპასუხა მდიდარმა კაცმა.

წავიდა ჩვენი ნაცნობი ვაჟი და დაუწყო ულოს გრეხა. შუადღემდის ულო გრიხა. მერე მოუდო ნამგალი და გაუსვა. ის იყო ერთი ძნალა ჰქონდა შესაკრავი, რომ ჩავიდა მზეც. მოუხადა ვაჟმა ქუდი მზეს, შეეკედრა: ნუ ჩახვალ ჯერ, ცოტა მოიცადეო, მაგრამ მზემ აღარ მოიცადა. შეკრა ის ძნაც და მოვიდა ყანის პატრონიც: ძალიან გაუკვირდა ასეთი იმისი მკა და უთხრა:

— გავიყოთ შუაზე ახლა, როგორც პირობა გვაქვსო, მაგრამ მომკალმა არ უსმინა, გადაუგდო ნამგალი და უთხრა:

— მაინც ბედი არ მაძლევს და არ მაძლევს. პირობა ვერ შევასრულე დროზე, შენ შენთვის და მე ჩემთვისო...

წავიდა... ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ხელმწიფესთან და დაუდგა მეცხვარედ ოთხი წლის ვადით, იმ პირობით, რომ არც მგელს რამე შეეჭამა იმ ოთხ წელში, არც ჭირს მოეკლა, ერთი სიტყვით, ბეწვი არ უნდა დაჰკლებოდა. ბოლოს შუაზე გაიყოფდნენ: ნახევარს ერთი წაასხამდა, ნახევარს მეორე. თუ დააკლდებოდა რამე, მეცხვარე ცარიელი უნდა წასულიყო.

დადგა ვაჟი მეცხვარედ. გავიდა ოთხი წელი; ერთი თიკნის ყურიც არ დაჰკლებია, ისე ააშენა ცხვარი, რომ მიწას უმძიმდებოდა.

ის იყო, ბაკში ერეკებოდა მეცხვარე ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ ერთი მგელი გამოიქცა, ეცა ერთ ცხვარს, მოიტაცა და გააქანა ტყისაკენ.

ხელმწიფე მაინც შუაზე უყოფდა ცხვარს. მაგრამ მეცხვარემ გადაუგდო კაკი და წავიდა თავის გზაზე. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ მდინარესთან. დაჯდა და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ მზის სამი

ქალი ჩამოსულა და ებანებიან წყალში; ისეთი მშვენიერებია, რომ კაცის თვალი იმათზე კარგს ვეღარასა ნახავს. ადგა ეს კაცი, მიეპარა ამ ქალებს, მოიპარა ერთი და გამოიქცა.

ირბინა ბევრი, ირბინა, გაიყვანა ქალი ერთ ტრიალ მინდორზე, გაუკეთა ქოხი და დადგნენ იქ. მაგრამ არაფერი კი არ ებადათ. ქმარი აღარც სამუშაოდ წავიდა: სადაც ვიყავ, რასაც ხელი მოვკიდე, კი იყო ჩემი ბედი და ახლა სადღა უნდა წავიდეო!

ქალს ერთი ნატვრის ბეჭედი ჰქონდა. მისცა ის ბეჭედი ქმარს და უთხრა:

— ჩემი ქრთამი და მზითევი ეს არის, ამის მეტი არაფერი მაბადია: მიწაზე დადებ, სუფრა გაიშლება, სუფრაზე დადებ, სასმელ-საჭმელი ჩამორიგდება, ჩამოიტან ქვევით, ჭურჭელი დარიგდება, აიტან და ჩამორიგდება.

დიახ, გაიხარა ქმარმა. უსაზომო შვებას მიეცა. ხელმწიფის დაპატიჟება ჩაიდვა გულში. ცოლმა უშალა:

— შენს ქერქში იყავ, მოუწვდომელს ნუ წვდები. ხელმწიფის სტუმრობა ადვილი ნუ გგონია. აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო. ეგ ერთი ბეჭედი გვიგდია და გაკვირვებით გინდა ეგეც თავიდან მოიშოროო.

— არ იქნება და არ იქნებაო, — დაუყვინა ქმარმა, — უნდა დავპატიჟოთ და ჩვენი გლეხური ცხოვრება ვაჩვენოთო, ნახონ, რომ ჩვენც შეგვიძლია ხელმწიფეს გაეუმასპინძლდეთო!

ადგა მეორე დღეს ეს კაცი და გასწია ხელმწიფის დასაპატიჟებლად. მიართვა საჩუქარი და სთხოვა:

— გაგვაბედნიერეთ და ჩვენსა სადილად მობრძანდითო.

ხელმწიფეს გაეცინა:

— შენ რა ხარ, შენი სადილი რა უნდა იყოსო, — მაინც უთხრა, — მე კი ვერ წამოვალ და ნაზირ-ვეზირებს გამოგაყოლებო!

ხელმწიფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა:

— წადით, ნახეთ, ეს კაცი რომ მეპატიჟება, რაზე მეპატიჟება, აქვს რამე, თუ აბუჩად მიგდებსო!

გაუძღვა კაცი და გაჰყვნენ ნაზირ-ვეზირნიც ჯარით. გზაზე რომ მიდიოდნენ, ჯარსაც და ნაზირ-ვეზირსაც პური მოშივდათ. მოკლეს ერთი ხოხობი, მისცეს ბიჭს და გაგზავნეს შესაწველად ქოხში. წვავს ხოხობს ბიჭი, თვალი მზის ქალზე აქვს. ისე მოხიბლა ქალმა, რომ სრულებით დაავიწყდა, თუ ხოხობსა წვავდა. ნახევარი ხოხობი სულ ჩაებუგა. წამოუღო ნაზირ-ვეზირებს დამწვარი ხოხობი. ჰკითხეს ხოხობის დაწვის მიზეზი.

— ღმერთმანი, ერთი ქალი იყო ამ კაცის ქოხში, ისე მომტაცა გონება, რომ ვეღარაფერი გავიგე!

ნაზირ-ვეზირმა დააჩქარეს ჯარი, შესხდნენ და გასწიეს იმ ქოხისაკენ. ქალის ნახვა უნდათ. მივიდნენ შორიახლოს და ჩამოხტნენ.

ჩამოუტარა მზის სიძემ ბეჭედი ცხენებს და სათითაოდ თივა დაედო და ქერიანი თოფრები ჩამოეკიდა. აატარა მერე და ცარიელი თოფრები ჩამოხსნა. დადვა ბეჭედი და გაეშალა ჯარს სუფრა. მოვიდა და მოვიდა საჭმელი და სასმელი, სულ ახალი და ახალი. ნაზირ-ვეზირი გაკვირვებული იყვნენ: სახლი კი არსად უდგა, არაფერი უჩანს და ეს რა ამბავიაო.

ნახეს ახლა იმისი ცოლი და სულ ჭკუაზე შეიშალნენ. გაუმასპინძლდა მშვენივრად მზის სიძე და გააკვირვა ნაზირ-ვეზირი.

მოვიდნენ, ხელმწიფესთან ნაზირ-ვეზირნი.

— როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ყმაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

ნაზირ-ვეზირმა ძალიან უქეს:

— სულ უცეცხლო საჭმელები გაგვიკეთა. მაგრამ იმას რომ ცოლი ჰყავს, იმისთანა კი არაფერი იქნება. ის ქალი იმას კი არ უნდა ჰყავდეს, ხელმწიფეს ეკადრება. იმას ცოლი წაართვით და თქვენზე ბედნიერი აღარავინ იქნებაო!

— როგორ წავართვა? — ჰკითხა ხელმწიფემ, — უმიზეზოდ ცოცხალი არ დამანებებსო.

ნაზირ-ვეზირთა ურჩიეს:

— დაიბარე ის კაცი და შეუკვეთე: მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანე-თქო. ის იქ წავა, იქიდან ვეღარ მოვა და ცოლი შენ დაგრჩებაო!

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უთხრა:

— უნდა წახვიდე და, მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანოო!

დაბრუნდა შინ მზის სიძე, შესჩივლა ცოლს:

— ხელმწიფე მზესთან მგზავნის, ოქროს ერკემალი უნდა მოვუყვანოო.

— ახლა რაღა ეშველება, — უთხრა ცოლმა, — ეგ წინათვე უნდა გეფიქრა, ახლა ჯავრობით ვეღარაფერს გააწყობ, ისევ ისე სჯობია, ადგე და შეუდგე გზასო! მისცა ნიშანი და გაგზავნა.

ბევრი იარა მზის სიძემ, ბევრი ქვეყანა გაიარა, გაათავა სახმელო და სამზეოს მოება. იარა, იარა და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე იყვნენ. მზე სამგზავროს ყოფილიყო, ქვეყანაზე წასულიყო სანათებლად. მთვარემ ნახა მზის სიძე, იცნო და ძალიან გაუხარდა, დედას ახარა, ჩვენი სიძე მოვიდაო.

გამოჰკითხა სიძეს მოსვლის მიზეზი. სიძემაც უამბო ყველაფერი.

— მზე მოვა, შენ ვერ გაუძლებ იმის ნათელს და დაიწვებიო! — აქცია ნემსად და შეარჭო ბოძში.

საღამოზე მოვიდა მზეც.

— სულიერის სუნი მომდის, — დაიძახა მზემ, — ვინ მოსულა, ჩემს საბრძანებელშიო?

— რას ამბობ, — გაუჯავრდა მთვარე, — ქვეყანაზე შენ დადიხარ, შენ მოგყვებოდა სულიერის სუნი. მართლა, შენი სიძე რომ იყოს აქ, ხომ არ დაწვავო?

— არა, — უფიცა მზემ, — ოღონდ თვალით კი მაჩვენეთ, როგორი კაცია ჩემი სიძეო!

აქცია მთვარემ სიძე ისევ კაცად და წამოაყენა მზის წინ. მზე მიეალერსა სიძეს და გამოჰკითხა მისვლის მიზეზი.

— ხელმწიფე შენს ქალს მეცილება, — უთხრა სიძემ, — გაუგონია, მზეს ოქროს ვერძი ჰყავსო და გამომგზავნა იმის წასაყვანადო.

— ფიქრი ნურაფრისა გაქვს, — გაუმაგრა გული მზემ, — წამოდი, ჩემს ბაღში დაისვენეო.

შევიდა ბაღში ვაჟი, ნახა, საშინლად მოეწონა. მართლაც, მშვენიერი რამ იყო: ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინ ყვაოდა, ზოგი მაშინ აფოთლებდა, ზოგს კი ჩამოსდიოდა.

მზეს უთხრა სიძეს:

— აქ, ბაღში იყავ და სადილს მგელი და ელია მოგართმევენო...

მოშივდა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო მოლოდინი. მოვიდა მგელი და მოუტანა სუფრა. მოვიდა ელია და მოართვა სასმელ-საჭმელი. მზის სიძეს ერთი კომბალი ჰქონდა; გაიკითხა მგელი იქით და ჰკითხა:

— მე რომ წელიწადი ერთი თიკნის ყურიც არ დამკლებია, ისე ვუვლიდი ცხვარს, და ყაელის გათავების დროს შენ რომ მოხველ და მომტაცე, რადა ჰქენ ეგ საქმეო?

წაუდო და წაუდო მგელს. იმდენი სცემა, რამდენიც ენება. მერმე გაიკითხა ელია და იმასაც ჰკითხა:

— მე რომ სამ მამულში შუა მამული მეჭირა, შენ წამოუშინე სეტყვა და სულ მიწაში ჩაატანინე ჩემი ყანა, რადა ჰქენ ისაო?

დაუდო და დაუდო იმასაც. ჰკრა კომბალი თვალებში და გამოსჩიჩქნა. დაჯდა მერმე და შეექცა ზადილს. დაურბინა მზის ბაღს, დაამტვრია და აჭრა ხეხილი, გაატიალა და გააერანა ერთიან.

მივიდა მზე სიძესთან და ნახა, რომ ბაღიც ისე გაუერანებია, რომ მტერს აეტირება.

— რათა ჰქენ მაგრეო? — ჰკითხა სიძეს.

— თქვენ რაღად ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამული მეგდო, წამოუშინა ელიამ სეტყვა, გამიოხრა; ოთხი წელიწადი ხელმწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა, ან მე რომ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, ერთი ძნაღა მქონდა შესაკრავი, გთხოვე, მოიცადე, ნუ ჩახვალ-მეთქი, და შენ ყურიც არ შეიბერტყეო?

მზემ ველარაფერი უთხრა, მისცა ოქროს ვერძი და გაისტუმრა მშვიდობით.

მოუტანა ოქროს ვერძი ხელმწიფეს. ხელმწიფეს იმედი დაეკარგა ქალის ხელში ჩაგდებისა. ნაზირ-ვეზირს ჰკითხა:

— რაღა მეშველებაო?

ნაზირ-ვეზირმა ურჩია, საიქიოს გაგზავნე, თქვენმა მშობელმა დედამ რომ ბეჭედი წაიღო, ის მოგიტანოსო.

დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უბრძანა:

— საიქიოს წადი, ჩემმა დედამ საიქიოს ბეჭედი წაიღო და ის მოიტანეო.

მოვიდა ცოლთან მზის სიძე და შესჩივლა:

— ხელმწიფე ახლა საიქიოს მგზავნის, შენი თავი უნდა წამართვასო!

ცოლმა ერთი ვაშლი მისცა და უთხრა:

— გააგორე ეს ვაშლი და სადაც ის წავიდეს, გაჰყევ შენც კვალზეო!

აიღო ვაშლი მზის სიძემ, გააგორა და გაჰყვა კვალზე. მიგორავს ვაშლი და აი, გამოვა ერთ დიდ მინდორზე. ერთი ირემი დგას. რქები ცამდისა აქვს აწვდილი:

— გამარჯობა, შენიო! — უთხრა მზის სიძემ ირემს.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ირემმა, — სად მიდიხარ, აქ რამ მოგიყვანაო? — ჰკითხა ირემმა.

— საიქიოს მივდივარ, ხელმწიფის დედას ბეჭედი უნდა გამოვართვა და მოვიტანოო!

— მეც რამე წამალი მომიტანე, რქებს ველარ ეზიდავო! — შეეხვეწა ირემი.

გასცდა ირემს მზის სიძე და მივიდა ერთ კლდესთან, შიგ ერთი ხარი აბია: არც სასმელი წყალი აქვს, არც საჭმელი ბალახი, მაგრამ ისეთი მსუქანია, რომ ხორცი ასკდება სიმსუქნით.

მზის სიძეს ძალიან გაუკვირდა, ხარსა ჰკითხა:

— არაფერს კი არა ჭამ ღა რამ გაგასუქა მაგრეო?

— რომ ჩამოიველი, მაშინ გეტყვიო! — უპასუხა ხარმა.

გასცდა ამას მზის სიძე და ერთ მშვენიერად მორთულ მინდორზე გამოვიდა. ნიავის ქროლაზე ბალახი ზღვასავით ღელავს, წყაროებს ჩუხჩუხი და ღურღური მოაქვს ბალახებს შუა. მინდვრის შუა ერთი ხარი დგას, ჰირაკრული, ვერც ვერაფერსა ჭამს და ვერც ვერაფერსა სვამს; ისეთი მჭლეა, რომ კაჭკაჭი ვერაფერზე გამოეზიდება.

გაკვირვებული მზის სიძე იმასაც ჰკითხავს:

— რამ გაგხადა მაგრე, ასეთი სასმელი და საჭმელი წინა გაქვსო?

ხარმა უპასუხა:

— ამველელი ბევრი მინახავს, გამომვლელი კი — აღარც ერთიო!

მზის სიძე გასცდა მჭლე ხარს და ერთ მღვდელს შეხვდა: ზურგზე საყდარი ჰკიდია, დადის და, სადაც ერთ კაცს ნახავს, დადგამს და ულოცავს. მზის სიძე მღვდელსაც მიესალმა, მღვდელმა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა და მზის სიძემ კიდევ საყდარის ზურგზე აკიდებისა.

მღვდელმა სთხოვა:

— საიქიოს რაკი მიხვალ, შემიტყვე, რა ვუყო ამ საყდარს. მუდამ ზურგზე ხომ არ მეკიდება, ამბავი მომიტანეო!

გასცდა იმასაც ვაჟი და წავიდა. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ადგილას: ცულის ტარზე ცოლი და ქმარი წვანან, ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან და ცულის ტარი იქით და აქეთ კიდევ გადაჭარბებულია.

მზის სიძე გაკვირვებული შესცქეროდა საკვირველ ცოლ-ქმარს:

— თუ ღმერთი გწამთ, ეგ როგორ არის, რომ ცულის ტარზე წევხარ ი ორი სული და იქით და აქეთ კიდევ ადგილია დარჩენილიო?

— ამველელი ბევრი გვინახავს და ჩამომვლელი კი აღარავინ! — უპასუხა ცოლ-ქმარმა, — აიარე, ჩამოიარე და მაშინ ყველაფერს გიამბობთო.

გასცდა ამათაც გაკვირვებული მზის სიძე და წავიდა. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ცოლ-ქმართან: კამეჩის ტყავზე დაწოლილან, ერთი იქით გორავს, ერთი აქეთ და კიდევ ერთმანეთს წიხლავენ: იქით მიწექ, მიიწიე, იქით მიწექო!

მზის სიძე მივიდა, სალამი მისცა და ჰკითხა:

— ეგ რა უბედურებაა თქვენს თავს, რომ კამეჩის ტყავზე წევხართ და კიდევ ვიწროდ გეჩვენებათო?

— ამველელი ბევრი გვინახავს, ჩამომვლელი კი აღარავინ! — უპასუხა ცოლ-ქმარმა, — წადი და, თუ ჩამოიველი, მიზეზს მაშინ შეიტყობო.

გასცდა ამათაც მზის სიძე და მიდის. გზაზე ერთი დედაკაცი შეხვდა: მოუგროვებია კვერცხები და კოშკს აშენებს. აიყვანს ცოტად, ააცილებს მიწას, იგრიალებენ კვერცხები და ჩამოცვივიან დაბლა. ის ხელახლა

მოჰყვება და აშენებს კოშკს. მივა იმასთან მზის სიძე და გაკვირვებით ჰკითხავს:

— რას შვრები? კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, რომ შენ ააშენოო?

— ჩამოიარე და მაშინ გეტყვი მაგის მიზეზსო! — უპასუხა დედაკაცმა.

გასცდა ამ დედაკაცს მზის სიძე და წავიდა თავის გზაზე. გზაზე ერთ თონეს მიადგა. ერთი დედაკაცი დგას და აცხობს პურს. ჩააკრავს თეთრ პურს, როგორც ბამბას და ამოიღებს ისეთ შავს, როგორიც ნეხვია.

მზის სიძე მივა იმასთან და გაკვირვებული ჰკითხავს:

— ეგ რისგან არის, რომ თეთრ პურს ჩააკრავ და შავს, საძაგელს ამოაკრავო?!

— ჩამვლელი ბევრი მინახავს, ამომვლელი არც ერთი! — უპასუხა პურის მცხობელმა დედაკაცმა, — ჩაიარე და, თუ ამოივლი, მაშინ გეტყვიო.

გასცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. გზაზე ერთი კაცი ნახა: ხევზე ხიდად დევს, ვინც გაივლის და გამოიელის, ყველა იმაზე გახდება და გამოხდება.

— ეგ რა ამბავია შენს თავსაო? — ჰკითხა მზის სიძემ კაცხიდას.

— ჩამვლელი ბევრი მინახავს, ამომვლელი აღარც ერთი! — უპასუხა კაცხიდამ, — ჩაიარე და, თუ კიდევ ამოივლი, მაშინ გეტყვიო.

გასცდა იმასაც მზის სიძე და მივიდა ხელმწიფის დედასთან.

— შვილმა დაგიბარა, — უთხრა ხელმწიფის დედას, — მანდ რომ ბეჭედი წაიღე, ის გამომიგზავნეო!

მისცა ბეჭედი მზის სიძეს ხელმწიფის დედამ და უთხრა:

— წაიღე, მიეც ჩემ შვილს და უთხარ, დედამ დაგიბარა: რადგანაც აქაც არ მაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ, შენამც იქნები წყეული-თქო. შენი საქმე ისე მოვიდეს, რომ შენმა ვეზირებმა შეგეპამონ-თქო!

მზის სიძემ ჰკითხა:

— ესე, გზაზე ერთი ირემი ვნახე, რქები ცამდისა ჰქონდა აწვდილი. სიარული აღარ შეუძლია, წამალი დამაბარა და, თუ შეიძლება, მასწავლეო! ერთი მღვდელი იყო კიდევ, ზურგზე საყდარი ეკიდა, სადაც ერთ კაცსა ნახავდა, მიიტანდა, დადგამდა და იქ ულოცავდა. იმასაც დაუბარეთ, რა უყოს იმ საყდარს?

ხელმწიფის დედამ უთხრა:

— ირემმა მაისის წყალი დალიოს და გასცვივა რქები; მღვდელმა კიდევ წაიღოს ის საყდარი, დადგას შუა სოფელში, დაჰკიდოს ზარები, ლოცვაზე რომ დგებოდეს, დარეკოს, ვისაც ლოცვა უნდა, მოვა და ილოცებს, ვისაც არ უნდა, — არ მოვა, შენი ბრალი არ იქნება—თქო...

წამოიღო ბეჭედი და წამოვიდა მზის სიძე. გზაზე კაცხიდას შეხვდა, ჰკითხა მიიზეზი ისე ტანჯვისა. კაცხიდამ უთხრა:

— მე ხიდი მებარა, ზედ არავის გავატარებდი უფასოდ, საწყალი და გაჭირვებული არ ვიცოდი, ყველას ერთნაირად ვაძრობდი ტყავს და აი, ახლა ხომ ხედავ, როგორა ვარო!..

გასცდა ამას მზის სიძე და წამოვიდა თავის გზაზე...

პურისმცხობელმა დედაკაცმა უთხრა:

— მე იმ ქვეყნად ისეთი წუწკი ვიყავ, პური რომ ჩამეკრა და იმ დროს ან მშიერ მგზავრს გამოეკლო, ან გლახას, თვალებს ჩავიწვავდი თონეში, რომ არ დამენახა ისინი და პურის მიცემა არ მომნდომოდა. ახლა ესე ვარ: როგორიც უნდა თეთრი პური ჩავაკრა, მიწად მექცევაო!

კვერცხების კოშკს რომ აგებდა, იქ მივიდა. დედაკაცმა უთხრა:

— მე იმქვეყნად კვერცხებს ვიპარავდი და აი, ახლა ასე ვიტანჯებიო!

დატოვა მზის სიძემ კოშკისმგებელი და წამოვიდა თავის გზაზე. ბევრი იარა, ცოტა იარა, მოვიდა კამეჩის ტყავზე მწოლ ცოლ-ქმართან. იმათ უთხრეს:

— იმქვეყნად ჩვენ ერთმანეთი გვძულდა, ქვეყანა ჩვენთვის ვიწრო იყო, ვერ ვთავსდებოდით და აი, ახლაც კამეჩის ტყავზე ვერ ვეტევით. რამდენიც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, ვეღარ მოვშორდებითო!..

მზის სიძე ცულის ტარზე მწოლ ცოლ-ქმართან მივიდა. იმათ უთხრეს:

— იმქვეყნად ერთმანეთი გვიყვარდა და აქაც გვიყვარს. მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარიც არ ეპატარავება საცხოვრებლად, ოღონდ ერთმანეთი ჰყავდეთ ცოცხალი!..

ბევრი იარა მზის სიძემ თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ მღვდელთან ზურგზე რომ საყდარი ეკიდა, და მოუტანა ხელმწიფის დედის დაბარებული ამბავი. გასცდა მღვდელსაც და იმ ხართან მოვიდა, მშვენიერ მდელოზე რომ ება, სასმელი და საჭმელი მრავალი ჰქონდა და მჭლე კი იყო.

ხარმა უთხრა:

— მე ჩემ პატრონს არაფერში გამოვადექი, არაფერს ვუკეთებდი და აი, ახლა ასე ვარო!

მჭლე ხარს რომ გასცდა, კლდეში რომ მსუქანი ხარი ება, იმასთან მოვიდა. მსუქანმა ხარმა უთხრა:

— მე ჩემი პატრონისათვის თავდადებული ვიყავ, ხარს არა ვღალატობდი და პატრონიც კარგად მივლიდა. ახლა თუნდაც არც არაფერი ვჭამო და ვსვა, მაინც მსუქანი ვიქნები და მაინცაო!

გასცდა ამასაც მზის სიძე და წამოვიდა. ირემთან მოვიდა, მოიტანა ამბავი:

— მაისის წყალი დალიე და გაგცვივაო!

დალია ირემმა მაისის წყალი და გასცვივდა რქები.

მოვიდა და მოიტანა მზის სიძემ ხელმწიფის დედის ბეჭედიც და წყევლაც...

იქცა ხელმწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირი — მგლებად და შეჭამეს.

სახელმწიფო და ტახტი მზის სიძეს დარჩა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

अपने हैरान

იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ღიღი და ღიღებული ხელმწიფე. ჰყავდა სამი კაჟიშვილი. სამივეს ნადირობა ძალიან უყვარდა და ყოველ ცისმარე ღღეს სანადიროდ დადიოდნენ.

ერთ ღღეს ძმები სანადიროდ ერთ უცხო მთაში წავიდნენ. ნადირი ბევრი იყო. ინადირეს, დახოცეს ნადირი; მოეწონათ ადგილი, გაშალეს კარავი და ღადგნენ. იმ ღამეს კარავში ეძინათ, ღილით ადგნენ და სანადიროდ წავიდნენ ტყეში.

იმათ წასვლაზე მოვიდა ერთი გველი და შემოეხვია კარავს. საღამოს ღაბრუნღნენ ძმები, ნახეს, კარავს გველი შემოჰხვეია, ღაუშინეს თოფები, მაგრამ ტყვია არ მიეკარა გველსა. რაკი ვერაფერი გააწყეს, ჰკითხეს გველსა:

— გვითხარ, რა გინდა ჩვენგან, მოგვთხოვე და კარავი კი ღაგვანებეო!

გველმა უთხრა:

— მე სხვა არაფერი მინდა, არც არას ბევრსა გთხოვთ, ის შემიტყვეთ: იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასაო!

ძმები ღაღონღნენ: ვინ რა იცოდა, იამ რა უთხრა ვარდსა, ან ვარდმა — იასა. ბოლოს უმცროსი ძმა ადგა და თქვა:

— მე წავალ, ერთი წლის ვადა მომეც და ეს ჩემი ძმებიც გაბარებოღესო!

ილოცა ღმერთი ღა გაუღგა გზას.

ბევრი იარა, ცოტა იარა, გამოვიდა ერთ ტრიალ მინდორზე. სამი კაცი ნახა. სამივე ძმები ყოფილიყვნენ: უფროსი ძმა პირტიტველი იყო, მაშინღა ამოსღიოდა წვერი; შუაოანა ჭაღარა იყო ღა პატარა ძმა სულ ბატივით თეთრი.

მგზავრი მივიდა, მიესალმა ღა, რაკი გაიგო, რომ ძმები იყვნენ, ჰკითხა:

— ვინ არის უფროსიო?

იმათ პირტიტველასი უთხრეს:

— უფროსი ის არისო!

მგზავრს ძალიან გაუკვირდა, — ჰკითხა:

— ეგ რისგან არისო?

იმათ უთხრეს:

— საღ მიხვალო?

— იქ მივღივარ, საღაც "იამ რა უთხრა ვარდსა ღა ვარდმა რა უთხრა იასაო"! გველმა გამომგზავნა. კარავს შემოეკრა ღა აღარ გვიშვებს, პასუხი უნდა მივუტანოო!

კაცებმა თქვეს:

— ის წყეული ისევ ცოცხალია?! ამ გზაზე ჩამვლელი ბევრი გვინახავს, ამომვლელი ჯი აღარავინ; რომ ამოივლი, ყველაფერს მაშინ გიამბობთო. აჩვენეს თავიანთი სასახლე, დალოცეს და წავიდა.

ბევრი იარა და ერთ ტრიალ მინდორზე გამოვიდა. იმ მინდორზე ერთი ხე იდგა. იმ ხეზე ფასკუნჯი ბუდობდა. გამოჩენდა ყოველ წელიწადს ბარტყებს ფასკუნჯი, მაგრამ მოფრინდებოდა არწივი და, ფასკუნჯის არყოფნის დროს, დაუჭამდა ბარტყებს.

მგზავრი მივიდა და დაისვენა ხის ძირას. უცებ არწივმა მოიღო ხეული. მომართა მგზავრმა მშვილდი, ესროლა ისარი და ჩამოაგდო. მოფრინდა ფასკუნჯი: ნახა არწივი მკვდარი, შვილები ცოცხლები, სიხარულს მიეცა.

მგზავრს ჰკითხა:

— რა სულიერი ხარ, რომ შვილები გადამირჩინე და ეგეთი სიკეთე მიყავი? რა გინდა, რასა მთხოვ, რომ მოგცეო?

— მე ქვეყანაზე არაფერი მინდა სხვა, ის ალაგი მაჩვენე, „იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასაო .“

— იმ წყეულმა გამოგგზავნა? — ჰკითხა ფასკუნჯმა, — ეგ ალაგი ქვესკნეთს არის: ქვესკნეთის ხელმწიფე გეტყვის, მაგრამ მოგკლავს. ღვთის შეწევნით, მე გადაგარჩენ, რადგან შენ გადამირჩინე შვილები! ერთი ფთე მისცა, – ეს ფთე დახრუკე, როდესაც შველა დაგჭირდეს და მე იქ დავიბადებიო. დაისვა მხარზე მგზავრი, დაიჭექა, გაიხსნა მიწა და ჩაიჭრა ქვესკნეთს. ფასკუნჯმა მიიყვანა და დასვა ის ვაჟი იმ ალაგას, სადაც ეს ამბავი ითქმებოდა...

ერთ ქვაზე იჯდა. მოვიდა ხელმწიფე და ჰკითხა:

— შვილო, რა გინდა, რისთვის მოსულხარო?

— მე ის მინდა გავიგო, „იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასაო ,“ — უპასუხა ბიჭმა.

— გეტყვი შვილო, და მოგკლავ, — უპასუხა ხელმწიფემ, — თუ გინდა, ნუ მათქმევინებ და არ მოგკლავო; აი, ას კაცს ერთიღა მიკლია, და ორი ათასიც ცოცხალი მყავს და ვინახავ. თუ გინდა, აქ შეგინახავ, თუ არა და წადი; თუ გეტყვი, მოგკლავო! — გაუმეორა.

— არა, მითხარიო! — უთხრა ბიჭმა.

დასხდნენ და დაიწყეს ბაასი. ხელმწიფემ უთხრა:

— მე მყავდა ისეთი ლამაზი ცოლი, რომ ბნელ ღამეს ანათებდა. იმ სილამაზისა ერთი ქალი გამეჩარდა, იმაზე უკეთესი იყო. მე ერთი მათრახი მქონდა, რასაც დავკრავდი, რადაც მინდოდა, იმად ვაქცევდი, მინდოდა — ძაღლად, მინდოდა — ჯორად და ცხენად. მათრახის ძალა ჩემმა ცოლმა კი არ იცოდა. როცა შვილი გამეჩარდა, იმას ვასწავლე; იმან კიდევ დედას ასწავლა.

თურმე იმ ჩემ ცოლს საყვარელი ჰყავდა, იმასთან დადიოდა. ის არაბიც მოდიოდა ჩემ ცოლთან. ერთხელ ჩემი ცოლი და ქალი საეშმაკოდ წავიდნენ, თან მოსამსახურე წაიყვანეს. წინ მე წავედ. როდესაც ისინი საყვარელთან მივიდნენ, მე იქ ვიყავი დამალული. მოვიდნენ, ისადილეს და წავიდნენ შინ.

ისინი რომ წავიდნენ, გამოვედი საფარიდან, შევუვარდი არაბს. მოვჭერი თავი, წამოვიღე შინ და დავმალე. ღილა რომ გათენდა, მაგიდაზე

დავლე. ჩემმა ცოლმა იცნო, წამოხტა და ის მათრახი დამკრა. მაქცია ძაღლად. ისეთი ღლე დამაყენა, რომ მტერსაც კი შევებრალებოდი. ხამ ღლეში ერთხელ მაჭმევდა, შიმშილითა და წყურვილით სულს მართმევდა. ის კიდეც ჩემ თვალწინ სხვას ეხვეოდა. მეცალ ღლე ამ დუხჭირში ვიყავი.

ერთხელ ჩემი ცოლი და ქალი სხვაგან წავიდნენ. ერთი მოახლე მყავდა, იმ მოახლემ ის მათრახი დამკრა და ისევ კაცად ვიქეც. მერმე მათრახი დავიჭირე ხელში, და როცა ღლდა და შვილი მოვიდნენ, დავკარ მათრახი, ცოლი წყლად ვაქციე, და აი, ახლა ჩემ წინ მიდის, ნაგავი და ნეხვი შიგ ჩადის, ღორები და ძაღლები შიგ იწუმპებიან. ქალი ვერ გავიმეტე თვალით საყურებლად, დავწყევლე და ის არის ჩემი შვილი, რომელმაც გველმაც შენ გამოგგზავნა. ახლა რომ შენ წახვიდე და ყველა ეს ამბავი ჩემ ქალს უამბო, ის ქალად იქცევა, ეს ჩემი ცოლი აქ ისევ ღედაკაცად იქცევა და იმავე ტანჯვაში ჩამაყენებენ, რა ტანჯვაშიაც წინათ ვიყავი. აბა, ცოცხალი რად უნდა გაგიშვა! — ეს ლაპარაკი რომ გაათავა ხელმწიფემ, ბიჭებს უბრძანა:

აბა, ბიჭებო, მოსჭერით თავიო!

ვაჟმა უთხრა:

ყალიონს დაჩეული ვარ, ერთი კიდეე მომაწევინეთ სიკვდილის წინ და ისე მომკალითო!

მოუტანეს ჩიბუხი და ცეცხლი. დაიწყო წევა. ამოიღო ფასკუნჯის მიცემული ბუმბული, დაადო ყალიონს და დაუწყო ტრუსვა. ამ დროს იჭექა ფასკუნჯმა, ერთ წამს დაეშვა ვაჟთან, მოიტაცა, შეისვა მხრებზე და ერთიან აიტაცა ზეციერეთანას. ვაჟი გადარჩა, ხელმწიფემ ველარ მოკლა.

წამოვიდა ვაჟი და მოვიდა იმ ხამ კაცთან. გზაზე რომ შეხვდნენ: უფროსი რომ უწვერო იყო, შუათანა ჭაღარა და უმცროსი სულ გათეთრებული.

პირველად უმცროსთან მივიდა:

აბა, ახლა მითხარ, რადა ხარ გათეთრებული, ბოლო რამ მოგიღლო?

იმან უთხრა:

ისეთი, ხამაგელი ავი ცოლი მყავს, რომ ღმერთიც რომ მივიყვანო ხახლში, იმასაც კი გალანძღავს და გაათრევს. მე ხომ მლანძღავს და მკრულავს, ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს, ქვეყანაში თავი არ გამომყოფია. იმისმა ჯავრმა და ვარამმა გამათეთრა და მომხარა წელშიო!

შუათანა ძმამ უთხრა:

ჩემი ცოლი ცოტა უკეთესია, მაგრამ წმინდა წყლისა არც ის არის; არც ის მაყრის ხეირსა. მეც იმან გამათეთრა და უდროოდ დამაბერაო!

უფროსმა ძმამ უთხრა:

რაც უნდა გაჯაერებული მივიდე შინ, რაც უნდა ჯავრი მაწვეს გულზე და პირი არ მელებოდეს, მოვა ჩემი ცოლი, ისეთ სიტყვას მეტყვის, ისე მომექცევა, რომ სულ სიცილით დავსუსტდები და რაღა დამაბერებს იმის შემყურებელსაო!

გამოეთხოვნენ ერთმანეთს, დალოცეს ურთიერთი და განშორდნენ. ვაჟი თავის გზაზე წამოვიდა. ის ერთი წელი ისე წავიდა და გაიპარა, რომ ერთი ღლეღა აკლდა მისვლას.

ვაჟმა მშვილდ-ისარი მოიხსნა, ისარი გატყორცნა. ისარი გველთან დაერჭო. გველმა თქვა: მოდისო. სიხარულით ზეცას ეცა, მიწას ღაეცა, ცხრა ძოას იქით გადაგიდა, ვიდრე ბიჭი კარაეთან მოვიდოდა, ის გველი კიდევ მალე ძოვიდა.

შეეიდა უმცროსი ძმა და ძმებიც იქ დახვდნენ. დაჯდა ეს ბიჭი და დაუწყო გველს მასლაათი. ყველაფერი უამბო ხელმწიფის ნათქვამი. გაათავა თუ არა ამბობა, იქცა გველი მშვენიერ ქალად და ქალი და ვაჟი გადაეხვივნენ ერთმანეთს. გახდნენ ცოლი და ქმარი...

მას შემდეგ ეს ამბავი დაუვიწყარია და ამბად იტყვიან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ა ნ ა ნ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფის შვილი. ჰქონდა ერთი ბაღი. ბაღში მწვანილის ორი კვალი ჰქონდა გაველებული. ერთ კვალში ეთესა პრასა და მეორეში კამა. ხელმწიფის შვილი ისე არა ჭამდა პურსა, რომ არ ჩამოსულიყო და იმ კვლებთან არ დამჯდარიყო.

ერთხელ ხელმწიფის შვილი ჩვეულებისამებრ ბაღში დადიოდა. კვლებში ერთი ქაღალდი ეგდო; დაწერილი იყო, მაგრამ ვერ წაიკითხა კი. აიღო და სხვას მისცა. ქაღალდი ქალად იქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმაზე მშვენიერს კაცის თვალი ვეღარაფერს ნახავდა.

ნახა ერთხელ ხელმწიფის შვილმა ეს ქალი, და ძალიან მოეწონა, ცოლად შერთვა ინება. ქალსა ჰკითხა:

— რა გვარი ხარო?

ქალმა უპასუხა:

— გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყია, ერთი საწყალი ქალი ვარო!

აღგა ხელმწიფის შვილი, ანანას თავი დაანება და სხვა ცოლი შეირთო, რადგან ის ეითომ უჩვეირო გვარისაააო.

ანანას კი უყვარს ხელმწიფის შვილი, უყვარს საშინლად.

დაიბარა მთიდან ირმები ანანამ, დაწყელა, ჩაასხა ქვაბში, ჩაჯდა შიგ თვითონ, ღუღს რძე და იბანება შიგ ანანა.

ხელმწიფის შვილმა დაინახა, რომ ანანა რძეში იბანება.

ცოლს უთხრა:

— ჩვენი ანანა იცი, რასა შვრება? მთიდან ირმები დაიბარა, დაწველა, ჩაასხა ქვაბში, ღუღს რძე და შიგ ანანა ებანებაო.

ცოლმა უთხრა: - განა მე ვერ ვიქ მაგასო!

ფურები დაიბარა, რადგან ირმები არა ჰყავდა, დაწველა, ჩაასხა რძე ქვაბში, აადუღა და ჩავიდა საბანებლად. ებანა და მოიხარშა შიგ. დარჩა ქვრივად ხელმწიფის შვილი. წავიდა ანანასთან ხელმწიფის შვილი და ჰკითხა:

— რა გაქვს გვარიო?

ქალმა ისევ ის უპასუხა:

— გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყიაო!

დაიწუნა ისევ ის გვარი ხელმწიფის შვილმა, სხვა ცოლი შეირთო.

წავიდა ანანა, დაჯდა მაღლა სართულზე, აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა. უცებ კვირისტავი გამოუვარდა: მოიჭრა ანანამ ცხვირი, ჩაგზავნა და ამოატანინა კვირისტავი და ცხვირიც ისევ მოება.

ნახა ეს ხელმწიფის შვილმა. წავიდა და ცოლს უთხრა:

— ჩვენი ანანა საკვირველი ქალია: მაღლა სართულში ავიდა, აბრეშუმს ართავდა, კვირისტავი ჩამოუვარდა ძირს, მოიჭრა ცხვირი, ჩამოაგდო და აატანინა კვირისტავი. მერმე ცხვირი ისევ მოებაო!

— ეგ რას გაგკვირვებია, — უთხრა ცოლმა, — განა მე ვერა ვიქ მაგასაო?

ავიდა ბანზე. აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა. კვირისტავი ჩამოაგდო, მოიჭრა ცხვირი და ჩამოაგდო. ცხვირმა კვირისტავი ვერ აუტანა, აღარც მოება. უდინა სისხლმა, უდინა და მოკვდა.

დაქვრივდა ისევ ხელმწიფის შვილი. წავიდა და ანანას ჰკითხა:

— რა გვარი გაქვსო?

— გვარი მაქვს პრასისა და კამის სარტყელი მარტყიაო! — უპასუხა ქალმა.

ხელმწიფის შვილმა კიდევ დაიწუნა გვარი და წავიდა მთაში, მეღორე ნახა, უთხრა მეღორეს:

— ერთი ღორი მომყიდე, სისხლი მე და ხორცი თქვენ!

დააკვლევინა ღორი, უბრძანა: — მაგ სისხლში მომთხუპნეთ, წამიღეთ მერმე და ანანას წინ დამდეთო!

დაკლეს მეღორეებმა ღორი, სისხლი ადინეს, სისხლში მოთხუპნეს ხელმწიფის შვილი, წაიღეს და ანანას წინ დადეს.

დაინახა სისხლში მოსვრილი ხელმწიფის შვილი ანანამ და შესძახა:

მზეო — დედავ, მამავ — მთვარეო,
ვარსკვლავებო ჩემო მზეო!
ჩამოუშვით ოქროს სკამი,
აღარ არის ხელმწიფეო!

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, გაიხსნა ცა და იქიდან ჩამოეშვა ოქროს სკამი. ადგა ხელმწიფის შვილი და მოეხვია ანანას. დაუწყეს ერთმანეთს კოცნა და სურვილება. გახდნენ ცოლი და ქმარი და დასხდნენ ოქროს სკამზე.

გაუცინარი ხელმწიფე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი გაუცინარი ხელმწიფე. თავის დღეში ის გაცინებული არავის ენახა და გაუცინარს იმიტომ ეძახდნენ. ხელმწიფეს სამი ვაჟი ჰყავდა: ვაჟებს გაუცინარი ხელმწიფის შვილებს ეძახდნენ. ერთხელ ძმებმა თქვეს:

— წავიდეთ, ვკითხოთ ჩვენს მამას, რატომ გვეძახიან გაუცინარი ხელმწიფის შვილებსაო!

წავიდნენ მამასთან საკითხავად. ჯერ უფროსი ვაჟი შეეიდა.

მამამ ღვინიანი ჭიქა მიაწოდა და უთხრა:

— ჯერ ეს დალიე, მერე ერთ სილას შემოგკრავ და გეტყვიო'

აიღო ვაჟმა ჭიქა და დალია. შემოჰკრა სილა ხელმწიფემ და ქოჩორზე დაატრიალა, — წადი და მერმე გეტყვიო.

ახლა შუათანა შვილი შეეიდა.

— ვინა ხარო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— მე გახლავარო! — უპასუხა ვაჟმა.

— რა გინდაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— გაუცინარი ხელმწიფის შვილებს გვეძახიან და რადა ხარ გაუცინარი, მითხარიო! — უთხრა შვილმა.

— აბა, დალიე ეს ჭიქა ღვინო და მერმე გეტყვიო!

აიღო ვაჟმა ღვინო, დალია. ხელმწიფემ სილა გაარტყა და ქოჩორზე დაატრიალა.

— წადი, მერმე მოდი და გეტყვიო! — უთხრა შვილს.

წავიდა ძმებთან, ძმებმა ჰკითხეს:

— რა გითხრაო?

— წადი და მერმე გეტყვიო!

ახლა უმცროსი ძმა წავიდა.

— ვინა ხარო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— მე გახლავარ უმცროსი შვილი გაუცინარი ხელმწიფისაო!

— რა გინდაო? — ჰკითხა გაუცინარმა.

— ჩვენ გაუცინარი ხელმწიფის შვილებს გვეძახიან და რადა ხარ გაუცინარიო?

მიაწოდა ხელმწიფემ ჭიქით ღვინო და უთხრა:

— აბა, დალიე ეს ჭიქა, ერთ სილას შემოგკრავ და მერმე გეტყვიო!

ჩამოართვა ჭიქით ღვინო და დალია. შემოჰკრა ხელმწიფემ სილა, მაგრამ ფეხიც ვერ მოაცვლევინა.

— დამკარ მეორე და მითხარიო! — უთხრა შვილმა.

შემოჰკრა კიდევ მეორედ გაუცინარმა, მაგრამ კიდევ ვერ მოაცვლევინა ფეხი.

— შემომკარ მესამედ და მითხარით! — უთხრა კიდევ გაუცინარმა შვილმა.

შემოჰკრა კიდევ მესამედ სილა, მაგრამ მაშინაც ვერ მოაცალეინა ფეხი, მერმე უთხრა:

— წადი და ჩემი თავის ტოლ-ტოლა ბრონეულები მოიტანეო!

სადაც იდგა, ისიც ასწავლა და დაუმატა: მოიტან და გეჭვი ჩემს ამბავსაო.

ძმებთან მივიდა, ძმებმა უთხრეს:

— რა გითხრაო?

— ჩემი თავის ტოლ-ტოლა ბრონეულები მოიტანე და მაშინ გეჭვეო.

იარეს ბევრი, იარეს და ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ. წინ წადგნენ, გზაგასაყარი ნახეს, ერთი ქვა იდო. ქვაზე ეწერა: აქეთ წახვალ — მოხვალ, აქეთ წახვალ — მოხვალ, ასე წახვალ — ვეღარ მოხვალო. უფროსი ძმა იქით წავიდა, საიდანაც მოვიდოდა, შუათანა იქით წავიდა, საიდანაც მოვიდოდა, უმცროსი იქით წავიდა, საიდანაც ვეღარ მოვიდოდა.

ბევრი იარა უმცროსმა ვაჟმა, ცოტა იარა, დაინახა შავი ჯარი, სულ ცხენოსანი. ბიჭმა ი

— ჩემი სული ცოცხში არისო! — უთხრა ბინძურმა ლეკმა.

ბინძური რომ სანადიროდ წავიდა, ქალი ადგა და მორთო ცოცხი ათასნაირად. შემოახვია ბალღალები და ფარჩები, მიიტანა და ლოგინზე დადო.

მოვიდა ბინძური ლეკი. ნახა და დაიწყო სიცილი:

— მოგატყუე, განა მართლა მაგ ცოცხში არის ჩემი სული, ჩემი სული ლელაბოძში არისო!

წავიდა ბინძური ლეკი ისევ სანადიროდ. ქალმა აიღო და გარეცხა და გაწმინდა ლელაბოძი, მორთო და მოკაზმა, ეხვეცა და ესურვილება.

მოვიდა ბინძური ლეკი და ნახა, ცოლი ამ ამბავშია.

— მაგას რას შვრებიო? — ჰკითხა.

— შენ სულს ვეხვეიო.

— რამ გაგასულელა, — უთხრა ბინძურმა სიცილით, — ჩემს სულს შენ ვინ მოგვკვლის, ამა და ამ ალაგას რომ ერთი დიდი ტახია, იმის თავში ერთი კოლოფია, იმაში სამი ჩიტია, წითელი — ღონეა, თეთრი — გონება და შავი — სულიო.

— ვინ მოკლავს იმას, არის ვინმე იმისთანაო?

— იმას ვერაფერი მოკლავს, თუ ჩემ შარდში ნაწრთობი ისარი არ მოხვდაო! — უპასუხა ბინძურმა.

— არსად არ მიდგე შარდისათვის და არ დამღუპო! — უთხრა ცოლმა,— რომ მიხვიდოდე სანადიროდ, შინ მიდექო!

ლეკი შინ მიდგა. ცოლმა ქოჩახი დაუდგა და შეინახა.

წავიდა თუ არა ბინძური ლეკი სანადიროდ, ადგა გაუცინარი ხელმწიფის შვილიც, აიღო ორი პური და წავიდა მჭედელთან. გააკეთებინა ოცი ლიტრის მშვილდ-ისარი, მოსწია და მოღრიკა. გააკეთებინა ორმოცისა, მოსწია და მოღრიკა. ბოლოს, სამოცისა გააკეთებინა, მოსწია და მშვილდი მაგრა იდგა.

მჭედელს უთხრა:

— შენ არ აწრთო, საწრთობელ წყალს მე თვითონ მოგიტანო.

წავიდა და მოუტანა ბინძური ლეკის შარდი. აწრთო მჭედელმაც მშვილდ-ისარი. გადიგდო გაუცინარი ხელმწიფის შვილმა მხარზე და გაუდგა გზას ტახის საძებნელად.

იარა, იარა და მივიდა იმ წყალზე, სადაც ტახი წყალსა სვამდა. წყალთან ქალი იჯდა და ტიროდა.

— რა გატირებს? —ჰკითხა ვაჟმა, — რად იტკენ მაგ მშვენიერ თვალებსაო?

— თუ ქრისტიანი ხარ, წადი, — უთხრა ქალმა, — ღრიამ მოაწია, ტახი მოვა, უნდა შემჭამოსო.

თურმე ტახს ყოველდღე თითო ქალი ჰყავდა გადაღებული შესაჭმელად. კაჟმა უთხრა:

— შენ იმისი ნუ გეშინია, ახლა მე ცოტას დავიძინებ და დავისვენებ. შენ მუხლზე მიეყრდე თავს, და როდესაც ტახი გამოჩნდეს, ერთი სილა შემომკარ და გამომაღვიძეო!

დაიძინა გაუცინარი ხელმწიფის შვილმა. გავიდა ცოტა ხანი და გამოჩნდა ტახიც. ილესავდა კბილებს და ქაფსა ყრიდა.

ქალმა ვაჟს უიახა, შეშოჰკრა სილაც, მაგრამ ტყუილად. ტირის ქალი, ტირის, ღელამიწა იწვება იმისი ცოდვით, უცერ ქალის ცრემლი დაეცა ლოყაზე ვაჟს და ცხრაპირი კანი ასძვრა. წამოხტა ვაჟი, მოაკლო მშვილდს ხელი და მიჰმართა ტახს. ჩადგა ისარი, ესროლა და ერთ გვერდში ნაკრავი მეორე გვერდში გაჩნდა. წაიქცა ტახი და დალია მაშინვე სული. მოსჭრა საჩქაროდ თავი, გაჩეხა და ამოიღო იქიდან ყუთი. ყუთში ჩიტები იყვნენ, ჯერ ჯანს წაჰგლიჯა თავი, წამოიღო და ახლა გოსს. სულის ჩიტი კი ცოცხალი წამოიყვანა და წამოვიდა კოშკში.

სანადიროდ იყო ბინძური დევი. გაეგო გრძნობით, რომ ტახის თავს უბედურება რაღაც არისო, და წამოსულიყო საჩქაროდ, მაგრამ ამ დროს მოასწრო ვაჟმა, ტახიც მოკლა და ღონის ჩიტსაც თავი მოსწყვიტა. ბინძურს ძალა აღარა ჰქონდა: ახლა გონებას მოსწყვიტა თავი. დევი ძლიერებლიობით მოეთრია კოშკთან. მივიდა და დაეგდო კოშკის ძირას. აღარაფერი შეეძლო.

დაინახა ზევიდან ქალმა, ჩამოვიდა, დაუჯდა თავით და დაუწყო კითხვა.

— რა გჭირს, ჩემო სიცოცხლეე, რა დაგმართნიაო?

მოვიდა ვაჟიც და დაუჭყივლა ბინძურს:

— რას უგდიხარ, ძაღლო, აღე, დაიკარგე აქედან! მითხარ, საღ არის შენი ცხოვრება? ან ის ჯარები რომ გაგიქვავებია, იმათ რაღა გაა-ცოცხლებსო?

მაშინ დევმა უთხრა:

— წადი, ძაღლა აღი, იქ სამი მათრახია, ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი; შავი მათრახი შავ ჯარს დაჰკარ, წითელი — წითელს, თეთრი — თეთრსა. ჯარები დაცოცხლდებიან და შენი ყმები იქნებიანო!

მასწავლე ლოცვაც! — უთხრა ვაჟმა. ასწავლა ბინძურმა ლოცვაც.

— შენი სიმდიდრე რაღაში არისო? — ჰკითხა ვაჟმა.

— აი, ეს გასაღები, სულ ნაპირის ოთახი გააღე და ჩემი ცხოვრება იქ არისო! — უთხრა ბინძურმა.

წავიდა ვაჟი, გააღო კარი და სამი წყეული კი დახვდა.

— ოჰ, ეს რა კარგი საქმეა ჩვენთვისაო! — თქვეს წყეულებმა.

ვაჟი, ცოტა არ იყოს, შეშინდა. წყეულებს უთხრა:

— ცოტა ხანს აქ იყავით, გარეთ გავალ და ისევ შეშოვალო.

გამოვიდა და გადმოკეტა გარეთ კარი.

მივიდა დევთან და ჰკითხა:

— იქ რისთვის შემიყვანე? იმ წყეულებმა კინაღამ შეშჭამესო.

— არა, — უთხრა ბინძურმა, — შენ წადი, ესა და ეს ოთახები გააღე, იქ თვალ-მარგალიტია; ის წყეულები შენ აღარაფერს გიზამენ, რაკი წითელი აჩვენე. აჰკიდე იმათ და წაიღეო.

აღგა ბიჭი, გააღო ოთახები, აუარებელი თვალი და მარგალიტი წამოიღო, წაიღო თან ის ბროწეულებიც და წამოვიდა.

მივიდა იმ ქვასთან, გზის გასაყარში რომ იდო, დაჯდა იქა და დაისვენა. გაუცინარი ხელმწიფის შვილს ძმები იქ დახვდნენ. ამოიღო ბროწეულები და თითო-თითო დაურიგა. ძმებს შეჰშურდათ; ჩვენი მოტანილი ბროწეულ-ები წვრილია და მაგის მოტანილი — მსხვილებიო, აღგნენ და ღალატი დაუპირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ერთად წავიდნენ. გზაზე წყალი მოსწყურდათ. ერთი ჭა იყო. იმ ჭას ეძახდნენ ბულაყს. მივიდნენ ძმები ბულაყთან და წყალი უნდა ამოეღოთ. ჯერ უფროსი ძმა ჩაუშვეს, ცოტა რომ ჩაუშვეს, ყვირილი მორთო: ამწით, ამწით! დავიწვიო! ამოსწიეს და ამოიყვანეს.

ახლა შუათანა ძმა ჩაუშვეს, იმანაც ისე დაიწყო ყვირილი, ამოსწიეს და ისიც ამოიყვანეს.

უმცროსმა ძმამ უთხრა:

— მე ჩამიშვით და რამდენიც ვთქვა „დავიწვი , იმდენი ძირს ჩამიშვ ითო!

ჩაუშვეს უმცროსი ძმა და დაიძახა: „დავიწვიო . ჩაუშვეს უფრო, დაიძახა კიდევ „დავიწვიო“ და უფრო ჩაუშვეს. ჩავიდა ვაჟი და დალია წყალი. ჯერ წყალი ააწოდა ძმებს, ახლა თვითონ მოიბა წელზე, მაგრამ შუა გზაზე დააჭრეს ძმებმა თოკები და ჩააგდეს ძირსა.

წამოვიდნენ ძმები და წამოიღეს ბროწეულები. მოვიდნენ და მოუტანეს მამას.

— მესამე ძმა რაღა უყავითო? - ჰკითხა მამამ.

— არ ვიცით, ის არ გვინახავსო! — უპასუხეს ძმებმა.

აბა, მაშ შენ გზაზე რა ნახეო?.. — ჰკითხა მამამ უფროს შვილს.

— არაფერიო! — უპასუხა შვილმა.

დაუძახა ახლა შუათანას და იმასაც ისა ჰკითხა.

— არც არაფერი მინახავსო! — უთხრა იმანაც.

გაჯავრდა ხელმწიფე. მაშინვე გაგზავნა საძებნელად ნაზირ-ვეზირი და გაატანა ჯარი. წავიდნენ ჯარები, ბევრი ეძებეს და ბოლოს, უმცროსი ძმა ბულაყში იპოვეს, ამოიღეს და წამოიღეს შინ მკედარი.

ხელმწიფემ უფლის ხელსახოცი მოუსვა და გააცოცხლა. წაუსვა თუ არა ხელსახოცი და ვაჟი გაცოცხლდა, გაუცინარმა ხელმწიფემ ისეთი გაიცინა, რომ მიწა შეინძრა, ცა გაიხსნა და იქიდან ტომრებით ოქროვერცხლი გადმოიბნა, მაშინ ხელმწიფემ უთხრა:

— რა უყავ ბროწეულებიო?

— მე წამოვიღე, ცოტად მახსოვსო! — უთხრა შვილმა.

— მაშ, რა ნახე, შვილო, გზაზეო? —ჰკითხა მამამ.

შვილმა ყველაფერი უამბო, რაცა ნახა:

— გზაზე შავი ცხენოსანი ჯარი იდგა გაქვავებული. იმის იქით წითელი და იმას იქით თეთრი. გავიარე კიდევ და ერთი ციხე ვნახე; წვერი ცამდის ჰქონდა აწვდილი და სამი ფანჯარა ჰქონდა. იმ კოშკის ძირში ერთი ბროწეული იდგა და ეს ბროწეულები იქ დავკრიფეო.

— მაშ, იქ ქალი ვერავინ ნახეო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ვნახეო! — უთხრა ვაჟმა.

— შვილო, გაუცინარს იმიტომ მეძახიან, რომ ის ქალი ჩემი ცოლია. იმ ბინძურმა დევმა მომტაცა და ის შავი ცხენოსანი ჯარი, ის წითელიც და ის თეთრიც ჩემია და იმან გამიქვავა. ახლა მოდი შენა და გაიცინე, ვისაც იმოდენა დაგიკარგავსო!

ადგა მაშინვე ვაჟი. წავიდა კოშკში. მოკლა ბინძური, წამოიყვანა დედა, წამოიღო მათრახები; ერთი ერთ ჯარს გადაჰკრა, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს, ჯარი გაცოცხლდა და წამოვიდა შინ მშვიდობით.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, შელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა...
მოქმელსა და გამგონებელსაც
ძილი გააძოთ ყველასა.

ზღაპარი საკვირველისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ხელმწიფე, სახელად ამომავალი. ჰყავდა სამი ვაჟი. ხელმწიფე რომ დაბერდა, შვილებს უთხრა:

— შვილებო, დავბერდი, დამაკლდა თვალსაც და მუხლსაც. თქვენ რომ ახლა წახვიდოდეთ, მოიელიდეთ ქვეყანას და ისეთ რაშეს ნახავდეთ და გაიგონებდეთ, რომ გამიკვირდებოდეს, ისევ ახალგაზრდა გავხდებოდეთ!

ადგა უფროსი ვაჟი, აიღო იარაღი, შეკაზმა ცხენი, შეჯდა ზედ და შეუდგა საკვირველის გზას.

იარა, ბევრი იარა, ცოტა იარა, ერთ ადგილას ერთი ხე ნახა: ისეთი ფოთოლი ესხა, რომ მთელ ქალაქს დაჰფარავდა ერთი გაშლილი ფოთოლი. მოწყვიტა ერთი ფოთოლი, წამოიღო და წამოვიდა შინ მამასთან სიხარულით. მოდის და უხარია, რომ ეგ არის, გავაკვირვებ მამაჩემს, თუ ეს ფოთოლი მივუტანეო!

მოვიდა შინ და უთხრა მამას:

მამავ, საკვირველი მოვიტანე, გაახალგაზრდავდი! ისეთი ფოთოლი მოვიტანე, რომ გაშლილი მთელ ქალაქს დაჰფარავსო.

არა, შვილო, ეგ მე არ გამაკვირვებს. მე და ჩემი ცხენი დაღლილები იმის გრილოში შევისვენებდით ხოლმეო!

ჯერი შუათანა შვილზე მიდგა. ადგა ისიც, შეკაზმა ცხენი, აიხსა აბჯარი, შეჯდა ცხენზე, გამოეთხოვა ყველას და გაუდგა გზას იმედით, რომ აუცილებლად მოიტანდა საკვირველს.

ბევრი იარა, ცოტა იარა და მივიდა ერთ წყაროზე. დაღლილი იყო და დალია წყაროს წყალი. დალია და მოესმა ლაპარაკი ყველაფრისა, რაც კი გაჩენილა; ბალახის ჩურჩული, ფრინველის ენა, ქარის გრიალი, წყლის შხუილი. ყველაფერს არჩევდა და უსმენდა, იმის ყურს ჭიანჭველას ხმაც არ გამოეპარებოდა, ბუსის ბზუილს ახსნიდა ჩვენებურად.

დაბრუნდა უკან შუათანა შვილი გახარებული და გალაღებული გავაკვირვებ მამაჩემს, რაკი ვუამბობ ამ ამბავსაო.

მოვიდა შინ გახარებული პირით.

რა მომიტანე, შვილო, საკვირველი, ან რა გაიგონე და ნახეო? ჰკითხა მამამ საკვირველის მაძებარ შვილს.

— რა მოგიტანე? — უპასუხა შვილმა, — და ის მოვიტანე და გავიგონე: ერთ წყაროზე ჩამოვჩერი სიცხისაგან შეწუხებული, დავისვენე, დავლიე წყაროს წყალი და რის ხმა გინდა და რის ენა, რომ მე არ გავიგონე: ფრინველის, ნადირის, მწერის, წყლის, ღრუბლის, ბალახის, ხის, ქვის, ყველაფრისა, რაც ცის ქვეშ რამ არის. გაგიკვირდება, მაშ, საკვირველი არ არისო?

— არა, შვილო, ეგ მე არ გამაკვირვებს, — უთხრა მამამ, — მე და ჩემი რაში დაღლილები და დამაშვრალები მაგას ვსვამდით და მაგაში ებანაობდითო!

ადგა უმცროსი, რაკი ჯერი იმაზე მიდგა, ახსენა გამჩენი ცისა და ხმელეთისა, ჩაიცვა აბჯარი, შეიმოსა, შეიკაზმა ცხენი, შეჯდა და გაუღგა გზას. უფროსმა ძმებმა კი დასცინეს:

— რაკი ჩვენ ვერ მოვიტანეთ, შენ აუცილებლად მოიტანო!

გზაზე უმცროსმა ძმამ სასაფლაოზე გადაიარა. იქ თურმე ამომავალი ხელმწიფის ერთი მტერი იყო დამარხული.

ამოვარდა იმისი თავის გოხა და გამოუღგა ვაჟს უკან ძახილით. ვაჟმა მოიხედა უკან, დაინახა, რომ თავის გოხა უკან მოჩანჩხარებს და რაღაცას ეძახის. ვაჟმა მაშინვე შეაყენა ცხენი და ჰკითხა:

— თავის გოხავ, რა გინდა, რას მომჩანჩხარებ უკანო?

— სად მიხვალო? — ჰკითხა თავის გოხამ.

— მამას ისეთი რამ უნდა მოვუტანო, რომ გავაკვირვოო! — უპასუხა ვაჟმა.

— დაიცადე, — უთხრა თავის გოხამ ვაჟს, — შენ მაგ ცხენით საკვირველს ვერ მოიტან, თუ საკვირველის მოტანა გინდა, წადი და მამაშენს ეგრე უთხარ: თუ საკვირველის მოტანა გინდა, ცხრაკლიტულში რომ რაში გიბია, ის მომეცი-თქო!

დაბრუნდა ვაჟი უკან. მოეგება მამა და ჰკითხა:

— ან ეგრე ადრე რად დაბრუნდი და ან რა მოგიტანე საკვირველიო?

— იქით რომ მიეღიოდი, — უთხრა ვაჟმა, — სასაფლაოზე გადავიარე, საფლავიდან ერთი თავის გოხა ამოვარდა ღა გამომიღგა უკან. თავი მოეიბრუნე, მომდევს, მომჩანჩხარებს, მეძახის. შევაყენე ცხენი და ეკითხე: რას მომჩანჩხარებ, საწყალო გოხავ, რას მომდევ-მეთქი? იმან მითხრა, რომ თუ მამაშენს საკვირველი უნდა, ცხრაკლიტულში რომ რაში უბია, ის მოგცესო!

— აი, ის წყეული, ცოცხალი იყო, ჩემი მტერი იყო, მოკვდა, ისევა მმტრობს. უნდა, რომ ახლა მაინც რაშე მავნოს, რაკი ცოცხალმა ვერაფერი მავნოო!

მისცა ოთახების გასაღებები მამამ და უთხრა:

— რვას რომ გააღებ და მეცხრეში შეხვალ, იქ ერთ რაშს ნახავ, ზურგზე ერთი მტკაველი ობი აქვს მოკიდებული; ბამბის საურვები გადაუსვი, ბამბის მათრახი გადაჰკარ, ისე გამოიყვანე, თორემ დაგგლეჯს, ცოცხალს არ გაგიშვებსო.

შევიდა ვაჟი, გააღო კარები, ნახა რაში, ეროი მტკაველი მტვერი დასდებია და ობი მოჰკიდებია. თვალებიდან სულ ცვცხლი სცვივა. გადაუსვა

ბამბის საურველი, გადაჰკრა ბამბის მათრახი და წამოიყვანა. გამოიყვანა გარეთ, რაში სულ ვარსკვლავებს ეთამაშება.

შეჯდა ვაჟი ზედ, დაიფრუტუნა რაშმა და წავიდა ცისკენ. ეცა ცას, მაგრამ ვაჟი მუცელზე მოექცა. ეცა დედამიწას — ზურგზე მოექცა, ხან ამ მთას ეცა, ხან — იმ მთას; ბოლოს დაიღალა, დადგა და უთხრა:

— ჩამოდი, მხედრად გამომადგებიო!

მეორე დღეს შეჯდა ვაჟი რაშზე, გამოეთხოვა ყველას, აიღო თავისი აბჯარ-აბგარი და შეუდგა გზების ზომვასა.

მიდის ვაჟი, მიქრის რაში ნიავივით. იარეს, ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გზაზე ერთი ვაშლი დაინახეს: ისეთი წითელია, ისეთი წითელი, რომ სინგური რა არის იმასთან. მოეწონა ვაჟს ძალიან ვაშლი. უნდოდა იმის აღება, მაგრამ რაშმა უთხრა:

— აიღებ — ინანებ, არ აიღებ — ინანებო!

— რაკი ორჯერვე ვინანებ, აღებითაც და აუღებლადაც, ბარემ ავიღებო, — თქვა ვაჟმა, დასწვდა ვაშლს, აიღო და ჩაიდო ჯიბეში...

წამოვიდნენ. მიდიან გზას, მიდიან და შორს სადღაც ფთე გამოჩნდა, ისეთი ჭრელია, ისეთი მრავალფეროვანია და ისე ანათებს, რომ იმაზე საკვირველს ველარასა ნახავს კაცი. კაცი ვერც გაუჩერებს თვალს იმის ელვარებას.

მოუნდა ვაჟს იმის აღებაც. დაეკითხა რაშს:

— ავიღო, თუ არაო?

— აიღებ — ინანებ, არ აიღებ — ინანებო! — უთხრა რაშმა.

— რაკი ვინანებ, ისევ აღება სჯობიაო! აიღო და ჩაიდო ჯიბეში.

იარეს, ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ხელმწიფესთან. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა ვაჟის მისვლა, რაკი გაიგო, რომ ის ამომავალი ხელმწიფის შვილი იყო. თურმე წინათ, ამომავალი ხელმწიფე და ის მეგობრები იყვნენ და დიდხანს აღარ ენახა.

— მადლობა ღმერთს, ჩემი ძმობილის მონაგარი კიდევ ვინმე ენახე, — თქვა ხელმწიფემ, — რომ არ მოსულიყავი, ისე მოვკვდებოდი, ჩემი ძმობილისას ვერავისა ენახავდიო!

გაუმართეს დიდი წვეულება და ლხინი. ხელმწიფე ვაჟს თან ევლებოდა. შეჰშურდათ ეს კარისკაცებს, თქვეს:

— თუ მაგას არაფერი მოვუხერხეთ, ეს კეთილს არ დაგვაყრისო!

შეუჩნდნენ ერთ ბებერს:

— უნდა გვიშველო რამე და ეგ ახლადმოსული სტუმარი დალუპოო?!

— ეგ ჩემს კისერზე იყოს, — უთხრა ბებერმა, — მე ვიცი და იმ სტუმარმა, თქვენ არხეინად იყავითო!

წავიდა ბებერი ხელმწიფესთან და უთხრა:

— თუ ეგ შენი სტუმარი ჰატიოსანი კაცია და ან სიკეთე უნდა შენთვის, მაგას რომ ჯიბეში ერთი ვაშლი უდევს, იმას რატომ არ გაჩვენებსო!

მეორე დღეს შევიდა ვაჟი ხელმწიფესთან, მაგრამ ხელმწიფე ხმას აღარა სცემს.

— დიდებულო ხელმწიფევ, ისეთი რა დავაშავე, რომ ხმას აღარა მცემო? — ჰკითხა ვაჟმა: — მითხარით და ჩემი კისერი და თქვენი ხმალიო.

— შენ თუ კაი კაცი ხარ, ის ვაშლი რატომ არ მაჩვენე, ჯიბეში რომ გაქვს. წადი, ის ხე მოიტანე და ჩემ ბაღში დარგეო!

წავიდა დაღონებული ვაჟი რაშთან და იმას შესჩივლა თავისი გულის ვარამი. რაშმა უთხრა:

—აკი გითხარ, ინანებ, თუ აიღებ-მეთქი. იცი ახლა გზა იმ ვაშლისა, რომ ემზადებიო?

— მე შენთან იმიტომ მოვედი, რომ მასწავლო გზა და წამიყვანო, თორემ მე რომ ვიცოდე, აღარც შენ გკითხავდიო! — უთხრა ვაჟმა რაშს.

— მაშ, რაკი ეგრეა, — უთხრა რაშმა, — წადი სამი ლიტრა მარილი იშოვე და მოდიო!

მარილი რომ მოიტანა, რაშმა უთხრა:

— სამი მათრახი გადამკარ, სამი პირი ტყავი ამძვრება, ეგ სამი ლიტრა მარილი იმაზე გადამაყარე, გავფოთლდები, გავფრინდები, მოვგლეჯ, მოიტან და დავრგოთო!

შეჯდა ვაჟი რაშზე, შემოჰკრა სამი მათრახი, სამი პირი ტყავი ააძრო, ზედ სამი ლიტრა მარილი გადააყარა, გაფრინდა რაში, მივიდა იქ, სადაც ვაშლის ხე იდგა. ის ვაშლის ხე ისეთი იყო, სადაც რამ მეკაცური გველი იყო, იმას ფესვებზე ჰქონდა ასხმული. ის გველები უკბენდნენ, ვინც იმის ფესვებს მიეკარებოდა და მოკლავდნენ მაშინვე.

აფრინდა რაში ჰაერში, მოავლო ტოტები (წინა ფეხები) წვეროებში ვაშლს, გაბერტყა, ამოგლიჯა, ჰაერშივე გააყრევინა გველები და გამოიტაცა. გამოუდგნენ გველები, მაგრამ რაღას დაეწეოდნენ. მიიტანა ეს ვაშლის ხე ვაჟმა და ჩარგო ხელმწიფის ბაღში. ამის შემდეგ ხელმწიფემ უფრო მეტი პატივისცემა დაუწყო ვაჟს, მაგრამ ბებერი მივიდა ისევ ხელმწიფესთან და უთხრა:

— ეგ ვაშლის ხე რომ მოგიტანა და ბაღში დაგირგო, ეგ რა საკვირველიაო, მაგას რომ ჯიბეში ერთი ფთე აქვს, რასაც ის ფთე გაჰვარდა, აბა, ის მოიყვანოს, თუ შენი პატივისცემა აქვსო!

ერთ დღეს შედის ხელმწიფესთან ვაჟი და ხედავს, ხელმწიფე ისევ გამწყრალია იმაზე. ვაჟმა ჰკითხა:

— რა დავაშავე, დიდებულო ხელმწიფეე, რა გაწყენინეთ ეგეთი, რომ ეგრე მიწყრებითო?

— შენ ჯიბეში ერთი ფთე გქონია და ის არ მაჩვენე, — უთხრა ხელმწიფემ, — თუ წახვალ და იმ ფრინველს მოიყვან, რომელსაც ის ფთე გაჰვარდა, გაპატიებ, თუ ვერ მოიყვან და არ გაპატიებო!

წავიდა დაღონებული ვაჟი რაშთან და შესჩივლა:

— ხელმწიფეს სურს ის ფრინველი მოვგვარო, რომელსაც ის ფთე დაეკარგაო!

რაშმა უთხრა:

— სხვა ჩვენი წამალი აღარაფერია, შემჯე და წავიდეთ. ჩვენ მეთლეს კალოზე უნდა მივიდეთ, ყველა ფრინველი იქ მოდის, რაც ღვთისგან გაჩენილია. ღვთითვე ყველას საჭმელი იქა აქვს და, თუ დავიჭერთ, იქ დავიჭერთო. იმას კი ეცადე, შენ არ დაუწყო პირველმა ჭერა იმ ფრინველს, მე თვითონ დავიჭერო.

შეჯდა ვაჟი რაშზე და გასწიეს მეთლეს კალოსაკენ.

მივიდნენ მეთლეს კალოზე, დაიმალნენ და დაუწყეს ლოდინი. ათასი ჯურის ფრინველი ედებოდა კალოს. რიგისა მიდიოდა, რიგისა მოდიოდა. რა ფრინველისას იტყოდა კაცი, რომ იქ არა ყოფილიყო, რა ფერისა და რა ხმისა, რა სიდიდისა და რა სილამაზისა და რა სიტურფისა. ბოლოს, მოფრინდნენ ოქროს ფრინველებიც და ერთმა დაუძახა სხვებს.

— ნუ დასხდებით, სხვისა ნასკინტლი როგორ უნდა ჭკენკოთო!

სხვებმა არ დაიშალეს და დასხდნენ. კენკეს კარგა ხანს და აფრინდნენ მერმე, ერთი იქვე დარჩა. სხვებმა დაუძახეს:

— ადე, წავიდეთო!

— დაიცადეო, — დაუძახა იმან, -- მე ერთი ფთე მაკლია, და თქვენსავით აღრე ვერ ავფრინდები. ვაიმე იმისი ჯავრი, ჩემი ფთე რომ ქუდში უძევსო! ეს სიტყვები რომ გაათავა, უნდა აფრენილიყო, მაგრამ სწვდა რაში და დაიჭირა. გაუკეთეს ის ფთეც იმას და წამოიყვანეს ხელმწიფესთან.

ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა. უფრო და უფრო კარგი პატივისცემა დაუწყო ვაჟს. მაგრამ ბებერი მაინც მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა:

— ან ეგ ვაშლი რა არის და ან ეგ ფრინველი! თუ შენთვის კარგი უნდა და კაი ბიჭია, აბა, მაგ ფრინველის პატრონი ქალი მოიყვანოსო.

დაიბარა მაშინვე ხელმწიფემ ვაჟი და უბრძანა:

— წადი, და სადაც იქნება და სადაც არა, ის ქალი მოიყვანეო!

დაღონდა ვაჟი, წავიდა და შესჩივლა რაშს:

— ახლა ოქროს ფრინველების პატრონ ქალთან მგზავნისო!

— ძნელი გზა არის, — უთხრა რაშმა, — მაგრამ თუ ისე მოიქცევი ყველაფერში, როგორც მე გეტყვი, უთუოდ მოვიყვანთო. შენ ერთი გატყავებული ცხვარი წამოიღე, ერთი ქათიბი, სამი ლიტრა ქონი და ერთი დუმაო.

წაიღო ვაჟმა ყველაფერი, რაც რაშმა უთხრა. შეჯდა და გასწია.

რაშმა უთხრა:

— გზაზე ერთ მოწამლულ პანტას შეეხვდებით, შენ იმას ტკბილად უნდა დაუწყო ლაპარაკი: რა მშვენიერი გულაბი ყოფილხარ, ნეტავი მეცალოს, შენი ჭამით გავძღებოდიო, და გაგიშვებს. თუ ეგრე არ უთხარი, მაშინვე მოგწამლავს და მოგკლავს. მერმე ერთ მყრალ წყაროს შეეხვდებით, იმასაც უნდა მიეფერო და ტკბილად დაუწყო ლაპარაკი: რა მშვენიერი წყარო ხარ, რა წმინდა და ცივი წყალია, ნეტავი მეცალოს, დავლევდი და ვებანებოდითქო. ამას რომ ეტყვი, გაგიშვებს. თუ ეგრე არ ეტყვი, თავის სიმყრალით დაგახრჩობს. მერმე ყორნები მოფრინდებიან, შენ იმათ ქონი გადაუყარე, ისინი ქონს დაუწყებენ ჭამას და ჩვენ ჩვენს გზაზე წავალთ. კარებში ერთი ბებერია, ეგ ქათიბი იმას მოახვიე და გაგიშვებს. იმ ბებერს ერთი კბილი ზეცაში აქვს წასული, ერთი — ქვეცას, თუ არ მოახვევ, ვერ გადაურჩები. იქ ერთი მგელია, ის დაკლული ცხვარი იმას დაუგდე, ის იმას შეჭამს და ჩვენ ხელს აღარ გვახლებს. მერმე ერთ კარებში მოგვიხდება შესვლა. ის კარები ხან გაიღება და ხან დაიხურება; უცხო კაცს არ შეუშვებს, მაშინვე გაჭყლეტს. ის დუმა იმას წაუსვი, გაიღება და შეგიშვებს, — უთხრა ესენი რაშმა, თან დაუმატა, — არ კი დაივიწყოო!

იარეს, იარეს და მივიდნენ ბოლოს, მოწამლულ პანტასთან. ვაჟმა უთხრა:

— ოჰ, მსხლის ხეე, რა მშვენიერი რამა ხარ და რა გემრიელი ნაყოფი გესხმის, გულაბი რა არის შენთან, ან ხეჭეჭური, ნეტავი მეცალოს, შენი ჭამით სურვილს მოვიკლავდიო!

გაუშვა მსხალმა და წავიდნენ. იარეს, იარეს, მივიდნენ მყრალ წყაროსთან. წყაროსაც ასე უთხრა:

— ოჰ, რა მშვენიერი ხარ, როგორ მოწანწკარებ, როგორი წმინდა და გემრიელი ხარ, ნეტავი მეცალოს, რომ შენი ციცი წყლით წყურვილი მოვიკლაო!

გაუშვა მყრალმა წყარომაც და წავიდნენ. ამათ რომ გასცდნენ, ყორნები ჩამოეტიენენ დასაჭმელად. ვაჟმა ამოიღო სამი ლიტრა ქონი და გადაუყარა ყორნებს. ყორნებმა ის დაიტაც-მოიტაცეს, ვაჟს ვინღა უგდებდა ყურს და გავიდნენ სამშვიდობოს...

ყორნებს რომ გასცდნენ, მივიდნენ კიდეც სასახლესთან. ერთი ბებერი დაუხვდა: ერთი კბილი ცაში ჰქოდა წასული და ერთი — ქვეცას. მივიდა ვაჟი, მოახვია მხრებზე ქათიბი, ბებერმა კიდეკაც დაულოცა გზა, თორემ კი არ დაუჭირა.

გასცდნენ ბებერს და დახვდათ მგელი. გადაუგდო მგელსაც დაკლული ცხვარი. მგელმა ცხვარს დაუწყო ჭამა, ვაჟმა და რაშმა კი გაიარეს.

მივიდნენ იმ კარებთან, რომელიც იღებოდა და იხურებოდა. მოუსვა დუმა გალავნის კარებს ვაჟმა და გაიღო გალავანი. შევიდა ვაჟი მშვიდობით. რაშმა უთხრა:

— ოქროს ჩონგურს მოგართმევენ და არ დაუკრაო!

შევიდა ხელმწიფის შვილი ქალის სასახლეში. ძლივს დაესწრნენ, რომ თვალით კიდევ ნახეს სტუმარი, რა ხანი იყო, კაცი აღარ ენახათ. გაუხარდათ, დაფაცურდნენ მაშინვე, მოუტანეს ოქროს ჩონგური:

— დაუკარიო! — მიმართეს.

— მე ამომავალი ხელმწიფის შვილი ვარ, — უპასუხა ვაჟმა, — ჩონგური არ მისწავლია, ჩვენ მეჩონგურეც და მეფანდურეც სხვები გვყავსო, — და გადადო გვერდზე ჩონგური.

ქალი კი გაჯავრებული იჯდა:

— ჩემი ფრინველის მომტაცები აქ როგორ შემოუშვით, თვალით როგორ მაჩვენეთო?!

როდესაც ყველანი კარში გავიდნენ, იდროვა ხელმწიფის შვილმა, მოიტაცა ქალი, გადისვა რაშზე და ჰერი! გაუსვა თავის გზაზე. — არიქა, კარებო, გვიშველე, — დაუძახეს მსახურებმა, — ქალი მოგვტაცესო!

— აბა, მე რა გიშველოთ, — უთხრა კარებმა, — თქვენ ნარეცხსაც არ დამასხამდით, მაგან დუმა წამისვა, ღმერთმა გზაც დაულოცოს და კვალიცაო!

— აბა, მგელო, შენ გვიშველეო! — დაიძახეს კიდევ მსახურებმა.

— აბა, მე რა გიშველოთ, — უპასუხა მგელმა, — თქვენ ერთ ძვალსაც არ გადმომიგდებთ და მაგან კი მთელი ცხვარი მომიგდო. ღმერთმა კეთილი მგზავრობა მისცეს, ხელმწიფის შვილმა წაიყვანა და წაიყვანოს ქალიო.

— ბებერო, გვიშველეო! — დაუძახეს კიდევ მოსამსახურეებმა.

— მე ვერაფერს გიშველიო, — უპასუხა ბებერმა, — თქვენ ერთ ძველ კონკასაც არ ჩამაცმეთო, სიცხე-სიცივე მწვავს, და მაგან კი ქაციბი მომიტანა: ღმერთმა ხელი მოუმართოს, ღმერთმა კეთილი გზა და მგზავრობა მისცესო!

— ყორნებო, გვიშველეთო!

— ჩვენ რა გიშველოთ, ერთ თეთრ ძვალსაც ვერ გვაღირსებთ, მთელი დღეები მშივრები დაეფრინავთ და დავძრწით, მაგან კი სამი ლიტრა ქონი შეგვაჭამა; ღმერთმა გზა დაულოცოსო!

— წყაროვ, გვიშველეო!

— მე ვერას გიშველიო, — უპასუხა წყარომ, — თქვენ ისე ხმას არ გამცემთ, რომ ამერალებული არ დამიძახოთ, და მაგან კიდეე უკედავების წყაროს შემადარაო!

გასცდა წყაროსაც მშვიდობით ხელმწიფის შვილი თავისი ქალით.

— პანტავ, შენ მაინც გვიშველეო! — შეეხვეწნენ მოწამლულ პანტას.

— აბა, მე რა გიშველოთ, — უპასუხა პანტამ, — თქვენ ისე არ გაივლით, რომ არ მითხრათ, შე მოწამლულოო, მაგან კი გულაბის მსხალს შემადარა და , დრო რომ ჰქონოდა, ჩემს ხილს იხილებდა; ღმერთმა გზა დაულოცოს! ღმერთმა კეთილი მგზავრობა მისცესო!

გასცდა მოწამლულ პანტას ხელმწიფის შვილი და გავიდა სამშვიდობოს.

მოუყვანა ხელმწიფეს ქალი და ჩააბარა. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა. მაშინვე ჯვრის დაწერა გადაწყვიტა, მაგრამ ქალმა უთხრა:

— სანამ რძეში არ მაბანებთ, მე შენზე ჯვარს არ დავიწერო!

— წადით, ბიჭებო, მოწველეთ ფურკამეჩები და გაბანოთ ქალიო! უბრძანა ხელმწიფემ ბიჭებს.

— მაგ რძეში არ ვებანები, — უთხრა ქალმა, — თუ იქნება, ნიავქრის რძე იყოს, თორემ მე სხვა რძეში თითსაც არ დავისველებო!

— ვინ უნდა მოიტანოს ნიავქრის რძე, ან საიდანაო? — ჰკითხა ხელმწიფემ ქალს.

— ვინც მე მოვიყვანა! თუ ჩემი მოყვანა შეიძლო, განა ნიავქრის რძეს ვერ მოიტანსო!

დაიბარეს ვაჟი და უბრძანა ხელმწიფემ:

— სადაც იყოს და სადაც არა, წადი და ნიავქრის რძე მოიტანეო!

წავიდა ვაჟი რაშთან და შესჩივლა თავისი ვარამი. რაშმა უთხრა:

— ნუ გეშინია, პატრონო, გულმაგრად იყავი. წადი, ერთი კამეჩის ტყავი მოიტანე, გადამაკარ, იმ ტყავზე ქვიშა დამაყარე, იმ ქვიშაზე კიდეე კამეჩის ტყავი გადამაკარ და წავიდეთო!

ყველაფერი ისე ქნა ვაჟმა, როგორც რაშმა უთხრა. მერმე შეჯდა ზეე და გასწიეს ნიავქრებისაკენ.

გამოერია რაში ნიავქრების ჯოგში და დაუწყო ხოცვა. ნიავქრებმაც დაუწყეს რაშს კბენა: აგლეჯდნენ კამეჩის ტყავს და კვნეტლნენ ტყავის ძირში დატანებულ ქვიშას. შეუუხდნენ ნიავქრები და ჰკითხეს რაშსა:

— რა გინდა, გვითხარ. რაზე გვხოცავო?

უნდა რძე მოგვიწველოთო!

ზღაპარი საკვლეველია

— აქამდის იტყოდიო! — უთხრეს ნიავქრებმა, — და მოუწველეს ერთი დუნია რძე, წამოიღეს და წამოვიდნენ.

მოუტანეს ხელმწიფეს და მაშინვე უბრძანა ხელმწიფემ, ჩქარა ჩაესხათ იმათ საარაყე ქვაბში.

— მე საარაყე ქვაბში არ ვებანები; დევებს რომ ქვაბი აქვთ, იმას თუ მოიტანთ, ხომ კარგი, და თუ არა, არც მე ვიქნები შენი ცოლიო! — თქვა ქალმა.

— ვინ უნდა მოგვიტანოსო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ვინც მე მომიყვანა და ნიავქრების რძე მოიტანაო!

დაიბარა ხელმწიფემ ვაჟი და უთხრა:

— ცაში დევებს რომ საარაყე ქვაბი აქვთ, ის უნდა მოიტანოო!

წავიდა ხელმწიფის ვაჟი რაშთან და დაეკითხა. რაშმა უთხრა:

— ცხრა მოსართავი გადამიჭირე, სამი მათრახი გადამკარ, სამი პირი ტყავი ამძვრება, ზედ სამი ლიტრა მარილი გადამაყარე, ავფრინდები და აგიყვან დევებთანაო!

მოუჭირა ცხრა მოსართავი, სამი მათრახი გადაჰკრა, სამი პირი ტყავი ასძვრა, სამი ლიტრა მარილი გადააყარა.

აფრინდა რაში და მივიდა დევების სახლში. დევებს მამის რიგი ჰქონდათ. რაშმა უთხრა ვაჟს:

— მე კვიცად ვიქცევი, მიმიყვანე, იმ საარაყე ქვაბის ყურზე დამაბი, როდესაც ყურს გავიქნევ, ის, იცოდე ნიშანია წასვლისაო.

იქცა რაში კვიცად. მიიყვანა ვაჟმა და მივიდა დევებთან. დევებმა შეიპატიჟეს შინ. ვაჟი უარზე დადგა: აქ კვიცი მიბია და მეშინია, არ დამეხრჩოსო.

მაინც არ მოეშვნენ დევები და შეიყვანეს შინ. ვაჟი ისე დაჯდა, რომ თვალითა ჩანდა რაში. დევებმა რომ დალიეს და დათვრნენ, რაშმა ყური გაიქნია. ვაჟი ადგა და წავიდა რაშთან.

— სად მიხვალო? — ჰკითხეს დევებმა.

— კვიცი საბელში გამხლართვია და უნდა მოვხსნაო!

მივიდა რაშთან, იქცა კვიცად ნაქცევი რაში ისევ რაშად, შეჯდა ვაჟი, გამოიტაცეს ქვაბი და მოუტანეს ხელმწიფეს.

აადულეს ნიავქრის რძე. ქალი ჩავიდა, ებანა და ამოვიდა.

— ვინც ჩახვალთ და ებანებით, ის იქნება ჩემი ქმარიო! — დაიძახა ქალმა.

ჩახტა ხელმწიფე და მოხარშული კი ამოიღეს. ჩახტნენ ნაზირ-ვეზირნი, მაგრამ ისინიც გახუხულები ამოიღეს. რაშმა უთხრა ვაჟს:

— მე ერთ ადგილას თოვლი ვიცი, გავფრინდები იქ, ცხვირსა და ყურებს გავივსებ, მოვიტან, რძეც ცოტა შეცივდება, ჩაყური ჩუმად, რძე გალელეჩდება, ჩახტი და ებანე. მანამდის კი არ ჩახტეო!

გაფრინდა რაში, სადაც თოვლი ეგულებოდა. ერთ წუთში გაივსო ცხვირი და ყურები, მოიტანა და ჩააყარა რძეს. რძე გაცივდა, ჩახტა ვაჟი, ებანა და გამოვიდა.

დაიწერა ჯვარი ქალზე, გაიმართა ქორწილი და ლხინი. ქალს უკვდავების ხელსახოცი ჰქონდა. წამოიღეს და წამოვიდნენ ამომავალ ხელმწიფესთან.

ამომავალი ხელმწიფე ამ დროისათვის ისე დაბერებულიყო, რომ ფეხზე ველარა დგებოდა.

გადააფარა ქალმა დედამთილ-მამათილს ხელსახოცი და სულ ახალგაზრდები გახდნენ. ვაშლის ხეც იქ მიიტანეს და ოქროს ფრინველიც იქ მიიყვანეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.
ელასა მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსა და გამგონებელსა,
ჯვარი გვეწეროს ყველასა.

ედემის ყვავილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი. ჰყავდა სამი ქალი.

უფროსმა ქალმა უთხრა მამას:

— ისეთი სარკე უნდა მიყიდო, რომ თავისთავად მოვიდეს ჩემთან, ჩავიხედო შიგ, წავიდეს და ისევ მაგიდაზე დაიდოსო!

მამამ აუსრულა სათხოვარი. შუათანამა სთხოვა:

— მე ისეთი მოსახვევი უნდა მიყიდო, რომ როცა მომინდეს, თავისთავად მომეხვიოს, როცა მინდა, დაიკეცოს და სკივრში ჩაიდოს ხოლმეო!

მამამ იმასაც უყიდა ისეთი მოსახვევი. ახლა უმცროსი ქალი შეეხვეწა:

— მამილო, მე ედემის ყვავილი უნდა მომიტანო თმაში ჩასატანებლადო!

რა გაეწყობოდა? მამა წავიდა დევების ქვეყანაში, გადაიპარა ერთ ბაღში, დაკრიფა ედემის ყვავილი და მოუტანა ქალსა.

დევმა შეიტყო ყვავილების მოპარვა და გამოჰყვა კაცის კვალს, მოვიდა იმათ სახლის კარებზე და დაუძახა:

— ოჯახის პატრონო!

ერთმა ქალმა თქვა:

— ვისაც მოსახვევი მოუტანა, იმან გაიხედოსო!

მეორემ თქვა:

— ვისაც სარკე მოუტანა, იმას ეკუთვნის გახედვაო!

მერმე პატარამ გამოიხედა. დევმა შეხედა და დაინახა: ედემის ყვავილი იმის თმებში ბრწყინავდა. დაავლო ხელი და მოიტაცა. წაიყვანა და ხელზე მოსამსახურედ დაიყენა.

ქალი ჩაეარდა მწუხარებაში: არცა სვამს, არცა ჭამს, დღე და ღამე ზის და აბრევს მღელვარებას.

იქვე ახლოს ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი ცხოვრობდა, ამას ენანებოდა საწყალი ქალი. ერთხელ დაუძახა თავისთან და უთხრა:

— შვილო, ღვინო მომიტანე, ბანგს გაეკეთებ, დევის დედას დაალევინე, დაეძინება და მაშინ გაიპარეო.

ქალმა მოუტანა ერთი ხელადა ღვინო, ბებერმა გააკეთა ბანგი და მისცა ქალს. იმან წაიღო, დაალევინა დევის დედას. იმას რომ მაგრად დაეძინა, ქალმა დაკრიფა ეღემის ყვავილი, გაიესო კალთა და შინისაკენ გასწია.

ამ დროს გაიგო ღევმა ქალის გაპარვა და ეღემის ყვავილის დაგლეჯა გაბრაზებული გამოეგზავნა ქალსა. მირბის ქალი და მისდევს დევი. გზის პირზე საყდარი იდგა. ქალი შიგ შეეარდა და მოხვრა კარები. დევი მივარდა კარებთან და დაუწყო ბრაგაბრუგი, ხან ეხვეწებოდა, ხან ემუქრებოდა ქალს: კარი გამიღეო. მაგრამ ქალმა ყური არ ათხოვა. დევმა რომ ვერაფერი გააწყო, შინ დაბრუნდა.

იმ ეკლესიაში იწვა ერთი ხელმწიფის შვილი, რომელიც ღღე კვდებოდა, ღამე კი ცოცხლდებოდა ხოლმე.

როცა დაღამდა, ვაჟი ადგა, აანთო სანთელი, ნახა თახჩაში მჯდომი ქალი და უთხრა:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, აქ რამ მოგიყვანაო?

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი. ვაჟმა სთხოვა:

— შენ ცოლი და მე ქმარიო! — ქალმაც პირობა მისცა.

ვაჟმა უთხრა:

— მე ღღისით ვკვდები და ღამე ვცოცხლდები, შენ აო შეგეშინდესო!

ცხოვრობდნენ ასე ერთად რამდენიმე ხანს. ქალს სიორსულე გამოაჩნდა.

ვაჟმა უთხრა:

— წადი ჩემ სამშობლოში და იქ მოილოგინეო!

ქალმა გასწია, მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა:

— ამაღამ აქ დამაყენეთო!

ღედოფალმა უბრძანა მსახურებს, წაეყვანათ და საქათმეში დაეყენებინათ.

იმ ღამეს საქათმეში ქალს ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა.

მეორე ღამეს ქმარი მოუვიდა იმას და დაუძახა:

— ქალო, ედემ-მარიამო! — ბატონო!

— რა გყავს შვილად?

— ღვთის მოწყალებით, ვაჟი ოქროსქოჩრიანიო! — დაუძახა ქალმა.

ახლა სხვა ღამეს მივიდა და დაუძახა:

— ქალო, ედემ-მარიამო!

— ბატონო!

— რა გაქვს ქვეშსაგები?

— ღვთის მოწყალებით, ჩალა-ფუჩეჩიო!

ეს მოახლეს გაეგონა და ღედოფალს ამბავი შეუტანა:

— ქალბატონო, წუხელ ვიღაცა მოვიდა ამ ქალთან და დაუძახა. სულ ჩვენი ალექსას ხმასა ჰგავდაო.

დედოფალი შეეშინდა და შეეხვეწა მელოგინეს:

— ამაღამ რომ მოვიდეს, უთხარი, შინ შემოვიდეს; მე კარების უკან დავდგები, იქნება ჩემი ალექსა იყოსო.

ვაჟი ისევ მოვიდა იმ ღამეს, დაუძახა:

— ქალო, ედემ-მარიამო!

— ბატონო!

— რა გაქვს საჭმელი?

— ღვთის მოწყალებით, კუტმატიო!

— ვაი შენს ალექსის, შენი საჭმელი ნუში და ქიშმიშიაო.

მერმე ქალმა დაუძახა:

— ცოტა ხანს შინ შემოდიო!

— არა, ვერ შემოვალო.

— მოდი, მოდი, გინაცვალე, ცოტა ხანს და ისევ წადიო!

მივიდა ვაჟი. კარებში რომ შეევიდა, დედამ იცნო: ჩემი ალექსიაო. სიხარულით გადაეხვია და დაკოცნა. მერმე შვილი დღეც მოუკვდა და ღამეც. ქალმა ტირილი დაიწყო. ყმაწვილი გუდაში ჩაისვა, შეეხვეწა დედამთილ-მამამთილს: არ დამარხოთ, სანამ არ დაბრუნდებიო და თვითონ კი მზის დედასთან წავიდა.

გზაზე გუთნით ხნავდნენ. უნდოდათ, შეეხსნათ და ვერ ახერხებდნენ. ჰკითხეს ქალსა:

— სად მიდიხარო?

— მზის დედასთანო!

— მაშ ჩვენიც გაიგე რამეო!

გაიარა კიდევ. მეცხვარეებს შეხვდა. უნდოდათ ცხვრის ბალახზე გარეკვა და ვერ მოეხერხებინათ. ჰკითხეს:

— სად მიდიხარო?

— მზის დედასთანო!

— მაშ ჩვენიც გაიგე რამეო!

გაიარა ქალმა და ერთ სახლს მიადგა. შიგ სამი გასათხოვარი ქალი ცხოვრობდა. იმათაც გაიგეს ქალის მზის დედასთან მოძალობა და უთხრეს:

— ჩვენი ამბავიც გაიგე, გასათხოვრები ვართ და ვერ მოგვიხერხებიაო.

გაიარა კიდევ. ერთი ირემი შემოხვდა, რქები ცასა ჰქონდა მიბჯენილი. ქალმა სთხოვა:

— ირემო, თავი დაიღე, ამაგდე ცაშიო!

— მაშ ჩემიც გაიგე რამეო! — უთხრა ირემმა.

ირემმა დაიღო რქები და შეაგდო ცაში. მივიდა მზის დედასთან. მზის დედამ უთხრა:

— შვილო, აქ რამ მოგიყვანა? ჩემი შვილი რომ შინ დაგხვედროდა და ქვეყნიერობაზე არ იყოს წასული, უთუოდ შეგჭამდაო.

ქალმა უამბო მზის დედას თავისი თავგადასავალი, გუთნისაც უთხრა, ცხვრისაცა, ქალებისაც და ირმისაცა. მზის დედამ ცოცხად აქცია ქალი და კარებს უკან მიაყუდა.

ამ დროს მოვიდა მზეც. დედას აუტყდა:

— ადამიანის სუნი მომდისო!

— არა, შვილო, აქ ადამიანს რა უნდა, რას მოიგონებ ხოლმეო!

— როგორ არა, ადამიანის სუნი მომდისო!

— ნეტავი იყოს ადამიანი, შვილო, ხმას მაინც არის გამცემდა. ხიმარტოვით ლამის გამოფრენდე. იმას კი ნუ მკითხავ, რაც არ არის, რატომ არ მიიმბობ, რა ხდება ქვეყანაზე? განა არა იცი, რაა საკვირველი, რომ თავის დღეში არას შეტყვიო!

— რად გინდა, რომ გითხრაო?

— რატომ, შვილო, დედა ვარ შენი, მაშ შენი გულის პასუხი მე არ უნდა მითხრაო?

— კარგი, დედავ, რაკი გინდა გაიგო, გეტყვი: ერთი ხელმწიფის შვილი სანადირო დადიოდა; რომ ვერაფერი მოკლა, გაჯავრებულმა მესროლა ისარი. მაშინ დავწყეველე: დღე მკვლარი იყო, ღამე კი ცოცხლდებოდეშეიქი. ახლა კი გამოვასალმე წუთისოფელსა. იმან რომ ჩემი პირისნაბანი დალიოს, გაცოცხლდება. ერთ აღგილას გუთანი უბიათ, ის ვერ მოუხერხებიათ, რომ რკინის უღლები ახსნან და ხისები დაადგან, ეს კი რომ მოახერხონ, მოხნავენ. სხვაგან ცხვარი ჰყავთ, ვერ მოუხერხებიათ, რომ საძოვარზე გამირეკონ. იმათ რომ ღმერთს ერთი ცხვარი შესწირონ, გარეკავენ. ერთ სახლში სამი ქალია გასათხოვარი, ბინდზე გვიან სახლსა და კალთებზე გადმომაყრიან ხოლმე. იმათ რომ მზეთ უკან სახლის გვას თავი დაანებონ, გათხოვდებიან. ერთგან კიდევ ირემი დგას, რქები ცაში აქვს მიბრჯენილი. ის ვერ მოუხერხებია, რომ გაიყრეკინოს. ძაისის წყალი დალიოს და ბალახს მისწვდესო.

დედამ მიუტანა ტაშტი და ხელ-პირი დაბანინა შვილს.

მზე რომ ქვეყანაზე გაისტუმრა, ბებერმა ცოცხი ისევ ქალად აქცია. ბოთლში ჩაუსხა პირის ნაბანი და გამოატანა.

— წაიღე, შვილო, ესა, დაალევინე შენს ქმარსა და გაცოცხლდებაო!

ქალი წამოვიდა. ირემს ამბავი მოუტანა, ქალებსაც, მეცხვარეებსაც, მეგუთნეებსაც და მივიდა შინ.

მიცვალებულს პირიც დაბანეს, პირშიც ჩაასხეს მზის ნაბანი წყალი და გააცოცხლეს. მერმე მშვენიერი ქორწილი და ჯვრისწერა გადაიხადეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

Ludwig Richter

ფ ა შ გ უ ნ დ ი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ ქვეყანაში ერთი დიდებული ხელმწიფე ცხოვრობდა. ჰყავდა სამი ვაჟი. ჰქონდა აუარებელი სიმდიდრე და იმ სიმდიდრესთან, თვალსა და მარგალიტთან ერთად ჰქონდა ერთი დიდი ბაღი. იმ ბაღში ერთი დიდი ვაშლი ედგა, რომელიც ქუდისოდენა ვაშლებს ისხამდა. ხელმწიფე თავისი თვალებივით უფრთხილდებოდა ამ ვაშლებს, არც თვითონ კრეფდა, არც სხვას აკრეფინებდა, მაგრამ აი შეეჩვია ვიღაც ამ ბაღს და სულ გააჩანაგა. გაღის დღე, ხელმწიფეს რჩეული ვაშლები თითოობით აკლდება. შეწუხდა ძალიან ხელმწიფე, დაიბარა შვილები და უთხრა:

— აი, შვილებო, ბაღში ერთი ვაშლი გვიდგას, ისიც ვერ შეგვინახავს, სახელმწიფოს როგორ შევინახავთ, გეპარავს ვიღაც და ჩვენ კი ვერ გაგვიგია, ვინ არის ჩვენი მტერიო. წადით, უყარაულეთ და რომელიც იმის ქურდს დაიჭერს, მეფობას იმას მივცემო!

აღგნენ ხელმწიფის შვილები და მოჰყვნენ რიგით ყარაულობას.

რიგი უფროს ძმას ჰხვდა. ის წავიდა, დაწვა ვაშლის ძირში და ერთი მაგრად დაიძინა. იმ ღამეს მოვიდა დევი, მოკრიფა ვაშლები და გასწია.

მეორე ღღეს მოვიდა შინ უფროსი ძმა და უთხრა:

— წუხელ არავინ მოსულა, სულ თეთრად გავათენეო!

მეორე ღღეს დარაჯობის რიგი საშუალო ძმაზე მიდგა. იმანაც დაიძინა. დევი მოვიდა, მოკრიფა ვაშლი და წავიდა.

მეორე ღღეს მოვიდა შინ და თქვა:

— არავინ მოსულაო!

მესამე ღამეს უმცროსს მიერგო დარაჯობა. იმან აიღო მშვილდ-ისარი და გასწია საყარაულოდ. ძმებმა დასცინეს უმცროსს:

— აბა, შენ კი აუცილებლად დაიჭერ იმას, აღარ გაუშვებო!

— თუ არავის მოვიყვან, მე ხომ მთელი მოგივალთო, — უთხრა ძმამ და გაუდგა თავის გზას.

იმ ღამეს ვაჟს არ დაუძინია. დარაჯობდა და ელოდა ვაშლის ქურდს. შუაღამე იყო, რომ მოვიდა ერთი დევი, ავიდა ვაშლზე და დაუწყო კრეფა. ვაჟმა მოზიდა მშვილდს და გაანება ისარს თავი. დაიწიელა ისარმა და შეერჭო ღრმად გულში დევს. დაიღრიალა დევმა, იტაცა ისარს ხელი და უნდოდა ამოეგლიჯა, მაგრამ ვერ ამოიძრო. ჩამოვარდა ღრიალით და მოეხუჭა, გაჰყვა თან სისხლის კვალი.

რა გათენდა, ვაჟი მივიდა შინ და მამას უთხრა:

— ჩვენი ვაშლის ქურდი დავკოდე და მოძებნა უნდაო.

ძმებს სიცილადაც არ ეყოთ იმის საუბარი, მაგრამ ის ადგა და უთხრა:

— გამომყევით და მე დაგიმტკიცებთ, რომ ტყუილი არ ვიციო.

აღგნენ ეს ძმები, აისხეს იარაღი და გასწიეს დეევის ნაკვალევზე. იარა სისხლმა და იარეს იმათ. ბოლოს, სისხლის კვალი ერთ დიდ ქვასთან გათავდა. დეევი მისულიყო, აეხადა ის ქვა და შიგ ჩამძვრალიყო. ძმებმა გაღააგორეს ეს ქვა და დააპირეს შიგ ჩასვლა. წინ-წინ უფროსი ძმა უნდა ჩასულიყო. მოაბეს უფროს ძმას თოკი და ჩაუშვეს დეევის სოროში. ბიჭს დეევის ბაყბაყი მოესმა, შეეშინდა და დაუძახა ძმებს:

— ამიყვანეთ! ამიყვანეთო!

მოაბეს მეორე ძმას თოკი და ახლა ის ჩაუშვეს, მაგრამ იმანაც დაიწყო ყვირილი:

— ამიყვანეთო, და ამოიყვანეს.

ჯერი უმცროსზე მიდგა. მოაბეს თოკი და ჩაუშვეს. მოუმატა დეემა ბაყბაყს და ვაჟმაც დაუძახა ძმებს: — ჩამიშვით! ჩამიშვითო!

ჩაუშვეს იმათაც და ჩავიდა ვაჟი დეევის სახლში. კერასთან დეევის დედა იჯდა, ფაფასა ხარშავდა. ვაჟი მივიდა და ჰკითხა:

— რასა ხარშავ, დედავ, ვისთვის გინდაო?

— შვილი მყავს ავად და იმისთვის მინდაო, უპასუხა ბებერმა.

— რა სტკივაო? — ჰკითხა ვაჟმა.

— ნაისრალიო.

— მე გასწავლი იმის წამალს, — უთხრა ვაჟმა, — აიღე, ააღუღე ერთი ქვაბი წურვილი ერბო და ნაისრალში ჩაასხიო.

ააღუღა დეევის დედამ ერთი ქვაბი წურვილი ერბო, ჩაასხა შვილს ნაისრალში და ფეხები გააფშვეკინა. ამოაძრო ვაჟმა დეევს გულიდან ისარი, ბებერს თავი მოსჭრა და წავიდა დეევის სახლის დასათვალიერებლად.

ვაჟმა ერთ ოთახში საძი მზეთუნახავი ქალი ნახა. წამოიყვანა ისინი და დაუძახა ძმებს:

— თოკი ჩამომაწოდეთო! — ჩაუშვეს თოკი და ააყვანინა უფროსი და,— ეგ უფროსსაო, — დაუძახა ვაჟმა.

მერმე მეორე ააყვანინა, ის საშუალო ძმისთვის. თავის საცოლე უნდა აეყვანინა, მაგრამ საცოლემ უარი უთხრა:

— ძმები გიღალატებენ, ჯერ შენ ადი, მერმე მეც ამიყვანეო!

ვაჟი მაინც გადაეკიდა.

— თუ არ იშლი და მე მგზავნი, — უთხრა საცოლემ, — ეიცი, გიღალატებენ, შენ აქ დარჩები. ესე გაივლი, ერთი ოთახია, იქ ორი ცხვარი აბია, ერთი თეთრი და ერთი შავი; შავზე შეჯდები — აქეე დარჩები, თეთრზე შეჯდები— ქვეცას წახვალ. იცოდე, როდესაც ქვეცას გაგაქანებს ის ცხვარი, შენ დაიძახე: „ბებრის ბანი ბამბიანი, ბებრის ბანი ბამბიანი", და რბილად დაეცემიო.

აგზავნა საცოლე ვაჟმა, და როგორც კი ავიდა უმცროსი ძმის საცოლე, ძმებმა თოკი მოჰკვეთეს, წავიდნენ შინ და წაიყვანეს ქალიც.

ვაჟი, რაკი დეევის სახლში დარჩა, ჯერ დაღონდა, მაგრამ ბოლოს მოაგონდა ცხვრები და წავიდა იმათ საძებნელად. იპოვა, გადააჯდა თეთრ ცხვარზე და გასწია ქვეცას: „ბებრის ბანი ბამბიანი, ბებრის ბანი ბამბიანიო"! და ვაჟი ბებრის ბამბიან ბანზე კი დაეცა. ადგა და შეეიდა ბებრის სახლში. ბებერი ბრმა ყოფილიყო ცალი თვალით, ფაფა ეხარშა. ვაჟი

მიეიდა, მიუჯდა ბრმა თვალისაკენ და დაუწყო ფაფას ჭამა. ბებერს ფაფა მალე გაუთავდა, მოიხედა, ნახა, ვაჟი ზის.

— ვინა ხარო? — ჰკითხა.

— შენი შვილიო!

ბებერი ძლივს ეღირსა ვაჟის ნახვას, დაიყენა თავისთან და უვლიდა შვილივით.

ერთხელ ვაჟმა ნახა, რომ ბებერს დაუცრია ფქვილი, გადალაჯულა კარცლზე და რაღაც უნდა ქნას. ვაჟმა დაუძახა:

— ღაიცა, ღედავ, ღაიცა, რას შვრებიო?

— წყალი დევს უჭერია, — უთხრა ბებერმა, — და მაშ რით მოვზილოო?

— მე მოგიტან, — უთხრა ვაჟმა, — კოკა მომეციო!

ჯერ კი არ უშვებდა ბებერი:

— მოგკლავს, შვილოო, — მაგრამ ვაჟმა არ დაიშალა და წავიდა.

მიიტანა წყალზე კოკა და ამოავსო.

— ვინა ხარ, — დაუძახა დევმა, — ჩემი შიშით აქ ბუზიც ვერ დაიბზუილებს და შენ რას მოუყვანიხარო?

— სტუმარი ვარ შენიო! — დაუძახა ვაჟმა.

— კარგი, წაიღე, — დაუძახა დევმა, — ეგ ერთი სტუმრობით გეპატიებაო!

წავიდა ვაჟი, წაიღო წყალი და ჩამოურიგეს მთელ ქალაქს კეერცხის ნაჭუჭითა.

მოტანილი წყალი რომ გაუთავდა, ვაჟმა აიღო ისევ კოკები და გასწია წყალზე. დევმა ფეხის ხმა გაიგონა და ღაუძახა:

— ვინა ხარო?

— მე, შენი სტუმარიო! — უპასუხა ვაჟმა.

დევმა არაფერი უთხრა. წამოიღო წყალი, ჩამოურიგეს კიდევ ქალაქს კეერცხის ნაჭუჭით, მაგრამ გაუთავდა მოტანილი წყალი და მოუნდა ისევ წასვლა. აისხა იარაღი ვაჟმა, აიღო მშვილდი და ისარი და გასწია. მივიდა წყალზე ვაჟი და ააესო კოკები. დევმა ღაუძახა:

— ვინა ხარო?

— მე, შენი სტუმარიო! — დაუძახა ვაჟმა.

— ერთხელ სტუმარი, ორჯერ სტუმარი, მესამედ რაღა სტუმარიო! — ღაიღრიალა დევმა და გამოეშართა ვაჟისაკენ. ვაჟმაც გაისწორა იარაღი და მიეგება.

დაიწყეს ბრძოლა. მოიქნია ვაჟმა ღა ჩასვა დევი მუხლამდის ქვიშაში; მოიქნია დევმა, ჩასვა ვაჟიც მუხლამდის; მოიქნია ვაჟმა, ჩასვა წელამდის დევი; მოიქნია დევმა, ჩასვა წელამდის ვაჟი, ამოუხტა საჩქაროდ ვაჟი, მოიქნია, ჩასვა დევი ყელამდის, წამოუსვა ხმალი ღა მოაგღებინა თავი. ამოიღო ღანა ღა ღაარჭო მოჭრილ თავში. თვითონ შინ წავიდა ღა არაფის კი არ უთხრა ღევის სიკვდილი; ბებერს კი უთხრა: — წადი, წყალი მოიტანეო!

გავარდა ქალაქში ღევის სიკვდილის ამბავი. მოაწყდა წყალს უთვალავი ხალხი ღა საქონელი. სვამდნენ, ზოგნი იქვე კვდებოდნენ წყლის სმით, ზოგნიც მიდიოდნენ შინ ღა იხოცებოდნენ.

გაიგო ხელმწიფემ ღევის სიკვდილი, მაშინვე უბრძანა მოყვანა ღევის მკვლელისა. მოვიდა მთელი ქალაქი; მთელი იმისი სახელმწიფო, მაგრამ

იმათში დევის მკელელი კი არ ერია. ზოგნი ძალად იბრალებდნენ დევის მოკვლას, წაიყვანდნენ და ეტყოდნენ:

— აბა, თუ შენა ხარ, ეს დანა ამოაძრეო! — მაგრამ დანა ვერავინ ამოაძრო. რომ ვერა და ვერ იპოვეს დევის მკელელი, ხელმწიფემ იკითხა:

— განა ყველანი არიან აქ, ვინც ჩემს სახელმწიფოში ცხოვრობსო?

— ყველანი, ერთი ბებრისა და იმისი ნაშვილების გარდა, — უთხრეს ხელმწიფეს.

მაშინვე გაგზავნეს ბებრისა და იმის ნაშვილების მოსაყვანად. მოვიდა ვაჟი. დანაც ამოაძრო და გამოტყდა კიდეც:

— დევი მე მოვკალიო.

წაიყვანა ხელმწიფემ სასახლეში, გაუმართა ნადიმი და ლხინგახარება.

— რა გინდა, რით დაგასაჩუქროთ? — ჰკითხა ხელმწიფემ ვაჟს. — რასაცა მთხოვ, მოგცემ, დარჩი ჩვენთან და ტახტსაც შენ დაგიტოვებ!

— მე აქაური არა ვარ, — უთხრა ვაჟმა, — ზვეითა ქვეყნელი ვარ, და, თუ როგორმე იქ ამიყვანთ, ის იქნება ჩემთვის უდიდესი საჩუქარი. თუ ვერ ამიყვანთ, ის მაინც მასწავლეთ, როგორ უნდა ავიდეს კაცი ზვეითა ქვეყანაშიო!

— იქ მხოლოდ ფაშგუნდს შეუძლია აყვანაო, — უთხრეს ვაჟს.

ვაჟმა აიხსნა იარაღი და წავიდა ფაშგუნდისაკენ. ფაშგუნდის ბარტყებს გველეშაპი ჰყოლოდა შეჩვეული და შეეჭამა. ვაჟმა ნახა, რომ ფაშგუნდის ერთი ბარტყი ტირის და ერთი კი იცინის.

— ერთს ან რა გატირებს. — ჰკითხა ვაჟმა, — და ან მეორეს რა გაცინებსო?

რომელიც ტიროდა, იმან უთხრა:

— მე ის მატირებს, რომ დღეს გველეშაპი მოვა და შეიჭამსო. რომელიც იცინოდა, იმან უთხრა:

— მე ხვალ შეიჭამს გველეშაპი, ერთი დღე კიდევ დამრჩომია სიცოცხლისა და ის მაცინებსო.

— ოქვენ ნუღარაფრისა გეშინიათ, — უთხრა ვაჟმა, — მე ვიცი და ის გველეშაპმაო.

დაუჯდა ვაჟი და დაუწყო მოლოდინი გველეშაპსა. მალე მზეც დაბნელდა. ფაშგუნდის შვილებმა უთხრეს ვაჟს:

— ახლა მოდისო.

ვაჟმა ჩააგდო კილოში ისარი და გველეშაპი რომ გაუსწორდა, გაანება თავი და გულში კი გააგდებინა. დაეცა მკვლარი გველეშაპი და აუშვა საძაგელი სუნი. აკაფა ვაჟმა გველეშაპი და ააგო მთად ბუდის გვერდებზე. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ქუხილი და წამოწვიმა კიდეც.

— ეს რა არიო? — ჰკითხა ფაშგუნდის შვილებს ვაჟმა.

— ეგ ჩვენი ლეღა ტირის, ცრემლსა ღვრის ჩვენზე, ჰგონია: გველეშაპმა გაღაგვალაპაო.

ვაჟი დამალეს. მოვიდა ფაშგუნდი. ნახა ცოცხალი შვილები და სიხარულით ცას დაეწია.

— ვინ გიხსნათ, შვილებო, ვინა? — ჰკითხავდა გახარებული ფაშგუნდი შვილებს, — ვინ მოვიდა, ის ღვთის ნაკურთხი კაცი?

— თუ არ შეჭამ, გაჩვენებთო! — უთხრეს შვილებმა.

— ჩემი შვილების მხსნელს როგორ დავუშავებ რამეს, მაჩვენეთო! უთხრა ფაშგუნლმა.

შვილებმა გამოუჩინეს ვაჟი. ფაშგუნლი გაღაეჩვია ვაჟს. მოჰხვია მხრები, მიიკრა გულზე და გვერდები კი ჩაამტვრია. მაგრამ მოუსვა ფოე და მოარჩინა:

- რას დამდებ ვალად, რა გინდა, რა მოგცე, ე შვილები რო გადამირჩინეო? — უთხრა ფაშგუნლმა.

— ზეგით ქვეყანაში ამიყვანე, მე იეაური ვარ, — უპასუხა ვაჟმა, — და ის დამდე სიკეთედაო!

— წადი, — უთხრა ფაშგუნლმა, — ერთი კოდი ააკეთებინე ხორცით. ერთ მხარზე ის დამადგი, ერთზე შენ დამაჯექ და აგიყვანო!

ვაჟმა ქნა ისე, როგორც ფაშგუნლმა უთხრა. ერთ მხარზე ხორციანი კოდი დააღგა, ერთზე თვითონ დაჯდა და გასწიეს.

რამდენიც შემოტრიალდებოდა ფაშგუნლი, ვაჟი იმდენ ნაჭერ ხორცს შეაჭმევდა. ბოლოს, ერთი ნაჭერი დააკლდა. ვაჟმა გამოიჭრა წვეი და ის შეაჭამა. მას შემდეგ სახრელში, წვეის ზეგით გამოჭრილიეთია აქვს.

ოჰ! ეს რა გემრიელი რამ შემაჭამე, — უთხრა ფაშგუნლმა, — რა იყო?

— ეგ ჩემი ხორცი იყო, — უპასუხა ვაჟმა.

— ეგ რომ მცოდნოდა, თუ ეგეთი გემრიელი იყო კაცის ხორცი, აქამდინვე შეგჭამდიო, — უთხრა ფაშგუნლმა. გამოუსვა ფოე, გაუმოელა წელული, გადმოსვა მიწაზე, გამოეთხოვა და წავიდა.

ვაჟი გაუდგა გზას. ბევრი იარა, ცოტა იარა, ბოლოს, თავის სახელმწიფოში მივიდა. გზაზე ერთ მელორეს შეხვდა. მელორე იჯდა და ტიროდა. ვაჟი მივიდა იმასთან და ჰკითხა.

— ან ვისი ხარ და ან რა გატირებსო?

— რა არ მატირებს, — უთხრა მელორემ, — ჩემი ხელმწიფის შვილს ქორწილი აქვს, უმცროსი ძმა დაკარგეს და უფროსი კი იმის საცოლეზე იწერს ჯვარსაო!

— შენა, — უთხრა მელორეს ვაჟმა, — ეგ ტანისამოსი გაიხადე, მაგას მე ჩავიცვამ, ჩემი ტანისამოსი შენ ჩაიცვი. მე ვარ იმათი უმცროსი ძმა. მივალ და ვნახოთ როგორ დაიწერენ ჯვარსო!

ჩაიცვა ვაჟმა მელორის ტანისამოსი და გასწია ძმებთან. უფროსი ძმა იჯდა და მხიარულობდა. უმცროსი ძმის მშვილდი ეჭირა დაჯარებულ ხალხს ხელში და ეწეოდნენ:

— აბა, ვინ მოწევს და ვინ ვერაო?

ჩამოატარეს მშვილდი, მაგრამ ვერავინ მოწია. ჯერი პატრონზე მიდგა.

მიეცითო ეს მშვილდი ჩემს მელორეს, — დაიძახა უფროსმა ძმამ,— იქნება მაგან მოწიოსო!

მისცეს მშვილდი. ვაჟმა მოწია მშვილდს, ჩააგო ისარი და დაიძახა:

ხარსა თუ ფურსაო?

ქალმა იცნო საქმრო და გული გაეხსნა.

— ხარსა, ფურისა რა ბრალიაო! — დაუძახა ვაჟს.

ვაჟმა მოკლა ძმა ისრით, დაიწერა ჯვარი თავის საცოლეზე და დაიწყო ხელმწიფობა...

წიქარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა, ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვლის ხელში ჩავარდა. უდიერი დედინაცვალი ჰყავდა. მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში. დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა. ქმარმა კი არ იცოდა, ვაჟმა იცოდა, დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა, სახელად წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მუდამ დადიოდა ვაჟი წიქარასთან, აძოვებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა. დედინაცვალი კი დროს ელოდა, რომ ვაჟი როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიაკადა თავი და დაიწყო ტყუილად კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

– რა გიშველისო?

ცოლმა უთხრა:

– შენი შვილის გულ-ღვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო.

მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ რომ მეტი ღონეც არა ჰქონდა! ირჩია ცოლი შვილსა და დაკვლა დაუპირა. მეორე დილაზე ვაჟი ხედავს, რომ მამა დანებსა ლესავს.

– რად გინდა, მამავ, ეგ დანები, რომ ლესავო? – ჰკითხა ვაჟმა.

– წაიყვანე, შვილო, – ეტყვის მამა ვაჟს, – წიქარას წყალი დაალევინე, უნდა დავკლათო!

წაიყვანა ვაჟმა წიქარა, ასმევს წყალს და ტირის, ტირის, რომ მისი ცრემლები წყალს ეწევიან.

– რა გატირებს, ჩემო მეგობარო, – ჰკითხავს წიქარა, რაზე ითხრი თვალებს, შემოგვეკლოს შენი წიქარა თავს?

– დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! – ეტყვის ვაჟი.

დაღონებული წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს:

– მე კი არა მკლავენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრასო. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი საკარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემაჯექ და წავიღეთო!

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა და მოვა. შეჯდება ვაჟი წიქარაზე და გაქუსლავს. გაიგო ვაჟის მამამ შვილის წასვლა, შეჯდა ერთ წყეულ ღორზე და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიარბენინებს პატარა მეგობარს, მისდევს მამაც ღორზე მჯდომი დალესილი დანებით; მისდევს და ის არის, უნდა დაეწიოს. წიქარამ ურჩა ვაჟს:

– რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგა, გადაღვარე წყალი!

გადააქცევს წყალს ვაჟი, გაჩნდება საშინელი ზღვა. ღელავს შავად ზღვა, გაბრაზებულია, ტალღები სიკვდილს უქადიან ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მიცურავს. სანამ ღორი ზღვას გადაცურდება, წიქარა და იმისი მეგობარი კარგა გზას გაივლიან. ბოლოს გამოვა ღორიც. წიქარა ეტყვის ვაჟს:

— თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო?

მიიბრუნებს ვაჟი თავს; შორს ბუზივით რაღაც მორბის და მოფრინავს. წიქარას ეტყვის:

— ბუზის ტოლად კი ჩანს რაღაცაო!

— ეგ ღორია და მამაშენი ზისო, — ეტყვის წიქარა და გაეშურება; — წავიდეთ, მეგობარო, გავექცეთ უსამართლობას, როდესაც იმისი წინააღმდეგი ფარი არა გვაქვს!

მირბის წიქარა, მიაქროლებს პატარა ვაჟს; მორბის ღორი და მოაგელვებს ვაჟის მამა დააფთრებულ დანებს... ცოტა კიდევ და ღორი დაეწევა წიქარას!

— გადააგდე სავარცხელი! — შესძახა ვაჟს წიქარამ.

გადააგდო ვაჟმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. ჭრა კბილით ღორმა, ჭრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი კი მირბიან. კარგა გზა აქეთ გაელილი, მოიხედავს ვაჟი, შორს ბუზივით რაღაც მოჩანს.

— ღორი მოგვდევსო! — ეტყვის წიქარა...

ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი ვაჟს დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება საშინელი თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. ჭრის ღორი, ჭრის, რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რომ მივიდა ღორი, ჩაჭრა კლდის ფხას ფეხი და თავისი მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც, ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მიეცათ...

იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთ ტრიალ მინდორზე, იქ ერთი ისეთი ალვის ხე იდგა, რომ იმის წვერი ცახა ხვედა, შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირო, ერთი სალხინო, და უთხრა:

— მე წავალ, მარტოკა ვიელი მინდვრებზე, ვმოვ, დავირჩენ თავსა, შენ აქ იჯექ; გაგიჭირდეს, დაუკარ საჭირო სალამური და მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, დაუკარ სალხინო სალამური, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო.

გამოეთხოვა და წავიდა წიქარა. ვაჟი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს... გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაწყვიტა იმის შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უკრავს, ჰეპლები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზე თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით თვალები გადმოუბრუნდა; ვაჟს დაუძახა:

— ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა გაკეთებულიო!

მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა. წიქარასაგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩამოვიდა.

ადგა შურიანი მეცხვარე და წავიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფეს მოახსენა:

— ამა და ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზე და ისე უკრავს სალამურს, რომ იმის დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო. ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირნი და უთხრა, რომ თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა კაცი იშოვოთ იმის მომყვანიო.

ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფესთან ერთი ბებერი მიიყვანეს. ბებერმა უთხრა:

— მე მოვიყვან იმ ვაჟსაო!

ადგება ბებერი, წაიყვანს ერთ თხას. ერთ სადგისს წაილებს და მივა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზე და უკრავს სალხინო სალამურს; ბებერი ალვის ხის ძირში დგას. სჩხელეტს სადგისით თხას და აჩხაველებს. ვაჟი დაინახავს, რომ ბებერი თხას აჩხაველებს და დაუძახებს:

— რასა შვრები, დედილო, რად აჩხაველებ მაგ თხასაო?

— დაკვლა მინდა და ვერ დამიკლავს, იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი, დამიკალიო!

ვაჟი რას მოიფიქრებდ-, თუ ბებერს ღალატი ედო გულში. ჩავიდა ვაჟი ძირს. ბებერმა დაათრო და დაძინა. წაიყვანეს ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავისთავი დატყვევებული და დაღონდა. დაიწყო ტირილი. ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ იმისი სალამურები ალვის ხეზე იყო ოხრად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გასცქეროდა ცასა. ცხრაკლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზე, დაინახა ვაჟმა და შესძახა:

— ყვავო, ყვავო, სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენი შვილების მზეს, მინდორთ რომ ალვის ხე დგას, იქ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანე!

— მე რომ ლეშსა ვეჯამდი და შენ კი ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? — უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას. გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოყარა ცრემლები. გაუარა ყორანმა.

— ყორანო, ყორანო, წადი, შენი შვილების მზეს, ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და აქ მომიტანე! — გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.

— მე რომ წიქარას ლეში გთხოვე და არ მომეცი, სალამურს რად მოგიტანო! — ჩამოსძახა ყორანმა.

გასცილდა და თავის სიშავით უფრო გააშავა ისეც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა. გადაუარა არწივმა.

— არწივო, არწივო, მხარკვერიანო! — გასძახა ვაჟმა, — ფრინველთ მეფე ხარ, სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია, მაშ წადი და, მინდორთ რომ ალვის ხე დგას, იქ სალამურები დამრჩა და მომიტანე!

— მე ჩემი საქმე მაქვს, შენგან კრავი როდის მიმილია ხაჩუქრად, რომ სალამური მოგიტანო! — უპასუხა არწივმა და მხრების შხლარტუნით გასცდა.

გადმოიფრინა ჩიტმა, ამასაც შესძახა ვაჟმა:

— ჩიტო, ჩიტო, შენი ბარტყების გაზრდას, მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანე!

— შენ რომ მახეს გეიგებდი და ბუდეს გეიშლიდი! მე ვერ მოგიტან, ხხვახ სთხოვე, — უთხრა ჩიტმა და გასცდა ჟივილ-ხივილით. გააყოლა იმასაც თვალები ვაჟმა და ჩამოსცვივდა ცრემლები.

ბოლოს, მერცხალი დაინახა. ვაჟმა შესტირა:

— მერცხალო, მერცხალო, გაზაფხულის მახარობელო, მინდორთ სალამური დამრჩა და მომიტანე!

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა საჭირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და მაშინვე გაეშურა ვაჟისაკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა, ისე თავის რქას არა ჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა.

ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა:

— რას მომცემ, რომ რქა მოგაბაო? შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— გაჭმევო, — უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუმთელა რქა. ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც. შეეიდა ვაჟთან, შეისვა ზურგზე მეგობარი და გააშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაჟი ალვის ხეზე და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაჟი ალვის ხეზე, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს, მოაგონდა წიქარა, მოუნდა იმისი ნახვა, დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა, მაგრამ არსად არიხ წიქარა! ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსადა ჩანს წიქარა! დაღონდა ვაჟი. ჩამოვიდა ძირს, დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით ბალახნი ტიროდნენ, ჰეპლებიც აღარა ფრინავდნენ და ცრემლსა ღვრიდნენ, ხეებიც აღარ ინძრეოდნენ. უკრავდა სალამურს და ციე კლდეებსაც ცხელი ცრემლები სდიოდათ. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი ნალეშარი საითლაც მიეშურებოდა... წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა. და, ბოლოს, მინდორში მკვდარი იპოვა. შავ ყორანს და უგვანო სვავ-ყაჯირებს თვალები დაეთხარათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დასტირა ცხარედ. აღარც სალხინო და აღარც საჭირო სალამური არ დაუკრავს, შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა.
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.

ميكيكي ع

თორმეტთავიანი დევი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა მეტად ლამაზი, მზეთუნახავი ცოლი. როდესაც მესამე ვაჟი ეყოლა, ბავშვი ჯერ კიდევ ხოჭიჭში იყო, რომ სად იყო და სად არა, გაჩნდა თორმეტთავიანი დევი და მოიტაცა მზეთუნახავი დედოფალი. მეფემ თავი ქვას ახალა, მაგრამ ვერაფერს გახდა; იმან კარგად იცოდა, რომ თორმეტთავიანი დევი უკედავი იყო და მისი გამკლავებაც უნაყოფოდ დარჩებოდა. ბევრი ითაცევმა, იტირა. ბოლოს ბედს თავი მოუხარა და ჯავრი მოინელა.

გაიზარდა პატარა ძმა, ხოჭიჭზე რომ იყო დაკრული. ერთი დღის ერთი კვირისას ჰგავდა, ერთი კვირისა — ერთი წლისას.

როცა დაყმაწვილდა, მამას დაეკითხა:

— მყავდა დედა თუ არაო?

— როგორ არ გყავდა, — მიუგო მამამ და ჩამოუშვა ცრემლის ღვარი. — თორმეტთავიანმა დევმა მომტაცა მაშინ, როცა შენ ჯერ კიდევ ხოჭიჭზე იყავი დაკრულიო.

ამის გამგონე ვაჟს აღარ ჰქონდა მოსვენება. დღეცა და ღამეც დედის დაკარგვა აგონდებოდა. დევის სისხლი ყელში მოსდიოდა.

ერთხელ გაიხმო თავისი ძმები და უთხრა:

— თორმეტთავიან დევს მოუტაცია ჩვენი მშობელი დედა. მე ეს გავიგე და მოსვენება აღარ მაქვს. თორმეტთავიანი დევის სისხლი მწყურია. თუ ჩემი ძმები ხართ და დედის სიყვარული გაქვთ, წამოდით, წავიდეთ, ის დევი მოვკლათ და დედა დავიხსნათ, ან ჩვენც თან გადავყვეთო.

ძმები დეთანხმნენ და კიდეც წავიდნენ თორმეტთავიანი დევის საძებრად.

ბევრი იარეს, თუ ცოტა, მივიდნენ ერთ გზაჯვარედინზე: სამი გზა ერთად იყრიდა თავს. ერთ გზაზე იყო ქვა დასობილი და ზედ ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, ადვილად მობრუნდესო ; მეორეზე ეწერა: „ვინც აქეთ წავიდეს, საეჭვო იყოს მისი მობრუნებაო ; მესამეზე ეწერა — „ვინც აქეთ წავიდეს, ველარ მობრუნდესო . უმცროსმა აირჩია სახიფათო გზა, შუათანამ — სა თუო გზა და უფროსმა კი — საადვილო. გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და წავიდნენ თავ-თავის გზაზე.

იარა, იარა უმცროსმა ძმამ და ცხრა მთა გადაიარა. ნახა, ერთ ალაგას ქალაქია. ქალაქის მცხოვრებლები შიშისგან აღარ არიან: ერთი გარეული ტახი გამოდის თურმე ზღვიდან, აოხრებს და იკლებს მთელი ქალაქის მცხოვრებლებს. დიდი და პატარა წუხს და, როგორ უშველონ თავს, ვერაფერი გამოუგონებიათ. მოვიდა ამ ქალაქში ხელმწიფის უმცროსი ვაჟი თუ არა, ღონე ერჩოდა და გადაწყვიტა ზღვაზე წასვლა. იქ შეხვდებოდა სადმე ამ ქვეყნის ამაოხრებელ ველურ ტახს და დაეძგერებოდა.

მიეიდა ვაჟი ზღვაზე და გადახედა. ზღვაში კოშკი დგას ისეთი, რომ მისი წვერი ცახა სწვდება. კოშკზე გადმომდგარა მზეთუნახავი და ანათებს ზღვას. მზეთუნახავმა გამოსძახა ბიჭს:

— რამ გაგაბედვინა აქ მოსვლა, თორმეტთავიანი დევის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუელია და ძირს ჭიანჭველასო.

— მე მოვედი აქ ჩემი ბედისწერის გამოისობითო, — მიუგო ბიჭმა, — შენ რაღამ მოგიყვანა თორმეტთავიან დევთანაო?

— თორმეტთავიანმა დევმა მომიტაცა და წამომიყვანა მაშინ, როცა მეხამე ვაჟი მეყოლა და ჯერ კიდევ ხოჭიჭზე მყავდა დაკრულიო...

— მე ვარ ის ხოჭიჭზე დაკრული შენი შვილიო, — მიაძახა ვაჟმა დედას. — ახლა წამოვიჩიტე და მე და ორი ჩემი ძმა კიდევ — სამივე შენს საძებრად და დახასხსნელად ვართ შინიდან გადმოვარდნილიო.

— ვაიმე, შვილო! თორმეტთავიანი დევი ძალიან ღონიერი და უკვდავია, რადგანაც სული სადღაც აქვს დამალულიო.

— შეეხვეწე, ჩემო დედა, და იქნებ გამოტეხო: სად და რაშია მისი სული და რა არის მისი ძალ-ღონეო.

ამ დროს თორმეტთავიანი დევი სანადიროდ ყოფილიყო წასული.

ვაჟი წავიდა ქალაქში. მოვიდა დევი და დაიძახა:

— აქ კაცის სუნი დგას, ხომ არავინ ყოფილაო?

— არაო, — უთხრა მზეთუნახავმა და აბრეშუმის ცხვირსახოცით მოხწმინდა შუბლზე გადამსკდარი ოფლი: შენი შიშით ცაში ფრინველი ვეღარ დაფრინავს, მიწაზე ჭიანჭველა ვერ დადის და კაცი მობედავდა აქაო?

მოუარა მზეთუნახავმა დევს. მიართვა სახმელ-საჭმელი და მერმე ჰკითხა:

— მეტად მაკვირვებს შენი ძალ-ღონისა და სულის საქმე, არ არის ხულდგმული, რომ შენი არ ეშინოდეს და უკვდავსაც გეძახიან, — რაშია და სადაა შენი ძალ-ღონე და უკვდავებაო, სად არის შენი ღონე და სად არის შენი სულიო?

— ჩემი სული ე იმ კერიის ძირში მარხიაო, — უთხრა დევმა.

როცა წავიდა დევი ხელახლა სანადიროდ, მოვიდა ხელმწიფის უმცროსი ვაჟი დედა-მზეთუნახავთან და ჰკითხა:

— რა გაიგე, დედაო?

— მე ის გავიგე, შვილო, რომ დევის სული ე იმ კერიის ძირშია დამალულიო.

— აბა, დედაჩემო, ეგ კერიის ძირი ააყვავე, შეამკე, სულ ყვავილებით მოფინეო.

ასწავლა ეს ვაჟმა დედას და წავიდა ისევ ქალაქში. დედამ ზედმიწევნით აასრულა შვილის დარიგება და, როცა დევი ნადირობიდან დაბრუნდა, შეხედა კერიას და სიცილი აუტყდა.

— ეს რა გიქნია, ქალო, კერია რისთვის აგიყვავილებიაო?

— შენი სული მიყვარს და ამით მინდა დავამტკიცო ჩემი სიყვარულიო.

— ჩემი სული, მართლა ე იმ კერიაში კი არა, ამ სვეტშიაო.

როცა წავიდა დევი, მოვიდა ვაჟი და ჰკითხა დედას:

— რა გაიგეო?

— იმ წყეულის სული კერიაში კი არა, სვეტში ყოფილაო.

— აბა, ახლა ეგ სვეტი მოკაზმე, ააყვავე. როცა დაერწმუნდებით, სადაცაა დევის სული, მერმე მე ვიცი, რასაც ვიზამო.

თქვა ეს ვაჟმა და წავიდა. გაალამაზა, შეაყვავილა მზეთუნახავმა სვეტი და დევიც მოვიდა.

— რა გიქნია ეგ, ქალოო?! — თქვა დევმა და აუტყდა სიცილი, — მართლა სვეტში კი არაა ჩემი სულიო.

— აბა, სად არის, რომ ვცე თაყვანიო?

— ჩემი სული აბარია ორ მტრედს, ჩემი კოშკის თავზე რომ დაფრინავენ ხოლმეო. იმათ ორივეს თითო კვერცხი აქვთ დაუდებელი და იმაშიაო. ჩემი ჯანი და ღონე კი — ერთი ტახია ამ ზღვაში და იმას აქვსო.

მეორე დილით დევი ისევ სანადიროდ წავიდა, მოვიდა დედასთან ვაჟი და გაიგო ყველაფერი. ვაჟმა უთხრა დედას:

— მოვიდეს თუ არა დევი, გამოკითხე, რა დაიმორჩილებს იმ ზღვის ველურ ტახს-თქო.

ვაჟი წავიდა ისევ ქალაქში.

როცა მოვიდა დევი, მზეთუნახავმა აბრეშუმის ცხვირსახოცით მოწმინდა ოფლი შუბლზე და უთხრა:

— როგორ ექნება შენი ჯანი ველურ ტახს? შენ მე კიდევ მატყუილებო.

— მართალს გეუბნებიო, — შეჰფიცა დევმა. — ის ტახი ძლიერ ღონიერია და ვერავინ მოერევაო. არის მხოლოდ ერთი საშუალება და ისიც მარტო მე ვიციო...

— მე არ მენდობი განა და მიფიცავო? — უსაყვედურა მზეთუნახავმა.

— სული სად იყო ჩემი, ის გითხარი და ამას როგორღა დაგიფიცავო, ჩემ ოფლში ნაწრთობი ხმლის მეტი ვერავითარი იარაღი, რა ბასრიც არ უნდა იყოს, ვერ დაჭრის იმ ველურ ტახს და ვერ მოკლავსო.

როცა წავიდა დევი სანადიროდ, მოვიდა მზეთუნახავის ვაჟი. დედამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ვაჟმა უთხრა დედას:

— აბა, ახლა იმეცადინე და, როცა ოფლიანი მოვიდეს თორმეტთავიანი დევი, ცხვირსახოცით მოსწმინდე ხოლმე ოფლი, ის ოფლი გამოწურე და აგროვე ჭურჭელში. ამგვარად დაგროვებული დევის ოფლი მომეცი და მერმე მე ვიცი და იმ დევმაო.

ასე მოიქცა დედა და იმდენი დაუგროვა დევის ოფლი ვაჟს, რომ ხმლის საწრთობად ეყოფოდა. ვაჟმა წაიღო დევის ოფლი, მივიდა ქალაქში ერთ მჭედელთან და ამ ოფლში აწრთობინა ხმალი. ჩამოიკიდა ხმალი და წამოვიდა ახლა გულახდით, პირდაპირ, უშიშრად ზღვისაკენ. ქალაქის მცხოვრებლებმა სახლები, დუქნები — სულ ყველაფერი მიკეტ-მოკეტეს, ყველანი მიიმალ-მოიმალნენ — არ გახელდეს ტახი და თავზე არ დაგეცეს, თორემ ყველას დაგეჭამოს.

მიიჭრა ზღვასთან ვაჟი. მოკრა მახ თვალი ტახმა თუ არა, წამოვიდა ზღვიდან და დააღო პირი ვაჟის შესაჭმელად. მაშინ მოუქნია ვაჟმა ხმალი და გაწყვიტა ტახი შუაზე. აიხედა მაღლა თუ არა, დაინახა ორი მტრედი — მაღლიდან დაექანენ, რომ ტახისათვის ფრთები წამოეკრათ და გაეცოცხლებინათ; მოუქნია ვაჟმა მათაც ხმალი და ორივე შუაზე გაწყვიტა,

თორმეტთავიანი ლომი

თითოს თითო კვერცხი გადმოუვარდა, ვაჟმა წაავლო ხელი ამ კვერცხებს, დაიჭირა ხელში და ავიდა კოშკში.

მოდის ძალაგამოლეული დევი, მოფარფატებს მთიდან. ვაჟმა დევს შესძახა:

— შე უბედურო, ხმა არ გამცე, თუ არა, ხომ ხედავ, შენი სული ხელში მიკავია და გაგაქრობო!

— შე კაი კაცო, მე არ გცემ ხმასაო, — შეელეკვა დევი.

— აბა, მალე აიკიდე ზურგზე, რაც ცხოვრება გაბადია ამ კოშკში და შენი მზეთუნახავიანად გამომყევი, სადაც წავიდეო!

ენადაუსველებლად ასრულებდა დევი ვაჟის ბრძანებას.

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, მიაღწიეს ხელმწიფის სასახლემდის, როცა მიახლოვდნენ, ვაჟმა მამასთან მახარობელი აფრინა და შეუთვალა: შენი ვაჟიც მოდის, დედაც მოყავს და თორმეტთავიანი დევიცო.

ხელმწიფემ რომ ეს ამბავი გაიგო, შიშით გააცივა: არც ვაჟი მინდოდა, არც დევი და აღარც მზეთუნახავიო. გაიქცა და შვილებიანად (ამ ვაჟის ორივე ძმა, რა ხანია, უკან დაბრუნებულა) ცხრაკლიტულში დაიმალა.

მოვიდა უმცროსი ძმა შინ, ჩამოხადა დევს ყველაფერი. გამოიყვანა ცხრაკლიტულიდან თავისი ძმები. ერთი კვერცხი ერთ ძმას მისცა ხელში, მეორე — მეორეს და უთხრა:

— მიდით ე იმ კლდესთან, დაახალეთ ქვაზე ეს კვერცხები და დაამტვრიეთო. დევიც იქ წაიყვანეთ, ჰკარით ხელი და კლდეზე გადაამსხვრიეთო. ასე მოიქცნენ ძმები და დევი კისრის ტეხით გადაუძახეს კლდეზე.

ახლა კი გამობედა მეფემ ცხრაკლიტულიდან გამოსვლა, მოეხვია ცოლსა და შვილს და მის სიხარულს დასასრული აღარ ჰქონდა. ამიერიდან ცხოვრობდნენ მშვიდობითა და ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

სასწაულმოქმედი პერანგი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა: იყო დასავლეთის ხელმწიფე და ჰყავდა სამი ვაჟი. ერთხელ ხელმწიფე ძლიერ ავად გახდა, დაიბარა შვილები და უთხრა: „ვიცი, სიკვდილის დღე მომიახლოვდა, ველარ მოვრჩები და ჩემს შემდეგ თუ გაგიჭირდეთ რამე, აღმოსავლეთის ხელმწიფეს მიმართეთ და შემწეობა სთხოვეთო.“

მართლაც, გარდაიცვალა ხელმწიფე და დაასაფლავეს, როგორც შეეფერებოდა, გაიგეს თუ არა შორეულმა სახელმწიფოებმა ეს ამბავი, დაესივნენ ობლების ქონებას, თვითონ კი ცოცხლებმა ძლივს გაასწრეს და აღმოსავლეთის ხელმწიფესთან გაიქცნენ. ხელმწიფემ კარგად მიიღო ისინი, მისცა საკუთარი სახლი, მიუჩინა მოსამსახურე და კეთილად ეპ-

ყრობოდა. ერთ მეთვალყურეს დაავალა: ხელმწიფის შვილები კარგი ნაწურთნი ჩანან და, აბა, დღეს პირველ სადილზე რას იტყვიან, ამბავი მომიტანეო.

სხვა მრავალ საწუთროს შორის, ბატკანიც დაუკლეს. დასხდნენ სადილად. უფროსმა პური აიღო ხელში და თქვა:

— ამ პურს ადამიანის სისხლი ურევიაო.

საშუალომ თქვა:

— აი, ეს ბატკანი თავისი დედის რძით არ არის გაზრდილი, ძაღლის ძუძუ უწოვიაო.

უმცროსმა თქვა:

— მე რომ ხელმწიფეს შევხედე, ის ხელმწიფის შვილი არ უნდა იყოსო.

ეს ამათი ნალაპარაკევი მეთვალყურემ ხელმწიფეს მოახსენა. ხელმწიფემ ბრძანა: მოიყვანეთ გუთნისდედაო. დაიბარეს. მაშინვე გამოცხადდა. ხელმწიფემ ჰკითხა:

— ამ პურს ადამიანის სისხლი რად ურევიაო?

— ხელი გავიჭერ თესვის დროს და მუჭით რომ ხორბალს ეაპნევდი, სისხლიც თანა ჰყვებოდაო, — უპასუხა გუთნისდედამ.

დაიბარეს მეცხვარეები. ხელმწიფემ ამათაც ჰკითხა:

— ამ ბატკანს რად აჭამეთ ძაღლის ძუძუ, თავის დედას რად მოაშორეთო?

მეცხვარეებმა უპასუხეს:

— დედა მოუკვდა, რძითა ვზრდიდით და ძაღლსაც შესჩვეოდაო.

დაითხოვა ისინი ხელმწიფემ, შევიდა თავის დედასთან და უთხრა:

— დედი, წუხელ სიზმარში მასწავლეს, თუ ძუძუს მომაწოვებ, სიბერემდის ვიცოცხლებო!

დედამაც მისცა ძუძუ. ხელმწიფემ ძუძუ ჩაიდო, კბილი მოუჭირა და უთხრა:

— მე ვიცი, ხელმწიფის შვილი არა ვარ და მითხარ, ვინ იყო მამაჩემიო. თუ არ მეტყვი, არ გაგიშვებო.

რაღას იზამდა. დედაც გამოტყდა და უთხრა: მეჯინიბის შვილი ხარო. მაშინ დარწმუნდა ხელმწიფე, ესენი მართლა ღირსნი არიან პატივისცემისაო და უფრო კარგად შეინახა, გამოზარდა და, როდესაც სრულწლოვანნი შეიქმნენ, მაშინ გაისტუმრა თავიანთ სახლში. სამივეს სამი ცხენი დაუტვირთა თვალ-მარგალიტით და ფულით და ისე გაუშვა. წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთ ჯვარედინა გზაზე გავიდნენ. ერთი დიდი ქვა იყო და იქ დაისვენეს. იმ ქვაზე ეწერა: ამ გზით წავიდეს მგზავრი — ისევ დაბრუნდეს, ამ გზით წავიდეს — ან დაბრუნდეს ან არა, და ამ გზით წავიდეს — სულ ველარ დაბრუნდესო. ერთი გზაც თავიანთი სახლის გზა იყო. ეს ქვა ოთხივე გზის შუაზე იყო და ყოველი წარწერა თავ-თავისაკენ ჰქონდა მიქცეული.

— შინ რომ მივიდეთ, რა გავაკეთოთ, — თქვეს, — მტერი სულ გაანადგურებდა იქაურობასო, — და არჩიეს ხხვადასხვა გზით წასვლა. უფროსმა ძმამ აირჩია ის გზა, რომელზედაც ეწერა: „წავიდეს, ისევ დაბრუნდესო;" საშუალმა აირჩია მეორე — „ან დაბრუნდეს ან არაო;" უმცროსმა კი მესამე გზა აირჩია — „წავიდეს, ველარ მოვიდესო." ბევრი ურჩიეს ძმებმა, ჩვენი

გზა აირჩიე, მაქეთ ნუ წახვალო, მაგრამ არ გაიგონა. ამოიღეს თითო ბეჭედი, დააწყვეს ქვის ქვეშ, მიწაში დამალეს, ვინც წინ გამოიაროს, თავისი ბეჭედი გამოიღოს და მამის ბინაზე წავიდესო. შეთანხმდნენ და წავიდნენ.

გაეყვეთ პატარას. წავიდა შორს, უგზოუკელოდ, არ იცის, სად მიდის. გავიდა ერთ დიდ გზაზე და დაადგა იმ გზას. გაიყვანა გზამ ერთი ზღვის პირას და დაეღამდა კიდეც, იქ ნახა ერთი ქოხი. გაუკვირდა, ნუთუ აქ, ამ უდაბურ ალაგას, არის ვინმეო? გადაწყვიტა მისვლა, ენახავ, რა იქნებაო, და მივიდა. ნახა, რომ ამ ქოხში ერთი დედაბერი იყო. დედაბერს გაუკვირდა და ჰკითხა:

— შვილო, აქ, ამ უდაბურ ადგილას, რამ მოგიყვანაო?

მართლაც ისეთი უდაბნო იყო ეს ადგილი, რომ ვერაკინ ცხოვრობდა და არც არა ითესებოდა, მთლად სილა იყო და მიწა არა.

— დედაშვილობას, — უთხრა ხელმწიფის შვილმა დედაბერს, — ბინა მომეცი, ღამე გავათიოო!

დედაბერმა შეიწვია შინ და ცხენი გარეთ დაბა, ხურჯინები კი მოხადა და ქოხში შეიტანა. დაღამდა კიდეც. გამოხედა კიდევ ცხენს, მოუარა და უეცარმა სანახავმა შეაჩერა: ზღვაში ერთი დიდი სასახლე იყო და მთლად ბრწყინავდა. როგორც ცეცხლი, ისე ანათებდა. ძალიან შეშინდა ხელმწიფის შვილი, მაგრამ ბოლოს როგორც იყო, მოიკრიფა ძალ-ღონე, შეეიდა დედაბერთან და ჰკითხა:

— ის რა არის, რომ ანათებს ზღვაშიო?

— ეგ ოქროს სახლი არის, შიგ ხელმწიფის ქალი ცხოვრობს — მზეთუნახავი, მრავალკეცი საბურველი აქვს პირზე ჩამოფარებული, მაგრამ მაინც ეგრე ანათებს მისი სილამაზე მიდამოსო, — უპასუხა დედაბერმა.

— როგორ ცხოვრობს, გვერდით ვინ ახლავს და როგორ შეიძლება მასთან ასვლა, გეცოდინება და მასწავლეო, — შეეხვეწა ვაჟი.

დედაბერმა უთხრა:

— როდესაც ხელმწიფე ცოცხალი იყო, აქ ქალაქი ჰქონდა გაშენებული, ხალხიც მრავლად ვცხოვრობდით, და ეგ ქალი რომ ეყოლა, თილისმის მცოდნე პირები შეკრიბა და ეს სასახლე გააჩერა ჰაერში დაკიდებული, ხმელეთიდან კიბე გააკეთებინა იმ სახლამდის და თვითონ იმით ადიოდა ქალთან. იმ კიბეს ათასი მეომარი ჰყარაულობდა, სხვას არვის შეეძლო ასვლაო. ერთხელ აღელდა ზღვა და, რაც სახლები იყო და ან ხალხი, სულ ზღვაში შეიტანა. მე ზევით, მთაზე ვიყავ წასული საზრდოს საშოვნელად და იქ გადავრჩი. მას აქეთ აქ ვარ, არც სიკვდილი მეღირსა და ასე ვიტანჯები მარტოკა. იმ ქალს უფლიდან თუ საზრდო ეძლევა და ცხოვრობს, თორემ არა ვიცი რა. ის კი ვიცი, რომ ცოცხალია, რადგანაც ღამე ანათებსო. მეც ციდან მანანა მეძლევა და ვცხოვრობო.

ხელმწიფის შვილმა ეს ამბავი მოისმინა და ისე წავიდა ფიქრებში, რომ იმ ღამეს თვალზე ძილი არ მოსვლია. მეორე დღეს წაიღო ცოტა ფული, შეჯდა ცხენზე და წავიდა. იარა, იარა, და მიადგა ერთ ქალაქს. იქირავა ხური, დურგლები, იყიდა ხიხ მასალა და მოიტანა, დააყენა ოსტატები და იმ ქალის სახლამდის კიბე გააკეთებინა. ოსტატებს ბევრი აჩუქა და სთხოვა, მე რომ ავალ, ეს კიბე დაშალეთ და ზღვაში ჩაყარეთო.

გამოეთხოვა ლედაბერს და ავიდა ქალის სახლში. კიბე ოსტატებმა ღაშალეს და წყალში ჩაყარეს. ხელმწიფის შვილი ავიდა ბანზე და დაიწყო წინ და უკან სიარული. ქვეშ ქალს მოესმა ფეხის ხმა და დაუძახა:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, აქ ვინ მოსულხარ? თავის დღეში აქ ადამიანს არ გაუვლია და შენ საიდან მოხვედიო?

— მე მამა უფალმა გამომგზავნა შენს აშხანაგადაო, — უპასუხა ვაჟმა.

ქალმა უთხრა:

მე მაშა უფლისგან მეძლევა საზრდო და თუ ახლა შენთვისაც გამომიგზავნის, მართალი იქნება შენი სიტყვა, მანამდის კი მანდ გაჩერდიო!

გავიდა ცოტა ხანი და, მართლაც, საღილისათვის ორთავეს ტაბლა მოერთვა თავისი პურ-ღვინით.

მაშინ უთხრა ქალმა:

— მართლა მამა უფალს გამოუგზავნიხარ ჩემს აშხანაგად, თორემ გაჩვენებდი, მოპარვით მოსვლა როგორ უნდოდაო!

შეჭიციეს, უსიკვდილოდ არ ეღალატნათ ერთმანეთისათვის და დაიწყეს საღილობა. იცხოვრეს ერთად და უზრუნველად. ქალმა უჩვენა რვა ოთახი ხულ სხვადასხვა სანახავებით სავსე: ერთში იყო ფრინველები და გალობდნენ ტკბილს ხმებს, მეორეში იყო თუთიყუში და, როგორც ადამიანი, ისე ტიტინებდა. მესამეში იყო თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი აუარებელი. მეოთხეში იყო სულ ჩასაცმელები ქალისა. ერთი თვითონ საცხოვრებლად ჰქონდა მდიდრულად მოწყობილი და დანარჩენ ოთახებშიაც ბაღი იყო მოთავსებული ათასნაირი ყვავილებითა და ხეხილებით. მსგავსი ხეხილები არსად იყო დედამიწაზე. იმისთანა ყვავილებიც იყო, რომ ლაპარაკობდნენ. ერთი ამბობდა: „მე რომ შემჭამო, მოკვდები .“ მეორე ამბობდა: „მე რომ მკვდარს დამადო, გაცოცხლდებაო“ და სხვა. მეცხრე ოთახი არ აჩვენა და უთხრა: ნუ მთხოვ მაგის ჩვენებასო!

ერთხელ ქალს ეძინა და იმის უჩუმრად აიღო გასაღები და წავიდა მეცხრე ოთახის სანახავად. გააღო და, რა შეეიღა, გაოცდა: კიდეე ჰატარა ოთახი იყო შიგ. ისე გააოცა ამ სანახაობამ, რომ კარები ღია დატოვა და მივიდა იმ ჰატარა ოთახის გასაღებად. გააღო თუ არა, ნახა ერთი ჩიტი, ნისკარტით ჰერანგსა ქსოვდა. ჩიტმა რომ უცხო კაცი დაინახა, გაფრინდა და ჰერანგიც თან წაიღო. ვაჟი მოვიდა ღალონებული და დაჯდა ქალთან.

გაეღვიძა ქალს. მაშინვე გაიგო, რაც მოხდა და უთხრა: „თუკი ძლიერ გინდოდა, გენახა, მეტყოდი და გაჩვენებდიო. ჰერანგი რომ მცმოდა, თუნდ მთელი ქვეყანა შემბმოდა, ვერას დამაკლებდა და ახლა კი მუდამ შიშსა და შეწუხებაში უნდა ვიყოთო .“

ჩიტმა ჰერანგი რომ წაიღო, შორს, ტრიალ მინდორზე გაიტაცა და ერთ ალაგას დაუვარდა, თეითონ კი გაფრინდა.

გაზაფხული იყო. მწყემსები ცხვარს მიერეკებოდნენ იალაღებზე. ერთ ღამეს ამ მინდორზე მოუხდათ ღამის გათევა და ცეცხლი კი არა ჰქონდათ, რომ აენთოთ. იყურეს აქეთ-იქით. სხვა მეცხვარეები თუ არიან სადმე, ცეცხლი მოვიტანოთო. დაინახეს შორს წერტილი ცეცხლისა და გაგზავნეს ერთი მწყემსი მოსატანად. რამდენად მწყემსი უახლოვდება, იმდენად გაკვირვება ემატება: ცეცხლი არ არის და ასე კი ანათებს. მეცხვარე შიშმა შეიპყრო, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობა აღეძრა და მივიდა ახლოს.

ნახა, რომ პერანგია, აიღო და წამოვიღა. მოაქვს და უხარია: ეს რა კარგი რამ ვიშოვე, ჩვენს ხელმწიფეს მივუტანო და დამასაჩუქრებსო. მოვიდა ამსანაგებთან. გაუკვირდათ: არც ნაქსოვია, არც ნაქარგი, არც ხელით საკერი აქვს რამე. გაგზავნეს ეს მწვემსი ხელმწიფესთან და გაატანეს პერანგი. ახლა ხელმწიფე კვირობს: ხელოვნური რამ არ არის, ცით მოწყვეტილი ჭგონია. შეატყობინა ნაზირ-ვეზირებს, გამიგეთ, ეს რა უნდა იყოს, ამის ჩამცმელი ქვეყნიურია თუ ცით არის მოწყვეტილიო. ვეზირებმა მოახსენეს: „ბატონო, კაცები გაგზავნოთ და თუ ქვეყნიურია, მაინც გაიგებენ რასმეო."

მწვემსი დაავიწყდა ხელმწიფეს, მაგრამ მას თავისი თავი არ დაჰვიწყებია. ხელმწიფეს მოახსენა:

— რას მიბრძანებთ, ბატონო, პერანგი თან წავიღო, თუ თქვენთანა გნებავთო?

გაიცინა ხელმწიფემ და დაასაჩუქრა. მერმე გაგზავნა ყოველ მხრივ კაცები, გამიგეთ, ვინ არის ამისი პატრონი და ღიღად დაგასაჩუქრებთო.

წავიღნენ, მთელი წელიწადი ეძებეს, მაგრამ ვერა გაიგეს რა, დაბრუნდნენ შინ დალონებულები.

ხელმწიფემაც მოიწყინა, აღარ გამობრძანდა გარეთ. გასცა ბრძანება, ვინც მიპოვის იმ ქალს, ჩემი სახელმწიფოს ნახევარს იმას დაუმტკიცებო. მაშინ მოვიდა ერთი ბებერი და მოახსენა:

— ხელმწიფე აღდეგრძელა ღმერთმა! რაია სწუხდებით აგრე, ერთი პატარა ნავი, ერთი ჩარექა ბანგი და ერთიც ღვინო მომეცით და მე მოვიყვან იმ ქალსაო.

გაუხარდა ხელმწიფეს, მისცა ყოველივე და გაისტუმრა.

ჩააშვებინა ნავი ზღვაში ბებერმა და წავიდა ზღვით. იმდენი იარა, რომ მოვიდა იმ ქალის სახლთან და დაუწყო გარშემოვლა. ამ დროს ქალი და ვაჟი ბაღში დასეირნობდნენ და ზღვას გამოხედეს. ნახეს, ბებერი მაღლა იშვერს ხელებს, მიშველეთ, ამომიყვანეთ, ვიღუპებიო. ვაჟმა გამოარბენინა თოკი. ქალი არ უშვებს, ნუ გინდა, არ ამოიყვანო, თორემ დავიღუპებითო. მაინც არ გაუგონია, ჩაუშვა და ამოიყვანა. გაღარჩენისათვის ბებერმა მაღლობა შესწირა, ნავი კი ისე მოხერხებულად დაამაგრა სახლის კედელზე, რომ ზღვიდან შიში არ მოელოდა და არც ქალს და ვაჟს შეუმჩნევიათ რამე. იყო ამათთან, კარგი საამსახური გამოიჩინა, კარგი ამბებით ატკბობდა და ქვეყნიურს ამბებს უამბობდა. ერთ ღღეს გაახსენდა, რომ გადაურჩა ჩარექა ღვინო და ცოტა ბანგი. თვითონ ღვინო ღალია და იმათ კი ბანგი შეაპარა. რაღგანაც ბანგისა და ღვინის ჭურჭელი ერთმანეთს ჰგავდა, იმათაც ვერა გაიგეს რა და ღალიეს. დაეძინა ქალსაც და ვაჟსაც. აღგა ბებერი, გამოსჭრა ვაჟს ყელი, ქალი თოკით ჩაუშვა, თვითონაც თოკი სახლს მოაბა, ჩაეშვა ნავში, აუშვა და წავიდა. სისწრაფით მივიდა ხელმწიფესთან ქალითურო. აიყვანეს ქალი და იმისთვის მომზადებულ ოთახში დააწვინეს ისე ძძინარე. ქალს ძალე გაეღვიძა, გაუკვირდა უცხო სახლში ნახა თავისი თავი.

პირის ფარეშებმა ხელმწიფეს აცნობეს, გაიღვიძა ქალმაო. იმასაც გაუხარდა და გაექანა ქალთან. ქალმა რომ უცხო კაცი დაინახა, ამოიღო დანა ჯიბიდან და გულზე დაიდო — არ მოხვიდე, თორემ ახლავე მოვიკლავ თავსაო და დაუწყო გამოკითხვა:

— მე აქ ვინ მომიყვანა, რა ჰქვია აქაურობას, ან შენ ვინა ხარო?

ხელმწიფემ უთხრა:

— მე ამ ქვეყნის ხელმწიფე ვარ, შენ მოგიყვანა ბებერმა, შენი ქმარი მოკლა, ახლა მე უნდა შეგირთო ცოლად, შენი პერანგიც აქა მაქვს და, როდესაც ჯვარს დავიწერთ, მაშინ მოგართმევ, მანამდის კი მე მექნებაო.

— კარგიო, — უთხრა ქალმა, — შენს ხელთა ვარ, რას გავაწყობ, მაგრამ ერთი წელიწადი მომეცი, ვიგლოვო ჩემი ქმარი, არავინ შემოხვიდეთ ჩემთან, თუ ვინმე გაბედავთ შემოსვლას, თავს მოვიკლავო! თან შენს სახელმწიფოსაც შავები ჩაცვი და სახლსაც შავი გადააკარიო.

ხელმწიფე ყველაფერზე დათანხმდა.

ესენი ამ მდგომარეობაში დაეტოვოთ და სხვა ძმები გავიხსენოთ.

როდესაც ვაჟს ძმები გაშორდნენ და სხვადასხვა გზით წავიდნენ, უფროსძა ვაჭრობაში ბევრი ფული მოიგო, მობეზრდა აქეთ-იქით სიარული და წამოვიდა ძმების შესახვედრად. ჯვარედინა ქვასთან ბეჭდები დახვდა. შუათანას გაეელო და ბეჭედი წაეღო, უმცროსისა კი იქვე იდო. ადგა და წავიდა იმ გზით, რომლითაც უმცროსი იყო წასული. დიდი ხნის შემდეგ მიეიდა იმ ბებერთან და ჰკითხა:

— ამ ოთხი წლის წინათ ერთი ვაჟი წამოვიდა აქეთ და ხომ არა იცით რა იმისიო?

ბებერმა ყოველივე უამბო, რაც იცოდა, და ისიც დაუმატა, რომ რაც იმ ქალთან აეიდა, აღარა ვიცი რა, და ეს ცხრა დღე იქნება, აღარც სინათლე დამინახავსო.

ადგა ხელმწიფის შვილი და წავიდა ქალაქების საძებნელად. მიაგნო ერთს ქალაქს, დაიქირავა ხურო-დურგლები, მოატანინა მასალა, გააკეთებინა კიბეები და აეიდა. ნახა მდიდრულად მოწყობილი, საუცხოო სასახლე, ნახა თავისი ძმა ყელგამოჭრილი ხრიალებს. თურმე სიჩქარით ბებერს ვერ გამოეჭრა ყელი, სასულე ზედვე ჰქონდა. ხელმწიფის შვილმა დაიარა მთელი ოთახები, ნახა მშვენიერი ბაღი სხვადასხვა ხეხილით და ყვავილებით. ერთი ყვავილი იძახის: „მე რომ მჭამო, მოკვდები ," მეორე ამბობს: „მე რომ მკვდარს დამადო, გავაცოცხლებო ." ვაჟმაც მოწყვიტა ეს ყვავილი, დაადო ძმას და, მართლაც, გაცოცხლდა. გაახილა თვალი და ჩაილაპარაკა: „რამდენი მძინებიაო ." დაინახა თავისი ძმა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— როგორ მოხვედი, ან ქალი რა იქნაო?

ძმამ მოსვლის მიზეზი აუხსნა, ისიც უამბო, თუ როგორ ამოვიდა, როგორ ნახა თვითონ ყელგამოჭრილი, როგორ გააცოცხლა და სხვა, ქალი კი არ მინახავსო, — უთხრა. მაშინ გაახსენდა ყოველივე, ის ბებერი იზამდა ყველაფერსო! თავიანთ ბაღში შეეიდა, ხის კენწეროები დაჭრა, შეკრა კონად და წავიდნენ. ძმას უთხრა:

— წადი, ძმაო, შინ, მე იმ ქალს თუ ვერ ვიპოვი, იმის გზაზე მოვკვდებიო!

გაშორდნენ ერთმანეთს და წავიდნენ, დიდი — შინ და პატარა — ქალის საძებრად. დიდი ძებნის შემდეგ შეეიდა იმ ქალაქში. ნახა, ქალაქს სულ შავი აქვს გადაკრული. ქალსა და კაცს შავი აცვია და მზეც არ ანათებს რიგიანად. იკითხა მიზეზი და უამბეს: "ხელმწიფემ ერთი ქალი მოიყვანა,

Wolfgang und Hildegunde

ეს ქალი თავის ქმარზეა მგლოვიარე და ყველას შავი ჩაგვაცვეს, არ იცინის, სული ღარღინია და მზეც ასე არ გვინათებსო. "

წავიდა, ხელმწიფის კარზე ჩაიარა და დაიძახა: „კარგი ნამყენების გაკეთება ვიცი, საუკეთესო ტოტები მაქვს, ხომ არ ინებებთო?" — შეატყობინეს ხელმწიფეს.

— მებაღედ აიყვანეთო! — ბრძანა ხელმწიფემ.

ვაჟმა გააკეთა ნამყენები და ნამყენებმა იმავე ზაფხულს დაისხა საუკეთესო ხილი. ეროი კალათა აავსო მებაღემ ხილით და ხელმწიფეს მოართვა. გაუკვირდა ხელმწიფეს ხილის მშვენიერება, არ ენახა ამისთანა რამ არსად. აიღო და ქალთან გაატანა, იქნებ, ესიამოვნოსო. მებაღემ ქალის ფანჯარასთან გაიარა, ქალმა მაშინვე იცნო და სიხარულით კარები გააღო. ორთავემ გაიხარა. უამბეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი. ქალმა უთხრა:

— რადგან თვალითა გნახე, ახლა გაგვიადვილდება ყოველივეო.

ხელმწიფეს მოახსენეს:

— ქალს ძლიერ ეამა ხილი და მებაღე მიიღოო.

ასე და ამ რიგად დაიწყო ამ ვაჟმა ქალთან სიარული. ხელმწიფემ ნება მისცა, ყოველ ღღე მიეტანა არჩეული ხილი ქალისათვის.

ამათაც ის უნდოდათ. მოილაპარაკეს. ქალმა უთხრა:

— როდესაც წელიწადი შესრულდება, მომიტანენ ჩემს პერანგს. მე ვიტყვი, მანამ ჯვარს დავიწერდეთ, მინდა ერთი ბაღში გავიარო და დაეტაბე ხეხილებისა და ხილის ნახვით-მეოქი. მოვალ შუა ბაღში, შენც იქ ღამხვდი, ნამყენ ხეებს კენწეროები დააჭერ და მზად გქონდეს, გაგშლი პერანგს, დავასხდეთ ზედ და გაგვაფრენსო.

მართლაც, როცა წელიწადი შესრულდა. ხელმწიფემ გამოგზავნა პერანგი და სთხოვა. გამოდი, ჯვარი დავიწეროთო! ქალმა დააბარა, ერთი თხოვნაც ამისრულეთ და დიდი სიამოვნებით, სხვას აღარას გთხოვო! მობრძანდა ხელმწიფე;

— აბა, რასა მთხოვო?

ქალმა უთხრა·

— თქვენ თქვენი ჯარით ბაღის კარებში გაჩერდით მე მარტოკა შევალ ბაღში, ვნახავ ღასხმულ ხილს, რომელსაც აქამდის მიგზავნიდი, მინდა, ჩემი თვალით ვნახო, როგორ ასხია, ვაეტაბები იმისი ყურებით და შემდეგ თქვენი ნებაა, ქორწილის წინააღმდეგი არა ვარო! ხელმწიფემ ნება ღართო. ჩაიცვა ქალმა პერანგი, ხელმწიფე და ჯარი კი ჩაღგა ბაღის კარებში. ქალი შეეიღა შუა ბაღში, გაიხადა პერანგი. დაჯდა ზედ, მებაღეც გვერდით მოისვა და უთხრა პერანგს: „აბა, ამწი და ჩემს სასახლეში მიმიყვანეო! უცებ პერანგი აიწია და მაღლა-მაღლა გაფრინდა.

ხალმწიფე და ჯარი პირღაღებულნი ღარჩნენ.

ქალი და ვაჟი მივიღნენ თავიანთ სახლში, ძვირფასეულობა წაიღეს. ღედაბერიც არ დავიწყეს, თან წაიყვანეს და წავიღნენ ძმებთან. დაიწყეს შხიარული ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

მზექალა და მზეპარდა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი უშვილო ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ცხენი. ერთხელ ხელმწიფემ შესთხოვა ღმერთს: „ღმერთო, ერთი შვილი მომეცი, ნუ ღამტოვებ უშვილოდ, ვის უნდა დარჩეს ჩემი სახელმწიფო და საცხოვრებელი და ჩემს ცხენსაც კვიცი მიეცი, იმის ჯიშს ნუ გამომილევო. ქალი მომეცემა — იმ კვიცს სიძეს მივართმევ და ვაჟი მეყოლება — რძალსაო.“ ჩქარა დაორსულდა ღედოფალი და ცხენმაც იმაკა. ცხრა თვის შემდეგ მიეცა დედოფალს ქალი, მსგავსი მზისა, და სახელად უწოდა მზექალა. ცხენსაც ეყოლა კვიცი და უწოდეს მზეპარდა. ისე გაზარდეს ორივე, რომ მათი სახელები არავის გააგონეს. როდესაც გახდა ქალი თექვსმეტი წლისა, ხელმწიფემ მოიპატიჟა სხვა ქვეყნების ხელმწიფის შვილები და ხელმწიფეები, სადამღისაც კი ხმა მისწვდებოდა. შეიკრიბა დიდძალი ხალხი.

შეკრებილებს ხელმწიფემ გამოუცხადა: „ეზოში რომ დიდი ქვა ღევს, თითო-თითოდ იმაზე შედექით და ვინც ქალისა და ან კვიცის სახელს იტყვის, ქალს ცოლად შეერთავ და კვიცს სიძეს ვაჩუქებო.“

მთელი ერთი წელიწადი ყოველდღე იმეორებდნენ სულ სხვადასხვა სახელებს, მაგრამ ვერავინ გამოიცნო. ერთ ღღეს ერთი მათხოვარი მოვიდა ხელმწიფის შეზობილ ბებერთან და ჰკითხა:

— ღედი, აი, იქ რა ამბავია, ამოდენა ხალხი რისთვის შეკრებილაო?

ბებერმა უამბო ხალხის შეკრების მიზეზი. გლახამ თქვა: „ნეტავი ისეთი რა ჰქვია, რომ ვერავის გამოუცნიაო? “

— ქალს მზექალა ჰქვია და კვიცს მზეპარდაო, — უთხრა ბებერმა.

წავიდა გლახა და ყვირის:

— მომეცალეთ, მომეცალეთო!

მოიხედეს, ერთი ღაღიანი გლახა მოარღვევს აზვირთებულ ხალხსა და ყვირის: გზიდან ჩამომეცალეთო! მივიდა, აეიდა ქვაზე და დაიძახა:

— ქალსა ჰქვია მზექალა და კვიცსა მზეპარდაო.

ისე მოსწყდა ხელმწიფეებს წელი და იმოდენა ხალხი ისე პირგამშრალი დარჩა, რომ ხმა ვერარ ამოიღეს. თვით ქალის მამა შინ გულშეღონებული შეიყვანეს და ძლივს მოასულიერეს. ხელმწიფის ბრძანება არ გატყდებოდა. მაშინვე წაიყვანეს ეს გლახა აბანოში, აბანეს, სახელმწიფო ტანისამოსი ჩააცვეს, მაგრამ ღალებს რა გამოულეველა, ყურიდან, ცხვირიდან თუ თვალებიდან წყარისაკით მოსდიოდა. ეს ამოდენა ხალხი სულ მაყრად გაეყოლეს, გაატანეს მრავალი მზითევი და გაგზავნეს; რა საკვირველია, გზა არ გამოილია და სახლი არ გამოჩნდა; რაც არა ჰქონდა რა გამოჩნდებოდა?! დაიღალნენ და დასასვენებლად ერთ ტრიალ მინდორზე დადგნენ ღღისით. ისეთი ბალლილები იყვნენ ბევრი სიარულით, რომ მაშინვე

დაეძინათ. მათხოვარიც მიეიღა, ქალის კალთაზე წამოწვა და დაეძინა. ქალმა უყურა, უყურა და დაიწყო ტირილი.

— რათა ტირიო? — ჰკითხა ცხენმა.

— როგორ არ ვიტირო, აბა, უყურე, ეს რა სანახაკი მიწევს კალთაზეო, უპასუხა ქალმა.

ცხენმა დააელო პირი და ერთი ბალიში მიუტანა: აი ეს დაუდე თავთ, შენ აღექი, ვაკურად ჩაიცვი, თმა აიკეცე, ქუდი დაიხურე და წავიღეთ, სხვა სახელმწიფოში მიგიყვანო. ქალმა, მართლაც, დაუდვა ბალიში თავის ღაღიან სატრფოს, ჩაიცვა ვაკურაღ, აიკეცა თმა, დაიხურა ქუდი, შეჯდა ცხენზე და წავიღა. გამოეღვიძათ, აღარც ქალი იყო და აღარც ცხენი. აბა, სადღა წავიღოღნენ, ყველანი უკან დაბრუნდნენ და ღაღიანი სასიძოც თავის გზაზე წავიღა.

ცხენმა ქალი ერთი სახელმწიფოს ბოლოზე გაიყვანა, მინდორზე ანწლის ქოხი აუგო და დააყენა. მოჰქონდა ნანადირევი და ქალსა კვებავღა იმითი. ქალმაც ისწავლა ნაღირობა და თვითონაც ცოცხალ ხოხობსა და კაკაბს იჭერღა. ერთ ღღეს, ვნახოთ, ჯარით მოვიღა ერთი ყმაწვილი, მეტაღ მშვენიერი, იშვიათი სილამაზისა. სანადიროდ წამოსულიყო. ის იყო ხელმწიფის შვილი, იმ მიღამოს პატრონი, საღაც ქალი და ცხენი იყო ღაბინავებული. დაიწყეს ნაღირობა და მიადგნენ ქალის ქოხს.

— გამარჯობა, ყმაწვილო, საიღან ბრძანღებიო! — გამოეხმაურა ხელმწიფის ვაჟი.

— სხვა სახელმწიფოდანა ვარ, სანაღიროდ წამოვეღიო. — მიუგო ქალმა და თანაც მიეშველა თავისი ცხენით, დაიჭირეს ფეხღაფეხ ცოცხალი ნაღირი და ფრინველი.

საღამოთი ხელმწიფის შვილი შინ დაბრუნღა და ღეღას უთხრა, — მამა ღიღი ხანია არა ჰყავღა, — ჩვენს ბოლოზე ერთი ყმაწვილი ღაბინავებულა, ცხენიც და თვითონაც ისე ნაღირობენ, რომ ვერცერთი ფრინველი წაუვაო, ცოცხალს იჭერენო. ამის შემღეგ დაიწყო ხელმწიფის შვილმა სანაღიროდ სიარული ღა ყოველ კვირას ნაღირობღნენ ერთაღ.

ერთ ღღეს ხელმწიფის შვილმა უთხრა ღეღას:

— ღეღი, უნღა დავპატიჟო ის ყმაწვილი, ღიღაღ ღავალებული ვარ მისგან, სულ ის მაძლევს, რაც ნანაღირევი მომაქვსო!

— ღაპატიჟე, თუკი გსიამოვნებაო! — უთხრა ღეღამ. ვაჟი კიღევ რომ წავიღა სანაღიროდ, ის ქალიც ღაპატიჟა. ქალი ცხენს ღაეკითხა: — ხელმწიფის შვილი მეპატიჟება ღა წავიღე თუ არაო?

— წასელით წაღი, მაგრამ ვიცი, ღვინოს ღაგაძალებს ღა შენ კი სულ არ შეგიძლია სმა, რამღენი ღალიო, შენს გულში იფიქრე: მზეკვარღას მუცელში-ოქო. მე ღავითვრები ღა შენ არა, მხოლოდ ღამხურე კარგაღ, რომ არ გაეცინეღეო. — უთხრა ცხენმა.

ქალი წავიღა ღა ცხენიც თან წაიყვანა. მივიღნენ შინ. ღეღამ რა ნახა, შვილს უთხრა:

— შვილო, ქალი არისო!

ვაჟმა უთხრა:

— როგორ შეიძლება, ქალი იყოს, გაფრენილ ხოხობს ფეხღაფეხ იჭერსო!

მოამზადებინა საუკეთესო სადილი, მოიწვია დიდებულნი და კარგი დრო გაატარეს, ძლიერ ბევრი ღვინო დალიეს. თუმცა ქალი სვამდა, მაგრამ არ დაითვრა, თავის გულში ამბობდა ყოველი ჭიქის დალევაზე: „მზეკარდას მუცელშიო“ და არ მოეკიდა. სადილი ვახშმად გადაიქცა.

გავიდა ქალი თავისი ცხენის სანახავად. ცხენს სულ ოფლი სდიოდა და უთხრა:

— კარგად დამხურე, არ გავციოდე, თორემ მოკვდებიო.

დახურა კარგად, მისცა საჭმელი თავისი ხელით და წავიდა დასაძინებლად. მეორე დღეს, რომ გაიღვიძეს, ვაჟმა უთხრა დედას:

— აკი თქვი, ქალიაო, რამდენი ღვინო დალია და არ დაითროო!

— მაინც ქალიაო! — უთხრა დედამ.

სამი დღე გაატარეს ამ ყოფით, თუმცა ქალი არა დგებოდა, მაგრამ ვაჟმა არ გაუშვა. მეოთხე დღეს ცხენმა უთხრა:

— მე კი აღარ შემიძლია ღვინის დალევა, ჩემზე ნუღარ იტყვი და თუ შეგიძლია, შენ დალიეო.

რას იზამდა, ვაჟის ხათრით კიდევ დარჩა ქალი, მაგრამ ერთი ჭიქა რომ დალია, იქვე დაეძინა, ქუდი მოვარდა და თმები ჩამოეშალა. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს.

— აკი გითხარ, შვილო, ქალია-მეთქი, — უთხრა დედამ ხელმწიფის შვილს.

— ქალი არის და უფრო კარგი, ცოლად შევირთავ, ღმერთმა მომცაო.

დაიწყეს მზადება და ქალმაც, რასაკვირველია, უარი არა თქვა. დაიწერეს ჯვარი, გადაიხადეს ქორწილი და ცხოვრობდნენ ბედნიერად. ისე უყვარდა ვაჟს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ნადირობის სურვილმა გაიტაცა, დააპირა ცხრა მთას იქით სანადიროდ წასვლა და ქალს უთხრა:

— შენი ცხენი უნდა მათხოვოო!

ქალი დაეკითხა ცხენს:

— შენს თავსა მთხოვს, ცხრა მთას იქით სანადიროდ მიდის და ვათხოვო თუ არაო?

— ათხოვებ — ინანებ, არ ათხოვებ — ინანებ, რას იზამ, ათხოვე, მაგრამ ავშარას ნუ გაატანო! — უთხრა ცხენმა.

ქალი წავიდა და უთხრა ვაჟს:

— ცხენს გათხოვებ, მაგრამ ავშარას კი ვერაო.

— ვის გაუგონია უავშაროდ ცხენის თხოვებაო?! — გაიკვირვა ვაჟმა.

წავიდა ქალი და ცხენს უთხრა:

— არა შვრება უავშაროდაო.

— ავშარა ათხოვე, ბორკილს მაინც ნუ ათხოვებო, — უთხრა ცხენმა.

წავიდა ქალი და უთხრა ვაჟს:

— ავშარას გათხოვებ და ბორკილს კი ვერაო.

ვაჟმა უთხრა:

— არ შეიძლება, ცხენს ყოველივე თავისი სამკაული ზედ უნდა ჰქონდესო.

რაღას იზამდა, ცხენი ყოველივე თავისი შეკაზმულობით მისცა. ქალი ფეხმძიმედ იყო და ვაჟმა დაუბარა დედას:

— ყოველ კვირას შიკრიკი გამომიგზავნე, ცოლის ამბავი შემატყობინე, რა ეყოლება, ისიც მაცნობეო!

გამოემშვიდობა დედასაც, ცოლსაც და წავიდა. ცხრა მთას იქით გადავიდა და ერთ დედაბერთან დაიდო ბინა. დღისით სანადიროდ მიდიოდა და ღამე შინ ბრუნდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს დედამ მისწერა:

— შვილო, მშვიდობით მოილოგინა შენმა ცოლმა, ვაჟი ეყოლა ოქროსქოჩრიანი, მოდი და ნახეო!

მიიღო დედაბერმა შიკრიკი, გამოართვა წერილი, წაიკითხა და გადაწერა იმავე ხელზე:

— შვილო, ცოლი მოგირჩა, ძაღლის ლეკვი ეყოლა, მოდი და ნახეო.

ვაჟი მივიდა საღამოთი. დედაბერმა თავისი ნაწერი გადასცა. ვაჟმა წაიკითხა და რა გაიგო, ცოლი მშვიდობით მორჩაო, ღმერთს მადლობა შესწირა, დედას კი მისწერა: ძაღლის ლეკვი ეყოლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდის დედაცა და შვილიც კარგად შემინახეო. როცა მეორე დღეს ვაჟი სანადიროდ წავიდა, დედაბერმა გადაწერა ეს წერილიც და გაატანა შიკრიკს:

„ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდის დედაცა და შვილიც საკირეში ჩაყარე და დაწვიო! "

მოუვიდა დედას ეს წერილი და გაუკვირდა, აქ გიჟდებოდა ცოლისათვის და იქ რა დაემართაო. კიდევ მოსწერა: „ შვილო, აკი ძლიერ გიყვარდა ცოლი და მშვენიერი, ოქროსთმიანი ვაჟიცა გყავს, რად უნდა დაგწვა, მოდი, ნახეო ." შიკრიკმა მიიტანა დედაბერთან. დედაბერმა წაიკითხა და კიდევ გადაწერა: „შვილო, ძაღლის ლეკვი გეყოლა, შენი თვალით ნახეო ." მოვიდა ვაჟი საღამოთი და დაახვედრა თავისი ნაწერი. ვაჟმა კიდევ დაწერა: „დედავ, აკი მოგწერე, ძაღლის ლეკვი ეყოლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდის კარგად შეინახე დედაცა და შვილიც ." მეორე დღეს წავიდა სანადიროდ. დედაბერმა გადაწერა: „ოქროსქოჩრიანი ვაჟია თუ რაც, ჩემს მოსვლამდის დედაცა და შვილიც საკირეში დაწვიო! "

რა ქნას დედამ? ვაისაც ეშინია და ვალალისაც. დაწვას, არ ემეტება არც რძალი და არც შვილი, არა და — შვილი მოვა და რა პასუხი მისცეს? დააწყობინა ისევ საკირეში ბლომად ხმელი შეშა და მოუკიდეს ცეცხლი. — მე კი ვერ ვუყურებო, — თქვა დედამ და გაატანა თავიანთ ჯარისკაცებს, — რომ გახურდეს, ჩაყარეთო! კარგად რომ გახურდა საკირე, აიღეს და დედაცა და შვილიც ჩაყარეს შიგ, თვითონ კი საჩქაროდ გაშორდნენ იქაურობას, რადგანაც ძალიან ებრალებოდათ. მოვარდა იმ წამსვე ცხენი, დაავლო პირი და დედაცა და შვილიც ნაპირს გადმოყარა.

— აკი გითხარ, ავშარსა და ბორკილს ნუ ათხოვებ-მეთქი. რომ შევიტყვე, ავშარა გავწყვიტე და გამოვიქე — წელის ძვალი გამიტყდა, შუა გზას რომ მოველ, ბორკილიც გავწყვიტე და წელიც სულ მომწყდა. მე ველარ ვიცოცხლებ, ვიცი ჩქარა მოკვდები, ჩემს ძვლებს ნუ გადააგდებ, აიღე და დიდ მინდორს გარშემო ღობე შემოავლე, შიგ შედი და დაიძინე, როცა გაიღვიძებ, გალავანი გექნება გარშემო და სახლებიო. ეს უთხრა თუ არა, მოკვდა კიდეც საწყალი ცხენი. ქალმა ბევრი ტირილისა და ვაების შემდეგ, — ვიღა მეყოლება პატრონიო, — ცხენი გაატყავა ჯიბის დანით და ძვლები შემოურიგა მინდორს. დაღამდა კიდეც. დაწვა ამ უდაბურ მინდოზე, თავისი

პაწია შვილი ჩაიკრა გულში და დაიძინა. ადგა მეორე დილით, ნახა, მშვენიერი გალავანი არტყია. ახლა ძვლები კიდევ ჩამოარიგა, რამოდენიმე ოთახებად დაყო და იმ ღამესაც დაიძინა. გაეღვიძა და ნახა, რომ ეზოში მშვენიერი სახლები დგას. დაიდვა ბინა და დაიწყო ცხოვრება. ნადირობდა და ირჩენდა თავს. შვილიც ეზრდებოდა. ვინც წლით იზრდება, ის დღით იზრდებოდა იმდენს. გაიზარდა ბიჭი მთვარესავით, მშვენიერი გაიზარდა.

ხელმწიფის შვილმა გაიგო, ცხენს აუწყვეტიაო, მაშინვე დაბრუნდა შინ და იკითხა:

— ჩემი ცოლ-შვილი სად არისო?

— დავწვიო, — უპასუხა დედამ.

— როგორ თუ დაწვი, რა დაგიშავესო? — ჰკითხა შვილმა.

დედამ მოუტანა წერილები, აი, მწერდი და დავწვიო.

ვაჟმა თავისი ნაწერი იცნო, სიტყვები კი — ვერა. გაუკვირდა, შენა მწერდი, ძაღლის ლეკვი ეყოლა შენ ცოლსაო, აქ კი ოქროსთმიანი ვაჟიო. გაუკვირდა დედასაც:

— რას ამბობ, შვილო, მე გწერდი ოქროსთმიანი ვაჟი გეყოლა, მოდი და ნახე-მეთქი. გაიგეს, რომ დამნაშავე ბოროტი დედაბრის ენა იყო. წაიშინეს თავში, იტირეს, იგლოვეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ.

გაიარა დიდმა ხანმა. დედამ ურჩია შვილს, სანადიროდ წადი, გულს გადააყოლებო. დაუჯერა დედას, ადგა და თავიანთი მამულის ბოლოზე წავიდა. მიადგა ქალის სასახლეს და გაუკვირდა, ეგ ნეტავი ვის აუშენებიაო! შემოუარა გალავანს გარშემო, კარებს შეხედა, დაინახა მშვენიერი ქალი და პატარა ოქროსთმიანი ვაჟი. ძლიერ მოეწონა, ყმაწვილს დაუძახა და ჰკითხა:

— ვინა გყავს, პატარავ, აქა, ვიხთანა ცხოვრობო?

ბავშვმა უთხრა:

— ჩემი დედა და მე ვართო.

ხელმწიფის შვილმა აღარ მოიშორა ეს ბავშვი, თან აიყოლია ნადირობაში, ერთი ხოხობი მისცა ბავშვსა და დააბარა:

— თუ შეიძლება, დედაშენმა შეგვიწვაოს და გამოიტანე, ერთად ვჭამოთო!

ბავშვი გაიქცა, დედას ხოხობი მიურბენინა და დაბარებული გადასცა. ქალმა იცოდა, რომ თავისი ქმარი იყო, დაინახა თუ არა, ბავშვი განგებ გაუშვა სათამაშოდ. როდესაც შეწვა, უთხრა:

— წადი, შვილო, სთხოვე, აქ მობრძანდეს და აქ მიირთვასო.

გაიქცა ბავშვი, ხელმწიფის შვილი ხიხარულით გამოჰყვა; რადგანაც შემთხვევა ეძლეოდა ამბის გაგებისა, თუ ვინა ცხოვრობდა ამ სასახლეში.

ქალმა ზრდილობიანად მიიღო სტუმარი. ვაჟმა ვერ იცნო და გაუმეორა კითხვა:

— ვინა ცხოვრობს აქ, ან რამდენი, ან საიდანაო. წინათ აქ არც ეს [illegible] . არც ეს გალავანი ყოფილაო, თუმცა აგერ სამი-ოთხი წელიწადია აქეთ აღარ გადმომივლია, რადგან მიზეზი მქონდა, არ გამომეველო, ჩემი ცოლ-შვილი ამ მინდორში დამელუპაო.

ქალმა თავიდან უამბო თავგადასავალი, თუ დედ-მამას როგორ ეიეცა, როგორ აღზარდეს, როგორი ცხენი ჰყავდა, გლახას როგორ გააყოლეს, მინდორში ცხენთან როგორ ცხოვრობდა, ან ხელმწიფის შვილმა როგორ

ითხოვა, ქმრის სანადიროდ ყოფნის დროს შვილი ეყოლა და, როცა ეს ამბავი ქმარს შეატყობინა, რა პასუხი მიიღო, როგორ ჩაყარა დედამთილმა საკირეში, მერმე ცხენმა დედაცა და შვილიც როგორ გადაარჩინა, როგორ მოკვდა ცხენი, იმისი ძვლებით როგორ ააშენა სახლი და რა გაჭირვებით ცხოვრობს პაწია შვილით.

ეს ამბავი რომ მოისმინა, ხელმწიფის შვილი წამოხტა, მოეხვია ცოლსა და შვილს დაკოცნა და დაიწყეს ტირილი.

სთხოვა, დაევიწყებინა მისი მიზეზით მიყენებული უხიამოვნება, მითუმეტეს, რომ მე დამნაშავე არა ვყოფილვარ, სულ იმ ბებრის ხაქმე იყო. ცხენმა რომ დაიჭიხვინა და აეშარა აწყვიტა, ვიგრძენ უბედურება რამ იქნება-მეთქი, იმას კი რა მომაფიქრებდა, რაც მომხდარა. როდესაც მოუსშინ, დედაჩემმა ყველაფერი მიამბო და წერილებიც მაჩვენა, გაგზავნე კაცი იმ ბებრის სახლში და სულ მტვრად ვაქციეო. გახარებულმა ხელმწიფეს შვილმა დედასთან გაგზავნა კაცი, ჩემი ცოლ-შვილი ვიპოვე უვნებელი და შენც აქ მობრძანდიო. მაშინვე დედაც მოიყვანეს. რძლისა და შვილიშვილის ნახვით დიდად გაიხარა, გაგზავნა კაცები, რაც საცხოვრებელი ჰქონდათ, სულ აქ მოატანინა, გააშენა ქალაქი, დაასახლა თავისი სახელმწიფო და ცხოვრობდნენ ბედნიერად. მარტო ცხენზეღა დარდობდნენ, რომ აღარ ჰყავდათ მოამაგე ცხოველი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ვაჟად ქცეული ქალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი მოხუცი ვეზირი. სამსახური აღარ შეეძლო და სთხოვა ხელმწიფეს:

— რაკი ისე მოვხუცდი, რომ სამსახური აღარ შემიძლია, ნება მიბოძე, ჩემი მოხუცებულობა შინ გავატაროო!

მისცა ნება ხელმწიფემ.

წავიდა ვეზირი შინ ცოლ-შვილთან, ცოლ-შვილმა გაიხარა იმისი დაბრუნებით. ვეზირმა, როდესაც გული იჯერა ცოლ-შვილის ალერსით, ამოიოხრა და თქვა: ნეტავი ამ სამ ქალში ერთ-ერთი ვაჟი მყოლოდით, ჩემ ალაგას წახვიდოდითო!

უფროსმა ქალმა უთხრა:

— ვაჟური ტანისამოსი მომეცი, შენს იარაღს გაეიკეთებ, შენს ცხენზე შეეჯდები და წავალო.

— შენ ვერ შეძლებ, ძნელი სამსახური უნდაო, — უთხრა ვეზირმა.

— შეეძლებ, უნდა წავიდეო, — არ იშლიდა ქალი თავისას.

მამამაც მისცა ცხენი, იარაღი და ვაჟური ტანისამოსი.

ჩაიცვა ქალმა ვაჟურად, იარაღი გაიკეთა, შეჯდა ცხენზე და წავიდა.

მამამ მოკლე გზით გადაუჭრა გზა, წინ გადაუდგა ხმალამოღებული და შესძახა:

— შესდექ, ვინ მოდიხარ ცხენითაო?!

ქალს შეეშინდა და ის იყო ცხენიდან უნდა გადმოვარდნილიყო, მაგრამ მამამ ხელი მიაშველა, ცხენიდან ჩამოიყვანა, მოასულიერა და უთხრა:

— ნუ გეშინია, შვილო, შენი მამა ვარ, აკი გითხარ, ვერ წახვალ-მეთქი და არ დამიჯერეო!

დაბრუნდნენ ისევ შინ.

ახლა შუათანა ქალმა თქვა: — მე წავალო.

მამამ ამასაც უთხრა:

— ვერც შენ წახვალ, ქალს იმდენი გულადობა ვინ მისცა, რომ იმ სიშორე გზით წავიდესო.

ქალმა არ გაიგონა, არ იქნება, უნდა წავიდეო, დაიჟინა.

— წახვალ და წადიო! — უთხრა მამამ.

ჩაიცვა ქალმა ვაჟური ტანისამოსი, იარაღი შეიბა წელზე, შეჯდა ცხენზე და წავიდა.

მამამ იმასაც გადაუჭრა გზა და დაემალა. ქალი რომ მიუახლოვდა, გადახტა გზაზე და შესძახა:

— აბა, ვინ მოდიხარ, გაჩერდიო! ქალს ისე შეეშინდა, რომ ცხენიდან კინაღამ გაღმოვარდა, მაგრამ მამამ დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, შენი მამა ვარო, და წამოიყვანა შინ.

ახლა პატარამა თქვა:

— მე უეჭველად წავალ, არ მეშინიაო!

იმასაც უშალა მამამ, მაგრამ არ დაიშალა. ჩაიცვა ვაჟური ტანისამოსი, იარაღი გაიკეთა. შეჯდა ცხენზე და წავიდა.

მამა იმასაც დაუხვდა ფარული გზით, მაგრამ ქალს არკი შეეშინდა, ისე მიაგდო ცხენი ზედ ხმალამოღებულმა, რომ კინაღამ მამა მოკლა. შეეშინდა ვეზირს და შეეხვეწა:

— შვილო, არ მომკლა, შენი მამა ვარ, იმედი მაქვს, შენ კარგად შეასრულებ ყოველსავეო. მიხვალ იმ ქალაქში, სადაც ხელმწიფე ცხოვრობს, იმისი სასახლე ცალკე განკერძოებით დგას, წინ დიდი მინდორი აქვს გალავანშემოვლებული, დიდ ჭიშკართან ორი ლომია დაბმული, ყარაულები ადგანან, ერთი ცხვარი მიიტანე, შუა გაჭერ, ნახევარი ერთ ლომს მიეცი, ნახევარი — მეორეს, თორემ პირველად რომ გნახავენ, არ შეგიშვებენ, შეგჭამენ, მერმე კი აღარა გინდა რა, შეგეჩვევიანო; შეხვალ, დიდი მინდორი დაგხვდება, იმ მინდორზე ხელმწიფის სახლამდი გააჭენგამოაჭენე ცხენი, დაგინახავს ხელმწიფე და თვითონ დაგიბარებს, გკითხავს ვინაობას, უთხარ: თქვენი მოხუცი ვეზირის შვილი ვარ-თქო; ეიცი, გეტყვის: იმას ვაჟიშვილი არა ჰყავდაო?! შენ უთხარი: იმისთვის მოგახსენათ, არა მყავსო, პატარაობითვე არ დამეჩაგროს სამსახურშიო, ახლა გავიზარდე, შევძლებ თქვენს სამსახურს და გიახელით-თქო. გადაკოცნეს ერთმანეთი მამა-შვილმა და მამა შინ დაბრუნდა, ქალი კი წავიდა, ცხენს თავისთავად მიყავდა, რადგან გზა კარგად იცოდა. როდესაც იმ ქალაქში მივიდა, იყიდა ერთი ცხვარი და ერთიც მკვეთრი სამართებელი, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, შუა გაჭრა ცხვარი, ნახევარი ერთ ლომს

მისცა, ნახევარი — მეორეს და შეაჭენა ეზოში ცხენი. მართლაც, დიდი მინდორი ნახა და დაუწყო ცხენს იქით-აქეთ ჭენება. ხელმწიფის სახლს ფანჯრები ეზოს მხრივა ჰქონდა, დილა იყო, ხელმწიფე პირს იწმენდდა, დაინახა ეს ყმაწვილი და დიდად მოეწონა. ტაშს შემოჰკრა, კარისკაცი შემოვიდა. უბრძანა:

— წადით, ის ყმაწვილი მოიყვანეთ, ვინ არის, ან რად მოსულაო?

წავიდა კარისკაცი და ქალს უთხრა:

— ხელმწიფე გიბარებსო!

ქალი გადმოხტა ცხენიდან, იქვე ახლად მოსულმა მეჯინიბემ ჩამოართვა ცხენი, გაუძღვა კარისკაცი წინ და მივიდნენ ხელმწიფესთან.

ხელმწიფემ ჰკითხა მოსვლის მიზეზი და ვინაობა.

ქალმაც ყოველივე აუწყა და ისიც დაუმატა:

— გთხოვთ, მამის ადგილი მიბოძოთო!

ხელმწიფე იმდენად მადლიერი იყო იმის მამისა, რომ ალაგზე უარი არ უთხრა და ჩაწერა.

ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავდა მოწიფული გასათხოვრად, ეს უცხო ყმაწვილი რომ დაინახა, ძლიერ მოეწონა. ამ ვაჟს ცალკე ოთახი ჰქონდა მიცემული, ქალი შევიდა ყმაწვილის ოთახში, ნახა მძინარი, გადაეხვია და დაუწყო ვნებით კოცნა. ვაჟს გაეღვიძა, შეკრთა უცხო ქალის დანახვაზე და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ამ დროს აქ რამ მოგიყვანაო?

ქალმა უთხრა:

— მე ამ ხელმწიფის ქალი ვარ, დილით ეზოში ცხენს რომ დააგელვებდი, ჩემი ოთახიდან გიმზერდი, სიყვარული გულში აღმეგზნო და მოველ შეუმჩნევლად, რომ ჩემი სიყვარული გადმომეცა, თუმცა ბევრი მთხოვნელი მყავს, სულ ხელმწიფის შვილები, მაგრამ შენს მეტი ქმარი არ მინდა, შენ ქმარი და მე ცოლიო!

ვაჟმა უთხრა:

— რა დაგინახე, ძლიერ შემიყვარდი, მაგრამ თქვენი დედ-მამის შიშით როგორ შემიძლია მაგისი აღსრულებაო.

ქალი დაღონდა უარის თქმაზე, მაგრამ გადაწყვიტა თავის გულში, მერმე კიდევ მოველაპარაკებიო და წავიდა.

მეორე დღეს ცოლმა უთხრა ხელმწიფეს:

— წუხელ ჩვენი ქალი ლოგინიდან ადგა და გავიდა უჩუმრა, თვალი ვადევნე, ვეზირის შვილის ოთახში შეეიდა, კარებს ყური დავადე და გავიგონე შემდეგი... რაც გაეგონა, სულ უამბო და თავის მხრივ ურჩია: ისეთ ალაგას სადმე გააგზავნე შორსა, რომ იქიდან ველარ მოვიდეს ვეზირის შვილი, თორემ ქალი შეგვარცხვენს, იმდენი ხელმწიფის შვილები გვთხოვდნენ და ახლა ვეზირის შვილს როგორ მივცემთო?

მეორე დღეს ხელმწიფემ ავადმყოფობა მოიგონა, დაიბარა ვეზირის შვილი და უთხრა:

— ავად ვარ, სიზმარში უკვდავების გაშლი მასწავლეს, თუ მომიტან, მოვრჩები, თუ არა, მოვკვდებიო!

ვეზირის შვილმა თავი დაუკრა, გამოვიდა, შეჯდა ცხენზე და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ დიდ მთაზე ავიდა. გადაიხედა იქიდან და დევის

სახლები დაინახა, ეზოში ერთი დეკის ქალი იჯდა და თითისტარზე ართავდა. სათიკის შუაბოძის ტოლა ტარი ჰქონდა, სათიკის ტოლა კვირისტავი და თვითონაც მთის ოდენა იჯდა.

მივიდა ახლოს ვეზირის შვილი და დაუძახა:

— დედავ, დედის-დედავო!

დეკის ქალმა ხმა არ გასცა.

კიდევ დაუძახა: — დედავ, დედის-დედაო!

კიდევ ხმა არ გასცა. მესამედაც დაუძახა: — დედავ, დედის-დედავო! და გააგონა.

— თუ დედა არ გეთქვა, შვილო, ერთ ლუკმად მეყოფოდი და რადგან დედა მითხარ, ვაჟი არა მყავს, შენ შვილი და მე დედაო. სამი ქალი მყავს, მთაზე არიან სანადიროდ წასულნი, წავალ, დავუძახებ, იმათაც ეამებათო. ავიდა იმ მთაზე, საიდანაც ვეზირის შვილი მოვიდა. იქიდან სამი სხვა მთა მოჩანდა, თითო მთაზე თითო ქალი იყო წასული, თითო-თითოდ დაუძახა სახელები და მოვიდნენ. მოსელისთანავე დედამ უთხრა:

— შვილებო, ერთი შვილი ვიშოვნე, მაინც ძმა არა გყავდათ და, თუ ჩემი ხათრი გაქვთ, არა აწყენინოთ-რაო.

ამათაც შეჰფიცეს:

— რადგან შენ შვილად მიიღე, ჩვენც ძმად მივიღებთ, არას დავუშავებთო. მივიდნენ ვაჟთან და სამივემ შესძახა:

შენ ძმა, ჩვენ შენი დებიო! მოეხვევნენ, დაკოცნეს, გვერდით მოუსხდნენ, პური აჭამეს და შემდეგ ჰკითხეს:

— რას გაურჯიხარ, უამბოდ არ მოხვიდოდი, გვითხარ და რაც შეგვიძლია, გიშველითო!

ვაჟმა უთხრა:

— ხელმწიფე ავად არის, უკვდავების ვაშლისათვის გამომგზავნა და აი, თქვენ შეგხვდითო.

დეკის დედამ უთხრა:

— კარგია, რომ აქ მოხველ, თორემ ძნელია იმისი შოვნა და ვერ მიუტანდიო. აი, ზღვას შეკუბერავ სულს, დაგუბდება, შუა გაიყოფა, შენ გალმა გადი, იქა დგას ვაშლის ხე, სამი ვაშლი ასხია, ერთიც გეყოფა, მოწყვიტე და საჩქაროდ უკან გამოდი; თორემ იმ ვაშლს მცველები ჰყავს და, თუ გაიგეს, მოგკლავენ, ზღვა იქიდან იწყებს შეერთებას და, შიგ თუ შემოასწარ, მერმე ეღარას დაგაკლებენ, ახლა ყარაულები იქ არ დაგხვდებიან, სასადილოდ წავიდნენ და კარგ დროს გახვალო!

წაიყვანა ვაჟი ზღვის პირას და შეუბერა ზღვას. მართლაც, ზღვა შუა გაიყო, ნახევარი ერთი მხრით გაჩერდა, ნახევარიც — მეორე მხრივ. დაბარა: იქიდანაც ჩემთან გამოიარეო! და გაუშვა. წავიდა ვეზირის შვილი ზღვებს შუა. ნაპირზე რომ გავიდა, დაინახა ვაშლი, მართლაც სამი ცალი ება, ისეთი დიდრონი იყო, რომ ხურჯინის თვალში ძლივს ჩადიოდა თითო. მოკრიფა სამივე, ერთი ხურჯინის ცალ თვალში ჩადო, მეორე — მეორეში და მესამეც ხელში დაიჭირა, შეჯდა ცხენზე და წამოვიდა. გამოუდგნენ ყარაულები, მაგრამ რაღას მოეწეოდნენ. ზღვაში შეასწრო და შუაგაყოფილი ზღვა იქიდან უერთდებოდა ერთმანეთს. მოვიდა დეკის დედასთან.

ძლიერ გაუხარდა დედასაც და ქალებსაც. ერთი ვაშლი იქვე დაჭრეს და ორი შინ გაატანეს. დევის დედამ უთხრა:

— ეიცი, კიდეე გაგგზავნიან სადმე და უჩემოდ არ წასვიდე, თორემ დაილუპებიო.

წავიდა ვეზირის შვილი და მიუტანა ვაშლები ხელმწიფეს. ხელმწიფეს ძლიერ ეამა, ერთი მაშინვე გაჭრა და ერთიც მთელი მაგიდაზე დადო. იმ ღამეს ყველანი დასაძინებლად წაიდნენ და დედოფალს კი რა დააძინებს!

კიდეე შევიდა ხელმწიფის ქალი ვეზირის შვილთან, მოეხვია და უთხრა:

— მანამ მოხვიდოდი, სულ მეშინოდა, შენი გზისკენ მეჭირა თვალი, შენს მეტი ქმარი არ მინდა და ნურც მომცეს ღმერთმაო!

— მამათქვენისა რომ არ მეშინოდეს, მეც ძლიერ მიყვარხარო, — უთხრა ვეზირის შვილმა.

მეორე დღეს დედოფალმა უთხრა ხელმწიფეს:

— წუხელ კიდეე შევიდა ქალი. თუ კიდეე არა მოვუგონეთ-რა, შეგვარცხვენს ჩვენი ქალიო.

დაიბარა ხელმწიფემ ვეზირის შვილი და უთხრა:

— ამ ვაშლმა არა მარგო რა, უკვდავების წყალი უნდა მომიტანოო!

ვეზირის შვილმა გამოართვა ვერცხლის სურები, ხურჯინში ჩადგა, ცხენს აჰკიდა, შეჯდა და დევის დედასთან წავიდა. ვაეიხ დანახვამ გაახარა დევის დედა, მოეხვია, დაკოცნა და ჰკითხა:

— უამბოდ არ გაირჯებოდი, მითხარ, რა გინდაო!

ვაემა უთხრა:

— უკვდავების წყალი მოინდომა ხელმწიფემ და უნდა მივუტანოო.

— ძნელი საქმეა, მაგრამ ნუ გეშინია, შენს სიმარდეზე არის დამოკიდებული, — დაამშვიდა დევის დედამ, ჯერ პური აჭამა, შემდეგ დაასვენა და წაიყვანა ზღვასთან. რომ მივიდნენ, შეუბერა სული ზღვას, დააგუბა და უთხრა:

— მანამ დაბრუნდები, ასე იქნება, წადი, დაადექ ამ გზას, ვაშლის ხესაც გასცდები და ძალიან ბევრს სხვასაც გაივლი, ერთ ტრიალ მინდორზე გამოჩნდება ალმასის გალავანშემოვლებული ქალაქი, ამ ქალაქში ხელმწიფედ ქალი ზის და ის წყალიც შიგა აქვთ. გალავანს ალმასის კარები აქვს, იხსნება და იხურება ისე ჩქარა რომ თვალს ძლიეს მოჰკრავ. ისე ღონიერად გადაჰკარ მათრახი ცხენს, რომ შეასწრო, თორემ თუ მოგხედა შენცა და ცხენსაც შუა გაგწყვეტსო! გზა დაულოცა და განშორდნენ ერთმანეთს.

წავიდა ვეზირის შვილი, მთელი ზღვა გაიარა და ათი იმოდენა ხმელეთი. ძლიეს გამოჩნდა გალავანი. ამომავალი მზე ედგა და ძალზე ბჭყვიალებდა. მივიდა, ნახა, ჭიშკარი მართლაც ისე სწრაფად იხსნება და იხურება, რომ კაცი თვალს ძლიეს მოჰკრავს. თვითონაც პური ჭამა და ცხენსაც აჭამა ქერი. დაისვენეს კარგად. მერმე შეჯდა, გაატარ-გამოატარა, გაახურა ცხენი, გადაჰკრა მათრახი და შეეიდა კარებში, შეასწრო თვითონ, მაგრამ ცხენს ძუა მოუწყვიტა. გადმოხტა მაშინვე, ცხენს უკვდავების წყალი დაასხა და გაუმთელდა ძუა. გაიხედ-გამოიხედა, ყოველი სახლი მინისა იყო. ამ ქალაქში კაცი არ იყო. ქალს დედ-მამა ომში დახოცოდა და რაც კაცები

იყვნენ, ისინიც დაეხოცნათ. ობლად დარჩენილი ქალი გამზრდელმა ისე გაზარდა, რომ კაცის სახე არ იცოდა; ლამაზიც იყო ძლიერ.

მივიდა წყაროზე, გამოიღო ხურჯინი, ცხენი საძოვარზე გაუშვა, თვითონ დაწვა და დაეძინა. გამდელმა დაინახა, რომ ეს ვაჟი იქ მივიდა და ქალს უთხრა:

— ერთი ვაჟი მოვიდა ჩვენს წყაროზე და დაისვენა, ისეთი ლამაზი არის, რომ თავის დღეში არ მინახავს ისეთი ლამაზი კაციო.

ქალმა უთხრა:

— ნეტავი ერთი ვნახო, კაცი რა სახისა არისო!

როდესაც გაეღვიძა ვაჟს, გამდელი მივიდა და უთხრა:

— ჩვენი ხელმწიფე გიბრძანებსო!

ვაჟი მაშინვე წავიდა. ქალმა დაინახა და მეტად მოეწონა, გვერდს დაისვა და აამბობინა რისთვის მისულიყო. მერმე უთხრა:

— იქ ნუღარ წახვალ, აი, ამ სახელმწიფოს ეპატრონე, ჯერ შენს მეტი კაცის სახე არ მინახავს, რადგან გნახე, ჩემი ქმარიც შენ უნდა იყოო!

ვაჟმა უთხრა:

— ამ წყალს მივუტან და მერმე დავბრუნდებიო.

აუვსეს სურები და მშვიდობით გამოისტუმრეს. მოვიდა. ზღვა ისევ ისე დახვდა გაყოფილი. გაიარა მშვიდობით და მივიდა დევის დედასთან. გაეხარდა იმასაც ვაჟის ნახვა, დაასვენა და გასტუმრებისას დააბარა: კიდევ გაგგზავნიან და უჩემოდ არ წახვიდეო!

მივიდა ვაჟი შინ და მიუტანა ხელმწიფეს წყალი. იმ ღამეს ყველანი წავიდნენ დასაძინებლად. ხელმწიფის ქალი კიდევ შევიდა ვაჟთან:

— მანამ დაბრუნდებოდი, ვდარდობდი, მე ძლიერ მიყვარხარ და შენ კი — არაო.

ვაჟმა უთხრა:

— მეც ძლიერ მიყვარხარ, მაგრამ ხელმწიფისა მეშინიაო!

მეორე დღეს ცოლმა უთხრა ხელმწიფეს:

— წუხელ კიდევ შევიდა ვაჟთან, ახლა ისეთ ადგილას გაგზავნე, ცოცხალი ვეღარ დაბრუნდესო!

დაიბარა ხელწმიფემ ვეზირის შვილი და უთხრა:

— გაქვავებული ქალაქის ამბავი უნდა მომიტანოო!

ადგა და წავიდა ვაჟი დევის დედასთან.

— რა ამბავია, რაზე გარჯილხარო? — ჰკითხა დევის დედამ.

— ხელმწიფესა სურს, გაქვავებული ქალაქის ამბავი მივუტანოო.

დევის დედამ უთხრა:

— ეგ კი ძლიერ ძნელია, გასწავლი, მაგრამ შველა კი არ შემიძლიაო. წახვალ, ვაშლის ხესაც გასცდები, უკვდავების წყალსაც და კიდევ მრავალ მთასა და ბარს და იქ არიო.

წაიყვანა, შეუბერა ზღვასა და უთხრა:

— ისევ ჩემთან გამოიარეო!

გაშორდნენ ერთმანეთს, მიდის ვაჟი, გაიარა ვაშლის, წყლის ადგილები და მრავალიც სხვა. ბოლოს, გამოჩნდა ერთი მინდორი, სულ ქვით იყო სავსე, ადამიანები, პირუტყვებიც სულ თავიანთი სახით ქვად იყო ქცეული. დურგალს თავისი რანდა ეჭირა და ქვად იყო ქცეული, ერთი სიტყვით, ვინც

რა ხელობაზე ყოფილიყო, ისე იყო ქვად ქცეული. დაიარა ამ ყმაწვილმა მაგრამ ერთი სულიერი ვერავინა ნახა, ბოლოს, მიადგა ერთ სახლს და ხმა მოესმა: ერთი წყალი დამალეთინეო! მივიდა ამ ხმაზე, დაინახა კაცი, გულს ზევით კაცი იყო, გულსქვეშით ქვად იყო ნაქცევი. ჰკითხა ვაჟმა მიზეზი:

— რადა ხარ გაქვავებულიო?

კაცმა უთხრა:

— აქ მოსვლა რამ გაგაბედვინა, ჩქარა წადი, თორემ სადაც არის, მოვა ის ალქაჯი დედაკაცი და შენც ქვად გაქცევსო!

— სულ ერთია, თუ ხელმწიფეს არ მივუტანე ამ ქალაქის გაქვავების ამბავი, ის მომკლავსო, — უპასუხა ვაჟმა.

— მაშ, კარგიო, — დაიწყო კაცმა, — მე ამ ქალაქის ხელმწიფე ვიყავ, მყავდა ცოლი, ნაზირ-ვეზირები და რაც ხელმწიფეს ეკადრება, ყოველივეთი სრული ვიყავ. მყავდა აგრეთვე ორი ქარის რაში, სულ დაფრინავდნენ და კარგადაც ვანახვინებდიო. ვნახოთ, ერთ დღეს მეჯინიბეს წყალზე ჰყოლოდა და გამოატარა. ისეთი გამხდრები იყვნენ, ფერდი ფერდს მიჰკროდათ. გაკვეკავრდი, არ გიჭმევიათ, თუ რა არის მიზეზი, რომ ასე გამხდარან-მეთქი? მეჯინიბემ მითხრა:

— ყოველ ღამე ცხრა მთას იქით გადადიან და როგორ არ გახდებიანო!

ეკითხე მიზეზი, იმანაც თქვა:

— დედოფალი ცხრა მთას იქით რომ არაბის ხელმწიფე ცხოვრობს, იმასა ჰყვარობს. დაგეძინება თუ არა, ადგება და მეც თან მივყავარ, ერთზე ოვითონ ჯდება, ერთზე — მე, ამაღამაც უნდა წავიდეს, იმათი დღესასწაული არის და ამას ელიანო.

მე ეუთხარ:

— შენი ტანისამოსი კარებთან დააწყვე, დაგიკაკუნებს თუ არა კარებზე, ჩაიცვამ და შენ მაგივრად მე წავალ-მეთქი. როგორც ეუთხარ, მეჯინიბეც ისე მოიქცა. მე განგებ ძილს მივეცი თავი. ადგა დედოფალი, გავიდა, დაუკაკუნა მეჯინიბეს კარებზე და შემობრუნდა. ჩაიცვა საგანგებოდ. მე მეჯინიბის ტანისამოსი ჩავიცვი, მეჯინიბე ჩემ ლოგინში დავაწვინე, კიდევ არ მეჯეროდა, მინდოდა ჩემი თვალით დავრწმუნებულიყავ. გაველ, მზად დამიხვდა, ცხენები აეუშვი და ველოდებოდი. გამოვიდა, ერთზე ის შეჯდა, მე მიბრძანა, ჩქარაო და გაფრინა. მივდევ მეც. გადავედით ცხრა მთას. ისე დაგვიხვდა იქაურობა გაჩირაღდნებული, რომ დღე გეგონებოდა. შეუღგათ ალიაქოთი, დედოფალი მობრძანდებაო. გადმოაბრძანეს, შეიყვანეს და ცხენის აღვირი მე მომიგდო. ვიდექ და მეჭირა ცხენები. შინ დიდი ხანი დაჰყო. გათენებამ თითქმის მოატანა. გამოვიდა და ჩემი ბაღდადით წვერი-წვერ შეკრული ხილი გამომიტანა. ცხენებზე რომ შევსხედით, ის განგებ იქ დავტოვე. ცოტა რომ გამოვიარეთ, ეუთხარ:

— უჰ, ბაღდადი იქ დამრჩა-მეთქი.

— წადი, ჩქარა მოიტანე, ხელმწიფემ არ მოიკითხოსო!

მივაბრუნე რაში, მიველ, გადავხტი ფანჯრიდან, მოვეჭერ თავი არაბსა და ჩავაგდე ხურჯინში. თანაც ბაღდადი ავიღე და წამოველი. გამოვაჭენეთ, მაგრამ რა გამოვაჭენეთ, სულ მოეფრინავდით. ინათა და მოველით. მეჯინიბე იქვე მიმალული დამხვდა. ქალმა ხილი მე მომიგდო და შეირბინა შინ, მეც მეჯინიბეს გადავეცი, გავიხადე ტანისამოსი, ხურჯინი მაღლა

დაეკიდე და დაეწექ განაბული. თვითონაც შემოიპარა და ჩუმად დაწვა. გათენდა კარგად და ვეთხარ:

— იცი, ქალო, როგორი სიზმარი ენახე-მეთქი?

— რაო? — მკითხა.

მეც მოვუყევი:

— თურმე ცხრა მთას იქით ერთი არაბის ხელმწიფეს ჰყვარობდი შენა და მეჯინიბედ მე გახლდი თან, გადაველ ფანჯრიდან, მოვეჭერ თავი და აი, იმ ხურჯინში ჩავდე, აბა, ნახე, მართალი არ იყოს-მეთქი.

მაშინვე აიღო ხურჯინი, წამოსწია და თავი გამოგორდა. გამწარებულმა მე ასე მაქცია და დანარჩენი, როგორც ხედავ, ისე. ვეტყვი: წყალი დამალევინე-მეთქი, წუმპეს ჩამასხამს, ამისი ღირსი ხარო! ვეტყვი: მაჭამე-მეთქი, ტალახს მომიტანს — აი ჭამეო! ნეტავ, მეც სულ ქვად ვექციე. არაბეთში რომ დადიოდა, იქ ესწავლა ეს თვალთმაქცობა.

ვაჟმა ჰკითხა:

— სად არის ახლაო?

— ახლა წასულია, დადის, გულს იქარვებს და მალე მოვაო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, შორით მოესმათ ფეხის ხმა. ვაჟი მიეიდა და კარებთან მიიმალა. შემოვიდა ქალი. ხელმწიფემ უთხრა:

— ქრისტიანი არა ხარ? ან სულ მომკალ, ან ამ ტანჯვას მომარჩინეო!

ცოლმა უთხრა:

— ცოტაც არის შენთვისაო!

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ვაჟი მიეპარა და ქალის თმები ხელზე დაიხვია. ისე უცებ მოხდა ეს, რომ ქალმა ვერაფერი მოასწრო. წააქცია პირქვე და ლაადგა ფეხი:

— ჩქარა, ხელმწიფე ისევე როგორიც იყო და ქალაქი თავის სახით გადააქციე, თორემ ახლავე მოგკლავო!

მეტი რა გზა ჰქონდა, შეულოცა და ყოველივე თავის სახეზე შეიცვალა. ვაჟმა უთხრა:

— მეც დამლოცეო!

— აბა, რითი დაგლოცო: ვაჟი ხარ ქალად იქეც, ქალი ხარ ვაჟადაო. მართლაც, იქცა ქალი ვაჟად და ის დედოფალი მაშინვე სულ ლუკმა-ლუკმად აქცია. ხელმწიფემ და მთელმა ქალაქმაც დალოცა ეს ვაჟი.

აღგა და წამოვიდა ვაჟი. გამოიარა მინის ქალთან და უთხრა:

— მზად იყავ, მოვალ და ჩემს დედ-მამასთან წაგიყვანო! წავიდა დევის დედასთან და უამბო ქვაღნაქცევი ქალაქის ამბავი. მივიდა ხელმწიფესთან, იმასაც უამბო ყოველივე. წავიდნენ ყველანი მოსასვენებლად და კიდევ შეიპარა ხელმწიფის ქალი ვაჟთან:

— მანამ მოხვიდოდი, ეკვლებოდი შენი ჯავრითაო!

— მეც ძლიერ მიყვარხარო, — უთხრა ვაჟმა და კარგადაც მოულხინა. ხელმწიფის შიში, წინათ რომ ასახელებდა, სულ გადააავიწყდა. მეორე ღღეს აღგა და დაეთხოვა ხელმწიფეს:

— ნება მომეცი, შინ წავიდე და ჩემ მოხუც მამას მივხედოო!

გაეხარდა ხელმწიფეს, თავიდან მოვიშორებო, და მისცა ნება. წავიდა დევის დედასთან და მინის ქალის სიყვარული უამბო. წაჰყვა დევის დედა, შეუბერა სული ზღვას და გაატარა. მივიდა მინის ქალთან, ის ალმასის

გალავანი მთლად აიღო, დაკეცა, ის უკვლავების წყაროც თან წამოიღეს, რაც ქალები იყენენ, სულ წამოიყვანეს და წამოვიღნენ. გამოიარეს ღეკის დედასთან, იმხიარულეს, გაახარეს და შემდეგ მამასთან გაემგზავრნენ. დააწინაურა ქალის ჯარი და ამბობდნენ.

— ამა და ამ ვეზირის შვილი მოდის თავის ცოლითაო! — გაუკვირდა ვეზირს:

— ვაჟი ვინ მომცა, თვითონაც ქალი იყოო!

მოვიდა ვაჟი და უამბო ყოველივე დედ-მამას. იმათაც გაუხარდათ, გადაიხადეს ქორწილი და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

გველი და კაცი

ერთხელ ცოლ-ქმარი ცხენებზე იჯდა და სტუმრად მიდიოდა. გზაზე გველის წიწილები გამოშლილიყვნენ. კაცმა ცხენები გააჩერა, გადმოხტა და თქვა: გამიგონია, შვილი გველსაც არ უნდა მოუკლაო, აუქშია წიწილებს და სოროში შერეკა.

ერთ ძველებურ დარბაზს ესტუმრნენ. ვახშამი რომ ჭამეს, ყველამ რაღაცა თქვა. ამ კაცსაც ეხვწებიან, შენც თქვი რამეო.

საღამოზე გველი დაბრუნდა. წიწილებმა ამბავი დაახვედრეს: ერთმა კაცმა გაიარა და ცემით სულ წელები დაგვწყვიტაო. გველი კვალს გამოჰყვა და მოვიდა ამ დარბაზთან. შემოერტყა გარეღან, ბანიღან თავი ჩაყო შიგ, რომ დაიძინებენ, უნდა დაკბინოს ყველა.

ამ კაცს კიდევ აციელებიან: თქვი რამე, გზაში ნავალი კაცი ხარ, ახალი ამბები გეცოდინებაო.

მასაც მოგონდა: მართლა, რომ მოვდიოდით, აუარებელი გველის წიწილა გამოშლილიყო გზაზე. გადმოვხტი ცხენიღან და სოროში შევრეკე: ცხენმა და კეიცმა ფეხი არ დააღგან-შეთქი.

გველმა ეს გაიგონა: ამ კაცს სიკეთე გაუკეთებია და წიწილებმა, შეხედე, რა ამბავი დამახვედრესო! მოვიდა თავის სოროში და წიწილებს სულ ცემით წელები დასწყვიტა.

გათენდა მშვიდობის ღილა და ამ კაცმა ცხენები წაიყვანა წყალზე. გველი იქ დახვდა. კაცს შიშით გული კინაღამ გაუსკდა. გველმა უთხრა.

— ენა გამოყავი, უნდა გაკოცოო!

კაცი კიდევ უფრო შეშინდა, ლამის გული წაუვიდეს, სიკვდილს თავისი თვალითა ხედავს.

— გამოყავ, ნუ გეშინია, შენთვის სიკეთე მინდა, ბოროტი არაო!

შეშინებულმა კაცმა გამოყო ენა. გველმა ზედ ენის წვერზე აკოცა და უთხრა: რამაც დაილაპარაკოს, პირუტყვი იყოს თუ ფრინველი, ყველას

ლაპარაკი გესმოდეს, ხოლო შენს საიდუმლოს თუ ვისმე ეტყვი, იმ წუთში მოკვდები!

წამოვიდა ეს კაცი ისევ იმ ოჯახში. პური ჭამეს, დაისვენეს, შესხდნენ ცხენებზე და გამობრუნდნენ. ქალი ორსულადაა, ზის მაკე ცხენზე და უკან წამოჩრიხული კვიცი მისდევს. კვიცი ჩამორჩა და კაცმა გაიგონა მისი ლაპარაკი: დამიცადე ღელეო!

ცხენმა კი დაუძახა: არა გრცხვენია, მე ოთხი სული მოვდივარ და შენ ერთი სული, ისიც ისე ახალგაზრდა. კიდევ მეუბნები, დამიცადეო!

ამ კაცმა რომ ცხენის ლაპარაკი გაიგონა, გაეცინა, მიხვდა, რაზეც იყო საუბარი: ქალი ორსული იყო და ცხენი — მაკე. ცოლმა ჰკითხა:

— რად გაიცინეო?

— რა ვიცი, გამეცინა უნებურადო! — უპასუხა ქმარმა.

— არა, უნდა მითხრა, რად გაიცინეო!

— უბრალოდ გამეცინა, რა სალაპარაკოა, წავიდეთო! — ეუბნება ქმარი.

— არა, ახლავე, უნდა მითხრა, რად გაიცინე, თორემ აღარ წამოვალო!

დაეშუქრა ქალი, ჩამოხტა ცხენიდან და ჯიუტად დადგა.

— წამოდი, აღამიანო, შინ გეტყვი, აქ რომ გითხრა, მოკვდები და სახლში მაინც მოკვდეო! — უთხრა საწყალმა კაცმა.

წამოვიდნენ. მოვიდნენ შინ. ქალს ტანისამოსი არ გაუხდია, ისე მივარდა ქმარს: აბა, ჩქარა მითხარი, რად გაიცინე!

— ხვალ წადი. წირვა-ლოცვა მოისმინე და მაშინ გეტყვი!

მეორე დღეს ქალი აღრე გაიქცა წირვა-ლოცვის მოსასმენად, მაგრამ ამის დარდი სულ არა აქვს. მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ჩქარა გაიგოს, რაზე გაეცინა ქმარს. ქალი რომ გაისტუმრა, კაცი ცეცხლისპირას დაჯდა და ფიქრობს. სადაც არის, საიდუმლოს გავამხელ და მოკვდებიო. მუხლებზე კატა უზია. სად არის, სად არა, ერთი მამალი შემოვარდა, ნისკარტითა და ფეხებით ჩააფრინდა ამ კატას.

— ადე, შე ოხერო, გაიარ-გამოიარე, რა ჩაგიწირპლია თვალები ამ ცეცხლის პირას, წადი, თაგვი მაინც დაიჭირეთ!

კატამ უთხრა:

ნეტავ შენ, დარბისარ და დათარეშობ, ჩემს გულში კი არ იხედები, რა ბოლმა ტრიალებსო!

— ნეტავ რა გაქვს საღარდებელიო?

— სად არის, სად არა, ამ კაცის პირცეცხლიანი ცოლი მოვა, კაცმა საიდუმლო სიტყვა იცის, ქალი მის გამხელას სთხოვს, კაციც ეტყვის და მოკვდება. მე ის მაღარდებს, რომ ეს ტარტაროზი ქალი მეც სახლიდან გამაგდებსო!

— მეხი შენც დაგაყარე და მაგ კაცსაც — უთხრა მამალმა, — ეგ რა კაცია. მე ას ცოლს ვიგერიებ, ვინ შემომკადრებს ხმის შემობრუნებას! განა მაგას არ შეუძლია, აიღოს სახრე და ჭკუა ასწავლოსო?

კაცი ახლა გონს მოვიდა და მამალს საკორკოტე ხორბალი დაუყარა. სად იყო. სად არა, ქალიც მოვიდა. კაცს სახრე მზადა აქვს: ქალს ჯერ არ მოუხდია ლეჩაქ-ბაღდადი და მიახალა:

— აბა, ჩქარა მითხარი, რისთვის იცინოდიო?

— ჯერ გაიხადე ეგ ახალი ტანსაცმელი, ძველი ჩაიცვი და მერე გეტყვიო!

ქალმა გაიხადა ახალი ტანისამოსი თუ არა, კაცმა დაუჭირა საყელო, აიღო სახრე და ერთი თუ ორი: მე რა ვიცი, რისთვის გამეცინაო!

კარგა რომ მიბეგვა, ხელი გაუშვა. ქალი ძლივს სუნთქავდა, ყვალაფერი სტკიოდა. ცოტა ტკივილები რომ შეუჩერდა და გვერდები დაუამდა, თქვა: შე ახირებულო ჩემო თავო, რა გინდოდა ამ საწყალ კაცთან, გაეცინა, გაეცინაო!..

სიკვდილის ჩამოსვლა დედამიწაზე

ერთ სოფელში იყო ერთი უშვილო ღარიბი კაცი. ამ ქვეყანაზე არაფერი საზრუნავი არ ჰქონდა. დილიდან საღამომდის მუშაობდა ყანაში. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ცხვირ-პირზე. დაღამდებოდა და ააყუდებდა სამოყიან თოხს ჯარგვლის ღობეზე, შეაღებდა კარებს, დაანთებდა ცეცხლს, ოზანდარიდან გამოიტანდა ცივ მჭადს და აცუცქნიდა ზედ თევზის კუდს. დაწვებოდა, დასვენება უნდოდა, მაგრამ სიზმარი საშველს არ აძლევდა. ესიზმრებოდა მიცვალებული ღედა, რომელიც ვითომ საიქიოს მიათრევდა მას. ამიტომ ძალიან ეშინოდა სიკვდილისა.

ერთხელ სიკვდილი შემჯდარა თეთრ ცხენზე და ჩამოსულა დედამიწაზე. თურმე ეძებს საიქიოში წასაყვან კაცებს. მიდის გზაზე და ცხენს მიაჯირითებს. ის ღარიბი კაცი შეხვდა პირდაპირ. შიშმა აიტანა, იფიქრა, წამიყვანსო. დამალვაც კი მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა. სიკვდილმა მოაჭენა ცხენი ამ კაცთან და მიესალმა, შიშისაგან გათავებულმა კაცმა ძლივს უთხრა გაგიმარჯოსო!

— ნუ გეშინია, მე შენს წასაყვანად არ მოვსულვარ, ამ სოფლიდან ერთი-ორი კაცი უნდა წავიყვანო და მანამდის ეს ცხენი დამიჭირეო! — გამოელაპარაკა სიკვდილი.

კაცმა გამოართვა ცხენი და აღვირი ხელში დაიჭირა. სიკვდილი გაიქცა სოფელში კაცების წამოსაყვანად. დარჩა კაცი მარტო სიკვდილის ცხენთან. იფიქრა: მოდი, სიკვდილს ამ ცხენს მოვპარავ, შეეჯდები ზედ და წავალ; მერმე როგორღა მოაკითხავს ვინმეს და ხალხს სიკვდილისაგან ეიხსნიო.

შეჯდა ცხენზე. უნდოდა, გაეჭენებინა და იქაურობას გაშორებოდა, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ დაიძრა. სიკვდილს მათრახი თან წაეღო და უმათრახოდ ცხენი არ დაიძრა. ზის ცხენზე და ძალიან წუხს. ცოტა ხანში სიკვდილიც გამოჩნდა. მიუვლ-მოუვლია სოფელში, წამოუყვანია ახალგაზრდა გოგო და ბიჭი.

კაცს რომ ცხენზე შემჯდარს მოუსწრო, ძალიან გაუკვირდა: ჩემი ცხენის მოპარვა ხომ არ გინდოდაო? — ჰკითხა. კაცმა ვერაფერი უპასუხა. სიკვდილს გაეცინა. წამოიძრო ხელიდან მათრახი, მისცა და უთხრა:

ეგზეკუციის ჩასაფრებული ლეკვარიანები

— შემოჰკარ მათრახი ჩემს ცხენს და ცაში აგაფრენს, რაც იქიდან დაინახო, მითხარიო!

კაცმა შემოჰკრა მათრახი და სიკვდილის ცხენმა უცებ ააფრინა ცაში. დიდხანს იფრინა უგზო-უკელოდ და კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა.

— აბა, მითხარ, რა ნახე ცაში? — შეეკითხა სიკვდილი.

ღარიბმა კაცმა უპასუხა:

— რას ვნახავდი, ეარაფერი ვერ ვნახე, მაგრამ ის კი ძალიან გამიკვირდა, რომ ჩვენი დედამიწა ციდან კვერცხის ოღენა გამოჩნდა!

სიკვდილს კიდევ გაეცინა და უთხრა:

— ბიჭო, თუკი დედამიწა კვერცხისოღენა ყოფილა, როგორ ფიქრობდი, ჩემთვის ცხენი რომ მოგეპარა, ამ კვერცხისოღენა ქვეყანაზე უცხენოდ ვერ გიპოვიდი? ახლა წადი და მეორეჯერ აღარ იფიქრო ცუდ საქმეზეო.

სიკვდილი შეჯდა ცხენზე. შემოისვა უკან გოგო და ბიჭი და გაუყვა საიქიოს.

შემცბარი ღარიბი კაცი დიდხანს იჯდა შარისპირზე დაფიქრებული...

ბედი და იღბალი

ბედი და იღბალი ძიღიოდნენ. ერთი ღარიბი კაცი ნახეს. იღბალმა უთხრა ბედს: მოდი, დამენაძლევე, ეს კაცი გავამდიდროო.

დანაძლევდნენ. იღბალმა კაცს მისცა ოქროს ასი თუმანი და უთხრა: წადი, დიდი დუქანი გააღე და ივაჭრე, აქ რას წვალობო!

წამოიღო კაცმა ეს ოქროს ფული და თქვა: ამოდენა ფული მაქვს, ცოტა რამე მაინც ვუყიდო დამშეულ ცოლ-შვილსო. ერთი წითელი ხელსახოცი შეიძინა, საჭმელ-სასმელიც ბლომად იყიდა, ხელსახოცში გამოკრა და მოაქვს შინ. გზაში დაისვენა, ხელსახოცი იქით დადო, ერთი მშიერი ყვავი დასწვდა და წაიღო.

მივიდა ღარიბი კაცი შინ დაღონებული და დამშარებული. უამბო ცოლს თავგადასავალი. ცოლმა, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა.

ერთი კვირა რომ გავიდა, ბედი კიღევ შეხვდა იღბალს და ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის ღარიბი, თუ არაო?

— რა ვიცი, ოქროები კი მივეციო!

ჩაიარეს ღარიბ კაცთან, ისევ ღარიბად ცხოვრობს.

— რა უყავი ის ოქროებიო? — ჰკითხა იღბალმა.

— ასე და ასე მომივიდა, ყვავმა მომტაცაო.

იღბალმა ახლა ორი იმდენი მისცა: წაიღე, გამდიდრდიო!

ღარიბმა კაცმა ბაზარში რომ გამოიარა, თქვა: ამოდენა ფული მაქვს და მოდი, რამეს ვუყიდი დამშეულ ცოლ-შვილსაო!

ფული რომ ამოიღო, ორმა ქურდმა დაინახა. დიდმა ქურდმა პატარას უთხრა: მე დანით გამოგიდგები, ეგ კაცი ქულაჯის ქვეშ ამოგიფარებს და ფული ამოაცალეო.

დიდი ქურდი დანით გამოუღგა პატარას. ღარიბ კაცს შეებრალა და დაუძახა: მოდი, შვილო, მოდი, მე დაგიფარავო და ქულაჯის ქვეშ დამალა: ქურდმა ჯიბიდან ამოაცალა ფული და თავს უშველა. ღარიბი შინ მოვიდა თუ არა, ცოლს უთხრა:

— აი, იმ კაცმა ორი იმდენი კიდეე მომცაო. ჩაიყო ხელი ჯიბეში, მაგრამ კაპიკი არა აქვს. იფიქრა, უსათუოდ იმ პატარა ბიჭმა ამომაცალაო.

ქალმა უთხრა: შენ ეშმაკები გაწვალებენ, თორემ ორას თუმანს, აბა, ვინ მოგცემდაო!

გავიდა ერთი თვე და ბედი და ილბალი კიდეე შეხვდნენ ერთმანეთს, ბედმა ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის ღარიბი თუ არა?

— ორი იმდენი კიდეე მივეცი და არ ვიცი, — უპასუხა ილბალმა.

ჩაუარეს ღარიბ კაცს და ისევ დაგლახაკებული იპოვეს.

— რა უყავი იმდენი ფულიო? — ჰკითხა ილბალმა.

იქით გამეცალეთ, ეშმაკებო, თქვენი ფული ჩემთან არა დგება!

ილბალმა ახლა სამი იმდენი მისცა და უთხრა:

— შენ თუ შნო არა გაქვს, ამხანაგი აიყვანე და შენი საქმე წინ წავაო!

წაიღო ეს ფული ღარიბმა და პირდაპირ ცოლს მიუტანა. — აი, თუ არ გჯერა, იმ კაცმა კიდეე მომცა ფულიო. ცოლს არც შეუხედავს, ისე უთხრა: ჩააგდე ქოთანში და შეინახეო.

ღარიბი ამხანაგის საშოვნელად წავიდა. ამ დროს მეზობლის ბავშვმა მოირბინა და დიასახლისს სთხოვა: მარილი გვასესხეო!

ქალი ცომს ზელდა და ბავშვს უთხრა: მე, შვილო, ცომიანი ხელები მაქვს, ქოთნიდან ამოიღეო!

ბავშვმა ჩაყო ხელი ქოთანში, მარილიც წაიღო და ეს ფულიც გააყოლა. მიუტანა დედას მარილიცა და ფულიც. დედამ ფული რომ დაინახა, შვილს უთხრა: წაიღე და ჩვენი ფულის ყუთში ჩააგდეო!

ღარიბმა მოიყვანა ამხანაგი, ნახა ფული აღარ არის.

— რა ექნა ფულიო? ჰკითხა ცოლს.

— მე ფული არ მინახავს, ხომ გითხარი, ეშმაკები გატყუებენ, თორემ ორას-სამას თუმანს რომელი კაცი მოგცემსო!

ღარიბმაც დაიჯერა: მართლაც, ეშმაკები მატყუებენო! გავიდა ხანი. ბედი და ილბალი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის ღარიბი, თუ არაო? — ჰკითხა ბედმა.

— სამი იმდენი კიდეე მივეცი და არ ვიცი, რა მოუვიდაო!

ნახეს, კაცი ისევ ღატაკია.

რა უყავი ის ფულიო? ჰკითხა ილბალმა.

ღარიბმა ვეღარ მოითმინა და კეტს წამოავლო ხელი. თქვენი ფული ჩემთან არ დგება, დაიკარგეთ, ქაჯები და ეშმაკები ხართო!

ახლა ბედმა უთხრა ილბალს: შენ ხომ ამდენი მივეცი და ვერ გაამდიდრე, მე სულ ცოტას მივცემ და ნახე, თუ ვერ გავამდიდროო! ბედმა ღარიბ კაცს ქისცა ხუთი მანეთი და უთხრა: სამი მანეთით ვირი იყიდე, ათი შაურით —

ცული, ათი შაურით თოკები და მოსართავები, მანეთისა — საჭმელ-სასმელი. ტყეში შეშა მოჭერი, ყოველდღე ჩამოიტანე ქალაქში, გაყიდე და აღებული ფულით ტკბილად იცხოვრეო!

მართლაც, ღარიბმა სამ მანეთად ვირი იყიდა, ათ შაურად — ცული, ათ შაურად — მოსართავები, მანეთის — საჭმელ-სასმელი და წამოვიდა შინ. მუდამდღე ტყიდან ჩამოაქვს შეშა, ყიდის და თავისი ნაოფლარით ბედნიერად ცხოვრობს.

შემოდგომით ერთი ხმელი წიფელი ნახა. შემოუარა ირგვლივ და თქვა: ამას მოვჭრი და მთელ ზამთარს მეყოფა საზიდავად. წიფელი წააქცია და რას ხედავს: თურმე ის წითელი ხელსახოცი ყვავს ამ ხეზე დარჩენოდა და იპოვა. ის ოქროებიც შიგ იდო. წამოიღო და მიუტანა ცოლს: ახლა ღარიბს ბევრი ფული აქვს, მაგრამ მაინც შრომობს და შეშას ყიდის.

ერთხელაც ღარიბი კაცის მეზობელს დაეთვალა თავისი ფული და სამასი თუმანი მეტი აღმოჩენოდა. მაშინვე გაიგო მიზეზი და უკანვე დაუბრუნა. ეს კაცი ახლა კი გამდიდრდა. კარგი სახლებიც დაიდგა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, იღბალი შეხვდა ბედს და ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე შენი ხუთი მანეთით ის კაციო?

ჩაუარეს ღარიბს და ნახეს მართლა გამდიდრებულა. კაცმა დაინახა თუ არა ბედი და იღბალი, გაუხარდა და შინ შეიპატიჟა. კარგად იქეიფეს.

ღარიბმა კაცმა თქვა: ღარიბი ვიყავი, მაგრამ ახლა არა მიშავსო. ეგრეა, მაშრომე, ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო!..

მოხუცი სტუმარი

თიბვის დაწყებისას ღლეობას იხდიდა თურმე ხალხი.

ერთხელ ყველა მინდორშია ჩაცმულ-დახურული და ნელა თიბავს, ღლეასწაულია. იმ ხალხში სამი ღარიბი ძმა არის. მათ არც საჭმელი აქვთ და სასმელად კი მხოლოდ არაყის ნახადი აქვთ. საღილად დასხდა ყველა: არის სიმღერა და ქეიფი.

ამ დროს დაბლიდან ერთი მოხუცი კაცი გამოჩნდა. მთიბავებს აქეთ-იქით გამარჯვება უთხრა. სუფრასთან არავინ მიიპატიჟა. გაიარა იმ სამი ძმის ახლოს. უმცროსმა ძმამ თქვა: დავუძახოთო. ძმებმა უთხრეს:

— რა უნდა აჭამო და ასვაო?

— ჩვენ რაცა გვაქვს, ის დავალეგინოთო.

არ ჰკითხა ძმებს და დაუძახა:

— იკადრეთ და ჩვენთან მობრძანდით ცოტა ხანსო!

სტუმარმა უთხრა:

— აბა, ყველა მღერის და ქეიფობს, თქვენ რაღას უყურებთო?

— რა ვქნათ, საჭმელი არა გვაქვს, სასმელად არაყის ნახადი წამოვიღეთ, მეტი არაფერი გვქონდა, რითი ვიქეიფოთო!

სტუმარმა უმცროს ძმას უთხრა:
— არა უშავს რა, ჩამოასხი დოქიდან ეგ ნახადი და დაგვალევინეო.
ჩამოასხა, ღვინო არის შესანიშნავი!
— პური არა გაქვთ? — იკითხა სტუმარმა. — აი, იმ მთაზე თეთრად რომ ჩანს, აბა, ის რა არის, ჩამოიტანეო!
— ქვა არის, რად ჩამოვიტანოო!
— წადი, შენ რა გინდა, ჩამოიტანეო!
ავიდა და ნახა მშვენიერი დიდი ცხვარი და თეთრი პური. ახლა კი გაიშალა ხუფრა. დასხდნენ, დაიწყეს სიმღერა. ყველა ჩააჩუმეს; ვინ არის ისეთი, რომ ამისთანა სიმღერა იცოდეს!
მთიბავები იცინიან: ნეტავ რა აქვთ, სტუმარიც რომ მიიპატიჟეს, რას ასმევენ და აჭმევენ ეგ ღატაკებიო.
ჭამა რომ დაამთავრეს, მოხუცმა უფროს ძმას ჰკითხა:
— შენ რა გირჩევნია, უფრო რისი მოყვარული ხარო?
— მიწა მინდა, საჭმელს ვიშოვნიო!
— მიწაც გქონდეს და საჭმელიც, სანამ სტუმარი არ შეგძულდესო! — და დაულოცა მიწა.
ახლა საშუალო ძმას ჰკითხა:
— შენ რისი მოყვარული ხარო?
— ჯოგისაო, — უპასუხა.
— შენისთანა ჯოგი არავის ეყოლება, სანამ სტუმრები არ შეგძულდებაო.
ბოლოს, უმცროს ძმას ჰკითხა:
— შენ რაღა გინდა, რას ინატრებდიო?
— მე იმისთანა ცოლი მინდა, სტუმარი და მასპინძელი უყვარდეს და ოჯახის მოვლა იცოდესო, — უთხრა უმცროსმა ძმამ.
— ოჰო! მაგისთანა ქალი ქვეყანაზე მხოლოდ ორი მეგულება, ერთი გათხოვილია, მეორეს ქორწილი ამაღამ აქვს, თუ მოვახერხე, შეგრთავო.
უფროსი ძმები იქვე დაასახლა, ერთს მიწა და პური მისცა, მეორეს ჯოგი, უმცროსი ძმა კი თან წაიყვანა.
ერთი კეისრის შვილსა და მეორე კეისრის ქალს ქორწილი აქვთ. მოხუცმა წვიმა და ქარი მოიყვანა. მიადგნენ კარზე მექორწილეებს და დაუძახეს:
— მასპინძელო, ბინა არა გაქვს, ამაღამ მოგვასვენეო!
მოახსენეს კეისარს და იმან უარი უთხრა: ქორწილზე ვიღაც უცნობი შემოვა, ამას უსიამოვნება მოჰყვება, ამაღამ არ შემოვუშვებ და შემდეგ ვისაც შემოვუშვებ, მე ვიცი.
მოხუცმა ჰკრა წიხლი კარს, შეამტვრია და შევიდა. შეიყვანა ბიჭიც. მაგიდა გაშლილია. ნეფე-ძალოფალი ერთად სხედან, ესენი მეორე მხარეს დასხდნენ. მოხუცმა ბიჭს უთხრა:
- წადი, საქმრო ააყენე და იქ შენ დაჯექიო!
ბიჭი ასეც მოიქცა. კეისარი გაბრაზდა: აბიტომ არ გიშვებდით სახლშიო.
მოხუცმა უთხრა:
— რას ლაპარაკობ, ქალი ამ ვაჟის არისო.
კეისარი უფრო გაჯავრდა. მოხუცმა უთხრა:

— აბა, ნაძლევი დავდოთ, თუ ქალი ამისი არ იყოსო.

— რა ნაძლევი მინდა, ქალი გათხოვილიაო, — თქვა კეისარმა, მაგრამ ბოლოს ჰკითხა, — არა, მაინც რა ნაძლევი გინდაო?

— ამ ვაჟებს ხელში ვაზის თითო წნელი მიეცით, რომლის ხელშიაც წნელი ფოთოლს გამოიღებს, აყვავდება, ყურძენი დამწიფდება და ამ სუფრაზე მოგვერთმევა, ქალიც იმას დარჩებაო.

კეისარს არ უნდოდა დათანხმება, მაგრამ სხვა გზა აღარა ჰქონდა. მისცეს ორივე ვაჟს ხელში ვაზის წნელი. უმცროსი ძმის ხელში წნელი განედლდა, ფოთოლი გამოიღო, აყვავდა, ყურძენი დაისხა და დამწიფდა. კეისრის შვილს კი გაუხმა.

— ახლაც არ მისცემ ქალს ამ ბიჭსო? — ჰკითხა მოხუცმა კეისარს.

— არა, არ მივცემ, გათხოვილიაო!

— აბა, რომელმაც ხანჯლის წვერებზე იცეკვოს, იმას მიეციო!

ააყენეს საქმრო, მაგრამ როგორც კი ფეხს დაადგამს ხანჯალს, ეჭრება.

— ადექ, ბიჭო, ახლა შენ იცეკვეო! — უთხრა მოხუცმა უმცროს ძმას.

ადგა ის და დატრიალდა ამ ხანჯლის წვერზე.

— ახლა რომ გვატანო ქალსაო? — უთხრა კეისარს მოხუცმა.

— **არა არ** გაგატანთო!

სტუმრები ადგნენ და წავიდნენ. ადგა ქალიც და მხიარულად წამოჰყვა მათ, ვერავინ დაუშალა. მოხუცმა ისინი დაასახლა კარგ ადგილას და დალოცა: სანამ სტუმარი არ შეგეძულდებათ, თქვენისთანა ბედნიერი არავინ იყოსო.

გავიდა ხანი. სამივე ძმა ბედნიერად ცხოვრობს. ამოიარა კიდევ ამ მოხუცმა კაცმა — წმინდა გიორგიმ. წვიმს. იმისთანა ავდარია, რომ გარეთ გასვლა არ შეიძლება. მიადგა უფროს ძმას.

— დამაყენე, წვიმაა, მაღლიაო!

— ჩემს ცოლს ხელი აქვს დამწვარი სტუმრის პურის ცხობით და არავის შემოვუშვებო, — უპასუხა უფროსმა ძმამ.

— რა ბედიც გქონდა, ის დაგრჩებაო! — უთხრა მოხუცმა, ახლა მიადგა საშუალ ძმას. იმანაც ასე უპასუხა სტუმარს:

— ჩემს ცოლს ხელი აქვს დამწვარი სტუმრის პურის ცხობით, არავის შემოვუშვებო.

— ძველი ბედი გექნებაო! — უთხრა მოხუცმა.

მიადგა უმცროს ძმას. შინ ცოლია, ქმარი მოკვდომია, კუბო უდგას და ტირის.

— მასპინძელო, მასპინძელო! კაი ქალო, დამაყენე ამაღამო!

დამწუხრებულმა ქალმა გამოხედა:

— მობრძანდი, ახლავე დაგვი სახლსაო!

ქალი დატრიალდა, ცრემლები მოიწმინდა, კუბო ბნელში მიმალა, სახლი დაგავა, ცეცხლი დაანთო, ქათამი დაკლა და სტუმარი მიიწვია.

— ოჰ, შენ მარტოდ ყოფილხარ, ქმარი სად არის? — ჰკითხა მოხუცმა.

— დიახ, მარტო ვარ, ქმარი ბაზარშია წასული, არ მოსულაო, — უთხრა მოწყენილმა ქალმა.

სტუმარმა იცის, რომ ქმარი მკვდარი ჰყავს და კუბოში ასვენია, ბნელში. ადგა სტუმარი, ეითომ გარეთ გასვლა უნდა, წავიდა სიბნელისაკენ, კუბოს

საფარი ახადა, შეუბერა, ვაჟი გააცოცხლა, რაც იყო, იმაზე უკეთესი გახდა, ხელი გაუყარა მკლავში და ოთახში შემოიყვანა.

— რატომ დაიგვიანეო? — ჰკითხა სახეგანათებულმა ქალმა ქმარს ისე, რომ სტუმარს არაფერი შეამჩნევინა.

— მე ყველაფერი ვიცი, კაი ქალი ყოფილხარ, ბედიც კარგი გექნებათო! — დალოცა მოხუცმა უმცროსი ძმა და მისი ცოლი, გამოემშვიდობა და წავიდა.

იმ დღიდან უმცროსი კიდევ უფრო მდიდარი და ბედნიერი გახდა. უფროსი ძმები დარჩნენ ისევ დაგლახაკებულები.

სიზმრის ახსნა

იყო საწყალი კაცი. ღარიბად ცხოვრობდა. მუდამდღე ტყეში ხმელ შეშას აგროვებდა, ყიდდა და თავს იმით ირჩენდა.

ერთ დღეს კაცი ჩვეულებრივ ტყეში წავიდა. უცებ გზაზე ხვრელიდან თავი გამოყო გველმა და უთხრა:

— თქვენს ხელმწიფეს სიზმარში უნახავს ცაზე ჩამოკიდებული სისხლიანი ქამარ-ხანჯალი, მაგრამ სიზმარი მისთვის ვერავის აუხსნია. წადი და მოახსენე: ეს სიზმარი იმის მომასწავებელია, რომ ჩქარა დიდი ომი ატყდება-თქო, და რითაც ხელმწიფე დაგასაჩუქრებს, შუაზე გავიყოთო.

კაცი გაიქცა და ეს ყველაფერი ხელმწიფეს უამბო. სიზმრის ახსნა ხელმწიფეს ძალიან ესიამოვნა და საწყალი კაცი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა. თვითონ კი დიდი ომისათვის მზადებას შეუდგა. კაცს დაენანა ამოდენა ოქრო-ვერცხლის შუაზე გაყოფა და გველის მოკვლა მოინდომა. გამოეკიდა, მაგრამ გველმა ხვრელში შეასწრო, მხოლოდ კუდი მოაწყვიტა.

გავიდა ხანი. ხელმწიფემ კიდევ ნახა სიზმარი. ახლა ვითომ ციდან მელა იყო ჩამოკიდებული კუდით. სიზმარი ვერავინ აუხსნა. ხელმწიფემ ისევ დაიბარა საწყალი კაცი და სიზმრის ახსნა მოსთხოვა. კაცს რა უნდა ექნა, მოსაფიქრებლად ორი კვირის ვადა ითხოვა. გამოემშვიდობა ხელმწიფეს და შინ წამოვიდა. გველთან მისვლა ვერ გაბედა. დიდხანს იყო დაღონებული, ვერა გაიგო რა. ბოლოს, კვლავ გველთან წასვლა გადაწყვიტა. მივიდა სოროსთან, დადგა შორი-ახლოს და სთხოვა გველს სიზმრის ახსნა. გველმა ჯერ ხმა არ გასცა, შემდეგ გამოვიდა და უთხრა:

— ეს სიზმარი მოასწავებს ისეთი წლის დადგომას, რომ ადამიანები ერთმანეთის მოტყუილების მეტს არაფერს გააკეთებენო.

გახარებული კაცი მაშინვე გაიქცა ხელმწიფესთან და სიზმარი აუხსნა. ხელმწიფემ კიდევ უფრო მეტი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა იგი. კაცმა ამდენი ოქრო-ვერცხლის მიღება სულ არ შეატყობინა გველს. ამის შემდეგ გველის რჩევა რაღაში დამჭირდებაო, — იფიქრა და შინ წაიღო.

კიდევ გავიდა დრო და ხელმწიფემ ისევ ნახა სიზმარი: ვითომ ციდან ვერძი იყო ჩამოკიდებული დუმით. სიზმრის ახსნა ვერავინ შეძლო. ხელმწიფემ ისევ დაიბარა საწყალი კაცი და სიზმრის ახსნა უბრძანა. შეწუხებულმა კაცმა მოფიქრებისთვის სამი კვირის ვადა ითხოვა. ბევრი იფიქრა, სხვებსაც ჰკითხა, მაგრამ ვერც რა თვითონ მოისაზრა და ვერც სხვამ ვერაფერი ასწავლა. მიადგა ისევ გველის სოროს. ყოველდღე დადიოდა აქ. სთხოვდა გველს დახმარებას, მაგრამ ის გარეთ არ გამოდიოდა.

ბოლოს, გამოვიდა გველი ხვრელიდან და უთხრა:

— ეს სიზმარი იმის მაუწყებელია, რომ წელს დიდი მოსავალი იქნება და ხალხი გამდიდრდებაო.

ხელმწიფეს ძალიან ესიამოვნა სიზმრის ახსნა და კაცი ახლა უფრო მეტი ოქრო-ვერცხლით დააჯილდოვა. კაცმა თქვა: ამოდენა სიმდიდრე გველის მეშვეობით შევიძინე, მოდი, ამ ოქრო-ვერცხლს მოლიანად გველს მივუტანო. ასეც მოიქცა. ყველაფერი გველს მიართვა. გველმა მადლობა მოახსენა:

— ეს შენი სურვილით კი არ ხდება, წელიწადია მოსავლიანი, უხვი და ოქრო-ვერცხლიც იმიტომ არ გშურსო! არც იმაში იყავი დამნაშავე, რაც უწინ ნაიდინეო, — უთხრა გველმა; გამოატანა ოქრო-ვერცხლი უკანვე და თვითონ სოროში შეძვრა.

იმათ მოსველამდის არაფერი გეტყინოთ!

ДЕДИНАЦВАЛИ ДА ГВЕРИ

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი. მომაკვდავმა დედამ ერთი ფინია და ერთი ძროხა დაუტოვა, თან ანდერძად დაუბარა: ვინიცობაა, შვილო, მამაშენმა მეორე ცოლი შეირთოს და ძროხა დაკლას, შენ ამ ძროხის ხორცი არ ჭამო და ძვლებს კი თავი მოუყარე და ორმოში ჩაყარეო...

მამამისმა მართლა მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალი გერს გაღაფიდა, სული იმის ფიქრში იყო, რა ხერხი ეხმარა, რომ დაეჩაგრა. აღგა და ავადმყოფობა მოიგონა, ლავაშები დააცხობინა, ზედ ლოგინი გაიშალა და დაწვა. გადაბრუნდ-გადმობრუნდებოდა და ლავაშებს მტვრევა გაჰქონდა. ქმარმა რომ ნახა, ჰკითხა: ქალო, ავად რითი ხარო?

— გვერდები მტკივა და მემტვრევაო, — მიუგო ცოლმა.

— მერმე რა უნდა-იწამლოო? — ჰკითხა ქმარმა.

— ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღვლას არ დალევ, არა გეშველება რაო, — უთხრა ცოლმა.

კაცმა იწყინა: დედამ ერთი ძროხა დაუტოვა თავის ქალს და როგორ დავუკლაო.რაკი აღარაფერი გაეწყობოდა, ძროხა დაკლეს. მაშინ აღგა გერი, ერთ დედაბრთან წავიდა და შესჩივლა: დედისეული დატოვებული ძროხა დამიკლესო.

— დედაშენმა რა გითხრაო? — ჰკითხა დედაბერმა.

ქალმა მიუგო: ასე მითხრა, ძროხის ხორცს ნუ ჭამ და ძვლებს კი თავი მოუყარეო. დედაბერმა დაარიგა: წადი, შვილო, ბაგის ქვეშ ორმო გათხარე და ის ძვლები შიგ ჩაყარეო.

გერი დაბრუნდა; ბაგის ქვეშ ორმო გათხარა, ძროხის ძვლები, ტყავი და თავ-ფეხი შიგ ჩაყარა და ზედ ფიცრები დაახურა.

დედინაცვალმა ნაღველა დალია და მორჩა. ადგა და გერი სამწყემსურში გაგზავნა. ერთი პური გაატანა და უთხრა:

— ეს პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო!

გერი წავიდა. ტყეში რომ შეეიდა, მაღლობზე შედგა, ტირილი დაიწყო და აბრეშუმის რთვას მოჰყვა. მაღლობიდან გადმოიხედა და ერთი სახლკარი დაინახა, შიგ დედაბერი იყო. მიეიდა სახლის ბანზე, ჩამოჯდა და აბრეშუმის რთვა დაიწყო. გერს კვირისტავი ჩაუვარდა და ჩახძახა: დედაშვილობას, ეგ კვირისტავი მომაწოდეო.

— დედაბერმა ასძახა: — აჰა, შვილო, კვირისტავიო; — მერმე უთხრა: ჩამოდი ძირს, ერთი სახლი დამიგავეო!

გერი ჩავიდა, სახლი დაუგავა, დაუწმინდა.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო! — უთხრა დედაბერმა.

დაურეცხა, დაუსუფთავა და დაულაგა.

— ერთი ქვევრებსაც დამიხედეო!

წავიდა, დახედა და მოახსენა: უჰ, რა კარგი და სუფთა ქვევრები გქონიაო.

ბოლოს უთხრა: შვილო, რადა ტიროდიო?

— დედინაცვალმა ეს აბრეშუმი და ეს პური გამომატანა. პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო; აბრეშუმიც დამირთეო!

დედაბერმა თავისი პური აჭამა, მისი კი უკანვე მისცა, აბრეშუმის ღართვაშიც მოეხმარა. დალამებისას კი შინ დაბრუნდა. გერი დედაბერს მიეჩვია და ყოველთვის, როცა სამწყემსურში წავიდოდა, იმას ესტუმრებოდა.

ერთხელ, გერი რომ მორჩა სახლ-კარის დაგვა-დალაგებას, დედაბერმა, თითქო მადლის გადასახდელადაო, უთხრა:

— წადი, შვილო, აგერ მდინარე წყალი მოდის, ნაპირას დაჯექ, თეთრმა წყალმა რომ ჩამოიაროს, არ იბანაო, არც შავში, არც ვირის ფერში; ოქროსფერმა რომ ჩამოიაროს, იმაში კი თავი დაისველე და ჩემთან მოდიო!

გერმა ოქროსფერ მდინარეში თავი დაისველა და დედაბერთან მოვიდა. ოქროს თმა ამოსვლოდა. თავი მაგრად შეუხვია და საღამოს შინ გაისტუმრა. გერი დედინაცვალს ეშალებოდა, ვაითუ თმა დამინახოს და მომკლასო.

მაგრამ მისი თმის ბრწყინვას დედინაცვალმა თვალი მოჰკრა, მიეარდა; თავს გადახადა, დახედა, გაოცდა და შურით გლეჯა დაუწყო.

მერმე დაწვრილებით გამოჰკითხა და როცა გერის თავგადასავალი შეიტყო, იმის მაგივრად ახლა თავისი საკუთარი ქალი გაგზავნა სამწყემსურში, თანაც დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პური და აბრეშუმ-თითისტარი გაატანა და რაც თავის გერს, იმასაც ისე დაუბარა.

წავიდა ქალი, ტყეში შეეიდა, შედგა დედაბრის სახლის ბანზე და ხელი მიჰყო აბრეშუმის რთვას, კვირისტავი ჩაუვარდა და გადასძახა:

— შე ქოფაკო დედაბერო, ეგ კვირისტავი მომაწოდეო!

— ჩამოდი და აიღეო! — უთხრა დედაბერმა.

ქალი ჩავიდა.

— აბა, ერთი სახლი დამიგავეო! — უთხრა დედაბერმა.

შევიდა სახლში და ყველაფერი მიუმტერ-მოუმტერია.

— ერთი ჭურჭელიც დამირეცხეო!

ჭურჭელი სულ დაუმტერია.

— ერთი ქვევრებს დამიხედეო!

— ფუჰ, ფუჰ! რა მყრალი ქვევრები გქონია, უწმინდურობით არის საესეო.

— აბა, შვილო, წადი, — უთხრა დედაბერმა, — ამა და ამ ადგილას დაჯექი; რამდენიმე წყალი ჩამოიღლის, მაგრამ თავი არ დაისველო, სანამ ვირისფერმა წყალმა არ ჩამოიაროსო.

ქალი წავიდა, ვირისფერ წყალში დაისველა თავი და ვირის ყურები გამოება. ადგა და დედასთან გაეშურა ტირილით და თავისი ამბავი შესჩივლა.

დედამ რომ ნახა, თავში ხელი იცა და ბევრი იდარდა, მაგრამ რაღას გააწყობდა.

ხანი გავიდა. დღესასწაულმა მოატანა. დედინაცვალი თავისი ქალით თემობაზე წავიდა და გერი კი შინ დატოვა. ერთი კოდი ფეტვი დაუყარა და საცეხველი დაუდგა: ეს ფეტვი ცრემლით ისე აკრიფე, ერთი მარცვალიც არ დარჩესო.

გერმა ტირილი მორთო, წავიდა და დედაბერს შესჩივლა: ასეა ჩემი საქმე და რა ვქნაო?

— ნუ გეშინია, შვილო, წამოვალ და მაგ საქმისა მე ვიციო.

წამოჰყვა, დაუძახა, რაკ ქვეყანაზე ფრინველი იყო, და უთხრა: ეს მარცვლები აკრიფეთო!

ფრინველებმა აკრიფეს და საბათმანოში ჩაყარეს; მერმე დედაბერმა საცეხველში წყალი ჩაასხა. მარილი ჩაყარა და უთხრა გერს:

— ადე, შვილო, ხელ-პირი დაიბანე, წადი და საცა ძროხის ძვლები ჩაყარე, იმ ორმოს ახადე და ასე თქვი: რაშო, ყველაფრით გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანე-თქო!

გერი წავიდა, ორმოს თავს დაადგა, ყველაფერი უთხრა, როგორც დედაბერმა დაარიგა. რაში შეკაზმული ამოვიდა და გერის ტანისამოსიც ამოიტანა. ჩაიცვა გერმა და რაშზე შეჯდა, დედაბერმა უთხრა: წადი ახლა დღეობაში, ცალ ხელში თვალ-მარგალიტი დაიჭირე, ცალ ხელში — ნაცარიო!

გერი წავიდა. რაშიანი ქალი რომ ნახეს, გაუკვირდათ. თვალ-მარგალიტი მამისკენ გადაყარა, ნაცარი — დედინცვლისაკენ და საჩქაროდ გამობრუნდა, რომ შინაურებისათვის შინ მიესწრო, მაგრამ მდინარე წყალში გასვლის დროს ცალი ქოში ჩაუვარდა. შინ რომ მივიდა, ტანთ გაიხადა, ტანისამოსი შეახვია და რაშს დააკრა, ბაგაზე შეიყვანა და უთხრა: რაშო, ჩაბრძანდი შენ ადგილასო.

Ungeheuer in Menschengestalt

რაში ჩავიდა, გერმა ორმოს თავი დახურა, შემობრუნდა შინ, ძველებურადვე მობურდნული დაჯდა კერასთან და დაიწყო ტირილი.

დედინაცვალი რომ დაბრუნდა, გერს თავში ჩაჰკრა და უთხრა: შენმა სიცოცხლემ, სწორედ შენა გგავდა, დღეობაში რომ ქალი ვნახეო!

იმ მდინარე წყალზე, სადაც გერს ქოში ჩაუვარდა, ხელმწიფის მეჯინიბეებმა ცხენები ჩაიყვანეს წყლის დასალევინებლად. ცხენები დაფრთხნენ და წყალი აღარ დალიეს, რაკი შიგ ოქროს ქოში ბრწყინავდა.

ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა: მდინარეში რაღაცა გდია, ცხენები დაფრთხნენ და წყალი არ დალიესო.

ხელმწიფემ მაშინვე მცურავები გაგზავნა. მცურავებმა ქოში ამოიღეს და ხელმწიფეს მიართვეს.

ხელმწიფემ ქოში იასაულებს მისცა და უბრძანა: რკინის ქალამნები ჩაიცვით, რკინის ჯოხები დაიჭირეთ, წადით, ცისქვეშეთი დაიარეთ, სადაც ქალამანი გაგიცვდეთ და ჯოხი გაგიტყდეთ, იქ იქნება ამის ჩამცმელი ქალი და წამოიყვანეთო.

ქვეყანა მოვლეს, მივიდნენ იმ გლახისას, სადაც ის ქალი იყო. ჯოხიც იქ გატყდა და ქალამნებიც იქ გაცვდა.

— სახლში შეგვიშვით, უნდა შევამოწმოთო! — უთხრეს იასაულებმა.

დედინაცვალმა არ შეუშვა, ხელი ჰკრეს, შეცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. დედინაცვალმა გერი საჩქაროდ თონეში ჩააგდო, ჭილობი გადააფარა, ზედ სიმინდი დაყარა და კრუხ-წიწილს დაუძახა. მივარდა თავის ქალს, ქოშის ცემა დაუწყო, მაგრამ არ მოერგო. იასაულები გავიდნენ ეზოში, ნახეს ფინია თონეს გარშემო ურბენდა და იძახდა: თეთრი ქალია თონეში, თეთრი ქალია თონეშიო!

მივიდნენ, თონეს ახადეს და მშვენიერი ქალი კი ამოიყვანეს. ქოში რომ ნახა, თქვა, ჩემიაო, ჩაიცვა და მოერგო. წაყვანა დააპირეს, მაგრამ გერმა მოახსენა: აქ მომიცადეთ და ახლავე გეახლებითო.

წავიდა, ორმოს თავს დადგა, ახადა და უთხრა: რაშო, ყველაფრით გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეო. რაში მაშინვე ამოვიდა. ქალმა ტანთ ჩაიცვა, მზეს დაემსგავსა, შეჯდა რაშზე და იასაულებს წაჰყვა. დედინაცვალი მოახლედ წაიყვანეს და მასთან მისი ქალიც.

გზაში მდინარე წყალი დახვდათ გასავლელი. დედინაცვალს თურმე კალთაში კატა გაეხვია. წყალს რომ მიუახლოვდნენ, კატა გაუშვა და დაიყვირა: არიქა, კურდღელი, კურდღელიო!

იასაულები გამოუდგნენ. დედინაცვალი მაშინვე გერსა სწვდა, ტანსაცმელი გახადა, თავის ქალს ჩააცვა და რაშზე შესვა, გერს კი ხელი ჰკრა და წყალში ჩააგდო. გერი თევზმა ჩაყლაპა. დედინაცვლის ქალი ხელმწიფეს მიჰგვარეს. იქორწილა. ვირის ყურები რომ უნახა ქალს, არ იამა, მაგრამ რას იზამდა.

ერთი მებადური თურმე იმ მდინარეზე თევზაობდა; ბადე ისროლა, ნახა, რომ დიდი თევზი მოედო, გამოიტანა, თევზი გამოფატრა და ცოცხალი ქალი გამოიყვანა.

მებადური თვითონ უშვილო იყო და თქვა: ღმერთმა შვილი მომცაო. ქალმა უთხრა: რადგან წყლიდან გამომიყვანე და ქვეყნიერება დამანახვე,

წამიყვანე და ბელსა გწყევო. მებალურმა ცოლს მიჰგვარა: შვილი მაინც არა გვყავდა და ახლა ღმერთმა ეს ქალი მოგვცა შვილადო.

კარგად მოუარეს, ჩააცვეს და დაახურეს. გერი თუ უწინ კარგი იყო, ახლა ერთიორად უკეთესი გახდა. კარგა ხანმა გაიარა. მებალურს უთხრა:

— მამავ, ესა და ეს ხელმწიფე დამიპატიჟეო.

— შვილო, ჩვენ რა გვაქვს მისი საკადრისი, ან რა ღირსი კარი, ხელმწიფე დავპატიჟოთო.

შვილობილმა დაამშვიდა: ნუ გენაღვლება, მზალს გავაკეთებ და იმაზე მოვიწვევო.

ხელმწიფე ხანადიროდ დადიოდა. მებალური შემოეყარა და მოახსენა: ხელმწიფეე, გთხოვთ, ღარიბის ოჯახში მობრძანდეო.

ხელმწიფემ თქვა: რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან, რომ მპატიჟებსო, და ეწვია. სახლში რომ შევიდა, სკამი მიართვეს. ხელმწიფე დაბრძანდა. ქალმა მზალი, ჰური და ღვინო მიართვა. ქალს პირბალე ჰქონდა ჩამოფარებული.

ნემო ხელმწიფეე, მე ამის მეტი შეძლება არა მქონდა, რომ გაგმასპინძლებოდიო.

ხელმწიფეს გაუკვირდა: პირახვეული რად არისო?

— სიჭვა მაქვს მოხახსენებელი, იმიტომ გავბედე და გაგაღნიერდი, შენ ღაპატიჟებას მამანემი ვერ ბედავდა, მაგრამ ძალა ღავატანეო.

— აბა, პირს აიხალე და მითხარი, რა გაქვს სათქმელიო.

ქალმა პირბალე აიხადა. ხელმწიფემ რომ შეხედა, მისი მშვენიერებით გაოცდა და ოქროს თმამ გააკვირვა.

ქალმა უამბო თავისი ოვგადასავალი.

ხელმწიფემ მაშინვე გაგზავნა იასაულები; ორივე დედა-შვილი მოაყვანინა, ცხენის კუღზე გამოამბეკინა და ისე ათრეკინა.

ქალი წაიყვანა, მეოთეზე და მისი ცოლი თან გაიყოლა.

შინ რომ მივიდა, იქორწილა და იწყეს ბედნიერი ცხოვრება. მათი ნახვა მტერსაც კი უხაროდა.

ელასა, მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა.

ა რ ვ ი ც ი ა

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა მოჯამაგირე, რომელიც მონადირე გახლდათ. დადიოდა იგი ხანადიროდ და ნანადირევი ხელმწიფესთან მიჰქონდა. ერთ ღღეს მონადირემ არაჩვეულებრივი ჩიტი დაინახა. იფიქრა, ცოცხლად დავიჭერო, მივიდა, სტაცა ხელი, ჩაისვა უბეში და გასწია შინისაკენ. მიიყვანა ჩიტი შინ და ჩაკეტა.

მეორე დღეს მოჯამაგირე ისევ სანადიროდ წავიდა. როცა შინ დაბრუნდა, ნახა, რომ ჩიტი მზეთუნახავ ქალად ქცეულიყო.

მონადირე მთელ დღეებს ქალთან ატარებდა; ხელმწიფემ იფიქრა, რაღაც ცუდი ამბავია ჩემი მონადირის თავსო და გაგზავნა ორი ვეზირი. ვეზირები მივიდნენ მონადირესთან, დაინახეს მზეთუნახავი ქალი, თვალი ვეღარ მოაშორეს და იქ დარჩნენ.

გაუკვირდა ხელმწიფეს, რომ აღარც ვეზირები გამოჩნდნენ და კიდევ გაგზავნა ორი ვეზირი. იმათაც ისე მოუვიდათ, მზეთუნახავს თვალი ვერ მოაშორეს და იქ დარჩნენ.

შეწუხდა ხელმწიფე, რაღაც კარგი ამბავი არ არისო, და ახლა უფროსი, გამოცდილი ვეზირი გაგზავნა და უთხრა: წადი და გაიგე, რა ამბავია, რა მოუვიდათ მონადირესა და ვეზირებსაო!

ვეზირი წავიდა, ნახა ყველაფერი, დაბრუნდა მეფესთან და უთხრა: რა მოგახსენო, ბატონო, მონადირეს ისეთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, რომ შენ არც დაგსიზმრებიაო.

ხელმწიფეს ეუცხოვა ეს ამბავი და თქვა: მონადირეს უნდა მოვუხერხო რაიმე და მზეთუნახავი წავართვაო.

რჩევა-დარიგებისათვის დაიბარა ვეზირები. ერთმა ურჩია, დაავალე: მთა, რომელიც დილის მზეს გიფარავს, ხვალ დილამდის აწმინდოსო. ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და უთხრა:

— აი, ეს მთა ხვალ დილამდის უნდა აწმინდო, თუ არადა, შენი მზეთუნახავი უნდა მომცეო!

შეწუხდა მონადირე, დაბრუნდა შინ და უამბო ქალს, რაც ხელმწიფემ დაავალა.

— ეს არაფერიაო, — უთხრა ქალმა, მისცა ერთი ვაშლი და დაარიგა: ამ ვაშლს გაჰყევი; სადაც ვაშლი გაჩერდეს, იმ ეზოში ჩადი, სატეხი და ეჩო ითხოვე და მოგცემენო.

ვაშლი გაგორდა და ერთ ეზოში გაჩერდა. ეს თურმე მზეთუნახავის მშობლების სახლი იყო. დედ-მამამ მაშინვე იცნო ვაშლი და მონადირე კარგად მიიღეს. მონადირემ სატეხი და ეჩო მოითხოვა, ამათაც მისცეს და გამოისტუმრეს.

მოვიდა ვაჟი შინ და მოიტანა სატეხი და ეჩო. ცოლმა უთხრა: ამ საღამოთი დაიძინე, ხვალ ადრე ადექი, დაიჭირე ეჩო და სატეხი და იმუშაეო!

მონადირე დაწვა და დაიძინა. მეორე დილით წავიდა და ნახა, მთა აწმენდილი იყო. მივიდა, დაუწყო მიწას სწორება.

ხელმწიფეს გამოეღვიძა და ძალიან გაუკვირდა. დაიბარა ისევ ვეზირები და ჰკითხა; როგორ მოვიშორო ეს ჩემი მონადირე თავიდანაო?

ახლა მეორე ვეზირმა ურჩია: უბრძანე, ზღვის გაღმა ქალაქი რომ არის, ის ხვალ დილამდის გამოღმა გამოიტანოსო.

ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და ის დაავალა, რაც ვეზირმა ურჩია.

მონადირე დაღონდა და ისევ ცოლს დაეკითხა: რა მეშველება, როგორ მოვიქცეო? ქალმა ისევ ვაშლი მისცა და უთხრა: გაჰყევი ამ ვაშლს, სადაც გაჩერდება, იქ მოითხოვე საყვირი. მინდორში როცა გამოხვალ, დააყვირე

და რაც ქვეყანაზე ნაღირია, ყველა მოგროვდება და უთხარი შენი გაჭირვებაო!

მონადირე ასეც მოიქცა. საყვირის ხმაზე მოცვივდნენ ნადირები და უთხრეს: რაზე დაგჭირდით, ბატონოო?

მონადირემ უთხრა ნადირებს: ასე და ასე არის ჩემი საქმე, ეს ქალაქი, წყლის გალმა რომ არის, ხვალ დილამდის გამოღმა გააშენეთო!

ნადირებმა მოისმინეს მონადირის სიტყვა და წავიდნენ. მონადირე დაბრუნდა შინ. მეორე დღეს გაიხედა და დაინახა წყლის გამოღმა გაშენებული ისეთი მშვენიერი ქალაქი, რომ უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავდა. ხელმწიფეს ეწყინა ეს, მაგრამ რას იზამდა. ბოლოს, ერთმა ვეზირმა ურჩია: უბრძანე, „არვიცია“ მოგიტანოსო.

ხელმწიფემ მოიხმო მონადირე და უთხრა: გაძლევ სამი დღის ვადას, თუ მოგიტანია „არვიცია ,“ ხომ მოგიტანია, თუ არადა, მოგკლავ და შენს მზეთუნახავს მე წავიყვანო.

წავიდა მონადირე „არვიციას“ საშოვნელად. იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ უდაბურ ტყეში. იქ ერთი ქოხი ნახა. ქოხში ერთი ბებერი იჯდა და იძახდა: პილტონ, აბა, სადილი მომიტანეო!

მაშინვე სადილი გაჩნდა.

— აბა, პილტონ, ღვინო დამისხიო, — თქვა ბებერმა.

ღვინოც დაუსხა ვილაცამ თუ რაღაცამ. მონადირე გაოცებული იდგა და ფიქრობდა: ნამდვილად ეს უნდა იყოს „არვიციაო .“ ბებერი გარეთ გამოვიდა. მონადირე ჩუმად შევიდა ქოხში, ისადილა და ბოლოს დაიძახა: პილტონ, მოდი, ღვინო ღალიეო.

მონადირეს მოესმა ხმა: არა, ბატონო, მაღლობას გწირავ, მე ღვინოს არა ვსვამ; რამდენი ხანია ბებერს ვემსახურები, იმას ჩემთვის ერთი წვეთი ღვინო არ მოუწოდებია და შენ კი მოსვლისთანავე მომაწოდეო!

მონადირეს უკვირდა: რა სულდგმულია, რომ ლაპარაკობსო. ბოლოს დაიძახა: პილტონ, წამოხვალ ჩემთან თუ არაო?

კი, ბატონოო, — მოესმა ხმა.

წამოვიდა შინ და გზაზე მალიმალ გაიძახოდა: პილტონო!

რაა, ბატონოო? ესმოდა პასუხი.

გზაზე ერთი კაცი შეხვდა, რომელსაც ყუთი მიჰქონდა. ახადა ამ კაცმა ყუთს თავი და უცბად ჯარი ამოცვივდა. კაცმა ისევ ჩარეკა ჯარი ყუთში, დახურა, მოიკიდა ზურგზე და წასვლა დააპირა.

მონადირემ უთხრა: მოდი, კაცო, დავჯდეთ, პური ვჭამოთო.

მგზავრმა უპასუხა: არც შენა გაქვს რაიმე, არც მე, რა უნდა ვჭამოთო.

მონადირემ დაიძახა:

— პილტონ, სუფრა გაშალეო!

გაიშალა სუფრა ნაირ-ნაირი საჭმელებით. დასხდნენ და ისაუზმეს.

— პილტონ, აალაგე სუფრაო, — დაიძახა მონადირემ და სუფრა გაქრა.

მგზავრს გაუკვირდა ყველაფერი ეს და სთხოვა მონადირეს: გამიცვალე შენი პილტონი ჩემს ყუთშიო.

მონადირეს ჩასჩურჩულა ხმამ: გაატანე ჩემი თავი, ცოტაზე გაეყენები და ისევ შენთან დაბრუნდებიო.

მარილა გაცვალეს. ცოტა მანძილი გაიარა მონადირემ და მოესმა ხმა: დაბრუნდიო.

მონადირე მივიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ჰკითხა:

— რა ჰქენი, მოიმიყვანე „არვიციაო ?"

ამ დროს ხელმწიფეს სტკიცა ვილაცამ სილა და ჰკითხა:

— აბა, იქეი, ვინ შემოგკრა სილაო?

— არ ვიციო!

— მე გახლავარ „არვიციაო ," — მიუგო ხმამ.

ხელმწიფე საშინლად გაბრაზდა, უნდოდა მოეკლა მონადირე, მაგრამ მონადირემ ახალა ყუთის თავი, ამოცვივდა ჯარი და დახოცა ხელმწიფე და მისი ვეზირები.

მონადირე დაჯდა ხელმწიფედ, მზეთუნახავი — დედოფლად და „არვიცია" უფროს ვეზირად.

გუშინ იქ ვიყავი,

ღღეს აქ მოვედი.

უმცროსი ვაჟი და მგელი

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი შვილი. ხელმწიფეს მთაში ბაღი ჰქონდა, ბაღში იდგა ერთი შესანიშნავი ხე და ოქროს ნაყოფს ისხამდა. ერთი ფრინველი შეეჩვია ბაღს, ყოველთვის მიდიოდა და მიჰქონდა ხილი. ხელმწიფე დიდად წუხდა და უბრძანა თავის შვილებს: უდარაჯეთ ამ ხეს და ქურდი დამიჭირეთო.

პირველად სადარაჯოდ წავიდა ორი უფროსი შვილი, მაგრამ ვერ დაიჭირეს ქურდი. მერმე წავიდა უმცროსი, ავიდა ხეზე და დაუდარაჯდა ქურდს. ამ დროს მოფრინდა ერთი უზარმაზარი ფრინველი, მოგლიჯა ნაყოფი და უნდოდა, წაელო. ყმაწვილმა ხელი სტაცა, მაგრამ ვერ შეიმაგრა, მხოლოდ ერთი ფრთა გამოაგლიჯა. მიუტანა მამას და მოახსენა: ჩვენი ქურდი უზარმაზარი ფრინველი ყოფილა. თვითონ ვერ დავიმორჩილე, ფრთა გამოვგლიჯე და მოგიტანეო.

ხელმწიფემ მოიხმო თავისი შვილები და უთხრა: ჩემი შვილი ის იქნება, ვინც ამ ფრინველს მომგვრიხო.

პირველად ორი უფროსი ძმა წავიდა. დიდი ღრო გავიდა და აღარ დაბრუნდნენ. აღგა და უმცროსი ძმაც წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთი ხის ძირას. ხის ძირში ერთი ქვა იდო და ზედ ეწერა: მარჯვნივ წახვალ, წყალში ჩავარდები; მარცხნივ — ცეცხლში ჩავარდები, შუა გზაზე მგელი შეგჭამსო. ყმაწვილმა მგლისაკენ წასვლა ირჩია. კარგა ხანს იარა და გავიდა ერთ მინდორში. იქ ჩამოხტა ცხენიდან და დაისვენა. ამ დროს გამოვარდა მგელი, მივარდა ცხენს და შეჭამა. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო. მგელმა გამოჰკითხა: ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიხვალო?

ყმაწვილმა ყველაფერი უამბო. მგელმა უთხრა:

– შემაჯექ ზურგზე და მე დაგეხმარებიო.

შეაჯდა ზურგზე ყმაწვილი, მგელმა სასახლეში მიიყვანა და უთხრა: აგერ იმ ფრინველის გალია, მიდი ჩუმად, გალიას ხელი არ ახლო, ფრინველი კი გამოიყვანეო!

ყმაწვილმა არ გაუგონა, გალიას ხელი ახლო, შეიქნა საშინელი ზარის რეკვა. გამოცვივდნენ მოსამსახურენი, დაიჭირეს ყმაწვილი და მიჰგვარეს ხელმწიფეს.

ხელმწიფემ ჰკითხა: ვინა ხარ, რომ აქ შემოსვლა გაბედე ფრინველის მოსაპარადაო?

ყმაწვილმა თავისი ამბავი უამბო. ხელმწიფეს უნდოდა მოეკლა, მაგრამ ყმაწვილი შეეეჭვდა. ხელმწიფემაც აპატია, მხოლოდ უბრძანა: ერთ მეფეს რომ ოქროსფაფრიანი ცხენი ჰყავს, წადი და ის მომგვარე, თორემ ჩაგიგდებ ხელშიო.

გამოვიდა დაღონებული ყმაწვილი და უამბო თავის მგელს ეს ამბავი.

– შენ ნუ გეშინია, შემაჯექ და ახლა იქ წაგიყვანო, – უთხრა მგელმა.

შეაჯდა ზურგზე და წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ მეფისას. მგელმა უთხრა: აგერ ცხენი, მაგრამ ოქროს უნაგირს ხელის ნუ მოჰკიდებ, მხოლოდ ცხენი წამოიყვანეო.

ყმაწვილმა არც აქ დაუჯერა, მოჰკიდა უნაგირს ხელი, საშინელი ზარის რეკვა ატყდა. გამოცვივდნენ, დაიჭირეს ყმაწვილი და მიუყვანეს მეფეს.

აქაც გაურისხდა მეფე: როგორ გაბედე ცხენის მოპარვაო! პირობით მოგიტევებ, თუ წახვალ ერთ სახელმწიფოში, სადაც ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავთ, და იმ ქალს აქ მომგვრიო.

ეს ამბავიც უამბო თავის მგელს. მგელმა ზურგზე შეისვა და წაიყვანა. იარა, იარა და მივიდა იმ სასახლეში. აქ მგელმა უთხრა: ახლა კი დამიჯერე, რაც გითხრა, თორემ ველარას გიშველიო. კარს ხელი არ ახლო, მხოლოდ ქალი წამოიყვანეო. ყმაწვილიც სწორედ ისე მოიქცა და გამოიყვანა მზეთუნახავი ქალი. მაშინ მგელმა უთხრა: ამ მზეთუნახავ ქალს ნუ დავკარგავთ, მე გადავიქცევი მაგ ქალად და მიმიყვანე იმ ხელმწიფესთანაო.

გადაიქცა ქალად მგელი. ყმაწვილმა მიჰგვარა ხელმწიფეს და მიიღო ოქროსფაფრიანი ცხენი. ყმაწვილი წამოვიდა. მგელიც გამოექცა იმ ხელმწიფეს და დაუხვდა წინ ყმაწვილს. ახლა ოქროსფაფრიან ცხენად გადაიქცა. ყმაწვილმა ცხენის მაგიერ მგელი მიჰგვარა ხელმწიფეს და ფრინველი მიიღო. მგელი იქიდანაც გამოიქცა და ყმაწვილს უთხრა: ახლა სამივე შენია, წადი და წაიყვანე, ნუღარაფრისა გეშინიაო!

ყმაწვილმა მადლობა გადუხადა, გახარებულმა სამივე წაიყვანა და მშვიდობით მივიდა თავის მამასთან.

ოქროსფერი ფაფარ და ბეგლარი

სამი ძმა და მათი და

იყო სამი ძმა. ჰყავდათ ერთი და. დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ძმებს ურიცხვი ხარი და ძროხა დარჩათ. ის და გამხეცებული ვინმე იყო, მუდამ ტყეში ცხოვრობდა. მიეჩვია თავისი ძმების ჯოგს. ყოველ ღამე ჯოგში საუკეთესოს ირჩევდა, ტანს ჭამდა, თავს კი საღღაც შორს გადააგდებდა ხოლმე. შეწუხდნენ ძმები, არ იცოდნენ, როგორ დაეცვათ ჯოგი დის ღორმუცელობისაგან. ივეზირეს და ისე გადაწყვიტეს: თითო ძმას ყოველ-ღამე მორიგეობით უნდა ედარაჯნა პირუტყვისათვის.

პირველ ღამეს უფროს ძმას შეხვდა ჯოგის დარაჯობა. დარაჯობს უფროსი ძმა შუაღამემდე, შუაღამის მერმე ძილი მოერია და დაიძინა. გათენებისას მოვიდა და, ხარი აირჩია ჯოგში, ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო. ნახა ეს მეორე დღეს უფროსმა ძმამ, ძლიერ ეწყინა, მაგრამ რას უშველიდა. შინ წამოვიდა.

მეორე ღამეს საშუალი ძმა წავიდა ხაღარაჯოდ. შუაღამემდე ამანაც უყარაულა ჯოგს. შუაღამის მერმე დაეძინა. გათენებისას იხვე მოვიდა და საუკეთესო ძროხა ამოირჩია, სტაცა ხელი. ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო. საშუალი ძმაც შეწუხებული დაბრუნდა შინ.

მესამე ღამეს უმცროსი ძმა წავიდა ჯოგის საღარაჯოდ. შუაღამემდის იძინა, საშუალამეს გამოიღვიძა, გათენებისაჰ მოვიდა კიდეც იხ ალქაჯი, დაერია ჯოგს, ყველას მოერია, მხოლოდ ერთი ურქო ხარი ბაბუ ვერ დაიმორჩილა. ამ ღამეს ჯოგში ვერც ერთი სული ვერ დააშავა. მეორე დღეს უმცროსი ძმა შინ მოვიდა. უთხრა თავის ძმებს, გავიყაროთო. ჩემ წილად არაფერი მინდა სხვა, მხოლოდ ურქო ხარი მომეციოთ.

— თუ არ გეცოტავება წილად, ბაბუს როგორ არ მოგცემთო, უთხრეს ძმებმა.

მიიღო წილად უმცროსმა ძმამ ბაბუ, ჩაბა ბაწარი და გასწია თავის გზაზე. იარა, იარა, ორ ზღვას შუა მივიდა. იქ ერთი დევი ცხოვრობდა. მიაღგა დევის კარს და დაუძახა:

— დედავ, კარი გამიღეო!

— ჰე, ისევც აშენებულხარ, ვიღაცა ხარ, მე დედის დამძახებელი ვინმე მყავდეს! ერთი შვილი მყავდა და ისიც შარშან ლაშქარს მომიკლესო!

— არა, არ მოუკლავთ, მე ვარ შენი შვილიო!

ქალმა ვერაფერი თქვა, ჩაჯდა, ხელები დაიბანა, გობი გამორეცხა და ფქვილი მოცომა.

— დედა, რას შვრები მაგასაო? — უთხრა ამ კაცმა.

— აბა, რა უნდა ვქნა, მყავდ წყალი აქვე გამოდის. მაგრამ სამი დევი დაეპატრონა და მე არ მანებებენო. წავიდა ეს კაცი, მყავდ წყალი ნახა, დალია, ისეთია, რომ მისთანა თავის დღეში არა უნახავს რა: შუშხუნა.

საამო, ოქროს ღარი უდგას, ოქროს ქვიშა გარს არტყია. დაბრუნდა ღევთან, წყლის ჭურჭელი აიღო, წაეიდა მყავე წყალზე. ჭურჭელი აავსო, ღევს მოუტანა, მერმე ბაბუ წაიყვანა წყლის დასალევად. ბაბუ რომ მყავე წყალზე მიიყვანა, დაინახა, ისეთი დიდი შავი ღევი მოდის მისკენ, რომ მიწას აზანზარებს: იმდენი ხარისა და ცხენის ჯოგი მოყავს, რომ იქაურობა ააავსო. დაინახა ეს კაცი ღევმა და დაუძახა:

— ვიღაც კაცუნა ჩემს მყავე წყალთან ხარ, თუ მანდ დამხვდი, შენს რბილს შევჭამ და ძვალს დავნაყავო!

— ჰა, შე ბილწო, შენმა სიცოცხლემ, გამოვლევ შენს მყავე წყალს განა!

არ მოერიდა ღევს და აქვე დაუცადა. მოვიდა ღევი. ჯერ ხარის ჯოგი მიუშვა წყალზე, მერმე ძროხისა, როცა ამათ წყალი დაალევინა, უთხრა ამ კაცს:

— მოდი, ერთი, შენი ხარი და ჩემი ჯოგი დავაჯახოთო.

— ჩემმა ხარმა როგორ უნდა გაუძლოს მთელ ჯოგს, მაგრამ შენი ნება იყოს, რაც იქნება, იქნებაო, — უთხრა კაცმა.

მიუშვეს ერთმანეთთან ბაბუ და ღევის ჯოგი. მაშინვე ეძგერა ბაბუ ჯოგს, ისე დაიმორჩილა, რომ კლდის ძირში მიიმწყვდია მთელი ჯოგი. ღევი ცულ გუნებაზე დადგა. რას იფიქრებდა, თუ ერთი ბაბუ მოერეოდა მის ურიცხვ ჯოგს. უთხრა კაცს ღევმა:

— ეხედავ, რომ შენმა ბაბუმ აჯობა ჩემს ჯოგს, მოდი ახლა მე და შენ ვიჭიდაოთო.

მოჰკიდა ხელი ღევმა და როგორც უნდა, ისე აბურთავებს კაცსა, ის-ის არის, მიწას უნდა დაახეთქოს და ამ დროს კაცმა დაიძახა:

- აბა, ჩემო ბაბუ, ხომ ხედავ, გასაჭირში ვარ, მიშველე რამეო!

გამოვარდა ბაბუ, ამოჰკრა თავი, ღევს გული შეუღონდა და იქვე დაეცა მიწაზე. კაცი ზედ დაადგა ღევს, მოკვლას უპირებს. ღევმა უთხრა:

-- ნუ მომკლავ და ჩემი ჯოგის ნახევარს შენ მოგცემო.

კაცი ბაბუს დაეკითხა:

— ავუშვა თუ არა ღევიო?

აუშვი და სიკეთესაც დაგაყრის: ჩემს თავს წაგართმევს და შენც მოგკლავსო!

მოუქნია დაშნა და კისერი გააგლებინა ღევს. მკვდარი იქვე დატოვა, მოსდგა ხელი მის ჯოგს და ნაცნობი ღევისას ძირეკა. მეორე დღეს დაბრუნდა მყავე წყალთან. ბაბუც თან წაიყვანა: გაიხედა, მოდის წითელი ღევი, სიმძიმით დედამიწას აზანზარებს. ღევი თან მოერეკება ცხვრისა და თხის ფარას. დაინახა ეს კაცი მყავე წყალზე და დაუძახა:

— ვაღაცა ხარ მანდ, ნუ დამხვდები, თორემ უბედურ დღეს დაგაყენებო.

-- შე ბილწო, შენმა სიცოცხლემ, ამოწურავს მყავე წყალს ჩემი ხარიო!

მოვიდა ღევი, ჯერ ცხვრის ფარას დაალევინა წყალი, მერმე თხისას. შემდეგ უთხრა ამ კაცს:

— მოდი, ბაბუ და ჩემი ფარა შევაჯახოთ ერთმანეთსო.

— კარგიო.

მიუშვეს ერთმანეთზე ბაბუ და ღევის ფარა. ბაბუმ დაიმორჩილა ფარა. ძლიერ ეწყინა ეს ღევს, მაგრამ რას იზამდა.

- აბა, ახლა მე და შენ ვიჭიდაოთო.

არ უნდა ამ კაცს, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა. ეცა დევი, ბურთივით აათამაშა ხელში. ეს-ესაა, უნდა დაახეთქოს მიწას, ამ დროს კაცმა დაუძახა თავის ბაბუს: აბა, ჩემო ბაბუ, მიშველე რამეო!

ბაბუ ეძგერა დევს, თავბრუდასხმული გაშხლართია მიწაზე. კაცმა ამ დევსაც თავი გააგდებინა. ფარასაც თვითონ დაეპატრონა და გამორეკა ნაცნობი დევისას.

მესამე დღესაც გაეშურა მჟავე წყალზე. გაიხედა, მოდის თეთრი დევი, ისეთი ხმაურითა და ზრიალით, გეგონება, დევთან ერთად მთა და ბარი მოდისო. დევს ურიცხვი ცხენის ჯოგი მოყავს. დაუძახა ამ კაცს.

— ვილაცა ხარ, ჩემს მჟავე წყალზე დამდგარხარ, გირჩევნია, თავს უშველო, თორემ შავ დღეს დაგაყენებო!

— შე ბილწო! რას გიშავებ აქ, იქნება გგონია, ჩემმა ბაბუმ ამხელა წყალი ამოწრეპოსო!

მოვიდა დევი. ცხენის ჯოგს წყალი დაალევინა და მერმე ამანაც ისე უთხრა, როგორც წინა დევებმა უთხრეს. ბაბუმ მის ჯოგსაც აჯობა. დევს ეწყინა და აღარც უკითხავს, ისე ეცა კაცსა. ეს-ესაა, უნდა გაათავოს კაცი, მაგრამ ისევ ერთგულმა ბაბუმ უშველა პატრონს.

მოუქნია კაცმა დაშნა, შემოჰკრა კისერზე, მაგრამ ტყავიც ვერ გაუჭრა. ამ დროს დევის პირიდან თაგვი ამოძვრა.

— ჰე, შე საწყალო კაცო! ამას, შენ რომ გგონია, ისე ვერ მოკლავ, მაგრამ მე გასწავლი ხერხს. ამ დევს საკუთარი ხმალი აქვს, ამოიღე როგორმე, დაადევ კისერზე; შენ უსვი ხმალი და მე წყალს გისხამ. მხოლოდ ასე შეიძლება, თავი გააგდებინო!

ამ კაცმა ასე ქნა: თვითონ ხმალს უსვამს, თაგვი წყალს უსხამს. ცოტა უკლია კაცს, რომ კისერი გააგდებინოს დევს და ამ დროს თაგვმა ურჩია: ასე უთხარი დევს, რაც შენს სიცოცხლეში აღამიანი და პირუტყვი გადაგიყლაპავს, ყველა ფეხზე დამიყენე და არ მოგკლავ-თქო. კაცმა აგრე უთხრა დევს. დევმა მიუგო:

— ფერდის ძვალი გამომიღე და, რაც აღამიანი და პირუტყვი ჩამიყლაპავს, ყველანი ცოცხლად გამოვლენო.

კაცმა ერთის მაგიერ ორი გამოიღო. იმდენი კაცი და საქონელი გამოვიდა ფერდიდან, რომ აავსო მინდორი. ყველაზე ბოლოს წმინდა გიორგის მწყვრები გამოვიდნენ, მაგრამ ისინი ბრმები იყვნენ.

— ჰა, შე ბილწო, ბრმა მწყვრები რად მინდა! ახლავე აუხილე თვალები, თორემ ეს-ესაა, გაგათავებო!

ოჰ, დაგწყევლა ეშმაკმა, — თქვა დევმა, — ცოტა ღვიძლი მომჭერი, ცოტა ფილტვი, წაუსვი მწყვრებს თვალებზე და აეხილებათო!

კაცმა ბლომად მოჭრა გულს, ღვიძლს, ფილტვებს, წაუსვა მწყვრებს, იმათ თვალები აეხილათ. ბოლოს მაინც გააგდებინა დევს თავი. თეთრი დევის ჯოგი ნაცნობი დევისას მირეკა და უთხრა:

შინ ორი ძმა დამრჩა, იმათი უნახაობა არ მარგია. სანამ დაებრუნდებოდე, წმინდა გიორგის მწყვრები კარგად შემინახეო!

შეჯდა თეთრ ცხენზე და გასწია. თაგვი თან წამოიყვანა. მოვიდა შინ და ნახა, რომ მის მხეც დას ჯერ ჯოგი შეუჭამია და მერმე — ძმები. ძმების

თავები ხელში აქვს სათამაშოდ. ამას რომ შეხედა, გული მოუკვდა. და მიეგება ძმას და უთხრა:

— მშვიდობით შენი მოსვლა, ჩემო ჯუმდა-ბუმდაო!

მოჰკიდა ხელი, შინ შეიყვანა, თვითონ გამოვიდა და ამის ცხენს დაუწყო ჭამა. უცებ გამოჰგლიჯა ერთი ბარძაყი, მერმე ძმასთან შემოვიდა და უთხრა:

— ჩემო ძამია, შენი ცხენი სამფეხიანიაო. და კიდევ გავიდა კარში და მეორე ბარძაყი მოჰგლიჯა ცხენს. მერმე შებრუნდა შინ ისევ და უთხრა ძმას: შენი ცხენი ორფეხიანიაო. გამოვარდა ამ დროს თაგვი და უთხრა ამ კაცს:

— შენ რაღა უბედურებას უცდი აქ? ჯერ ცხენი არ მოუთავებია შენს დას, თორემ რა გგონია, დაგზოგავსო?!

— მაშ, რა ვქნა? — უთხრა კაცმა.

— სამი გუდა ნაცარი სხვენზე შედგი და როგორმე დარბაზის კარში გაიპარეო.

კაცმა დაიჯერა თაგვის რჩევა. და ამ დროს გარეთ იყო, ძმის ცხენს შეექცეოდა. შემობრუნდა შინ, მარტო თაგვი დახვდა.

— თაგუნია, სად არის ჩემი ძამია, მითხარი, თორემ ურტყულ-ბურტყულ!

— შე ბილწო, მე რა ვიცი, სად არის!

ქალმა თაგვს გადაყლაპვა მოუნდომა, მაგრამ გაექცა. ისევ რომ დასტაცა ხელი, თაგვი შეშინდა:

— შე მხეცო, დამაცა, გეტყვი, სადაც არის შენი ძმა. ის ახლა სხვენზეა, იშოვე საჩეჩლები, ერთიმეორეზე დაადგი, აჰყევი და სხვენზე ახვალო.

ქალმა ცხრა საჩეჩელი იშოვა, ერთი მეორეზე დაადგა. სადაცაა მიაღწევს სხვენს, თაგვმა ძირა საჩეჩელი გამოაცალა, გადმოვარდა ქალი, გადმოჰყვა ნაცრიანი გუდა და თვალებში ჩაეყარა. ქალს თვალები აეწვა და ფშვნეტა დაუწყო. თაგვმა დრო იხელთა და გაძვრა კარში; მოეწია ამ კაცს და უთხრა:

— შენი მხეცი და უკან გამოგეკიდება, მაგრამ როგორც გითხრა, ისე მოიქეცი და ეგებ თავს უშველოო.

მისცა ერთი სალესი და სამი თითისტარი. როდესაც შენი და მოგიახლოვდეს, ეს სალესი მიწას დაარტყი და უშველებელი კლდე გაჩნდება. მართალია, შენს დას ვერაფერი უძლებს, კლდეს გახვრეტს, მაგრამ ამასობაში შენც ცოტა ძანძილს როდი გაივლი. როდესაც კლდე გახვრიტოს და ეს-ესაა გეწეოდეს, ერთი თითისტარი მიწაში ჩაარჭე, თითისტარი ალვის ხედ გადაიქცევა, შენ იმაზე ადი. შენი და მივარდება დასახრავად. როცა ხე წაქცევაზე მიაყენოს, მაშინ მეორე თითისტარი ჩამოაგდე. ისიც ალვის ხედ გადაიქცევა. ამასაც დახრავს, მაშინ მესამე ჩამოაგდე და იმაზე გადადი. მანამდის ეგებ შენც რამე მოიგონოო.

კაცმა ყველაფერი ასე ქნა. მიადგა მხეცი და კლდეს, ხვრიტა, ხვრიტა და საურმე გზა გააკეთა კლდეში. ძმამ თითისტარი ჩაარჭო მიწაში. თითისტარი ალვის ხედ გადაიქცა. ამ ხეზე ავიდა ძმა. დამ ეს ხეც წაქცევაზე რომ მიიყვანა, ჩამოაგდო ძმამ მეორე თითისტარი, მერმე მესამე და ეს-ესაა, მესამე ხეც წაქცევაზეა, ამ დროს კაცმა დაიძახა:

— აბა, მწევრებო, თუ ერთგულნი ხართ, ახლა მიშველეთ!

გაიგონეს მწევრებმა და უმალვე გაჩნდნენ ამ კაცთან. გაიდევეს მხრებზე ალვის ხე და ნაცნობი დევისას ძიერანეს. მხეცი და მაინც გაეკიდა ძმას, რომელიც იმ ალვის ხეზე იჯდა. მაშინ ეცნენ მწევრები მხეც ქალს, იმდენი სისხლი დაიღვარა მისი გვამისაგან, რომ იქაურობა აავსო, მწევრებს მადლობა გადაუხადა კაცმა და ყველა გაუშვა. თვითონ კი იქ დასახლდა.

სანამ მართალი არ გამოდგეს, მანამ არაფერი გეტკინოთ!

საყოფაცხოვრებო ზღაპრებში, ნოველებში

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბიჭი. ჰყავდა დედა და ერთი ხარი. ხვნის ან ლეწვის დროს ხართან ულელში ხან შვილი, ხან დედა შეებმებოდნენ ხოლმე. ერთხელ ხართან ულელში დედა იყო შებმული, შვილი კევრზე იდგა და ასე ლეწავდნენ ძნას. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა.

— ბიჭო, რას შვრები მაგას, რა გიქნია საცოდავი დედაკაცისათვის?!

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი ხარის მეტი არა გვყავს და მეტი ღონე არა გვაქვს, ასე ვშველით ხარს ულლის გაწევაში!

— მაშ, თუ აგრეა, წამოდი ჩემთან და მე მოგცემ ერთ ხარს, — უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭს გაუხარდა და გაჰყვა.

თურმე ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ისეთი გიჟი ხარი, რომ ახლოს არავის იკარებდა. დაახვია ხელმწიფემ ამ ხარს თავისი ჯარი და რის ვაი-ვაგლახით შეაგდეს ბაკში. ბიჭმა უთხრა: რამდენიმე დღეს ნურაფერს აჭმევთო. კარგა ხნის შემდეგ ბიჭი მიუახლოვდა ხარს და ცოტა თივა შეაჭამა, ბიჭმა დაიჭირა ხარი, იღლიაში თივა ამოიდო და გამოუძღვა. ხარი უკან გაჰყვა, მიიყვანა შინ, შეაგდო ბოსელში და ოთხი დღე არაფერი აჭამა. მეხუთე დღეს გამოიყვანა, შეაბა კევრში თავის ხართან, დედა კევრზე დაუსვა, თვითონ თივა აიკიდა და გაუძღვა წინ. გაჰყვა მშიერი ხარი უკან. ბოლოს ისე მოარჯულა ეს ხარი, რომ დაუფასებელი გახდა.

ერთხელ ბიჭი თავის ხარებს კალოზე დააქროლებდა, თვითონ კევრზე იდგა და ოროველას დასძახოდა. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა და ბიჭს ჰკითხა:

— ვისია ეგ ხარი?

— ჩემია, შენი ჭირიმე; თქვენ რომ მაჩუქეთ, ის ხარია, — მიუგო ბიჭმა.

მეფეს გაუკვირდა და ბიჭს უთხრა:

— წამოდი ჩემთან, ერთი ქალი მყავს და შენ უნდა მოგათხოვოო.

— რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე, მე რა თქვენი ქალის ღირსი ვარ!

— მე შენ გიბრძანებ, უნდა წამოხვიდე და ჩემი ქალიშვილი შეგრთო! — უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭი კიდევ შეეხვეწა, თავი გაენებებინა, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, ადგა და გაჰყვა ხელმწიფეს.

თურმე ამ ხელმწიფეს ერთი ისეთი ზარმაცი ქალი ჰყოლია, რომ რაც დაბადებულა, ლოგინიდან არ ამდგარა, ლოგინში ჩააცმევდნენ, იქვე ჭამდა და სვამდა. მივიდნენ სასახლეში. ეს ბიჭი კიდევ შეემუდარა ხელმწიფეს:

— გამათავისუფლე, შენი ჭირიმე, რა ჩემი საქმეა ეს ქალიო! ხელმწიფემ თავისი არ დაიშალა. ბიჭმა უთხრა ხელმწიფეს:

— კარგი, შენი ჭირიმე, რაკი აღარ მეშვებით, მაშ ერთი ჟანგიანი ხმალი მომეცით, ერთი ქეციანი ძაღლი და ერთიც გადამკვდარი ცხენი!

ამაზე უარს ვინ ეტყოდა, მისცეს, რაც ითხოვა. ჩამოიკიდა დაჟანგული ხმალი, წამოიყვანა ხელმწიფის ქალი, ქეციანი ძაღლი და გაძვალტყაეებული ცხენი. მოდის ბიჭი და ზარმაცად, ზლაზვნით მისდევენ ყველანი უკან. მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს და ეუბნება:

— ძაღლო, ჩემს ნაფეხურზე დაადგი ფეხი, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, თავს მოგაგდებინებ!

რასაკვირველია, ძაღლი ვერ აუსრულებდა ბრძანებას. მოუბრუნდა ბიჭი ძაღლს, დაჰკრა ხმალი და თავი გააგდებინა. ახლა ცხენს უთხრა:

— ცხენო, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურზე დაადგი, აქეთ-იქით ნუ გადაუხვევ, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, თავს წაგაგდებინებ! ცხენს რა გაეგებოდა ბიჭის ლაპარაკი, როგორ აასრულებდა მის ბრძანებას! მიუბრუნდა ბიჭი, დაჰკრა ხმალი და თავი წააგდებინა.

მერმე ქალს უთხრა:

— ქალო, ხომ ხედავ ამ ხმალს, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურზე დაადგი, თორემ შენც ისე გაგაგდებინებ თავს, როგორც სხვებსა!

მიდის ბიჭი, მისდევს ქალი, ეშინია, არ ჩამორჩეს. როგორც იყო და არ იყო, მივიდნენ შინ. გაუშალეს ლოგინი, ჩაწვა შიგ ეს ქალი და არც იქით იძვრის და არც აქეთ.

მეორე დღეს დედა და შვილი სამუშაოდ წავიდნენ კალოზე. მთელი დღე იმუშავეს, გალეწეს, გაანიავეს და საღამოთი შინ დაბრუნდნენ. დედამ დაუძახა შვილს:

— შვილო!

— რა გინდა, დედა?

— საქმე ვინ გააკეთა?

— მე და შენა, — მიუგო შვილმა.

— პური ვინა ჭამოს?

— მე და შენა.

ჭამეს დედა-შვილმა პური, ქალი კი შორიდან უყურებს მშიერ-მწყურვალი. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ასე გაატარეს ოთხი დღე, ქალს მეხუთე დღეს ისე მოშივდა, რომ სულ კუჭი ეწვოდა შიმშილით. თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი მშიერს მომკლავსო, — თქვა ქალმა, მისწვდა ლოგინიდან ცოცხს და რასაც ლოგინიდან მისწვდებოდა, შემოიგავა გარშემო. დედა და შვილი საღამოს დაბრუნდნენ.

— შვილო!

— რა გინდა, დედა?

— საქმე ვინ გააკეთა?

— მე და შენა! — უთხრა შვილმა.

— პური ვინა ჭამოს? — მე და შენა.

დასხდნენ დედა-შვილი და ჭამეს პური.

დედამ შვილს უთხრა:

— ცოტა პური ამასაც მოუტეხოთ, თავის გარშემო შემოუგეიაო. მოუტეხეს ერთი ხელისგულის ოდენა პური. ცოტა პურმა ქალს უფრო მადა გაუღვიძა. მეორე დილით, დედა და შვილი სამუშაოზე რომ წავიდნენ,

შიმშილმა ისე შეაწუხა ეს ქალი, რომ ადგა, აიღო ცოცხი და ნახევარი კერა შემოგავა, მივიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. მოვიდნენ დედა-შვილი, ჭამეს პური და ნახევარი პური ქალსაც მოუტეხეს კერის დაგვისათვის.

დილით ისევ სამუშაოზე წავიდნენ. ქალი ადგა, მთელი სახლი დაგავა, ლოგინი დაიბერტყა, დაადგა და ისევ შიგ ჩაწვა. საღამოთი დედამ და შვილმა ჭამეს პური და ქალსაც ერთი პური მიუტანეს.

მეორე დილით ჩვეულებრივ დედა-შვილი სამუშაოზე წავიდნენ. ქალმა იფიქრა: ეს კარგი, ერთი პური დღესა და ხვალ მეყოს, მერმე? თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი შიმშილით მომკლავსო. ადგა, აილაგა ლოგინი, დაიბანა პირი, დაგავა, დაასუფთავა სახლი, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, დაკრიალა, კერაში შემოდგა შეჭამადი, მოირთო და ისე დახვდა დედამთილსა და ქმარს. დედა-შვილს გაუხარდათ, გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. ამის შემდეგ ისე მორჯულდა ეს ქალი, რომ ბადალი არა ჰყავდა.

ერთხელ ხელმწიფემ თქვა: მოდი, წავალ, გავიგებ, როგორაა ჩემი ქალი, ცოცხალია თუ მკედარიო! დედამთილი და ქმარი სამუშაოდ იყვნენ წასული, თვითონ დერეფანში იჯდა და ლობიოს არჩევდა. დაინახა თავისი მამა, გაექანა და გადაეხვია, მეფეს ძალიან გაუხარდა, რომ თავისი ქალი ასე ნახა. ქალმა უთხრა მამას:

— ჩემი ქმარი, ვინც საქმეს არ გააკეთებს, პურს არ აჭმევს, აბრძანდით ბანზე ვეზირებთან ერთად და ბანი დატკეპნეთო!

ამ ქალის ქმარს ის-ის იყო ახალი ქვიტკირის სახლი გაეკეთებინა და ბანზე მიწა იყო დაყრილი. გახარებული მეფე ვეზირებთან ერთად ავიდა ბანზე და კარგად დაუტკეპნა ბანი. ამ დროს დედა-შვილიც მოვიდნენ, გამართვს ლხინი და მეჯლისი. მეფემ დაასაჩუქრა თავისი სიძე და ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ამბავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი შვილი. ხელმწიფე დაბერდა და შვილის დაქორწინება მოინდომა. ხელმწიფის შვილმა უთხრა თავის მამას:

— სოფლები დამატარეთ და ვინც მომეწონება, იმას შევირთავო! წაიყვანეს, მოატარეს, მაგრამ არავინ მოეწონა.

ბოლოს, ერთი საწყალი კაცის ქოხის წინ ერთი ქალი ნახა. ხელმწიფის შვილს ის ქალი ძალიან მოეწონა და უთხრა:

— უნდა ცოლად გამომყვეო!

— ჩემი მამა და დედა აქ არ არიან, საღამოზე მოვლენ და თვითონ იციანო, — უთხრა ქალმა.

მოუცადა ხელმწიფის შვილმა. მოვიდნენ ბალები და იმისი ცოლი.

— თქვენი ქალი უნდა მომათხოვოთო! — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა.

— აბა, ჩვენ რა შენი საკადრისები ვართ, თუ გნებავთ, მოსამსახურედ გამოგყვებითო.

— ხელობა იცი რამეო? — ჰკითხა ქალმა ხელმწიფის შვილს.

— არაფერი! არაფერი! და ხელმწიფობა ხელობა არ არისო? — უპასუხა ვაჟმა.

— დღეს შეიძლება ხელმწიფედ იყო, ხვალ აღარა, მერმე რიღათი გნებავს იცხოვრო? წადი, ერთი რამე ხელობა ისწავლე და მერმე გამოგყვებიო!

დაღონდა ხელმწიფის შვილი: ასე უცებ ხელობა როგორ ვისწავლოო? წავიდა მამასთან:

— ესეა, ესე ჩემი საქმე და როგორ მოვიქცეო?

დაიბარა ხელმწიფემ ყველა ხელოსანი. დურგალსა ჰკითხა:

— რამდენ წელიწადში ასწავლი შენს ხელობასო?

— ხუთშიო.

— უჰ, ხუთ წელიწადში ის ქალი კიდევაც გათხოვდება და მერმე რაღად მინდაო, — თქვა ვაჟმა.

ზოგმა ოთხი უთხრა, ზოგმა სამი, ზოგმა ორი, ზოგმა მეტი. ბოლოს, ერთი მენაბდე წამოდგა:

— მეც ხელოსნებში ვიხსენიები, მომაბარეთ, ერთ დღესა და ღამეში ვასწავლიო.

მართლაც, გაჰყვა ხელმწიფის შვილი და ისწავლა ნაბდების თელვა. შეირთო ის ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. ხელმწიფე რომ მოკვდა, ის დაჯდა ტახტზე.

ერთხელ თქვა: მოდი, წავალ, დავივლი ჩემს ქვეყანას, იქნება რა უჭირს ხალხს, ან რა ულხინს, რას ამბობს ჩემზე ხალხიო.

ჩაიცვა უბრალოდ და წავიდა. ერთ ქალაქში ჩამოიარა: ისეთი საჭმლის სუნი მიუვიდა, რომ მეტი აღარ შეიძლება. თქვა: მე ამდენსა ვხარჯავ მზარეულებზე, ასეთ საჭმელს ვერ მიმზადებენ, აბა, ჩავალ, ვნახავ, როგორ აკეთებენო.

ჩავიდა ერთ სარდაფში, კაცის ხორცს აბუებუებდნენ. ხელმწიფემ უთხრა:

— მოიტეთ, ერთი კერძი დამისხითო.

დაუსხეს. რომ შეჭამა, ამ ურჯულოებს ჰკითხა:

— ამ სარდაფში რა არისო?

ახადეს და ჩააგდეს შიგა. სამი სხვა კაცი იყო იქ დამწყვდეული.

— მე ხვალ დამკლავენო! — უთხრა ერთმა.

— მე ზეგაო! — თქვა მეორემ.

— მე მაზეგ! — თქვა მესამემ, — შენ რაკი მსუქანი ხარ, კვირას დაგკლავენო.

შეწუხდა ძალიან ეს ხელმწიფის შვილი. როცა ისინი დაკლეს და ჯერი იმაზე მიდგა, ხელმწიფის შვილმა უთხრა:

— მე ისეთ ნაბადს მოვთელავ, რომ ორას თუმნად გაყიდოთო. იმის ყიდვას ვერავინ შეძლებს, თუ არა ამა და ამ ხელმწიფის ცოლიო.

Ольга Кузьмина, Ирина Ковалева, Ирина Ковалева, Ирина Ковалева

მოუტანეს მატყლი. ისეთი მშვენიერი, აყვავებული ქეჩა მოთელა, რომ თვალს მოსტაცებს კაცს. ყვავილსა და ყვავილს შუა დააწერა: ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ ქუჩაზე ვარ ასეთ გაჭირვებაში, ამ ორ დღეში თუ არ მიშველეთ, მერმე გვიანღა იქნებაო.

დაიდო ურჯულომ ეს ქეჩა თავზე და მიიტანა ხელმწიფის ცოლთან. გამოართვა ქეჩა, წაიკითხა ზედ, რომ ამისთანა და ამისთანა გაჭირვებაში ვარ და თუ ორ დღეში არ მომეშველებით, მომკლავენო. მისცა ორასი თუმანი ხელმწიფის ცოლმა და წავიდა ურჯულო.

ის რომ წავიდა, თვითონაც დაუძახა ჯარისკაცებს და შორიახლოს გაჰყვა ურჯულოსა. ხელმწიფის ცოლმა შემოარტყა ჯარი ამ დუქანს და დაარიგა:

— მე შიგ ჩავალ და ჯამს გავტეხ, როცა ხმა გაიგონოთ, მაშინვე შემოდითო!

ჩავიდა ხელმწიფის ცოლი. დაასხმევინა ერთი კერძი, დაახეთქა ძირს ჯამი, გატეხა, მაშინვე ჩაიჭრნენ სარდაფში ჯარისკაცები, დაიჭირეს ურჯულოები და სულ დახოცეს. ხელმწიფე გაათავისუფლეს და წამოიყვანეს.

ცოლმა უთხრა:

— აბა, ახლა შენ რომ ხელობა არა გცოდნოდა, შენი ხელმწიფობა რას გიშველიდა, დაგკლავდნენ და შეგჭამდნენო!

წამოვიდნენ და იცხოვრეს ბედნიერად.

ამის შემდეგ ძალიან ხელს უწყობდნენ ხელოსნობის გავრცელებას ხალხში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ერთი მანეთის შოვნა

ერთ კაცს ჰყავდა ზარმაცი შვილი, რომელიც ოჯახში არაფრის გამკეთებელი არ იყო. არ შეეძლო არც ერთი შაურის შოვნა. მამაძისი, სანამ ლისაც ძალა ჰქონდა, არჩენდა, მაგრამ მოხუცდა და ველარ შეძლო ოჯახის შენახვა. მამა დაავადმყოფდა, ჩაწვა ლოგინში. დაუძახა ცოლს და უთხრა:

— ჩემი ქონება სხვა ვინმეს უნდა გადავცე, რადგან ჩემი შვილი უქნარაა, ერთი მანეთის შოვნაც არ შეუძლიაო!

ცოლი ძლიერ შეწუხდა:

— როგორ არ შეეძლება ერთი მანეთის შოვნა?

ქმარმაც თავისი დაიჩემა:

— აბა, თუ შეუძლია, წავიდეს, მისი ნაშოვარი ერთი მანეთი მომიტანოს და დავუტოვებ ჩემს ქონებასაო!

— კარგი, ვეტყვიო! — უთხრა ცოლმა.

მივიდა შვილთან, მისცა ერთი მანეთი და დაარიგა:

— წადი, შვილო, საღამომდის სადმე, შინ ნუ გამოჩნდები, საღამოს მოუტანე ეს მანეთი მამაშენს, მე ვიშოვე-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. დაბრუნდა საღამოს, მოუტანა ეს მანეთი მამას და უთხრა:

— გადაგყევი მაგ მანეთის შოვნასო!

მამამ უსუნა მანეთს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო და შეაგდო ბუხარში: ეს არაა შენი ნაშოვნიო! ბიჭმა გაიცინა და დედასთან წავიდა. დედას ეს ამბავი ძალიან ეწყინა. მეორე დღეს ხელახლა მისცა მეორე მანეთი და დააბარა:

— წადი, საღამომდის ტყუილად იყავი, საღამოს ერთი ორი ვერსი გამოიქეცი, გაოფლიანდი და მამაშენს უთხარი: ოფლით ვიშოვე ეს ფული-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. საღამოს გაოფლიანებული შეევარდა მამის ოთახში და უთხრა:

— ხომ ხედავ, მამაჩემო, როგორ გადატკლეცილი მაქვს ოფლი შუბლზე, ძლივს ვიშოვნე ეს მანეთიო!

მამამ ახლაც უსუნა ამ მანეთს. გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო და კიდევ ბუხარში შეაგდო:

— მატყუებ, შვილო, ეგ შენი ნაშოვნი არ არისო!

შვილს გაეცინა და ესეც არაფრად ჩააგდო. დედას გული მოუკვდა, მიხვდა, რომ საქმე წახდა და ბიჭს უთხრა:

— შვილო, ხომ ხედავ, მამაშენს ჩვენ ვეღარ მოვატყუებთ, ის ჭკვიანი კაცია, წადი სადმე, თუნდაც ერთი კვირა დაგჭირდეს, იმუშავე, ორი შაურიც რომ აიღო დღეში, ერთ მანეთს მოუყარე თავი და შენი ოფლით ნაშოვნი ფული მოუტანე მამაშენსო!

ბიჭმა დაუჯერა დედას. წავიდა და, მართლაც, მთელი კვირა მოუნდა მანეთის შოვნას. ზოგს რა გადაუტანა, ზოგს რა გაუკეთა, მოაგროვა გაჭირვებით ერთი მანეთი და მიუტანა მამას. მამამ უსუნა ამ ფულს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და კიდევ ბუხარში შეაგდო:

— არა, შვილო, ეს შენი ნაშოვნი არაა!

ბიჭმა ახლა კი ვეღარ მოითმინა, ორივე ხელებით გამოხვეტა ბუხარში შეყრილი ფული და ყვირილი დაიწყო:

— მამაჩემო, მე ამ მანეთის შოვნას ერთი კვირა ზედ გადაგყევი და შენ ცეცხლში მიწვავო!

მაშინ მამამ უთხრა:

— ახლა კი მჯერა, შვილო, გული ისე დაგეწვა მაგ მანეთზე, რომ ის ნამდვილად შენი ნაშოვნია! ასე ძნელია ფულის შოვნა, იმუშავებ და გექნება, არ იმუშავებ და შიმშილით მოკვდებიო!

შვილს დაუტოვა თავისი ქონება და თვითონ გაემგზავრა იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან...

ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო; არაფრის გაკეთება არ შეეძლო. სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა, ამისთვის ნაცარქექია დაარქვეს. რძალი ეუბნებოდა:

— კაცო, აქეთ მოდექ, იქით მიდექ, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო!

რძალმა მაინც ვერაფერი გააწყო. მაზლი სულ ბუხართან იჯდა და კარში ვერასგზით ვერ გაიტყუა. აღდგომა ღღეს ნაცარქექია ძლივს წავიდა წირვაზე და წირვის შემდეგ რომ დაბრუნდა, რძალმა კარები მაგრად ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ დიდ წყალს მიადგა. მეორე ნაპირზე უშველებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა, ერთი გზის მეტი არ იცოდა. იმ გზით ისევ შინ, რძალთან უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა და, დევის საუზმე გამხდარიყო.

იფიქრა, იფიქრა და, ბოლოს, ეს მოიგონა, აბა, გავიელი ღა მტვერს დავაყენებო.

ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და რომ გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დადგა.

დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც, ქვა აიღო და გამოსძახა:

— აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო!

ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, თან დაიხარა, ვითომ ქვა ავიღეო, მაგრად მოუჭირა ხელი, წყალი თქრიალით გამოადინა და დევს შესძახა: აბა, აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და წყალს გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო!

დევი მაშინვე გამოვიდა. ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა:

— ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო!

— ეს იმიტომ, რომ ერთი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული და, თუ ხელი გაუშვი, მაშინ ველარც კი დამძრავო.

— რაკი ეგრეა, აბა, გაუშვი ხელიო, — უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო, დევს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცისათვის მოეკიდა.

როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა: წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო.

ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოდ უნდა წაჰყოლოდა.

დევისას რომ მივიდა, ნაცარქექიას დევის სახლი ძალიან მოეწონა. დაინახა, ვეება კეცი ხმიადით ბუხარში იყო შედგმული.

დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადისთვის ყური ეგდო, არ დამწვარიყო. ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, რადგან დაინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია ქვეშ მოჰყვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძერა. დევები შემოვიდნენ ოთახში და სტუმარი კეცქვეშ მოყოლილი ნახეს. გაკვირდნენ.

— კაცო, ეგ რა გიქნიაო, — შეეკითხა დევი.

— მუცელი ამტკივდა ძალიან და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ეგება როგორმე ტკივილმა გამიაროს-მეთქი. ახლა კარგადა ვარ და აიღე კეციო, — უთხრა ნაცარქექიამ.

სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოელიათ. აიღეს დიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს:

— თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო.

ნაცარქექიას შეეშინდა, უშველებელი კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და დიდხანს აღარ დაბრუნდა. დევებს ლოღინი მოსწყინდათ, გავიდნენ და ნახეს, ნაცარქექიას ბარი აეღო ხელში და ქვევრის გარშემო მიწას თხრიდა.

— მაგას რას შვრები? — ჰკითხეს დევებმა.

— სჯობია, მთლად ამოვიღო ქვევრი და ისე დაელიოთ, თორემ პაწაწინა ხელადით მოტანა აღამიანს მოსწყინდებაო.

დევებმა იფიქრეს: ჩვენ ცხრა ძმათ, ძლივს ჩავსვით ცარიელა ქვევრი და ეს კი მარტო აპირებს საავსე ქვევრის ამოღებასაო.

თვითონ დევებმა ააავსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილს.

ამ დროს ერთმა დევმა დაახველა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა. დევებმა მაღლა აიხედეს და ნახეს, ნაცარქექია ჭერის კოჭებს ეჭიდება.

— კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო?!

— როგორ გაბედეთ ჩემ წინ დახველება, — უთხრა ნაცარქექიამ, — ეს წკეპლა უნდა ჩამოვიღო და სულ გვერდები აგიწვათო!

დევები ძალიან შეშინდნენ: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს მოვიტანეთ ოითო ხე და ეს კი წკეპლას ეძახისო!

შეშინებული დევები სახლიდან გაცვივდნენ და გაიფანტნენ. ნაცარქექია, როგორც იყო, ბობღვით ჩამოძვრა და დევების ოჯახს დაეპატრონა.

ერთ დევს გზაზე მელა შეხვდა და ჰკითხა:

— დევო, სად მირბიხარ, რა დაგმართნიაო?

— რაღა სად მივრბივარ, ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კინაღამ დაგვხოცაო, — და უამბო დევმა ყველაფერი.

მელიას გაეცინა: ის ხომ ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი, რადგან არას აკეთებდა, რძალმა სახლიდან გამოაგდო. მე იმათ კარგად ვიცნობ: რაც ქათმები ჰყავდათ, სულ მე გაეუჩანაგე. წამოდი, როგორ შეგაშინა მაგ ლაჩარმაო!

— ვერ გენღობიო, — უთხრა დევმა.

მელია ბევრს ეხვეწა.

— მაშ, რომ არ მიღალატო, მოდი, ამ თოკით წელზე გამომებიო.

მელიამ თვითონ მოიბა თოკი, მეორე ბოლო დევს გამოაბა და ასე გასწიეს დევის სახლისაკენ.

ნაცარქექიამ დაინახა მელია და დევი, ძალიან შეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა. მაშინვე კარში გამოეგება და მელიას დაუძახა:

— აჰ, შე ხაძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბედ მარტო ერთი მოგყავსო!

დევს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელია სულ მთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ნაცარქექიამ დევების ხარჩო და სიმდიდრე, რაც რამ ჰქონდათ, სულ მთლად აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო. რძალი გაამდიდრა და ისევ დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

უფროსი ძმა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი გლეხი. ჰყავდა ორი ვაჟიშვილი. უფროსი — მშრომელი, უმცროსი — უქნარა, მუქთამჭამელა. რასაც მამა და უფროსი ძმა შოულობდნენ, უმცროსი ძმა ანიავებდა. ბევრი ურჩია მამამ, პატიოსან შრომას მოჰკიდე ხელიო, მაგრამ ამაოდ. უმცროსი ძმა თავისას არ იშლიდა. მთელი დღე-ღამე დასეირნობდა, ქეიფობდა, ამხანაგებიც თავისი ჭკუისა ჰყავდა.

უფროსი ძმა დაქორწინდა. დაქორწინდა უმცროსიც. უფროსი რძალი ჭკვიანი გამოდგა, უმცროსი — აბდალი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო, ამბობდნენ მეზობლები მათზე, როგორი ქმარიც იყო, ისეთი ცოლიც შეხვდაო.

ერთ დღეს მამამ დაიბარა ძმები და უთხრა:

— მე, შვილებო, მოვხუცდი, სიკვდილი მომიახლოვდა. ჩემი წუთისოფელი შრომა-გარჯაში გამიტარებია, ჩემი ოფლი მიწას ერთვოდა და ისე გზრდიდით. ახლა ოჯახს ბარაქა აკლია. ორივე ხმაშეწყობილად არა ხართ. ჩემს მამულს იმას დავუტოვებ, ვინც იმდენ ღომსა და სიმინდს მოიყვანს, ოჯახსაც ეყოს, სტუმარსაც და მასპინძელსაცო!

უფროსმა ძმამ ადრე გაზაფხულზე შეაბა უღელში ხარები და მიწა მოხნა. სიმინდი და ღომი ნაადრევად დათესა. უმცროსი ძმა კი არ ჩქარობდა: რა დროს თესვაა, ყანა სად გამექცევა, ჯერ კიდევ ადრეაო. როცა უფროსი ძმა სიმინდის მარგვლას შეუდგა, უმცროსმა თესვაც ძლივს მოათავა.

შემოდგომაზე მამამ ისევ დაიბარა შვილები და მოსავლის ამბავი გამოჰკითხა.

— დიდი მოსავალი მივიღე, ოჯახსაც ეყოფა, სტუმარსაც და მასპინძელსაც, მტერსაც და მოყვარესაც! — იცრუა უმცროსმა.

უფროსმა დაიმორცხვა და მამას მართალი უთხრა:

— ცოტა მოსავალი მოვიდა, გვალვამ ყანები გააფუჭა, გასამხელადაც არ ღირს ჩვენი მოსავალი. ღომი ღომად ავიღე, სიმინდი სიმინდად, მაგრამ ცოტაა. თუ ახლა რამე არ ვიღონეთ, ოჯახი მშიერი დაგვრჩებაო.

ეს მამამ იწყინა. მუშაობა დაუწუნა. მამული ჩამოართვა და უმცროს შვილს გადასცა. უმცროსმა გაიხარა. თავი მაღლა აიღო და ყოყოჩობა დაიწყო. მაგრამ მამა ჩქარა დარწმუნდა მის მკეხარობაში. ღომსა და სიმინდს ვიღა ჩიოდა, ჩალაც ვერ მიიღო. ოჯახი გაღარიბდა. გამათხოვრდნენ. მოწყალებას ეძებდნენ.

მამამ დაიბარა უმცროსი შვილი და უთხრა:

— წადი, ვინმეს მოჯამაგირედ დაუდექი, ცოტა ღომი და სიმინდი იშოვნე, თორემ მშივრები დავიხოცებითო!

უმცროსი ძმა წავიდა და მოჯამაგირედ დაუდგა ერთ მღვდელს. ძროხა უნდა ემწყემსა, თვეში კი სამი მანეთი მიეღო. წაიყვანა ერთ დღეს ძროხა საძოვრად. გამოვარდა მგელი, ეცა ძროხას, გამოღადრა კისერი და დაუწყო ჭამა. უმცროსი ძმა გულგახეთქილი გამოიქცა შინ. შემდეგ მღვდლისაკენ გახედვითაც აღარ გაუხედავს.

— ასე და ასე იყო ჩემი საქმეო, — შესჩივლა მამას.

მამამ ახლა უფროსი შვილი დაიბარა:

— წადი, შვილო, ვინმეს მოჯამაგირედ დაუდექი, ცოტა ღომი და სიმინდი იშოვნე, თორემ შიმშილით დავიხოცებითო!

ადგა უფროსი ძმა და გაუდგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შეხვდა ერთ მეცხვარეს. დაუდგა მოჯამაგირედ, თვეში უნდა მიეღო თითო ცხვარი. სამი თვის შემდეგ მეცხვარემ მისცა სამი ცხვარი, პატიოსანი მუშაობისათვის ფულითაც დაასაჩუქრა და შინ გაისტუმრა.

ამ სამ თვეში ოჯახი სულ უკან წასულიყო. მამა დაავადებული და ლოგინად ჩაგარდნილი დახვდა, უმცროსი ძმა კი — გამათხოვრებული. ყველას შიმშილით კუჭი ეწვოდა. უმცროს ძმას მამულები დაეყიდა, მაგრამ ოჯახისათვის მაინც ვერაფერი ეშველა.

უფროსმა ძმამ ცხვარი სახლში შეიყვანა. ცხვარმა ერთ კუთხეში დადო რძე და კარაქი, მეორე კუთხეში — ყველი, მესამე კუთხეში — ხორცი, მეოთხე კუთხეში – მატყლი, შუა ოთახში თვითონ დადგა და სიღარიბეს დასჭყიტა: გამეცალეო!

ოჯახი ჩქარა ფეხზე წამოდგა. სახლში ბარაქა დატრიალდა. უფროსი ძმა ერთგულად უელიდა ცხვარს. მოხუცმა მამამ გადმოხედა ლოგინიდან, დალოცა უფროსი შვილი და უთხრა:

ასეა, შვილო, თუ მარჯვენას მოიხმარ, ბარაქა გექნება. უქნარას უქნარობაში ამოხდება სული. ოჯახის უფროსობა შენთვის დამილოცნიაო!..

უმცროსი ძმა კი იდგა მამის ლოგინთან ყურებჩამოყრილი...

ზნიანი ქალი

ერთ ხელმწიფეს მშვენიერი ქალი ჰყავდა. მთხოვნელებს ეუბნებოდა: ავი ზნე მაქვსო!

ზნიანი ქალი აბა ვის რად უნდოდა და ყველა უკან მიდიოდა.

ამ ქალის ამბავი ერთმა ყმაწვილმა გაიგო და სათხოვრად მივიდა. ქალმა უთხრა:

— მოგთხოვდები, მაგრამ ერთი ავი ზნე მაქვს!

— რა ზნე? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— ქალბატონობა მომივლის ხოლმე!

ყმაწვილმა უთხრა:

— მეც მაქვს ერთი ზნე, ვაჟბატონობა მომივლის!

— მაშ, ჩვენი საქმე კარგად ყოფილა, შენც ზნე გაქვს და მეც, მოგთხოვდები! — მიუგო ქალმა.

ითხოვა ყმაწვილმა ეს ქალი და შინ წაიყვანა.

ერთხელ გახურებული მკაა. ყმაწვილმა სამკალში მამითადი წაასხა, გოჭი ღაკლა და ცოლს დაუბარა:

— სადილი წამოგვიღეო!

ქალმა ქმარი გაისტუმრა თუ არა, რაც კარგი ტანისამოსი ჰქონდა, ჩაიცვა, დაიხურა, გამოეწყო, დაჯდა და ფერ-უმარილს ისვამს. შემოვარდა ძაღლი და მაგიდიდან მოიტაცა გოჭი.

სადილობა უკვე გადავიდა. მამითადს მოჰშივდა. სადილი არა ჩანს. ყმაწვილს უთხრეს:

— არ გვინდა გოჭი. ცარიელი ჰური მაინც გვაჭამეო.

წამოვიდა ყმაწვილი შინ. ნახა, ქალი ფერ-უმარილს ისვამს.

— რა დროს ეგ არის, დედაკაცო, მამითადი დამემშა!

— შენი მამითადი რაში მეკითხება, დღეს ქალბატონობამ მომიარა! — უპასუხა ქალმა.

— ჰო, რახან ქალბატონობა მოგსვლია, კარგი, გოჭი რაღა იქნა?

— შემოვიდა ცუგუა და გაიტაცა ქუცუა!

— აბა, ნუ გეწყინება, მეც ვაჟბატონობა თუ მომივლის, — უთხრა ქმარმა. წამოაკლო სახრეს ხელი და ისე მაგრად ურტყა, სულ ჯარასავით ატრიალა.

— შენი ჭირიმე, ოღონდ ახლა დამეხსენ და ჩემს დღეში აღარ მომივლის ქალბატონობა! — ევედრებოდა ქალი.

ამის შემდეგ აღარც ქალს მოსვლია ქალბატონობა და არც ქმარს ვაჟბატონობა.

Ирмгард Шрамм

ღარიბი ბიჭი

იყო ერთი ღარიბი ბიჭი. ცხრა შვილში მხოლოდ ის დარჩა საწყალ დედას, ბიჭი შრომისმოყვარე იყო. დღედაღამ ტყეში შეშას ჭრიდა, სახედრით ქალაქში ეზიდებოდა, ყიდდა და აღებული ფულით დედას არჩენდა. თავისი ბედით კმაყოფილი იყო.

ერთმა კაცმა თქვა: უნდა შევამოწმო, ეს ბიჭი მართლა თავისი პატიოსანი შრომით ირჩენს თავს, თუ ეშმაკობსო. ტყიდან შეშა რომ მოჰქონდა, წინ ცული დაუგდო, ენახოთ, რას იზამსო. ბიჭმა ცული დაინახა, აიღო და თან წამოიღო. გზაზე ეს კაცი შეხვდა.

— სადღაც ცული დაკარგე, იქნებ იპოვე? — ჰკითხა ბიჭს.

— აგერა მაქვს, თუ თქვენია, წაიღეთ, სხვისი იარაღი მე რად მინდა! — უთხრა ბიჭმა და ცული მიაწოდა.

წამოვიდა ქალაქში, შეშა გაყიდა, სასმელ-საჭმელი იყიდა და შინ დაბრუნდა. ყველაფერი დედას უამბო. დედამ ქცევა მოუწონა. მეორე დღეს შეაბა სახედარი და ისევ წავიდა ტყეში. საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, იმ კაცმა წინ წალდი დაუგდო. ბიჭმა წალდი იპოვა, აიღო და თან მოაქვს, გზაზე კვლავ შემოხვდა ეს კაცი.

— ძმობილო, წალდი დაკარგე, იქნებ იპოვე? — ჰკითხა მას.

— აგერ მაქვს, თუ თქვენია, ინებეთ, სხვისი იარაღის წაღება რა საკადრისია! — უთხრა ბიჭმა და წალდი მიაწოდა.

კაცმა მადლობა მოახსენა და თქვა: მართლა პატიოსანი ყმაწვილი ყოფილა, ღირსია კარგი ბედისაო.

მესამე დღეს ბიჭმა დატვირთა სახედარი შეშით და წაიღო გასაყიდად. გზაზე ისევ შეხვდა ეს კაცი და უთხრა:

— საცოლო ყმაწვილი ხარ, ბედს უნდა გწიო, შენი გუნების ქალი უნდა გაგირიგო, რას იტყვი?

ბიჭს შერცხვა და არა უპასუხა რა. საღამოზე შინ რომ მივიდა, ეს ამბავი დედას უამბო. დედამ ცოლ-შვილიან კაცებში გაგზავნა, მათ ჰკითხე რჩევაო. ბიჭი ასეც მოიქცა. გამოელაპარაკა ცოლ-შვილიან კაცებს. მათ მოუწონეს: შენი გუნების ქალს თუ გირიგებენ, მაგას რა სჯობიაო. ამ ბიჭს მისვლა-მოსვლაში სამი დღე შეაგვიანდა. მეოთხე დღეს შეხვდა ის კაცი და ჰკითხა:

— რა ჰქენი, გადაწყვიტე თუ არა?

— თუ ჩემი გუნების ქალს გამირიგებ, ძალიან გამიხარდება, სწორედ მასეთ საცოლეს ვეძებო, — უპასუხა ბიჭმა.

— სამი დღე დააგვიანე, ის ქალი სხვაზე დაინიშნა. დღეს ქორწილი ექნება, თუ მიუსწრებ, იქნებ წამოგყვეს, — უპასუხა კაცმა. თან ერთი ვაზის ლერწი გაატანა, ეს გიშველისო.

ბიჭი მაშინვე გაიქცა იმ სოფელში, სადაც მისი გუნების ქალი ცხოვრობდა. გამართული იყო ქორწილი. სიძეს ელოდნენ. მასაც ცოტა შეგვიანებოდა, მაგრამ უკვე გამოჩნდა. ბიჭმა მექორწილეებს უთხრა:

— ეგ ქალი ჩემია, თქვენ სხვაზე რად ათხოვებთ, დიდი ხანია, დანიშნული მყავსო.

მექორწილეებმა შეუტიეს, შეიქმნა ჩოჩქოლი და აყალ-მაყალი. ერთმა ჰკითხა:

— რითი შეგიძლია დაგვიმტკიცო, რომ ქალი შენი დანიშნულიაო?

— ამ ვაზის ლერწს ცხელ ნაცარში გადავაგდებ და, სიმართლით თუ გამოცოცხლდეს, საცოლე დამიბრუნეთ, თუ არა — მაგას გაატანეთო, — თქვა ბიჭმა.

აიღო და ვაზის ლერწი ცხელ ნაცარში გადააგდო. ლერწი მაშინვე გამოცოცხლდა. ფოთლებმა თავი წამოყო.

მექორწილეებს რაღა ეთქმოდათ. სიძე დარჩა ხელცალრიელი. ქალი კი ამ ბიჭმა წამოიყვანა შინ და ღარიბული ქორწილი გადაიხადა. რაც პური ჰქონდა, შემოელია. ტყეში შეშის მოსაჭრელად ვეღარ წავიდა. გაუჭირდა ცხოვრება. გასაყიდი შინ არა ებადათ რა. ქალს ერთი კაი შალი ჰქონდა. ქმარს უთხრა:

— წაიღე ეს შალი ქალაქში, გაყიდე, აღებული ფულით პური იყიდე და მოიტანეო!

ბიჭმა წაიღო შალი და წავიდა. ბაზარში ერთი ვაჭარი შეხვდა, ხელში მამალი ეჭირა.

— ყმაწვილო, ეგ შალი მომყიდე და მამალს მოგცემო! — უთხრა ბიჭს.

ბიჭმა იფიქრა; ეს მამალიც კარგია, დაიყივლებს, დილით ადრე გამომაღვიძებს და სამუშაოზეც ადრე წავალო. გამოართვა მამალი და შალი მისცა. ახლა მეორე ვაჭარი შეხვდა.

— ყმაწვილო, ეგ მამალი მომეცი და ამ ნემსს მოგცემ, — უთხრა ბიჭს.

ბიჭმა თქვა: მამალი კარგია, მაგრამ არც ნემსია ნაკლები, ოჯახში ისიც საჭიროაო. მისცა მამალი, გამოართვა ნემსი და წამოვიდა შინ.

ერთი წყალი ჰქონდა გამოსაველელი, ზედ მოკლე ხიდი იყო გადებული. ბიჭი შედგა ხიდზე თუ არა, ფეხი გადაუბრუნდა და ნემსი წყალში ჩაუვარდა. ფეხთ გაიხადა, შეტოპა წყალში და ნემსს ეძებს.

ამ გზაზე ერთმა სოვდაგარმა გამოიარა, ოქრო-ვერცხლით დატვირთული ვირი მოჰყავდა.

— ბიჭო, წყალში რას ეძებ? — ჰკითხა.

— ნემსი ჩამივარდა წყალში და უნდა მოვძებნო, — უთხრა ბიჭმა.

— ნემსი ვინ მოგცა?

— მამლის ფასად ვიყიდე.

— მამალი ვინ მოგცა?

— ცოლმა ძვირფასი შალი გამომატანა გასასყიდად და იმით ვიყიდე.

— ვაი, უბედურო, ეგ რა გიქნია, შინ არ მიხვიდე, თორემ ცოლი მოგკლავს!

— ნუ დარდობ, ჩემი ცოლი ცუდ სიტყვას არ მკადრებს, ის ჩემი გუნების ქალია.

— სანაძლეოს მოგცემ, თუ სასიკეღილოდ არა გცემოს, — უთხრა სოფდაგარმა.

— დავნაძლევდეთ, თუ ჩემმა ცოლმა ერთი მწარე სიტყვაც არ შემომკადროს, შენი ოქრო-ვერცხლი მე დამრჩეს, თუ კი — სამ წელიწადს უფასო მოჯამაგირედ წამოგყვებიო.

სოფდაგარმა ხელი მისცა, უფასო მოჯამაგირე ვიშოვნეო. წავიდნენ ბიჭისას. ცოლი გაღიმებული შემოეგება კარებში და ჰკითხა:

— რა ჰქენი, კაცო, შალი გაყიდე?

— გავყიდე!

— რაზე გაყიდე?

— მამალზე!

— შენ კი გენაცვალე, მამალი რა უყავი?

— ნემსზე გადავცვალე, ხომ არ გამიჯავრღები?..

— რა გასაჯავრებელია, ნემსი ოჯახში საჭიროა, მაგრამ ნემსი რაღა უყავი?

— წყალში ჩამივარდა, ვეძებე და ვერ ვიპოვე.

— გენაცვალოს ჩემი თავი, რაღას წვალობდი, ნემსი იყო, სხვა ხომ არაფერი!..

სოფდაგარმა წააგო სანაძლეო. ჩამოხსნა ვირს საპალნე ოქრო-ვერცხლი და ამ ბიჭს დაუტოვა. ბიჭმა სიმდიდრე შეიძინა, მაგრამ ტყეში შეშის მოსაჭრელად მაინც დადიოდა. ყოველ კვირა დღეს ჩაიტანდა ხოლმე ბაზარში შეშას, გაყიდდა, სამაგიეროდ სანოვაგეს იყიდდა და შინ მოჰქონდა.

ერთ დღეს მისი ნაცნობი კაცი ესტუმრა. დიდი სიყვარულით მიიღო, ცხრა დღე-ღამე აქეიფა, კარგად დაასაჩუქრა და ისე გაუშვა. ამ კაცმა ბედნიერი ღარიბი ბიჭი ტკბილად დალოცა, გამოემშვიდობა და წავიდა.

ასეა, თუ შენი გუნების ცოლი გეყოლება, ბედნიერად იცხოვრებ!

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

სამი ტყუილი

ერთ ქვეყანაში იყო ახირებული ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ქალიშვილი. აიხირა: ვინც სამ ტყუილს მეტყვის, ჩემ ქალიშვილს მას მივათხოვებ, ვინც სამ ტყუილს ვერ მეტყვის, თავს მოვჭრიო.

ოთხმოცდაცხრამეტ ვაჟკაცს მოსჭრა თავი, რადგან ტყუილი ვერა თქვეს. იმ სახელმწიფოში ერთი კარგი მენახირე ბიჭი იყო. სოფლის საქონელს მწყემსავდა. ერთ დღეს თქვა: მოდი, სამ ტყუილს მოვიგონებ, თუ გავიდა, გავიდა, თუ არა, ასად შევასრულებ თავმოჭრილებსო. დედამ ბევრი უშალა ბიჭს, ნუ წახვალ, შენ ასეთ ტყუილებს როგორ იტყვიო, მაგრამ

ბიჭმა არ დაიშალა. მივიდა ხელმწიფის კარზე და კარისკაცებს ხელმწიფის ნახვა სთხოვა. მიიყვანეს ხელმწიფესთან.

— რისთვის მოსულხარ, ბიჭო?

— სამი ტყუილის სათქმელადო!

— მერე შენ საიდან გეცოდინება სამი ტყუილი, რატომ ილუპავ თავს, თუ ტყუილს ვერ იტყვი, კისერს წაგაცლიო!

ოთხმოცდაცხრამეტი გყოლია თავმოჭრილი, ასად მინდა შევასრულოო.

ბიჭმა რადგან თავისი არ დაიშალა, ხელმწიფემ უბრძანა:

— აბა, თქვი ტყუილიო:

— გუშინ ნახირიდან რომ მოვედი, — დაიწყო ბიჭმა, — დედაჩემს სადილი არ ჰქონდა გაკეთებული, მე კი პური მშიოდა, ჩვენს ბაღში ერთი გოგრა მეგულებოდა, ავდექი და მის მოსატანად წავედი. შევედი, ვნახე, სადაც მეგულებოდა, იქ აღარ იყო. გავყევ გოგრის კავს. ოკეანეს გაღმა გასულიყო და იქ იდო გოგრა. გავიარე ამ კავზე, გავედი გაღმა, მოვგლეჯე გოგრა, საჭამადი გავაკეთეთ და მე და დედაჩემმა კაი ვახშამი გიახელითთო.

— ეგ ხომ ტყუილია! — თქვა ხელმწიფემ.

— მეც იმისათვის ვარ მოსული, ტყუილი ვთქვაო!

გამტყუნებულმა ხელმწიფემ უბრძანა:

— წადი და ორი დღის შემდეგ მოდიო!

გავიდა ორი დღე და ისევ მოვიდა მენახირე.

— აბა, დაიწყე ტყუილი! — უბრძანა ხელმწიფემ.

— გუშინ საღამოს ნახირიდან რომ მოვედი, დედაჩემს საჭამადი შეენელებინა და მარილი ვერ ეშოვნა. მეზობლებშიც გავიკითხეთ, მაგრამ არავის ჰქონდა. მე ვუთხარი დედაჩემს, მარილს ახლავე მოვიტან-მეთქი. ავდექი და გავიქეცი გუმარში, საიდანაც მარილი მოაქვთ. ვნახე აქ, სიპი კლდის მეტი არაფერია, მე არც ჩაქუჩი მქონდა და არც არაფერი, რომ კლდე დამენგრია და მარილი წამომეღო. ხან აქეთ მივარტყი თავი ამ კლდეს, ხან იქით და ერთი კაი მოზრდილი ლოდი მოვაგდებინე. გავიდე მხარზე და შინისაკენ გამოვიქეცი. შევანელეთ საჭამადი და იმ ღამეს კაი ვახშამი გიახელითთო.

— ეგ ხომ ტყუილია! — თქვა ხელმწიფემ.

— მეც იმისათვის ვარ მოსული, ტყუილი ვთქვაო!

გამტყუნებულმა ხელმწიფემ უბრძანა:

— წადი და ზეგ მოდიო!

ბიჭმა თქვა: მესამე ტყუილი რაღა ვთქვა, აღარაფერი ვიციო. იფიქრა, იფიქრა, მთელი დღე-ღამე იფიქრა. ერთი ასკოკიანი ქვევრი ჰქონდათ. დაიქირავა მუშები და მიწიდან ამოაღებინა. აგორავა, აგორავა ეს უზარმაზარი ქვევრი და ხხელმწიფესთან მიაგორა.

— მოხვედი? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიახ, გეახელი, — ყოჩაღად უთხრა მენახირემ.

— აბა, თქვი ტყუილი!

— მამაშენს მამიჩემის ეს ერთი დიდი ქვევრი ოქრო ემართა და უნდა გადამიხადო!

— ტყუილია! — წამოიძახა ხელმწიფემ.

— მეც ეგ მინდოდა, სამი ტყუილი ხომ შესრულდა და ეგ არიო!

დაამტკიცეს, რომ მენახირემ მართლა თქვა სამი ტყუილი. შეირთო ხელმწიფის ქალი ცოლად. დიდი ქორწილი გადაიხადეს. დარჩა ტახტიც და იმ ქვეყანაში დღესაც ეს მენახირეა ხელმწიფედ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
აქ ჩამოვა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.
ეგ არის და გორის ციხე!

ცრუ და მართალი

ერთ სოფელში უსაქმო ცრუ კაცი ცხოვრობდა. მთელი თავისი წუთისოფელი უსაქმობაში, სხვის მოტყუებაში, ქურდობასა და ავკაცობაში გაეტარებინა. სოფელში ყველას სძულდა, ერიდებოდნენ მის სტუმრობას, მასთან შეხვედრასა და გამოლაპარაკებას. ცრუ კაციც მიხვდა, ამ სოფელში აღარ დამედგომებაო, აიკიდა გუდა-ნაბადი და გზას გაუდგა. ცხრა დღე და ღამე იარა, ცხრა მთა გადაიარა. ერთ სოფელთან დაუღამდა. წამოვიდა კოკისპირული წვიმა და სულ დასველდა.

მოიგონა ბრმობა და ერთ გლეხს მიადგა კარებზე: ამ თავსხმა წვიმაში ბრმა კაცი შემიფარეო.

ეს გლეხი ყოფილიყო კეთილი, შრომისმოყვარე და მართალი კაცი, ტყუილი მას თავის დღეში არ ეთქვა. შრომობდა პატიოსნად და სარჩოც მუდამ საკმარისი ჰქონდა. ცოლიც გამრჯე და მშრომელი ჰყავდა. გლეხმა ბრმა რომ დაინახა, შეებრალა და შინ შეიყვანა. გლეხის ცოლმა ბრმას სველი ტანსაცმელი გახადა და ქმრის ახალი ტანსაცმელი ჩააცვა. სველი ტანსაცმელი გაუშრო, გაუწმინდა და მოუმზადა.

იმ ღამით სტუმარი არ გაუშვეს: ასეთ წვიმაში ბრმა კაცი სადმე გადაიჩეხებაო. კარგად გაუმასპინძლდნენ და აბრეშუმის ლოგინში ჩააწვინეს.

ცრუ კაცს გუნებაში ბოროტი განზრახვა ჰქონდა. მთელი ღამე სახლს ათვალიერებდა, მაგრამ მოსაპარავი ვერა იპოვა რა. ლოგინს ხომ ვერ გაიტაცებდა. ისევ თვალი დაადგა ახალ ტანსაცმელს, დილით ადრე წამოხტა, ახალი შარვლის ჯიბეში სამი თეთრი ფული ჩადო და ტომარაში გაახვია. თვითონ თავისი დაგლეჯილი ტანსაცმელი ჩაიცვა და გზას გაუდგა.

გლეხს რომ გაელვიძა, ყველაფერს მიხვდა. იფიქრა: ქურდი ჯერ კიდევ ასე შორს ვერ წავიდოდაო ძა გამოედევნა. მეზობელ სოფლამდის, მართლაც, დაეწია ბრმა კაცს, გააჩერა და ჩუმად უთხრა:

— კაცო, არა გრცხვენია, მე სტუმრად მიგიღე, პატივი გეცი, შენ კი ტანსაცმელი მომპარეო?!

ცრუ კაცმა ღრიალი მორთო:

— ქურდი მე კი არა, შენა ხარ, ბრმა კაცი გზაზე მივდივარ და ცილსა მწამებ; შენთან არასოდეს ვყოფილვარ და არც გიცნობ, ეგ ტანსაცმელი ჩემიაო!

მართალი კაცი შეწუხდა, ველარ მოითმინა და ხელიდან გამოგლიჯა ტომარა.

ამ ყვირილსა და ღრიალზე ხალხი შეგროვდა. ბრმა კაცმა თავი მოიმკვდარუნა და ხალხს შესჩივლა:

— ეგ ყაჩაღი თავს დამესხა და ჩემი გაქურდვა სურს, ერთადერთი ტანსაცმელი წამართვაო!

ხალხს ბრმა შეებრალა. ეცნენ მართალ კაცს, ხელიდან გამოგლიჯეს ტომარა და ცრუს დაუბრუნეს;

— შე ყაჩაღო, ბრმა კაცი გაგიქურდავს, არა გრცხვენიაო!

მართალი კაცი ყველას ეუბნებოდა:

— რას ჩადიხართ, ეს ტანსაცმელი ჩემია, ამ ბრმას ღამე გავათევინე და მომპარაო! მაგრამ, ამას, აბა, ვინ დაიჯერებდა.

ახლა ცრუ კაცმა გამოიდო თავი. მართალი ადამიანივით წინ წამოიწია და ხალხს ჰკითხა:

— ტანსაცმელი თუ მაგ კაცისაა, აბა მითხრას, შარვლის ჯიბეში რა უდევსო?

მართალმა კაცმა უთხრა:

— ტანსაცმელი ჩემია, შარვლის ჯიბეში რა უნდა იყოს, არაფერიო.

— ტყუისო, — დაიყვირა ბრმა კაცმა, — შარვლის ჯიბეში სამი თეთრი ფული ძაქვს შენახული, თუ ტანსაცმელი მაგისია, ჩემი ფული ჯიბეში საიდან გაჩნდაო..

გასინჯეს შარვალი და ჯიბეში მართლა იპოვნეს ფული. ახლა კი ყველა დარწმუნდა, ტანსაცმელი ნამდვილად ბრმისა ყოფილაო. შეარცხვინეს მართალი კაცი, სცემეს, მეორედ ბრმის გაქურდვა არ განიძრახოსო.

— მე გამქურდეს და მეევ მცემთ, სამართალი სადა გაქვთო! — ამბობდა მართალი კაცი.

ამ დროს ხალხიდან ერთი ჭაღარა კაცი გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, დინჯი ნაბიჯებით ბრმასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ეგ ტანსაცმელი ბაღდადს შეუკერავთ, ზედ წითელ-წითელი ზოლებიც დაუყოლებიათ, შენ მაგას ვინ მოგცემდაო!

ცრუ კაცს ახლა დაავიწყდა, რომ თავი ბრმად გაასაღა და მოხუცს პირში მიახალა:

— რას მიედ-მოედები, ბრმა ხომ არა ხარ, ჩემი ტანსაცმელი შავი ფერისაა და არავითარი ზოლები არა აქვსო!

მოხუცმა ცრუ კაცს ჩამოართვა ტანსაცმელი და მართალს გადასცა:

— შენ ტყუი, ბრმა არა ხარ, ეს ტანსაცმელი ამ გლეხისააო!

ცრუ კაცი შერცხვენილი გაეცალა იქაურობას.

Ching to Ashamed

ძმები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი. ცხოვრობდნენ გაჭირვებით, პურიც აკლდათ და ფულიც.

ვაჟიშვილები წამოიჩრიხვნენ. უფროსმა ძმამ ცოლი შეირთო და მშობლებთან ერთად დასახლდა. უმცროსი ძმა კი იქ ვეღარ მოთავსდებოდა. ადგა და სოფლის ბოლოს დასახლდა. უნდოდა ხარ-ურემის შეძენა. ჯერ მიწის პატრონს დაუდგა მოჯამაგირედ, შემდეგ საქირაოდ იმუშავა და რის ვაივაგლახით იყიდა ერთი უღელი ხარი. გაჭირვებით ხნავდა და თესავდა; წლის სარჩო პურს ძლიეს იწევდა. როცა დაცოლშვილდა, კიდევ უფრო გაუძნელდა ცხოვრება, მაგრამ გულს არ იტეხდა, ერთგულად მუშაობდა და მომავლის იმედი ჰქონდა.

არც უფროსი ძმა ცხოვრობდა უკეთესად. მას ცოლ-შვილთან ერთად დედ-მამაც ჰყავდა სარჩენი. მაგრამ გულს არც ეს იტეხდა, პატიოსნად შრომობდა და მომავლის იმედი ჰქონდა.

გავიდა ხანი, ერთ წელიწადს ცუდი მოსავალი მოვიდა. გვალვამ ყანები გააოხრა. უმცროსმა ძმამ რაღაც ოციოდე ძნა მომკო.ასევე ცოტა მოუვიდა პური უფროს ძმასაც. მისი მომკილი ოცდახუთიოდე ძნა ძლიეს იქნებოდა. უმცროსმა ძმამ იფიქრა, ჩემს ძმას წელს ძალიან გაუჭირდება, ღარიბად ცხოვრობს, ცოლ-შვილთან ერთად დედ-მამაც მის კისერზეა, მოდი, ჩუმად რამდენიმე ძნას წავიღებ და მის ძნებში შევურევო. როცა დაღამდა, აიკიდა ზურგზე ორი ძნა და წაიღო. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ვიღაც კაცი კი დაინახა გზაზე, მასაც ძნები მოჰქონდა. მიიტანა ჩუმად თავისი ძნები და ძმის ძნებს მიუმატა.

შინ რომ დაბრუნდა, ისევ ოცი ძნა დაუხვდა. ახლა უფრო გაუკვირდა, ნეტავ რა მემართებაო, — იფიქრა.

ძლიეს ვაი-ვაგლახით აიკიდა ოთხი ძნა და ძმას წაუღო. შუა გზაზე კვლავ შეეჩეხა ვიღაც ძნებაკიდებული კაცი. ერთმანეთს დაეჯახნენ. თურმე ეს უფროსი ძმა ყოფილიყო.

უფროს ძმას ეფიქრა, წელს ცუდი მოსავალი იყო, უმცროსი ძმა ღარიბად ცხოვრობს, მოდი, რამდენიმე ძნას ჩუმად მიეუტან, ძმა არის, ბედნიერად იცხოვროსო. ძმებმა თავიანთი თაგვადასავალი უამბეს ერთმანეთს, ორივეს ცრემლები მოადგათ თვალებზე და ერთმანეთს გადაეხვიენენ.

ასეთია ნამდვილი ძმობა!

ცაზე რამდენი ვარსკვლავია

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ჭკვიანი მსახური, რომელიც ყველაზე უფრო უყვარდა. გადაემტერა ვეზირი და თქვა: თუ ამას რაიმე არ მოუგონე, არ იქნებაო. მივიდა ვეზირი ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ეს თქვენი მსახური დიდად ჭკვიანი და გონიერია, უბრძანეთ, გაიგოს: ცაში რამდენი ვარსკვლავია და ქვეყნის შუაგული სად არის?

მოიყვანა მსახური ხელმწიფემ და უბრძანა:

— ცაში რამდენი ვარსკვლავია იმისი ანგარიში შემიტყვე და ქვეყნის შუაგული სად არის, გამიგეო!

მსახური დაღონდა და წამოვიდა. დაჯდა ერთ ალაგას ნაღვლიანად. გამოიარა ერთმა კაცმა და ჰკითხა:

— რატომ მოგიწყენია, მიამბეო!

მსახური გაჯავრდა:

— რა უნდა გიამბო, ჩემი ნაღველი მადარდებსო!

კაცმა გაიარა და უთხრა:

— თუ გეამბა, ეგების კაი რამ გამომერჩია!

მოეწია მსახური და უამბო:

— ხელმწიფემ დამავალა, შემიტყვე, ცაში რამდენი ვარსკვლავია და ქვეყნის შუაგული სად არისო.

უთხრა კაცმა:

— ეგ შენი ჯორი გაპარსე, მაგისი ბალანი მიართვი და მოახსენე: ეს დათვალე, მაგდენია ცაში ვარსკვლავი-თქო; დაჯე ერთ ადგილას და მოახსენე: ოთხსავ ყურეს კაცი გაგზავნე, შუაგული ეს არის-თქო!

მსახურმა დაუჯერა სწავლა, გაპარსა ჯორი და იმისი ბალანი ხელმწიფეს გაუგზავნა: ეს დაათვლევინეთ, ცაში ვარსკვლავი ამდენია. აქ რომ ვზივარ, ქვეყნის შუაგული ეს არის, თუ არ გჯერათ, გაგზავნეთ ოთხსავ ყურეს კაცნი, თუ ეტყვი, თავი გამაგდებინეთო.

ხელმწიფემ უბოძა საგზალი ოთხსავე კაცსა და გაგზავნა ქვეყნის ოთხსავე კუთხესა: ამბავი შემიტყვეთო. კაცნი წავიდნენ და დაიკარგნენ, ველარა შეიტყვეს რა.

ეს ბიჭი ნამდვილი ეგვიპტელია?

ერთ ღარიბ კაცს სამი ქალი ჰყავდა. სამივე ლამაზი და კარგი. ხანი გამოხდა და ქალები დათხოვდნენ. უფროსი და წაჰყვა აზნაურს, შუათანა — მდიდარ სოვდაგარს, ბოლოლა კი — მწყემსს. უფროსი დები სასაცილოდ იგდებდნენ უმცროს დასა და მის ქმარს, მაგრამ ისინი თავისი ბედით კმაყოფილი იყვნენ, პატიოსანი შრომით ცხოვრობდნენ.

ერთ დღეს ღარიბი კაცი ავად გახდა და სიძე-ქალიშვილები მოიწვია. მობრძანდა უფროსი ქალი და მისი აზნაური ქმარი. ცხენები ეზოში გაუშვეს და ავადმყოფი მოიკითხეს. ცოტა ხნის შემდეგ შუათანა ქალიშვილი და მისი სოვდაგარი ქმარი მობრძანდნენ ეტლით. მათაც მოიკითხეს ავადმყოფი. სიძეები საუბრობდნენ, დები ისეე ბოლოლას დასცინოდნენ.

შუადღე გადასული იყო, როცა გამოჩნდნენ ბოლოლა და მისი მწყემსი ქმარი. ქალს ხელში ფუთა ეჭირა, ქმარს მხარზე ხურჯინი გადაეკიდა. მოვიდნენ, მოიკითხეს ავადმყოფი მამა, მას ბოლოლა ქალმა საჩუქრები მიართვა: კარგად შეკერილი პერანგი და ჩოხა; სიძემ — მთელი ხურჯინი ქადა-ნაზუქები, შემწვარი ქათმები, ხაჭაპურები და დოქით შავი ღვინო.

მშობლებს ძალიან გაუხარდათ სიძე-ქალიშვილის სტუმრობა. ავადმყოფმა მამამ თვალები გამოახილა, ახალი პერანგი ჩაიცვა, ჩოხა მოიხურა და ზეზე წამოდგა. დედა კი ვახშმის სამზადისს შეუდგა. უფროსი დები და სიძეები განაგრძობდნენ ბოლოლა დისა და სიძის დაცინვას. ბოლოლა და კი დედას ეხმარებოდა ვახშმის მომზადებაში. მოხუც მშობლებს შინ არაფერი ჰქონდათ, რაც ბოლოლა ქალმა და მისმა ქმარმა მოიტანეს, იმით გაუმასპინძლდნენ საპატიო სტუმრებს. აზნაურმა და სოვდაგარმა ზედიზედ გადაკრეს შავი ღვინო, ერთხელაც არ უხსენებიათ მისი მომტანი. კარგად გამოთვრნენ და არხეინად დაიძინეს.

ხანი გამოხდა. მცონარა აზნაური გაღარიბდა. სახლ-კარი გაუყერანდა, მიწა-მამული გაყიდ-გამოყიდა, ფული შემოაკლდა, ვალები დაედო და ცხოვრება გაუჭირდა. სოვდაგარიც შორს ქვეყანაში საავჭროდ წავიდა, მისი საქონლით დატვირთული გემი ზღვაში ჩაიღუპა და თვითონ ძლივს გადარჩა. სახლ-კარი გაყიდა და ლუკმა-პურის შოვნაც უჭირდა.

მწყემსმა და მისმა ცოლმა კი მწყემსობაში აღებული ფულით სახლ-კარი გამართეს, ცხვარი და ძროხა შეიძინეს, ერთგულად შრომობდნენ და ტკბილ ლუკმას ჭამდნენ. შვილებიც წამოეზარდათ და მათაც პატიოსან შრომას ასწავლიდნენ. მათ ბედნიერებას მეზობლები შენატროდნენ.

ერთ დღეს კარზე მოადგათ უფროსი და; ის სულ გამხდარიყო, ტანსაცმელი ზედ შემოგლეჯოდა და შიმშილს ძლიერ გაეტანჯა.

— შენი უფროსი და ვარ, შემიფარე, ცოტა რამით დამეხმარე, თორემ შიმშილით სული გვხდებაო! — შეაბრალა თავი ბოლოლა დას.

ბოლოლა დამ რომ უფროსი და ასეთ გაჭირვებაში ნახა, გული აუჩუყდა, ბევრი იტირა, და სიყვარულით მიიღო, კარგადაც გუმასპინძლდა. მეორე დღეს მთელი ურემი დაუტვირთა ხორბლით და თან გაატანა. უფროს დას მადლობაც კი არ უთქვამს. გამორეკა ურემში შებმული ხარ-კამეჩი და წამოვიდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ახლა ბოლოლა დას კარზე მიადგა შუათანა და. სილამაზე სულ დაჰკარგოდა. გაძვალტყავებულიყო, ტანს ძონძები ეცვა, ცნობაც კი გაუჭირდებოდა კაცს.

— შენი შუათანა და ვარ, გამიჭირდა, დამეხმარე, შიმშილით სულს ნე ამომხდიო! — უთხრა ბოლოლა დას.

ბოლოლამ ძლივს იცნო შუათანა და. ტირილით გული ამოუჯდა. ცრემლებით ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. ძონძები გახადა, თავისი კარგი კაბა ჩააცვა და მეორე დღეს საჩუქრებით გაისტუმრა. მასაც გაატანა ერთი ურემი ხორბალი. მადლობა არც შუათანა დას უთქვამს.

მწყემსს ძალიან ეწყინა ცოლისდების ასეთი უმადურობა.

— ეგენი ღირსნი არ არიან პატივისცემის, იშრომონ და ექნებათ, ჩვენ როცა ვშრომობდით, ხომ გახსოვს, როგორ დაგვცინოდნენო, — უთხრა ცოლს.

ბოლოლა დას ისევ ცრემლები მოერია, დები მაინც არ ემეტებოდა გასალანძღავად.

მეორე წელიწადს კიდევ მოადგნენ კარს უფროსი და შუათანა დები. ახლა მათ მწყემსი სიძე შეხვდა.

— თქვენ ღირსი არა ხართ სტუმრობისა, შრომა არ გიყვართ, მშრომელ კაცს კი დასცინით, თხოვნისა არ გრცხვენიათ. მოთმინებით იშრომეთ და ყველაფერი გექნებათ, ჩვენი იმედი ნუ გაქვთო! — უთხრა მათ და კარები გამოიკეტა.

დები კუდამოძუებულნი გაიქცნენ. მიღიოდნენ და მიბუზღუნებდნენ. მათ გასცქეროდა ბოლოლა და და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— როგორ უღმერთოდ გაყარე, ისინი ხომ მაინც ჩემი დები არიანო! — უთხრა ქმარს...

გლეხი და ვაჭარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ვაჭარი. ჰყავდა ახალგაზრდა ცოლი, დიდი სოვდაგრის ქალიშვილი. ქალს მამა მოუკვდა და ძალიან დამწუხრებული გახლდათ.

ერთ დღეს ვაჭარი საგაჭროდ წავიდა. ჩამოიარა ღარიბმა გლეხმა და ქალს მოწყალება სთხოვა.

— სად გივლია, სად ყოფილხარ, ასე რამ დაგაჩაჩანაკა? — ჰკითხა ქალმა.

— იმ ქვეყნიდან მოვდივარ, შენი ჭირიმე, საიქიოს გახლდი, ვერ გავუძელი გაჭირვებას და ამ ქვეყანას ჩამოვიარე, ხვალ ისევ უკან უნდა გავბრუნდე! — უპასუხა გლეხმა.

ქალი დატრიალდა, სადილი გააკეთა, ორი ქათამი დაკლა, სავსე ქვევრს მოხადა, გლეხს კარგად გაუმასპინძლდა, სამი ოქროს თუმნიანიც აჩუქა.

— კეთილო კაცო, საიქიოს მამაჩემი არ გინახავსო? დიდი სოვდაგარია, შავი და გრძელი წვერი აქვს, ჩოხა-ახალუხი აცვია, აი, ეს ერთი თვეა, რაც ამ ქვეყანას გამოეთხოვა და ობლად დაგვტოვა! — ჰკითხა ქალმა.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, მამათქვენს ძალიან კარგად ვიცნობ, ერთ სახლში ვცხოვრობთ, საწყალს ძალიან უჭირს, არც პური აქვს და არც პურის ფული, ის, კარგი შავი წვერი გაუთეთრდა, ის შავი ჩოხა-ახალუხი ტანზე შემოაცვდა, — უთხრა გლეხმა.

ქალი საშინლად შეწუხდა, ტირილი წასკდა, დასტირის მამას. სთხოვა გლეხს:

— კეთილო კაცო, ცოტა რამეს გაგატან მამაჩემთან. ნუ დაიზარებ წაღებას, იქნებ უშველო საწყალს, თორემ შიმშილი და სიცივე შეაწუხებს.

— მთელი ურემი დამიტვირთე, შენი ჭირიმე, ყველაფერს უკლებლივ მივუტან, მადლია,ნურაფერს დაიზარებ და დაიშურებ! — უპასუხა გლეხმა.

ქალმა მაშინვე გამოიყვანა ულელი ხარი, შეაბა დიდ ურემში, დატვირთა სასმელ-საჭმელებით: ცხრა ტომარა ხორბლით, ცხრა ტომარა ბრინჯით, ცხრა ტომარა ფქვილით, ცხრა ფუთი ერბოთი, ცხრა ფუთი ყველით, ცხრა ფუთი თაფლით, ცხრა კოკა ღვინით, გაატანა თან ცხრა წყვილი ახალი ტანსაცმელი, ერთიც თბილი ქუდი, ცხრაასი თუმანი ოქრო და გაისტუმრა. გლეხმა გარეკა ხარები და შინისაკენ გასწია. უხაროდა, ბრიყვი ქალი ასე ადვილად რომ მოატყუა.

სად იყო, სად არა, ვაჭარიც დაბრუნდა შინ. ცოლმა ყველაფერი უამბო:

— საიქიოდან კეთილი კაცი მესტუმრა, მამაჩემი გაჭირვებული უნახავს, ცოტა საგზალი გავატანე, აი, ეს-ეს არის გავისტუმრეო.

ვაჭარი მიხვდა ეშმაკი გლეხის ოინებს. საშინლად გაბრაზდა:

— გაბრიყვებულხარ, გლეხს გაუსულელებიხარ, თორემ სად გაგონილა საიქიოს ურმით საგზლის გაგზავნაო! გამოიყვანა თავისი საუკეთესო ლურჯა ცხენი, შეკაზმა ოქროს უნაგირით, შეჯდა ზედ და გამოუდგა გლეხს.

გლეხი არხეინად მირეკავდა ხარებს. უკან მოიხედა და დაინახა მდევარი. გადაუხვია ტყეში. ურემი დამალა. ხარები საძოვრად გაუშვა, თვითონ კი გზაზე დაჯდა, ქუდი წინ დაიდო და ზედ ყვავილები მიაყარა.

გამოიარა ვაჭარმა, მიაჭენებდა გაოფლიანებულ ცხენს, გლეხს ჰკითხა:

— კეთილო კაცო, აქ ურმით ხომ არავის ჩამოუვლია? ზედ უწყვია ფქვილით, ხორბლითა და ბრინჯით სავსე ტომრები, ერბოთი, თაფლითა და ღვინით სავსე კასრები.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, ახლახან გაიარა, ურემში კარგი ხარები ება, ზედაც ყოჩაღი გლეხი იჯდა, შენისთანა ჩია კაცს ახლოსაც არ გაიკარებდა, ახლა სამშვიდობოს იქნება!

— ჩქარა დავეწევი?

— არ ვიცი, გაიარე!

ფლეში და ვეკვერი

— არა, მითხარი, ჩქარა დავეწევი?

— გაიარე, გეუბნები, გაიარე, გაიგო, როგორ მიგყავს ცხენი!

ვაჭარმა ცხენს მათრახი გადაჰკრა და გაქუსლა. გლეხმა დაუძახა:

— მოაბრუნე, მოაბრუნე, ცხენოსნობა არ გცოდნია, საღამომდი ვერ დაეწევი, დრო რომ მქონდეს, გიშველიდი, მაგრამ ახლა არა მცალია!

ვაჭარი ცხენიდან ჩამოხტა. შველა სთხოვა. საჩუქრებს დაპირდა, ოღონდ ის გლეხი დამაჭერინე და რაც გინდა მთხოვე, მოგცემო.

— არა, არ შემიძლია, შენი ჭირიმე, — უთხრა გლეხმა, —ამ ქუდში ბატონის მიმინო მყავს დამწყვდეული და მას ვდარაჯობ, ბატონი ტყეში ნადირობს, სადაცაა მოვა, მიმინო რომ არ დავახვედრო, თავს მომჭრისო.

— მიმინოსთან მე დავრჩები, ხელსაც არავის მივაკარებინებ, აი, ჩემი ცხენი, ოღონდ ის გლეხი გამათოკინე და რაც გინდა, მთხოვეო! — უთხრა ვაჭარმა.

მისცა წინასწარ ათი თუმანი ოქრო, შესვა ოქროს უნაგირიან ცხენზე და გაუშვა, გლეხმა ცხენს მათრახი გადაჰკრა და ვაჭარს დაუძახა:

— მიმინოს ვინძლო კარგად მოუარო, არ გაგიფრინდესო!

ვაჭარმა დიდხანს უცადა. უკვე დაღამდა, მაგრამ არც გლეხი გამოჩენილა, არც მისი ბატონი. იფიქრა, მიმინოს ხელში დავიჭერო. ფრთხილად ასწია ქუდი და შეყო ხელი. სად არის მიმინო! ახლა კი მიხვდა, ეშმაკმა გლეხმა გამაბრიყვაო.

გამწარებული ვაჭარი შინ დაბრუნდა.ხმა არ ამოუღია. ცოლისათვის არაფერი გაუმხელია.

ახლა მე თქვენ გეკითხებით, რომელია უფრო დიდი ბრიყვი, ვაჭარი თუ მისი ცოლი?!.

ცოლ-ქმრის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ქმარი ხელმწიფესთან მსახურობდა და ყოველ თვისა და თვის თავს ჯამაგირს აიღებდა თუ არა, გაუგზავნიდა ცოლს.

გავიდა სამი თუ ოთხი თვე, ფული აღარ მოუვიდა ცოლს, ქმარი რაღაც მიზეზით აღარ უგზავნიდა. ცოლი ძალიან შეწუხდა, ადგა და წავიდა მამასახლისთან საჩივლელად:

— სამი-ოთხი თვეა ქმრისაგან ჯამაგირი აღარ მიმიღია, შიმშილით ვკვდები, რა მიზეზია, მიშველე რამეო!

მამასახლისმა აათვალიერ-ჩაათვალიერა, თვალში მოუვიდა, უთხრა:

— ამაღამ თქვენთან წამოვალ და ხვალ გავიგებ მაგ საქმესო.

ქალმა უთხრა:

— თქვენს საკადრის ვახშამს როგორ მოვამზადებ, ღარიბი ვარო.

მამასახლისმა ფული მისცა:

— წადი, კარგი ვახშამი მოამზადეო!

ქალი მამასახლისიდან უფროსთან წავიდა საჩიველელად:

— შენი ჭირიმე, ბატონო, სამი-ოთხი თვეა, ქმრისგან ჯამაგირი აღარ მიმიღია, და რა ვიცი, რა მიზეზია, მიშველე რამეო!

— ამაღამ თქვენთან წამოვალ და ხვალ გავიგებ მაგ საქმესო, — უთხრა უფროსმა.

— თქვენ საკადრის ვახშამს ვერ მოვამზადებ, — უთხრა ქალმა, — ღარიბი ვარო.

უფროსმა ფული მისცა:

— წადი ვახშამი მოამზადე, ამა და ამ დროს მოვალო.

ქალი ახლა არქიელთან წავიდა.

— შენი ჭირიმე, ბატონო, სამი-ოთხი თვეა, ქმრისაგან ფული აღარ მიმიღია, და არ ვიცი, რა მიზეზიაო!

არქიელმა უთხრა:

— ამაღამ, შვილო, თქვენთან წამოვალ და ხვალ ყველაფერი გარიგდებაო.

ქალმაც იგივე პასუხი მისცა:

— თქვენ საკადრის ვახშამს მე როგორ მოვამზადებო?!

მისცა ფული არქიელმა და უთხრა:

— წაიღე, შვილო, კარგი ვახშამი მოამზადე და ამა და ამ დროს მეც მოვალო.

ქალი წამოვიდა შინ. სამი კარადა იყიდა, მოიტანა, დადგა და მოამზადა ვახშამი.

შებინდდა თუ არა, მოვიდა მამასახლისი, გაშალეს სუფრა და დასხდნენ. ვახშამს ჭამენ. ზედ უფროსიც მოვიდა. მამასახლისი ძალიან შეშინდა, გაქცევა დააპირა.

ქალმა უთხრა:

— საწყენად კი ნუ მიიღებ, ამ კარადაში შებრძანდი, ვინ არის, ენახავ, გავისტუმრებ, მერმე გამოდი, დავსხდეთ ქეიფი გავწიოთო!

მამასახლისი შეჯდა კარადაში, ქალმა გარედან დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მოვიდა უფროსიც. გაუშალა სუფრა, დასხდნენ ვახშამზე. ამ დროს მოვიდა არქიელი, ქალმა უთხრა უფროსს:

— თუ შეიძლება კარადაში შებრძანდი, გავიგებ, ვინ მოვიდა, გავისტუმრებ, გამობრძანდი მერმე, დავსხდეთ და ქეიფი გავწიოთო!

გაულო მეორე კარადა. შეჯდა შიგ უფროსი, ქალმა გარედან დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

შემობრძანდა არქიელი, გაშალეს სუფრა, დასხდნენ და დააპირეს ვახშმობა. ქალს მეზობლის ბიჭი დარიგებული ჰყავდა, როდესაც არქიელი სუფრაზე დავსვა, მოდი და კარზე მოაკაკუნეო. მოვიდა მეზობლის ბიჭი და მოაკაკუნა.

ქალმა უთხრა არქიელს:

— საწყენად კი ნუ მიიღებ და კარადაში შებრძანდი ცოტა ხანს, გავისტუმრებ ვინ არის და მერმე გამობრძანდითო.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა არქიელმა, — ოღონდ კი დამმალე და რატომ არ შევალო!

Jungfrau — Schlüssel

შეეჯდა კარადაში არქიელი. ქალმა გარედან დაკეტა, გასალები ჯიბეში ჩაიდო. ქალი და მეზობლის ბიჭი დასხდნენ და ვახშამს კარგად შეექცნენ.

მეორე დღეს ქალმა დაიჭირა სამი მუშა, აჰკიდა ზურგზე სამივე კარადა და მთავარმმართებელს მიართვა. ქალმა სთხოვა:

— თქვენს მსახურთ უბრძანეთ, კარადები გააღონო!

მთავარმმართებელმა ქალს უბრძანა:

— თქვენ გააღეთო!

გააღო ერთი კარადა ქალმა და გამოძვრა მამასახლისი, გააღო მეორე — გამოვიდა უფროსი; გააღო მესამე — გამობრძანდა არქიელი.

მამასახლისი სამსახურიდან გამოაგდეს, უფროსი დაითხოვეს, არქიელი გაკრიჭეს და ციმბირში გაგზავნეს. უფროსობა კი ქალის ქმარს მისცეს...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ქვრივიშვილი

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, მოუსვენარი, ყაჩაღი, მატყუარა. დედამ უთხრა:

— შვილო, ოღონდ ნუ იყაჩაღებ და სულ მე გარჩენ, ხელს ნუ გაანძრევ!

— არა დედი, განა ჩემი ნებით ვყაჩაღობ? ზევით რომ წმინდა გიორგია, იმის ნებით ვყაჩაღობ, ის მიბრძანებს.

ადგა ეს დედაკაცი, დააცხო ხაჭაპურები, დაკლა ქათმები და ძღვნად წაუღო იმ წმინდა გიორგის. ბიჭმა დედას გაასწრო. შევიდა სალოცავში, ჩამოაფარა ფარდა და ფეხებს აქანაებს. სად იყო, სად არა, მოვიდა დედამისიც, შეეხვეწა გიორგის:

— შენი სახელის ჭირიმე, ჩემ შვილს ყაჩაღობა მოაშლევინე, ერთი შვილი მყავს და ნუ დამილუპავ!

— შენი შვილი ყაჩაღობაზე ამიგია და ყაჩაღობაზე უნდა გადავაგო! — უპასუხა თითქოს წმინდა გიორგიმ.

დედას რაღა უნდა ექნა, ეს ძღვენი იქვე დატოვა და შინ წამოვიდა გულდაწყვეტილი. ბიჭი გამოხტა, მოუსვა ხელი ამ სასმელ-საჭმელს და სელ ერთიანად შეჭამა. შემდეგ შინ გაიქცა და დედას კიდევ მიასწრო. დედა რომ დაბრუნდა, ჰკითხა:

— რა გითხრა იმ წმინდა გიორგიმ?

— შენი სიტყვა მართალი ყოფილა, ეგრე მითხრაო.

ამის შემდეგ ამ ბიჭმა გაიამხანაგა დეიდაშვილი და ის სახელმწიფო სულ აიკლეს, სალაროები გაძარცვეს, ხავაჭროები გააჩანაგეს. ყაჩაღების გზა-კვალი ვერავინ იპოვნა. ბევრი ეძებეს, მცველებიც მიუჩინეს სალაროებს, მაგრამ ფული იკარგებოდა, ყაჩაღებს ვერ პოულობდნენ.

ერთხელ სახელმწიფო ხაზინასთან კუპრით სავსე კასრი დადგეს, იქნებ ქურდი შიგ ჩავარდესო. ამ დღეს ქვრივიშვილმა ცულის მოსაპარავად დეიდაშვილი გაგზავნა. ის გადავიდა თუ არა, კუპრში ჩავარდა. ქვრივიშვილმა ვერა და ვერ ამოიყვანა. მოაჭრა თავი და თან წამოიღო, იქნებ ვერ იცნონო. მეორე დღეს ნახეს, რომ კაცი კი გდია კუპრში, მაგრამ თავი არა აქვს. მოაბეს ამ კაცს თოკი და ათრევენ ქუჩაში, ვინც ტირილს დაიწყებს, პატრონი ის იქნება და დავიჭიროთო.

ქვრივიშვილმა დეიდაშვილის ცოლს უთხრა:

— ხმა არ ამოიღო, არ იტირო, თორემ გაგვიგებენ, დაგვიჭერენ და ყველა დავილუპებითო.

პატრონი რომ ვერ იპოვეს, მკვდარი შარა-გზაზე ერთ ხეზე ჩამოკიდეს, მცველები მიუჩინეს; აქ მთელი ხალხი მიდი-მოდის, პატრონი გამოჩნდება, დაიტირებს და დავიჭერთო.

ამ ბიჭის ცოლი ძალიან ტიროდა. უნდოდა მკვდარი ქმრის დატირება, მაგრამ ქვრივიშვილი არ უშვებდა, ბოლოს, ქვრივიშვილმა რძალს გაატანა ხაჭველი და ჯამ-ჭურჭელი: წაიღე, ვითომ მუშებთან მიგაქვს. როცა მკვდართან გაიელი, დალეწე და შემდეგ იტირე რამდენიც გინდა. მცველებს ეგონებათ, ჯამ-ჭურჭელს ტირისო! ქალი ასეც მოიქცა. დაამტვრია ჯამ-ჭურჭელი და დაიწყო ტირილი. მიცვივდნენ მცველები. ნახეს, რომ ქალი ჯამ-ჭურჭელს დასტირის, ვერ დაიჭირეს.

ქალმა ტირილით გული იჯერა და შინ წამოვიდა. ქვრივიშვილმა მკვდარს ხაფლავი გაუმზადა, ვირს აჰკიდა ხასმელ-ხაჭველი და თითქოს შორეული მგზავრი იყო, საღამო ხანს მცველებთან მივიდა, სთხოვა, ღამე გამათევინეთო. მცველებმა უარი არ უთხრეს, ბიჭმა ამოალაგა ხასმელ-ხაჭველი და გაუმასპინძლდა. ბოლოს, ზევით აიხედა და მკვდარი დაინახა.

— ეგ რა არის?

— მკვდარია ჩამოკიდებული.

— ეგ ვირს მომპარავს, მიშველეთ!

— არა, კაცო, მკვდარი კაცია, ვირს როგორ მოგპარავს!

— ნამდვილად მომპარავს, აქ ველარ დავდგები.

— თუ მოგპარავს ჩვენ გიზღავთ, — უთხრეს მცველებმა.

ბიჭი ამაზე ვითომ დამშვიდდა. მცველებმა ბევრი ჭამეს, სვეს, დათვრნენ და დაიძინეს. ქვრივიშვილს რა დააძინებდა! წამოდგა, ჩამოიღო ეს მკვდარი, აჰკიდა ვირს და შინ გაუშვა. თვითონ კი მიუწვა გვერდით მცველებს და დაიძინა.

მეორე დილით პირველად მცველებმა გამოიღვიძეს. ნახეს, ვირი არა ჩანს, მაღლა შეიხედეს, მკვდარი აღარ არის. შექმნეს ერთი უბედურება, გააღვიძეს ქვრივიშვილი.

— მკვდარს შენი ვირი მართლა მოუპარავს და გაქცეულაო.

ქვრივიშვილმა დაიწყო თავში ცემა:

— რატომ დამლუპეთ, განა არ ვიცოდი, მკვდარი ვირს მომპარავდა!

მცველებმა აუნაზღაურეს ვირის ფასი და ქვრივიშვილიც შინ დაბრუნდა. დეიდაშვილი დიდი ამბით დამარხა. დაიწყო ისევ ისე ქურდობა. ძარცვავდა სალაროებს, ვერავინ ვერაფერი გაუგო.ერთხელ სალაროს მცველებმა მინდორზე გაშალეს ფული და თქვეს: ვინც ფულს დაწვდება, ქურდიც ის

იქნება და დავიჭერთო. წამოვიდა ქვრივიშვილი, ფისში ჩადგა ფეხები, გაიარა ფულზე და სულ ფეხებზე აეკრა. არც დახრილა დაბლა, ისე აკრიფა ეს ფული. ყარაულები დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულები.

ამ ხელმწიფის გასაჭირი გაიგო მეზობელმა ხელმწიფემ და ჩიხტიკოპი გაუგზავნა: ყაჩაღები ვერ დაგიჭერია, დედაკაცი ხარ და დაიხურეო.

გაბრაზდა ხელმწიფე და გასცა ბრძანება:

— ვინც არის ქურდი, მოვიდეს, არას დაეუშავებ და ფულითაც დავასაჩუქრებო!

ეს შეიტყო ქვრივიშვილმა, ადგა და უშიშრად გამოცხადდა ხელმწიფესთან:

— მე ვარ თქვენი ხაზინიდან ფულის წამღებიო!

ხელმწიფემ უთხრა:

— ოღონდ ჩემს მეზობელ ხელმწიფეს რამე მოჰპარე და ყველაფერს გაპატიებ, ბევრ საჩუქარსაც მოგცემ!

— რა უნდა მოვპარო, თვითონ მას მოვიპარავ და აქ მოვიყვანო! — მიუგო ქვრივიშვილმა.

შეაკერინა ოთხი ტყავის წამოსასხამი, ყველა ბეწვზე ელარუნები და ეჟვნები მიაბა, გააკეთებინა ერთი საკაცე ყუთი და წავიდა იმ სახელმწიფოში. ღამით მივიდა ხელმწიფის კარზე, წამოიხურა ეს ტყავი და სულ ელრიალი გააქვს, დაუძახა ხელმწიფეს:

— მე მიქელ გაბრიელი ვარ, უფალმა გამომგზავნა, ცოცხალი უნდა წაგიყვანო, ჩქარა გამოდი!

ხელმწიფემ სთხოვა:

— ერთი დღის ვადა მომეცი, ჩემი ნათესავები ვნახო, ყველას გამოვემშვიდობოო!..

ქვრივიშვილმა მისცა ერთი დღის ვადა. იმ საღამოს ქალაქში გავიდა და კარგად იქეიფა. მეორე საღამოს ისევ მიადგა კარებზე. ჩასვა ამ ყუთში ხელმწიფე, დაკეტა მაგრად და თავის ხელმწიფეს მიართვა. გახსნეს ყუთი და შეშინებული ხელმწიფე კი ამოიყვანეს! მიუტანეს ჩიხტიკოპი და თავს დახურეს.

— მე თუ ქერდი ფულს მპარავდა, შენ თვითონ მოგიპარა, დედაკაცი შენა ყოფილხარ! — უთხრა ხელმწიფემ.

ის ხელმწიფე ჯავრით მოკვდა. ქვრივიშვილმა დიდი საჩუქარი მიიღო, დაანება ყაჩაღობას თავი, შეირთო ცოლი და ხელმწიფეს კარისკაცად დაუდგა.

ჭკვიანი და გიჟი ძმა

იყო ორი ძმა: ერთი ჭკვიანი, მეორე გიჟი. ჰყავდათ ერთი ძროხა. გადაწყვიტეს მისი გაყიდვა. ჭკვიანმა ძმამ ძროხის გაყიდვა გიჟს დაავალა. მანაც წაიყვანა ძროხა ბაზარზე. გზაზე ასკილი დაინახა, თავს უქნევდა. გიჟმა იფიქრა: ასკილს უნდა იყიდოსო, მიიყვანა, მიაბა მის ძირზე და შინ წამოვიდა.

— ძროხა რა უყავი, გაყიდე? — ჰკითხა ჭკვიანმა ძმამ.

— ასკილს მივყიდე, ოღონდ ფული არ მომცაო! — უპასუხა გიჟმა.

გაბრაზდა ჭკვიანი ძმა, ორივე წავიდა ასკილთან. ნახეს, ასკილის ძირზე თოკიღა იყო, ძროხა მგელს შეეჭამა. გახელდა ჭკვიანი ძმა, მაგრამ რაღას იზამდნენ, დაბრუნდნენ შინ. საღამოს გიჟმა აიღო წერაქვი და ბარი და წავიდა ასკილთან. დაუწყო ყვირილი, რა უყავი ჩემი ძროხაო! პასუხი რომ ვერ მიიღო, დაჰკრა ბარი და სულ ძირიანად ამოაგდო. ასკილის ძირს ამოჰყვა ერთი ოქროთი სავსე ქილა. წამოიღო ქილა და წამოვიდა. დალამდა. მთვარის სინათლეზე მისდევს თავისი ჩრდილი. მას მგელი ეგონა და ოქრო გადაუყარა. შინ რომ მივიდა ძმას უთხრა:

— ასკილმა ოქრო მომცა, გზაში ვიღაც გამომედევნა და მას გადავუყარე, ცოტა კიდევ დარჩა ქილაშიო!

ჭკვიანი ძმა გაიქცა გიჟის ნაკვალევზე. მთვარის შუქზე იპოვა ეს ოქროები და ისევ ააავსო ქილა. ფული მოიხმარეს. რაც დარჩათ, თახჩაში შეინახეს. ერთ დღეს ჭკვიანი ძმა შინ არ იყო, მათხოვარი მოვიდა და პური ითხოვა. გიჟმა პური ვერ იპოვა და ქილა გაუტანა. მათხოვარმა დალოცა: დედაც გიცოცხლოს, მამაც, ძმებიც და დებიცაო!

საღამოთი ჭკვიანი ძმა დაბრუნდა და ქილა მოიკითხა.

— მათხოვარი მოვიდა, ძალიან დაგლოცა და იმას მივეცი, — უთხრა გიჟმა.

ჭკვიანმა თქვა: ახლა კი დავიღუპეთ, უნდა წავიდეთ და ვინმეს მოჯამაგირედ დავუდგეთო. წავიდნენ და ერთ მდიდარ მონადირეს დაუდგნენ მოჯამაგირედ. მონადირემ სანადიროდ ჯერ ჭკვიანი ძმა წაიყვანა. რაც ინადირა ამას აჰკიდა და საღამოთი მოიტანეს ნანადირევი.

მეორე დღეს მონადირემ გიჟი ძმა წაიყვანა. აჰკიდა სანადირო იარაღები. როცა დაიღალა, თავისი წამოსასხამიც ჩააბარა. ნადირი ბლომად დახოცა, ისიც გიჟს აჰკიდა. მონადირემ კურდღელი დაიჭირა და ისიც გიჟს მისცა ხელში, არ გაგექცესო! ბოლოს მონადირემ ასე დატვირთული გიჟი ძმა შინ გამოისტუმრა, თან მწევარი გამოაყოლა. თვითონ კი ნადირობა განაგრძო. ძალიან დაიღალა გიჟი ძმა. აიღო მონადირის წამოსასხამი და მწევარს ჩააცვა, ფეხები სამკლავეებში გააყოფინა: მე დავიღალე, შენ ატარეო. ცოტა გზა გამოიარა და გაუშვა კურდღელი:

ফুটপাতের গাছ ওপরে

წადი და ში დახმედი, სხვაგახ ფეხი არ გაადგაო! — დაუბარა. კურდღელი ტყისკენ გაიქცა. გამოუდგა მწევარი და მონადირის წამოსასხამი სულ ნაფლეთებად აქცია. როგორც იყო, მოაღწია შინ გიჟმა ძმამ, შეეგება ჭკვიანი, ჰკითხა:

— კურდღელი რა უყავი?

— სახლში გამოვგზავნე, განა არ მოსულა?

— მონადირის წამოსასხამი სადღაა?

— მწევარს ჩავაცვი, განა არ მოუტანია?

ჭკვიანი ძმა მიხვედა, საქმე ცუდად წავიდა და იქიდან გაქცევა გადაწყვიტა, გიჟმა უთხრა:

— განა ისე წავიდეთ, არა წავიღოთ რა?

აიკიდა ალაყაფის კარები და თან წაიღო. სანამ მონადირე შინ დაბრუნდებოდა, ამათ კარგი მანძილი გაიარეს. შორეულ სოფელში ერთ მეცხვარეს დაუდგნენ მოჯამაგირედ, წელიწადში ათ-ათ ცხვრად.

პირველად ჭკვიანმა ძმამ წაასხა ცხვარი. ამოვა და საღამოთი მორეკა. მეორე დღეს გიჟმა ძმამ წაასხა ცხვარი. ერთ მიტოვებულ კალოზე არეკა, არც იქით უშვებდა, არც აქეთ, იქ კი ბალახი არ იყო. ცხვრებმა ამოცოხნა დაიწყეს. გიჟს ეგონა, კეკს ღეჭავენო და უთხრა ცხვრებს, მეც მაღეჭინეთ კეკიო. მაგრამ ცხვრებმა ყურიც არ გააქანეს. შემდეგ გიჟმა ცხვრები ერთ მინდორზე გარეკა. აქ დიდი პანტა იდგა, ავიდა ზედ, დაარხია და ცხვრებს დაუძახა, მეც შემინახეთ ჩემი წილიო. ცხვრებს აბა რა ესმოდათ, მოედვნენ და სულ შეჭამეს. ხუთ თხას წვეტიანი რქები ჰქონდა და ჩამოცვენილი პანტა ზედ შერჩენოდა.

გიჟი ძირს რომ ჩამოვიდა, გაბრაზდა, პანტა რად არ შემინახეთო, მოუსვა ხელი და იმ ხუთი თხის მეტი სულ დახოცა. ამ თხებმაც დაიწყეს კიკინი. გიჟმა იფიქრა, მეცხვარესთან მიჩიოლებენო და ისინიც ზედ მიაყოლა. საღამოს დაბრუნდა ცარიელი. ჭკვიანი ძმა გამოეგება და ჰკითხა:

— ცხვრები რა უყავი?

— დავხოცე!

— როგორ თუ დახოცე, მეცხვარე ხომ პასუხს მოგთხოვს?

— კევი ვთხოვე, არ დამაღეჭინეს, პანტა არ შემინახეს, დასახოცი იყვნენ, აბა რა! — უთხრა გიჟმა.

ჭკვიანი ძმა შეშინდა, მაგრამ ხერხი იხმარა, წაიყვანა ეს გიჟი და დახოცილი ცხვრები ფარეხში შეზიდეს. ჭკვიანი თუ ერთს იკიდებდა, გიჟი ექვსს იკიდებდა. მიაწყვეს ერთმანეთზე. შებინდებისას მეცხვარემ გადახედა ფარეხს და მოჯამაგირეებს მადლობა უთხრა: ცხვარი კარგად გიმოვებიათ, სიმაძღრისაგან დაყრილანო. პურის ჭამაზე რომ დასხდნენ, მეცხვარემ ჭკვიან ძმას ორი ჭიქა ღვინო მიაწოდა, გიჟს — ერთი, გიჟი გაბრაზდა:

— შენ ერთს იკიდებდი, მე — კი, ექვსს, შენ ორ ჭიქა ღვინოს გასმევენ, მე — ერთს, ეს სამართალია?

ჭკვიანმა ძმამ შეუტია. მეცხვარემ იკითხა:

— რაო, რას იკიდებდი ექვსსა და შენ ერთს?

— ფიჩხს ვზიდავდით, მე ერთს ვიკიდებდი, ის — ექვსს და იმას ამბობსო, — იცრუა ჭკვიანმა.

პურის ჭამას რომ მორჩნენ, დაწვნენ და დაიძინეს. შუაღამით ჭკვიანმა გააღვიძა გიჟი და უთხრა:

— ადექი, აქედან გავიქცეთ, თორემ დაგვხოცავს!..

გიჟმა თქვა:

— არა უნდა წავიღოთ რაო? — დააკლო ხელი დიდ საარყე ქვაბსა და ალაყაფის კარებს და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთი ჭადრის ძირში მიეიდნენ. დაინახეს, ყაჩაღები მოდიოდნენ სოფლის ასაკლებად, ასე ოცდაათი კაცი იქნებოდა. ძმები ავიდნენ ჭადრის ხეზე დასამალავად. გიჟმა ზედ აიტანა საარაყე ქვაბიც და ალაყაფის კარებიც. ყაჩაღებმა ჭადრის ძირში დაისვენეს. გიჟმა ვეღარ დაიმაგრა საარაყე ქვაბი და ძირს ჩაუვარდა. ყაჩაღებს ეგონათ, ზეციდან ჩამოვარდაო, ცეცხლი გააჩაღეს და ფაფის გაკეთებას შეუდგნენ. ამოდენა ქვაბი ფაფა მოხარშეს და ლოცვა დაიწყეს. გიჟს გაუსხლტა ხელიდან ალაყაფის კარები, ჩამოუვარდა და ოცდაათიდან ოცდაცხრა კაცი დაიტანა. ახლა კი ძმები ჩამოვიდნენ ძირს. ჭკვიანი დაეჭიდა ცოცხლად გადარჩენილს. გიჟი კი მიადგა ფაფას და სულ შეჭამა.

ყაჩაღებს ნაძარცვი ოქრო-ვერცხლი მოჰქონდათ. ჭკვიანი ადგა და მას დაუწყო თავმოყრა. გიჟმა კი დახოცილებს ფარაჯები დახადა, მათგან კარავი გააკეთა, შევიდა შიგ, დაწვა და არხეინად დაიძინა. ჭკვიანი ძმა ოქრო-ვერცხლს ყარაულობდა. ღამით საშინლად აცივდა. ჭკვიანი სულ გაიყინა, დილით სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. ამ დროს მზე ამოვიდა და ცოტა დათბა. გაყინული კაცი გალხვა, შეიშმუშნ-შემოიშმუშნა და წამოდგა.

აიკიდეს ძმებმა ეს სიმდიდრე და შინ წაიღეს. ამის შემდეგ ჭკვიანი ძმა გიჟ ძმას მარტოს არსად უშვებდა და სულ ერთად ცხოვრობდნენ ბედნიერად.

გლეხის ცოლი

იყო ერთი ღარიბი გლეხი. ჰყავდა ლამაზი ცოლი. მისი სილამაზე ყველას ხიბლავდა, მაგრამ ქალი თავისი ქმრის ერთგული იყო, არ ღალატობდა, მთელ დღეებს შრომასა და ფუსფუსში ატარებდა. ერთ დღეს გამოუარა ამ კაცს ვაჭარმა და უთხრა: სავაჭროდ მივდივარ, წამომყევ, კარგად იმუშავებ, კარგად დაგასაჩუქრებო.

გლეხმა იფიქრა: ღარიბი კაცი ვარ, იქნებ ცოტა რამე ვიშოვოო და წაჰყვა. დაემშვიდობა თავის საყვარელ მეუღლეს და ჩქარა დაბრუნება აღუთქვა.

შორი გზა აქვთ გასავლელი. ერთ სოფელში დაუღამდათ. ჩამოხტნენ დასასვენებლად. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ზოგი დედას აქებს, ზოგი — ცოლს, ზოგი — ცოლის დას. ლაპარაკში ეს კაციც ჩაერია:

— მე ისეთი ცოლი მყავს, ბრილიანტები რომ დაუწყო, ჩემს მეტს ხმას არავის გასცემსო, — თქვა.

ვაჭრებმა სიცილი დაიწყეს. ამ კაცს ეწყინა.

— თუ მაგრეა, სანაძლეო დავდოთო!

ერთმა ვაჭარმა თქვა:

— დავნაძლევდეთ, მე უკან დაგბრუნდები და ყველა ნიშანს მოგიტან, რომ შენს ცოლთან ვიყავი, თუ ასეთი ნიშანი მოგიტანო, სამი წელიწადი უფასოდ მემსახურე, თუ ვერ მოგიტანო, ჩემი ქონება შენ დაგრჩესო.

დანაძლევდნენ. ვაჭარმა მოაბრუნა ცხენი და უკან გაბრუნდა. მივიდა ამ ქალთან, მაგრამ ახლოსაც ვერ მიეკარა.სახითაც არ ეჩვენა. ბევრი უტრიალა ვაჭარმა, ფულიც გაუგზავნა, საქონელიც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მივიდა ერთ დედაბერთან და შველა სთხოვა. დედაბერმა ჩასვა თავის ზანდუკში, გაუკეთა სათვალეები, შეკრა, მიუტანა იმ ქალს და უთხრა:

— თუ არ დაიზარებ, ეს ზანდუკი შენს ოთახში შემინახე, სხვაგან მივდივარ და მეშინია, არ მომპარონო!

ქალმა, რა თქმა უნდა, დაიტოვა. დაღამდა. ვაჭარი უცქერის ამ ქალს ზანდუკიდან. ქალმა ტანთ გაიხადა, ტანისამოსი ამ ზანდუკზე დაალაგა, დაწვა და დაიძინა. ვაჭარმა დაინახა, რომ ქალს მარჯვენა ძუძუზე ხალი აქვს. ერთი პერანგიც შეეთრია ზანდუკში. ამ პერანგზე კი ქმრის ნაჩუქარი ძვირფასი ქინძისთავიც ებნია. მეორე დღეს დედაბერმა შინ წაიღო თავისი ზანდუკი. ქალმა პერანგი ერთხანს კი ეძება, მაგრამ რომ ვერ იპოვა, თავი დაანება, ალბათ, არ მეცვაო.

მეორე დღეს ვაჭარი დაეწია თავის ამხანაგებს, გლეხს მიუტანა მისი ცოლის პერანგი და თანაც უთხრა:

— წუხელ მასთან ვიყავი,მარჯვენა ძუძუზე ხალი აქვსო!

კაცს ენა ჩაუვარდა. რა უნდა ეთქვა. წააგო სანაძლეო. ცოლი მოღალატე აღმოჩნდა. შეუთვალა, მოღალატე ყოფილხარ და შინ აღარ დამხვდეო!

წავიდა ქალი სახლიდან. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი ზღვის პირზე. სთხოვა მეთევზეებს რამდენიც გინდათ, მთხოვეთ, ოღონდ თქვენი ტანისამოსი მომეციოთო.

გაიხადა ერთმა მეთევზემ თავისი ტანისამოსი და მისცა, მაგაში რა უნდა გამოგართვათ, საჩუქრადო.ქალმა ჩაიცვა ვაჟურად და წავიდა. მივიდა ერთი გემის უფროსთან და სთხოვა: მეზღვაურად მიმიღეთო. მიიღეს მეზღვაურად. თავისი ყოჩაღობით ეს ქალი სულ მალე გემის უფროსიც გახდა. შორს გაუვარდა სახელი. ყველა მას აქებდა.

ერთ დღეს ეს ქალი დადის ბაზარში. დაინახა, რომ ვიღაც ვაჭარი ყიდის აბრეშუმის პერანგს, რომელზედაც მისი ძვირფასი ქინძისთავიც აბნევია. იცნო თავისი პერანგი და ქინძისთავი.

— ვინ მოგცა ეს პერანგი და ქინძისთავი? — ჰკითხა მრისხანედ. ვაჭარი დაიბნა, ხმას ვეღარ იღებს. — ახლავე მითხარი, სად იშოვე, ან ვინ მოგცა, თორემ აქვე მოგკლავო! — კვლავ დაუყვირა ქალმა.

ვაჭარმა ძლივს ამოიღგა ენა და დიიწყო ლუღლუღი: ასე და ასე იყო, ერთ გლეხკაცს პატიოსანი ცოლი ჰყავდა, სანაძლეო დავდეი მის ქმართან, ქალმა ახლოს არ მიმიკარა, შემდეგ ერთმა დედაბერმა თავის ზანდუკში

ჩამსვა და იმ ქალის ოთახში დამტოვა, დაეინახე ქალის ნიშანი და ეს პერანგიც იქ მოვიპარეო.

ქალს უნდოდა იქვე მოეკლა ვაჭარი, მაგრამ თავი შეიკავა.

— მერმე და ის კაცი სად არის, ან ის დედაბერი სადღაა? — კიდევ უფრო მრისხანედ ჰკითხა ქალმა.

— კაცი მოჯამაგირედ მყავს, დედაბერი კი თავის ბინაზე იქნებაო! — უთხრა ვაჭარმა.

ქალი მივიდა მოსამართლესთან, დააბარებინა ეს ვაჭარი, დედაბერი და მისი ქმარი. საწყალი კაცი ამ ორ წელიწადში მოტეხილიყო, დადარდიანებულიყო, ჯავრს წაეღო.მოსამართლემ ყველაფერი გამოიძია. ბოლოს, ვაჭარს ჰკითხა:

— რად დასწამე ცილი პატიოსან ქალს, რად მიუტანე ბოროტი ენა მის ქმარსო?

ვაჭარი ხმას ვერ ილებდა. ახლა ქალმა ჰკითხა თავის ქმარს:

— შენი ცოლი რომ ცოცხალი ნახო, როგორ მოიქცეოდიო?

— მთელ სიცოცხლეს მას შევწირავდი. ის უდანაშაულო ყოფილა. დამნაშავე მე ვარ, რომ მოღალატედ მივიჩნიეო! — თქვა კაცმა და ცრემლები წასკდა.

ამ დროს გემის უფროსმა გადაიძრო ქუდი და გადაეხვია თავის ქმარს. ყველა გაკვირდა. ერთგული ცოლი და მისი ქმარი ცრემლმორეულნი წავიდნენ შინ.

სტუმარი

ერთი ზარმაცი კაცი ადგა და გზას გაუდგა: შინ მაინც არ მაყენებენ, მასპინძელი ვინმე გამოჩნდება, სტუმარს ხომ გარეთ არ გამომაგდებსო. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთი სოფლის ბოლოს დაუღამდა. ძალიან შიოდა. ქერის თავთავის მეტი არა ებადა რა. ერთ სახლს მიადგა. პატივით მიიღეს და კარგადაც გაუმასპინძლდნენ. დაწოლის წინ სტუმარმა ქერის თავთავი დიასახლისს მიაბარა და უთხრა:

— ეს თავთავი იქ შემინახეთ, სადაც მამალი ჯდებაო!

დილით სტუმარს საუზმე მოართვეს. წასვლის წინ მან თავისი თავთავი მოითხოვა. ვერსად იპოვეს: მამალს გაეკენკა. შეწუხდნენ მასპინძლები. სტუმარი ახტა და დახტა:

— ან ჩემი ქერის თავთავი მომეცით, ან ეგ მამალი, თორემ აქაურობას ავიკლებო!

მასპინძლებს შეეშინდათ. გამოუყვანეს მამალი და გამოატანეს. ზარმაცს მოჰყავს მამალი და მოიმღერის. ერთი სოფლის ბოლოს კვლავ დაუღამდა.

— ოჯახის შვილებო, ოჯახის შვილებო, სტუმარი არ გინდათ?! — გადასძახა ერთ კაცს.

— მობრძანდი შენი ჭირიმე, მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა, თუ გეიკადრებ, ჩვენთან დაისვენეთ!

ზარმაცი არხეინად შებრძანდა ეზოში. თავისი მამალი დიასახლისს მიაბარა და სთხოვა:

— ეს მამალი იქ შეაგდეთ, სადაც უშობელი გიბიათო! დიასახლისმა მამალი ჩამოართვა, გომურში შეიყვანა და უშობელთან დააბა.

სტუმარს კარგად გაუმასპინძლდნენ, მთელი ღამე უმღერეს, კარგი ღვინო დაალევინეს, თბილად დააძინეს. დილით კიდევ უფრო ტკბილად მოიკითხეს. საუზმის შემდეგ სტუმარმა თავისი მამალი მოითხოვა. დიასახლისი გომურში შევიდა, მაგრამ რას ხედავს: მამალი უშობელს ფეხით გაეთელა, ძალიან შეწუხდა. სტუმარს პატიება სთხოვა.

ზარმაცი ცეცხლივით აენთო. მორთო ღრიალი: ან ჩემი მამალი დამიბრუნეთ, ან ეგ უშობელი მომეცით, თორემ აქაურობას ავიკლებო!

მასპინძლებს რაღა უნდა ექნათ, გამოუყვანეს უშობელი და ზარმაცი გაისტუმრეს. მოჰყავს უშობელი ზარმაცს და მოიმღერის. ერთი სოფლის ბოლოს ისევ დაუღამდა. სადღაც შუქი დაინახა, ახლოს მივიდა სახლთან და ბანიდან გადასძახა:

— ოჯახი შვილებო, ოჯახის შვილებო, სტუმარი არ გინდათ?

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა! — გამოსძახეს მასპინძლებმა.

სტუმარი პატივით მიიღეს. უმცროსმა ქალიშვილმა ზარმაცს უშობელი ჩამოართვა, ხეზე მიაბა და თივა დაუყარა. სტუმარი სახლში შეიყვანეს, კარგი ვახშამი აჭამეს და რბილ ლოგინში ჩააწვინეს. ზარმაცს უმცროს ქალზე თვალი დარჩა, ძალიან მოეწონა. ღამით ჩუმად ადგა, თავის უშობელს ყელი გამოღადრა, სისხლიანი დანა მძინარე ქალს ჯიბეში ჩაუდო, დაწვა და არხეინად დაიძინა.

დილით რომ გაიღვიძეს, საშინელი სურათი გადაეშალათ თვალწინ: უშობელი ყელგამოღადრული ეგდო.

სტუმარმა ხელი წაიშინა თავში,ეს იყო ჩემი ცხოვრება, სიმდიდრე და სიხარული, რაღა მეშველება, ვინღა მანუგეშებსო...

მასპინძელი ბევრს ეძია, მაგრამ ვერ გაიგო, ვინ დაკლა უშობელი. ბოლოს სტუმარმა თქვა:

— ვისაც ჯიბეში სისხლიანი დანა აღმოაჩნდება, უშობელი მისი დაკლული იქნებაო.

ყველას გაუსინჯეს ჯიბეები და უმცროს დას აღმოაჩნდა სისხლიანი დანა. მამა საშინლად გაბრაზდა. დედა თმებში სწვდა ქალიშვილს. სტუმარი კი ყვიროდა:

— ან მომეცით ჩემი უშობელი, ან ეგ ქალი, თორემ აქაურობას ავიკლებო!

მასპინძელს შეეშინდა, მართლა არ აგვიკლოსო და მისცა ზარმაცს თავისი ქალიშვილი, კარგადაც დაასაჩუქრა და დიდი ამბით გაისტუმრა.

ზარმაცმა ქალი შინ მიიყვანა. ყველას უკვირდა, ვინ მისცა ამას ეს მზეთუნახავიო. ქალმა ურჩია: ვიშრომოთ და ბედნიერად ვიცხოვრებთო!

ამის შემდეგ ზარმაცი ბეჯითად შრომობდა და ცოლს მუდამ კარგად ეპყრობოდა. ცხრა შვილი გამოზარდეს, ცხრაკუ ნამდვილი ვაჟკაცი...

სამი სიტყვა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. ქოხმახი თავზე ექცეოდათ, სარჩოს ვერ იწევდნენ. კაცმა იფიქრა: ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობსო, წაიღო სამი დღის საგზალი და წავიდა სხვა სოფელში. ერთი მდინარის ნაპირზე მეთევზე დაინახა და ჰკითხა:

— კეთილო კაცო, მოჯამაგირედ დამაყენე, ერთგულად გემსახურები!

— დაგაყენებ, — უპასუხა მეთევზემ, — და წლის თავზე გასამრჯელოდ ისეთ ძროხას მოგცემ, დღეში ხუთჯერ იწველიდეს და ორ კვირაში ორ ხბოს იგებდეს.

კაცი დაეთანხმა, დადგა მოჯამაგირედ, ერთგულად მუშაობს. ხან ბადის გადაგდებაში ეხმარება, ხან საქონელს უმწყემსავს, ხან ვენახს უბარავს, ბაღს ურწყავს. ერთი წელიწადი რომ შესრულდა, მეთევზემ გამოიყვანა ძროხა და უთხრა: აი,ძმობილო, წაიყვანე ეს ძროხა. სამი წლის, სამი თვისა და სამი დღის შემდეგ გამოგივლი, სამ სიტყვას გეტყვი, თუ მიპასუხებ, კარგი, თუ ვერა, ნამატს უკანვე წავიყვანო.

გამოემშვიდობა კაცი, წამოიყვანა ძროხა და წამოვიდა შინ. ცოლი გახარებული შეხვდა. ძროხა მართლაც დღეში ხუთჯერ იწველიდა. ყოველ ორ კვირაში ორ ხბოს იგებდა. წლის ბოლოს მთელი ჯოგი ჰყავდა. ცხოვრობდა ბედნიერად და სიხარულით, მაგრამ გულში მაინც ეშინოდა, ნეტავ, რა სიტყვას მეტყვის ის მეთევზეო.

გავიდა სამი წელიწადი და სამი თვე, მეთევზის მოსვლამდის სამი დღეღა დარჩა. იმ ღამით ცოლ-ქმარს ერთი მეზობელი ესტუმრა. მოწყენილობა შეამჩნია მასპინძლებს. იმანაც მოიწყინა, მაგრამ შინ წასვლას არ ჩქარობდა, ბოლოს, მაინც იკითხა: რას ჩამოგიშვიათ ცხვირ-პირი, შეძლება არ გაკლიათ და სასმელ-საჭმელი, რას დარდობთო?

კაცმა თავისი ამბავი უამბო:ხვალ მეთევზე გამოივლის, სამ სიტყვას მეტყვის, თუ ვერ ვუპასუხე, ძროხის ნამატს სულ წაიყვანს და ამას ვდარდობო!

— ფიქრი ნუ გაქვთ, მეც თქვენთან ვიქნები, ოღონდ კარი არ გაუღოთ, არც ფარეხში შეახედოთ, პასუხს მე გაეცემო!

მეორე დღეს ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, ცოლ-ქმარს კარებზე მოუკაკუნეს. კაცმა გამოსძახა:

— ვინა ხარ, გათენებამდის რომ მაღვიძებ?

— მე ვარ, მეთევზე, სამი სიტყვა უნდა გითხრა, კარი გამიღე! —მიუგო სტუმარმა.

— რა სიტყვა უნდა მითხრა, მანდედან თქვი, რაღა შინ შემოხვიდე! — გამოსძახა ახლა მეზობელმა.

— გუშინ რომ ჩიტი გამოგიგზავნე, რა უყავი!

— ის ჩიტი კი არა, ბუზი იყო და მამალმა ჩაყლაპა.

— პატარა მამალი ყოფილა.

— პატარა კი არა, აქ რომ დაიყიელებდა, ცხრა მთას იქით დედაბერს აბერწებდა.

— ის დედაბერი ბერწი იქნებოდა.

— ბერწი კი არა, ცხრა წელიწადში ცხრა შვილი შობა, ყველა დეკგმირი გაიზარდა და ჩემს ჯოგს მცველებად აედგანან.

მეთევზეს გული გაუსკდა: თუ ცხრა დეკგმირი გამომიდგა, შაე დღეს დამაყენებსო და უპასუხა:

— ღირსი ყოფილხარ მაგ ქონებისა, შეგერგოს!

ახლა კი ცოლ-ქმარმა გაულეს კარი, შეიპატიჟეს მეთევზე, კარგა აქეიფეს და ისე გაისტუმრეს. ამის შემდეგ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა არ შეუწყვეტიათ.

ხელმწიფე და მოჯამაგირე

ერთი ღარიბი გლეხის შვილი მოჯამაგირედ დაუდგა აე ხელმწიფეს. პატიოსნად ემსახურებოდა, მაგრამ ხელმწიფე მაინც უკმაყოფილო იყო. განიზრახა მოჯამაგირის თავიდან მოშორება. ერთ დღეს დაიბარა და უთხრა: სამ დავალებას მოგცემ და თუ სამ დღეში არ შეასრულებ, თავს წაგაცლიო.

მოჯამაგირე შეშინდა, მაგრამ გული გაიმაგრა და, ბრძანეო, — უთხრა. ხელმწიფემ თქვა:

— გამიგე, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი და ამიხსენი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობო?

მოჯამაგირე წამოვიდა გამწარებულ-დაძმარებული. ვინ ასწავლიდა ამდენ რამეს. წავიდა და თავისი გაჭირვება ერთ მოხუც კაცს შესჩივლა.

— შენ ნუ დარდობ, მაგას მე მოვუელი, შენ წადი და დაიძინე! — უთხრა მან მოჯამაგირეს.

მესამე დღეს მოხუცმა ჩაიცვა მოჯამაგირის ტანისამოსი, თმა შაეად შეიღება, წვერ-ულვაში მოიპარსა, ზურგზე დიდი გოდორი მოიგდო და ხელმწიფეს ეახლა. ხელმწიფე გამოვიდა და მოჯამაგირეს ჰკითხა:

— შეასრულე, რაც დაგავალე?

— ყველა უკლებლივ შეეასრულე!

— აბა, მითხარი, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის?

— შვიდი ათას ექვსას სამოცდაორი ნაბიჯია, წუხელაც შეეამოწმე. ნამდვილად ასეა!

ბოლომდე ეგონა, ეს ბალიანი

— მერმე და ამას რითი დაამტკიცებ?

— თვითონვე გამოვთვალე, თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ!

ხელმწიფე მიხედა, რომ მოჯამაგირემ აჯობა, მაგრამ თითქოს არაფრად ჩააგდო და ისევ ჰკითხა:

— აბა, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი?

—მამათქვენს მამიჩემისა ეს გოდორი ოქრო მართებია, ახლავე დამიბრუნე, თორემ მთელ ხალხს ვეტყვიო.

— რას მიედ-მოედები! — გაანჩხლდა ხელმწიფე.

— ტყუილის თქმა მინდოდა! — ხიცილით მიუგო მოჯამაგირემ. ხელმწიფე დარწმუნდა, რომ მახეში გაება, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— აბა, მითხარი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობ?

— თქვენ ახლა ფიქრობთ, რომ თქვენს წინ მოჯამაგირე დგას, მაგრამ სასტიკად ცდებით, თქვენ ახლა იმას დარდობთ, როგორ გაჯობათ მოჯამაგირემ, მაგრამ რას იზამთ! — უპასუხა მოხუცმა.

ესა თქვა თუ არა, მეორე კარებში მოჯამაგირე გამოჩნდა, ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

— თქვენი დავალება ხომ უნაკლოდ შევასრულე, პირობას ხომ არ გადავსულვარო?

შენცხვენილი ხელმწიფე დიდხანს იდგა გაშეშებული. მოჯამაგირე და მოხუცი გულიანად ხარხარებდნენ.

სამი მეცნიერი და გლეხი

სამ მეცნიერს ერთ სოფელში დაუღამდა. მივიდნენ ერთ გლეხთან. დასხდნენ პურის საჭმელად. ამათ თავიანთი კარგი საჭმელები ამოალაგეს. გლეხმა ლობიო დაისხა. ჯერ ერთი ჭიქა არაყი გადაკრა. შემდეგ ერთი დიდი ჯამი ლობიო შეჭამა და, ბოლოს, ორი ჯამი ღვინოც დააყოლა. მეცნიერებმა უთხრეს:

— ხომ მოგკლავს, ამოდენა საჭმლის ჭამა განა შეიძლება?

— რას დამაკლებს, ხომ ნახეთ, ჯერ ერთი არაყი დავლიე, ბოლოს ღვინო დავატანე, ლობიო შუაში მოვაქციე, აბა, რა უნდა მიქნას.

მოემზადნენ დასაწოლად. მეცნიერებმა თქვეს:

— გარეთ მოვისვენებთო.

გლეხმა უპასუხა:

— ეიცი, ამაღამ გაავდრდება, ლოგინის ალაგება-დალაგება ჩემი საწვალებელი იქნება, სჯობს, შინ დაიძინოთ!

— რა უნდა გაავდრდეს, ცაზე ღრუბელი არა ჩანს, აბა, საიდან უნდა მოვიდეს წვიმა, ჩვენ გარეთ დავიძინებთ!

დაწვნენ და დაიძინეს. ღამით მართლა მოვიდა წვიმა. გლეხმა მეცნიერები შინ შეიყვანა.

— როგორ გაიგე, რომ უნდა გაავდრებულიყო? — ჰკითხეს მეცნიერებმა.

— ხალამოს ლორები რომ მოვიდნენ, გოჭებმა ჭყიტინი დაიწყეს, ეს ავდრის ნიშანი იყო; ფინიაც რომ მოიკუნტა და ხათიეის ქვეშ მოიკალათა, ესეც ავდრის ნიშანი იყოო.

დილით მეცნიერები გლეხს დაემშვიდობნენ და ერთმანეთს უთხრეს:

—წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ აქედან: გლეხს, ფინიას და გოჭებს ყველაფერი სცოდნიათ, ჩვენ კი ვერა გაგვიგია რა, ხუობს, შინ წავიდეთო.

მეცნიერი და მენავე

ერთი მეცნიერი მენავესთან მივიდა და უთხრა:

— მოდი, ნავში ჩამსვი და გამასეირნეო!

ჩასხდნენ ნავში და გაცურეს. გზაში მეცნიერმა ჰკითხა:

— შენ რამე ცოდნა გაქვს თუ არა?

— არა, არაფერი ცოდნა არ მიმიღია.

— მაშ, ნახევარი სიცოცხლე დაგიკარგავს, განა მენავეობაზე მეტი არა იცი რა?

— არა, ეს არის ჩემი ხელობა, მეტი არა მისწავლია რა.

— ვერაფერი ბიჭი ყოფილხარ, სირცხვილი!

ამ ლაპარაკში არიან და უცებ მენავემ ნავი მოატრიალა, თუ ვერაფერი ბიჭი ვყოფილვარ, გაჩვენებო. ნავი გადაიზნიქა, მეცნიერი ზღვაში გადავარდა, მენავე ზევიდან მოექცა. სწვდა მეცნიერს ქოჩორში, ჩააყოფინა თავი წყალში, შემდეგ ამოიყვანა და ჰკითხა:

—როგორი ბიჭი ვყოფილვარ?

— ერთი შენა ყოფილხარ ქვეყანაზე და მეორე — ღმერთი ცაში! — უთხრა შეშინებულმა მეცნიერმა.

მენავემ კიდევ ჩააყოფინა წყალში თავი, ბლომად აყლაპვინა მლაშე წყალი და კიდევ ამოიყვანა. ისევ ისე ჰკითხა:

— აბა, კარგად გასინჯე, როგორი ბიჭი ვყოფილვარ?

— შენისთანა ამ ქვეყანაზე არავინ ყოფილა, შენ ყოფილხარ ადამიანის მშველელი.

ახლა კი ამოიყვანა მეცნიერი, ჩაისვა ნავში და ნაპირზე გამოიყვანა. როცა მეცნიერი სამშვიდობოს გავიდა, თქვა: თავის დროზე, თურმე, ყველა ხელობა კარგი ყოფილა, ნეტავ, რას ვერჩოდი იმ კეთილ მენავესო.

Ulysses and Polyphemus

ბრმა მეჩონგურე

ერთ ქალაქში ბრმა მეჩონგურე ცხოვრობდა, გულთმისანი და კარგი მომღერალი.

ხელმწიფეს ამბავი მოუვიდა: შენს სახელმწიფოში ასეთი მომღერალიაო. დაიბარა ხელმწიფემ ეს მეჩონგურე.

თავის ეზოში კი დიდი ხარო გაათხრევინა და ზედ ხალიჩა გადააფარა. დანიშნულ დროს მოვიდა ბრმა მეჩონგურე და გაჩერდა ეზოს კარებში. დაუკრა ჩონგური:

მეფე ღმერთმა აღღეგრძელოს,
ეზო კარგად დაუგია;
ხალიჩებიც დაუგია,
ქვეშ კი ორმო გაუთხრია!

გამოქანდა ხელმწიფე, უნდოდა ეკოცნა ბრმა მეჩონგურისათვის. თავის გათხრილ ორმოში თვითონვე ჩავარდა, ძლივს ამოიყვანეს. მეჩონგურეს სთხოვა: ერთი ლექსი კიდევ მიმღერეო!

მეჩონგურემ უმღერა:

შენი გულის პასუხს
სხვას ნუ გაუცხადებ,
სხვას ორმოს ნუ გაუთხრი,
ნუ გაუმზადებ!

მძლეთამძლე

იყო სამი ძმა, ორი ყოჩაღი, მესამე ჩოფანო, გლახა. უფროსმა ძმებმა ცოლები რომ შეირთეს, ერთად ვერ მოთავსდნენ და ქონება შუაზე გაიყვეს. ჩოფანო ძმა კი უწილოდ დატოვეს. ამ გლახამაც მოითხოვა მამისეული ქონების წილი, მაგრამ ძმებმა უთხრეს: შენ ცოლს არავინ მოგათხოვებს, ქონება რად გინდა, ხან ერთთან იმუშავე, ხან მეორესთან და ჩვენ გიპატრონებთო. ჩოფანომ ეს რომ გაიგონა, ერთი სიკვდილი მოკვდა, მაგრამ კარგად იცოდა, ჩხუბით ძმებთან ვერაფერს გახდებოდა.

ბოლოს, წაიღო მამის დატოვებული ლეკური ხმალი და იქაურობას გაშორდა.

გაუდგა გზას. ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, მივიდა ერთ სოფელში. მონახა მდიდარი კაცი და მოჯამაგირედ დაუდგა. სამი თვე ემსახურა. აღებული ჯამაგირით ხმალს ქარქაში გაუკეთა, რკინაზე ოქროს ასოებით წააწერინა „მძლეთამძლე.“ გადაიკიდა მხარზე ხმალი და ისევ გაუდგა გზას, საით მიდის, არ იცის.

დადიოდა თემშარაზე სოფელ-სოფელ და უშნოდ მიაკონწიალებდა ხმალს. გამელელ-გამომელელი ეჭვნეულად ადევნებდნენ თვალს, ბავშვები ყოველთვის დასდევდნენ უკან და დასცინოდნენ. ჩოფანოს მოსწყინდა თემშარაზე ხეტიალი. გზიდან გადაუხვია და ტყის პირად, ხის ძირში მიწვა, ვითომ ცოტას დავისვენებო. ტყიდან ორი შეიარაღებული ვაჟკაცი გამოვიდა და მისკენ წამოვიდა. ჩოფანომ თავი მოიმძინარა. ვაჟკაცებმა ეჭვნეულად დაუწყეს ყურება. რაღაც თვალში არ მოუვიდათ, მივიდნენ და სიცილით გვერდში მიუსხდნენ.

ერთმა მძინარემ ქარქაშიდან ხმალი ამოაძრო. ნახეს, რკინა ლაპლაპებს, ზედ აწერია „ მძლეთამძლე .“ ახლა კი შეშინდნენ. ეგონათ, არც ისე სახუმარო კაცთან ჰქონდათ საქმე. ხმალი ისევ ჩუმად ჩაუგეს ქარქაშში: ეს ვიღაცაა, ალბათ, გამოცდილი ვაჟკაცია და იქნებ ჩვენი ამხანაგობაც ინებოსო! დიდი მორიდებით დაუწყეს გაღვიძება. ჩოფანოს ყველაფერი ესმის, გული გაიმაგრა და, ვითომ მაგრად ეძინაო, თვალები ამოიჟღლიმა, ადგა და მოსულებს მიესალმა. იმათაც „ღმერთმა გადღეგრძელოსო! “ — უთხრეს და მუსაიფი გაუბეს. ჩოფანოც მოჰყვა თავისი ვაჟკაცობისა და ხმლის ამბავს. ახლა მომწყინდა ამდენი ომი, სისხლის ღვრა და ხელმწიფესთან უნდა გამოვცხადდეო, — გაათავა ტრაბახი ჩოფანომ. კაცებს გაუკვირდათ ჩოფანოს გმირობა და ამათაც უამბეს თავიანთი თავგადასავალი.

— ჩვენო, — უთხრეს, — აქ ორნი ვართ, მაგრამ ექვსი ამხანაგი გვყავს, თუ არ გაგვიბრაზდები, მეცხრე ამხანაგი შენ იყავიო!

ჩოფანოც დაეთანხმა. ესენი, თურმე, განთქმული ყაჩაღები არიან და ცხოვრობენ შორს, სადღაც ლურსკუმა ტყეში.

წაიყვანეს ჩოფანო ტყეში უფროსის სანახავად. ჩოფანოს ვაჟკაცობის ამბავი ამხანაგებს ერთი ხუთად გადასცეს. უფროსმა მაინც არ დაიჯერა და ჩოფანოს გამოცდა განიზრახა. დაავალა ყაჩაღებს:

— ამაღამ ღორის სადარაჯოდ წახვალთ და ამ ახალ ამხანაგსაც თან წაიყვანთო! ჩოფანო შიშმა აიტანა, მაგრამ თიოქოს არ შეიმჩნია. საღამოს გაჰყვა ამხანაგებს ტყეში. თითქოს ძალიან გახარებულია, გულში კი ფიქრობს, იქნებ სადმე გავასწრო და გავიპაროო. ამხანაგებმა თოფი შესთავაზეს. მან კი ისინი სასაცილოდ აიგდო: აბა, ეს ხმალი ტყუილუბრალოდა მაქვსო! ნამდვილად არ იცოდა,თოფი საიდან ისროდა.

ღორები რკოზე ყოფილიყვნენ მიჩვეული. ჯერ თურმე კარგად დაძღებოდნენ, მერმე დრუნჩებით ორმოებს თხრიდნენ. უცებ ერთი ღორის ნაკვალევი შენიშნეს: ნამდვილად ეს არის, კამეჩის ტოლას რომ ამბობენო, — თქვეს ყაჩაღებმა, — თურმე იმხიჩქე ტყავი აქვს, ტყვია ვერ ატანს, ერთი ეშვის მოქნევით კისრისსიმსხო ხეებს გლეჯსო. ჩოფანო აქ დატოვეს, ისინიც იქვე ახლოს, ხის ძირში ჩახაფრდნენ. წახდა საწყალი ჩოფანო!

აღარც გაპარვა ეწყობა ამ შუაგულ ტყიდან და აღარც არაფერი. მადლობა უფალს, ღორის ბედზე გავჩენილვარ და რა ვქნაო, — გაიფიქრა გუნებაში. მეტი ვერაფერი მოიფიქრა, ავიდა მუხაზე და გადაალაჯა ბოჯახში. მაინცა და მაინც ღორი აქ მომადგა, რაღაცას გადაუგდებ, შეეშინდება, ოდ გაიქცევა, ბრალს ვერავინ დამდებსო.

უცებ მოისმა შრიალი, ღორმა მუხის ქვეშ თვალები შემოაბრიალა, ზევითაც შეანათა. ჩოფანოს გული შეუწუხდა, მთლად აკანკალდა, დაუცდა ფეხი ტოტზე, ჩამოვარდა და იმ ღორს ზედ ზურგზე დაეცა. ღორმა გაქცევა არ იკადრა და ადგილზე დატრიალდა. ჩოფანომ მაგრად ჩააცო ხელი ჯაგარში და არ იცის, რა ქნას. ეს დაინახეს ამხანაგებმა, მოვარდნენ ლომებივით, დაუშინეს თოფები და ღორი იქვე წააქციეს.ჩოფანო კი ახლა მოვიდა გონს, ნახა, საქმე გათავებულიყო და ეშმაკობა იხმარა, მორთო ყვირილი:

— თქვე ასეთებო და ისეთებო, ღორი დავიჭირე, ცოცხლად მინდოდა წამეყვანა და თქვენ ხელში ჩამაკალითო!

ყაჩაღებმა ბოდიში მოიხადეს.

წაიღეს ამოდენა ღორი და წავიდნენ უფროსთან. ყველას გაუკვირდა ახალი ამხანაგის გმირობა. ღორს თავი მოსჭრეს, გაუგზავნეს ხელმწიფეს და შეუთვალეს:

— ჩვენს დეენას თავი დაანებე, თორემ ინანებ, ახლა ისეთი მეცხრე ამხანაგი შევიძინეთ, რომ ეს ტახი ცალი ხელით დაიჭირაო.

ღორის დაჭერის ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო და ყველა ჩოფანოს აქებდა. ზოგი ამბობდა — დეეკაციაო, ზოგიც — ტყვიას ხელით იჭერსო. ყველას პირზე მძლეთამძლე ეკერა. ხელმწიფე და მისი ვეზირები შეშინდნენ და ყაჩაღების დეენას თავი დაანებეს.

გავიდა ხანი.ამ ხელმწიფეს ომი გამოუცხადა მეზობელმა ხელმწიფემ. დადეს პირობა: ყოველ წელიწადს მოვაწყოთ ორთაბრძოლა და ვისი ფალავანიც მოკვდეს, იმან გამარჯვებულს რამდენიმე სოფელი მისცეს თავისი ხალხითა და ქონებითო. ყოველ წელიწადს მარცხდებოდა ეს ხელმწიფე. უკვე ხუთი წელიწადი გავიდა და ერთხელაც ვერ გაიმარჯვა. მოწინააღმდეგე ხელმწიფეს ერთი ისეთი გმირი ჰყავდა, ვინც კი მიეკარებოდა, ყველას თავს აგდებინებდა, ვინ მოსთვლის, რამდენ ვაჟკაცს წააცალა თავი იმ წყეულმა! ხელმწიფე ძალიან შეშინდა, საუკეთესო ვაჟკაცები მტერმა გაუჟლიტა, თვითონ მარტო რას იზამდა.

ბევრი იფიქრეს და ითათბირეს, ხელმწიფემ შეყარა ვეზირები და რჩევა სთხოვა. უფროსმა ვეზირმა სიტყვა აიღო და ბრძანა:

— ჩვენც გვყავს ერთი ვაჟკაცი, აი, ის მძლეთამძლე, ვეშაპივით ტახი რომ ხელდახელ დაიჭირა, თუ იმას არ ვთხოვეთ, სხვა ვერავინ გვიშველის და მთელ ქვეყანას დავღუპავთო!

ეს აზრი ყველამ მოიწონა. ხელმწიფეც დაითანხმეს. მძლეთამძლეს შუაკაცები გაუგზავნეს. დაუდეს პირობა: თუ მტრის ფალავანს მოკლავდა, ხელმწიფე მის ამხანაგებს გაათავისუფლებდა, თავის ერთ ქალს ცოლად მიათხოვებდა, კარგად დაასაჩუქრებდა და ტახტსაც დაულოცავდა.

შუაკაცებმა აღარ დააყოვნეს, წავიდნენ და ინახულეს მძლეთამძლე და მისი ამხანაგები. ყაჩაღები სიხარულით კინაღამ გაფრინდნენ. საქმე

მძლეთამძლე იყო. ის ღრმად ჩაფიქრდა. საწყალს გულში ისეთი შიში ჩაუვარდა, ისეთი, რომ დამუნჯდა. „აქამდი ქე ვიყავი ცოცხალი. ავად იყო, თუ კარგად, სულს მაინც ვათრევდი, ახლა კი ბეჯითად ვხედავ, დაილია ჩემი დღე და მოსწრებაო ,“ — ფიქრობდა. ბოლოს მაინც დაეთანხმა: უარის თქმა სულ თავის მოჭრა გამოვა, ისეთი ვაჟკაცის ხელით რომ მოკვდე, სირცხვილი არ იქნება, ამხანაგებს ხომ გავათავისუფლებო. აიღო თავი და შუაკაცებს განუცხადა:

— კარგი, თანახმა ვარ, გავყვები ორთაბრძოლაში, მაგრამ მრცხვენია, ერთ კაცს როგორ შევებრძოლო, ნეტავ სამი მაინც გამოუშვანო!

ამის გამგონეებმა სიხარულით ტაში შემოკრეს. ხელი მოჰკიდეს მძლეთამძლეს და ხელმწიფეს წარუდგინეს. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. ყველა მძლეთამძლეზე ლაპარაკობდა: ერთი კი არა, სამი გამოუწვევიაო; ხმალს არც კი ვიხმარ, ხელით წავაგლეჯ კისერსო!.ზოგი ამბობდა: მძლეთამძლე, კაცო, ხეს რომ დაეჯახოს, მოგლეჯს, კაცი რას დაუმაგრდებაო! ამ მითქმა-მოთქმამ იმ ვაჟკაცის ყურამდისაც მიაღწია. საწყალს გული წინდაწინ გაუსკდა: დაილია ჩემი დღეებიო, ფიქრობდა.

მოვიდა უკანასკნელი დღეც. მინდორზე ხალხი ვეღარ ეტევა. ყველა მძლეთამძლეს შეჰყურებს: რა პატარა ტანის კაცი ყოფილა, მაგრამ ხერხიანი იქნებაო, — ამბობდნენ. ფალავნები შემოვიდნენ. საწყალი ჩოფანო იმ ვაჟკაცთან სკვინჩის ოდენაც არ ჩანდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა: მოკვდები და ისაა, ანაბრინი ჩემს საქმესო! — ფიქრობდა თავისთვის. ვაჟკაცმა ახედ-დახედა მძლეთამძლეს და ჩაეცინა ულვაშებში: ამას ერთ დარტყმაზე წავაცლი კისერს, მაგრამ, ალბათ, პირშავს, ეშმაკური ხერხები ეცოდინება და სჯობს, ჯერ მას ვაცალო, აბა, რას იზამს, თუ გაუგე ეშმაკობა, მე მკითხოს, რა დღეს დავაყენებო.

ხალხი უცებ გაციმცამდა. ფალავნებს ანიშნეს და ერთმანეთისაკენ წაიწიეს. მძლეთამძლეს გულმა ვეღარ გაუძლო. თვალით ხედავს სიკვდილს. ხმლის ამოღებაც კი დაავიწყდა. დახუჭა თვალები, დალუნა თავი და ისე მიდის წინ: ბარემ წამაჭრას თავი, მაინც მოვრჩე ამ უბედურებასო, — იფიქრა.

ჩოფანო რომ ასე კისერწაწეული დაინახა, იმ ვაჟკაცმა იფიქრა, რაღაც ხერხს მიკეთებსო და მანაც წაიგრძელა კისერი და დაესო ერთ ადგილზე. ჩოფანო ყოველ წუთს ელოდა თავის წაჭრას, მაგრამ, როცა დაგვიანდა, ჩუმად გაახილა მარცხენა თვალი. შეხედა, რას ხედავს! მის მოწინააღმდეგეს წაუგრძელებია კისერი დასაკლავ ქათამსავით, დაუხუჭავს თვალები და არის ასე გაჩერებული. ახლა კი ჩოფანომ იფიქრა, დრო ვიშოვნე, ნე გეშინია, დაჰკარი, შე გლახაო! თაებრუდასხმულმა აშხუნა ხმალი, აღარც კი ახსოვს, როგორ მოუქნია, ვაჟკაცის თავი აქეთ გაგორდა, ტანი იქით წაიქცა.

შეიქმნა დიდი ამბავი და გაწვე-გამოწვეა. მოავლეს ხელი მძლეთამძლეს და ხელმწიფეს მოურბენინეს. გახარებულმა ხელმწიფემ იმავე დღეს გადასწერა ჯვარი თავის ქალიშვილზე და ტახტიც დაულოცა. ჩოფანო ხელმწიფე გახდა. მისი ამხანაგები ვეზირებად დაიყენა, მოიხმო ძმებიც და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ასე გათავდა ჩოფანოს ამბავი.

ხელმწიფე და მისი შვილი

იყო ერთი ხელმწიფე. მას ჩვეულებად ჰქონდა, ყოველი წლის ნათლისღების წინადღით თითო კომლიდან ორ-ორი მანეთის შეკრება. ერთ წელიწადს ყველგან აკრიფეს ფული, მაგრამ ერთმა გლეხმა ხელად ვერ იშოვნა ორი მანეთი და ვერ გადაიხადა ბეგარა. მოახსენეს ხელმწიფეს: ამა და ამ კაცისაგან ფული ვერ ავიღეთო.

— მომიყვანეთ აქ ურჩი გადამსდელი! — ბრძანა ხელმწიფემ.

მიუყვანეს მაშინვე საწყალი კაცი. ხელმწიფემ გააშიშვლა (მაინც კი იყო შიშველი), ამ საშინელი იანვრის ღამეში გააჩერა შუა მინდორში, თავზე მცველები დააყენა, ცეცხლი არ დაინთოსო. გათენდა დილა. ხელმწიფემ იკითხა:

— რა ქნა?

— ცოცხალია, ბატონო!— მოახსენეს ვეზირებმა.

ხელმწიფე გაბრაზდა, მცველებს სცემა: იმ ყიამეთში ცოცხალი როგორ გადარჩებოდა, ცეცხლზე გაგითბიათო! შეშინებულმა მცველებმა ჯერ ხმა ვერ ამოიღეს, ბოლოს, ხელმწიფეს მოახსენეს:

— წუხელ, ღამით ქვევიდან ისეთი ამოწითლებული იყო, რომ ეს კაცი ხან ფეხს და ხან ხელს უშვერდა, ალბათ, ამით თბებოდა, თორემ სხვა სითბო მას არ მიჰკარებიაო!

— მეც მაგას ვამბობ, რომ გამთბარა და ამიტომ გადარჩა ცოცხალიო! — თქვა ხელმწიფემ.

დაიჭირეს საწყალი გლახაკი და ორმოში ჩააგდეს.

გათენდა ნათლიღება დილა. არის მზადება. ხელმწიფე ჯერ წირვაზე უნდა წავიდეს. ხელმწიფის შვილმა მამას უთხრა:

— სადილის გაკეთება დღეს მე დამევალოს, თქვენ წირვაზე წაბრძანდით, ყველაფერს გამზადებულს დაგახვედრებთო!

შვილის სიტყვები გაუხარდა ხელმწიფეს. წაიყვანა თავისი წამყოლები და წავიდა წირვაზე. ხელმწიფის შვილმა გაზომა ერთი ქცევა მინდორი. ოთხივე მუხურაში დააწყობინა თითო საჟენი შეშა და გაუკიდა ცეცხლი.ამ მინდვრის შუაზე დადგა უშველებელი ქვაბი ხორცით სავსე.

ხელმწიფე და მისი მხლებლები დაბრუნდნენ. ხუცესს წირვა გაეგრძელებინა და ყველა გამგელებული იყო შიმშილით. ხელმწიფემ ბრძანა:

— აბა, ჩქარა, სადილი მოგვართვითო!

ორი საათიც გავიდა, მაგრამ სადილი არსად ჩანდა. ხელმწიფის შვილი უპასუხებდა:

— კი, ბატონო, ახლავე, ცოტა აკლია, სადაცაა ხორცი მოიხარშებაო!

ხელმწიფეს მოთმინების ფიალა ეევსო. გაბრაზდა. გაუწყრა შვილს.

Cómo se dijo el hechizo

— როგორ ვერ გააკეთე აქამდის სადილი, ლამის შიმშილით დავიხოცოთო.

ბიჭმა წაიყვანა ხელმწიფე და აჩვენა ეს მინდორი.

— მამაჩემო, ხომ ხედავ, ერთი საქენი შეშა აგერ იწვის, მეორე ეგერ, მესამე და მეოთხე — იქით.ქვაბი შუაზეა დადგმული. არ იქნა, არ ადუღდა წყალი და არ ვიცი, რა ვქნაო!

ხელმწიფე უფრო გაანჩხლდა:

— ასე წყალი როგორ აღუღდება, შუაზე ცეცხლი არ ჰქონია შენთებულიო!

მაშინ შვილმა უპასუხა:

— ქვევიდან ამოწითლებული რომ იყო, იმან თუ კი გაათბო კაცი საშინელ ყინვაში, აქ, ერთ ქცევაზე, როგორ ვერ გაათბო ქვაბი ოთხმა საქენმა შეშამ!

ხელმწიფე განცვიფრდა შვილის ბრძნული სიტყვებით. გლახაკი გაათავისუფლა და შვილს უთხრა:

— აწ კი რაღად ღირს ჩემი ხელმწიფობა, ვხედავ, მაჯობე და ტახტიც შენთვის დამითმიაო! და დაულოცა ხელმწიფობა შვილს...

ამისთანა და ამისუარესი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. შაშვი იყო მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ცხოვრობდა ერთი ჩოფანო კაცი. სახლში არაფერი არ ჰქონდა. ედგა ნახევრად დანგრეული ჯარგვალა, რომელსაც აქეთ-იქით ბიჯგები ჰქონდა მიყუდებული, ქარს რომ არ წაექცია.

კაცს მუშაობაც ეზარებოდა. ყოველდღე წაღმა-უკუღმა დაეხეტებოდა. ხან ერთ მეზობელთან მიდიოდა, ხან — მეორესთან. შინ წასვლასაც ვერ ახერხებდა. ამიტომ მისი სტუმრობა ყველას სძულდა.

ბოლოს, გადაღმა სოფლიდან მოიყვანა კაი გოგო და ცოლად დაისვა. ეს ქალი, თურმე, შრომას იყო შეჩვეული და როცა დაინახა, ქმარი სახლს არ შორდებოდა, ჩხუბი დაუწყო: კაცო, ხელი გააქანე, სადმე წადი, ფული იშოვნე, თორემ მშიერები დავიხოცებითო.

კაცს არ უნდოდა სამუშაოდ წასვლა. როგორ ვთქვა, მაგრამ დილას ადგომაც კი ეზარებოდა თბილი ლოგინიდან. ის გაჭირვებული თვითონ ვერაფერს ახერხებდა. სანამ ცოლი ფერდებში მუშტებს არ უთავაზებდა და ლოგინიდან არ გადმოაწიკუნტალებდა, დილაობით არ დგებოდა.

ერთხელ, როცა ნასესხები გავიდა, ნაალდგომევს ქალმა უთხრა:

— კაცო, სადმე ყანა დათესე, შენი თუ არა გაქვს, სახელმწიფო მიწა მაინც მოხანიო!

ქალმა გადაირბინა მეზობლისას, ითხოვა ხარები, კავ-სახნისი და მისცა ქმარს: შენ სამუშაოდ წადი, მე სადილს გავაკეთებ და ყანაში მოგიტანო!

წავიდა კაცი, იარა, იარა და მიადგა კოდარას გორახ. იქ, დათუნაშვილების მამულის ახლოს, სახელმწიფო მიწა დაინახა და დაუწყო ხვნა. ხნავდა და ხნავდა გამწარებული. ჯერ კიდევ ადრე იყო. ცოლის ჯიბრზე ბევრი უნდოდა ემუშავნა. ხნავდა და ხნავდა, მაგრამ უცებ ხარები გაჩერდნენ. კაცმა შოლტი მოუქნია და „აშიო" — შეუძახა. ხარებმა ერთი გაიწიეს და ისევ გაჩერდნენ, თურმე სახნისი მიწაში რაღაცას მოსდებოდა.

ხარებმა ერთი კიდევ გაიწიეს და მიწიდან ამოაგდეს ცისა და ქვეყნისოდენა ზანდუკი. ამ კაცს შეეშინდა, ააკანკალა, იფიქრა: ახლა ნამდვილად დავიღუპე, ოჯახი დავღუპე, ამ სახელმწიფო მიწაში რაღაც შენახული ყოფილა და ჩვენი ხელმწიფე მომკლავსო! როგორც იყო, შიშით გახსნა ზანდუკი და რას ხედავს მისი თვალები: მთელი ზანდუკი ოქროს ფულით არის გავსებული! ორი-სამი თუ ერია შიგ ვერცხლისა და სპილენძის ფული, თორემ ისე სულ ოქროებით იყო სავსე ამხელა ზანდუკი. კაცმა ტირილი დაიწყო: ამ ამბავს ვიღაც ხელმწიფეს შეატყობინებს და ჩამომახრჩობენო.

ტირის საწყალი კაცი. ამასობაში გზაზე ერთი მღვდელი გამოჩნდა, სოფელში წირვა ჩაეტარებინა, ხურჯინი აევსო ქათამ-ხაჭაპურებით და ძლივს მიათრევდა ჯორი. მღვდელს ძალიან შეეცოდა ეს კაცი და ჰკითხა:

— შვილო, რა წაგეკიდა, რად ტირიო?

— ასე და ასეა, მამაო, ჩემი საქმე, — უთხრა კაცმა.

მღვდელმა დაანუგეშა:

— ეს არაფერია, მე გადაგარჩენ, მხოლოდ, როგორმე მომეხმარე, ეს ოქროები ამ ჩემ ხურჯინში ჩამაყრევინეო.

საწყალ კაცს გაუხარდა: ეს რა მთავარანგელოზი გამომეცხადაო. მღვდელმა მთლად გაცალა ზანდუკი. დიდ-დიდი ოქროები ხურჯინში ჩაყარა, ამ კაცს კი მისცა ჰაწ-ჰაწა სპილენძის შაურიანები:

— წაიღე, არაფერია, მე შეეეხვეწები უფალს და ხელმწიფე გაპატიებსო!

ამასობაში შუადღე გახდა. მღვდელსაც და ამ კაცსაც გვარიანად მოშიედათ. გაიხედა კაცმა და დაინახა მისი ცოლი, მოჰქონდა სადილი და ერთი დოქი ღვინო.გაიქცა და მიახარა ასე ადვილად გადარჩენის ამბავი:

— ასე და ასე დამემართა და ამ ღვთისნიერმა მღვდელმა დამიხსნა ფათერაკისგანო.

ცოლმა გვარიანად ჩაუსისტიქინა საწყალ კაცს.

რაღას იზამდა ქალი. დაპატიჟა სადილზე მღვდელი,ქმარს კი ყურში ჩაუჩურჩულა:

— მღვდელმა ჩემი სახელი თუ გკითხოს, უთხარი, ამისთანა ჰქვია-თქო, შენ კი — ამისუარესი მქვია-თქო.

დაიწყეს სადილობა.ქალმა დაასხა ჯამში ღვინო და დაალევინა მღვდელს, ქმარს კი ერთი წვეთიც არ მიაწოდა.

კაცმა უთხრა:

— პატარა მეც დამალევინე ეგ ღვთის მოცემულიო! მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არ გაუგონა და, როცა მეორეჯერაც სთხოვა, ღვინო დამისხიო,

؛ ეთი თვალებით შეხედა, რომ ღვინო კი არა, სადილის ჭამაც კინაღამ მიატოვებინა.

ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, ყლაპა და ყლაპა მღვდელმა ეს ჩხავრის ღვინო!

— რაღამაც ასეთი პატივი მეცით, თქვენი სახელები მაინც მითხარითო! — უთხრა მღვდელმა მათ.

კაცმა მღვდელს თავი გააცნო ისე, როგორც ცოლმა ასწავლა. ამასობაში მღვდელი ისე დათვრა, რომ მთლად აერია გონება, თავბრუ დაეხვა.

— ჩემო დაო, დამაწვინე სადმეო! — უთხრა ქალს.

ქალმაც აიყვანა და იქვე ჯირკზე მიაწვინა.

— ახლა დაფაცურდი, — უთხრა ქალმა ქმარს, — ეს ოქროები აჰკიდე ჯორს, შენც ზედ შეჯექი და შინ მიარბენინეო!

კაცი ასეც მოიქცა. გადაჰკიდა მღვდლის ჯორს ზურგზე ოქროებით გავსებული ხურჯინი, გაირეკა წინ ხარები და დააყარა გზას ძუნძული. მღვდელმა კი ხვრინვა ამოუშვა.

ქალი მაშინვე გაიქცა იქვე ახლო მეზობლისას. ითხოვა მაკრატელი და მიირბინა მღვდელთან. მღვდელს კი ისე ეძინა, რომ მის ყურებთან ზარბაზნები რომ გაგესროლა, მაინც ვერაფერს გაიგებდა.ქალმა ჩუმად მოაკრიჭა ცალი მხარე წვერი და ულვაში. შემდეგ მაკრატელი პატრონს დაუბრუნა და გამოუდგა უკან ქმარს.

როცა მოსაღამოვდა, მღვდელს გამოეღვიძა, გაიხედ-გამოიხედა და ეღარავინ დაინახა. ვეღარც ჯორსა და ხურჯინს მოჰკრა თვალი. რაღა უნდა ექნა საწყალ მღვდელს. ადგა და იგიც გამოუდგა უკან გაქცეულ ცოლ-ქმარს.

გზაზე მუშა კაცები შემოხვდნენ.

— გამარჯობა თქვენი! — დაუძახა მღვდელმა.

— გაგიმარჯოს! — უპასუხეს.

— იქნებ ამისთანა დაინახეთ აქ გამოვლილი?

მუშებს გულიანად გაეცინათ და უპასუხეს:

— არა, მაგისთანა არსად არ გვინახავსო.

მირბის მღვდელი. გზაზე კიდევ შეხვდა ხალხი. ამათაც მიესალმა.

— გამარჯობა თქვენი!

— გაგიმარჯოს!

— ეგებ ამისუარესი ნახეთ სადმე?

— მაგის უარესს რას ვნახავდით, ცალ მხარეს წვერი და ულვაში აღარ გაქვსო! — სიცილით უთხრეს მღვდელს.

მღვდელმა ახლა მოისვა პირზე ხელი და დაინახა, რომ ცალ მხარეს არც წვერი ჰქონდა და არც ულვაში. მაშინ მიხვდა: იმ უშმაკის გამოგზავნილმა ცოლ-ქმარმა მიქნა ყველაფერი, მომატყუესო. ასე დარჩა საწყალი მღვდელი კუდამოძუებული.

ცოლ-ქმარი კი ამოდენა ოქროებით გამდიდრდა. დაიდგეს ორსართულიანი სახლი, შეეძინათ შვილები და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მღვდლის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი უშვილო მღვდელი თავისი ცოლით. მღვდლებს წინათ კარგი შემოსავალი ჰქონდათ და ამიტომ მისი ცოლიც გასუქდა.

ერთ დღეს ქმარს უთხრა:

— გინდა თუ არა, ლათინური უნდა მასწავლოო!

მღვდელი დაღონდა: ვინ ვიშოვო ისეთი მასწავლებელი, ლათინური იცოდესო. იქაურ ბიჭს (ჩემსავით ოხერი ბიჭი იყო) გაუგია, მღვდლის ცოლს ლათინურის სწავლა უნდაო, დილით ჩამოიარა, მღვდელს მიესალმა:

— დილა მშვიდობისა, მამაო! მოჯამაგირე ხომ არ გინდათო?

მღვდელმა უთხრა:

— რატომაც არა, მოდიო!

მღვდელი და მოჯამაგირე დადიოდნენ ვენახში სამუშაოდ. ვენახი კი მოშორებით ჰქონდათ. ერთ დღეს, სადილობის დროს, მღვდელმა მოჯამაგირე გამოგზავნა შინ.მოჯამაგირე მოვიდა შინ და რას ხედავს: მღვდლის ცოლს ვიღაც უცხო ვაჟი ჰყავს სტუმრად, გაუშლია სუფრა, სულო და გულო, რაც გინდა ზედ ალაგია. ბიჭს ჰკითხა:

— რისთვის მოხვედიო?

— მღვდელმა სადილისთვის გამომგზავნაო.

ადგა ქალი, ჩაუწყო კუპატები, ყველი და ბიჭს უთხრა:

— მღვდელს არ უთხრა, თუ სტუმარი მყავსო!

ბიჭი კარში გავიდა და იქვე, უკან დაიმალა. ქალმა უთხრა სტუმარს:

— ბიჭმა არაფერი უთხრას მღვდელს, ამიტომ გავიდეთ ჩვენს ბაღში მავანი ატმის ძირასაო.

ბიჭმა ეს ამბავი გაიგო თუ არა, გაიქცა, შეხტა ატამზე და დაიმალა. სტუმარ-მასპინძელი თავიანთი საუზმით მივიდა იმ ატმის ქვეშ. ერთმანეთს შეეკითხნენ:

— ჯერ რა ვნახოთო?

ვაჟმა უთხრა:

— ვისადილოთო!

ამ დროს ბიჭმა მაღლიდან დაიყმუვლა, მღვდლის ცოლი და მისი სტუმარი გაიქცნენ: აქ ვიღაც ყოფილაო. ჩამოხტა მოჯამაგირე ბიჭი, იხ მომზადებული სანოვაგე ჩააწყო ხურჯინში და წავიდა მღვდელთან. მღვდელმა სამდურავი უთხრა:

— რატომ დაიგვიანეო?

— ჩვენებისაკენ ჩამოვიარე, იქ ხარჯი ჰქონდათ და წამოვიღე, სახლში აღარ ავსულვარო.

მღვდელმა ნახა საჭმელები, გაუკვირდა: მე კი არა, ეს ყოფილა პატრონიო.

საღამოს დაბრუნდნენ შინ. მღვდელი ნასიამოვნები იყო, ცოლს ჩუმად უთხრა:

— ეს რა მოჯამაგირე ვიშოვე, დღეს ისეთი სადილი ჩამომიტანა, რომ ჩვენ მაგისთანას ათ წელიწადს ვერ გავაკეთებთო!

მეორე დილას, მოჯამაგირე ბიჭი რომ ადგა, უთხრა მღვდელს:

— მე ამ ფასად ვერ ვიმუშავებ შენთანაო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე მასწავლებელი ვარ ლათინურისაო.

გაუხარდა მღვდელს და უთხრა:

— ჩემს ცოლს ასწავლე და რასაც მთხოვ, მოგცემო!

იმ დღეს ჩვეულებრივ წავიდნენ ვენახში. შაბათი იყო. ისევ იმ დროს მღვდელმა სადილისათვის გამოგზავნა შინ მოჯამაგირე. მოვიდა მოჯამაგირე და რას ხედავს: ის სტუმარი ისევ იმ დღეშია. ქალმა ჰკითხა.

— რად მოხვედიო?

— სადილისათვის გამომგზავნა მღვდელმაო.

ისევ ჩაუწყო კუპატები და ქალმა ბიჭს უთხრა:

— ღმერთი არ გაგიწყრეს, მღვდელს არ უთხრა, რომ სტუმარი მყავსო!

გამოვიდა მოჯამაგირე, კედელს აეფარა და ყური დაუგდო. ქალმა უთხრა სტუმარს:

— ამ ბიჭს არაფერი წამოსცდეს, თორემ მღვდელი ორივეს დაგვხოცავსო; მოდი, წავიდეთ ჩვენს ძველ ნაწისქვილარშიო!

გაიგო მოჯამაგირემ ეს თუ არა, გაიქცა, შეეარდა წისქვილში და დაკეტა კარები. ქალმა სტუმარს ხურჯინი გაუვსო და უთხრა:

— თქვენ წაბრძანდით წისქვილში, მე სახლს მივალაგებ და მოვალო.

ეს კაცი გაჰყვა არხის პირას ნელ-ნელა და მიადგა წისქვილის კარებს. მიაწვა კარებს, მაგრამ დაკეტილი დახვდა. შიგნიდან მოჯამაგირემ გამოსძახა:

— შენ გენაცვალე, ამ გაჩერეტილში წვერი შემოყავიო!

შეყო კაცმა წვერი და მოჯამაგირემ ზედ აკოცა. მეორედ უთხრა: — კიდევ შემოყავიო!

იმანაც შეყო წვერი. ახლა მოჯამაგირემ გახსნა დანა, დაუსვა და მოჭარსა. გაიქცა კაცი, ხურჯინი გადააგდო და ყვირილით მირბის. გამოვარდა მოჯამაგირე, დაავლო ხელი ხურჯინს და გაიქცა. მივიდა მღვდელთან და დაასწრო თქმა:

— ჩვენსას წავედი, თქვენთან ასელა დამეზარა და იქიდან წამოვიღე ხარჯი, ნასუფრალი ჰქონდათო.

მღვდელმა დაინახა და თქვა: ეს ვინ არის, ამისთანა ხარჯს ნასუფრალს ეძახისო. შაბათ საღამოს ცოტა ადრე შეწყვიტეს მუშაობა, კვირაძალი იყო და მისთვის ადრე წამოვიდნენ შინ.

კვირა გათენდა. მოჯამაგირემ ჩუმად უთხრა მღვდლის ცოლს:

— თქვენი სტუმარი გუშინ ვენახებზე გარბოდა და თუ გნებავს, ნახოთ, იმ თქვენ ნაწისქვილარში არის, ჩიხტიკოპი დაიხურეთ, მიბრძანდით, სამჯერ უთხარით, შენ რაც გტკივა, მე მაბიაო და გამოვაო.

მართლაც, მღვდლის ცოლმა გაიკეთა ჩიხტიკოპი და მისელისთანავე სამჯერ მიაძახა ზედიზედ: შენ რაც გტკივა, მე მაბიაო, შენ რაც გტკივა, მე მაბიაო! ნაწისქვილარიდან ბიჭმა გამოსძახა:

— შენ გენაცვალე, ენა გამოყავი, გაკოცოო!

ქალმა გამოუყო ენა და ბიჭმაც აკოცა. ქალმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, რა მოგდისო?

— ერთი კიდევ გამოყავი ენა, უნდა გაკოცოო.

ქალმა გამოყო ენა, დასწვდა ეს ბიჭი და მოგლიჯა ძირში. ქალმა დაიწყო ყმუილი და ყვირილი. გამოვიდა მოჯამაგირეც. ნახა თუ არა ეს ქალი, რომელიც ქართულს ვერ ლაპარაკობს, გაიქცა და მღვდელს ახარა, შენ ცოლს ლათინური ვასწავლე, ქართულს ვეღარ ლაპარაკობსო. მოვიდა ქალი და მღვდელს შეეხვეწა, წამიყვანე სადმე, მიშველეო, მაგრამ მის ბლუკუნს მღვდელი რას მიხვდებოდა. მღვდელი მოჯამაგირეს შეეკითხა:

— რას ამბობსო?

მოჯამაგირემ უთხრა:

— იმას ამბობს, რომ ჩვენი ქონება ამ ბიჭს დავუტოვოთ, ჩვენ წავიდეთ და რაკი ენა ვისწავლე, ისეთ საცხოვრებელს ვიშოვნით, ჩვენს თავს დავნატროდეთო.

მღვდელმა დაუჯერა მოჯამაგირეს. თავის ცოლს ხელი მკლავში გაუყარა და გაუდგნენ გზას. ცოლს ჰგონია, ექიმთან მიყავს, მღვდელსა ჰგონია, საცხოვრებლად მიყავს. წავიდნენ და გადაიკარგნენ სადღაც. მღვდლის სახლ-კარი იმ ბიჭს დარჩა. გამართა კაი ქეიფი, მიიწვია ყველა მეზობელი, მეც ამოვიარე და ცოტაოდენი ვსვი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

ცერცვი და ცეცხლი

ერთი მღვდელი თავზე წაესწრო ცოლს, კუროს რომ ეტრფიალებოდა. დააკლო კეტს ხელი და შეუტია. კურო სარკმლიდან გავარდა. მღვდელი გამოუდგა და მორთო ყვირილი:

— დაიჭირეთ, ნუ გაუშვებთ მაგ ქურდს, მაგ ავაზაკსო!

მოგროვდა ხალხი და შეაკავეს გაქცეული. ბაღში რომ გარბოდა იმ დროს რამდენიმე ცერცვი მოეგლიჯა და მუჭში ეჭირა. ხალხმა ჰკითხა:

— რა ამბავიაო?

ঘোড়সওয়ার ও ঘোড়া

— როგორ რა ამბავია, მღვდლის ბაღში ეს ერთი მუჭა ცერცვი მოგვლიეს და ამისათვის მომდევს მოსაკლავად, აღარ მზოგავს და მიშველეთო!

ხალხს გაუკვირდა, ბიჭი გაუშვა, გადაეღობა წინ მღვდელს და დაუწყო საყვედური:

—მღვდელო, როგორ გეკადრება უბრალო რამეზე მოთმინების დაკარგვა? ერთი მუჭა ცერცვისათვის კაცი ვის მოუკლავს, რომ შენ მოგაკვლევინოთო!

მღვდელი ოჯახის გაკიცხვას მოერიდა, რაც იყო, ვეღარ გაამხილა, წაიშინა თავში ხელი და აღრიალდა:

— შვილებო, ვინც არ იცის — ცერცვია, მაგრამ, ვინც იცის, ცეცხლია! მეტი რაღა მეთქმისო, — თქვა და გამობრუნდა შინისაკენ.

ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯეროო

ერთი კაცი საზიარებლად ემზადებოდა და მღვდელთან მივიდა აღსარებისათვის. მღვდელმა დარიგება მისცა:

— წირვა-ლოცვაზე იარეო, შესაწირავი შესწირეო,მღვდელს აწირვინეო, ლოცვა ათქმევინეო, ცოდვას ნუ იზამ, ეშმაკი გაცდენსო, ეშმაკს არ უნდა დაუჯეროო!

ამასობაში კაცმა ცმუკვა და მხრის ქნევა დაიწყო და ამბობს:

— დამეხსენ, დამეხსენო!

მღვდელმა ჰკითხა:

— რას შერები, რას ბუტბუტებო?

კაცმა უპასუხა:

— ეშმაკი მეუბნება, აწირვინეო, მღვდელს ფული მიუტანეო?

მღვდელმა უთხრა:

— ჰო, შვილო, ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯეროო!

ბერიკაცი და მღვდელი

ერთ ღარიბ ბერიკაცსა და დედაბერს უღელი ხარი ჰყავდათ. მართალი გითხრათ, კაი ხარები იყვნენ. ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება და ცოლქმარმა გადაწყვიტა: წავიყვანოთ ხარები ბაზარში და გავყიდოთ, ეგების ერთ ხანს თავი შევინახოთო.

წაიყვანა ბერიკაცმა ხარები გასაყიდად. ბევრი მუშტარი დაეხვია, ყველას მოსწონს საქონელი. ბოლოს, ერთი მღვდელი მივიდა.

— ყიდი ხარებს? — ჰკითხა.

— ვყიდი, მიჭირს და იმიტომ, — უპასუხა კაცმა.

— მომყიდე მე!

— ინებეთ, ბატონო!

— რამდენს აფასებ, რა მოგცე?

— მე ერთი საწყალი ღარიბი კაცი ვარ, შენ მღვდელი — ღვთის კაცი , რაც ღირს, ის მომეცი, ჩემი მოტყუილება თუ არ გინდა.

მღვდელმა დაუწყო ფიცილი:

— მამავ და შვილო, როგორ მინდა შენი მოტყუილება, ჯვარი გეწეროს ქრისტე მაცხოვრისაგან. სამ თუმანს მოგცემ მაგ ულელ ხარში!

— წაიყვანე, ბატონო, ქრისტემ შეგარგოს და მოგახმაროს! — დაეთანხმა ბერიკაცი.

გახარებულმა ხუცესმა ხელად დაუთვალა სამი თუმანი და წაიყვანა ხარები. ბერიკაცი შინ დაბრუნდა. ფული კი ეცოტავებოდა, მაგრამ რაღას იზამდა.

როგორც მოვიდა, ცოლმა ჰკითხა:

— როგორ გაყიდე?

— სამ თუმნად!

ქალმა კივილი გააბა:

— გადაირიე, თუ გადაიშალე, ეს რა გიქნია, მღვდელს მოუტყუებიხარ, იმ დაწყეველილს, იმასა, დაუქცევია ჩვენი ოჯახიო!

ამაზე კაცი გაბრაზდა — ხუცესი ღვთის მაგიერი კაცია, როგორ მომატყუებდაო. შეწუხდა ქალი ძალიან, მაგრამ რაღა უნდა ექნა. ქმარს ხომ ვერ მოკლავდა. ფული კი არ მიიღო. არიან ცოლ-ქმარი უთანხმოდ. ქალი გააკეთებს სადილს, დააწყობს ყველაფერს მაგიდაზე, თვითონ წავა მეზობლისას, ქმარს არაფერს ეუბნება. ბერიკაცი მიეა, ჭამს საჭმელს, გაიდებს თოხს მხარზე და გაუყვება სამუშაოზე. ასე დამდურებულები იყვნენ ერთ კვირას.

ერთ დღეს ბერიკაცმა ეს ფული წაიღო და კიდევ წავიდა ბაზარში, იყიდა ერთი სამაბაზიანი ქუდი, დაიხურა თავზე და დადის, დანარჩენი ფული ჯიბეში აქვს შენახული. გაიარ-გამოიარა და დაინახა ის ხუცესი, ვინც მისი ხარები იყიდა. მიაშურა და ხელი ჩამოართვა.

— როგორ გყავს ჩემი მოცემული ხარებიო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ღმერთმა კარგად გიკითხოს, კარგადო! — უპასუხა ხუცესმა.

— მეც იმედი მქონდა, კარგად იქნებოდნენო! — დაუმატა ბერიკაცმა.

ბევრი რომ ილაპარაკეს და ახალი ამბებით გაძღნენ, ბერიკაცმა ხუცესს უთხრა:

— რადგან ხარები კარგად ყოფილან, მოდი, ერთ რამეს გთხოვ და, თუ კაცი ხარ, ნუ გამაწბილებ!

— თქვი, რა გინდა? — ჰკითხა ხუცესმა.

— შენგან დიდად პატივცემული ვარ, მინდა სადმე დაგპატიჟო, თუ ვინმეა ამ ქალაქში შენი ნაცნობი ბლაღოჩინი ან ეპისკოპოსი, მოიყვანეთ ამა და ამ სამიკიტნოში, ერთი კარგად უნდა გაქეიფოთო.

ხუცესი ჭამაზე ჭიპმოჭრილი იყო და ეს ამბავი ძალიანაც გაუხარდა.

— კი, კაცო, მაგი რა საქმეა, გესტუმრებითო, — უთხრა ბერიკაცს.

ბერიკაცი წავიდა სამიკიტნოში და მიკიტანს შეეხვეწა: აქ სტუმრები მომყვებიან, მიქენი კაცობა, გამიკეთე საჭმელებიო. და ფული, ოცდახუთი მანეთი, წინდაწინ მისცა. ბერიკაცმა ბოლოს გააფრთხილა: როცა ანგარიშის გასწორების დრო მოვა, მე ქუდს მოვიხდი და გეტყვი: ქვით დახლიდარო-თქვა და შენც დამიძახე: ქვით-თქო.

— კი, ბატონო, ადვილი სამსახურიაო, — უთხრა მიკიტანმა და ჩაიჯიბა ოცდახუთი მანეთი.

გახარებულმა ხუცესმა თავისი ნაცნობები დაპატიჟა, ბლაღოჩინი, ეპისკოპოსი, დიაკონი — სულ იქ იყვნენ. თხუთმეტმა კაცმა მოიყარა თავი, სამიკიტნოში მათ დახვდა გამხიარულებული მასპინძელი.

დასხდნენ. მიირთვეს სადღეგრძელოები. სვეს, ჭამეს, ბოლოს, კმაყოფილნი რომ შეიქმნენ, ადგნენ. როცა ფულის გადახდის დრო მოვიდა, ბერიკაცმა მოიხადა ქუდი და მიკიტანს დაუძახა:

— ქვით, დახლიდარო!

— ქვით, ბატონო! — მაშინვე უპასუხა იმანაც და წავიდნენ.

ეს ყველას ძალიან გაუკვირდა. სტუმრები გააცილ-გამოაცილეს, ხუცესი მიუბრუნდა ბერიკაცს:

— შენთან დიდი მადლობელი ვარ, ასეთი პატივი მეცი, მაგრამ იმან გამაოცა, რომ იმ დახლიდარისთვის ფული არ მიგიცია და არაფერი მოგთხოვაო, თუ კაცი ხარ, მითხარი, რა უქენი იმისთანა?

ბერიკაცმა ეს თითქოს არ შეიმჩნია და ისე უთხრა:

— ჰე, ჰე,ჰე! ამას შენ რას ეძებ, თქვენ სმა-ჭამა ვერ შეძელით, თორემ, თუ გინდ ხუთასი მანეთი დამეხარჯა, ეს ქუდი იმისთვის მაქვს, ყველას გადაიხდიდაო!

ახლა შეუჩნდა ხუცესი:

— რამენაირად ეს ქუდი მომყიდეო!

— არა, — უთხრა ბერიკაცმა, — ხარები რად მინდოდა, მგელი ეცა იმათ, ეს ქუდია ჩემი ცხოვრება, მაგას როგორ გავყიდი, ღმერთი როგორ გამიწყრება!

ხუცესი დაფიქრდა: ხარებში კი მოვატყუილე და ახლა ეს ქუდიც თუ ხელში ჩავიგდე, მთლად გავკეთდი კაციო. არ ეშვება: ბარემ იმდენი ხათრი დამდე, ქუდიც მომყიდეო! ბოლოს, ხუცესი რომ არ მოშორდა, ბერიკაცმა უთხრა:

— რადგან ასე გულით გინდა ეს ქუდი, მომეცი, ძმაო, ხუთი თუმანი და მეტს არაფერს გთხოვო.

ხუცესმა მაშინვე მისცა ხუთი თუმანი, ქუდი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. გავიდა ერთი კვირა. წავიდა კიდევ ბაზრობაზე ხუცესი გადაქაჩული. მივიდა ბლაღოჩინთან და სადილად დაპატიჟა. მოიწვია კიდევ ბევრი სხვა სტუმარიც. შევიდნენ სამიკიტნოში. მიკიტანს მოაქვს ყველაფერი, საჭმელი და სასმელი. რომ დაკმაყოფილდნენ, ხუცესმა მოიხადა ქუდი და მიკიტანს დაუძახა:

— ქვით, დახლიდაროო! სამჯერ გაუმეორა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არავინ ეუბნება „ქვითო .“

ბოლოს, გაცეცხლებულმა დახლიდარმა შეუტია:

— ხუცესო, ხომ არ გადარეულხარ, რის ქვითაა, ალბათ, დამთვრალხარო! ეცნენ ხუცესს: ფული მოგვეცი, თორემ კისერს წაგაწყვეტთო!

ჩამოდგნენ შუაზე ბლაღოჩინი და ეპისკოპოსი: ხუცესს ფული არ ჰქონია და ჩვენ გადავიხდითო. გაათავისუფლებინეს ხუცესი და თვითონ გადაიხადეს დანახარჯი. სირცხვილნაჭამი ხუცესი წამოვიდა შინ, მაგრამ შენი მტერია, როგორც იგი მიდიოდა. ახლა მიხვდა, რომ ბერიკაცმა ასე ეშმაკურად მოატყუილა. გაბრაზებული ხუცესი გაიქცა ბერიკაცისას: ასეთი მოტყუებისათვის ცოცხალს არ დაეტოვებო.

ბერიკაცმა თავდასაცავი ხერხი წინასწარ მოიფიქრა და ელოდება ხუცესს. სწრაფად დაკლა ქათმები და მათი სისხლი სამ გუდაბერაში ჩაასხა. სისხლიანი გუდაბერები შეაბა კისერზე ცოლსა და ორ ბავშვს, აიღო ერთი ჯაყვა და ელოდება ხუცესს.

სად იყო, სად არა, მოვარდა გაბრაზებული ხუცესი. ყვირის და იგინება. უნდა ეცეს ბერიკაცს და წააგლეჯინოს თავი. ბერიკაცმა ტკბილად უთხრა: მობრძანდიო! ხუცესმა ყვირილი დაუწყო:

— როგორ მომატყუე, როგორ დამავსე, რა მომეცი ხუთ თუმნადო!

ბერიკაცს სახე დაეღრიჯა და უთხრა:

— არა, კაცო, მე შენ როგორ მოგატყუებდი, ცოლმა მიქნა ყველაფერი, თორემ ღვთის მაგიერ კაცს როგორ შეგაცდენდიო!

ამოიღო ჯიბიდან ჯაყვა, ეცა ცოლს და გამოუსვა ყელში, ქალმაც გაასავსავა ფეხი. სისხლი ამ გუდაბერიდან წამოვიდა თქრიალ-თქრიალით. მერე ბერიკაცი ეცა ბავშვებს და ვითომ ორივეს გამოღადრა ყელი. დაიწყო ყვირილი. ხმაურზე მოცვივდნენ მეზობლები, დაინახეს ქალი და ბავშვები სისხლის ტბაში ყრია. დაიჭირეს ხუცესი და დაუწყეს გინება:

— შენ რა ადამიანი ხარ, ბერიკაცი თუ ქალ-ბაღანას ხოცავდა, ხელი რად არ შეუშალეო!

ხუცესი თავს იმართლებდა:

— ბერიკაცმა მე მომატყუა, ახლა თავისი ქალ-ბაღანა დაკლა. გადარეული ყოფილა, ნეტავ აქ სულ არ მოვსულიყავიო!

მეზობლები შეწუხდნენ. ხედავენ რომ დგას სისხლის ტბა. ზოგი აგერ გდია ყელგამოღადრული, ზოგი — ეგერ. ბოლოს ბერიკაცმა თქვა:

— თქვენ რა გაწუხებთ, მე ჩემი ცოლ-შვილი დავკალი, ოღონდ ეს ხუცესი ჩამომშორდეს და მე ამათ ახლავე გავაცოცხლებო...

—ოღონდ ეგენი გააცოცხლე და სხვა შენი არაფერი მინდაო,— უთხრა ხუცესმა.

ბერიკაცმა ქალს რაღაც შეულოცა, შემდეგ ჯაყვის ყუა კისერზე მოუსვა და ქალი წამოვარდა ზეზე.

— დედა, ბეჩა, უკაცრავად ვყოფილვარ, სტუმრები მოსულანო!

ყველა გაშტერდა ამ სანახაობით, ეს რა სასწაული მოახდინა ბერიკაცმაო. შემდეგ ბავშვებიც გააცოცხლა, დაჯდა და დაისვენა.

მეზობლებს გაუხარდათ. ხუცესი კი წავიდა შინისაკენ. ახლა მოტყუებას რაღას დაეძებს, ის უხარია, რომ ასე იოლად გადარჩა ამ ხათაბალას. მოდის ხუცესი და ფიქრობს: რა კარგია, მასაც ჰქონდეს ასეთი ჯაყვა! მის უამურ

ცოლ-შვილს, ყოველდღე რომ საქმეს უჭირვებენ და არ ასვენებენ,ერთს მაინც შეაშინებდა.

გავიდა ხანი. ხუცესი კიდევ წავიდა ბაზარში რაღაცის საყიდლად. შეხვდა კიდევ ბერიკაცს. მან, რასაკვირველია, ხუცესს პირველად ხარების ამბავი ჰკითხა.

— არიან კარგად, არა უშავთო, — უთხრა ხუცესმა. მოაგონდათ იმდღინდელი ამბავი.

— ყველაფერში მომატყუე, მართალია, მაგრამ იმ ჯაყვამ მთლად გადამრია, კაცო, როგორ ჩემ თვალწინ დააცოცხლე ყელგამოჭრილი ხალხიო! —ეუბნებოდა გაკვირვებული ხუცესი.

— ის დანა რომ არ მქონდეს, ჩემს ცოლ-შვილს ვერ გავუძლებდიო,— დაიწყო ტრაბახი ბერიკაცმა.

— მთლად ჩემი საქმეა მაგფერი ჯაყვა და, თუ კაცის ნამუსი გაქვს, რამდენიც გინდა წაიღე, ოღონდ მომყიდეო! — შეეხვეწა ხუცესი.

ბერიკაცმა ფეხი გაიდგა ჯორივით. არ იქნა, ვერ მოიშორა ეს აბეზარი ხუცესი. ბოლოს, დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ, მიჰყიდა ჯაყვა სამ მანეთად და დაუბარა:

— ჯაყვა ჭკუით იხმარე, მე გაჩვეული კი მაქვს, მაგრამ მაინც საფრთხილოა, გლახად რამეზე არ წაგცდესო!..

მოვიდა ხუცესი შინ, რაღაც სხვანაირად იბღინძება, სურს რამე მიზეზი უპოვოს ცოლ-შვილს. იშოვნა მიზეზიც. შეიქმნა ჩხუბი და უბედურება. ხუცესმა იძრო ჯაყვა და ჯერ ცოლს ეცა. ეს რომ მისმა გასათხოვარმა ქალმა დაინახა, კივილით მიაშურა. ხუცესმა იმასაც გამოუსვა დანა კისერში და უყურებს ამ სურათს სახეგაცინებული.

ამ კივილზე მოცვივდნენ მეზობლები. საშინელი სანახაობა ნახეს, შენმა მტერმა ნახოს ისეთი სანახავი! გადარეულა ხუცესიო, — იფიქრეს. ხუცესმა იხტიბარი არ შეიტეხა, კიდეც იცინის. ხალხმა ჩხუბი დაუწყო:

— კაცო, რამ გადაგრია, როგორ დაგიხოცავს ცოლ-შვილი, ესაა ღვთის კაცი ვარო?!

ხუცესმა მხიარულად ჩაილაპარაკა:

— აგენი ჩემთვის უამური იყვნენ და შესაშინებლად დავკალი, თორემ ახლავე დავაცოცხლებ ყველასო.

წაუსვა დანის ყუა ქალს კისერზე, კიდევაც შეულოცა რაღაც, მაგრამ შენი მტერი არ გაცოცხლდა იმის მეტი, რაც ისინი არ გაცოცხლებულან. დაკლულ ადამიანებს, აბა,რა გააცოცხლებდა! ბევრს ეწვალა ხუცესი, ექიმებიც მოიყვანა, მაგრამ არაფერი ეშველა. ახლა კი მიხვდა, რომ კიდევ მოატყუა იმ შეჩვენებულმა ბერიკაცმა. მიატოვა დახოცილები და გაიქცა ბერიკაცისას (ნუ გეშინია, გზა კი იცის, სამჯერაა ნამყოფი).ეცა ბერიკაცს მგელივით: შენ დამივსე ოჯახი, ცოლ-შვილი დამახოცინე, ახლა მაინც აგიგებ წესსო. შეუკრა ხელ-ფეხი ძუის ბაწრით და წაიყვანა ზღვაში დასახრჩობად.

ხუცესმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ისეთი ვერაფერი დაინახა, რომ გამოდგომოდა ბერიკაცის ზღვაში გადასაგდებად. გაიხედა შორს და თვალი მოჰკრა ვიღაც მენავეს, თევზაობდა. ბერიკაცს ფეხებიც შეუკრა და გაიქცა ნავის მოსაყვანად.

მენავეს რომ უთხრას, კაცის დასახრჩობად მათხოვე ნავიო, როგორ ათხოვებს, მაგრამ ხუცესიც ეშმაკია.მოიგონა რაღაც ხრიკი და მენავეც დაითანხმა.

ხუცესმა რომ ზურგით რაღაც ტვირთი მოიტანა ზღვასთან და მიწაზე დააგდო, თურმე დაუნახავს მეცხვარეს, რომელიც იქვე ახლოს იდგა და ცხვარს მწყემსავდა. მეცხვარემ იფიქრა: ხუცესმა რაღაც დატოვა და მოიპარავო. მივიდა და რას ხედავს, ხელფეხშეკრული კაცია. ჰკითხა:

— რა დაგემართა, რა მოგსულიაო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, — უთხრა ბერიკაცმა, — კაცო, ხუცესი დავპატიჟე, შენგან ნაყიდი ცხვარი დავუკალი, ის კი-ამბობს, ცხვარი კი არა, ძაღლი იყოო და ამისათვის კი მახრჩობს ზღვაში; თუ ძაღლი იყო, რატომ ამომაგდე და მომყიდე! იწამე ღმერთი, შემაჭერი ეს ბაწარი, გავიქცევი და იქნებ შენც გადარჩე, თორემ შენს ამბავს ვეტყვი და გახელებული ხუცესი დედას გიტირებსო.

მეცხვარეს შეეშინდა და გაათავისუფლა. ბერიკაცმა გაიხადა ტანისამოსი და გაიქცა. მირბის თავქუდმოგლეჯილი.

ამასობაში ხუცესს მოყავს ნავი. მივიდა და რას ხედავს, ტანისამოსი კი ყრია, მაგრამ ბერიკაცი გაქცეულა! თვალი მოჰკრა მეცხვარეს, ბერიკაცი ეგონა და გამოუდგა. მირბის მეცხვარე და ყვირის: კაცო, მე ძაღლი არ მომიყიდია, ნამდვილი ცხვარი მივეციო!

მაგრამ ხუცესს ეს არ ესმის. როგორც იყო დაიჭირა საწყალი მეცხვარე და არ აძლევს საშველს, ჩაისვა ნავში და წაიყვანა დასახრჩობად. კაი მანძილით რომ მ ,შორდნენ ნაპირს, ხუცესი დარწმუნდა, მეცხვარე ველარ გამოვა ნაპირზეო, და ჩააგდო ზღვაში. მეცხვარემ ცურვა კი იცოდა, მაგრამ ხელი შეკოჭილი ჰქონდა და დაიხრჩო.

ბერიკაცი ყოველივე ამას შორიდან უთვალთვალებდა. ნახა, მეცხვარეს ორმოცი ცხვარი უპატრონოდ დარჩა, გამოირეკა და წამოვიდა შინ. ერთ დღეს ოცი სული ცხვარი ბაზარზე გარეკა გასაყიდად. რაღაც ეშმაკზე კიდევ შეხვდა ხუცესს. ის ხედავს ბერიკაცს, უცქერის და გაკვირვებულია, თვალებს არ უჯერებს. ჰკითხა ბოლოს:

— ზღვაში რომ ჩაგაგდე, შენ ხარ იგი?

— ჰო, მე ვარ, მაგრამ, შე გაჭირვებულო, შორს რატომ არ გადამაგდე ზღვაში! შენ რომ ჩამაგდე, იქ ზღვა ღრმა არ იყო, ენახე, ცხვრები ძოვდნენ, გამოვირეკე ორმოცი სული და წამოვედი, ოცს აგერ ვყიდი, და თუ გინდა, უფასოდ წაიყვანე, მაინც მუქთად მყავს ნაშოვნიო, ჯაყვა შენ ვერ მოიხმარე, თორემ კარგი ფასი ღირს, თუ გსურს, მომეცი და ორ ცხვარს მოგცემო!

ხუცესი გაკვირდა: დანას მოგცემ, კაცო, ცხვარი არ მინდა, ოღონდ ერთი სიკეთე მიქენი,წამიყვანე და მეც ჩამაგდე იმ ზღვაში, ჩემთვისაც ამოვდენი ცხვარსაო!..

ეშმაკმა ბერიკაცმა შურიანად უთხრა ხუცესს:

— შენ ხელ-ფეხი შეუბორკავი გექნება და ას სულს მაინც ამოდენი, მეც არ დაგავიწყდე, ბარე ექვსი სული ჩემთვისაც წამოიყვანეო!

ბერიკაცმა წაიყვანა ყეყეჩი მღვდელი. ჯერ თავის სახლში გამოატარა. იქ დიდი ქეიფი გასწიეს. ცოლმა უთხრა:

ბერიკაძეები და ბოლქვილები

— შენ ვერ მოიხმარე, თორემ ჩემმა ქმარმა ყველაფერი კარგი ნახელავი მოგყიდა, ხარები იყო და მშვენიერი იყო, დანა და — კიდევ უკეთესი! ახლა ცხვრებსაც ბლომად იშოვნიო!

გამოქექილმა ბერიკაცმა წაიყვანა ხუცესი ზღვაზე. ჩასვა ნაეში და მიყავს. ხუცესი იძახის: კიდევ იქით გამწი, იქით, უფრო მეტ ცხვარს ამოვიყვან შენს ჯიბრზეო!

ამასობაში ბერიკაცმა ჰკრა ხელი და ხუცესი გადაუძახა ზღვაში. ამის შემდეგ არც ხუცესი ჩანს და არც ცხვარი.

მღვდლის ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მღვდელი, რომელსაც კარგი ცოლი ჰყავდა.

ერთხელ მღვდელი სხვა სოფელში წავიდა. ცოლმა კი საყვარლები გაიჩინა, ისინიც მღვდლები. ერთი დაიბარა საღამოს რვა საათზე, მეორე — ცხრაზე და მესამე — ათზე. ქმარი კი თერთმეტ საათზე უნდა მოსულიყო.

მართლაც, რვა საათზე მოვიდა პირველი მღვდელი. მოუტანა ქალს საუზმე, სასმელ— საჭმელი. საუზმესა და ტკბილ მუსაიფში ერთი საათი გავიდა. მოაკაკუნა მეორე მღვდელმაც, ცოლს ვითომ შეეშინდა: ვაიმე, ჩემი ქმარი მოვიდა და სად დაგმალოო! ერთი ქვევრი ჰქონდა, ახადა და შიგ ჩასვა.

გაუღო კარი მეორე მღვდელს. ისიც სასმელ-საჭმელით დატვირთული შემოვიდა. საუზმესა და ტკბილ საუბარში ერთი საათი გავიდა. მოაკაკუნა მესამე მღვდელმაც. ქალი ვითომ კიდევ შეშინდა: ჩემი ქმარი მოვიდა და სად დაგმალოო! ახადა იმავე ქვევრს და მეორე მღვდელიც შიგ ჩასვა.

მესამე მღვდელსაც იგივე დაემართა და ბოლოს თავისი ქმარი მოვიდა. ვერაფერი გაიგო, ლაზათიანად ივახშმა და არხეინად დაიძინა.

დილით მღვდელი იმავე სოფელში წავიდა. ცოლმა ქმარი რომ გაისტუმრა, ახადა ქვევრს და ნახა, სამივე მღვდელი დამხრჩვალიყო. ცოლმა თქვა: ქმარმა რომ არ გაიგოს, უნდა გადავყაროო! ამოათრია ერთი მღვდელი ქვევრიდან და იქვე დააგდო. გაურიგდა ერთ კაცს თუმნად, რომ სადმე შორს გადაეგდო.

— ეს მღვდელი ქვევრში ჩამხრჩვალა და გადააგდეო!

კაცმა აიკიდა ზურგზე მღვდელი, წაიყვანა და სოფლის ბოლოს ხრამში გადააგდო. როცა დაბრუნდა ფულის მისაღებად, ნახა, მღვდელი ქვევრის თავზეა.ესეც აიკიდა და მაღალი მთიდან დააგორა.

კიდევ დაბრუნდა ფულისათვის, მაგრამ ქვევრის თავზე კიდევ დახვდა მღვდელი. ესეც აიკიდა და იმავე ხრამში გადაუძახა. ფულისათვის რომ დაბრუნდა, დაინახა, ცხენზე მჯდომი მღვდელი მოდის, ეს იმ ქალის ქმარი იყო, შინ რომ ბრუნდებოდა.

Sarkar Chetan

კაცმა თქვა: ეს ცხენით მოდის, მე ფეხით როგორ მოვასწრებდიო, მივარდა, გადმოაგდო ცხენიდან, ჯერ მაგრად სცემა, შემდეგ ქვაზე დაუდო თავი და გაუჭეჭყა, წაიღო და იმავ ხრამში გადაუძახა. თვითონ შეჯდა ამ ცხენზე და წამოვიდა ფულის ასაღებად. მღვდლის ცოლს გულზე შემოეყარა: ამას ჩემი ქმარიც მოუკლავსო! რაღას იზამდა, ადგა და თუმანიც გადაუხადა...

მეწისქვილის ვაჟიშვილი და სამი ძოსა

ერთ მეწისქვილეს მშვენიერი ვაჟიშვილი ჰყავდა. რომ გაიზარდა,თქვა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ხელმწიფის ქალი უნდა შევირთო ცოლადო. მშობლებმა დაუშალეს: რას ამბობ, შვილო, ხელმწიფემ ეს რომ გაიგოს, დაგვხოცავს, სად ჩვენ და სად ხელმწიფის ქალი, საწყალი მეწისქვილის შვილს ხელმწიფე განა ქალს მოგცემსო? ბიჭი ჩაციებით იძახდა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ხელმწიფის ქალი უნდა ვითხოვოო.

ხელმწიფემ გაიგო, რომ მეწისქვილის ვაჟიშვილი მისი ქალის თხოვნას აპირებდა. დაიბარა და შეეკითხა:

— ჩემ ქალს რომ თხოულობ, განა შეგიძლია მისი შენახვა? ერთ დეკეულს მოგცემ, წაიყვანე ქალაქში და, თუ გაყიდი, ჩემს ქალს მოგათხოვებო.

ბიჭი დათანხმდა: ერთ დეკეულს როგორ ვერ გავყიდიო! წაიყვანა დეკეული ქალაქში გასაყიდად.

ამ ქალაქში სამი ვაჭარი ქოსამატყუარა ცხოვრობდა. უფროსი ქალაქის თავში იდგა, შუათანა — შუა ქალაქში, უმცროსი — ბოლოში. ქოსამატყუარები პატიოსან ადამიანებს ძარცვავდნენ და ლუკმა-პურს პირიდან აცლიდნენ. ეს ბიჭიც ამათ ჩაუვარდა ხელში. ქალაქის თავში მას უფროსი ქოსა შეხვდა. შეევაჭრა: ეგ დეკეული როდია, ბატია, თუ გინდა, ბატის ფასს — ექვს შაურს მოგცემო.

ბიჭი ჩაფიქრდა, მაგრამ უარი უთხრა.

შუა ქალაქში შუათანა ქოსა შეხვდა. ისიც შეევაჭრა. ბიჭმა დეკეულის ფასი უთხრა, ქოსამ ბატის ფასი, ექვსი შაური, შეაძლია, ბიჭი ახლაც შეეჭვდა, იქნებ, მართლა ბატიაო, მაგრამ ამ ფასად მაინც არ გაყიდა.

ქალაქის ბოლოს უმცროსი ქოსა შემოეგება. ისიც შეევაჭრა. ბიჭმა დეკეულის ფასი სთხოვა, ქოსამ ექვსი შაური შეაძლია, ამის მეტი ბატი არა ღირსო.

ბიჭმა ახლა კი იფიქრა, ნამდვილად ბატი ყოფილაო და მიჰყიდა დეკეული ბატის ფასად. ქოსამ დეკეული მაშინვე დაკლა, გაატყავა და შესაწვავად მისცა ფურნეში. ბიჭმა კუდი გამოართვა, იქვე ახლოს ბინა იშოვნა და ქოსას თვალთვალი დაუწყო. დეკეული რომ შეიწვა, ბიჭი მიეიდა მეფურნესთან და უთხრა:

— ქოსამ გამომგზავნა დეკეულისათვის, ეს კუდი ნიშნად გამომატანა და შემწვარი დეკეული მომეცით!

მეფურნემ მაშინვე მისცა შემწვარი დეკეული. ბიჭმა ის თავის ბინაზე წამოიღო და კარგ დროს ატარებს. ქოსებმა ბევრი ეძებეს დეკეულის წამლები, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს.

ბიჭმა მკითხაობა დაიწყო.

ქოსებმა თავი მოიყარეს და თქვეს: ქალაქში ჯერ არავის მოვუტყუებივართ, იმ თითის სიგრძე ბიჭმა როგორ გაგვაბრიყვა, ცოცხალი ან მკედარი უნდა ვიპოვოთო. მოდი, მკითხავთან წავიდეთ, ის გაიგებს, თუ სად დაიმალა ბიჭიო.

მივიდნენ მკითხავთან და თავიანთი გაჭირვება შესჩივლეს. ბევრ ფულს შეჰპირდნენ, ოღონდ იმ ბიჭის კვალი გვიჩვენეო. მკითხავმა უთხრა მათ:

— თქვენ ერთი ბიჭი მოგიტყუებიათ, დეკეული ბატად გიყიდიათ და კუდი მიგიციათ, დეკეულიც იმ ბიჭს შეუჭამია და ამ წუთშიც გატყუებთო.

ქოსებს ეს ამბავი ესიშნათ და მკითხავს კარგი საჩუქარი მისცეს. ბიჭმა ამ მკითხაობაში აღებული ფულით ქალის ტანისამოსი იყიდა, უკანასკნელ ქალურ მოდაზე გამოეწყო და ქალაქში გაიარ-გამოიარა. უმცროსმა ქოსამ დაინახა და ძალიან მოეწონა. მიუგზავნა კაცები და საქმე გაარიგა. დაინიშნა ქორწილი.

ამ ქოსებს ერთი დიდი სახლი აქვთ მდინარის პირას. სახლს მდინარეზე გადასახედი ფანჯარა აქვს. ქოსები თურმე ამ ფანჯარაში გააყოფინებდნენ თავს სტუმარ სოდაგრებს, ფულს ამოაცლიდნენ და მდინარეში გადაუძახებდნენ. ასე გამდიდრდნენ ეს ქოსამატყუარები.

ამ სახლში დაინიშნა ქორწილი. ბიჭს ძალიან მოეწონა ეს ოთახი და მისი ფანჯარა. აცდინა ქოსა და ყველაფერი ათქმევინა.უთხრა:

— აბა, ერთი მასწავლე, როგორ უნდა შეყოს კაცმა ამ ფანჯარაში თავიო?

შეყო ქოსამ ფანჯარაში თავი თუ არა, ბიჭმა დააჭირა ხელი კისერზე, ამოიღო დეკეულის კუდი და აჩვენა:

— რა არის ეს?

— დეკეულის კუდი!

— აკი ბატის კუდი იყო! — უთხრა, და, აბა, ურტყა და ურტყა ქოსას გამხმარი კუდი. ქოსა იქვე ჩაკეტა, თვითონ მთელი მისი ქონება აქედან წაიღო და საკუთარ ბინაზე გადაიტანა.

მეორე დღეს უფროსმა ძმებმა ნახეს, თუ რა საშინელ დღეში იყო უმცროსი ქოსა.

ამ ბიჭმა ქალის ტანისამოსი გაიხადა, ცხენები იყიდა, ეტლში შეაბა და მეეტლეობა დაიწყო.

ქოსა ძმებმა განიზრახეს, თავიანთი გაჭირვება მოეხსენებინათ ხელმწიფისათვის. მოდი,ეტლი დავიქირაოთ და იმით წავიდეთო, — თქვეს. დაუძახეს მეეტლეს. ხელში მოხვდათ მეწისქვილის ვაჟიშვილი. ჩასხა სამივე ძმა ეტლში და წაიყვანა ხელმწიფესთან.

ქოსებმა თავიანთი გაჭირვება მოახსენეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ მაშინვე გაიგო ყველაფერი. როცა ქოსებმა თავიანთი საჩივარი დაამთავრეს, წამოდგა მეწისქვილის ბიჭი და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეე, შენი

დეკეული გავყიდე და მისი მყიდველი ქოსებიც აქ მოგიყვანეთო. თუ არ გჯერათ, აი, დეკეულის კუდიო და აჩვენა.

ხელმწიფემ ქოსებს კუკუ ამოჰკრა. მეწისქვილის შვილს ქალიც მიათხოვა და ხელმწიფობაც დაულოცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი

სოლომონ ბრძენი თავის ორ კაცთან ერთად სოფელზე მიდიოდა. ერთ ადგილს, სახლის კარებზე, ერთი დახავსებული ბერიკაცი იჯდა ჩაფიქრებული. სოლომონ ბრძენი მივიდა და მიესალმა. ბერიკაცი ფეხზე აუდგა სოლომონ ბრძენს და მადლი მოახსენა. სოლომონმა ჰკითხა:

— სხვა, ბერიკაცო, რასა იქ, როგორა ხარ?

— რა მიჭირს, — უპასუხა ბერიკაცმა, — თორმეტსა და ოცდათორმეტს მაინც ვერაფერი გადავარჩინე.

— ორზე როგორა ხარ? — ჰკითხა ისევ სოლომონმა.

— უკვე დავსამდი, — უპასუხა ბერიკაცმა.

— შორს როგორა ხარ?

— ახლოს მოველ.

— წისქვილები როგორა გაქვს?

— მგელმა დამიჭამა, რაც მგელს გადაურჩა, უწყლოდ, ულაროდ დგანან და არაფერში მარგიან.

— მთაში თოვლი მოსულა! — უთხრა კიდევ სოლომონმა.

ბერიკაცმა ჩამოისვა თეთრ წვერზე ხელი და უთხრა:

— ბარშიც ჩამოვიდა.

— მაშ კარგი,— უთხრა სოლომონმა, — ორ თხას გამოგიგზავნი და ვინძლო კარგად გაკრიჭო.

— ისე გავკრიჭო, — უპასუხა ბერიკაცმა, — რომ ტყავის მეტი ზედ არაფერი შერჩეს.

გამოემშვიდობა სოლომონი ბერიკაცს და გასწია სახლში. შინ რომ მივიდა, თავის მხლებლებს ჰკითხა:

— გაიგეთ, რამე, რაც მე ვუთხარი ბერიკაცს?

— არა, — უპასუხეს მსახურებმა, — თქვენ სულ იგავებით ლაპარაკობდით და, აბა, ჩვენ რას გავიგებდით. ის ბერიკაცი ვერაფერს გიპასუხებდათ, ერთი საწყალი გლეხკაცი იყოო.

— სტყუით, — უთხრა სოლომონმა, — ის ბერიკაცი სულ ყელში მიჭრიდა სიტყვებს: თუ არ წახვალთ და არ გაიგებთ, რას ნიშნავს იმის სიტყვები, ახლავე თავებს დაგაჭრით!

მხლებლები მაშინვე წავიდნენ იმ ბერიკაცის საძებრად. იპოვეს და ჰკითხეს:

— ერთი გვითხარ, ბერიკაცო, რა ილაპარაკეთ შენ და სოლომონმა?

— ჩვენ არაფერი გვილაპარაკნია, — უპასუხა ბერიკაცმა, — თქვენ ტყუილად გარჯილხართ, მე არაფერს გეტყვით.

სოლომონის მხლებლებმა დაუწყეს თხოვნა.

ბერიკაცმა უთხრა:

— სანამ ოც-ოც თუმანს არ მომცემთ თითო სიტყვაში, არ გასწავლითო.

რას იზამდნენ კარისკაცები: ფულს მაინც სიცოცხლე სჯობიაო, თქვეს იმათ და წავიდნენ, სადაც რამ ეგულებოდათ, წამოიღეს ბერიკაცთან, ოც-ოცი თუმანი რომ მისცეს, ბერიკაცმა უთხრა: პირველად რომ მითხრა, რასა იქ და როგორა ხარო და მე რომ ვუპასუხე, თორმეტსა და ოცდათორმეტს ვერაფერი გადავარჩინე-მეთქი, ის არის, რომ თორმეტი თვე არის წლისა და ოცდათორმეტი — კბილი. კაცმა რაც უნდა იშრომოს, მუცელს ვერაფერს მოაჭარბებს.

როცა მეორე სიტყვაშიც ოც-ოცი თუმანი მისცეს, ბერიკაცმა განაგრძო: მეორედ სოლომონმა მკითხა, ორზე როგორა ხარო და მე ვუპასუხე — დავსამდი-მეთქი, ის არი, რომ სანამ ახალგაზრდა ვიყავ, ორი ფეხით დავდიოდი და ახლა უჯოხოდ ველარ გავივლი.

— მესამე სიტყვაო? — ჰკითხეს კარისკაცებმა.

— ამოიღეთ კიდევ ოც-ოცი! — უთხრა ბერიკაცმა.

იმათაც ამოიღეს ფული მესამედ.

ბერიკაცმა თქვა: მე რომ ვუპასუხე: შორს ვიყავ და ახლოს მოვედი-მეთქი, ის არის, რომ წინათ კარგად ვხედავდი, ახლა კი თვალთ მაკლია და ახლო ძლივსღა ვხედავო.

მეოთხე: წისქვილები კბილებია, მგელი ჭიაა, რაც კბილები ჭიამ დაჭამა, ხომ გამოუსადეგარი არის, და რაც იმას გადარჩა, არც არაფრად ვარგა ის კბილები.

მეხუთე: მთაში თოვლი მოსულაო, რომ მითხრა და მე რომ ვუპასუხე, ბარად ჩამოსულა-მეთქი, ხომ ხედავთ, თმაც თეთრი მაქვს და წვერიც — ეს არის. მეექვსედ რომ ამოიღეს კარისკაცებმა, რაც კი რამ ებადათ, ბერიკაცმა უთხრა: ის ორი თხა თქვენ ხართ, ჩაიყავით ჯიბეში ხელები, გაქვთ კიდევ რამე, თუ არა? წადით და ეგრე მოახსენეთ სოლომონსაო.

სოლომონ ბრძენი და ღარიბი გლეხი

იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყვნენ რვა ძმანი. ძმებმა თქვეს: ერთ ოჯახში რვა კაცმა როგორ უნდა ვიცხოვროთ, გავიყაროთო.

ძმები გაიყარნენ და ბედის საძებნელად წავიდ-წამოვიდნენ. უფროსი ძმაც გაუდგა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, შეხვდა მეგუთნეებს, უყურებს და თავის თვალებს არ უჯერებს; გუთანში თორმეტი ულელი ხარ-კამეჩი აბია, ექვსი ულელი — ერთ მხარეს, ექვსი ულელი — მეორე მხარეს. მეხრეები დასჯდომიან და სახრეებს ზედ ამტვრევენ საწყალ საქონელს; ხარ-კამეჩები ეწევიან, რაც ძალი და ღონე აქვთ, მაგრამ გუთანი ადგილზეა გაჩერებული. როგორ გასწევენ, როცა ერთი ერთ მხარეს ეწევა, მეორე — მეორე მხარეს! ამ კაცს გაუკვირდა, მივიდა ახლოს და მეგუთნეს უთხრა:

— ძმაო, რას აწვალებთ ამ საქონელს, ან თქვენს თავს, აუშვით ერთი მხრის ხარები, მეორე მხრის ხარებმა გასწიონ!

— ჩვენმა პატრონმა ასე გაგვიმართა, — უპასუხეს მეგუთნეებმა.

— ვინ არის თქვენი პატრონი?

— სოლომონ ბრძენი.

დაინტერესდა ეს კაცი და წავიდა სოლომონ ბრძენის სანახავად: უნდა ვიკითხო, რად შეუბამს ხარები გუთანში ორივე მხარესო.

იარა, იარა და მიადგა რვათვლიან წისქვილს, შევიდა შიგ და რას ხედავს! იფქვება დარჩეული ხორბალი, ფქვილი კი ძირს ჩადის და წყალს მიაქვს. ახლა მეწისქვილეს ჰკითხა:

— რატომ საფქვილეებს არ დაუდგამთ, რომ ფქვილი შიგ ჩავიდეს, წყალს რად ატანთ?

— ამის პატრონმა ასე გამართა, — უპასუხა მეწისქვილემ.

— ვინ არის ამისი პატრონი?

— სოლომონ ბრძენი.

წავიდა ეს კაცი და მივიდა სოლომონ ბრძენთან.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! —სალამი დაუბრუნა სოლომონ ბრძენმა.

— ის გუთანი და წისქვილი თქვენია? — ჰკითხა მან.

— დიახ, ჩემია.

— ისე რად გამართეთ ან ერთი ან მეორე?

— რადაც გავმართე, შენ უნდა ამიხსნა, თუ ვერ ამიხსნი, სიკვდილით დაგსჯი!

— ერთი კვირის ვადა მომეცით, მერმე თუ აგიხსნით, ხომ კარგი, თუ არადა, თქვენი ნება იყოს.

სოლომონმა მისცა ერთი კვირის ვადა.

წავიდა ეს კაცი. მიდის დაღონებული. ვინც კი ხვდება გზაში, ხმას არავის სცემს, სალამსაც არ აძლევს.

ერთი პატარა ბიჭი გზის სანაპიროს ძროხებს აძოვებდა. მწყემსმა დაღონებული რომ დაინახა მიმავალი მგზავრი, ჰკითხა: გამარჯობა, ძიავ, რა დაღონებული მოდიხარო?

ამ კაცმა ხმა არ გასცა. ან რა ხმა უნდა გაეცა, როცა მას თავისი დარდი აწუხებდა!

— ძიავ, რადა ხარ დაღონებული? — ჰკითხა ხელმეორედ პატარა მწყემსმა.

კაცმა არც მაშინ გასცა ხმა. ბიჭი არ მოეშვა, ახლა კი წინ გადაუდგა და მესამედ ჰკითხა: ძიაკ, მითხარი, რადა ხარ დაღონებულიო?

კაცი შედგა და თავისთვის ჩაილაპარაკა: მოდი, ვეტყვი, იქნებ ამ ბიჭმა რამე მიშველოსო. უთხრა:

— შვილო, რაკი ძალიან გაინტერესებს ჩემი დარდი, გეტყვი: გზაზე ერთი გუთანი ვნახე, თორმეტი უღელი ხარი ება შიგ. ექვსი უღელი — ერთ მხარეს, ექვი უღელი — მეორე მხარეს. მეხრეები დაჰკიოდნენ საწყალ საქონელს, ხარები ეწეოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მაგრამ გუთანი მიწას არ ედებოდა, ან როგორ მოედებოდა გუთანი, როცა ხარები აქეთ-იქით ეწეოდნენ. მე ხალხიც შემებრალა და საქონელიც, მივედი და გუთნისდედას ვკითხე: ძმაო, ან საქონელს რაზე ტანჯავთ, ან თქვენ თავს! აუშვით ერთ მხარეს ხარები, მეორე მხრისანი გასწევენ, გუთანი მოედება მიწას და მოხნავთ-მეთქი! " ჩვენმა პატრონმა ასე გაგვიმართაო ! — მიპასუხა გუთნისდედამ. იმათი პატრონი სოლომონ ბრძენი ყოფილიყო თურმე.

წავედი სოლომონ ბრძენთან საკითხავად, მივდივარ და ახლა რვათვლიანი წისქვილი ვნახე.წისქვილი ფქვავდა, ფქვილი კი წყალს მიჰქონდა. " რატომ საფქვილეებს არ გაუკეთებთ, რომ ფქვილი შიგ ჩავიდეს და წყალმა აღარ წაიღოს-მეთქი , — ვკითხე მეწისქვილეს. "ჩვენმა პატრონმა ასე გაგვიმართაო , — მიპასუხა მეწისქვილემ. იმისი პატრონიც ის სოლომონ ბრძენი ყოფილიყო თურმე.

წავედი, კითხვა-კითხვით მივედი სოლომონ ბრძენთან, შევედი მასთან და ვკითხე: "ის გუთანი და წისქვილი ისე რად გამართე-მეთქი? " შენ უნდა მითხრა, რად გავმართე ისე ან ის გუთანი, ან ის წისქვილი, თუ ვერ გამოიცნობ, სიკვდილით დაგსჯიო! — მიპასუხა სოლომონ ბრძენმა და მოფიქრების ვადად ერთი კვირა მომცა. აი, რატომ ვარ დაღონებული.

ბიჭმა უთხრა:

— მე გასწავლი, მაგრამ არ გამცე! გუთანში ორივე მხარეს რომ ხარები ებათ, ეს ის არის, როგორც ის ხარები ეწეოდნენ აქეთ-იქით და გუთანი წინ ვერ მიდიოდა, ისე ძმები რომ გაიყრებიან და ცალ-ცალკე გავლენ, არც იმათი საქმე წავა წინ.

ის წისქვილი კიდევ იმას ნიშნავს, რომ, თუ ოჯახში კარგი შემნახველი დედაკაცი არ არის, იქ გინდა რვა კაცი იყოს კარგი მომნაგრებელი, იმათი ქონებაც სულ წყალწაღებული იქნება.

კაცი გახარებული გამობრუნდა უკან, მივიდა სოლომონ ბრძენთან და ყველაფერი მოახსენა.

— მითხარი, ვინ გასწავლა, თორემ სიკვდილი არ აგცდება! — უთხრა გაბრაზებულმა სოლომონ ბრძენმა.

— თქმით ვერ გეტყვით, წამობრძანდით, შორიდან დაგანახვებთ.

სოლომონმა შეაბმევინა ეტლი, ჩასხდნენ და წავიდნენ.

პატარა ბიჭს ძროხები მუხის ჩრდილში შეერეკა და თვითონაც იქვე ბალახზე წამოწოლილიყო. ეტლმა რომ გაიარა, შემთხვევით ერთ ფურს დაეჯახა.

— ეგ ფური არ გამიბერწოთ, პატიოსანი სახარე ხბო ჰყავს, — უთხრა პატარა მწყემსმა.

სოლომონ ბრძენმა გააჩერებინა ეტლი, დააკვირდა მაკე ძროხას და უპასუხა:

— მართალია, სახარე ხბო ჰყავს, მაგრამ ნიშაა.

— არა, ნიშა არ არის, კუდვარდაა, ეს კუდი შუბლზე უძევს და შენ ნიშა გგონია,— უპასუხა მწყემსმა.

გაიმართა ცილობა. დადეს სანაძლეო, დაკლეს ფური, ამოაცალეს ხბო და მართლა კუდვარდა გამოვიდა.

— ბრძენი მე კი არ ვყოფილვარ, ეს ყოფილა, — თქვა სოლომონმა. ჩაისვა პატარა მწყემსი ეტლში, წაიყვანა სასახლეში და თავის ვეზირად დააყენა. ეს კაცი კი ოქრო-ვერცხლით დააჯილდოვა და გაისტუმრა.

მ ე დ ა ი რ ე

იყო ერთი მედაირე, თუმცა თავისი ხელობა ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ რადგანაც არავის იცნობდა, ვერსად მიდიოდა.

ერთხელ ცოლმა უთხრა:

— რას ჩამოგიკიდია დაირა და შეჰყურებ, წადი, იქნებ იშოვო რამეო.

ქმარმა დაუჯერა და წავიდა.

ერთ ადგილას სასახლე დაინახა და მივიდა. თურმე, იქ ქორწილი ჰქონდათ გამართული. დაჯდა ჩვენი მედაირე დერეფნის ქვეშ და დაუკრა. ხალხს გაუკვირდა: ასე მშვენიერად ვინ უკრავსო? იპოვეს მედაირე და აიყვანეს ქორწილში.

მოაგროვა ოც თუმნამდის ფული და, როცა ქორწილი გათავდა, წავიდა სახლისაკენ. შინ რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა:

— რა იშოვეო?

მედაირემ ჩაიყო ხელი ჯიბეში, უნდოდა ფული ამოეღო, მაგრამ ხახამშრალი კი დარჩა. თურმე ჯიბე გახეული ჰქონებოდა და ის ფული სულ დაჰკარგოდა. ბევრი იდარდა, მაგრამ რაღას იზამდა, გაჯავრებული დაჯდა და ექვსნაკეცი ტილოს ჯიბე დაიკერა.

წავიდა მეორე დღეს კიდევ რისამე საშოვნელად. წვიმამ მოუსწრო, გზა დაკარგა და ერთ ტყეს მიადგა. იქ ერთი კაჭკაჭი დაიჭირა, ჩაისვა უბეში და განაგრძო გზა. ამასობაში კიდეც დაღამდა.

ერთ ადგილას სინათლე დაინახა. დააკაკუნა და შეეხვეწა სახლის პატრონს:

— სახლში შემიშვით!

იქიდან ქალმა უპასუხა:

— ქმარი შინ არა მყავს და როგორ შემოგიშვაო?..

ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, როგორც იყო, შეუშვა, დაუგო კარების უკან ლოგინი და უთხრა: — დაიძინეო! მედაირეს ძილი არ

მოუვიდა, მაგრამ ისე აჩვენა თავი, ვითომ ეძინა. ქალიც არ აპირებდაძილს, ეტყობოდა, ვიღაცას უცდიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ვიღაც კაცი. ქალი მიეგება და უთხრა:

— რად დაიგვიანე, ჩემო საყვარელოო!

ისიც მიესაყვარლა. მერე გაშალეს სუფრა და დაიწყეს ქეიფი.ქეიფის შემდეგ ქალმა სუფრა აალაგა, ლოგინი გაშალა და დაწვნენ. ყველაფერს ამას მედაირე უცქეროდა.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ კიდევ კარების კაკუნი მოისმა. ქალმა უთხრა თავის საყვარელს:

— ჩქარა ქვევრში ჩაძვერი, თორემ ჩემი ქმარი მოგკლავსო!

ჩასვა ქვევრში და თვითონ კარი გაუღო ქმარს.

— ამდენი ხანი რად მაცდევინე? — ჰკითხა ქმარმა.

— მეძინა და ვერ გავიგე! — ცბიერად უპასუხა ცოლმა.

ქმარმა ტანისამოსი გაიხადა და მედაირეს თვალი მოჰკრა.

— ეს ვინ არისო?

— ვიღაც კაცია და აქ თავი შეაფარაო.

— მაშ, გაალვიძე და ვახშამიც მოგვიტანე, ერთად ვჭამოთო.

ქალმა სუფრა გაშალა, ააყენა მედაირე და დასხდნენ პურის საჭმელად. მაგრამ რა გამოვიდა? ძაღლიც არ იკადრებდა იმისთანა მჭადს, როგორიც იმათა ჰქონდათ. მედაირემ მოუჭირა ხელი კაჭკაჭს, რომელიც უბეში ჰყავდა და დაარჩინა. მასპინძელმა ჰკითხა:

— ეგ რას ამბობსო?

მედაირემ უპასუხა:

— თახჩაში ტიკით ღვინოა, გამოიტანეთ და დალიეთო.

შეგზავნა ცოლი და გამოატანინა. მედაირემ კიდევ დააჩხაველა.

— რას ამბობსო?

იმან უპასუხა:

— თახჩაში ქადა-ნაზუქებია, გამოიტანეთ და ჭამეთო!

გამოიტანეს ისიც. მედაირემ დაუკრა თავისი დაირა და დაიწყეს ქეიფი. ქადები როცა შემოაკლდათ, სტუმარმა კიდევ მოუჭირა ხელი და დააჩხაველა. ასე რომ, ამნაირი ეშმაკობით მედაირემ გამოაზიდვინა დედალი, ნაზუქები, შემწვარი ინდაური და სხვა. ბოლოს, მედაირემ კაჭკაჭი კიდევ დააჩხაველა და, როცა მასპინძელმა მიზეზი ჰკითხა, მან უპასუხა:

— თქვენ რომ ქვევრი გაქვთ, იმაში მაბანავეო!

გააცხელეს წყალი. ჩასვეს კაჭკაჭი ქვევრში და ზევიდან მდუღარე დაასხეს. კაჭკაჭიც შიგ ამოიფუფქა და იქ მჯდომი კაციც.

მეორე დღეს, როცა მასპინძელი წავიდა, ქალმა უთხრა მედაირეს:

—ხომ იცოდი, რომ იმ ქვევრში კაცი იჯდა, რად დამღუპეო?

მედაირემ გადაფიცა:

— მაშ, წაიღე მაინც და დამარხე, რომ არავინ გაიგოსო.

მედაირემ უთხრა:

— ერთი კარგი ვირი მომეცი და ასი თუმანი ფული და მაშინ დამარხავო.

რას იზამდა, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეხო, აიღო და მისცა.

მედაირემ შეკაზმა ვირი, შესვა ზედ გაფუფქული კაცი, დაამაგრა და წავიდა. მივიდა ბოლოს ერთ კალოსთან. მუშები პურსა ჭამდნენ.მედაირემ მიუშვა ვირი ხვავზე და თვითონ მიეფარა. დაინახეს მუშებმა ვირი და შეუტიეს:

— კაცო, ხვავს რად აჭმევ, ბზე აჭამეო!

მაგრამ მკვდარი კაცი რას გაუგებდა. გაჯავრდნენ მუშები და შემოჰკრეს ჯოხი ვირს, ვირი შეხტა და გადმოაგდო მხედარი. გადმოხტა მაშინ მედაირე და დაიწყო ყვირილი:

— რაზე მომიკალით ბებერი მამა, რაზე დაიდეთ ჩემი ცოდოო!

გამოვიდნენ თვითონ მებატონეები და ამშვიდებდნენ, მაგრამ მედაირე არა ცხრებოდა. მაშინ უთხრეს:

— ორმოც თუმანს მოგცემთ და მკვდარსაც ჩვენ დავმარხავთ, ოღონდ ნურავის გააგებინებო. მაგრამ მედაირე გაიძახოდა: არ მინდა ფულებიო.

დაახარბეს. ას თუმნამდის რომ ავიდნენ, მაშინ დათანხმდა მედაირე. დამარხეს მკვდარი, გადაუხადეს ქელეხი, მისცეს მედაირეს ასი თუმანი და გაისტუმრეს.

იარა მთელი დღე და დაუღამდა ერთ დანგრეულ წისქვილთან. შეეიდა შიგ და კუთხეში წამოწვა. შუაღამე რომ გადავიდა, შემოვარდა დათვი, მიათრია წისქვილის დოლაბი და მიადო კარებს. მედაირეს შეეშინდა, მაგრამ მერე თქვა: რაც მომივა, მომიეა, დაირას მაინც დავუკრავო. ჩაჯდა ხეიმირაში და დაუკრა. დათვი დაფრთხა, კარებს ველარ მიაგნო, რომ გაქცეულიყო, დაიწყო ტრიალი და ხტუნვა.

ამ დროს მოდიოდა ერთი სოედაგარი და აუარებელი სიმდიდრე მოჰქონდა თან. დაირის ხმა რომ გაიგონა, თქვა, ამ დანგრეულ წისქვილში რა ამბავი არისო და მიაწვა კარებს. ქვა გადავარდა, გაიღო კარები, გამოვარდა დათვი და გაიქცა. მედაირემ დაიწყო ღრიალი:

— რაზე დამღუპე! დათვი ხელმწიფისაგან მყავდა მობარებული, თამაშობას ვასწავლიდი და შენ კი გამიქციეო.

სოედაგარმა დაუწყო ხვეწნა:

— გაჩუმდი, კაცო, ხელმწიფეს ნუ გააგებინებ, თორემ ორივეს მოგკლავს; იქნებ რამე მოვახერხოთო!

მედაირე კი გაიძახოდა:

— რა უნდა მოვახერხოთ, ახლა რაღა პასუხი უნდა გავცე ხელმწიფესო?

სოედაგარმა უთხრა:

— ერთი საპალნე ოქრო-ვერცხლი წაიღე და მიართვი, იქნებ დაგჯერდესო. მედაირე თავისას გაიძახოდა. ბოლოს, ორი საპალნე შეაძლია. მაშინ კი დაშოშმინდა მედაირე. გამოართვა ორი საპალნე ოქრო-ვერცხლი და წამოვიდა. მოვიდა შინ და დაიწყო ცხოვრება ბედნიერად.

ზ ა რ მ ა ც ი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი მეტისმეტად ზარმაცი გახლდათ. არაფერს აკეთებდა, მხოლოდ იჯდა, ჭამდა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან — მეორეზე. ცოლი კი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შრომობდა, იმასაც კეუბავდა, აცმევდა და თავის თავსაც; მაინც მეტად ღარიბად ცხოვრობდნენ. იმათ ბედობაზე მარტო ერთი მამალი იყო საღღაც შორს, რიყესა და ქვიშაზე, ჭინჭრისა და ღოლოს მეტი არც არაფერი იდგა იმაზე და არც არაფერი მოდიოდა.

ერთ გაზაფხულზე ცოლმა სთხოვა მეზობლებს და მოახვნევინა, მერმე თესლი ჩამოითხოვა, დათესეს. ყანა მოვიდა, რა ყანა, სულ ზღვასავით ღელავდა! დადგა მკათათვე. შემოვიდა ყანები.

ცოლმა უთხრა ქმარს: კაცო, ადექ, წადი, ნახე, იქნება ი მამულზე არაფერი არ მოვიდა და ჩვენ კი ტყუილად იმედი გვაქვსო!

ადგა, როგორც იყო, ზარმაცი, წავიდა მამულის სანახავად. ნახევარი გზაც არ გაუელია, დაბრუნდა ისევ უკან და ცოლი მოატყუა: ვიყავი და იქ ღოლოსა და ჭინჭრის მეტი არაფერი მოსულა, თესლი რაზე გადავყარეთ ტყუილადაო.

ცოლმა იცოდა, როგორი ყანაც იდგა, მიხვდა, რომ ქმარი ტყუოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. როდესაც სამკალი გახდა ყანა, ცოლმა უთხრა ზარმაცს: კაცო, ან სამკალს წადი, ან შინ დარჩი, რიე შედღვიბე, კრუხ-წიწილას საკენკი დაუყარე, თვალი დაიჭირე, ფქვილი გაცერ და პური გამოაცხვეო!

ზარმაცმა შინ დარჩენა არჩია. კრუხ-წიწილა რომ არსად წასულიყო, ზარმაცმა აიღო ცოლის თხორი (გორგალი), გადააბა ერთმანეთს წიწილებიც, კრუხიც და გაუშვა კალოზე. უცებ საიდანღაც გაჩნდა ქორი, დააფრინდა კრუხ-წიწილას და გააქანა ერთბაშად ყველა. ზარმაცმა აიკიდა ზურგზე საცერი და ფქვილიანი გუდა, სარძეული და ისე გამოუდგა ქორს: კრუხ-წიწილასაც გავაგდებინებ ქორს, ფქვილიც გაიცრება, რძეც ძეიდღვიბება და ერთბაშად ყველა საქმეს გავაკეთებო. მაგრამ ვერც კრუხ-წიწილა გააგდებინა, ფქვილიც დააბნია. დაბრუნდა ზარმაცი შინ, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული.

„რაღა ვუთხრა ცოლსა, — იფიქრა ზარმაცმა, — ხაიდან ვუშოვო ან კრუხ-წიწილა და ან ფქვილიო.“ იფიქრა, იფიქრა და მოიგონა: „ჩემ ცოლს სომ კუერცხები აქვს, ჩავაწყობ იმათ საბუდარში, ზედ მე დავჯდები და, სანამ ჩემი ცოლი სამკლიდან დაბრუნდება, წიწილებს გამოვჩეკავო.“

აიღო, მართლაც, ჩააწყო კვერცხები ბუდეში, ზედ თავად დააჯდა და მოჰყვა კრუშკრუშს.

საღამოზე ცოლი დაბრუნდა სამკლიდან, ქმარს დაუძახა:
— კარი გამიღე!
— კრუხ, კრუხ, კრუხ! — მოესმა სახლიდან.
—კარი გამიღე! — გაუმეორა ცოლმა.
— კრუხ, კრუხ, კრუხ, — კელავ მოესმა სახლიდან.
მესამედ დაუძახა ქმარს: სადა ხარ, სად დაიკარგე, კარი გამიღეო! მაგრამ ხმა არავინ გასცა და მარტო კრუშკრუში ესმის. შეამტვრია ცოლმა კარი და შეეიდა სახლში. იმისი ქმარი ჩამჯდარა ქათმის საბუდარში და კრუშკრუშებს.
— რა არის, კაცო, ეგ რაღა საქნელი იყო, რასა შვრები? ამოდი მაგ გოდრიდანაო!
— კრუხ-წიწილა ქორმა წამართვა და კვერცხებს დავაჯექი გამოსაჩეკადო! — უპასუხა ქმარმა.
— შენი გამოჩეკილი არ მინდა, — უთხრა ცოლმა, — ამოდი გოდრიდანაო! ამოიყვანა ბუდიდან ცოლმა ზარმაცი ქმარი, დასვა კერაზე.
მეორე დღეს ცოლმა ჰკითხა ზარმაცს: აბა, რას იზამ, ისევ სახლს მოუვლი, თუ სამკალს წახვალო?
— სამკალს წავალ, — უპასუხა ქმარმა, — თუ დღეში სამ ქათამს დამიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთს ვახშმად. მარტოკა მე მოვმკი იმ მამულსო!
— ოღონდ შენ ის ყანა მომკე და თუნდ ოთხ ქათამს დაგიკლავო, — უპასუხა ცოლმა.
წავიდა ზარმაცი ყანაში. მთელი დღე ორი-სამი ძნა ვერ გამოჭრა. სულ ეგდო და ეძინა. სამი ქათამი კი შეჭამა.
ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. ყანა მამულში ჩაიწვა.
ერთ დილას ადგა ზარმაცის ცოლი, ითხოვა ცხენი, კაცის ტანისამოსი ჩაიცვა, ტანზე იარაღიც აისხა, შეჯდა ცხენზე და ქმრისაკენ გასწია, ზარმაცს რომ მიუახლოვდა, დაუძახა:
— მომკელო, ერთი ზარმაცი კაცი არ იცი, ხელმწიფეს შვილი უკვდება და ზარმაცის ღვიძლი გვასწავლეს, ის უშველისო!
ზარმაცი შეშინდა და შეჰფიცა: აი, ეს ერთი საათია, რაც მკა დავიწყე და მეტს როგორ მოვმკიდიო!
— თუ საღამომდისინ არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, ვნახავ, თავს მოგჭრი და ღვიძლს ამოგარიდებო! — უთხრა მგზავრმა, გასცდა და წავიდა.
ეცა ზარმაცი ყანას და საღამომდის ბოლი ააღინა. დაჯდა გადაწყვეტილი და დაიწყო ქშენა. საღამოზე ცოლმა საჭმელი მოუტანა, მაგრამ რაღა საჭმლის თავი ჰქონდა, იჯდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, კვნესოდა. ცოლმა განგებ ჰკითხა:
— რას დაულლიხარო?
ზარმაცმა უამბო:
— ხელმწიფის კაცმა გამოიარა და დამემუქრა: თუ საღამომდის ამ ყანას არ მომკი, საღამოს მოვალ, თავს წაგაჭრი, ღვიძლს ამოგარიდებ და წაგიღებო!
ცოლმა გული გაუკეთა:
— ნუ გეშინია, მოგიმკია, ის შენ აღარაფერს გეტყვისო!

როგორც იყო, მოიტანეს ძნაც, გალეწეს და ჩაყარეს მარცვალი.

ზარმაცს ერთი ღორი ჰყავდა. რაც რამ ებადა, იმას აჭმევდა. ცოლმა უთხრა:

— კაცო, ჩვენოვის არაფერი გვაქვს, რომ ვჭამოთ. შენ ღორს აჭმევ, მოვიშოროთ, დავკლათო!

— სანამ უკან ქონი არ გამოეჩრება, არ დავკლავო, — უპასუხა ქმარმა.

ცოლი ადგა, გაათბო ერბო, მიასხა ღორს, მოიყვანა ქმართან, აჩვენა და უთხრა: აი, ისე გასუქებულა, რომ ქონი გამოსდისო.

მცონარამ დაკლა თავისი ხაყვარელი ღორი, რადგანაც თავისი მუცელი უფრო უყვარდა. ღორის ხორცი მალე შეჭამა ზარმაცმა, მხოლოდ იმის ცოლისაგან დამალული ერთი ბარკალიღა დარჩა. ქმარმა შეიტყო, რომ ჩემს ცოლს ბარკალი დაუმალავსო და გადაეკიდა, მომეციო! ცოლმა უარი მოახსენა.

— მოვკვდები,თუ არ გამომიჩენო, — უთხრა ზარმაცმა ცოლს. ცოლმა კიდევ არ მისცა.

— მოვკვდებიო, — უთხრა კიდევ ზარმაცმა.

— მოკვდი, თუ მოკვდები, ვის დააკლდებიო, — შემადლა ცოლმა.

ადგა მცონარა, დაწვა ტახტზე, დახუჭა თვალები, განაბა სული და მოიმკვდარუნა თავი. ცოლმა ყასიდად დაიწყო ტირილი ქმარზე. მოიყვანა მღვდელი, გააკეთებინა კუბო, ჩადეს შიგ და წაიღეს საყდარში. ცოლი ერთხელ კიდევ მივიდა ქმართან და წასჩურჩულა:

— გაცოცხლდი, თორემ დაგმარხავთო!

— მკვდარი ვარ, როგორ გავცოცხლდეო! — უპასუხა ქმარმა.

— გაცოცხლდიო! — დაუყვინა ცოლმა.

— მაშ, თუ ღორის ბარკალს მომცემ, გავცოცხლდებიო! — უთხრა ქმარმა.

— არაო! — უთხრა ცოლმა.

— მაშ, არც მე ავდგებიო!

წაიღეს მცონარა და დაასვენეს ეკლესიაში. რომ დაღამდა, ზარმაცის ცოლი ადგა, მივიდა საყდრის კართან და დაიძახა:

— მკვდარნო, ახალნო და ძველნო, გეყურებოდეთ, ადექით, ცაში საყდარი შენდება: ვინც ახალი მკვდრები ხართ, ორას-ორასი აგური უნდა აიტანოთ და, ვინც ძველნი — ას-ასიო!

მცონარამ იფიქრა: ვაჟო, მე ხუთ აგურს აქაც ვერ მოვრეევიარ და იქ ორასი რა ეშმაკით უნდა ავიტანოო!

წამოხტა და გაადინა ფხაჭა ეკლესიიდან. ის დღეა და ის დღე, აღარ მომკვდარა, აღარც ბარკალი მოუკითხავს და აღარც გვერდზე უგორაენია. მუდამ შრომობდა და იყვნენ ტკბილად და მდიდრად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსა და გამგონებელსა
ჭირი გაშოროთ ყველასა.

ორი ცრუპენტელა

იყო ორი ცრუპენტელა. ერთს ერქვა დათუა, მეორეს — პეტრიკელა.

ერთხელ დათუა ცრუპენტელამ ერთი დიდი ტომარა მოიტანა ხავსით მაგრად დატენილი, თავზე მატყლი დაატენა და იმერეთში წაიღო გასაყიდად. კორტოხის წვერზე (სურამის მთაზე) რომ ავიდა და ტურფა იმერეთს გადახედა, სწორედ ამ დროს პეტრიკელა ცრუპენტელა შემოხვდა: ნიგვზის ნაჭუჭებით სავსე დიდი ტომარა ეკიდა, ხოლო ნაჭუჭების ზემოდან ნიგოზი ეყარა.

— გამარჯობა შენი! — შესძახა დათუა ცრუპენტელამ.

— გაგიმარჯოს! — მიუგო პეტრიკელამ.

— საიდან მოხვალ, ან სად მიხვალ?

— იმერეთიდან მოვდივარ, ქართლში გასაყიდად ნიგოზი მიმაქვს, მაგრამ ერთს გეტყვი, თუ დაიჯერებ: ტყუილუბრალოდ იქით-აქეთ სიარულს რას გამოვრჩებით, ქალამნები დაგვიცვდება, სხვა არა იყოს რა, მოდი, ჩვენი სავაჭრო გავცვალოთ: შენ ეს ნიგოზი წაიღე, ქართლში გაყიდე და მე მატყლი მომეცი, დავბრუნდები და იმერეთშივე გავყიდი!

— ძალიან კარგია, ძმობამ! გვირჩევნია ჩვენ ჩვენი სახლებისაკენ დავბრუნდეთ, თრევით რას გავხდებით. აჰა, მატყლი და შენც შენი ტომარა ნიგოზი მომეცი.

ამგვარად, ორივე ცრუპენტელამ ტომრები ერთმანეთს გაუცვალეს და თავთავიანთი სახლებისაკენ დაბრუნდნენ.

ცოტა გზა გაიარეს და ერთმანეთს რომ ვერ ხედავდნენ, სწრაფად გახსნეს ტომრები. ნახეს, რა ნახეს, ერთმანეთი მოეტყუილებინათ.

გავიდა რამდენიმე ხანი. კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. მიემშვიდობა დათუა და უთხრა პეტრიკელას:

— მე მეგონა, მარტო მე ვიცოდი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, ძამიაკ, ნაკლები!

— იმე, რა გაგკვირვებია, შე კაცო! თუკი შენ იცოდი რამე, რატომ მეც არ მეცოდინებოდა?!

— მაშ, მოდი, დავძმობილდეთ!

— ძალიან კარგი. იცი რა, მოდი, ერთად დავდგეთ სადმე მოჯამაგირეებად.

— შენი ნება იყოს!

ცრუპენტელები შეუდგნენ მოჯამაგირის ადგილის ძებნას. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს, შეიტყვეს, ერთ დედაბერს ორი მოჯამაგირე უნდაო. ადგილი იკითხეს და მივიდნენ იქა.

დედაბერმა უთხრა:

— ერთი ძროხა მყავს და ეს სახლი მაქვს; ერთმა თქვენთაგანმა ძროხა უნდა ატაროს საბალახოდ და თანაც სალამური, ჩონგური და დაირა უნდა ჰქონდეს, რადგან ჩემმა ძროხამ ცეკვა იცის და უნდა აცეკვოს ხოლმეო. მეორემ კი აქაურობა უნდა დაგავოს, დაასუფთავოს და სხვის ეზოში გადაყაროს ნაგავი. თუ თანახმა ხართ და სამსახურს შესძლებთ, დადექითო!

— თანახმა ვართ, როგორ ვერ შევძლებთო, — უპასუხეს.

მეორე დღეს პეტრიკელა შინ დარჩა სახლ-კარის მოსავლელად, დათუამ კი პური, დაირა, სალამური და ჩონგური აიღო და ძროხას გაჰყვა...

პეტრიკელამ სახლ-კარი დაგავა, დაასუფთავა, ნაგავს თავი მოუყარა და, როცა სხვის ეზოში ჰყრიდა, დაინახეს, მისცვივდნენ და სასტიკად სცემეს: თქვენს ნაგავს ჩვენს ეზოში რატომ ყრითო!

ცემისაგან გვერდებდალურჯებული პეტრიკელა ბოლოს ტახტზე დაეგდო.

არც დათუა ცრუპენტელას დაადგა კაი დღე. გავიდა თუ არა ძროხა საბალახოდ, მაშინვე კუნტრუში დაიწყო და საღამომდე ფეხჩაულებლად დარბოდა.

საღამოს შინ მობრუნდა, დათუაც თან მოჰყვა. ხირბილისაგან და შიმშილისაგან ისე დაქანცულიყო, რომ პურის ჭამაც კი არ შეეძლო. შევიდა თუ არა ბოსელში, პეტრიკელას ჰკითხა:

— რა დაგემართა, ძამიავ, ავად ხომ არა ხარ?

— ავად კი არა!

— აბა, რატომ წევხარ?

— ბოსელი და ეზო დავგავე; ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე, დამინახეს თუ არა პატრონებმა, მიმიწვიეს და კარგად გამიმასპინძლდნენ, ბევრი კახურის სმით თავი მიბრუის; შენ´როგორიღა დრო გაატარე?

— მეც კარგ ქეიფზე ვიყავი... დაუკარი დაირა, ჩამოვკარ თითები ჩონგურის სიმებს და ჩავაწკრიალე სალამური. ძროხამაც დაუარა მშვენიერი ფეხმარდი ლეკური. კაცი და ქალი აუარებელი მოგვაწყდა, ისინიც ჩვენთან ერთად მხიარულობდნენ. წარმოიდგინე: სიხარულით ჭამაც კი არ მომგონებია.

— აბა რახან ეგრეა, ძმაო, ხვალ მე გავყვები ძროხას და შენ კი მეზობელს ეწვიე და ერთი ლაზათიანად გამოთვერი.

— შენი ნება იყოს, არ გაწყენინებ, — უთხრა დათუამ.

მეორე დღეს ისეთივე დღე დაადგა პეტრიკელას, რაც დათუას გადახდა: საღამომდე თავქუდმოგლეჯილი არბენინა ძროხამ; დათუა კი ისე დაამყაველს ცემით, ძლივს მიათრია წელი ბოსლამდე.

იმ ღამეს რჩევა შეექმნათ და თქვეს, თუ აქედან არ გავიპარეთ, ან შიმშილს ვერ გავუძლებთ, ან ხირბილს და ცემა ხომ ზედმეტიაო.

გადაწყვიტეს გაპარვა, მაგრამ კარებს საღამოობით დედაბერი თვითონ კეტავდა გარედან.

პეტრიკელამ თქვა:

— მოდი, ეს ძროხა დავკლათ, ტომარაში ჩავდოთ, მერე ერთმა მეორეს უკიბოს, მაღლა ავიდეს, ჭერიდან აძვრეს და თოკი ჩამოუშვას. მეორემ

ტომრით ხორცი მიაწოდოს, შემდეგ თვითონაც მოეჭიდოს და ავიდეს; შემდეგ კი ერთად წავიდეთო.

— ეგ ძალიან კარგი იქნება, — მოუწონა დათუამ, — მე უფრო ღონიერი ვარ, ხორცსაც ავიტან და შენც ადვილად აგიყვანო.

უკიბა პეტრიკელამ, ტომრის ცალი ყური თოკით მაგრად მოაკრა, შიგ ორიოდე ნაჭერი ხორცი ჩადო, თვითონაც ჩაჯდა და დაუძახა: ხორცი ასწი და ტომარა ისევ ჩამოუშვიო. დათუამ ტომარა ასწია, ზურგზე მოიგდო და მოკურცხლა. კარგა დიდი მანძილი რომ გაირბინა, დაიღალა და დასვენება მოუნდა. ტომარა ზურგიდან მოიხსნა და ძირს დააგდო.

— ნელა, შე ოჯახქორო, არა მატკინო რა! — შესძახა პეტრიკელამ და ტომრიდან ამოძვრა.

— თვითონ შე ოჯახდაქცეულო! წელი რად მომწყვიტე?

— აბა, რა ჩემი ბრალია: ნუ ვეღალატებთ ერთმანეთს, ნურც ჭირში, ნურც ლხინში და არც წელი მოგვწყდება და არც გული, — უთხრა პეტრიკელამ.

ის იყო და ის, ერთმანეთის მოტყუებას თავი დაანებეს, ძმურად, სიყვარულით იწყეს ცხოვრება და ერთმანეთის გატანას არაფერი ერჩივნათ.

მუჭანახევარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორი კაცი. ერთი ქოთანი ლობიო ჰქონდათ, მარილი კი აღარ ჰქონდათ, რომ შეჭამადისთვის დაეყარათ.

ერთმა უთხრა მეორეს: ხომ ხედავ, მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუჭანახევარი მარილიო!

— დამავიწყდება, — უპასუხა მეორე კაცმა, — როგორ დავიხსომოო.

— წადი და გზაზე სულ ის იძახე: მუჭანახევარი, მუჭანახევარი-თქო!

წავიდა ეს კაცი მარილის საყიდლად ქალაქში. გზაზე ერთი კაცი დაინახა, მოუხნავს მამული, ჰურსა თესავს და თან იძახის: ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გაიარა კაცმაც და თან ყვირის: მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!

მთესველს ბრაზი მოუვიდა: მე ერთი ათასად მომიყიდეს, იმას ვითხოვ და შენ მუჭანახევარს ამბობ! დაიჭირა და მაგრად სცემა, გული რომ მოიჯერა, თავი დაანება.

კაცმა უთხრა:

— რადა მცემ, რა დაგიშავე, კინაღამ მომკალიო!

— იმიტომ გცემე, — უპასუხა მთესველმა, რომ მე ვიძახოდი — ერთი ათასად და შენ — მუჭანახევარიო!

— მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? — ჰკითხა კაცმა.

— ერთი ათასად, ერთი ათასად და ბევრსაც დაგიმადლებდიო! — უპასუხა მთესველმა.

წავიდა აქედან მარილის მყიდველი და ერთ სოფელში მივიდა.

კაცი ვინმე მომკვდარა და მარხავენ. გაუარა გვერდზე ამ კაცმა და დაუძახა: ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გამოუხტნენ ეს მკვდრის პატრონები, მიარტყეს და მიარტყეს, გული რომ მოიჯერეს, თავი დაანებეს.

— რაზე მკლავთ, თქვე ურჯულოებო, მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? — ჰკითხა მარილის მყიდველმა.

— როგორ და უნდა მოსულიყავ, ქუდი მოგეხადა და გეთქვა: ღმერთსა ვთხოვ, რომ ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახშიო! პატივსაც ბევრსა გცემდით და გაგისტუმრებდითო!

წამოვიდა იქიდანაც მუჭანახევარა და ერთ ადგილას ნეფიონს შემოხვდა. მოიხადა ქუდი, დადგა და დაუძახა:

— ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო!

გადმოუსტნენ მაყრები, მიარტყეს და მიარტყეს, რაც სიგრძე ჰქონდა, ის განი მისცეს.

მუჭანახევარამაც, როგორც იყო, მოიბრუნა სული და უთხრა მაყრებს:

— რაზე მკლავთ, რა დაგიშავეთ? მე ეგრე მასწავლეს, მაშ, როგორღა უნდა მეთქვაო?

მაყრებმა უთხრეს: ქუდი უნდა მოგეხადა, მოსულიყავი და სულ „ნეფეს გაუმაჯოს ," „ნეფეს გაუმარჯოს" — გეყვირაო.

ამათ რომ გადაურჩა მუჭანახევარა, ისევ თავის გზას გაუდგა. ცემისაგან გვერდები სტკიოდა. იმასღა ფიქრობდა: როგორა ვთქვა, რომ ვინმე შემომხვდესო.

გზაზე ერთი მონადირე დაინახა. შემოუყენებია ჩახმახი და მტრედებს ეპარება. მუჭანახევარამ მოიგლიჯა ქედი და „ნეფეს გაუმარჯოს" ძახილით გაიქცა მონადირისაკენ. მტრედები აფრთხიალდნენ და გაფრინდნენ.

წამოხტა მონადირე და კბილების კრაჭუნით გაექანა მუჭანახევარასაკენ. მოსდო და მოსდო თოფის კონდახი ზურგში, იმდენი სცემა, კინაღამ სული ამოხადა. ბოლოს გული რომ იჯერა, დაანება თავი.

მუჭანახევარამ ჰკითხა:

— სამართალი აღარა გაქვს, კაცო, რომ მცემ, რადა მცემ, რა დაგიშავე? მაშ, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ან რა მეთქვა, ან რა მექნაო?

მონადირემ უთხრა:

— ხმა არ უნდა ამოგეღო. უნდა დაკუზულიყავი და ისე გაგეცლო; მტრედები ვეღარ დაგინახავდნენ და აღარც მოგხვდებოდაო.

მიდის მუჭანახევარა და ღობეს მიადგა. დაიკუზა და ისე მიიპარება ღობის ძირზე. ოთხ კაცს ფულიანი ქისა დაუკარგავთ და ეძებენ. მუჭანახევარა რომ დაინახეს, როგორ მიიპარება, გამოუდგნენ, სტაცეს ხელი ჩოხის ბოლოში და დაიჭირეს.

— სად მიიპარები, შე ყაჩაღო და არამზადავ, შენა, იპოვე და მალავო?! — ურტყეს და ურტყეს.

იმდენი სცემეს საწყალ კაცს, რომ შინამდის ფეხები ძლივს მიათრია...

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

პური და ხვნა-თესვა

იყო ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი. მიდის გზაზე და ხედავს, რომ ერთი გლეხკაცი ხნავს. სალამი არ მისცა. ისევ გუთნისდედა მიესალმა.

— კაცო,— უთხრა სოვდაგარმა, — შე საცოდავო, რას ებრძვი მაგ მიწასა და წელს იწყვეტ. ხომ ხედავ, არცა ვხნავ, არც ვთესავ, მაგრამ არც პური მაკლია და სარჩოც უთვალავი მაქვსო!

გუთნისდედამ არაფერი უთხრა. გასცდა სოვდაგარი და წავიდა თავის გზაზე.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. დადგა საშინელი შიმშილობა მოუსავლიანობისაგან. აღარსად იყო პური საყიდელი. სოვდაგარსაც გაუთავდა პური. შია ცოლ-შვილსაც და თვითონაც. ადგა, წაიღო ბევრი ფული და წავიდა პურის საყიდლად. იარა სოვდაგარმა, იარა და აკი იმ გუთნისდედას მიადგა კარზე. სთხოვა:

— უნდა პური მომყიდოო!

— რამდენიც გნებავს, მიირთვითო, — უთხრა გლეხკაცმა.

— ერთი ოცი კოდი ამიწყე და, რასაც მთხოვ, მოგცემო, — შეაძლია ფული, მაგრამ გლეხმა არ მიიღო: მე ფული არ მინდაო.

— მაშ, რა მოგცეო? — ჰკითხა სოვდაგარმა.

— შენ ცოლს თუ მომცემ, — უთხრა გლეხკაცმა, — მოგცემ პერს, თუ არა და — არაო!

დაფიქრდა სოვდაგარი. იფიქრა, იფიქრა და მერმე უთხრა: ცოლი კი არა მყავს, მაგრამ მამიდა კი მყავს, თუ გინდა, იმას მოგცემო,— იცრუა სოვდაგარმა (ცოლი მამიდად გახადა).

— კარგი. — უთხრა გლეხმა. — ავიყვანო.

აუწყო, რამდენსაც წაიღებდა. სოვდაგარმაც გამოუყვანა ცოლი.

ეს გლეხკაცი ისე ინახავს სოვდაგრის ცოლს, როგორც თავის საკუთარ შვილსა და დას: კარგს აჭმევს, კარგს ასმევს, კარგს აცმევს, ჰყავს ცალკე მოსვენებით, სუფთად.

გავიდა რამდენიმე ხანი, ერთი თუ ორი წელი, არის სოვდაგარი სახლში და კედლებსღა შესცქერის. გრძნობს გულში, რომ ამ მდიდრულად მორთულ სახლში, ამ ოქროთი სავსე სკივრებთან ერთად ვიღაცა აკლია. შემოეყარა გულს, დაენანა თავისი ცოლი და შერცხვა: რა ოხრად მინდა ამდენი ფული, ან პური რად მინდა, ვის ვაჭამო, თუკი ჩემი ცოლი არ იქნებაო.

ადგა მაშინვე, ჩაიცვა, წაიღო უთვალავი ოქრო, ფული და გასწია ცოლის გამოსასყიდლად. მივიდა იმ გლეხთან. გამოეგებნენ, შეიპატიჟეს და გაუმასპინძლდნენ მშვენივრად. გაშლილ სუფრაზე აიღო სოვდაგარმა ფაფუკი პური და თქვა ლექსად:

ბუსელი და ხვნა-თესვა

პერო, ჩემო სულო და გულო,
ცოლი მამიდად გამიხდა,
ვამე, სულო დატანჯულო!

მისცა გლეხმა სოდაგარს ცოლი. როგორ გაეხარდა სოდაგარს, როცა თავისი ცოლი მშვენივრად შენახული და მოვლილი ნახა. გლეხს, გულითადი მადლობა შესწირა და ამის იქით ხვნა-თესვის პატივისმცემელი შეიქნა.

სამნი ძმანი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟი. ხელმწიფე რომ კვდებოდა, შვილებს ერთი ძვირფასი თვალი დაუტოვა. ერთხელაც დაეკარგათ ეს ძვირფასი თვალი: ერთმა იმათგანმა მოიპარა და დამალა. მაგრამ როგორ უნდა აღმოეჩინათ, არ იცოდნენ.

ბოლოს ძმებმა თქვეს: წავიდეთ ჩვენს მოსაზღვრე ხელმწიფესთან, ისიც ჩვენი ტოლი კაცია, და რასაც ის სამართალს დაგვდებს, ისე მოვიქცეთო.

ადგნენ ძმები და წავიდნენ იმ ხელმწიფესთან. გზაზე უფროსმა თქვა:

— ამ გზაზე აქლემს გაუვლია, ცალ გვერდზე თაფლი ჰკიდებია და ცალზე ძმარიო!

შუათანამ თქვა:

— იმ აქლემს ცალი თვალი ბრმა ჰქონიაო!

უმცროსმა თქვა:

— იმ აქლემზე ორსული დედაკაცი მჯდარაო!

კარგა გზა რომ გაიარეს, შემოხვდათ ერთი თათარი და იკითხა:

— აქლემი ხომ არ გინახავთო?

— ცალ გვერდზე თაფლი ხომ არ ეკიდა და ცალზე ძმარიო? — ჰკითხა უფროსმა.

— მართალია,ეკიდაო! — უპასუხა თათარმა.

— ცალი თვალით ბრმა ხომ არ იყო? — ჰკითხა შუათანამ.

— კიო! — უპასუხა პატრონმა.

— ზედ ორსული დედაკაცი ხომ არ იჯდაო? — ჰკითხა უმცროსმა.

— ფგეც მართალიაო! — უპასუხა თათარმა.

თათარმა გაიფიქრა: მეც არ ვიცი ისე ჩემი აქლემი, როგორც ამათ სცოდნიათ, და თუ არ მოიპარეს, საიდან იციანო.

წავიდა თათარი და უჩივლა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ უთხრა სამ ძმას:

— სირცხვილია, აიღეთ, ღირებული ფასი მიეცით და მოიშორეთ თავიდან, ნუ ალაპარაკებთო!

ძმებმა უთხრეს:

— მართალია, ჩვენ არ მოგვიპარავს, მაგრამ ფასს კი მიეცემთო.

ხელმწიფემ ჰკითხა:

— მაშ, საიდან იცით, როგორი იყო ის აქლემიო?

უფროსმა უპასუხა:

— გზის ერთ საკალზე თაფლი იყო ნაწვეთი და ზედ სულ ბუზები ეხვეოდა, მეორე ნაპირზე ძმარი ღვრილიყო, რომელ ბალახსაც დასხმოდა, გაეხმო; ამით გავიგე, რომ ერთ მხარეზე თაფლი ეკიდა და მეორეზე ძმარიო.

შუათანამ თქვა:

— აქლემს რომ გაუელია გზაზე, რომელი თვალიც ბრმა ჰქონია, იმ მხარეზე ბალახისათვის ხელი არ უხლია და რომელი თვალიც საღი ჰქონია, ზოგან ნარი ამოუგლეჯია და ზოგან ბალახიო!

უმცროსმა თქვა:

— ერთ წყაროზე გაჩერებულიყო აქლემი, ჩამომხტარიყო დედაკაცი და წყალი დაელია; იმ წყაროსთან ლამი ყოფილა, და როდესაც დედაკაცი დასწაფებია წყალს, მუცელი დაუნაბრებია იმ ლამისათვის და კვალი დარჩენილიყო.

გაუკვირდა ხელმწიფეს იმათი სიბრძნე და ჰკითხა:

— რად მოსულხართ ჩემთან, რამ შეგაწუხათო?

ძმებმა ყველაფერი უთხრეს:

— მამამ ერთი ძვირფასი თვალი დაგვიტოვა, როდესაც კვდებოდა, ის თვალი ერთმა ჩვენთაგანმა დამალა და ვერ აღმოგვიჩენიაო.

ხელმწიფემ უთხრა:

— მოიცადეთ, ამაღამ მოვიფიქრებ და ხვალ გეტყვითო!

იმ ღამეს ხელმწიფე კარგად გაუმასპინძლდა ძმებს. ერთი მოსამსახურე მიუჩინა: დაუგდე ყური, რას იტყვიან, მერმე მოდი და ყველაფერი მიამბეო!

ძმები ვახშამზე დასხდნენ. უფროსმა ძმამ აიღო დანა, მოთალა მოხრაკულს და თქვა:

— კარგი მოხრაკულია, რომ ეს ბატკანი ძაღლის რძით არ იყოს გაზრდილიო!

შუათანამ აიღო პური, გატეხა და თქვა:

— ეს პური რომ სისხლით არ იყოს მორწყული, კარგი იქნებოდაო!

უმცროსმა თქვა:

— მაგ ხელმწიფემ რა სამართალი უნდა მოგვცეს, როდესაც თვითონაც მეწისქვილის შვილიაო!

ძმებმა ამოიღეს ხურჯინიდან პური, ჭამეს და დალიეს ღვინო. ეს ყველაფერი მოახსენა მოსამსახურემ ხელმწიფეს, უმცროსის სიტყვის გარდა. ხელმწიფემ ჰკითხა:

— მითხარი, უმცროსმა რაღა თქვაო?

მოსამსახურე ჯერ არ ეუბნებოლა, ბოლოს კი უთხრა, რადგანაც ხელმწიფემ თქვა: თუ ყველაფერი არ გავიგე, არ იქნებაო!

დაიბარა ხელმწიფემ მეცსვარე და ჰკითხა:

— გუშინ რომ ბატკანი გამოგვიგზავნე, როგორ იყო გაზრდილიო?

— მაგ ბატკანს პატარას მოუკვდა დედა, — უთხრა მეცხვარემ, — და ძაღლს შევაჩვიე, არ მემეტებოდა სასიკვდილოდაო!

ხელმწიფემ ახლა პურის მომტანს გამოჰკითხა. იმან უთხრა:

— შემოდგომაზე სარწყავი წყალი ცოტა იყო, ჩვენა და გლეხებს ჩხუბი მოგვდიოდა, დავხოცეთ ისინი, სისხლი შეერია წყალში და იმით მოირწყო ყანებიო.

ამის შემდეგ ხელმწიფე წავიდა დედასთან:

— უნდა მითხრა, ვისი შვილი ვარო!

— შვილო, — უთხრა დედამ, — რაღა იქნება, გეტყვი ყველაფერს. მამაშენი კარგი ხელმწიფე იყო, დიდი სახელმწიფო ჰქონდა, მაგრამ მემკვიდრე არა ჰყავდა.არ მინდოდა უძეოდ დარჩენილიყო და მისი საბრძანებელი სხვას დარჩენოდა, ამიტომ... მეწისქვილისაგან მეყოლეო.

ხელმწიფემ იფიქრა: ეგენი შემარცხვენენ, თუ თავიდან არ მოვიშორეო, მაგრამ ვერ მოეგონა, თუ როგორი სამართალი მიეცა იმათთვის.

ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალმა უთხრა მამას:

— მამავ, ნება მომეცი, მე მივალ ამაღამ მაგათთან და გავიგებ, ვინ არის ქურდიო.

ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და გაგზავნა ქალი.

იმ ღამეს ქალმა ითამაშა იმ ვაჟებთან; ჭამეს ვახშამი და როდესაც დასაწოლად დაემზადნენ, ქალმა უთხრა:

— თუ გესიამოვნებათ, ერთ ზღაპარს გეტყვითო.

— დიდი სიამოვნებით, — უთხრეს ვაჟებმა.

ქალმა დაიწყო: იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი მზეთუნახავი ქალი. იმ ქალს და ერთ ვაჟს პირობა ჰქონდათ და ფიცი ნათქვამი, რომ ერთმანეთისათვის არ ეღალატნათ. მაგრამ მამამ ქალი ძალად გაათხოვა. ქალმა ჯვარი დაიწერა. როდესაც ერთად დატოვეს ცოლ-ქმარი, ცოლმა უთხრა ქმარს:

— ფიცი მაქვს სხვისათვის მიცემული, რომ არ ვუღალატო და ნუ გამატეხინებ ფიცს, ღმერთს ნუ შემაცოდებ. გამიშვი იმასთან ცოტა ხანს და მერმე სულ შენი ვიქნებიო!

ქმარი დათანხმდა და გაუშვა ცოლი.

ქალი მივიდა თავის მიჯნურის სახლში და ნახა, რომ მისი მიჯნური პირქვე გდია და ტირის, დაუძახა:

— განა ეგრე მაფასებ, რომ ფიცის გამტეხი გგონივარ? ადექ, შენი ვარო!

ვაჟი ადგა მაშინვე, გადაეხვია ქალს და უთხრა:

— რაკი შენი ქმარი ეგეთი სინდისიანია და შენ კიდევ მე არ მიღალატე, შენ — და, და მე — ძმაო!

ქალი დაბრუნდა ქმართან, მაგრამ გზაზე ყაჩაღები დახვდნენ და გაუბედეს ძალადატანება. ქალმა სთხოვა:

— ფიცს ნე გამატეხინებთ, გამიშვითო!

ავაზაკებმაც არაფერი დაუშავეს და გაუშვეს.

ახლა მე გკითხავთ:

— ვინ მოქცეულა კარგად და ვინ ავადო? — ჰკითხა ქალმა ვაჟებს.

უფროსმა თქვა:

— ქმარი ყველაზე კარგად მოქცეულაო.

შუათანამ თქვა:

— საყვარელი და ავაზაკები მოქცეულან კარგადო.

უმცროსმა თქვა:

— ქმარიც, საყვარელიცა და ყაჩაღებიც საძაგლად და უხეიროდ მოქცეულან. ქმარი იმიტომ, რომ თავისი ცოლი სხვას გაუგზავნა, საყვარელი იმიტომ, რომ საყვარელს დობა უთხრა, და ავაზაკები კიდევ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ქალი ხელიდან გაუშვეს და არც გაძარცვესო.

ქალმა მაშინვე უთხრა ვაჟებს:

— ნახეთ, უმცროს ძმას უძღვს თქვენი დაკარგული თვალიო.

ნახეს და მართლაც იმას ედო.

ობოლი და ქოსამატყუარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საბრალო ობოლი, უქონელი და უყოლელი.

ერთხელ ობოლმა ერთი გუდა საფქვავი იშოვა. წაიღო წისქვილში და დაფქვა. ამ დროს წისქვილში ქოსამატყუარამაც თავისი ერთი გუდა მარცვალი მოიტანა და დაფქვა. წასვლის დროს ობოლს უთხრა:

— ერთად ვიაროთო.

— ძალიან კარგიო, — დათანხმდა ობოლი.

წავიდნენ, მიდიან გზას, ქოსამ უთხრა:

— იცი, რა ვქნათო?

— რაო? — ჰკითხა ობოლმა.

— ისა ვქნათ, — უთხრა ქოსამატყუარამ, — რომ ჩემი ფქვილი მოვზილოთ, შენი მოვუყაროთ საფანლად და შენით მოვზილოთ ჩემიო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხა ობოლმა.

მოზილეს, ჩააკრეს და წითელ-წითელი შოთები ამოალაგეს.

ეს შოთები რომ ნახა ქოსამატყუარამ, უთხრა: მოდი, ვინც უკეთესი ტყუილი თქვას, შოთები იმას დარჩესო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხა ობოლმა.

ქოსამატყუარამ დაიწყო: ერთი ბატი მყავდა, პაპაჩემის გაზრდილი. ის ოხერი და ტიალი ისეთი კარგი რამ იყო, რომ მთლად ჯალაბობას გვინახავდა: სახნავი იყო, სათიბი იყო, თუ მგზავრობა, სულ ის დაგვყავდა; მე ვჯდებოდი ზედ და ხან მინდვრებზე დავაჭენებდი და ხან მთებზე. ერთხელ, საუბედუროდ, ტყეზე მოვაჭენებდი, უცებ ვნახოთ, ერთი მშიერი ტურა გადმოხტა, ეცა ჩემს ბატს და გამოაგლიჯა გვერდი. წაიქცა ბატი და სულსა ღაფავს. მაშინვე აზრზე მოვედი. მოვგრიხე წნელი, გამოვუწან იმით გვერდი, წამოვახტუნე და გავაჭენე შინ... ახლა შენი ჯერია, ობოლო!

ობოლმა დაიწყო:

— მამაჩემს ასი თვალი ფუტკარი ედგა. შუადღემდე ჩამოუვლიდა და თვლიდა. ერთხელ, ერთიც ვნახოთ, დათვალა ფუტკრები, ჩამოიკითხა და ერთი არ დააკლდა სათვალავში?! მაშინვე აი იქით, აი აქეთ ვეძებეთ... თურმე ფეხი მოსტეხია და დარჩენილა ზღვის გაღმა; მოუსწრია ვიღაც ავაზაკ ხალხს, დაუჭერია, წაუყვანია, შეუბამს გუთანში და ახვნევინებენ.

ნახა მამაჩემმა, ძალიან გაჯავრდა:

— ვინ მოგცათო? — ჰკითხა:

უარზე შედგნენ. აი იქით, აი აქეთ, გახდა ერთი ხათაბალა. ბოლოს, მოაკლო მამაჩემმა ყურზე ხელი და დაეზიდა წასაყვანად. ამ დროს მოსწყდა კისერი ფუტკარს და თავი სელში კი შერჩა! მაშინვე ამოიღო მამაჩემმა ჯიბიდან ნიგოზი, მოუსვა კისერზე ფუტკარს და მოება თავი. ნანიგვზარზე, აკი სე ამოვიდა! გაიზარდა ერთი უშველებელი, დაისხა კაკალი; მუდან ვბერტყავთ და ვყიდით კაკალს.

ერთხელ, კაკალს ყვავი შემოეჩვია და სულ გააჩანაგა. ესროლა მამაჩემმა ბელტი და ზედ არ დარჩა! გაიზარდა ის ბელტი, გადიდდა, გაკეთდა სახნავ-სათიბი მიწები, გავაშენეთ ზედ ვენახი, დავრგეთ ვაზი. ისე გაჩიხრიხეთ, რომ, ერთი სიტყვით, მტერსაც კი ეამებოდა. დაისხა ყურძენს დამწიფდა მშვენივრად; გზაზე მტევნები სულ წითლად ღვიოდა. ჩვენ ველით, რომ ან ახლა მოვკრეფთ, ან ახლა.

უცებ ერთი მელა-ტურა არ შემოგვეჩვია? გაგვიოხრა, გაგვიტიალა ერთიან, სულ ხელი აგვაღებინა, ერთი სიტყვით, წყალი გადაგვიწურა. გამოჭამა ვენახი. ვთქვი: მოდი, ერთი წავალ, დავუჯდები და ღმერთს გავუნაწყრომებ, დავიჭერ და სულ კუდით ქვას ვასროლინებ-მეთქი. თქვა და ქნა ერთი იყო; ვიპოვე, საიდანაც მელა-ტურა შემოძერებოდა ხოლმე, დავუჯექ და დავუწყე ლოდინი. ერთიც ვნახოთ, მოდის რაღაც და მოაფაჩუნებს. მე თან გული მისკდება შიშით, თან ჯავრით ესკდები და თან სიხარულით მაკანკალებს: ერთი მელა-ტურა დავიჭირო-მეთქი. მართლაც, მელა-ტურა არ იყო! ვტაცე კუდში ხელი და დავიჭირე, გავუსვი და გამოვუსვი სახრე, გავუსვი და გამოვუსვი; სიკეთე მოგეცეს, მე ის დავზილე დაქარიანებულ კაცივითა! ვცემე და ის კიდევ სულ ბარათებსა ჰყრის...

— რა ეწერა, მართლა, იმ ბარათებში? — გადაუჭრა სიტყვა ქოსამატყუარამ.

— ობოლს კვერი და ქოსამატყუარას მტვერიო!

დარჩა შოთები ობოლს.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

სამი ძმა და ქოსამატყუარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა. ის ძმები კარგა მდიდრები იყვნენ. ბლომად ჰქონდათ თვალ-მარგალიტი. იმათი მამა რომ კვდებოდა, შვილებს თურმე დაუგდო ანდერძად: შვილებო, ყველგან ივაჭრეთ, ყველას ენდეთ და ქოსას კი ნუ ენდობითო.

გავიდა ხანი. ძმებს არაფრისათვის არ დასჭირებიათ ქალაქს წასვლა. გაუთავდათ მარილი; ადგა უფროსი ძმა, შეკაზმა ჯორი, აჰკიდა თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქს, უნდა მარილი მოიტანოს.

უცებ წინ ერთი ქოსამატყუარა შეხვდა:

— გამარჯვება!

— გაგიმარჯოს!

— სად მიდიხარ?

— ქალაქს, თვალ-მარგალიტი მიმაქვს, უნდა გავყიდო, მარილი ვიყიდო და წავიღო შინაო.

— მე მომყიდე, — უთხრა ქოსამ, — მარილსაც მე მოგცემ და ყველაფერსაცო.

— არა, — უთხრა უფროსმა ძმამ, — მამაჩემმა ის დაგვიბარა ანდერძად, რომ ქოსებს ავადაც მოერიდენით და კარგადაცა; ნურც არას იყიდით იმათგან და ნურც არას მიჰყიდითო.

— კარგი, — უთხრა ქოსამ, — ძალით რა იქნებაო?

გაიქცა მაშინვე, აირბინა სხვა გზაზე, გადაუარა წინ და უთხრა ისევ გამარჯვება.

— სად მიდიხარო?

— მიმაქვს თვალ-მარგალიტი, უნდა გავყიდო, მარილი ვიყიდოო.

— მე მომყიდეო, — უთხრა ქოსამ.

— ვერა, — იუარა კაცმა, — მე მამის ანდერძს ვერ გავტეხო.

— მაშ, სადღა უნდა გაყიდო, — უთხა ქოსამ, — მთელი ქვეყანა სულ ქოსამატყუარებისაგან არის შემდგარიო!

დაიჯერა კაცმა:

— კარგი, მოგყიდი, რაღა იქნებაო!

ქოსამ უთხრა:

— ერთს გამოცანას გეტყვი, თუ ის გამოიცანი, ერთი აქლემი მყავს, იმას დაგიტვირთავ თვალ-მარგალიტით, ეგ შენი ჯორიც წაიყვანე, მარილსაც მოგცემ და წადი, თუ ვერა და, შენი ჯორი თავისი თვალ-მარგალიტით მე დამრჩებაო.

— ძალიან კარგიო, — გაუხარდა ამ ჯორის პატრონს.

ქოსამ უთხრა:

— ერთ კაცს ერთი ციცირი ჰყავდა, ის ციცირი დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დადებდა და საღამოზე ციცირიცა და კვერცხებიც კაკანით მოვიდოდნენ შინ!

„რა უნდა იყოსო , “ იფიქრა კაცმა, მაგრამ რას მოიფიქრებდა? წააგო ჯორიცა და თვალ-მარგალიტიც.

წავიდა შინ დაღონებული. ქოსამ მარტო ერთ გირვანქამდე მარილი მოუტეხა და მისცა. მოვიდა შინ უფროსი ძმა და მოიტანა ერთი გირვანქა მარილი.

ადგა ახლა შუათანა ძმა. აჰკიდა ჯორს თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქს მარილის მოსატანად. გზაზე იმასაც ისევ ის ქოსა შეხვდა.

— გამარჯვება შენიო! — უთხრა შუათანა ძმას. — სად მიხვალო?

— ქალაქს, მარილი უნდა მოვიტანოო.

— მომეც, მე მომყიდე, — უთხრა ქოსამ, — მარილსაც მე მოგცემ და ყველაფერსაო.

— არა, — უთხრა შუათანა ძმამ, — მამის ანდერძს ვერ გავტეხ: ქოსას არც არაფერს მივყიდი და მისგან არც არაფერს ვიყიდიო.

ქოსა გასცდება, აირბენს სოფელზე, გადაუვლის წინ და ეტყვის:

— მომყიდე მე, სად მიგაქვსო.

ჯორის პატრონმა დაიშორა:

— მე ქოსებს არაფერს არ მივყიდიო.

მაგრამ ქოსამ უთხრა:

— მაშ, ვილას უნდა მიჰყიდო, როდესაც ქვეყანაზე ქოსამატყუარების მეტი არავინ არისო!

დაუჯერა ჯორის პატრონმა და გაურიგდა.

ქოსამ უთხრა:

— ერთ რამეს გეტყვი, თუ გამოიცან, ეგ ჯორიც შენი იყოს, კიდევ ერთ აქლემსაც აგიკიდებ და მარილს მოგცემ, თუ ვერ გამოიცან, შენი ჯორი თავისი ბარგით მე დამრჩებაო.

— ძალიან კარგიო, — დაეთანხმა ჯორის პატრონი.

ქოსამ უთხრა:

— მე ერთი ციცირი მყავდა, დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დადებდა, საღამოზე კვერცხი და ციცირი დაბრუნდებოდნენ შინ კაკანითო.

ვერ გამოიცნო შუათანა ძმამ. დარჩა ქოსას დატვირთული ჯორი. მოუტეხა ერთი გირვანქა მარილი და გაისტუმრა. შუათანა ძმა მივიდა შინ და მიიტანა ერთი ბეწო მარილი.

ადგა ახლა უმცროსი ძმა. აჰკიდა ჯორს თვალ-მარგალიტი, წაიყვანა და წავიდა ქალაქს. იმ ადგილას რომ ჩაიარა, სადაც იმისი ძმები ქოსამ გაძარცვა, ქოსა გადაუდგა წინ და მიესალმა. ვაუმაც რასაკვირველია, უპასუხა. მერმე ჰკითხა ქოსამ:

— სად მიხვალ, სად მიგაქვს ეგ თვალ-მარგალიტიო?

უმცროსმა ძმამ ისე უპასუხა, როგორც სხვა ძმებმა, თან დიდი უარი დაატანა, რომ მე ქოსას არ მივყიდი და არ მივყიდიო.

დაანება თავი ქოსამ, გაიქცა სოფელ-სოფელ, გადაუარა წინ და დაუხვდა გზაში:

— მე მომყიდე ეგ შენი თვალ-მარგალიტიო.

— არ მოგყიდი, ქოსა ხარო, — უპასუხა ვაჟმა.
— მაშ, ვისლა მიჰყიდი, აქ სულ ქოსებიაო! — უთხრა ქოსამ.
— მაშ, კარგი მოგყიდიო, — უთხრა ვაჟმა.
ქოსამ უთხრა:
— ერთ რამეს გეტყვი, თუ გამოიცნობ, შენი ჯორიც შენ დაგრჩება, შენი თვალ-მარგალიტიც, მარილსაც მოგცემ და ერთ აქლემსაც აგიკიდებო.
— კარგიო, — დათანხმდა ვაჟი.
ქოსამ უთხრა:
— ერთი ციცირი მყავდა, დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დადებდა, საღამოზე კუერცხიცა და ციცირიც კაკანით დაბრუნდებოდნენო.
ვაჟმა უპასუხა:
— ეგ იმას ჰგავს, ჩვენ რომ ერთი თვალი ფუტკარი გვედგა. ყოველდღე ჩამოვუვლიდი და ჩამოვთვლიდი. ერთიც ვნახოთ, ერთხელ დავთვალე, ერთი ფუტკარი აკლდა, მაშინვე წაველ საძებნელად. ვიარე, ვიარე და ზღვის გადაღმა ვიპოვე, ფეხი მოსტეხოდა, დარჩერილიყო, მომკედარიყო და ყვავ-ყორნები წიწკნიდნენო.
მეტი ღონე აღარ ჰქონდა, უნდა აქლემისათვის თვალ-მარგალიტი აეკიდა და მიეცა. ქოსამ უთხრა აქლემს: შენ რომ წაგიყვანს, ამა და ამ ადგილას რომ ჭაობებია და ლაფები, იქ ჩაუწექი; რაც უნდა გცემოს, არ ადგე; თუ ღმერთი გაგიწყრეს და ადგე, შინ რომ მიგიყვანს, ბოსელში შეგიყვანს, შენ გაიბერე, კარებში ვერ შეეტევი, თავს დაგანებებს და გამოიქეცი ჩემთანო.
წაიყვანა უმცროსმა ძმამ აქლემი, წაიყვანა თავისი ჯორიც, წაიღო თვალ-მარგალიტიცა და მარილიც. შუა გზაზე ერთი დიდი ტალახი ნახეს, მივიდა აქლემი და ჩაეგდო შიგ. უმცროსმა ძმამ ხმაც არ გასცა; დაჯდა ღობეზე, ამოიღო ჩიბუხი და დაუწყო წევა. ერთმა კაცმა გამოიარა.
— გამარჯვება! — უთხრა უმცროსმა ძმამ.
— გაგიმარჯოს! — სადაური ხარ, სად მიხვალო? — ჰკითხა მგზავრმა.
— ოსოქოლელი ვარ, ჯანაბას მივალო, — უთხრა ვაჟმა და თანაც დაუმატა: — ჩვენს სოფელზე ჩაივლი, ჩემს ცოლს ნახავ, ან ორსული იქნება, ან არა, ეტყვი: ან გაგიჩნდება შვილი, ან არა, ან გაგიჩნდება ვაჟი, ან არა, ან გაიზრდება, ან არა-თქო. თუ გაიზარდოს, უთხარ, შეაბას ურემი და წამოიღოს: ტალახში აქლემი დამრჩა და წავიღოთ-თქო.
აქლემმა იფიქრა: სანამ ამის ცოლს ვაჟი გაუჩნდება და გაიზრდება, ან ჯანაბით აქ მოვა, მე ხომ დავლბი ამ ტალახში და შიმშილით მოვკვდიო. წამოსტა და გაუდგა გზას.
გაჰყვა თან უმცროსი ძმაც. ბოლოს, შინ მოვიდნენ და მოიტანეს თვალ-მარგალიტი. გზაზე აქლემი აღარსად დასწოლია. ბოსელში რომ უნდა შეეყვანათ, უცებ აქლემი გაიბერა და არ შეეტია კარებში. ახედ-დახედა ვაჟმა აქლემს და დაუძახა ძმებს:
—ბიჭებო, ერთი ცული გამომიტანეთ, აქლემი განიერი მოვიდა, გვერდები უნდა ჩავათალოო!
აქლემმა იფიქრა: ეგ ისეთი გიჟი რამ ყოფილა, რომ არც კი გაუკვირდება, მართლა გვერდებს ჩამათლისო. დაიფუკა და შეეიდა ბოსელში.
მოხადეს აქლემს თვალ-მარგალიტი, თუნდა ათი ჯორის საპალნე მოვიდოდა, თავისი ჯორიც თვითონ დარჩა და მარილიც მოიტანა.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.
ელასა-მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გვაამოს ყველასა!

სოვდაგრის შვილი

იყო ერთი სოვდაგარი. ჰყავდა ცოლი და ერთი ვაჟი. ეს სოვდაგარი წინათ მდიდარი ყოფილა და შემდეგ გაღარიბებულა.

ერთხელ ვაჟმა უთხრა დედას:

— დედი, იქნებ მამაჩემის სიმდიდრიდან ცოტა ფული გადაგირჩა, მომეცი, ქარავანი მიდის საავჭროდ და მეც გავყვებიო.

— ოცი თუმანი გვაქვს შვილო, სამკვდროდ შენახული, სხვა არაფერი გაგვაჩნიაო, — უპასუხა დედამ.

— მომეცი ის ოცი თუმანი, ვასარგებლებ, იმედია, მოგებით მოვიტანო! — უთხრა ვაჟმა.

დედამაც აიღო ოცი თუმანი და მისცა შვილს, ქმარს კი არაფერი უთხრა.

წაიღო ფული ვაჟმა და დაფიქრებული მიდის ქუჩებში. ერთი სახლიდან წიგნის კითხვის ხმა მოესმა. ავიდა, ნახა, რომ სასწავლებელია.

— თქვენსაკით წიგნის კითხვა და წერა მასწავლეთ და, რასაც მთხოვთ, მოგცემთო, — უთხრა ვაჟმა მასწავლებელს.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო, — მიუგო მასწავლებელმა.

— ოც თუმანს მოგცემ, ოღონდ ჩქარა მასწავლეო.

— კარგიო.

მალე ისე კარგად შეისწავლა ვაჟმა წერა-კითხვა, რომ მასწავლებელს სჯობნიდა. მისცა მასწავლებელს ოცი თუმანი, გამოართვა წიგნები, ქაღალდი, საწერ-კალამი და წამოვიდა შინ. მივიდა დედასთან და უთხრა:

— კარგი საქონელი ვიყიდეთ და მოგვქონდა, გზაზე მეკობრეები დაგვესხნენ თავს და სულ წაგვართვეს, მე გავექეცი და ამხანაგები იქვე დახოცესო.

— ნუღარ იდარდებ, შვილო, რადგან შენ ცოცხალი გადარჩიო, — უთხრა დედამ. გავიდა რამდენიმე დღე და კიდევ უთხრა შვილმა დედას:

— დედი, ფული აღარა გაქვს? მომეცი, ახლა სხვა ქარავანი მიდის, გავყვები, ვაჭრობაში გამოცდილი ვარო.

— ოცი თუმანიღა მაქვს, შვილო, რომ მოგცე, ვაი თუ მამაშენმა მოიკითხოს და რა ვუთხრაო? — უპასუხა დედამ.

— არა, დედი, ჯერ არ მოიკითხავს, მომეცი, მოგებას მოვიტანო, — შეეხვეწა შვილი.

მისცა დედამ ის ოცი თუმანიც. წაიღო ვაჟმა ფული და წავიდა. გზაზე ნახა, კოჭებს თამაშობდნენ. ყველას ერთი ბიჭი უგებდა. მივიდა ვაჟი მასთან და უთხრა:

— მასწავლე კოჭის თამაში ისე, რომ ვერავინ მაჯობოს და, რასაც მთხოვ, მოგცემო.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო, — მიუგო მოთამაშემ.

— ოცი თუმანი წაიღე, მხოლოდ კარგად და ჩქარა მასწავლეო.

ასწავლა მოთამაშემ ვაჟს კოჭის თამაში. ორ დღეში ისეთი მოთამაშე შეიქნა ვაჟი, რომ მასწავლებელს უგებდა. წამოიღო ორი კოჭი და წამოვიდა. მოვიდა შინ და დედას უთხრა:

— კაცი რომ უბედურ დღეს დაიბადება, ის არის; ვივაჭრეთ, გავემგზავრეთ და ღამით კლდის ძირას დავდექით; მოზვავდა კლდე, ჩემი ამხანაგები და ნავაჭრი საქონელი ქვეშ მოიტანა; მე განზე ვიდექი და გადავრჩიო.

— რადგანაც შენ გადარჩი, შვილო, საქონელს აღარ დავეძებო, — უთხრა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟმა ისევ უთხრა დედას:

— დედი, იქნება კიდევ გქონდეს ფული, ყოველთვის ხომ არ ვიზარალებ, ახლა მოგებას ვნახავო!

— რა ვქნა, შვილო, მამაშენმა სულ სამოცი თუმანი მომბარა, ოცი თუმანიღა დამრჩა, ისიც რომ მოგცე, მამაშენს რაღა ვუთხრაო?

— დედი, განა კიდევ ვიზარალებ? ეგეცა ვცადოთო.

მისცა დედამ ის ოცი თუმანიც და გაისტუმრა. წავიდა ვაჟი. ბევრი იარა, თუ ცოტა, მივიდა ერთ ბაღთან. იქ ხალხი შეკრებილიყო. ზოგი დაფა-ზურნას უკრავდა, ზოგიც თამაშობდა. თამაშობდა ხე, ქვა, ფოთოლი, ბალახი, სულიერი და უსულო. ყველაფერი მხიარულობდა.

— რა მოგცე დაფა-ზურნის დაკვრის ასე კარგად შესწავლაში? — ჰკითხა ვაჟმა მედაფაზურნეს.

— ათი თუმანი მომეცი და ძალიან კარგად გასწავლიო.

— ოცი თუმანი იყოსო.

სამ დღეში ისე შეისწავლა დაკვრა, რომ მედაფაზურნეს სჯობნიდა. წამოიღო დაფა-ზურნა და წამოვიდა შინ. მივიდა დედასთან და უთხრა:

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო რომ იტყვიან, ისეა ჩემი საქმეო. ძალიან კარგად ვივაჭრეთ, დიდი მოგება ვნახეთ და ზღვით ებრუნდებოდით. ერთ დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა, ხომალდი დაიმსხვრა, ჩემი ამხანაგები ზღვაში დაიღუპნენ, მე ერთ ფიცარზე შევრჩი, ზღვამ ნაპირზე გამომრიყა და გადავრჩიო.

— რადგან შენ გადამირჩი, შვილო, ფულს ვინა ჩივისო, — უთხრა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟმა მამას უთხრა:

— ჩვენს ქალაქში ერთი მდიდარი სოვდაგარი მოვიდა. ჩამატარე იმის კარზე და დაიძახე: ბიჭი ვის უნდა ერთ ტომარა ოქროზე გასაყიდად-თქო. ის უარის თქმას არ იკადრებს და მიყიდისო.

მამამ აიღო ტომარა, მოჰკიდა ხელი შვილს, წაიყვანა, მდიდარი სოვდაგრის კარზე ჩაატარა და დაიძახა:

— ვის უნდა ბიჭი, ერთ ტომარა ოქროზე ვყიდიო!

მდიდარ სოვდაგარს გაეცინა და ჩაილაპარაკა: ვინ მისცემს ბიჭში ერთ ტომარა ოქროსო?

შვილმა მამას ხმამაღლა უთხრა:

— აბა, აქ რისთვის მომიყვანე, სადა აქვს მაგას ამდენი ოქრო, რომ გაიმეტოსო?

ითაკილა მდიდარმა ეს, მაშინვე აავსო ტომარა ოქროთი, მისცა მამას და ბიჭი დაიტოვა.

ბიჭმა ჩუმად უთხრა მამას:

— ეგ ფული დიდხანს გეყოფათ, შემდეგ მე მოგეშველებითო.

წამოიღო კაცმა ფული, მოუტანა ცოლს და იწყეს ცოტ-ცოტა ხარჯვა.

სოვდაგარი ნანობდა, ასე ძვირად ვიყიდე ბიჭი და რა უნდა გავაკეთებინო ისეთი, რომ ღირდესო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, შინ გაეგზავნა და იქ ემუშავებინა. დაწერა წერილი: ეს ბიჭი ძვირად ვიყიდე, ამუშავეთ, სულ ქვა და ქვიშა აზიდვინეთო. წერილი მასვე გაატანა ცოლისათვის გადასაცემად. აჰკიდა ჯორ-აქლემს საქონელი, ერთ კაცს გაატანა და ბიჭიც გააყოლა. ზღვა უნდა გაეელოთ. ჩასხდნენ გემში და წავიდნენ. გზაში იმ კაცმა და გემის პატრონმა კოჭი ითამაშეს. ყველაფერი წააგო: თავისიც, სოვდაგრის მიერ გატანებულიც, ბიჭიც და თავისი თავიც.

— რაც მე მაქვს ჯიბეში, ის ჩემია თუ მოგებულიაო? — იკითხა ბიჭმა.

— მე შენი თავი მოვიგე, რაც ჯიბეში გაქვს, შენიაო,— უპასუხა გემის პატრონმა.

ბიჭმა ამოიღო ჯიბიდან ორი კოჭი და ორი შაური ფული. ეთამაშა გემის პატრონს და მოუგო. დაიხსნა თავისი თავი, კიდევ ეთამაშა და გამყოლი დაიხსნა, ეთამაშა და დაიხსნა სოვდაგრის მიერ გამოტანებული საქონელი და, ბოლოს, გემის პატრონს მოუგო ყველაფერი, გემიცა და თვითონ გემის პატრონიც მოიგო.

როცა ნაპირზე მოვიდნენ, ბიჭმა უთხრა გემის პატრონს:

— გამითავისუფლებიხარ, გემიც შენი იყოს, მხოლოდ თუ ჩემი გვარის კაცმა გამოიაროს, უფასოდ გამოიყვანეო!

— კარგიო, — მიუგო გემის პატრონმა.

ბიჭი და გამყოლი გაუდგნენ გზას. გზაზე ბიჭმა ჰკითხა:

— ვისთან მივდივართ, შინ ვინა ჰყავს ჩვენს ბატონსაო?

— ცოლი და სამი ქალიშვილი, ერთი გასათხოვარი და ორი პატარაო, — უთხრა სოვდაგრის კაცმა.

ბიჭმა ჩუმად გახსნა სოვდაგრის გამოტანებული წერილი და წაიკითხა, რაც შიგ ეწერა. დახია და ისეთივე ხელით სხვა ქაღალდზე დაწერა: ეს ბიჭი რომ მოვიდეს, ჩვენს უფროს ქალზე ჯვარი დასწერეო.

მივიდნენ სოვდაგრის სახლში. ბიჭმა გადასცა წერილი სოვდაგრის ცოლს. დასწერეს ჯვარი ბიჭს სოვდაგრის ქალიშვილზე.

მოახლოვდა სოვდაგრის მოსვლის დრო. ბიჭი დაფიქრდა: რა უნდა ეუთხრაო? მთელი დღეები დაღონებული დადიოდა. ერთ დღეს ქალაქგარეთ გაიარა. ნახა, ერთი ყმაწვილი დგას და ერთ შენობას შეჰყურებს.

ბიჭი მიესალმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ყმაწვილმა არ მოიხედა. ვაჟი მივიდა ახლოს, მოჰკიდა ხელი და ჰკითხა: რას შეჰყურებ ასე, როტომ არ მოიხედავო?

— იმ შენობაში ერთი ქალი დავინახე, მინდა, ერთხელ კიდევ დავინახო, მაგრამ აღარ გამოდის, მამაჩემი ამ ქვეყნის ხელმწიფეა, ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს, ვინც ამ ქალს დამანახვებს, თავის ქონებას გაუყოფსო! — მიუგო ყმაწვილმა.

— იმისი ქონება არ მინდა, ერთი თხოვნა ამისრულოს და მე გაჩვენებ იმ ქალსაო, — მიუგო სოვდაგრის შვილმა.

— ისეთი რა უნდა მოსთხოვო, რომ მამაჩემმა ვერ შეგისრულოსო? — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

სოვდაგრის შვილმა ამოიღო თავისი დაფა-ზურნა, დაუკრა და დაუკრა, ყველამ და ყველაფერმა ცეკვა დაიწყო. თვითონ ხელმწიფის შვილიც ცეკვავდა. ქალი შენობიდან ცეკვით გამოვიდა და მოაჯირზე გადმოდგა. ბიჭმა შეწყვიტა დაკვრა.

ქალმა დაუძახა:

— კიდევ დაუკარიო!

— რა საკადრისია, ჩვენ აქ დაგუკრათ და თქვენ მანდ იცეკვოთო!

ქალმა ყმაწვილები შინ მიიწვია და სოვდაგრის შვილს უთხრა: შენ უნდა იყო ჩემი ქმარიო!

— მე ცოლი მყავს, აი, ეს ჩემი ძმა არის და მას უნდა მისთხოვდეო, — უთხრა ხელმწიფის შვილს სოვდაგრის შვილმა.

ქალი დაეთანხმა. ხელმწიფის შვილმა მამასთან მახარობელი გაგზავნა და დააბარა:

— ცოლი შევირთე, ის ქალი, ვისი ნახვაც მენატრებოდაო.

ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და ბრძანება გასცა:

— ჩემი შვილის გამბედნიერებელი აქ მომიყვანეთო!

წაიყვანეს სოვდაგრის შვილი ხელმწიფესთან.

ხელმწიფემ უთხრა:

— სამი წელია ჩემი შვილი იქ იდგა და იმ სახლს შეჰყურებდა, დღეს შენ გამიბედნიერე და რასა მთხოვ, რომ შეგისრულოო?

— სხვა არაფერი მინდა, ესა და ეს სოვდაგარი რომ მოვიდეს ამ ქვეყანაში, თავის სახლში მისვლამდის დააჭერინე და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტე. ბევრი მოვა და გთხოვს მის განთავისუფლებას; ნურვის თხოვნას შეიწყნარებ, მხოლოდ ჩემი თხოვნა შეიწყნარეო! — მიუგო სოვდაგრის შვილმა.

ხელმწიფე შეჰპირდა:

— ეგ ადვილი საქმეა და აგისრულებო!

ხელმწიფემ დასწერა ჯვარი შვილსა და რძალს, მოიწვია მრავალი სტუმარი და დიდი ლხინი გადაიხადა.

მოვიდა სოვდაგრის მოსვლის დრო. ყველა გზაზე დარაჯები დააყენეს. შემოვიდა ქალაქში სოვდაგარი თუ არა, დაიჭირეს და ხელმწიფეს წარუდგინეს. ხელმწიფემ ბრძანა:

— განუკითხავად ჩამოახრჩვეთო!

უკვირს სოვდაგარს; არაფერი დამიშავებია, რას მემართლებითო?

— განუკითხავად ჩამოახრჩვეთ, დიდი დანაშაული აქვსო! — გაიძახის ხელმწიფე.

აღმართეს სახრჩობელა, აიყვანეს ზედ სოვდაგარი, უნდა ჩამოახრჩონ. მიდიან ხელმწიფესთან ვეზირები და სთხოვენ, აპატიეთო.

— არ შეიძლება, ჩამოახრჩვეთო! — ამბობს ხელმწიფე.

ბოლოს, მივიდა ხელმწიფესთან სოვდაგრის შვილი და სთხოვა:

— ჩემი ხათრისათვის აპატიეთო!

ხელმწიფემ ბრძანა:

— ჩამოხსენით ამ ვაჟის ხათრისთვისაო!

გაათავისუფლეს სოვდაგარი. გადახედა თავის მხსნელს და შინისაკენ წავიდა. შიშისაგან ავად გახდა და ლოგინში ჩაწვა. ამ დროს ფანჯარასთან გაიარა სოვდაგრის შვილმა. დაინახა სოვდაგარმა და თქვა:

— აი, ის არის ჩემი მხსნელი, მაგან გამათავისუფლაო!

— ეგ ხომ ჩვენი სიძეაო! — მიუგო ცოლმა.

— რა სიძე, რას ამბობო! — გაუკვირდა სოვდაგარს.

— ჩვენი ქალიშვილის ქმარია, შენ ხომ მოიწერე, უფროს ქალზე დასწერე ჯვარიო, და მეც დავწერეო, — უთხრა ცოლმა.

— მე ეგ არ მომიწერია, მე მოგწერე — ძვირად ვიყიდე და ქვა და ქვიშა აზიდინე-მეთქი, მაგრამ ჩემი მხსნელია და ასე იყოსო.

დაუძახეს ვაჟს. სოვდაგარმა დალოცა სიძე-ქალიშვილი და უთხრა:

— გინდ აქ იცხოვრეთ, გინდ წაიღეთ, რაც გინდოდეთ, და წადითო!

ვაჟმა თავის დედ-მამასთან წასვლა ირჩია. სოვდაგარმაც აუკიდა ჯორ-აქლემებს უამრავი სიმდიდრე და გაისტუმრა.

ვაჟი მივიდა მშობლებთან. იმათ ძალიან გაიხარეს შვილის დაბრუნებით და მშვიდობით ცხოვრობდნენ.

ალალი ორი შაური

იყო და არა იყო რა, იყო ღარიბი ცოლ-ქმარი. უჭირდათ ცხოვრება: ექვსი შვილი ჰყავდათ შესანახი. ერთ დღეს მოიფიქრა მამამ: წავალ, მოსამსახურედ დაეუდგები ვინმესო.

მართლაც, ადგა და წავიდა სხვა სახელმწიფოში. იარა, იარა და მიადგა ერთ დიდ სასახლეს. სასახლიდან გამოვიდა ერთი კარგად ჩასუქებული კაცი. გლეხმა უთხრა:

— მოსამსახურე არ გინდაო?

— მინდაო, — უთხრა ამ კაცმა.

ახლა უნდა მორიგებულიყვნენ, თუ წელიწადში რამდენად იმსახურებდა. ჩასუქებულმა კაცმა ჰკითხა გლეხს:

— ალალი ორი შაური გინდა, თუ არამი თუმანიო?

გლეხი დაფიქრდა და უთხრა:

— ალალი ორ შაური მირჩევნიაო.

ასეც მორიგდნენ. გლეხმა სამი წელიწადი იმსახურა იმ კაცთან.

სამი წელი რომ გავიდა, გლეხს მოუნდა ცოლ-შვილის ნახვა. შეეხვეწა ბატონს:

— სახლში დამითხოვეო.

ბატონმა გამოუტანა სამი წლის ჯამაგირი ექვსი შაური, მისცა და უთხრა:

— წადი, ხეირი ნახეო!

გლეხი წამოვიდა ტირილით. ფიქრობს გუნებაში: სამი წელიწადი ვემსახურე და ავიღე ექვსი შაური, აბა, რა მივუტანო ცოლ-შვილს, ან რა ვუთხრაო?

ამ წუხილში გადავიდა სხვა სახელმწიფოში. დაინახა, ერთ ადგილას დიდი რიგი დგას. მივიდა გლეხი და დაინახა, არავის არაფერს არ აძლევენ დუქანში. გლეხმა იკითხა:

— რა იყო დუქანში გასაყიდიო?

ხალხმა მიუგო:

— აქ არის სარკე გასაყიდი, მხოლოდ ალალ ორ შაურზე ყიდიანო.

გლეხმა დაიძახა:

— მე მაქვს ალალი ორი შაურიო!

შევიდა დუქანში და იყიდა სარკე. ჩააგდო ტომარაში და ისევ წავიდა ტირილით.

იარა, იარა და გადავიდა სხვა სახელმწიფოში. იქაც დიდი რიგი იდგა. მივიდა, იკითხა, რა იყო გასაყიდი. ხალხმა მიუგო, კატა არის გასაყიდი, მხოლოდ ალალ ორ შაურად ყიდიანო. შევიდა გლეხი დუქანში, იყიდა კატაც, ჩასვა ტომარაში და ისევ გაუდგა გზას.

ახლა ფიქრობს: ეს სარკე ვიყიდე, ეს კატაც ვიყიდე, დამრჩა ორი შაური. ეს ორი შაური კი ჩემს ცოლ-შვილს რას არგებსო და ისევ ტირილი დაიწყო. ამ ტირილში გადავიდა კიდევ სხვა სახელმწიფოში. აქაც დაინახა დიდი რიგი. გლეხი მივიდა და იკითხა, რა იყო გასაყიდი. ხალხმა მიუგო:

— აქ ჭკუასა ჰყიდიან ალალ ორ შაურადაო.

გლეხმა იფიქრა, ბარემ ამასაც ვიყიდიო. შევიდა დუქანში და ნოქარს უთხრა:

— მე მაქვს ალალი ორ შაური და ჭკუა მასწავლეო!

ნოქარმა უთხრა:

— ვინც რა უნდა შეგეკითხოს, შენ უთხარი: ორივე კარგი და ლამაზიათქო. ეს არის ჭკუაო.

გლეხმა მისცა ორი შაური და გამობრუნდა.

ახლა ფიქრობს გლეხი: სამი წლის სამსახურით სარკე და კატა ვიყიდე, ჭკუაც ვისწავლე, მაგრამ ამით ჩემს ცოლ-შვილს რა ვარგოო?

გავიდა სხვა სახელმწიფოში. დაინახა რომ აქ მთელი ხალხი ტირის. გლეხმა იკითხა:

— რა ატირებს ამ ხალხსო?

— ჩვენს სახელმწიფოს წყალი არა აქვს. ერთი წყალი არის მიწაში კასრით ამოსატანი, ვინც მის ამოსატანად ჩავიდა, უკან ვეღარ ამოვიდაო.

გლეხმა იფიქრა: მე ხომ ჭკუა მაქვს, იქნებ ამოვიტანო წყალი და მომცენ რამეო. უთხრა ხალხს:

— მომიტანეთ ჭურჭელი, მე ამოვიტან წყალსაო!

მართლაც, მიუტანეს ჭურჭელი, ჩავიდა გლეხი მიწაში და დაინახა ერთი ბებერი დედაკაცი და ორი ახალგაზრდა ქალი, ერთი ძალიან ლამაზი იყო — მზეთუნახავი, მეორე კი — შავი, როგორც ზანგი. ლამაზი ქალი გერი იყო ბებერი დედაკაცისა, შავი კი — შვილი. ბებერმა დედაკაცმა ჰკითხა გლეხს:

— შვილო, ა, ამ ორ ქალში რომელი უფრო ლამაზიაო?

გლეხმა უთხრა:

— ორივე კარგი და ლამაზიაო.

დედაბერმა აუვსო კასრები და გაატანა.

ხალხმა რომ დაინახა, გლეხი ცოცხალი დაბრუნდა და წყალიც მოიტანაო, ძალიან გაუკვირდათ და გაიქცნენ მეფესთან გასაგებინებლად. მეფემ დაიბარა სასახლეში გლეხი და ჰკითხა, თუ როგორ ამოიტანა წყალი. გლეხმაც ყველაფერი უამბო. მეფემ იგი დააჯილდოვა ოცდაათი საპალნე ოქრო-ვერცხლით თავის აქლემებიანად, თანაც შეიპატიჟა პურის საჭმელად. გლეხმა რომ კარებში თავი შეყო, დაინახა, აქეთ-იქით კაცები იდგნენ და ცოცხები მაღლა ჰქონდათ აწეული. გლეხს ეგონა, უნდა ჩამარტყანო და უკან გადმოხტა. მეფემ დაარწმუნა, თაგვები გვყავს ძალიან გამრაელებული, ჩვენ რომ პურის საჭმელად დავსხდებით, დაგვეხვევიან და პურს გვტაცებენო, ესენი იმიტომ დგანან, თაგვები არ მოუშვან ახლოსო.

გლეხმა უთხრა:

— გაუშვით ეგ კაცები, მე მოვუელი თაგვებსაო.

ამოსვა ტომრიდან კატა. კატა აქეთ ეტაკა, იქით ეტაკა და თაგვები სულ დახოცა. დასხდნენ პურის საჭმელად თავისუფლად, კატამ ერთი თაგვიც არ მიუშვა ახლოს. მეფეს მოეწონა კატა და გლეხს ვაჭრობა დაუწყო. დიდი ხნის ვაჭრობის შემდეგ გლეხი დათანხმდა ოც საპალნე ოქროზე. გლეხი გულში იძახის: ჩვენს სოფელში ხელმწიფეც აღარ შემედარებაო, ეს ამოდენა სიმდიდრე უნდა წავიღოო. ჩემისთანა მდიდარს თმაგაწეწილი სიარული აღარ შეშვენისო. ამოიღო სარკე, დაიწყო შიგ ცქერა და ქოჩრის გვერდზე ვარცხნა.

თურმე იმ სახელმწიფოში არც სარკე იყო ცნობილი. მეფის ქალიშვილმა თვალი მოჰკრა სარკეს, მივიდა, თვითონაც ჩაიხედა: მიტრიალდ-მოტრიალდა, თავისი ტანი რომ დაინახა, გაუკვირდა, მივარდა მამას და უთხრა:

— მამი, სარკე მიყიდეო!

მეფემ ისიც იყიდა, მისცა ათი საპალნე ოქრო. გლეხმა ეს სამოცი საპალნე ოქრო წაიღო თავის ცოლ-შვილში. აიშენა დიდებული სასახლეები და ამის შემდეგ ისე ცხოვრობდა, რომ მეფეებიც კი შენატროდნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ეტიკეტი ო

ეუცნაურა

ორი ძუნწი

იყო ერთი საოცრად ძუნწი კაცი. ერთხელ უთხრეს:

— ამა და ამ ადგილას შენზე უფრო ძუნწი კაცი ცხოვრობსო.

ადგა ეს ძუნწი და სტუმრად ეწვია იმ უცნობს. მასპინძელმა სტუმარი შინ შეიპატიჟა, ლამპა აანთო და ოჯახის წევრები გააცნო. შემდეგ კი, როცა სასაუბროდ დასხდნენ, ამ ძუნწმა ლამპა ჩააქრო: ნავთი რაზე დავხარჯოთ ტყუილად, ლაპარაკს ბნელშიაც შევძლებთო. მართლაც, დიდხანს ილაპარაკეს. დამინების წინ კი ძუნწმა მასპინძელმა ლამპას მოუკიდა. ხედავს, რომ სტუმარი ტანთ იცვამს, გაუკვირდა და ჰკითხა:

— რატომ გაიხადე ტანსაცმელიო?

— ბნელში ვინ დამინახავდა და ტყუილად რაზე გამეცვითაო, — მშვიდად უპასუხა სტუმარმა ძუნწმა.

მოხერხებული მებაღე

ერთხელ მეფემ ჩაიცვა გლეხის ტანსაცმელი და სამეფოს დათვალიერებას შეუდგა: უნდოდა გაეგო, ვინ როგორ ცხოვრობდა. შევიდა ერთ ბაღში და მებაღეს ჰკითხა:

— რა გაქვს ჯამაგირიო?

— ერთი თუმანიო, — უპასუხა მებაღემ.

— მერე რას უშვრები მაგ თუმანსაო? — ჰკითხა მეფემ.

— ორ მანეთს ვჭამ, ორ მანეთს სესხად ვაძლევ, ორ მანეთს ფანჯრიდან ვაგდებ, ორ მანეთს ვინახავ და ორი მანეთით ვალს ვისტუმრებო.

მეფემ ვერაფერი გაიგო. მებაღეს უთხრა:

— მანამ ჩემი სახე არ დაინახო, არავის არაფერი უთხრაო და წავიდა.

მეფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირები და გადასცა მებაღის მიერ განაწილებული თუმნის ამბავი და უბრძანა: ჩქარა გაიგეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები, თორემ ყველას დაგხოცავთო.

შეშინებულმა ნაზირ-ვეზირებმა მთელი სამეფო შემოიარეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი გაიგეს. ბოლოს, ამ ბაღში შევიდნენ და თავიანთი გაჭირვება მებაღესაც უამბეს. მებაღეს გაეცინა:

— მანეთი მომეცით და მე აგიხსნითო. ძაშინვე მისცეს. დახედა ფულზე დახატულ მეფეს, იცნო და მაშინვე მიხვდა, თუ ვინ ყოფილა მასთან ადრე.

უყურებს ამ მეფის სურათს და თან უხსნის ნაზირ-ვეზირებს: ორ მანეთს ვჭამ, ამით მე ვცხოვრობ, ორი მანეთით დედ-მამას ვაცხოვრებ, იმათ ვალს ვიხდი, ორი მანეთით ვაჟებს ვზრდი, რომ გაიზრდებიან, მერმე მე მაცხოვრებენ, ორ მანეთს ფანჯრიდან ვყრი, ამით ქალებსა ვზრდი, გათხოვდებიან და წავლენ, მე რას მარგიან. ორ მანეთს კი შავი დღისათვის ვინახავო.

გახარებული ვეზირები მეფესთან მივიდნენ და ყველაფერი სწორად განუმარტეს. გაბრაზებულმა მეფემ დაიბარა მებაღე და გაუჯავრდა:

— ხომ გითხარი, სანამ ჩემ სახეს არ ნახავდი, არავისთვის გეთქვაო?!

მებაღემ ამოიღო ჯიბიდან მანეთი და უთხრა:

— აი, მეფევ, შენი სახე აგერ არის დახატული, მე ამას ველაპარაკებოდი, სხვისთვის არაფერი მითქვამსო.

მეფეს მოეწონა მოხერხებული მებაღის პასუხი და დიდად დაასაჩუქრა.

თავგაუტეხელი კაცი

ერთი მოხუცებული კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა. აიღო სავსე ჩარექა, ცერი ყურში გაუყარა და თავისი თავი ასე დალოცა: ღმერთო, დამასწარ მრავალ ამ დროს. ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ თავი ჩემთვის არავის გაუტეხნია და ნურც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ გამიტეხოსო.

ერთი ჯელი ბიჭი ყურს უგდებდა მოხუცის ლოცვას. აიღო თოხი და წყალი თავის ვენახს მიუგდო. რა წყალი შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისაკენ გაეშურა. სათავეში თოხით ხელში ვიღაც ყმაწვილი დაინახა, რომელსაც წყალი თავის ვენახში გადაეგდო, მოხუცი შეეკითხა:

— როტომ გადამიგდე წყალიო?

ახალგაზრდამ უთხრა:

— ჩემი ჯერიაო.

— რათა კაცო, ჩემი ჯერი არ იყო?

— შენი ჯერი იყო, მაგრამ მე უნდა მოვრწყა ახლა.

მოხუცმა რა შეატყო ახადგაზრდას — შარზეაო, უთხრა:

— კარგი და დღეს შენ მორწყე, შვილო, ხვალ კი მე მოვრწყავო!

ახალგაზრდამ უთხრა:

— ხვალაც მე მინდაო.

— კარგი და რაკი ხვალაც შენ გინდა, მე კიდევ ზეგ მოვრწყავ.

— არა, ზეგაც მე მინდა.

— კარგი და რაკი ზეგაც შენ გინდა, მაზეგ მე მოვრწყავ.

ახალგაზრდამ ვერ იპოვა ჩხუბის მიზეზი. შერცხვა და უთხრა:

— ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო, — და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო.

მეფის შვილობილი

ერთმა უშვილო მეფემ გამოუცხადა თავის ნაზირ-ვეზირებს: მოიარეთ ქვეყანა და ნახეთ სადმე ლამაზი, ჭკვიანი ბავშვი, რომ ვიშვილო და მემკვიდრედ დავტოვოო!

ნაზირ-ვეზირებმა შემოიარეს მთელი ქვეყანა და ერთ სახლში წააწყდნენ ერთ ბავშვს. ჰკითხეს:

— მამაშენი სად არისო? ბავშვმა მიუგო:

— ჩხუბს თესავსო.

— დედაშენი სად არისო?

— ცრემლს ავალებსო.

— ღვინო დაგვალევინეო.

— ცხენები ვაზებზე გამოაბით და შემდეგ დაგალევინებთო!

ვეზირებმა იარეს, იარეს, მაგრამ ვაზი ვერ იპოვეს. ბავშვს უთხრეს:

— ვაზი არსადა ჩანსო!

— აბა, ღვინო საიდან გვექნებაო!

— მამაშენი როგორ თესავს ჩხუბსაო? — ჰკითხეს ვეზირებმა.

— ყანას თესავს და თუ ვინმე გადივლის ზედ, წაეჩხუბებაო.

— დედაშენი როგორ ავალებს ცრემლებსაო?

— როგორ და მეზობელი გარდაიცვალა და იმას ტირის, ჩვენც მოვკვდებით და ისინიც გვიტირებენო.

ვეზირებს მოეწონათ ბავშვის მოსწრებული სიტყვა-პასუხი. წაუყვანეს მეფეს. ეს ბავშვი მეფესაც მოეწონა და იშვილა.

ძუნწი ვაჭარი

ერთი ძალზე ძუნწი ვაჭარი იყო, რომელსაც ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ ცოლ-შვილსა და თავის თავს აწვალებდა, ჯიგრის მეტს არაფერს ყიდულობდა. ერთ დღეს ბაზარში ჯიგარი ვერ იშოვა. ორ შაურად სხვა რა უნდა ეყიდა, ადგა და სხვა ბაზარში წავიდა.

ბევრი იარა და ერთ ადგილას დაუღამდა. შეეიდა ერთ სახლში და ხთხოვა, ღამე გამათევინეთო, დააყენეს. ამ სახლში ცოლი და ქმარი ცხოვრობდა. გაშალეს სუფრა და ქმარმა ცოლს ჰკითხა:

— ჯერ ვცემოთ თუ ვაჭამოთო?

— ეცემოთ, ბარემ, მოვიშოროთ და მერმე ვიქეიფოთო, — უთხრა ცოლმა.

გამოიტანეს ჭილობში გახვეული მკვდარი კაცი. სცემეს მაგრად, გაახვიეს ისევ ჭილობში და მიაგდეს კუთხეში. დასხდნენ და დაიწყეს ქეიფი. ძუნწმა იკითხა:

— ეგ მკვდარი კაცი ვინ არის, ან რადა სცემთო?

ქალმა უთხრა:

— ეგ კაცი ჩემი ქმარი იყო, დიდი ვაჭარი, იმდენი ფული ჰქონდა, რომ მთელ ქალაქს ეყოფოდა, მაგრამ იგი მხოლოდ ჯიგარს ჭამდა. ბოლოს, როგორც იყო, მოკვდა და მე კი ამ კაცზე გავთხოვდი. იმან არ გამახარა, ამასთან ვხარობ და იმას კიდევ ვტანჯავო.

ამ ძუნწმა მოუსმინა, აღგა დილით ადრე, გამოემშვიდობა, წავიდა ბაზარში, იყიდა ინდაური, სამწვადე, თეთრი პური, ღვინო, აჰკიდა მუშას და მიიტანა შინ. ცოლს გაუკვირდა: ეს ჩემი ქმარი ხომ არ გაგიჟდაო. ქმარს უთხრა:

— კაცო, ეგ რაერთი რამე გიყიდია, რა ნახეო?

— შენი მეორე ქმარიც ენახე და ჩემი მცემელი ცოლიცაო, — უთხრა ქმარმა ცოლს.

სამი ყრუ

ერთ ყრუ კაცს შვიდი თხა ჰყავდა, სულ მათ დასდევდა, აძოვებდა, უვლიდა, უყვარდა, ერთ თხას ცალი რქა მოტეხილი ჰქონდა.

ერთხელ ამ ყრუ კაცს დაეძინა. შვიდივე თხა დაეკარგა. ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა. შემდეგ ღმერთს აღთქმა დაუდო: ვინც თხებს მაპოვნინებს, იმას რქამოტეხილ თხას ვაჩუქებო.

ნახა ერთი კაცი, აჩაჩით მიწას ხნავდა, ეს კაცი თხების პატრონზე უფრო ყრუ ყოფილიყო.

თხის პატრონმა ჰკითხა:

— თხები დაკარგე, ხომ არ გინახავსო?

მხვნელმა ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა და უთხრა:

— დღეს აქ ვხნავ და ხვალ იქით უნდა ვხნაო, თან ხელით ანიშნა.

თხების პატრონს ეგონა, იქით არიანო და გასწია, საითაც მხვნელმა ხელი გაიშვირა. თხები, მართლაც, იქ დაუხვდნენ. გამორეკა და იქ მიიყვანა, სადაც კაცი ხნავდა. აღთქმის შესასრულებლად დაიჭირა რქამოტეხილი თხა და ამ კაცს მიაროვა:

— აჰა, შენთვის მომიცია, რადგან მაპოვნინეო!

მეგუთნე ეფიცება ამ კაცს:

— მე არ მომიტეხია ეს რქა, თხები თვალითაც კი არ მინახავსო!

გამოიყვანა გუთანი და შინ წავიდა. თხების პატრონი არ მოეშვა, ღმერთთან დადებული აღთქმა არ გამატეხინო, წაიყვანე ეს თხაო.

მივიდნენ სოფელში. ნახეს, რომ მამასახლისი ხის ქვეშ დამჯდარა და ვიღაცაზე ძლიერ გაჯავრებულია. ეს მამასახლისი ამ ორ ყრუზე უფრო მეტი ყრუ ყოფილა. ცოლს გაუჯავრებია და გარეთ გამოუგდია.

თხის პატრონმა და მხვნელმა თავიანთი გაჭირვება შესჩივლეს. მამასახლისს ცოლის მოგზავნილი კაცები ეგონა და უთხრა:

— ორმოცი კაციც რომ მომიგზავნოს მოციქულად, მაინც არ შეეურიგდებიო!

როგორ ანუგეშა მოჯამაგირემ ბატონი

— რა ამბავია, ისაკო, სასახლეში? — ჰკითხა მოჯამაგირეს ბატონმა, რომელიც ხუთი წელიწადი იყო წასული და სასახლის ამბავი არა იცოდა რა.

— მშვიდობა შენი, ბატონო! მადლობა ღმერთს, მხოლოდ შენი გოშია ძაღლი მოკვდა.

— უჰ, რას ამბობ, ბიჭო, რა ძალიან მეწყინა? რამ მოკლა მერმე?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ნამეტანი ხორცის ჭამას ვერ გაუძლო!

— მერედა რატომ აჭამეთ ამდენი ხორცი?

— ვინ აჭამა, ბატონო, შენი ბედაური რომ მოკვდა და გადავათრიეთ, მიმდგარიყო, იმდენი ეჭამა, რომ ველარ მოენელებინა და გამსკდარიყო საწყალი ძაღლი.

— რას მეუბნები, ბიჭო, ჩემი ბედაური რამ მოკლა?

— საწყალი შენი ქალიშვილი, ვარდიკო, რომ კვდებოდა, ექიმებთან გაქცეულიყო თქვენი მელქირა. იმდენი ეჭენებინა, რომ ტყეილა ველარც ვარდიკოს მოუსწრო ცოცხალს და ცხენიც კი გადაჰყვა თან.

— ბიჭო, ხომ არ დამთვრალხარ, რაებს მელაპარაკები, ვარდიკო რამ მოკლა?

— რამ ბატონო, და საწყალი ქალბატონი რომ დაიწვა, იმის ჯავრს ველარ გაუძლო.

— რა ღმერთი გიწყრება, ბიჭო! ქალბატონი რამ დაწვა?

— აბა, არ გაგიგია, ბატონო? მთლად რომ გადიწვა შენი სასახლე, სამზარეულო, სასიმინდე და ყველაფერი, მაშინ დაიწვა ქალბატონიც.

— როგორ მეუბნები, ბიჭო, ასეთ საშინელ ამბავსო?! — და წაიშინა თავ-პირში.

— შენ რა გიჭირს, ბატონო, დასტურ ბედნიერი ბრძანებულხარ, რომ აქ არ დაესწარი, თვარა თქვენც მოიკლავდით თავსო, — ანუგეშა მოჯამაგირემ თავისი ბატონი.

ხელმწიფე და გლეხის ქალი

ბატონის და მეფის ხელში
ნუ დაეძებ სამართალსა;
არაკს გეტყვი, შიგ არ გაკრეკ
არც ტყუილს და არც მართალსა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეხი, ჰყავდა გაუთხოვარი ქალიშვილი.

ერთ წელიწადს გლეხი მიწას ხნავდა. შემოუარა ათი კვალი და მეთერთმეტე უნდა დაეწყო, რომ სახნისი რაღაცას წამოედო და გუთანს ხაზი გაამრუდებინა. გლეხმა დააყენა ხარები, მივიდა იმ ადგილას და რას ხედავს! ხნულის შავ ღარში ოქროს ფილი გდია. პირველად არ უჯერებდა თავის თვალებს, მაგრამ როცა ჩოხის კალთით კარგად გაწმინდა და გააპრიალა, მაშინ კი დარწმუნდა და სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა.

გლეხმა თავი გაანება ხვნას და სახლისაკენ გაუშურა.

შინ რომ მივიდა, ქალიშვილმა გაკვირვებით ჰკითხა:

— მამავ, რად დაბრუნდი, ნუთუ ასე ადრე მოათავე ხვნაო?

— რას ამბობ, შვილო, დღეს ისეთი ბედი დამეცა, რომ ხვნაც დამავიწყდა და საკუთარი თავიც!

— რა, მიწაში ხაზინა ხომ არ იპოვე?

— აბა, შეხედე, განა ხაზინაზე უკეთესი არ არის! — უპასუხა გლეხმა და თანაც ძვირფასი ნივთი ხელში შეათამაშა.

— ეგ ხომ ოქროს ფილია!— გაკვირვებით წამოიძახა ქალიშვილმა.

— დიახ, შვილო, ოქროს ფილია, ოქროსი!

— მერმე რა უნდა ვუყოთ? რაში მოვიხმაროთ?

— როგორ თუ რა ვუყოთ! ჩვენს ხელმწიფეს მივართმევ და ამაში სამ დღიურ მიწას ვთხოვ.

— რას ამბობ, მამავ! ხელმწიფეს უნდა მიართვა? იცოდე, ის წყალგამოლმა მოგედავება და ოქროს სანაყელსაც მოგთხოვს.

შვილი დიდხანს უშლიდა თავის მამას, რომ ხელმწიფისათვის არ მიერთმია ოქროს ფილი, მაგრამ მამამ შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი: ასეთი ძვირფასი ნივთი მხოლოდ მეფის საკადრისია და ამიტომ მას უნდა მივუტანოო!

გლეხმა აიღო ფილი და წავიდა ხელმწიფესთან, ქუდმოხდილმა სალამი მისცა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეე, ეს ძვირფასი ნივთი თქვენი საკადრისია და საჩუქრად მოგართვეთო.

— რა არის, რა ნივთია?

— ოქროს ფილია, შენი ჭირიმე!

— ოქროს ფილია?! — გაკვირვებით იკითხა მეფემ. — მერმე სანაყელი რაღა უყავ?!

— მიწაში მარტო ეგ ვიპოვე, შენი ჭირიმე!

— რას ამბობ, ბრიყვო?! — სადაც ეგ იპოვე, იქ სანაყელსაც იპოვიდი! წადი ახლავე და ისიც მომიტანე, თორემ მაგ მატყუარა ენას ქვით დაგინაყავ!

გლეხი დაღონდა. მაშინვე გაახსენდა თავისი ქალის დარიგება და ოხვრით ჩაილაპარაკა: ახია შენზე, ჩემო თავო! რატომ ჩემს ქალს არ დავუჯერე!

ხელმწიფემ გაიგონა ეს სიტყვები და ჰკითხა:

— რა გითხრა შენმა ქალმა?

— ხელმწიფეს არ წაუღო ეგ ოქროს ფილი, თორემ ოქროს სანაყელსაც მოგვედავებაო, — უპასუხა გლეხმა. — აი, აკი ამიხდა კიდეც.

— შენმა შვილმა წინასწარ საიდან იცოდა, თუ მე სანაყელსაც მოგედავებოდი?

— ეჰ, მე ვერ მოვიხმარე, თორემ, ვისაც ცოტაოდენი ჭკუა და აზრი აქვს, იმან წინასწარ იცის, ესა თუ ის საქმე რა ნაყოფს გამოიღებს.

— რაკი შენი ქალი ასეთი ჭკვიანი ყოფილა, წადი და ახლავე აქ გამომიგზავნე! — უბრძანა ხელმწიფემ.

წამოვიდა დაღონებული გლეხი სახლისაკენ. მოდიოდა და თავის თავს უსაყვედურებდა: არა, შე ოხერო, ჩემო თავო, რაზე გადაიკიდე დარდი და ხათაბალა! ოქროს ფილი ხომ დავკარგე და დავკარგე, ოქროს სანაყელი ვალად დამედო, ჩემი ქალის ცოდვაში რაღად ჩავდექიო.

გლეხი შეეიდა თუ არა სახლში, ამოიოხრა და თავის შვილს უთხრა:

— ეჰ, ჩემო შვილო, რა მალე ამიცხადდა შენი სიტყვები, ხელმწიფეს მივართვი თუ არა ოქროს ფილი, მკითხა: ოქროს სანაყელი რაღა უყავიო?! ისიც მომიტანე, თორემ ჩემი მოტყუებისათვის ენას ქვით დაგინაყავო! ჩემს დარდს გაეუძლებდი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ შენი დარდიც დამემატა: წადი და შენი ჭკვიანი ქალი ახლავე აქ გამომიგზავნეო. ღმერთმა იცის, რა უძევს გულებაში.

— ნუ გეშინია, მამაჩემო! ხელმწიფე, ალბათ, იმისთვის მიბარებს, რომ ჩემი ჭკუა გამოსცადოს, წავალ, იქნება გავიმარჯვო და ოქროს სანაყელის დარდი მოგაშორო, — ანუგეშა შვილმა და წასასვლელად გაემზადა.

ქალი წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან, თავი დაუკრა და მოახსენა:

— რას მიბრძანებთ, დიდებულო ხელმწიფევ!

— აბა, თუ ჭკვიანი ხარ, ახლა გამოჩნდება: ხვალ კვლავ გამოცხადდები ჩემთან, მაგრამ ისე, რომ არც შიშველი იყო და არც ტანისამოსი გეცვას, არც ფეხით მოხვიდე და არც სხვა რამით, რაც ადამიანებს სამგზავროდ აქვთ გამოყენებული. შეასრულებ ამ დავალებას, მამაშენს უკანვე დავუბრუნებ ოქროს ფილს, შენ კი ცოლად შეგირთავ, თუ არა, ენას მოგჭრი!

გლეხის ქალი დათანხმდა და წამოვიდა.

მეორე დღეს ქალმა გაიხადა ტანისამოსი, ჩაჯდა ბადეში, გამოება უკანვირს და ისე მივიდა ხელმწიფესთან.

ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა ქალის ასეთი მოხერხება და, როგორც პირობა ჰქონდა მიცემული, ოქროს ფილი გლეხს დაუბრუნა, ქალი კი ცოლად შეირთო.

იმ დღიდან ცხოვრობდნენ ერთად მყუდროდ და ბედნიერად.

ხელმწიფე ხშირად მიმართავდა ხოლმე რჩევისათვის თავის ჭკვიან ცოლს და მისი დარიგება ყოველთვის კარგადაც უხდებოდა.

ერთ წელიწადს მწყემსებს ცხვარი და ძროხა მთაში მიუდიოდათ. ერთ დღეს შებინდებამ მათ ქალაქის მახლობლად მოუსწრო. მწყემსებმა მოსინჯეს ღამის გასათევი ადგილი, მოხადეს დატვირთულ ცხენებს ბარგი-ბარხანა და საქონელიც იქვე დააყენეს.

იმ ღამეს ერთი მეცხვარის ცხენმა კვიცი მოიგო, მეორე მწყემსმა მოიპარა ქორფა კვიცი და თავის ხარს ფეხზე გამოაბა.

გათენდა. ცხენის პატრონმა კვიცი მოიკითხა. მივიდა ხარის პატრონთან და უთხრა:

— ძმობილო, ამ კვიცს შენთან რა უნდა? წუხელ ჩემს მაკე ცხენს მოუგიაო.

— რას ამბობ! ეს კვიცი შენი ცხენისა კი არა, ჩემი ხარისაა. რომ იგებდა, თავზე ვადექ და, დედას რომ არ მოჰშორებოდა, მის ფეხზე მივაბიო, — უმტკიცებდა მეორე.

მწყემსებმა იდავეს, იჩხუბეს და, რომ ვერ შეთანხმდნენ, ხელმწიფეს მიმართეს.

ხელმწიფე იმჯერად კი არ დაეკითხა თავის ჭკვიან ცოლს და ასეთი განაჩენი გამოიტანა: რადგანაც კვიცი გათენებისას ხართან აღმოჩნდა, ამიტომ ის ხარს მოუგია და არა ცხენსო.

ცხვრის პატრონი სახტად დარჩა, გაყვითლდა, ენა დაება. გამოვიდა სახლიდან გაბოროტებული, სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

სახლიდან გამოსულ მწყემსს კარებთან ხელმწიფის ცოლი შემოეყარა და ჰკითხა:

— ძმობილო, ასე მწარედ რაზე ხარ დაღონებულიო?

მწყემსმაც აღარ დამალა თავისი გულის ბოლმა და დაწვრილებით უამბო.

— ნუ გეშინია, შენი სიმართლე არ დაიკარგება და, როგორც დაგარიგო, ისე მოიქეცი: წადი, იშოვე სადმე ბადე, მოიტანე და ხელმწიფის სასახლის ეზოში გადაისროლე ხოლმე, ვითომ მებადური ხარ. ხელმწიფე რომ დაგინახავს, გკითხავს: რას შვრები, ცარიელ მიწაზე თევზების დაჭერა შეიძლებაო?! შენ უპასუხე: დიდებულო ხელმწიფევ, თუ ცარიელ მიწაზე თევზის დაჭერა არ შეიძლება, ის კი შეიძლება, რომ ხარმა კვიცი მოიგოსთქო?! ხელმწიფე მიხვდება თავის შეცდომას და კვიცს შენ დაგიბრუნებს.

წავიდა მწყემსი, იშოვა სადღაც ერთი ძველი ბადე, მოვიდა სასახლის ეზოში და რამდენჯერმე გადაისროლა.

სწორედ იმ დროს ხელმწიფე გარეთ იყო გამოსული და, მწყემსი რომ დაინახა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— რას შვრები, კაცო! ცარიელ მიწაზე თევზის დაჭერა ვის გაუგონია?!

— რატომ გაგიკვირდათ, დიდებულო ხელმწიფევ! თუ მიწაზე თევზის დაჭერა არავის გაუგონია, ის კი გაუგონია ვინმეს, რომ ხარმა კვიცი მოიგოს?

ხელმწიფეს მაშინვე გაახსენდა თავისი უსამართლო განაჩენი, მაგრამ მწყემსის თვალში სახელი რომ არ გაეტეხა, გაბრაზებულმა უპასუხა:

— ხელმწიფის სიტყვა გარდუვალია! როცა ის ბრძანებს, რომ შეიძლება ხარმა კვიცი მოიგოსო, მაშ, შეიძლება!

მწყემსი გაბრუნდა.

— ეს მწყემსი, უსათუოდ, ჩემი ცოლის დარიგებულია, — თქვა ხელმწიფემ, — ის თუ თავიდან არ მოვიშორე, მთელ ხალხში სახელსა და ნდობას დამიკარგავსო.

ერთ ღამეს განგებ მოიბრაზიანა თავი და ცოლს წაეჩხუბა:

— შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია! ოღონდ გამშორდი და უფლებას გაძლევ, აირჩიო, ჩემს სახლში რაც კი შენს თვალ-გულს მოეწონება, და თან წაიღოო.

— თუკი აღარ გინდა ჩემთან ცხოვრება, არც მე დაგატან ძალას, მხოლოდ ერთსა გთხოვ: დღემდე ტკბილად ვცხოვრობდით, გაყრითაც ტკბილად გავიყაროთ, უკანასკნელად ერთად კიდევ ვჭამოთ პური და გზა დავულოცოთ ერთმანეთსაო!

ხელმწიფეს გული მოულბა ცოლის სიტყვებზე და დათანხმდა. ქალმა ქმრის ღვინოში ბანგი გაურია, თვითონ კი სუფთა ღვინო დაიდგა. ჭამეს პური, ხელმწიფე ჯერ ისევ სუფრასთან იჯდა, რომ ძილი მოერია და ხვრინვა ამოუშვა, ქალმა შესვა ცხენზე მძინარე ქმარი და თავისი მამის სახლში მიიყვანა.

მეორე დღეს ხელმწიფეს გაეღვიძა. ჭერსა და კედლებს მიავლ-მოავლო თვალი და თავისთვის ჩაილაპარაკა: სადა ვარ? ნუთუ ეს ჩემი სასახლეაო?

— დიდებულო ხელმწიფევ, შენ ახლა მამიჩემის სახლში ხარ, აქ გეძინა და აქვე გაიღვიძე, — უპასუხა თავით მჯდომმა გლეხის ქალმა.

— აქ რა მინდა?.. ან ვინ მომიყვანა?! — გაკვირვებით იკითხა ხელმწიფემ.

— როგორ თუ აქ რა გინდა! გუშინ ჩვენ რომ გავიყარეთ, შენ ხომ უფლება მომეცი: აირჩიე, რაც კი შენს თვალ-გულს მოეწონება, და თან წაიღეო. მე კი მხოლოდ შენ მომეწონე და მძინარე ჩემს სახლში წამოგიყვანე.

ხელმწიფე იმჯერადაც გააკვირვა გლეხის ქალის სიჭკვიანე-მოხერხებამ, მოეხვია და შერიგება სთხოვა.

იმავ საღამოს შესხდნენ ცხენებზე, დაბრუნდნენ სასახლეში და დაიწყეს ისევ ბედნიერი ცხოვრება.

ორი სილა

იყო ერთი ღარიბი კაცი. მეტი სიღატაკისაგან კინაღამ მიიხრწნა. იფიქრა: რაც იქნება, იქნება, უნდა ხელმწიფეს მოვახსენო ჩემი გაჭირვება, ან იქვე მომკლას, ან საზრდო გამიჩინოსო.

ჩაისვა მშიერი კატა გუდაში და გასწია. კარისკაცი არ უშვებდა ხელმწიფესთან, მაგრამ, როგორც იყო, დაჰყვა ნებას, იმ პირობით, თუ შუაზე გაუყოფდა, რასაც ხელმწიფე აჩუქებდა.

გლეხმა ამოუშვა კატა. მშიერი კატა ეცა კედლებს, დარბოდა აქეთ-იქით კნავილით. ხელმწიფემ ჰკითხა მისვლის მიზეზი. ღარიბმა მოახსენა:

— გიახელით, რომ ორი სილა გამკრათო.

ხელმწიფეს გაუკვირდა, რა სათხოვარი იყო სილის გაკვრა, მაგრამ კაცი იმდენს ეხვეწა, რომ ორი კარგი სილა გაარტყა. ღარიბმა მადლობა გადაუხადა, ჩასვა კატა გუდაში, გავიდა. კარისკაცი მიეგება მხიარულად:

— აბა, რა მიიღე, ჩქარა გამიყავიო!

გლეხმა ლაზათიანი სილა სტკიცა. შეიქმნა ჩხუბი. ხელმწიფეს შეესმა, გამოვიდა. ჰკითხა, რაზე ჩხუბობთო. გლეხმა უთხრა:

— ხელმწიფეე, თქვენთან არ მიშვებდა ეს კაცი, სანას რასაც მიბოძებდით, შუაზე არ გაუყოფდი. იმიტომ გთხოვეთ ორი სილა, რომ ერთი ამას რგებოდაო.

ხელმწიფეს მოეწონა გლეხის მოქმედება და კარგად დაასაჩუქრა. კარისკაცი კი შერცხვენილი დარჩა.

მოხუცი ნავეზირალის რჩევა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. იმ ხელმწიფემ ბრძანა, რვა საათის შემდეგ, სანთელი აღარავის სახლში აღარ ვნახო ანთებულიო, და თუ ვნახე, დამნაშავეს სიკვდილით დავსჯიო.

მართლაც, შეღამდებოდა თუ არა, ხელმწიფე ჩაიცვამდა გლეხურ ტანისამოსს და დადიოდა თავის სატახტო ქალაქში, და ვის სახლშიც ნახავდა რვა საათის შემდეგ სანთელს ანთებულს, სიკვდილით სჯიდა.

ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, ჩაიცვა ხელმწიფემ გლეხურად და დადის თავის ქალაქში. გაიარა ერთგან, შეხედა, რომ ერთი სახლიდან სანთელი ცოტათი ბჟუტავდა, მივიდა და ეზოდან დაუძახა:

— მასპინძელო, ამაღამ მისტუმრებო?

სახლის პატრონი მოეგება და უთხრა:

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისააო!

შევიდა შინა. ხელმწიფემ ჰკითხა მასპინძელს:

— სანთელი ესე რად გიბჟუტავსო?

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, დიდებული ხელმწიფე ასე გვიბრძანებსო, — მიუგო მასპინძელმა.

ვახშამი ჭამეს, სტუმარს კაი პატივი სცეს, ცალკე გაუშალეს და დააძინეს: რა იციან, თუ ხელმწიფეა.

შუაღამე რომ შეიქნა, მასპინძლის ცოლი წამოდგა, ჩაიცვა, ჩამოიღო ხმალი, ამოაძრო ქარქაშიდან, დაადგა ქმარს და უთხრა:

— თუ გძინავს, არ გაიღვიძო, და თუ გღვიძავს-და მოგკლავო!

ქმარი, საბრალო, თუნდაც რომ ღვიძებოდა, აბა, ხმას როგორ ამოიღებდა? დედაკაცმა ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, დაჰკიდა ალაგას, გამოვიდა გარეთ და გასწია სადღაც.

ხელმწიფემ ეს გაიგონა, ადგა და შორიახლო მიჰყვა დედაკაცს. დედაკაცი მიდის, ესეც მისდევს.

იარა, იარა დედაკაცმა, მიადგა ერთ უზარმაზარ კლდეს და შესძახა გამოქვაბულში:

— გამოდი, ჩემო საყვარელოო!

ვნახოთ, გამოვიდა უზარმაზარი არაბი, ისეთი უშნო, რომ ქვედა ტუჩი მიწაზე დასთრევდა და ზედა კი თავზე ჰქონდა გადაფარებული. შეხედა დედაკაცს და შეუტია:

— წადი, შენი დანაპირები არ მოგიტანია, მე შენ ვერ შეგიყვარებო!

დედაკაცი ტირილით დაბრუნდა ისევ უკან. ხელმწიფეც საჩქაროდ წამოვიდა და ჩაწვა ლოგინში. დედაკაციც მოვიდა და ჩაწვა დასაძინებლად.

გათენდა. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა მასპინძელს და გასწია შინ.

მეორე საღამოს ხელმწიფემ სხვანაირი ტანისამოსი ჩაიცვა, მიადგა ისევ იმ კაცს კარებზე და დაუძახა:

— ოჯახიშვილო, თუ შეიძლება, მისტუმრე ამაღამო!

მასპინძელი გამოვიდა, სტუმარი ღვთისააო და შეიყვანა შინ. ვახშამი გაშალეს, სტუმარს კაი პატივი სცეს, ცალკე მოასვენეს და ცოლ-ქმარმა ცალკე დაიძინა.

შუაღამე რომ შეიქნა, დედაკაცი კიდევ წამოდგა, ჩაიცვა, ჩამოიღო ხმალი და თქვა: ეჰ, როდემდის უნდა ვიტანჯო ასეო? ამოაძრო ხმალი ქარქაშიდან, სწყვიტა ქმარს და გააგდებინა თავი. ხელმწიფე კი გამოჰყურებს საბნიდან განაბული, კანკალმა აიტანა: უთუოდ მეც მომკლავსო! დედაკაცმა გაახვია ბაღდადში თავისი ქმრის თავი, გამოვიდა გარეთ და გასწია სირბილით. ხელმწიფეც წამოდგა და შორიახლო მიჰყვა.

დედაკაცმა იარა, მიეიდა ისევ უდაბური კლდის გამოქვაბულთან და შესძახა:

— გამოდი, ჩემო საყვარელო, მოგიტანე დანაპირებიო!

გამოვიდა ისევ ის საძაგელი ლაშიანი არაბი, დედაკაცს გამოართვა ბაღდადი, გახსნა და ნახა, რომ მშვენიერი ვაჟკაცის თავი იყო.

— შე წუწკო, ამისთანა მთვარესავით კაცს უღალატე, მე, ამ ბედასლს, როგორ შემიყვარებო?! — გაუშალა, ერთი სილა გაარტყა დედაკაცს და ცხრაკერ ყირამალა გადაატრიალა.

დედაკაცი კარგა ხანს ეგდო დარეტიანებული, მერმე წამოდგა და ტირილით დაბრუნდა შინ. ხელმწიფემაც ისევ ჩქარა გამოსწია შინ; შევიდა, დაისველა ხელი თავმოჭრილი კაცის სისხლში, გამოვიდა, დაჰკრა ალაყაფის კარებს, რომ დასტყობოდა ნიშანი, და გასწია სასახლისაკენ.

დედაკაცი მივიდა შინ, ნახა, რომ სტუმარი წასულიყო, საჩქაროდ დამარხა თავისი ქმარი იქვე, ეზოში. მერმე იფიქრა: იმ სტუმარმა არაფერი დამიშაოსო. მიათვალიერ- მოათვალიერა იქაობა. ნახა, რომ ალაყაფის კარებს სისხლიანი ხელი აქვს დარტყმული. ადგა, თვითონაც დაისველა სისხლში ხელი, დაჰყვა და თავისი სახლის დაყოლებაზე ყველა ალაყაფის კარს ისეთივე ნიშანი დაადო.

ხელმწიფემ მეორე დღეს დაიბარა ვეზირები და უთხრა:

— წადით ამა და ამ ქუჩაზე და, რომელი სახლის ეზოს კარებსაც სისხლიანი ხელი ეტყობოდეს, იმ სახლში მყოფი დედაკაცი აქ მომგვარეთო!

ვეზირები წავიდნენ ხელმწიფის ბრძანების შესასრულებლად. აიარ-ჩაიარეს ქუჩა და ნახეს, რომ იმ ქუჩაზე ყველა სახლის ეზოს კარებს სისხლიანი ხელი ეტყობოდა. დაბრუნდნენ ისევ და მოახსენეს ხელმწიფეს:

— დიდებულო ხელმწიფევ! იმ ქუჩაზე ყველა კარს სისხლიანი ხელი ატყვია და რომელი ქალი მოგიყვანოთ, არ ვიცითო!

ხელმწიფე ძლიერ ჩაფიქრდა. მეორე დღეს დაიბარა ერთი თავისი საყვარელი ვეზირი და უთხრა:

— სანადიროდ უნდა წავიდე, ორი კვირა მომიგვიანდება და სანამ მოვიდოდე, პირველად ჩემი ცოლი და ქალები დახოცე, მერმე შენი და შემდეგ, რაც ჩემ ქალაქში დედათაგანი იყოს — დიდიან-პატარიანად უნდა გაწყვიტო, ერთი არავინ დარჩეს, თორემ დაბრუნებისას, თუ ჩემი ბრძანება შესრულებული არ დამხვდა, ჩაგაყრი ბურნუთს და ჰაერში გაგაქანებო.

მწარედ დაღონებული წამოვიდა ვეზირი შინ. ამ ვეზირს ჰყავდა მოხუცი პაპა. ყოველთვის როცა გარედან შინ შემოვიდოდა ხოლმე ვეზირი, მივიდოდა პაპასთან, მიესალმებოდა და ხელზე აკოცებდა. ახლა კი არც მიესალმა და არც ზედ შეხედა. დაღონებული გადის და გამოდის. პაპამ დაუძახა და ჰკითხა:

— შვილო, რად ხარ დაღონებული, რა მოგსვლიაო?

— როგორ რა მომსვლიაო, ასე და ასე მიბრძანა ხელმწიფემ და, თუ არ ავასრულე, ბურნუთი უნდა ჩამაყაროს და ჰაერში გამაქანოსო.

— მაგისთვის რად დაღონებულხარ, შვილო? — უთხრა მოხუცმა, — ხელმწიფე რომ მობრძანდეს, მოახსენე, ჩემმა პაპამ არ დამანება თქვენი ნების ასრულება-თქო, დამიბაროს და პასუხს მივცემო.

გავიდა ორი კვირა და დაბრუნდა ხელმწიფე ნადირობიდან. მივიდა შინ, ნახა, რომ თავისი ცოლ-შვილიც ცოცხალი იყო და სხვებისაც. ძლიერ განრისხდა, დაიბარა მაშინვე ვეზირი და დაიძახა: მომიტანეთ ჩქარა ბურნუთიო!

ვეზირმა დაიჩოქა მუხლებზე და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეე, გთხოვთ, ერთი სიტყვა მათქმევინოთო!

— თქვიო! — უბრძანა ხელმწიფემ.

— მე ჯერ ჩემი ცოლ-შვილი უნდა დამეხოცა, მერმე — თქვენი, მაგრამ ერთი მოხუცი პაპა მყავს, იმან არ დამანება და მითხრა, ხელმწიფე რომ მობრძანდეს, დამიბაროს და მე მოვახსენებ პასუხსაო.

— მაშ, წადი, მომიყვანეო! — ბრძანა ხელმწიფემ.

წამოვიდა ვეზირი. აბა, სიარულის თავი მოხუცს სადა ჰქონდა? მაგრამ თეთრ ყუთში ჩაუგეს ბამბა, ჩააწვინეს შიგა და წაიყვანეს ხელმწიფესთანა. მიიყვანეს თუ არა, ასწიეს მოხუცი და ყუთით შეიტანეს ხელმწიფის სახლში. მობრძანდა ხელმწიფე, შეხედა, რომ თეთრი წვერი, თეთრი ყუთი და ბამბა არ ერჩეოდა ერთმანეთში, ხელმწიფემ ჰკითხა მოხუცს:

— რატომ არ დაანებე ჩემი ბრძანების შესრულებაო?

— დიდებულო ხელმწიფეე, — დაიწყო მოხუცმა, — მამათქვენის მამის ვეზირი გახლდით. ჩვენ ვიყავით ორმოცი ვეზირი. ამ ორმოც ვეზირში ერთ ღამეს ერთი დაგვაკლდა ისე, რომ ვერავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. მეორე დღეს — მეორე; ოცდაცხრამეტი კაცი ოცდაცხრამეტ ღამეს თითოთითოდ დაგვეკარგა და დავრჩი მარტო მე.

მეორმოცე ღამეს, ლოგინში რომ ვიწექი, ვიღაცამ დამიკაკუნა კარებზე. წამოვფრინდი პერანგა, გარეთ უნდა გამეხედა. წამოხტა ჩემი ცოლი, წამომეწია, ისეთი წამომკრა, რომ თაებრუ დამესხა და მითხრა: სად მიდიხარ ტიტველა, იქნებ ის იარაღიანია და შენ უიარაღოდ გადიხარო? ჩაიცვი, აისხი იარაღი და ისე გახედეო!

ჩავიცვი, ავისხი იარაღი და უნდა გავსულიყავი გარეთ, რომ წამომეწია ჩემი ცოლი და კიდევ უარესად წამკრა კისერში: სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, იქნება ის ცხენით არის და შენ კი უცხენოდ მიდიხარო?

გავექანე, მაშინვე შევკაზმე ცხენი, შევაჯექ და გავედი გარეთ. დამინახა თუ არა მან, ვინც კარებზე დამიკაკუნა, მომძახა: უჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, ძლივს არ ვნახე ვაჟკაციო! — შემოჰკრა თავის ცხენს ქუსლი — ჩქარა მომყევიო!

მეც დავძარ ცხენი და გავწიეთ. ცხენი ჰყავდა ისეთი, რომ ფრინველივით მიჰქროდა, მაგრამ მეც კარგი ცხენი მყავდა. სწორე გითხრათ, ძლიერ შევფიქრიანდი და გზაზე რამდენჯერმე გადავწყვიტე მოკვლა ჩემი თანამგზავრისა. კიდეც ამოვწიე ხანჯალი, მაგრამ, არ ვიცი, როგორ შემასწრო თვალი უკან მიმდევარს და მომაძახა: ჰეი, ყმაწვილო, ეგ ვაჟკაცის საკადრისი არ არის, იარე, მომყევიო!

რა მეტი გზა მქონდა, მივდევდი!

ვიარეთ, ვიარეთ და მივედით ერთი უზარმაზარი კლდის ძირში, გამოქვაბულთან. გადმოხტა ჩემი თანამგზავრი და მეც გადმოვხტი; მომცა ცხენი ხელში და მითხრა:

— ამ გამოქვაბულში მტერი მყავს, უნდა შევიდე და დავეჭიდო. ერთს, როცა დავინახავ, მაშინ დავიწივლებ, ერთს — როცა დავეჭიდები და ერთსაც — თუ მოვერიე, მაშინ დავიწივლებ; თუ მესამედ აღარ დავიწივლო, იცოდე, რომ ის მომერია და მაშინ გასწი და წადი, ეგ ცხენიც შენთვის წაიყვანე, ღმერთმა მოგახმაროსო!

შევიდა გამოქვაბულში, მე დავიწყე ლოდინი. ლოდინი რომ მომწყინდა, მივედი გამოქვაბულის კარებში. როგორც შევდგი ცალი ფეხი შესასვლელად, ერთი ისეთი წივილი გამომესმა, რომ კინაღამ შიშით დავიბნიდე. გამოვბრუნდი, ისევ დავიწყე ლოდინი, კიდევ რომ მომწყინდა და ის იყო, ვაპირებდი გამობრუნებას, წინანდელზე უარესი წივილი მომესმა. დავიწყე კიდევ ლოდინი. რომ მომწყინდა, ის იყო, უნდა შევმჯდარიყავი ცხენზე, ცალი ფეხიც გავყავი უზანგში, ერთი საშინელი წივილიც კიდევ შემომესმა. მაშინ კი გავიგე, რომ გადარჩა ჩემი თანამგზავრი. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და აბრეშუმის ხელსახოცით შეხვეული რაღაც გამოიტანა, შეჯდა ცხენზე და მითხრა: შეჯექ შენც და მომყეო! მეტი რა გზა მქონდა, გავყეევი.

ვიარეთ, ვიარეთ და მივადექით კიდევ ერთ უზარმაზარ კლდეს, სადაც უზარმაზარი გამოქვაბული იყო. შევხედე, რომ ამ გამოქვაბულში ჩემი ოცდაცხრამეტი ამხანაგი ჰკიდია: ზოგი ხელით, ზოგი ფეხით, ზოგი ცხვირით და ზოგი რით. ესენი რომ ვნახე, მაშინ უფრო თავის იმედი გადავიწყვიტე, ვთქვი: მშვიდობით, ცოლო და შვილო-მეთქი!

იქიდანაც ვიარეთ და, როგორც იყო, გავედით ედემისებურ მწვანე მინდორზე. მინდორში საუცხოო ბაღია გაშენებული და შიგ მშვენიერი სასახლე დგას. გადმოვხტით ცხენებიდან; ჩემი თანამგზავრი შევიდა სახახლეში, გამოიტანა ბარი და ნიჩაბი, ბაღში შემომიხაზა ადგილი და მითხრა: აბა, მოთხარე აქაო.

მეტი რა გზა მქონდა. დავიწყე თხრა და თან ვფიქრობდი: ჩემი ხელით ჩემს საფლავს ვთხრი-მეთქი. ვთხარე, ვთხარე და ერთი მშვენიერი კუბო გამოჩნდა. ამოიღეო, მითხრა. ამოვიღე კუბო. ახადეო, მითხრა, ავხადე. დავხედე, ისეთი მშვენიერი ვაჟკაცი იწვა კუბოში, რომ მის დანახვაზე მტერსაც კი ტირილი მოუვიდოდა. მერმე მითხრა: იცი, ძმაო, მე ქალი ვარ! ეს მკვდარი არის ჩემი საქმრო. მე და ამას ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ჩვენმა დედ-მამამ ნება არ მოგვცა. შემდეგ ამას ცოლმა უღალატა და მე — ქმარმა. მეც ქმარს თავი დავანებე. მე რომ კლდეში შევედი და გითხარი, მტერი მყავს-მეთქი, ის იყო, რომელმაც ამისი ცოლი გადაიბირაო.

გახსნა ის აბრეშუმის ხელსახოცი, რომელიც გამოქვაბულიდან გამოიტანა და მაჩვენა ერთი საძაგელი არაბის თავი.

— ეს ჩემი საქმრო რომ კვდებოდა, ასეთი ანდერძი დამიტოვა: ჩემი მტერი მოკალი და შენც ჩემთან მოიკალ თავიო. მე დროზე მინდოდა ამესრულებინა მისი ანდერძი, მაგრამ დღემდე შენს მეტი ვაჟკაცი ვერ ვნახე, რომ ეს ჩემი ამბავი მეამბნა და მასთან ჩემი საქმროს ანდერძი ამესრულებინა. ახლა მე ამას თავი უნდა დავაკლა ზედ და გთხოვ, ამ საფლავში ერთად დაგვასაფლავო, შენ კი ღმერთმა მოგახმაროს ჩემი ცხენი და იარაღი. რაც რამე მოგეწონოს ამ სახლში, ყველაფერი წაიღე და წადიო!

მერმე დაიწყო ტირილი. იტირა და მეც მატირა. იმდენი იტირა, რომ კუბოში ცხედარი სულ ცრემლით დაასველა. მერმე ამოიძრო ხანჯალი, ტარი მიცვალებულს დაუბჯინა, წვერი თვითონ მიიბჯინა გულში, დააწვა და ხანჯლის წვერმა ბეჭებში ამოყო თავი, დააკვდა ზედ. როგორც იყო, გადმოვაბრუნე, ამოვაძრე ხანჯალი და ორივენი ერთად დავასაფლავე. რაც რამ მომეწონა, წამოვიღე და წამოვედი. გამოვიარე ჩემს ამხანაგებთან,

Старуха умоляла сына

ვინც ცოცხალი იყო, ჩამოვხსენი, გავათავისუფლე, ვინც მკვდარი იყო, დავმარხე, ცოცხლებს გავუყავი, რაც წამოვიღე და მოვედი შინ.

აბა, დიდებულო ხელმწიფევ! ჩემს ცოლს რომ ჩემთვის რჩევა არ მოეცა, მეც ხომ იმ ალაგს ჩავვარდებოდი, სადაც ჩემი ამხანაგები იყვნენ? და იმ ქალს რომ თავისი შეყვარებულისათვის ანდერძი არ აესრულებინა, ვინ იცის, საიქიოსაც იმ მშვენიერ ვაჟკაცს დარდად ექნებოდა ჩაყოლილი თავისი მტრის ჯავრი? ახლა ხომ თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ ქალებსაც შეძლებიათ რაღაც? შე დალოცვილო, ერთი წუწკი დედაკაცის გულისათვის ქალაქში მთელი დედათაგანის გაწყვეტა როგორ გინებებია?

რასაკვირველია, მოხუცი ნავეზირალის რჩევა ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა. იმას დიდი, დიდი წყალობა უბოძა და მის შემდეგ თავის სამეფოს უფრო გონივრულად განაგებდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ქალის შარი

ერთი თავადიშვილი გადაეკიდა ერთ ლამაზ ქალსა ისე, რომ სადაც გაივლიდა ის ქალი, ეს ვაჟიც დაბარებულივით იქ გაჩნდებოდა ხოლმე და სატრფიალო სიტყვებს გადაჰკრავდა.

ერთ დღესაც, როცა ვაჟი იმ ქალს შორიახლოს მისდევდა და რაღაცას უჩურჩულებდა, შენიშნა ვიღაც მოხუცებულმა გლახამ. მივიდა ვაჟთან, მოწყალება სთხოვა, დალოცა და თან, სხვათაშორის, დაუმატა: ღმერთმა დაგიფაროს ქალის შარისაგანაო.

ეს სიტყვა ძლიერ ეწყინა ამ ვაჟსა და წამოიძახა: რაო! ქალი რა არის, რომ მისი შარი რა იყოსო?!

ვაჟის ამ პასუხმა ქალს გულზე ძალიან უკბინა და თავის გუნებაში თქვა: მაშ, დამაცა, ახლა კი გიჩვენებ სეირსაო.

როცა კარგა გზა გაიარეს, ერთმანეთს გაუსწორდნენ, მაშინ ერთი პირი შეხედა ქალმა ვაჟს და მომხიბლავად გაუღიმა. ამას გაცნობაც მოჰყვა, გაცნობას დაახლოვება და სხვათა შორის, ჰკითხა ვაჟმა:

— როდის მეღირსება თქვენთან ხლება და ტრფობაო?

ქალმა დრო დაუნიშნა და უთხრა:

— ჩემი ქმარი ამაღამ სხვა ქვეყანაში მიდის და თავისუფლად შეგიძლია მოსვლაო.

მივიდა ვაჟი დანიშნულ დროზე. კარგი სმა-ჭამის დროს კარების რახუნი მოისმა.

— აკი თქვი, ქმარი სხვაგან წავაო? — ჰკითხა გაკვირვებით ვაჟმა.

— ეს უეჭველად ჩემი ძმა იქნებაო, — იცრუა ქალმა და დაუმატა: — ადექ! ჩქარა, დაიმალე, თორემ შენც მოგკლავს და მეცაო!

Ingmar's death on the battlefield

— სად დავიმალო, მაჩვენე ალაგიო! — ამბობს გაფითრებული ვაჟი.

— სადა და, აი, იქაო, — ახადა ერთ დიდ სკივრს და უთხრა: — ჩაჯექ ამაშიო!

ჩაწვა ვაჟი. ქალმა დაკეტა სკივრი, გასაღები ჯიბეში ჩაიდო, წავიდა, კარი გაუღო ქმარსა და შემოიყვანა სიხარულით და ალერსით, სკივრში მყოფის გასაჯავრებლად და ჯავრის ამოსაყრელად. როცა ვახშამზე დასხდნენ, სხვათა შორის, გაეხუმრა და უთხრა ქმარს:

— მე შენ აღარ მინდიხარო!

— რათა, ქალო, რა მოგეჩვენაო? — ეკითხება ქმარი.

— რათა და მყვარობს ერთი ახალგაზრდა თავადიშვილი, დღეს გამომიცხადა სიყვარული და მეც პირობა მივეცი, ის უნდა შევიყვაროო.

— მერმე ვინ არის, სად არისო?! — ეკითხება ქმარი.

— სად არის და აი, იმ დიდ სკივრში! თუ არ გჯერა, აი, გასაღები, გააღე და შენი თვალითა ნახეო, — და გაუწოდა გასაღები.

გაცეცხლებულმა ქმარმა გამოართვა გასაღები თუ არა, ქალმა შესძახა:

— ჰაიდოსთ, მოგიგე, მოგიგეო!

ქმარი გასაღებით ხელში დარჩა გაშტერებული, აქამდის მართალი ახლა სიცრუე ეგონა, მოტყუებულად ჩათვალა თავი.

მეორე დილას ქალმა ვაჟი სკივრიდან ამოსვა, გზა დაულოცა და თან დაუმატა:

— ახლა ხომ ნახე ქალის შარიო, წადი და სადაც შენი თქვა, იქ ჩემიცა თქვიო!

ვაჟმა ჩაილაპარაკა: ტყუილად არ უთქვამს გლახას: ქალის შარისაგან ღმერთმა დაგიფაროსო.

მზეთუნახავი და ხელმწიფის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ვაჟი.

იმ სახელმწიფოში ერთი მზეთუნახავი ქალი იყო. ის ქალი არავის ეჩვენებოდა უფასოდ. იმისი ერთი ხელი რომ ენახათ, ასი თუმანი უნდა მიეცათ და მთლიანად რომ ენახათ — უთვალავი ფული.

ხელმწიფის შვილებს ძლიერ უნდოდათ ამ ქალის ნახვა. უფროსს და საშუალოს მისცა მამამ ფული და ორივემ ნახა. უმცროსს კი არ მისცა. ეწყინა ძალიან. წავიდა გზაზე, მიდის და ტირის, შემოხვდა ერთი ქოსამატყუარა და ჰკითხა: რა გატირებსო?

— ჩემმა ძმებმა კი ნახეს მზეთუნახავი, მისცა მამაჩემმა უთვალავი ფული და მე კი არ მომცა, რომ მენახაო, — უპასუხა ხელმწიფის შვილმა.

— წადი, ერთი თხა და სადგისი იყიდე, წავიდეთ და იმ მზეთუნახავს მალე გაჩვენებო, — უთხრა ქოსამატყუარამ.

წავიდა ვაჟი, იყიდა ერთი თხა, იშოვა სადგისები, წამოიყვანა, წამოიღო და მოიტანა.

მივიდნენ მზეთუნახავის სახლის წინ, წააქციეს თხა და დაუწყეს სადგისებით ჩხვლეტა: ვითომდა კლავდნენ, აჩხავლებდნენ თხასა. შეცვივდნენ მოსამსახურეები და მოახსენეს მზეთუნახავს: აბა, გამოდი, ქალბატონო, რანაირად კლავენ იმ თხას ის კაცებიო! გამოვიდა მზეთუნახავი და ხელმწიფის შვილმა დაინახა ეს ერთხელ. უბრძანა მზეთუნახავმა მსახურებს:

— ჩადით, დაუკალით, როგორც რიგი და წესი იყოსო!

ჩავიდნენ, დაუკლეს, ქვაბში ჩაუყარეს და დადგეს ცეცხლზე. აიღო ქოსამატყუარამ ქვაბი და პირქვე მოაბრუნა. შევიდნენ კიდევ მოსამსახურეები მზეთუნახავთან და მოახსენეს:

— აბა, გამობრძანდი, ქალბატონო, რასა შვრებიან ის კაცებიო.

გამოვიდა მზეთუნახავი და უბრძანა მსახურებს:

— ჩადით და, როგორც რიგი და წესი იყოს, ისე მოუხარშეთო!

ეს მეორედ ნახა ხელმწიფის შვილმა მზეთუნახავი.

ჩავიდნენ მსახურები, გაურეცხის ხორცი, ჩაყარეს ქვაბში და შედგეს ცეცხლზე. როდესაც მოიხარშა, მიუსხდნენ ქოსამატყუარა და ხელმწიფის შვილი. ხან ერთი ჩასცემს პირს და ხან მეორე, იწვავენ ლაშებს. ამას ნახავენ ქალის მსახურები, შეევლენ და მოახსენებენ მზეთუნახავს:

— აბა, გამობრძანდით, ქალბატონო, ის კაცები რასა შვრებიანო!

მზეთუნახავმა უბრძანა:

— ჩადით, ამოიყვანეთ აქ, მადლია, დავსხათ და ვაჭამოთ, როგორც რიგი და წესი იყოსო!

ჩავიდნენ, ამოიყვანეს, დასხეს, ასვეს და აჭამეს. ბოლოს, ძილი მოეკიდათ, ხან ქოსა გაწვება ხელმწიფის შვილზე, ვითომ ლეიბიაო, ხან ხელმწიფის შვილი — ქოსამატყუარაზე.

უბრძანა მზეთუნახავმა მსახურებს:

— ეგ ქოსა თქვენ წაიყვანეთ, დააწვინეთ და ამას მე დავაწვენო! დაწვა ქალი და მოიწვინა ხელმწიფის შვილიც გვერდზე. უთხრა:

— აი, ასე უნდა წოლა. ხელი არ გაანძრიო, თორემ ახლავე თავს მოგჭრი. ხვალ სამ ოქრო-ვერცხლით აკიდებულ ჯორს მოგცემ, წაიყვანე და, თუ ერთიორად აქცევ, ქმრად შეგირთავ, და თუ ვერა — არაო.

წამოასხა ეს ჯორები. არის დაღონებული: ერთიორად როგორ უნდა ვაქციოო! მოვიდა ერთ მეხაშესთან და უთხრა:

— აჰა, ეს ჯორი და, რომ ჩამოვიარო, ერთი თავი მომეციო.

გაუხარდა მეხაშეს ძალიან. აიარა კიდევ, ერთი მემაწვნეს მისცა:

— რომ ჩამოვიარო, ერთი ქილა მაწონი მომეციო.

წავიდა და ერთიც მესაბლეს მისცა:

— რომ ჩამოვიარო, ერთი საბელი მომეციო.

დარჩა ცარიელი და წავიდა დაღონებული. შემოეყარა ერთი კაცი და ჰკითხა:

— რადა ხარ დაღონებულიო?

— იმიტომა ვარ დაღონებული, რომ მზეთუნახავმა სამი ოქრო-ვერცხლით აკიდებული ჯორი მომცა; თუ ერთიორად ვაქცევდი, შემირთა-

ვდა. სამივ ტყუილუბრალოდ დაგკარგე, ერთი მეხაშეს მივეც, ერთი — მემაწვნეს, ერთიც — მესაბლეს და დავრჩი ცარიელიო.

კაცმა უთხრა:

— ამა და ამ ადგილას ერთი ხე დგას, იქ წადი, იმ ხესთან მოელენ ის შენი მეხაშე, მემაწვნე და მესაბლე. შენ იმ ხეზე დაიმალე. იქ მოვა მათი უფროსიც და იმას ეტყვიან ყველა თავის ზარალ-სარგებელსა, თუ გეშველება, იქ გეშველებაო!

წავიდა ხელმწიფის შვილი. მიაგნო იმ ხეს, ავიდა ზედ და დაიმალა. მოვიდნენ ის კაცებიცა და მათი უფროსიც.

— აბა, რა მოიგეთ, რა წააგეთო? — ჰკითხა უფროსმა.

მეხაშემ უთხრა:

— გუშინ კარგი მოგება ენახე, ერთი კაცი მოვიდა, ერთი ოქროვერცხლაკიდებული ჯორი მომცა და, რომ ჩამოიელის, ერთი თავი უნდა მივცეო.

— შენ მოგება არ გინახავს, — უპასუხა უფროსმა, — იქნებ კაცის თავსა გთხოვსო?!

გამობრუნდა დაღონებული მეხაშე.

ახლა მემაწვნე მოვიდა.

— შენ რაღა წააგე, ან მოიგეო?! — ჰკითხა უფროსმა.

— გუშინ დიდი მოგება მქონდა, — უპასუხა მემაწვნემ, — ერთმა კაცმა ჩამოიარა, ერთი ოქრო-ვერცხლით დატვირთული ჯორი მომცა და, რომ ჩამოივლის, ერთი ქილა მაწონი უნდა მივცეო.

— ვერ გქონია კარგი მოგება, — უთხრა უფროსმა, — იმან რომ ჩამოიაროს და ადამიანის რძისა გთხოვოს, საიდან მოუტანო?

წავიდა ისიც დაღონებული.

ახლა მესაბლე მოვიდა.

— შენ რაღა ჰქენიო?! — ჰკითხა უფროსმა.

— მეც გუშინ დიდი მოგება მქონდა; ერთი კაცი მოვიდა, ერთი ოქროვერცხლაკიდებული ჯორი მომცა და, რომ ჩამოივლის, ერთი საბელი უნდა მივცეო.

— ვერაფერი მოგება გქონია, — უპასუხა უფროსმა, — იმ კაცმა რომ შენი ულვაშების თოკი გთხოვოს, საიდან მოუტანო?!

ისიც დაღონებული წავიდა. უფროსიც თავის გზაზე წავიდა.

ჩამოვიდა ხელმწიფის შვილიც და წამოვიდა მაშინვე მეხაშესთან.

— აბა, გამოიტანე დაპირებული თავიო!

მეხაშემ ერთი კარგა გაკეთებული ცხვრის თავი გამოუტანა.

— აჰა, წაიღეო.

— არა, — უპასუხა ვაჟმა, — ჩვენი პირობა ეგ არ იყო. ან ერთიორად ჩემი ოქრო-ვერცხლი და ან კაცის თავიო!

რა მეტი ღონე ჰქონდა მეხაშეს, გამოუტანა და ერთიორად მისცა ოქრო-ვერცხლი. წამოიღო ვაჟმა და ახლა მემაწვნესთან ჩაიარა.

— გამომიტანე ქილაო!

მემაწვნემ ერთი ქილა მაშინვე გამოუტანა.

— პირობა ეს არ იყო, — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა, — თუ ადამიანის რძისა არ იქნება, არ მინდაო.

წაართვა იმასაც ერთიორად ოქრო-ვერცხლი და წამოვიდა. ჩაუარა მესაბლეს.

— გამომიტანე ჩემი საბელიო!

მესაბლემ ერთი კარგი საბელი მოუტანა, ინებეთო.

— ეს არ მინდა, — უპასუხა ვაჟმა, — შენი ულვაშებისა უნდა იყოს, არა და, ერთიორად, რაც მომიციაო!

წაართვა ერთიორად და წამოვიდა გახარებული. მიუტანა ქალს, შეირთო და გაიხარა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი

ერთი დიდებული ხელმწიფე იყო. როდესაც დაბერდა და სიკვდილის ჟამს მიაღწია, დაუძახა თავის ერთადერთ მემკვიდრეს და უთხრა:

— შვილო, ხომ ხედავ შენი თვალით, დღეს არა, ხვალ მოვკვდები, ფეხი სამარეში მიდგას, ქვეყანა შენ ხელთ უნდა მოექცეს. წადი ახლა და ყველა მხარეში თითო სახლი აიშენე, რომ გაჭირვება იქნება, თუ სხვა რამე, თავი იქ შეაფაროო.

შვილმა გაუგონა მამას ბრძანება, დაუხანებლად ადგა, წაიღო ფული და წავიდა თავის სახელმწიფოში. სადაც მოეწონება ადგილი, მთა იქნება, გორა, სოფელი თუ ტყე, მშვენიერი სახლები ააშენა. როცა ყველგან მორჩა სახლების აშენებას, დაბრუნდა მამასთან.

მამამ დაიბარა შვილი თავისთან და გამოჰკითხა ყველაფერი:

— რა ჰქენ, შვილო, ააშენე ყველგან სახლები, როგორც გითხარ, თუ არაო?

— ავაშენე, — უპასუხა გულდამშვიდებით შვილმა, - სადაც ან მთა, ან კორდი მომეწონა, ყველგან მშვენიერი სასახლე დავიდგიო.

— ვაჰ, შენ მტერსა, შვილო, შენ ის სახლები არ აგიშენებია, რაც მე გითხარი. ცარიელი სახლები, შვილო, გაჭირვებაში კაცს ვერ შეიფარებენ. მე ის გითხარი, წადი, ყველა ქვეყანაში თითო პატიოსანი კაცი დაიმეგობრე, შეიყვარე და შენი სახლი ის იქნებოდა. რა ქვეყანაშიაც კაცს კარგი და პატიოსანი მეგობარი ჰყავს, იქ იმისთვის სახლიც არის და ბინაცაო.

ცრუ და მართალი კაცი

იყო ორი ამხანაგი. ერთი ცრუ და მეორე — მართალი. ცრუს თავის დღეში სიმართლე არ ეთქვა და მართალს — სიცრუე.

ერთხელ ცრუმ უთხრა მართალს:

— გავიმზადოთ საგზალი, წავიდეთ ბედის საძებნელად, იქნება ხეირს შევეყაროთო.

— კარგიო, — მიუგო მართალმა.

გამოაცხვეს პურები, მჭადები და გაუდგნენ გზას. საგზალი ცრუმ წამოიკიდა ზურგზე.

იარეს, იარეს, მოჰშივდა მართალს და შეეხვეწა ცრუს:

— ცოტა თუ არ მაჭამე, შიმშილისაგან დავსუსტდი, სიარული აღარ შემიძლიაო.

ცრუმ უარი უთხრა.

— რა დროს ჭამაა, ფეხი გამოადგი ჩქარაო!

რას იზამდა მართალი კაცი, განაგრძო სიარული, მაგრამ უარესად დასუსტდა და ისევ შეევედრა ამხანაგს:

— ცოტა მაინც მაჭამეო!

ცრუ ამხანაგმა უთხრა:

— თუ მარჯვენა თვალს ამოიგლეჯ, გაჭმევო!

რაღა უნდა ექნა მართალს, შიმშილით კუჭი ეწვოდა, ამოითხარა მარჯვენა თვალი და ლუკმისათვის ხელი გაიშვირა.

ცრუმ კიდევ იცრუა და უთხრა ამხანაგს:

— ჯერ ცოტა კიდევ იარე და მერმე გაჭმევო!

ძლივსძლივობით კიდევ განაგრძო მართალმა გზა, მაგრამ შიმშილმა ძლიერ შეაწუხა და ისევ სთხოვა ამხანაგს პატარა მჭადი.

ცრუმ უთხრა:

— სანამ მეორე თვალს არ ამოითხრი, არას გაჭმევო!

მართალს მეტი რაღა გზა ჰქონდა, ამოითხარა მარცხენა თვალიც და მჭადისათვის ცრუს ხელი გაუშვირა.

ცრუმ მჭადის ნაცვლად ბრმას ხელში ქვა ჩაუდო და სადღაც გაეპარა.

დარჩა მართალი თვალებდათხრილი მარტო უდაბურ ტყეში. შეწუხდა საწყალი, მაგრამ რას იზამდა. გადადგა ორი ნაბიჯი და ხეს დაეჯახა. იფიქრა, ძირს რომ დავრჩე, ნადირი შემჭამსო და დიდი გაჭირვებით ხეზე აცოცდა. მოუსვა ხელები აქეთ-იქით და ხელში მწიფე მსხალი მოჰყვა: ხეს თურმე მსხალი ესხა. დაიწყო ბრმამ ჭამა და გაძღა.

გავიდა ცოტა ხანი და ბრმას ხის ძირიდან რაღაც ხმა შემოესმა. თურმე სამი ქაჯი მოსულა და ერთიმეორეს რაღაცას ელაპარაკებიან.

ქაჯებმა თქვეს:

— ვთქვათ, ვინც რა ვიცითო.

ერთმა დაიწყო:

— აქ მეგულება ერთი წყალი და ზევით, ხეზე რომ ბრმა ზის, ის რომ წყლით თვალს ამოირეცხავდეს, მაშინვე აეხილებაო.

მეორემ თქვა:

— ამა და ამ ქვეყანაში ფულის ქესატობაა, იქ ერთი დიდი ჭადრის ხეა. მის ძირში აუარებელი ფულია; ვინც ჭადარს მოთხრის, ფულიც მისი იქნებაო.

მესამემ თქვა:

— ამა და ამ მეფეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს და უკვდება. ვერავინ უშველა და არც მორჩება, თუ არ მოკლეს ის ბაყაყი, რომელიც ქალის ტახტის ქვეშა ზისო.

ბრმამ გაიგონა ქაჯების ნალაპარაკევი.

ქაჯები წავიდნენ. ბრმა ჩამოცოცდა ძირს, როგორც იქნა, მოძებნა წყალი, ამოიბანა თვალები და მორჩა, აეხილა თვალები.

წავიდა ჭადრის ხის საძებრად და იმასაც მიაგნო. მივიდა იქაურ მეფესთან და მოახსენა:

— რას მარგებ, იმდენი ფული რომ აღმოვაჩინო, შენს სახელმწიფოში ყველას ეყოსო?

მეფემ უპასუხა:

— ოღონდ აღმოაჩინე და რამდენიც გენებოს, წაიღეო.

წავიდა მართლი კაცი, წაიყვანა მეფის კაცები, მივიდა ჭადართან, მოთხარა, ამოიღო უამრავი ფული და მეფეს მიუტანა. ერთი ჯორკიდებული თვითონ აიღო და მეფეს მიაბარა.

მართალი კაცი წავიდა მეორე სახელმწიფოში, მივიდა იქაურ მეფესთან და მოახსენა:

— მეფეე, რას მიბოძებ გასამრჯელოდ, ქალი რომ მოგირჩინოო?

მეფე დაჰპირდა:

— ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ, თუკი ქალს მომირჩენო.

შევიდა მართალი ქალის ოთახში, გამორეკა ყველა გარეთ, მონახა ტახტქვეშ ბაყაყი, მოკლა და ქალიც მორჩა.

გახარებულმა მეფემ უხვად დაასაჩუქრა ეს ექიმი, გამოატანა ჯორკიდებული და გამოისტუმრა.

მართალმა კაცმა გამოიარა პირველ მეფესთან, გამოართვა მიბარებული ფული და წამოვიდა სამშობლოში. დაიწყო მდიდრული ცხოვრება.

გაიგო ცრუმ მართალი ამხანაგის გამდიდრება, მოვიდა და ჰკითხა: რამ გაგამდიდრაო?

მართალმა ყველაფერი სიმართლით უამბო.

ცრუმ იფიქრა: აგშენდი კაციშვილი, თუ ასე ადვილად შეიძლება გამდიდრებაო, წავიდა ტყეში, მონახა ის მსხლის ხე და აცოცდა ზედ. ღამით მოვიდნენ ქაჯები ხის ძირში და დაიწყეს ლაპარაკი. ცრუ სმენად გადაიქცა.

ერთმა ქაჯმა თქვა:

— ამ ხეზე ცრუ კაცი ზის, ჩამოვიყვან ძირს და ერთს მაგრად მივბეგვავო.

მეორემ თქვა:

— მე მოვკლავო.

Ученый Мальчик и Разбойники

მესამემაც დაუმატა:

— ეს მოლესილი დანა რად მინდა? მე სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევო.

ქაჯებმა შეასრულეს თავიანთი ნათქვამი: ერთმა ძირს ჩამოიყვანა ცრუ და მიბეგვა, მეორემ მოკლა, მესამემ გალესილი დანით აკუწა.

მეფე და მსახური

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. ძალიან უყვარდა ქეიფი და დროსტარება. ჰყავდა ერთი მსახური, რომელიც ჰკიცხავდა მის ასეთ საქციელს და ხშირად უსაყვედურებდა: მეფეს მთელი ქვეყანა აბარია, იგი მხოლოდ თავისთავის დაკმაყოფილებაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ ხალხის ბედსა და აე-კარგზეო.

მეფე მაინც არ იშლიდა თავისას და ცდილობდა, ჭკუის დამრიგებელი მსახური თავიდან მოეშორებინა.

ერთხელ მოიხმო მეფემ მსახური თავისთან და უთხრა:

— სამ კითხვას მოგცემ და სამი დღის ვადას გაძლევ, თუ სამი დღის განმავლობაში სამივე არ ამიხსენი, თავს მოგჭრიო!

— ბრძანეთო! — მიუგო მსახურმა.

მეფემ დაიწყო: დალიე მთელი ზღვა; გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა და მითხარი, რას ვფიქრობ მეო!

წამოვიდა დაღონებული მსახური. არ იცის, რა ქნას, დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელის.

გზაზე ბერიკაცი შეხვდა.

— გამარჯობა შენი, რას ჩაფიქრებულხარ აგრე მწარედო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ეჰ, როგორ არ ჩავფიქრდე, დღეს თუ ხვალ სიცოცხლეს უნდა გამოვესალმოო,— მიუგო მსახურმა და თანაც ბერიკაცს ყველაფერი უამბო.

— ნუ გეშინია, მაგ გაჭირვებისაგან მე გიხსნი. შენ მხოლოდ მეფეს ერთი ტომარა ნართი გამოართვი და სხვა მე ვიცი და ჩემმა გამოცდილებამაო, — უთხრა მოხუცმა.

მსახურს ძალიან გაუხარდა და მეფეს ერთი ტომარა ნართი სთხოვა. მეფემაც მისცა.

მოხუცმა ჩაიცვა მსახურის ტანისამოსი, ნართიანი ტომარა ზურგზე წამოიკიდა და ასე ამგვარად მეფესთან მივიდა.

— რა ჰქენი, ახსენი ჩემი კითხვები? — დაეკითხა მისველისთანავე მეფე მოხუცს, რომელიც მას მართლა თავისი მსახური ეგონა.

— კი, შენი ჭირიმე, ავხსენი!

— დალიე ზღვა?

— დავლევ, ბატონო, თუ შეაჩერებ ყველა იმაში შემავალ მდინარეს და შიგ აღარ ჩაუშვებო.

მეფემ გაოცებით შეხედა.

— გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა?

— გავიგე, ბატონო, აგერ ზომაც მოგიტანეთ, აი, ეს ნართი. თუ არა გჯერათ, თქვენ თვითონ გაზომეთ და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობო, — მიუგო მოხუცმა.

— კარგი, ვთქვათ, ეს ასეა, ახლა მითხარი, მე რასა ვფიქრობო?

— თქვენ, ბატონო, ახლა იმას ფიქრობთ, თითქოს თქვენ წინაშე მსახური იდგეს, მაგრამ მოტყუებული ბრძანდებითო.

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა მსახურის ტანისამოსი გაიხადა.

მეფე მიხვდა, რომ მოტყუვდა, შერცხვა, გაწითლდა და მსახური კიდევ უფრო შეიყვარა.

მზე და წვიმა

ერთ გლეხკაცს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი მხვნელ-მთესველს მისცა ცოლად, მეორე — თიხის ჭურჭლის ოსტატს.

გავიდა ხანი და ცოლმა უთხრა გლეხს:

— წადი, ნახე, შენი შვილები როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ და რა ულხინთო!

გლეხი მართლაც წავიდა. მიადგა მხვნელ-მთესველი სიძის კარს. მოიკითხეს ერთმანეთი. გლეხმა ჰკითხა სიძეს:

— შენს მოსავალს რა პირი უჩანსო?

— აბა, რა გითხრა, თუ ამ ერთ კვირაში წვიმა არ მოვიდა, სულ დავილუპებიო.

გლეხი ახლა მეორე სიძესთან მივიდა. იმასაც ჰკითხა:

— როგორ არის შენი საქმე, ჭურჭელი ბლომად გაგიკეთებია, ხომ მაგრად შეხვდები ამ ზამთარსო?

— აბა, რა გითხრა, — უპასუხა სიძემ, — თუ ამ ერთ კვირაში სულ მზიანი დღეები იქნება, კარგა გამოვაშრობ ჭურჭელს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, და თუ წვიმა გატყვრა — დავილუპებიო.

დაბრუნდა გლეხი შინ. ცოლმა ჰკითხა:

— როგორ არიან ჩვენი შვილებიო?

— ამ ერთ კვირაში ან ერთი დაგველუპება, ან მეორეო, — უპასუხა გლეხმა.

პატარძალი

იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყავდა ერთი ვაჟი. სამივენი მუყაითი მშრომელები იყვნენ. გათენებიდან დაღამებამდე ვენახში მუშაობდნენ. ოჯახის მომვლელი და ვახშმის გამკეთებელი არავინ ჰყავდათ. გადაწყვიტეს — ვაჟი დავაქორწინოთ, ვაჟსაც გავახარებთ და ოჯახის მომვლელსაც ვიშოვნითო.

ასეც მოიქცნენ. მოიყვანეს პატარძალი, მაგრამ ძალიან უსაქმური გამოდგა. დილით ადგებოდა თუ არა, შეჯამდა, რაც დაუხვდებოდა, მერმე მეზობლის კარზე ჩამოჯდებოდა და ლაპარაკსა და მზესუმზირას კნაწუნში ატარებდა დღეს.

საღამოს დაღლილი დედამთილი შეუდგებოდა ვახშმის მზადებასა და სახლის მოვლას. შეწუხდა ცოლ-ქმარი. გადაწყვიტეს: საღამოს ერთმანეთს შევეცილოთ საქმეში, შერცხვება პატარძალს და ის გაიკეთებსო. პირში თქმა ვერ გაუბედს — ცოლ-ქმარში უსიამოვნება არ ჩამოვაგდოთო.

ერთ საღამოს დაღლილმა დედაკაცმა კოკას დააკლო ხელი: წავალ, წყალს მოვიტან, წვეთი არ გვიდგა ყელამომხმარ ხალხსაო!

კაცმა წაატანა კოკას ხელი:

— რას ამბობ, დედაკაცო, დღეს მთელი დღე მუშაობდი და ახლა წყლის მოტანა შეგიძლიაო?

დედაკაცმა მაინც არ დაანება.

— შენ კი რა, მხართეძოზე იყავ წამოწოლილი? მთელი დღე თოხმა მოგკლა, ახლა კოკას მოგცემ ხელშიო?

პატარძალი, რომელიც აქამდე ქმართან ლაზღანდარობაში იყო გართული, მოუბრუნდა დედამთილ-მამამთილს და უთხრა:

— რა გაჩხუბებთ, ხალხო, ჯერ ერთმა მოიტანეთ წყალი და მერმე — მეორემაო!

ბატონი და ყმა გლეხი

ერთხელ ბატონი საეკლესიო დღესასწაულზე სანადიმოდ წავიდა, თან შინაყმა გლეხი გაიყოლა.

მიდიოდნენ ცხენებით, ზედ ხურჯინებით ეკიდათ ხორაგი, პური და ღვინო. მდინარე უნდა გადაეკვეთა. ხიდი შორს იყო. ბატონი წინ მიდიოდა,

ხიდისაკენ მიმავალ გზას გადაუხვია და მდინარის პირდაპირ გადალახვა მოიწადინა.

ყმამ უთხრა:

— ბატონო, შენი ჭირიმე, გაზაფხულდა, წყალი ადიდებულია, საშიშია, ხიდზე მოვუაროთო!

ბატონმა უთხრა:

— ბრიყვო, სულელო, სანამდე ხიდზე მოვუელიდეთ, მე ცხენის ჯირითიც დამთავრებული მექნება, ქეიფობაც და ცეკვა-ჭიდაობაცო!

ყმა გაჩუმდა. მიადგნენ მდინარეს. ბატონმა ადიდებული მდინარე რომ დაინახა, ცოტა შეკრთა, ცხენი შეაჩერა და ყმას მიმართა:

— მოდი, ბიჭო, წინ შენ წადიო!

ყმამ ცხენი შეაჩერა, ხელები გაასავსავა და ბატონს მორიდებით მიმართა:

— რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო, ღმერთმა ნუ მომასწროს იმ დღეს, რომ ბატონზე წინ ფეხი გადავდგაო!

ბატონმა ყმის ეს თავაზიანი შენიშვნა მიიღო, ცხენს მათრახი შემოჰკრა და მდინარეში შეაგდო. აზვირთებულმა მდინარემ ცხენიცა და ბატონიც მაშინვე ყირამალა ამოატრიალა. ერთი-ორი გადატრიალების შემდეგ მდინარემ ბატონი და ცხენი ერთმანეთს დააცილა და ჩაძირა.

ყმამ ხელი ჩაიქნია და მიაძახა ბატონს: გეზარებოდა ხიდზე მოვლა და იარე, სანამ არ მოგეწყინებოდეს; ხურჯინში ღვინო და პური ბევრი გაქვს და წყალიც არ შემოგაკლდება, მშვიდობით მგზავრობა გქონდესო! — და შინისაკენ გაბრუნდა.

ჯეელი მოსამართლე და მისი ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჯეელი მოსამართლე, ხალხის საყვარელი კაცი.

ცოლი უნდა შეერთო. თქვა: ისეთი ქალი უნდა ვითხოვო, ჩემს საქმეში არ ჩაერიოსო.

მოეწონა ერთი ღარიბი კაცის ქალი. უთხრა:

— გითხოვ, თუ ჩემ საქმეში არ ჩაერევიო.

ქალი დათანხმდა. დაქორწინდნენ. ცხრა დღე და ღამე იყო მათი ქორწილი. მოსამართლე საქმეზე დადიოდა, ქალი ოჯახს უვლიდა.

ერთხელ ამ სოფელში მეურმეები გაჩერდნენ. შორი გზიდან მოდიოდნენ და იქ დაულამდათ. ცოტა ხნის შემდეგ მათთან ცხენოსანი კაცი მივიდა და სთხოვა:

— კეთილო ადამიანებო, ნება დამრთეთ, მეც აქ, თქვენთან ერთად გავათიო ღამეო!

— მობრძანდი, დაისვენე, პური ჭამე, დარჩიო! — უპასუხეს მეურმეებმა.

ცხენოსანიც ჩამოხტა. პური ჭამეს, დაწვნენ და დაიძინეს. დილით ნახეს, რომ ცხენს კვიცი მოეგო და ურმის ქვეშ იწვა. მეურმეებმა თქვეს:

— ეს კვიცი ურემმა მოიგოო!

— არა, კაცო, ჩემმა ცხენმა მოიგოო! — უთხრა მგზავრმა.

ვერ მორიგდნენ. ჩხუბი მოუვიდათ. წავიდნენ მოსამართლესთან და დაუძახეს, ცოლი გამოვიდა, მოსამართლე შინ არ იყო.

— რა გაგჭირვებიათ, რაზე ჩხუბობთო?

— ესე და ესეა საქმე, ჩვენმა ურემმა კვიცი მოიგო, ეგ კაცი კი გვედავება, ჩემმა ცხენმა მოიგოო! — შესჩივლეს მეურმეებმა.

ქალმა ხმა არ გასცა, მოტრიალდა და შინ შევიდა. გვიან გამოიხედა. მოთმინებადაკარგულმა მეურმეებმა უთხრეს:

— სად ხარ აქამდის, ხმა რატომ არ გაგვეცი, გვეჩქარებაო!

— ჩემი სახლის უკან მდინარეს ცეცხლი წაჰკიდებია, გავიქეცი, ფიჩხი დავაყარე, ცეცხლი ჩავაქრე და აი, ეს არის მოვედიო! — უპასუხა ქალმა.

მეურმეებმა გაიკვირვეს:

— აბა, ქალო, რას ამბობ, წყალს ცეცხლი როგორ მოეკიდებოდაო?!

— წყალს თუ ცეცხლი არ მოეკიდებოდა, ვერც ურემი მოიგებდა კვიცსა. ეს კვიცი ცხენისაა და არა ურმისაო! — უთხრა მათ ქალმა და შინ შევიდა.

მეურმეები გაწბილდნენ. სად იყო, სად არა, ამ დროს მოსამართლეც მოვიდა, ცოლს ჰკითხა:

— ვინ იყვნენ ისინი, რას ელაპარაკებოდიო?

ცოლმა ყველაფერი უამბო.

მოსამართლე გაბრაზდა და ცოლს უთხრა:

— შენ პირობა დაგირღვევია, ჩემს საქმეში ჩარეულხარ, უნდა გავიყაროთ, ახლავე ადექ, წაიღე, რაც ყველაზე უფრო მოგწონს ჩემს ოჯახში, შეაბი ურემი და სახლიდან წადიო.

ქალი რაღას ეტყოდა, პირობა პირობა იყო!

— რახან ასეა, წავალ, ოღონდ გასაყრელი პური მაინც ვჭამოთ ერთადო.

— კარგი, ვჭამოთო! — დაეთანხმა მოსამართლეც.

დასხდნენ პურის საჭმელად. ცოლმა დააძალა კაცს ღვინო და დაათრო, მოსამართლეს ჩაეძინა. ქალმა შეაბა ურემი, ქმარი ზედ დააწვინა, თბილი საბანი დაახურა და ხარებს შოლტი გადაჰკრა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, შევიდნენ ერთ გაუვალ ტყეში. მთვრალ მოსამართლეს გამოეღვიძა. გონს რომ მოვიდა, შეეშინდა:

— ქალო, ეგ რა გიქნია, სად მიგყავარ?

— ხომ მითხარი, რაც ყველაზე უფრო მოგწონს, წაიღე და წადიო, მეც შენს ოჯახში შენს მეტი არაფერი მომწონს და, აი, წამოგიყვანეო!

მოსამართლეს შერცხვა და ურემი შინისაკენ მოაბრუნა. ცოლიც შინ წამოიყვანა და რჩევასაც ხშირად ისმენდა მისგან.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ოქრუა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ერთი ვაჟიშვილის მეტი არავინა ჰყავდა. მამა დღე და ღამე იმის ცდაში იყო, რომ შვილისათვის ბლომად სიმდიდრე დაეტოვებინა.

შვილი წამოიზარდა, გადააბიჯა ოც წელიწადს თუ არა, გაიჩინა ძმაკაცები და ქეიფს მიჰყო ხელი. მამა ძალიან წუხდა, დარიგებაც ბევრჯერ მისცა, მაგრამ შვილი მაინც თავისას არ იშლიდა.

ერთხელ მამა ძლიერ ავად გახდა, სიკვდილის პირს მიეწურა. დაიბარა შვილი და უთხრა:

— შვილო ოქრუა! მე ვკვდები და მსურს ანდერძი დაგიბაროო.

— გაძლევ მაღლა ღმერთსა და ძირს დედამიწას, შენი ანდერძი არ დავარღვიო და შევასრულოო, — უთხრა ოქრუამ.

— მაშ, კარგი, შვილო, ოთხ რამესა გთხოვ:

პირველი: რაგინდ ძლიერ საშური საქმე გქონდეს, ზარების რეკა რომ გაიგონო, გადაუხვიე, შედი საყდარში, ღმერთი ილოცე, ხალხს გამოელაპარაკე და ისე წადი შენს გზაზეო.

მეორე: ძმაკაცებს უფრთხილდი. გზაზე რომ მიდიოდე და შეჩერდე, თუ ამხანაგმა არ შეგიცადა, ის სანდო არ არის და მოერიდე. სანამ კაცი მგზავრობასა და საქმეში არ გამოიცნო, მეგობრად ნუ გაიხდიო.

მესამე: ქალს ყოველივე შენს საიდუმლოს ნუ ეტყვიო.

მეოთხე: თუ ვინიცობაა, ძალიან გაგიჭირდეს ცხოვრება, სასოწარკვეთილებამ დაგძლიოს და თავი სასიკვდილოდ გაიმეტო, მაშინ სხვენზე რომ თაგვაკვია მიჭედილი, იმაზე ჩამოიხრჩე თავიო.

შვილმა პირობა მისცა, ყოველივე ნაანდერძევს შევასრულებო.

კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოქრუას მამა. ოქრუამ, როგორც რიგი იყო, ისე გაასვენა, ყოველივე რიგი და წესი შეუსრულა. მიცვალებულ მამას გლოვობდა. გარშემოხვეულმა ძმაკაცებმა მაინც არ მოასვენეს, შავი თითქმის ძალათი შემოახიეს ტანზე და გულჯავრის გადასაყრელად საქეიფოდ გაიტაცეს.

ოქრუას სანამ ქონება და შეძლება ჰქონდა, გამუდმებით ქეიფობდა. მამის სიკვდილის ოთხი-ხუთი წლის შემდეგ თანდათან შემოაკლდა ქონება და, ბოლოს, მთლად გაღარიბდა, ძმაკაცებიც ჩამოშორდნენ. გზაში რომ შეხვდებოდნენ ოქრუას ძმაკაცები, პირს მოარიდებდნენ და გამარჯვებასაც აღარ ეუბნებოდნენ.

ოქრუა დარწმუნდა, რომ ყველა ძმაკაცი მხოლოდ სიმდიდრე-ქონების მეგობარი ყოფილა, მისი კი — მტერი და დამლუპველი. დარწმუნდა, მაგრამ გვიანღა იყო, მაშინ გასაფრთხილებელიც აღარა ჰქონდა-რა.

იგი ნახევარჯერ მშიერი დადიოდა და ლუკმის მიმწოდებელი არავინა ჰყავდა.

ერთხელ სხვაგან წავიდა და გზაში საქეიფო ბალებთან ჩაიარა, დაინახა, რომ ერთ ბაღში ყველა მის ძველ ძმაკაცს მოუყრია თავი და გახურებულ ქეიფში არიან. ოქრუას არ მოუთმინა გულმა და მოინდომა მათთან შესვლა. მებაღემ კარებში არ შეუშვა:

— შენისთანა დახეულ-დაგლეჯილს აქ რა უნდაო!

ღობეზე გადახტა და მივიდა მათთან. მოქეიფეებმა არ მიიღეს:

— საიდან მოთრეულხარ, გასწი, დაიკარგე აქედანაო!

— ხალხო! მე თქვენი ძმაკაცი და მეგობარი ოქრუა არა ვარ? მთელი ჩემი ცხოვრება თქვენ შეგაჭამეთ და ახლა ვეღარა მცნობთ, რომ გავღარიბდიო?

— რას როტავ, ვინ ოქრუა, რა ოქრუა! აქედან გაეთერი, თორემ სულ კინწისკვრითა და პანღურით გაგაგდებთო!

ამ ლაპარაკსა და დავიდარაბაში ძაღლს ცეცხლზე დაფიცხებული მწვადი მოეტაცა. სტაცეს ხელი ოქრუას, მისწი-მოსწიეს: თქვი, მწვადი რომ მოიპარე, სად წაიღეო!

— არა, ღმერთი, რჯული, მწვადი არ მომიპარავს, მე დავინახე, რომ ერთი ყურშა ძაღლი მიარბენინებდა შამფურიან მწვადსაო.

— რას ყბედობ, შამფურიან ცხელ მწვადს ძაღლი როგორ წაიღებდაო! — და საწყალი ოქრუა სულ კინწისკვრით გამოაგდეს ბაღიდან.

გალახული და შეურაცხყოფილი ოქრუა საშინლად დაღონებული მიდიოდა შინისაკენ. თვალცრემლიანი და სრულიად სასოწარკვეთილი ამბობდა: ავიკიდე ამოდენა ძმაკაცები, მთელი მამიჩემის დანატოვარი სიმდიდრე ამ ოხერ ხალხს შევაჭამე; ესენი კი დღეს, მადლობისა და სამაგიეროს გადახდის ნაცვლად, აღარც კი მცნობენ, მცემენ და შეურაცხყოფასაც კი მაყენებენო. მამიჩემის ანდერძიც დავარღვიე და მისი საფლავიც შეურაცხყავი, ამის შემდეგ მე სასიცოცხლო პირი აღარა მაქვს და სიკვდილი ჩემთვის ერთადერთი მკურნალიაო.

გადაწყვიტა ოქრუამ თავის მოკვლა. მივიდა შინ, შეხედა სხვენზე თაკაკვს და თქვა: ამ ერთ ანდერძს მაინც შევუსრულებ მამაჩემსაო. მიიდგა საფეხური, ჩამოაბა თოკი, გაუყარა მარყუჟში თავი და გამოიცალა ფეხებიდან საფეხური: ჩანგალი მოძვრა და თან ჩამოჰყვა ნახევარი აღლი ალიზით გალესილი სხვენი. ოქრუა დაეცა ძირს და თავზე რამდენიმე პეშვი ოქრო დააცვივდა:

განსვენებულ მამას წინდაწინვე ეგრძნო, რომ შვილი ქონებას გაფლანგავდა და ამ გაჭირვების დღემდის მივიდოდა. ალიზით გალესილ სხვენში ოქროები ჩაეფლა და ზედ ჩანგალი მიემაგრებინა.

ოქრუამ ილოცა კეთილი მამის სული და თაყვანი სცა მის საფლავს, ამის შემდეგ ოქრუამ ზოგიერთი გაყიდული და გაფლანგული მამულიც დაიბრუნა, შეირთო ცოლი და ცხოვრობდა თავისთვის ბედნიერად.

ძმაკაცებმა გაიგეს თუ არა, ოქრუას ქონება შეუძენიაო, ისევ დაუწყეს ძებნა. ცდილობდნენ, ისევ დამეგობრებოდნენ.

ერთხელ ოქრუამ დაპატიჟა ყველა თავისი ძველი ძმაკაცი და გაუმართა კარგი სადილი. ოქრუას ყველა წარბში შეჰყურებდა და რასაც იგი იტყოდა, ყველა იქ მყოფი მოწიწებით ემოწმებოდა. ოქრუამ დაიწყო:

— იცი, რა საკვირველი და განსაცვიფრებელი ამბავი მომივიდაო?

— რა, ბატონო, შენი ჭირიმეო? — მოესმა აქეთ-იქით ხმები.

— ერთი საესე სარდაფი რკინა მთლად თაგვებმა დამიხრეს და შემიჭამესო.

ყველანი დაემოწმნენ: ადვილი შესაძლებელია, ბატონო ოქრუა. აბა, რა არის გასაკვირველი, თაგვები არა თუ რკინას, თუჯსაც კი ადვილად გამოხრავენ და შეჭამენო!

— მაშ თუ აგრეა, რომ ერთ სარდაფ რკინასა და თუჯს შეჭამენ თაგვები, თქვე ღორმუცელა მლიქვნელებო, ერთ მწვადს ვერ მოიტაცებდა და შეჭამდა ძაღლი?! ადექით, დაიკარგეთ ჩემი სახლიდან, თქვენი ფეხი ჩემმა კარმიდამომ აღარ ნახოსო!

გარეკა გარეთ მთელი ძმაკაცები, ჩამოშორდა სამუდამოდ იმათ ბრბოს და ცხოვრობდა ბედნიერად თავისი ცოლ-შვილით.

ერთხელ ოქრუა გაემგზავრა ორი დღის სავალზე. ისეთი საჩქარო საქმე ჰქონდა, რომ ერთი წამით შეჩერებაც არ შეეძლო გზაში. დილას წირვის დროზე გაჩქარებული რომ მიაგელვებდა თავის ლურჯას, ზარების რეკვა გაიგონა. მოაგონდა მამის ანდერძი, მაშინვე გადაუხვია, ცხენი გალავნის გარეთ დააბა, თვითონ შეეიდა საყდარში და გულმხურვალედ ლოცულობდა წირვის გამოსვლამდის. წირვის შემდეგ გამოელაპარაკა ზოგიერთებს, გამოკითხა გზის ვითარებაც, რომელიც იმ ღამეს უნდა გაეელო, გაიგო, რომ ადიდებულ მდინარეს ხიდები მთლად დაუხვეტია და სანაპირო ჩასავალი გზებიც ისე არის დახრამული, რომ არა თუ ღამით, დღისითაც გაუძნელდება კაცს მგზავრობაო.

—ამაღამ აქ მოითმინე, თორემ უადგილო-ადგილებში დაგიღამდება და საფათერაკო მგზავრობა შეგექნებაო. ხვალ იახელი გამოცდილი მგზავრი, რომელმაც გზაც კარგად იცის და წყლების ფონიცაო, — უთხრა ხალხმა.

მეორე დღეს ოქრუა გაემგზავრა დილაადრიანად და ბევრი განსაცდელიც გაიარა გზაში, თუმცა გზისა და ფონის მცოდნე მგზავრებიც კი ახლდა თან. ოქრუამ დაიწერა პირჯვარი და დალოცა მამის საფლავი: აქ რომ არ გავჩერებულიყავ და ყოველივე ეს არ გამეგო, ახლა მე ცოცხლებში აღარ ვიქნებოდიო, — ამბობდა გულში და ღმერთს მადლობას სწირავდა.

გავიდა კარგა ხანი და ერთხელ ოქრუას აზრად მოუვიდა ცოლის გამოცდა. საღამოზე, როცა შინ მიდიოდა და მიაღწია სასოფლო წყაროს სიახლოვეს, ერთი ჯირკი დამარხა მიწაში და სახლს რომ მიუახლოვდა, ცხვირში ხელი შემოიკრა, სისხლი წაიგდო, პირისახე და ჩოხა-ახალუხის კალთა-გულისპირი მიისვარ-მოისვარა სისხლით და შეეიდა შინ აღელვებული. შეშინებული ცოლი მაშინვე მივარდა:

— ეს რა ამბავია, ოქრუა, ჩვენს თავს, რა მოგივიდა?

— ჩუ, დედაკაცო! გაჩუმდი, არავინ გაიგონოს და არ დავიღუპოთ: ცეცხლი დაანთე, რომ სისხლიანი ტანისამოსი დავწვათ და წყალი მოიტანე, რომ თავ-პირი დავიბანო!

— ნუ გადამრიე, მითხარი, რა ამბავიაო? — ემუდარებოდა თვალცრემლიანი ცოლი.

— რო გამამხილო სადმე, დავიღუპები და ვერ გეტყვი.

— რას ლაპარაკობ! რას ჰქვია გაგამხელ, მე ჩემი თავის დალუპვას მოვინდომებ? აბა, რას ამბობ? მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ნუღარ მაწვალებ.

— მაშ, კარგი და თუ სადმე წაგცდა, მაშინ ჩემი გადარჩენა აღარაფერს შეუძლია.

— თქვი, ბეჩა, რა იყო? გული ნუ გადამილიე!

— რა იყო და ჩვენ წყაროსთან ჩხუბში კაცი შემომაკვდა და იქვე ჩაგფალი მიწაში, ქვეყანაზე არავის არ უნახავს. ახლა ეს ტანისამოსი დავწვათ, წყალიც მომიტანე, დავიბანო, რომ არაფერი ნიშან-კვალი აღარ ეტყობოდეს!

ტანისამოსი დაწვეს, ოქრუამ ხელ-პირი დაიბანა და ხხვა ტანისამოსი ჩაიცვა.

მეორე დღეს დილას მთელი სოფლის დედაკაცები დამწკრივებულიყვნენ კოკებით და მიდიოდნენ წყაროზე, ოქრუას ცოლმა დაინახა თუ არა კოკებით დამწკრივებული ქალები, იმანაც წამოაღლო კოკას ხელი, აიხვია ცხვირ-პირი და მიეწია ქალებს. შუა გზა არ ჰქონდათ გავლილი, რომ ოქრუას ცოლი ფშლუკუნს მოყვა და თავსაფრის ყურით ცრემლმორეული თვალების წმენდა დაიწყო!

მთელ ქალებს ცნობისმოყვარეობა აღუძრა:

— ნეტა რა მოგივიდა ქალო, რატომ არ გვეტყვიო?

ოქრუას ცოლმა უფრო მოუმატა ზლუქუნს.

— რა შეგემთხვა, თქვი, ქალო, ამისთანა რა უნდა იყოს, რომ თქმისა გეშინოდეს? ავადმყოფი ხომ არავინა გყავთ, ან ხომ არავინ მოგკვდომიათო?

— არა, არა! გენაცვათ, ნუ მკითხავთ, რაც არის, არის, ყველამ თავის ვარამი და ცეცხლი თვითონვე უნდა მოიქარვოსო.

— ბეჩა, რა არის მისთანა, თქვი, ქალო? მტრები ხომ არა ვართ და ურჯულოები, რომ გაგვიხარდეს, ნათქვამია: ჭირის თქმა დამწვარ გულს ნახევრად ანელებსო.

— აჰ! ვერ გეტყვით, გენაცვალეთ! მეშინია, წამოგცდებათ ხადმე და ქმარშვილიანად დავილუპები.

— ვაი! რიხხავდეს მაღალი ღმერთი და ძირხ დედამიწა, ვინც გაგამხილოს! განა ჩვენ მაგისთანები ვართ, რომ არ გვენდო?

— გეტყვით და, აბა, არსად არა წამოგცდეთ-რა, თქვენი ჭირიმე.

— არა, ღმერთი იყოს თავდები!..

— მაშ, სუნი არაფერი მოგდით ახლა თქვენა?

— რისი?.. რა სუნი?.. არ ვიცით.

— ბეჩა! მე ცხვირ-პირი მაქვს ახვეული და კიდევ მომდის ხუნი და თქვენ რამ დაგიბიდგნათ ეგ ცხვირები?

ყველანი გაკვირვებულნი ერთმანეთს აკვლებდნენ თვალებს და ვერაფერი გაეგოთ.

— თქვენი ჭირიმე, არსად წამოგცდეთ: წუხელის ჩემს ქმარს აქ, ეშმაკად და ქაჯად, კაცი შემოკვდომია და, აი, აგერ რომ ნაყარი მიწა მოჩანს, იქ დაუმარხავს.

— უიმე! გენაცვალეთ, თურმე მისი სუნი არ მოგვდიოდა! — წამოიძახეს ქალებმა და სუყველამ ცხვირ-პირი აიხვია, — ფუი! ფუი! რა საშინელი სუნი ასდენია ასე ჩქარაო.

ამგვარად ცხვირპირახვეულები ამოვიდნენ სოფელში, სადილობამდის მთელ სოფელს მოსდეს ამბავი, ჩქარა მსაჯულებმაც გაიგეს. ოქრუა დაიჭირეს და საქმემ მეფის ყურამდისაც მიაღწია. რადგან ქვეყანა კაცის მკვლელად აღიარებდა ოქრუას, სახრჩობელა გადაუწყვიტეს და მეფემაც ამაზე დასტური ბრძანა. ოქრუამ ბევრი იყვირა:

— არა ვარ დამნაშავე, კარგად გამოიძიეთო, მაგრამ ყურადღებაც არავინ მიაქცია და ჩამოსახრჩობად ქალაქში გაამგზავრეს.

როცა ოქრუა მიჰყავდათ სოფლიდან, ცოლი წამოეწია და დაუძახა:

— ოქრუა! თუ ვინიცობაა სიკვდილს გადარჩე, ქალაქიდან შეიდიში წამომიღე, არ დაგავიწყდესო!

რამდენიმე კვირის სიარულის შემდეგ ოქრუა მიიყვანეს ქალაქში. როცა ჩამოსახრჩობად წაიყვანეს, მეფეს ებრძანებინა: სახრჩობელაზე რომ აიყვანოთ, უკანასკნელი სიტყვა თუ რამე თქვას, მომახსენეთო.

მარყუჟში თავს რომ აყოფინებდნენ, ოქრუამ თავისთვის ღიმილით ჩაილაპარაკა: ჩვენს მეფეს და ჩემს ცოლს ერთი ჭკუა აქვთო.

ბრძანებისამებრ ეს სიტყვები მაშინვე მოახსენეს მეფეს. მან ბრძანა:

— მკვლელი მომიყვანეთო!

მიუყვანეს ჩვენი ბრალდებული. მეფე განურისხდა:

— შენ რა გითქვამს სახრჩობელაზე, როგორ გაბედე იმ სიტყვების თქმაო?

— ვიღას მოვერიდო, შენი ჭირიმე, მახრჩობენ და სიკვდილის წინ სიმართლე როგორ არ უნდა გავბედოო.

— აბა, რა არის სიმართლე იმ სიტყვებში, მითხარიო! — უბრძანა მეფემ.

— როგორ, სიმართლე არ გახლავთ, შენი ჭირიმე, — მოახსენა ოქრუამ, — მამაჩემმა ანდერძად დამიბარა, ქალს შენს საიდუმლოს ნუ ეტყვიო. მე ცოლის გამოსაცდელად ჯირკი ჩავმარხე ჩვენს წყაროსთან, ცხვირ-პირი სისხლით მოვისვარე და ცოლს ვუთხარი: არიქა, კაცი შემომაკვდა და არ გამამხილო-მეთქი. იმან მთელ ქვეყანას მოსდო, მე დამიჭირეს თქვენგან დაყენებულმა მსაჯულებმა, არც კი გამოიძიეს რიგიანად საქმე, ჩემს სიმართლეს ყური არ ათხოვეს და თქვენც სახრჩობელა გადამიწყვიტეთ ასე ალალ-მართალ კაცს. როცა დასახრჩობად მივყავდი დარაჯებს, ჩემმა ცოლმა მომაყვირა: კაცო, თუ თავი გაითავისუფლო სიკვდილისაგან, შეიდიში წამომიღე ქალაქიდან, არ დაგავიწყდესო. აბა, ამის შემდეგ სად არის ან ჭკუა და ან სამართალი,

მეფემ გამოიძია, ოქრუას ყველა ნათქვამი მართალი აღმოჩნდა. მაშინ გაათავისუფლა იგი და სხვა საჩუქრებთან ერთად თავისი ხალათიც უბოძა.

ჭირი იქ და ლხინი აქ,
ქატო იქ და ფქვილი აქ.

ნალის შეჭამადი

ერთხელ მოხუცი მამამთილი რძალს ესტუმრა. რძალს არ ესიამოვნა მისი მოსვლა და გუნებაში თქვა: კარგად რომ დავუხვდე, აქ სიარულს აღარ დაიშლის, მოდი, მარტო გამხმარ პურს მივუტანო.

სადილობა რომ მოახლოვდა, ქალმა ბოდიში მოიხადა:

— რა ცუდ დროს მობრძანდით, მამამთილო. სახლში არა მაქვს რა, რომ პატივი გცე, ქათმები იყო და, რაც ქორსა და ძერას გადაურჩა, ჭირმა გამიწყვიტა. წელს, კარგად მოგეხსენებათ, ღვინის მოსავალიც ძალიან ნაკლები იყო, ერთი-ორი ხელადა ჩავწურეთ ქოცოში და ისიც უპატრონობით დაგვიცხარდა. ლობიო გვალვამ ისე ამოახმო, რომ სათესლეც ვეღარ ავიღეთ.

— ვიცი, ჩემო რძალო, ვიცი, — უპასუხა მამამთილმა. — რას ღონდები, შვილო, საწყალი კაცის შეჭამადი გააკეთე.

— რა არის საწყალი კაცის შეჭამადი? ეგ მხოლოდ თქვენგან მესმის პირველად.

— საწყალმა ადამიანმა როგორ შეიძლება არ იცოდეს ეს შეჭამადი? ეს საჭმელი ნალის შეჭამადია, რაკი არც გაგიგონია და არც გემო გინახავს, მე მოვამზადებ, შენ კი მიყურე. ვიდრე მე ცეცხლს დავანთებდე, შენ ცხენის ნალი მომინახე.

რძალმა ნალი მოარბენინა, მამამთილმა ცეცხლი ააბოლა.

— აბა, ქვაბი მომიტანე, — უთხრა მამამთილმა.

რძალმა მოარბენინა ქვაბი, მამამთილმა სუფთად გარეცხა ნალი და ჩადო ქვაბში.

— ჩემო რძალო, ცოტა ერბო და ხუთიოდე ხახვიც მომიტანე!

რძალმა მოურბენინა ერბოს ქილა და ხახვის კალათა.

მამამთილმა ერთი კოვზის მაგივრად სამი კოვზი ერბო ჩადო ქვაბში, ბლომად ხახვიც ჩააჭრა და ცეცხლზე შემოდგა. როცა ხახვი კარგად მოიწვა, წყალი დაასხა.

— ჩემო რძალო, ცოტა მწვანილიც მომიტანე და ერთი ხუთიოდე კვერცხი, ისეთი სადილი გაგიკეთო, რომ ხელმწიფეც კი ჩვენ შეგვნატროდეს!

რძალმა მოარბენინა ხასხასა მწვანილი და კვერცხებით სავსე ჯამფილა. მოხუცმა დაამტვრია კვერცხები, გათქვიფა და ჩაასხა ქვაბში. მწვანილიც ჩააჭრა. შეაზავა მარილით, გასინჯა და რძალს შესთავაზა.

— აბა, ნახე, ჩემო რძალო, როგორ მოგეწონება ნალის შეჭამადი?

რძალმა გასინჯა და ძალიან გაუკვირდა, ნუთუ ცხენის ნალისაგან ასეთი გემრიელი კერძი მზადდებაო?

— ახ, ჩემო რძალო, რომ იცოდე, როგორ უხდება ნალის შეჭამადს გვალვიანი წლის ღვინო! — უთხრა მამამთილმა.

— ოცჩაფიანი ქვევრი თეთრი ღვინითა გვაქვს საცხე, ჩემი ქმარი ძალიან აქებს წლევანდელ ღვინოს, — მიუგო რძალმა, საცხე ხელადა მოარბენინა და სუფრაზე დადგა.

მოხუცმა მოიხადა ქუდი, თეთრ თმაზე ხელი გადაისვა და თქვა:

— ახლა ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა, ჩემო რძალო: მე იმიტომ კი არ მოვედი, რომ ან მშიოდა ან მწყუროდა. არა, ჩემი შვილის ცხოვრება მაინტერესებდა, რა უჭირს, ან რა ულხინს-მეთქი. შენი წუწუნი გულში ეკალივით მომხვდა, მაგრამ რატომღაც არ დავიჯერე, მინდოდა შენი გამოცდაც და ჩემი შვილის ოჯახის ავლადიდების შეტყობაც. ამიტომ მოვიგონე ნალის შეჭამადიცო.

ჯკვიანი რძალი

ერთ ოსტატს ჰყავდა ერთი ვაჟი. მამას უნდოდა ისეთი რძალი მოეყვანა, რომ მისი გულის აზრს მიჰხვედროდა.

გამოაცხო საგზალი, ჩააწყო ხურჯინში, გადაიკიდა ზურგზე და წავიდა სარძლოს საძებრად. იარა დღეს, ხვალ... გზაზე რომ მიდის, ერთი კაცი შეხვდა.

— გამარჯობა, ძმაო, შენიო! — უთხრა.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო! — უპასუხა ამ კაცმა.

— მართალია, შენ მოდიხარ, მაგრამ შენი ძმა რა უყავიო? — ჰკითხა რძლის მძებნელმა.

— ჩემი ძმა შინ დაუტოვეო, — უთხრა კაცმა.

ახლა იმ კაცმა უთხრა რძლის მძებნელს.

— შენც რომ არ მოგყავს ძმა, არა გყავს თუ რაო?

— მე ჩემი ძმა თან მომყავსო, — უთხრა რძლის მძებნელმა.

გაიხედა იმ კაცმა და ვერავინ დაინახა, კაცს არავინ არ მოყავდა.

გაუდგნენ გზას, ორივეს ერთი გზა აქვს. მიადგნენ ერთ ალმართს. რძლის მძებნელმა კაცს უთხრა:

— ამ ალმართზე ან შენ ამიყვანე, ან მე აგიყვანო!

იმან უთხრა:

— აქ ვერც მე აგიყვან და ვერც შენ შეძლებ ჩემს აყვანასო.

იარა ამ რძლის მძებნელმა და ავიდა ალმართზე. თანამგზავრის ასვლამდე ერთი ჩიბუხი თამბაქო მოსწია. მიდიან ისევ. ერთ ადგილას ისეთი პურის ყანა ნახეს, რომ მის შეხედვას არაფერი სჯობდა. მგზავრმა თქვა:

— ჰაი, ბედნიერი ამის პატრონი, რა კარგი ყანა ჰქონიაო!

— კარგია, შეჭმული თუ არ არისო, — უთხრა რძლის მძებნელმა.

ეს კაცი მივიდა ახლოს, დააკვირდა, მაგრამ პური შეჭმული არ იყო. იარეს, იარეს და ერთ ადგილას კივილის ხმა შემოესმათ.

— უბედური, ვიღაცა მოკვდაო! — თქვა მეორე კაცმა.

— თუ მთლად მკვდარია, ცოდვაა, თუ ნახევრადაა, არა უშავს რაო, — უთხრა რძლის მძებნელმა.

— ნახევრად მკვდარი როგორ იქნებაო?! — შეეპასუხა.

იარეს, იარეს და ერთ ადგილას შემოაღამდათ. შევიდნენ ერთი კაცის სახლში.

— ღამე გაგვათევინეთო! — სთხოვეს.

— მობრძანდითო! — უთხრა მასპინძელმა.

რძლის მძებნელი შიგნით არ შეეიდა: მოხუცებული ვარ, ხან დავახველებ, ხან გადავაფურთხებ, არ მინდა შეგაწუხოთო.

მგზავრი მასპინძელს შინ შეჰყვა. დაიწყეს ლაპარაკი. ილაპარაკეს იქითური, აქეთური და, ბოლოს, სტუმარმა რძლის მძებნელზეც უამბო:

— ერთ ადგილას, გზაზე შემხვდაო, გამარჯვება მითხრა და მკითხა: შენი ძმა რა უყავიო. მე ვუთხარი: ჩემი ძმა შინაა, მაგრამ არც შენ გახლავს თან შენი ძმა-მეთქი! მე თან მომყავს ჩემი ძმაო, — მითხრა, —მაგრამ მას თან არავინ ახლდა. წამოვედით და აღმართს რომ შევუდექით, კელავ მითხრა: ან შენ ამიყვანე, ან მე აგიყვანო! მე ვუთხარი: აქ ვერც მე აგიყვან და ვერც შენ ამიყვან-მეთქი. მერმე კარგი პურის ყანა ვნახეთ. ბედნიერია ამის პატრონი, რა კარგი პურის ყანა ჰქონია-მეთქი, ვუთხარი. კარგია, მაგრამ, ვაი მისი პატრონის ცოდვა, თუ კი შეჭმულია უკვეო, თქვა მან. ვნახე, მაგრამ ყანა შეჭმული არ იყო. წამოვედით ისევ და ერთ ადგილას კივილის ხმა შემოგვესმა. — ახავაი, მოკვდა ვიღაცა-მეთქი. იმან მითხრა: თუ მთლად მკვდარია, ცოდვაა და თუ ნახევრადაა მკვდარი, არა უშავს რაო. ამ კაცისა ვერა გავიგე რაო.

სტუმარ-მასპინძელმა დიდხანს იხაუბრეს ასე, მაგრამ ვერაკინ ახსნა იმ კაცის სიტყვები. მასპინძელს ერთი ქალიშვილი ჰყოლია, წამოდგა და თქვა: ამას მე ავხსნიო!

— პირველად რომ გითხრა, შენი ძმა რა უყავიო, ყავარჯენი გქონდა?

— არა, ყავარჯენი არა მქონდაო, — უთხრა ამ კაცმა.

— იმას ჰქონდა?

— კი, იმას ჰქონდაო.

— აი, ის იყო ძმაო, — უთხრა ქალიშვილმა.

— აღმართს რომ შეუდექით, ისეთი საუბარი უნდა დაგეწყო, რომ არც იმას და არც შენ არ უნდა გეგრძნოთ დაღლა. პურის ყანაზე რომ უთქვამს, განა არ შეიძლებოდა იმ ყანის პატრონს ორი იმდენი ნასესხები ჰქონოდა და ამიტომ შეჭმული ყოფილიყოო! კივილის ხმა რომ გაიგონეთ, იმ მიცვალებულს თუ შვილი არ ჰყავდა, სულ მკვდარი იქნებოდა და, თუ შვილი დარჩა, ნახევრად მკვდარი იქნებოდაო.

რძლის მძებნელმა ყოველივე მოისმინა, ადგა და შინ შეეიდა.

— შვილო, რძლად უნდა წაგიყვანოო! — უთხრა ქალიშვილს, ამოიღო ოქროულობა და დანიშნა.

დაბრუნდა შინ, მოაწყო საქორწილო სუფრა და რძალი მოიყვანა. ერთი თვე რომ გავიდა (ეს მამა-შვილი კარგი ოსტატებია), თავიანთი იარაღით

გაეშგზავრნენ სამუშაოს საძებრად. მიეიდნენ ერთ ქალაქში. ხელმწიფემ მოჰკრა ზეციდან თვალი.

— ეხედავ, ისინი ოსტატებია და აქ მომგვარეთო! — უთხრა ვეზირებს.

მოიყვანეს ოსტატები. ხელმწიფემ ჰკითხა:

— თქვენ ოსტატები ხართო?

— დიახო, — უთხრეს.

— აბა, ისეთი სახლი ამიშენეთ, თავისით ბრუნავდესო!

— კარგიო, — უთხრეს და ფასზედაც მორიგდნენ.

ოსტატები შეუდგნენ სახლის აშენებას. ისეთი სახლი ააგეს, რომ მთელ ქვეყანაზე მისი მსგავსი არ მოიძებნებოდა, თავისით ბრუნავს. სამუშაოს მორჩნენ, დღეს თუ ხვალ ფულიც უნდა მიიღონ.

— ხვალ დილით მიიღებთ ფულსაო, — უთხრა ხელმწიფემ.

იმ ღამეს ხელმწიფემ და მისმა ცოლმა იფიქრეს: ასეთ სახლს ესენი სხვა ვისმესაც აუშენებენ და ჩვენ რაღა ხელმწიფეები ვიქნებითო. გადაწყვიტეს ამათი მოკვლა.

მოხუცებული მიხვდა, რაც მოელოდათ. სოლი ჩაურჭო ბორბალს და სახლი გაჩერდა.

— რა არის, სახლი რომ გაჩერებულაო? — დაუძახა ხელმწიფემ ოსტატს.

— უხერხო ხერხი დამრჩა შინ და უიმისოდ ვერ იმოძრავებსო, — უთხრა ოსტატმა.

— აბა, რაღა ვქნაო? — იკითხა ხელმწიფემ.

— რა და მე წავალ და მოვიტანო.

— თქვენ არა, მე გაგუშვებ კაცს და მოვატანინებო.

— ბატონო, სხვა კაცს მას არ მისცემენ და გააწბილებენო.

— მაშინ ჩემს შვილს გაგზავნი და იმას მოვატანინებო, — უთხრა ხელმწიფემ.

— კარგიო, გააყოლე ერთი კაცი და შენი შვილი გაგზავნეო.

ოსტატმა ხელმწიფის შვილს დაუბარა: შინ რომ მიხვალთ, უთხარით:

— ოსტატმა შემოგითვალა, უხერხო ხერხი გამომიგზავნე-თქო.

მოვიდნენ ოსტატების სახლში. დახვდათ რძალი.

— ოსტატმა შემოგითვალა, უხერხო ხერხი გამომიგზავნეო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

რძალმა მეორე ოთახის კარი გააღო და უთხრა მოსულებს:

— მე იმას ვერ ავწევ, შედით და თქვენ აიღეთ, აქა ძევსო.

ხელმწიფის შვილი მომყოლითურთ შევიდა სახლში. რძალმა კარი გამოუკეტა: ხელმწიფესა და მის მეუღლეს ჩემი ოსტატების დახოცვა სურთ, მაგრამ იმათ იქ რომ დახოცავენ, მე თქვენ აქ დაგხოცავთო.

იფიქრა ხელმწიფის შვილმა, იფიქრა და ჰკითხა ამ ოსტატის რძალს:

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო?

— შენ აქ დარჩი, მეორე რომ გყავს, ის გაგზავნე, ამბავი მიუტანოსო, — უთხრა ქალმა.

გაუშვეს ეს კაცი. ქალმა დაუბარა:

— თქვენ ფიქრობთ ჩემი ქმრისა და მამამთილის მოკვლას, მაგრამ როგორც მათ დახოცავთ, თქვენს შვილს მე აქ გავუსწორდებიო.

მივიდა ეს ბიჭი და ყველაფერი ხელმწიფეს მოახსენა.

— არ ყოფილა ამათი საშველიო, — თქვა ხელმწიფემ. დაუძახა ოსტატებს და უთხრა:

— დააბრუნეთ სახლი და თქვენი ფული წაიღეთო!

ისევ დააბრუნეს სახლი, მისცეს ფული და ოსტატები წამოვიდნენ შინ. შინ რომ დაბრუნდნენ, ხელმწიფის შვილი გაუშვეს თავის სასახლეში.

ასეთი რძალი რომ არ მოეძებნა იმ კაცს, თავისი გულის ნააზრევის მიმხვედრი, მას და შვილს — ორივეს მოკლავდნენ.

ბედის მაძებარი კაცი

ერთი ღარიბი კაცი წავიდა ბედის საძებნელად: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი ბედი უნდა ვიპოვოო. მივიდა ერთ ტრიალ მინდორზე, დაინახა დიდი ხე, სადაც დიდი მგელი იდგა და იტანჯებოდა.

— გამარჯობა, მგელო, შენიო! — უთხრა.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო! — უპასუხა, — სად მიდიხარ, კაცოო?

— ბედის საძებრად მივდივარო, — უპასუხა ღარიბმა კაცმა.

— იმ შენს ბედს ჩემი გაჭირვების მიზეზიც ჰკითხე, კბილი მტკივა და რა არის მისი წამალი, არ ვიციო.

წავიდა ეს კაცი. მივიდა ერთ ხელმწიფესთან. დაინახა, იქ იდგნენ მუშები, დიდძალი ხალხი.

— გამარჯვება თქვენიო! — უთხრა მათ.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო! — უპასუხეს.

— სად მიდიხარ, ბიჭოო! — ჰკითხეს.

— ბედის საძებრად მივდივარო, — უპასუხა.

— იმ შენს ბედს ჩვენი გაჭირვების მიზეზიც ჰკითხეო! — უთხრეს.

— რა გაგჭირვებიათო?

— ჩვენი გაჭირვება შიმშილიაო.

— მერმე და რა მიზეზითო?

— ბურს დავთესავთ, მოსამკალი რომ გახდება, ცეცხლი წაეკიდება და დაიწვებაო.

ღარიბი კაცი გამოემშვიდობა მათ და წავიდა. ხელმწიფის სასახლეს ჩაუარა. ხელმწიფეს მიესალმა. ხელმწიფემ ჰკითხა:

— სად მიდიხარო?

— ჩემი ბედის საძებრად მივდივარო.

— იმ შენს ბედს ჩემი გაჭირვებაც გააცანიო.

— რა გაგჭირვებიათო?

— საომრად მივდივართ ისეთ ხელმწიფესთან, რომელსაც ცოტა ჯარი ჰყავს, მე კი ბევრი ჯარი მყავს, მაგრამ ის ყოველთვის მჯობნის, იქნებ გამიგოს, რა მიზეზიაო.

— ძალიან კარგიო, — უთხრა.

გასწია და გაუდგა გზას. შეხვდა ერთი კაცი. გამარჯობა უთხრა, მაგრამ იმ კაცმა პასუხი არ გასცა. კიდევ გაუმეორა გამარჯობა ორ-სამჯერ, მაგრამ პასუხი მაინც არ გასცა. მივიდა და ხელი მოჰკიდა:

— რა არის, გამარჯობა გითხარ და არ მიპასუხეო!

— რა გინდა, კაცო, რა გიჭირსო?

— ჩემი ბედი მინდა მოვძებნოო.

— მე ვარ შენი ბედი და რასა მთხოვო? — უთხრა.

— გზაზე დიდი მგელი შემხვდა, კბილი სტკიოდა, მთხოვა, გამეგო, რა არის კბილის ტკივილის წამალიო!

— ვირის ტვინი შეჭამოს და მაშინვე მორჩებაო, — უთხრა ამ კაცმა.

— გზაზე მუშა ხალხი შემხვდა, შემომჩივლეს: დავთესავთ პურს და მოსამკალი რომ გახდება, გაუჩნდება ცეცხლი და გადაიწვება; გაგვიგე, რა არის ამის მიზეზიო!

— საიდანაც ცეცხლი უჩნდება, იქ მიწაში ოქრო და ვერცხლია დამარხული, ის ხურდე- ბა და ცეცხლიც იმისგან ჩნდება. ამოთხარონ მიწა, ამოიღონ ის ოქრო-ვერცხლი და მერმე არ გაჩნდება ცეცხლიო.

— ახლა ხელმწიფის გაჭირვების მიზეზიც მითხარი, ასეთ დიდჯარიან ხელმწიფეს როგორ სჯობნის მცირეჯარიანი ხელმწიფეო?

ბედმა უთხრა:

— დიდჯარიანი ხელმწიფე ქალია, პატარაჯარიანი კი — მამაკაცი, ამიტომ სჯობნის დიდჯარიანსო. თუ ის თავის ტანისამოსს გაიხდის, მამაკაცს ჩაცმევს და აომებს, უსათუოდ გაიმარჯვებსო.

— შენთან ჩემმა გაჭირვებამ მომიყვანა. მითხარი, რა ბედი მაქვსო! — ჰკითხა ბოლოს ღარიბმა კაცმა.

— შენი ბედი გზაზე შეგხვდება, თუ მიხვდებიო.

გამობრუნდა ეს კაცი და წამოვიდა. მოვიდა ამ ხელმწიფესთან.

— რა ამბავი მომიტანეო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— შენ ქალი ხარ, შენს ტანსაცმელს თუ გაიხდი და მამაკაცს ჩაცმევ, აჯობებ იმ ხელმწიფესო.

— მოდი, შენ ჩაიცვი ეს ტანსაცმელი, შენ იომე, შენ იყავი ხელმწიფე და მე შენი ცოლი გავხდებიო!

— არა, მე ვერ დავიცდი, მიმეჩქარებაო.

დაიქირავეს ვიღაც კაცი, ის აომეს. აჯობეს მტერს.

ეს კაცი წამოვიდა. მოვიდა მეორე სახელმწიფოში.

— რა ამბავი მოგვიტანეო? — ჰკითხეს.

— ყანას საიდანაც ცეცხლი უჩნდება, იმ მხარეს ოქრო და ვერცხლია დაფლული, ამოიღეთ და ყანა გადარჩებაო.

— მოდი, შენც შემოგვიერთდიო! — სთხოვეს.

— არა, მე მივდივარ და ეს თქვენ გქონდეთო.

მივიდა ამ დიდ მგელთან.

— რა ამბავი მოიტანეო? — უთხრა მგელმა.

— შენი კბილის ტკივილის წამალი ვირის ტვინი ყოფილა, როგორც კი შეჭამ, მაშინვე მორჩებიო.

— შენ რა გითხრაო?

— რად გინდა, მე რა მითხრაო?
— არა, მაინც მითხარი, რა დაგბარაო.
— მე მითხრა, თუ მიხვდები, შენს ბედს გზაში შეხვდებიო.
— არაფერს შეხვედრიხარო?
— ჯერ არაო.
— სულ არაო?
დაჯდა და უამბო, თუ რა შეხვდა გზაზე.
მგელმა აქეთ-იქით გაიხედა და თქვა: სად მოვა აქ ამაზე უფრო უჭკუო ვირი, ეს ყოფილა ჩემი კბილის წამალიო, წააქცია ეს კაცი და შეჭამა.

წითელი კაცი

ცხოვრობდა სამი ძმა, ღარიბები. თვითონ კარგები იყვნენ, მაგრამ ქონება არ ჰქონდათ. თქვეს: რა ვქნათ, მოჯამაგირედ მაინც დაეუდგეთ ვინმესო.
წავიდა უფროსი ძმა. უმცროსი ძმები შინ დარჩნენ. იქვე ახლოს, ერთი კაცი ცხოვრობდა, ვინც სადმე წავიდოდა, ყველა მასთან უნდა მოხვედრილიყო. ეს კაცი წითელი იყო და სახელად ქოსა ერქვა. უფროსი ძმაც ამასთან მოხვდა.
— სად მიდიხარ, ბიჭოო? — ჰკითხა ქოსამ.
— ქირით მინდა ვიმუშაოო.
— მამა-შვილობას, კაცი მჭირდება და ჩემთან იმუშავე, წელიწადში ას მანეთს მოგცემ, მაგრამ თუ რამეზე გული მოგივიდა, უნდა მოგკლა, მე თუ მომივიდეს გული, შენ მომკალიო. მორიგდნენ.
ქოსამ ბიჭი წაიყვანა შინ. მეორე დღეს გამოუწყო კაკი და ხარები, წინამძღოლად ძაღლი გაატანა და უთხრა:
— წადი, შვილო, და ყანა მოხანიო!
დაიწყო ხვნა, შენი ჭირიმე, მაგრამ ძაღლი დარბის აქეთ-იქით. კაცი დაიღალა, საღამოს გასავათებული დაბრუნდა შინ.
— რა ჰქენი, ბიჭოო? — ჰკითხა ქოსამ.
— ძაღლმა აქეთ-იქით მარბენინა, გავთავდი კაციო.
— რაო, გული მოგივიდა? — ჰკითხა ქოსამ ნიშნისმოგებით.
ამდენი რაღა გავაგრძელოთ, მოკლა ეს ბიჭი.
ერთი წლის შემდეგ ძმებმა თქვეს: ძმა დაგვეკარგა, მოდი, მოვძებნოთო.
მოილაპარაკეს და საძებრად შუათანა ძმა წავიდა. ისიც ამ ქოსასთან მოხვდა. ქოსამ ჩაილაპარაკა: აჰა, კიდევ მოსაგები საქმე მომივიდაო! ქოსამ ამ ბიჭსაც მისცა ძაღლი, კაკი და ხარები.
საღამოს დაბრუნდა ცოცხალ-მკედარი კაცი.
— რა ჰქენი, ბიჭო, მოხანი ყანაო?
ბიჭი გამწარებული იხედებოდა.

— რა არის, გული მოგვიდაო?! — ჰკითხა ქოსამ ამასაც ნიშნისმოგებით.

მოკლა ესეც. ორ წელიწადში ორი ძმა შეიწირა. დარჩა უმცროსი ძმა.

ადრე ასე არ გაკვირვებია, მაგრამ ახლა მეორე ძმაც რომ დაიკარგა, თქვა: რა ამბავია, რა მოხდა, რაღაც უბედურებაა, და წავიდა მათ საძებრად.

გზაში ქოსა შეხვდა. გამარჯობა, კარგად ყოფნა უთხრეს ერთმანეთს, აქითური-იქითური ილაპარაკეს და, ბოლოს, ქოსამ ჰკითხა:

— რას ეძებ, შვილო?

— სამუშაოს ვეძებ, უქონელი ღარიბი კაცი ვარ, რაღაც უნდა ვიშოვო, იმიტომ წამოვედიო.

— ძალიან კარგი, მოვრიგდეთ და ჩემთან იმუშავეო, — უთხრა ქოსამ და მორიგდნენ.

ამასაც ისეთი პირობა დაუდო, როგორც უფროსსა და შუათანა ძმებს. ბიჭმა გაიკვირვა: გული რაზე უნდა მომივიდესო?

მორიგდნენ ას მანეთად (ყველას აძლევს ას მანეთს, მაგრამ რად გინდა, სამ დღეს არ აცოცხლებს). ქოსამ მეორე დღეს მისცა ძაღლი, ხარები და გაუშვა სამუშაოდ. ძაღლი ტყეში გაიქცა. აქეთ-იქით ეცა.

ბიჭმა ესროლა და მოკლა. დაიწყო ხვნა. შუადღისას შინ მოვიდა.

— რა ამბავია, ბიჭო, ძაღლი რა უყავიო? — ჰკითხა ქოსამ.

— შე კაცო, ის გაუწვრთნელი ყოფილა და მოვკალიო, — უთხრა.

— რატომ მოხვედი ასე ადრეო?

— მომშივდა და მოვედიო.

— რა მოხდა მერმე. ძაღლმა რომ ირბინა, განა იმაზე გული მოგვიდაო?

— არა, გასაგულისებელი რა იყო, ძაღლმა აქეთ-იქით ირბინა, მერმე რა ვუყოთო! მაგრამ შენ ხომ არ მოგსვლია გული, ქოსავ? — უთხრა ბიჭმა.

— არა, მე რაზე მომივიდოდა გული?

ქოსას ეწყინა. მაგრამ რა ექნა: გუგულის მოსვლამდე იყვნენ გარიგებულნი; სანამ გუგული „გუ-გუს“ არ დაიძახებდა, ქოსა ამ ბიჭს ვერ გაუშვებდა. ოჯახის წევრები გააფრთხილა: ეს არ არის კარგის მომტანი და ფრთხილად იყავითო.

დილას ქოსამ ბიჭს უთხრა:

— ამ ხარებს ფეხი არ დაუსველდეს, ისე დაალევინე წყალიო!

ბიჭმა წაიყვანა ხარები, ფეხები დააჭრა, ისინი იქვე დატოვა, ფეხები შინ წამოიღო.

— ბიჭო, ეგ რა გიქნია?

— ფეხები არ დაასველებინოო, მითხარი და მეც მოვჭერი, სხვა რა უნდა მექნაო.

ქოსამ თქვა: ეს თუ თავიდან არ მოვიშორე, საქმე გამიფუჭდებაო.

— შენი ვადა გავიდა, შვილო, და აი, ასი მანეთი, წადი, ახლავეო!

— არა, მამაშვილობას, შენი ცოდვა მე რად მინდა, გუგულის მოსვლამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილიო.

ქოსამ იფიქრა: ეს მე კარგს არ მიზამსო და დედას უთხრა:

— შენ ადი ხეზე და დილას დაიძახე „გუ-გუ ,“ იმას ვადა გასული ეგონება და გავუშვებო.

ᠪᠣᠯᠣᠨᠳᠤ᠂ ᠪᠣᠯᠣᠨᠳᠤ᠂

დილით ქოსას დედა ავიდა ხეზე და, როგორც დაარიგა შვილმა, „გუ-გუს“ ძახილი დაიწყო. ქოსა და ეს ბიჭი ერთად ისხდნენ.

— აჰა, ბიჭო, შენი ვადა მოსულაო, — და ასი მანეთი შეაძლია.

ადგა ეს ბიჭი, ქოსას თოფს ხელი წამოაელო, ესროლა და ქოსას დედა ხიდან ჩამოაგდო.

— ბიჭო, ეგ რა გიქნიაო?

— რა, ხომ არ გეწყინაო?

— არა, როგორ მეწყინა, — მაგრამ სიცოცხლე კი გაათავა ქოსამ.

მესამე დღეს წავიდნენ საფლავის სათხრელად. ქოსას ვაჟმა დაიგვიანა. ქოსა გაბრაზდა და ბიჭს უთხრა:

— წადი მალე და ესბარი თავზე გადაატეხე ჩემს შვილს, ამდენხანს რომ იგვიანებსო!

წავიდა ეს ბიჭი, ქოსას შვილს თავში დაჰკრა ბარი და იქვე გაათავა. მკვდარ დედაბერს რომ მოასვენებდნენ, ქოსას ვაჟიც მკვდარი დაინახეს.

ახლა კი ქოსამ ერთი სიცოცხლე გაათავა, მაგრამ რაღას იზამდა. დარჩა მარტოდ მარტო ცოლ-ქმარი. ქოსამ ცოლს უთხრა:

— აქედან უნდა წავიდეთ, ერთი დღე და ღამე მჭადი აცხვე, ჩვენი საშველი არ არის, აქაურობა ამ ბიჭს უნდა დავუტოვოთო.

ცოლმა, როგორც ქმარმა უთხრა, აცხო მჭადები, გრძელ ყუთში ჩაალაგა და გასაქცევად მოემზადა. ღამით ეს ბიჭი ამ ყუთში ჩაძვრა. ქოსამ ჩუმად მოიკიდა ყუთი, ცოლი წაიყვანა და წავიდა. გზაზე დაიღალნენ.

— ქალო, ცოტა რამე შეეჭამოთ, — უთხრა ქოსამ ცოლს.

ცეცხლი დაანთეს. მივიდა ქოსას ცოლი ყუთთან, ახსნა და იქიდან ეს ბიჭი ამოვიდა, მიუჯდა ცეცხლს. ქოსამ გადაწყვიტა ღამით მოეკლა ბიჭი.

დაღამდა. დაწვნენ, დაეძინათ. ბიჭმა დაიძინა იქ, სადაც ქოსას ცოლი იწვა, ქალი კი თავის საწოლში გადმოიყვანა. ადგა ქოსა, აიღო ნაჯახი, თავში ჩასცა მძინარეს და ცოლს გადასძახა:

— ადექი, ქალო, წავიდეთ, ამ ბიჭთან ანგარიში გავასწორეო!

უცებ წამოდგა ბიჭი. ქოსა კი გაშეშდა.

— რაო, გული ხომ არ მოგვიდა, ქოსავ!

— ახლა ჩემს ყოფნას, არ ვიყო, ისა სჯობიაო! — უთხრა ქოსამ.

მოკლა იმ ბიჭმა ქოსა. იმისი ქონება მას დარჩა და, როგორც უნდოდა, ისე მოიხმარა.

მეფე და ვეზირები

იყო ერთი მეფე. ჰყავდა სამი ვეზირი. ერთ დღეს მოიხმო მეფემ ვეზირები და უთხრა:

— გამიგეთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდენი ხნის სავალია, ღმერთს საითა აქვს პირი და მე რამდენად ელირვარო?

ვეზირებმა ვერ ახსნეს. მაშინ მეფემ უბრძანა:

— მე სამი დღის ვადას გაძლევთ და ამ სამ დღეში ან თქვენ ამიხსენით და ან იპოვეთ კაცი ამის ამხსნელი, თორემ სამივეს თავებს დაგჭრითო.

წავიდნენ. თვითონაც ბევრი იფიქრეს, სხვასაც ბევრს ჰკითხეს, მაგამ ეს სამი კითხვა ვერ ახსნეს. მივიდნენ ერთ წისქვილთან და მეწისქვილეს ცეცხლის დანთება უბრძანეს. მეწისქვილემაც ცეცხლი დაანთო და შეამჩნია ვეზირებს მოწყენილობა. ჰკითხა:

— რად ბრძანდებით ეგრე მოწყენილები, ჩემო ბატონებოო?..

ჯერ არც ერთმა არა უთხრა-რა, იფიქრეს: ამას რა გაეგებაო. მერმე ერთმა მათგანმა თქვა: იქნება ღმერთმა აგონოს და აგვიხსნასო. უთხრეს: ასე და ასეა ჩვენი საქმეო.

მეწისქვილემ მოახსენა:

— ეგ რა საფიქრებელი და დასაღონებელია, მე შემიძლია მაგ კითხვების ახსნაო.

გაუხარდათ ვეზირებს, წავიდნენ და მეფეს მოახსენეს:

— ბატონო მეფეე, ჩვენ თქვენი კითხვების ახსნა ვერ შევძელით და კაცი კი ვიპოვეთ მაგის ამხსნელიო.

მაშინ მეფემ მოიხმო მეწისქვილე და უბრძანა:

— აბა, მითხარი, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდენი ხნის სავალიაო?

მეწისქვილემ მიუგო:

— აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის არც თქვენ ბრძანებულხართ ფეხით და არც მე, მზე-მთვარით ოცდაოთხი საათის სავალი არისო.

მერმე მეფემ უბრძანა:

— აბა, ახლა ამიხსენ, ღმერთს პირი საითა აქვსო?

მეწისქვილემ აანთო სანთელი და მოახსენა:

— აბა, ამ სანთელს საითა აქვს პირიო?

მეფემ თქვა:

— ამას პირი ყოველ მხრივა აქვსო.

მაშინ მეწისქვილემაც მიუგო:

— ღმერთსაც ყოველ მხრივა აქვს პირიო!

მეფემ ახლა მესამე კითხვა მისცა:

— მე რამდენად ვღირვარო?

მეწისქვილემ მოახსენა:

— მეფეე ბატონო, თუ არ გამიწყრებით, მოგახსენებთ: ქრისტე ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს და მეტად აღარც თქვენ ღირებითო!

მეფეს ძალიან მოეწონა მეწისქვილის პასუხი და დაასაჩუქრა.

ქვრივი ქალი და ერთი ქოთანი ნადუღი

იყო ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა სამი ობოლი. ცხოვრება უჭირდა: რა უნდა ეჭმია და ესმია ობლებისათვის, ლობიოსა და მჭადის მეტი არაფერი მოეპოვებოდა, იმისი შოვნაც უძნელდებოდა.

ერთ დღეს ქვრივმა ქალმა მოკრიფა ქორფა კიტრები, ჩაყარა გოდორში, მოიკიდა ზურგზე და წავიდა ბაზარში: კიტრებს გავყიდი და ბავშვებს რამეს ვუყიდიო.

დაინახა, გზაზე ეგდო ერთი ნადუღით სავსე ქოთანი. ქალს ნადუღის პოვნა ძალიან გაუხარდა: ჩემს ობლებს ღმერთმა საჩუქარი გამოუგზავნაო. აიღო ქოთანი და წავიდა გახარებული. შორი გზა ჰქონდა გასავლელი და მიიჩქაროდა.

ქვრივი ქალი ჩაფიქრდა. თვალწინ წარმოუდგა მისი გაჭირვებული ცხოვრება, უდროოდ დაკარგული ქმარი, საწყალი ობლები, უკაცო ოჯახი. ფიქრობს: რა კარგი დღე გამითენდა, კიტრებს გვარიან ფასად გავყიდი, ნადუღშიაც ორ მანეთს ავიღებ, ამ ფულით ერთ დეკეულს ვიყიდი, გავზრდი და მარჩენალი ძროხა მეყოლებაო; ჩემს ობლებს მაშინ არც რძე მოაკლდებათ, არც ყველი და არც ნადუღიო.

ქვრივს ეგონა, ეს ყოველივე ცხადად აუხდა და ძროხის წველას შეუდგა. ამ ფიქრებში წასული ქალი გზას აცდენოდა და პირდაპირ მდინარეს მიდგომოდა. უცებ ფეხი დაუცდა და შიგ მორევში გადავარდა. კიტრები და ნადუღი წყალმა წაართვა, თვითონაც ძლივს გადაარჩინეს მგზავრებმა.

ქვრივი ქალი წყლიდან ამოიყვანეს სულ დასველებული. ჯერ კიდევ აზრზე ვერ მოსულიყო. შემდეგ, ცოტა რომ მოსულიერდა, ისევ შინ დაბრუნდა.

მირბოდა საწყალი სახლისკენ და მიტიროდა: ვაი, ჩემო უბედურო ობლებო, მოგიკვდეთ დედათქვენი, როგორ ხელიდან გამოგაცალეთ მარჩენალი ძროხაო!

ასეთია ღარიბი კაცის იღბალი. რა იქნებოდა, საწყალი ქვრივი ქალი წყალში არ გადავარდნილიყო! მაგრამ ხომ გაგიგონია, შენ ხარ ჩემი ბატონი, საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო!..

Ведьма несла на спине корзину, полную всякого хлама.

ურჩი შვილები

ერთ ხელმწიფეს ორი ვაჟი ჰყავდა. მამას არაფერს უჯერებდნენ, საითაც გაიწევდნენ, იქით მიდიოდნენ. ხელმწიფე დაღონდა. არ იცოდა, როგორ გაეზარდა ურჩი შვილები. დამწუხრებულმა თავისი სასახლე შავად შეღება. შვილებმა ჰკითხეს:

— ყველას სასახლე წითლად და თეთრად არის შეღებილი. ჩვენი სასახლე რატომ გაგიშავებიაო?

— მე, შვილებო, ჯავრი მაქვს და იმიტომაო.

— ჯავრი რა არის, ნეტავ რას გვეუბნებიო! — უთხრეს შვილებმა.

— როცა ნახავთ, შვილებო, მაშინ გაიგებთო! — უპასუხა მამამ.

ჯავრის გასაგებად ბიჭები სხვა სახელმწიფოში წავიდნენ. სამი დღე და სამი ღამე იარეს და ერთი ხელმწიფის სასახლე დაინახეს. სულ წითლად ლაპლაპებდა ეს სასახლე. მივიდნენ ხელმწიფესთან და ჰკითხეს:

— ჩვენ ამა და ამ ხელმწიფის შვილები ვართ, მამაჩვენს სასახლე შავად აქვს შეღებილი, თქვენ კი წითლად მოგირთავთ. გვითხარით, რა მიზეზიაო?

— მე ჩემი სახელმწიფო და ცოლ-შვილი ერთგული მყავს, ხალხსაც და ცოლ-შვილსაც ჩემი ესმის, ამიტომ ჯავრი არ ვიცი და სასახლეც აფერადებული მაქვსო.

შვილები უკან დაბრუნდნენ და, რაც ამ ხელმწიფემ უთხრა, მამას უამბეს.

— მე, შვილებო, ხალხიც კარგი მყავს, სახელმწიფოც კარგი მაქვს, მხოლოდ თქვენ გამომადექით ცუდები, ჩემი არა გჯერათ, სადღაც დაილუპებით, ამას ვდარდობ და სასახლეც ამიტომ შევღებე შავადო.

შვილებმა გადაიხარხარეს. აილეს მშვილდისრები და სანადიროდ წავიდნენ. მამამ ბევრი უშალა, მაგრამ არ გაუგონეს.

ცხრა მთა და ცხრა მინდორი გადაიარეს. მივიდნენ ერთ დიდ ფარეხთან. ეს ფარეხი ცხვრით არის სავსე. ძმები შიგ შევიდნენ. დაინახეს, ცეცხლი ანთია, ზედ ცარიელი შამფური დევს და ტრიალებს. ძმებმა მეცხვარეს უთხრეს:

— ეს რა არის, თავისით როგორ ტრიალებს ცარიელი შამფურიო?

მეცხვარემ ერთ ბიჭს დაავლო ხელი, ააგო შამფურზე და დაუწყო შეწვა. ეს მეცხვარე ცალთვალა იყო. ფარეხს ერთი კარი ჰქონდა და ისიც ჩაკეტა. უმცროსმა ძმამ დაინახა, რომ ისიც ილუპებოდა და მეცხვარეს უთხრა:

— ნუ მომკლავ და თვალს აგიხელო!

— ოღონდ ეს თვალი მომირჩინე და არაფერს დაგიშავებო.

— აბა, დაწექი და თვალში წამალს ჩაგიშვებო, — უთხრა ბიჭმა.

ভাবনা

მეცხვარე დაწვა და ხალი თვალიც მოხუჭა. ბიჭი სწვდა ამ შამფურს, ჩაჰკრა მეცხვარეს და მეორე თვალიც გადმოაგდებინა. დაბრმავდა მეცხვარე. სიმწარისაგან წამოვარდა და ბიჭს დაემუქრა:

— მე კი დამაბრმავე, მაგრამ არც შენ გაგიშვებ ცოცხალს, სად გაიქცევი, კარები დაკეტილია და ახლავე დაგიჭერო!

გამოუდგა ამ ბიჭს, დასდევს, მაგრამ ვერ იჭერს. ბიჭი ხან აქეთ გაერევა ცხვარში, ხან იქით. შეწუხდა მეცხვარე. გააღო ფარეხის კარები, ჩაჯდა კარებში და თქვა: რამდენი ბეწვი აქვს ჩემს ცხვარს დათვლილი მაქვს, სადღა წამიხვალ, ცხვარს რომ გარეთ გავრეკავ, ხელში ჩაგიგდებო.

ცხვარი გარეთ გადის, მეცხვარე ყველას სინჯავს და თვლის. ბიჭი ჯავრში ჩავარდა. თავ-ბედს იწყევლის. ხერხი იხმარა: დაკლა ერთი დიდი ერკემალი, სანამ ცხვარი გაეიდოდა, გაატყავა, წამოისხა იმისი ტყავი, რქები და თავი ხელში დაიჭირა და კარებს მიადგა. მეცხვარემ ხელი გადაუსვა ზურგზე და უთხრა:

— გადი, გადი, ჩემო ერკემალო, ახლა გაშუალდა ჩემი ცხვარიო!

ბიჭმა გადააბიჯა კარებს თუ არა, აიღო ეს რქები და შიგ თავში ჩაარტყა მეცხვარეს. ლაზათიანად შეუკურთხა. მეცხვარემ დაუძახა:

— ხომ გამექეცი, ერთი ბიჭობა მაინც გააკეთე: ამ ნაჯახს მოგცემ, საჩუქრად მიუტანე მამაშენსო.

მეცხვარემ აიღო ნაჯახი და გასტყორცნა. ნაჯახი წავიდა და, სადაც ბიჭი იდგა, იმ ხეზე მიესო თავისთავად, ჯიუტი ბიჭი დასწვდა ნაჯახს, მაგრამ მარჯვენა ხელით ზედ შეეხორცა. ვეღარ შორდება. ნაჯახიც იძახის: „დავიჭირე, დავიჭირეო! ბრმა მეცხვარე გამოექანა ბიჭის და საჭერად, მიჰყვება ნაჯახის ხმას. ბიჭმა იფიქრა: ნამდვილად შემჭამს ეს წყეულიო. ამოიღო დანა, მოიჭრა მარჯვენა, მიატოვა ნაჯახზე და გაიქცა. მეცხვარემ დაუძახა:

— მართალია, დამაბრმავე, მაგრამ ვერც შენ წახვედი დუმახინჯებელიო!

დაბრუნდა ბიჭი ცალხელა. მამამ ეს რომ დაინახა, თავში წაიშინა:

— აი, შვილო, ეგ იყო ჩემი ჯავრი, ჩემი არ დაიჯერეთ, შენი ძმა სულ დაილუპა, შენ კი დასახიჩრდიო. ეს მადარდებდა და მაჯავრებდა, ამიტომ შეეღებე სასახლე შავადო!

ყველას ასე მოუვა, ვინც მამას არ დაუჯერებს!

ჭირი იქა, ლხინი აქა.

სამი ზარმაცი

ერთ ხელმწიფეს სამი ზარმაცი ჰყავდა. გაგზავნა ბაღში, იქ იყავითო.

წავიდნენ და ერთი მსხლის ხის ქვეშ წამოწვნენ. ხეს მწიფე მსხალი ესხა.

ঘুমন্ত মানুষের কুকুরগুলো কোথায়?

ერთმა თქვა:
— ნეტავი მსხალი ჩამოვარდეს და პირში ჩამივარდესო!
მეორემ თქვა:
— ნეტავი უყუნწოდ ჩამოვარდეს, რომ ადვილად ჩაეყლაპოო!
მესამემ თქვა:
— ნეტავი თქვენ, არ გეზარებათ, რომ მაგდენს ლაპარაკობთო?

შენ მაგაზე კარგად იციო?

ერთი დედა-შვილი იყო. დაქვრივებულმა დედამ გაზარდა ეს შვილი. როცა მოიზარდა, შვილმა იფიქრა, დედაჩემმა რომ კარგად გამზარდა და ამაგი გასწია ჩემზე, იმის სიკეთეს რითი გადავიხდიო. შეუთქვა: სამჯერ ხატის კარს აკიდებულს წავიყვანო.

ორჯერ წაიყვანა აკიდებული. მესამედაც რომ მიიყვანა, ჩამოსვა. კაი სახის დედაკაცი იყო და ახალგაზრდა ბერმა როგორც კი დაინახა, მათთან მივიდა. შვილს ჰკითხა:

— რა დამართნია მაგ დედაკაცსაო?

შვილმა უთხრა:

— ჩემზე იმდენი ამაგი გაუწევია, რომ მაგისი სიკეთე სხვა ვერაფრით გადავიხადე, ხატში აკიდებული მოვიყვანეო.

ბერმა უთხრა:

— მაგით ვერ გადაუხდი სიკეთესაო; კარგი კაცი გეშოვნა, უფრო მადლობელი იქნებოდაო!

შვილმა სიტყვა შეუბრუნა:

— ამაზე მეტი გადახდა რაღა იქნებაო?

დედამ უკანიდან კისერში ჩაჰკრა შვილს:

— რომ ედავები, შენ მაგაზე კარგად იციო?

ტყუილი ტირილი

ერთი ყმაწვილი ქალი იყო. წავიდა წყლის მოსატანად. წყლის პირას დაჯდა ხის ძირში. იფიქრა: მე რომ გავთხოვდე, შვილი მომეცემა, წყალზე ჩამოვა, ამ ხეზე ავაო, ხიდან რომ ჩამოვარდეს, ამ წყალში ჩამივარდება და დამეხრჩობაო — უი, შენ დედასაო!

მოჰყვა ტირილს. ამასობაში დედაც აქ მოვიდა და ქალს ჰკითხა.

— რა გატირებს, შვილოო!

— რაღა რა მატირებსო, — უთხრა ქალმა, — რომ გავთხოვდე და შვილი მომეცეს, აქ მოვა, ხეზე ავა, ჩამივარდება წყალში, დამელუპება და ბებიას ვილა დაგიძახებს, როგორ არ ვიტიროო.

— უი, შენ დედასა, ეგ რა მოგსვლიაო! — დაიწყო დედამ მოთქმა და მოჰყვა ტირილს.

მოვიდა ქალის მამა:

— რა გატირებთო, რა დაგმართნიათო?

ცოლმა უთხრა:

— ასე და ასეა, ქალი რომ გაგვითხოვდეს, შვილი მიეცეს, ამ ხეზე ავიდეს და ჩამოვარდეს, წყალში რომ დაიხრჩოს, პაპას ვილა დაგიძახებსო; შენ კი არ იტირებ შვილიშვილსა, პაპა ხარო?

ქმარმა უთხრა:

— დაიცა, ამ ხეს ტოტს მოვტეხ, რომ ყმაწვილი არ ავიდესო!

მოსტეხა და ურტყა ცოლსა და ქალიშვილს.

ცოლის მორჯულება

ორი დუნე ძმა იყო. ერთმა ცოლი შეირთო, პირველსავე ღამეს ცოლთან გაჯავრებული მივიდა. კატას მოავლო ხელი: აქაურობას სულ მტვერს ავადენო, მოიქნია და კედელს მიანარცხა. კატა მოკლა.

ცოლი მოიკუნტა, იფიქრა: ეს რა ღვთის რისხვა კაცი ყოფილაო!

უჯერებდა და მორჩილი იყო.

მეორე ძმას ნებიერი ცოლი შეხვდა. არას აკეთებდა, თავს მოიავადმყოფებდა: საქმე არ შემიძლიაო.

ამ ქალის ქმარმა ძმას შესჩივლა და ჰკითხა, შენი ცოლი როგორ დაიმორჩილეო? იმანაც ასწავლა.

კაცმა მოუტანა ცოლს ხორცი, ეს მაინც მოხარშე, საღამოზე დაღლილი მოვალ, შენცა ჭამე და მეც მაჭამეო.

ცოლი ადგილიდან არ დაიძრა. დედაკაცმა თქვა: ახლა რომ სადილი გავუკეთო, დაეჩვევა და აღარ მომასვენებსო.

ძაღლმა შეჭამა ხორცი. დედაკაცი იწვა. მოვიდა საღამოს კაცი:

— აბა, ჭური მაჭამეო.

დედაკაცმა უთხრა:

— ძაღლმა შეჭამაო. კაცი გაჯავრდა: თუ არა ხარშავდი, შეინახავდი მაინცაო. წაავლო კატას ხელი და შუაზე გაგლიჯა.

დედაკაცი წამოდგა და თავში ჩაჰკრა:

— ეგ ადრევე უნდა გექნა, ახლა გვიანიაო.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ვაჟიშვილი, გულადი და ისეთი ლამაზი, რომ მასზე უკეთესი ვაჟი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა. ბიჭი დასაქორწინებელი რომ გახდა, ხელმწიფემ დაიბარა და უთხრა: წადი, შვილო, და, ვინც მოგეწონოს, ის ითხოვეო.

ბიჭმა დაუჯერა მამას და გაუდგა გზას. დედამიწის ზურგი სულ შემოიარა, ბევრი ქალი ნახა, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს, შეჯდა თავის მფრინავ რაშზე და გაფრინდა აღმოსავლეთით, ბედის მწერლის საძებრად. ცეცხლის მთა გადაიარა და პირდაპირ სამოთხის კარს მიადგა. ისეთი სანახაობა გადაეშალა, რომ იქიდან კაცს წამოსვლა აღარ მოუნდებოდა. ბევრი საკვირველება ნახა. აქეთ-იქით გაიარგამოიარა და შეხვდა ერთ თეთრწვერა ბერიკაცს.

— ჯერ შენი დრო არ მოსულა და აქ რამ მოგიყვანაო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ბედის მწერალს დავეძებ, იქნებ იცნობდეო, — უპასუხა ვაჟმა.

— ბედის მწერალი მე ვარ, რას თხოულობო? — უთხრა ბერიკაცმა.

ვაჟი მუხლებზე მოეხვია ბერიკაცს და ხვეწნით ჰკითხა:

— დედამიწა შემოვიარე და ქალი არ მომწონებია, მითხარი ჩემი ბედი ვინ არისო!

— შენი ბედი ამა და ამ სოფლის ამა და ამ მენახირის ქალია, ის უნდა შეირთო, — უთხრა ბერიკაცმა.

ვაჟი გაბრაზდა და თქვა:

— ეგ ხომ ტყუილია, მენახირის ქალს მე არ შევირთავ, ახლავე წავალ, იმ ქალს მოკლავ და ეგ იქნებაო!

გამოემშვიდობა ბერიკაცს, შეჯდა თავის რაშზე, გადმოიარა ცეცხლის მთა და პირდაპირ იმ მენახირეს მიადგა კარზე. დაუძახა, გარეთ გამოდიო. გამოვიდა სახლიდან ერთი საწყალი, კონკებში გახვეული ბერიკაცი, ბიჭს მიესალმა და ჰკითხა:

— რას მიბრძანებ, ხელმწიფის შვილო?

ვაჟმა უთხრა:

— შენი უფროსი ქალიშვილი მომეცი, ცოლად უნდა შევირთო!

— ჩემი ქალი რა შენი შესაფერისია, შენ ხელმწიფის შვილი ხარ, ის კი მენახირისა, ეგ როგორ იქნებაო! — გაკვირვებით ჰკითხა ბერიკაცმა.

— არა, ბედის მწერალმა მითხრა, უნდა შევირთოო! — უთხრა ვაჟმა.

მენახირე დათანხმდა. შეიპატიჟა შინ. შუაღამე რომ გახდა, ვაჟი წამოდგა, ქალს მუცელში ჩასცა ხანჯალი და მიაძახა: აი, თუ ჩემი ბედი ხარო?!

ქალმა კივილი მორთო:

— მიშველეთ, მომკლაო!

მენახირემ რის ვაივაგლახით აანთო კვარი და ნახა, ქალიშვილს მუცელი ჰქონდა გაფატრული. მამამ მაშინვე შეაბა ურემი, ქალი შიგ ჩასვა და ქალაქში წაიყვანა ექიმთან. შეხვდა ქალაქის უფროსს, რომელსაც ძალიან მოეწონა მენახირის ქალი და სთხოვა მამას:

— ეგ ქალი მე მომეცი, შვილი არა მყავს, მოვარჩენ, გავზრდი და გავათხოვებო!

მენახირეს რაღა უნდა ექნა. დათანხმდა, გამოემშვიდობა თავის ქალიშვილს და შინ დაბრუნდა. მართლაც, ქალი მოარჩინა ქალაქის უფროსმა, ასწავლა და გაზარდა. სულ აბრეშუმის კაბებს უკერავდა. ეს ქალი ისეთი ლამაზი გახდა, რომ ქვეყანაზე უკეთესი ქალი არ მოიპოვებოდა.

ხელმწიფის შვილი კიდევ დადიოდა საცოლის საძებრად. ბევრი ადგილი შემოევლო და უკანასკნელად ამ ქალაქს მოხდგომოდა. დაღლილ-დაქანცულს წყაროსთან დაესვენა. აბა, ნახე ბედი! სწორედ ამ დროს ეს ქალიც წყაროსთან მოვიდა. მაშინვე იცნო ხელმწიფის შვილი, მაგრამ არაფერი უთხრა. ვაჟმა ვერ იცნო, მაგრამ ძალიან მოეწონა. მიიკითხ-მოიკითხა, ვინ არის, ვისი ასულიაო. ერთმა ბებერმა უთხრა:

— ჩვენი ქალაქის უფროსის ქალია, მან გაზარდაო.

ვაჟმა იფიქრა: აი, ვინ არის ჩემი შესაფერისი, სხვა რაღად უნდა ვეძებოო. რაღა ბევრი გავაგრძელო, შეირთო ცოლად.

ერთხელ ვაჟმა ქალს მუცელზე ჭრილობა შენიშნა.

— ეგ რა არისო? — ჰკითხა.

ქალმა გაიცინა და უპასუხა:

— შენ რომ ხანჯალი დამკარ, ის არის, განა აღარ გახსოვხო? და უამბო თავგადასავალი.

ვაჟი ახლა კი დარწმუნდა, ბედს ვერავინ გაექცევაო, და ამის შემდეგ ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა.

ბატონი და მოჯამაგირე

იყო ერთი ბატონი. გულადი და ამაყი, მოქეიფე და მოჯირითე. ძალიან უყვარდა ცხენით სეირნობა. თავისი იორღა მთელ ქვეყანას ერჩია.

ერთ დღეს შეკაზმა, დაადგა ოქროს უნაგირი, წაიღო ორი დღის საგზალი, წაიყვანა თან ერთი მოჯამაგირე და გაემგზავრა მეზობელი ბატონისაკენ.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ სოფელში დაულამდათ. ერთ ოჯახში ჩამოხტა ღამის გასათევად. თვითონ ოდაში მიიწვიეს, მოჯამაგირე კი ცხენთან დატოვა. მშვენიერი, ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე იყო.

Ausgeschlossen von Almosenverteilung

— ბიჭო, ღმერთი არ გიგიწყრეს, არ დაიძინო, თორემ ცხენს ვინმე მოგპარავსო! — გააფრთხილა მოჯამაგირე.

— საკუთარ თავსავით მოუფრთხილდები, ტკბილად დაიძინეთ, არ შეწუხდეთო, — უპასუხა მოჯამაგირემ.

ბატონი დაწვა დასაძინებლად. ყველას რომ დაეძინა, ბატონი წამოდგა, მივიდა სარკმელთან და გადასძახა მოჯამაგირეს:

— ბიჭო, გძინავს?

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, ვფიქრობ!

— რაზე ფიქრობ, რა გაქვს სადარდებელი?

— ამ დიდებულ ღმერთს ეს ამოდენა ცა რომ გაუჩენია, რატომ ძირს არ ვარდება, ამაზე ვფიქრობ.

— ჰო, კარგია, იფიქრე, ოღონდ არ დაიძინო, ცხენს მოუფრთხილდი!

დამშვიდებულ ბატონს ჩაეძინა. შუაღამისას გამოეღვიძა, მივიდა სარკმელთან და ისევ გადასძახა მოჯამაგირეს:

— ბიჭო, გძინავს?

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, ვფიქრობ!

— რაზე ფიქრობ, რა გაქვს სადარდებელი?

— ამ დიდებულ ღმერთს ცაზე რომ ვარსკვლავები ჩაუმწკრივებია, რატომ დაბლა არ ცვივა, ამაზე ვფიქრობ.

— ჰო, კარგია, იფიქრე, იფიქრე, ოღონდ არ დაგეძინოს და ცხენი არავინ მოგპაროს! — უთხრა ბატონმა და ისევ დაიძინა.

გათენებისას ბატონს კვლავ გამოეღვიძა, მივიდა სარკმელთან და გადასძახა მოჯამაგირეს:

— ბიჭო, გძინავს?

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, ვფიქრობ!

— რაზე ფიქრობ, კიდევ რაღა გაქვს სადარდებელი?

— შენი ცხენი ვიღაცას მოუპარავს და ახლა იმაზე ვფიქრობ, ეს ოქროს უნაგირი როგორა ვზიდოო, — უპასუხა მოჯამაგირემ.

ამის გამგონე ბატონმა შემოირტყა თავზე ხელი, მაგრამ რაღას იზამდა. დილით აჰკიდა ოქროს უნაგირი მოჯამაგირეს და სახლისაკენ წამოვიდა დაღონებულ-გამწარებული.

ასეთ მზეს რა გაუძლებსო?!

ერთ სოფელში ერთი ზარმაცი კაცი იყო. დღედაღამ იწვა და ეძინა, ცოლ-შვილი კი მშიერი და გაწვალებული ჰყავდა.

ერთ დღეს ცოლმა უთხრა:

— კაცო, შენ სულ გძინავს და არაფერს აკეთებ, აბა, ასე როგორ იქნება. ხომ ხედავ, აგერ როგორი ზამთარი მოვიდა, სიცივით ხომ არ უნდა დაგვხოცო, შეშის მოტანა მაინც ხომ შეგიძლია, ხელი გაანძრიეო!

ზარმაცმა უპასუხა:

— მოიცადე, ქალო, ცოტა კიდევ, აგერ ზაფხული მოვა, ამ ზამთარში წვალებას როგორ დავიეწყებ, ზაფხულში სულ შეშის ზიდვაში ვიქნებიო.

გავიდა ზამთარი, ცოლ-ქმარს სული ძლივსღა შერჩათ. ცოლმა ისევ უთხრა ქმარს:

— აი, ახლა შეიძლება შეშის მოტანა და ზამთრისათვის მომარაგება, ხელი გაანძრიე, ნულარ იგვიანებო!

ზარმაცი ისევ მხართეძოზე წამოწვა. ცოლმა კვლავ უსაყვედურა:

— რატომ გძინავს, რატომ არ ამზადებ შეშას ზამთრისათვის, ახლა ხომ თოვლი არ არის, თბილაო?

— შენ სულელი ხომ არა ხარ, ქალო, ვერა ხედავ, როგორი სიცხეა, განა ასეთ მზეს თოვლი გაუძლებსო?! — უპასუხა ცოლს და არხეინად დაიძინა.

სამი ზარმაცი და ხანძარი

იყო სამი ძმა, სამივე ერთიმეორეზე უფრო ზარმაცი. დილიდან საღამომდის სამივე იატაკზე იყო გაჟღვართული. თუ ვინმე პირში პურს არ ჩაუდებდა, მშივრები დაიხოცებოდნენ.

ერთ დღეს სახლიდან ყველა წავიდა. შინ მარტო ზარმაცი ძმები დარჩნენ. მეორე ოთახში ბუხრიდან ნაპერწკალი გადმოვარდა და ხანძარი გაჩნდა. შავი ბოლი რომ შევიდა ამ ზარმაცების ოთახში, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ხანძარი გაჩენილაო. დაიწყო უფროსმა ძმამ ყვირილი:

— დედაა, მამაა, სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ვიწვითო!

შემდეგ უმცროსმა დიწყო ყვირილი:

— ვიწვით, მოგვეშველეთო!

შუათანა ძმა ისეთი ზარმაცი იყო, რომ ყვირილიც შეეზარა და ძმებს შეეხვეწა:

— მოდი, ჩემ მაგივრადაც თქვენ იყვირეთო!

უფროსსა და უმცროს ძმას ხმა რომ ჩაუწყდათ ყვირილით, ხწორედ იმ დროს მოუსწრეს მეზობლებმა და ძლივს გადაარჩინეს ზარმაცი ძმები. ძმები კი გამოიყვანეს, მაგრამ სახლს ველარაფერი უშველეს: ფერფლად იქცა.

ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი მშრომელი კაცი. ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა, ყველა კარგი მონადირე. ცოლი აღრე მოუკვდა და შვილები თვითონ გამოზარდა. მოგვიანებით შეირთო მეორე ცოლი. დედინაცვალი კუდიანი და ავი გამოდგა. გერები სძულდა, მაგრამ რაღას დააკლებდა: ყველა მოზრდილი იყო.

მამა მოხუცდა. დაიბარა შვილები და უთხრა:

— ხვალ სანადიროდ რომ წახვიდეთ, საღამოს თვითოეულმა ტყიდან თითო სახრე მომიტანეთო!

ძმები წავიდნენ, კარგად ინადირეს, საღამოთი დაჭრეს სახრეები და მამას მიუტანეს. მამამ შეკრა სახრეები ერთად, მაგრად მოუჭირა ბაწარი, მისცა უფროს ვაჟს და უთხრა:

— აბა, შვილო, დაიდე მუხლზე და გადატეხეო!

ბიჭმა დაიდო მუხლებზე, მაგრამ ვერ გადატეხა. ცხრავე ძმამ ჩამოირიგა, მაგრამ ვერცერთმა ვერ გატეხა.

— აი, ხომ ხედავთ, ერთად შეკრული ცხრა სახრე ვერ გატეხეთ. თუ თქვენც, ძმები, ერთად იქნებით, მტერი ვერ დაგჩაგრავთ, თუ არა, მტერი დაგძლევთო. წადით ახლა, დაიარეთ ყველა კუთხე, სადაც ცხრა და ნახოთ, ცოლებად წამოიყვანეთო! — უთხრა მამამ შვილებს.

ძმები წავიდნენ. ბევრი იარეს, ბევრი სოფელი და ქალაქი გაიარეს და ერთ სოფელში ნახეს, ღარიბ გლეხს რვა ქალი ჰყავდა. რვა ძმამ წამოიყვანა რვა ქალი, უმცროსი ძმა დარჩა უცოლოდ. მოვიდნენ თავიანთ სოფელში. მეზობელს ერთი კაი გოგო ჰყავდა. დასტაცეს ხელი და უმცროს ძმას ცოლად მოუყვანეს. ცხრანიენ დაქორწინდნენ. ნადირობდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

მამა მოუკვდათ და საკადრისად დაასაფლავეს. დარჩათ კუდიანი დედინაცვალი. გერები ახლა უფრო შეიძულა. დედინაცვალმა რძლებს საყვარლები გაუჩინა. უმცროსმა რძალმა სხვა კაცი არ მიიკარა, დაჯდა შინ და ნაცარს ქექავდა. სხვა რძლები კი, როცა ქმრები სანადიროდ წავიდოდნენ, საყვარლებში დროს ატარებდნენ. ქმრები რომ მოვიდოდნენ, მხიარულად ხვდებოდნენ, ნანადირევს ჩამოართმევდნენ და სიცილ-კისკისს ატეხდნენ. უმცროსი რძალი მუდამ მოწყენილი იყო. ერთ დღეს ქმარმა ჰკითხა:

— ყველა მხიარულობს, შენ რადა ხარ ასე მოწყენილი, რად არ მეტყვი, რა გაწუხებს?

ჯერ ვერ გაუბედა ქმარს ყველაფრის თქმა. შემდეგ კი უთხრა:

— ხვალ სანადიროდ რომ წახვალთ, ჩუმად აღრე მოდი შინ და ჩემი დაღონების მიზეზს გაიგებო.

ეროვნული ქმედებიანობა

კუდიანმა დედინაცვალმა ეს გაიგო. ერდოიანი სახლი ჰქონდათ. წაიღო ნაცარი და ირგვლივ შემოაყარა: თუ ვინმე მოვა, გავიგებო.

უმცროსი ძმა მეორე დღეს გაჰყვა ძმებს სანადიროდ. შუა გზაზე რომ მივიდნენ, ძმებს უთხრა:

— შინ მშვილდ-ისარი დამრჩა, დავბრუნდები და დაგეწევითო!

სანამ ეს დაბრუნდებოდა, საყვარლები მოსულან და რძლები მათთან დროს ატარებენ. უმცროსმა ძმამ დაინახა, რძლები საყვარლებს ეალერსებიან, მისი ცოლი კი ნაცარში ზის დაღონებული. დარწმუნდა ცოლის სიმართლეში, არაფის ეჩვენა, წიფლის ძირში ისარი დაარჭო სანიშნოდ და ძმებთან გაბრუნდა.

კუდიანი დედინაცვალი გამოვიდა. ნაცარი დაათვალიერა. ნახა ნაკვალევი, გაზომა და ზომა შეინახა. საღამოს ძმები რომ დაბრუნდნენ, დედინაცვალმა უთხრა მათ:

— აბა, შვილებო, ფეხებს დაგიზომავთ, წინდები უნდა დაგიქსოვოთო.

აუღო ყველას ფეხის ზომა. უმცროსი ძმის ფეხი მოერგო მის ზომას. ძმებს უთხრა:

— ხვალ უმცროსი ძმა შინ დატოვეთ, საფქვავი უნდა წაიღოს, ფქვილი სულ არა გვაქვსო.

დარჩა მეორე დღეს შინ უმცროსი ძმა. წაიღო წისქვილში საფქვავი. ეს ბიჭი ისეთი ღონიერი იყო, რომ ცხრა კაცი ხელს ვერ მოჰკიდებდა. საფქვავი მეწისქვილეს ჩააბარა, თვითონ ჩეროში წამოწვა და დაიძინა. ჩაისუნთქავს, ხეები აქეთ გადმოიხრება, ამოისუნთქავს, ხეები გაიმართება. სძინავს არხეინად.

ამ დროს დედინაცვალთან ხელმწიფის კაცები მოვიდნენ და ჰკითხეს:

ხელმწიფეს ცალი თვალი დაუშავდა, იქნებ წამალი გვასწავლოთ, რომ მოვარჩინოთო!

დედინაცვალს გულში უმცროსი ძმის ღალატი ედო და უთხრა:

— ამა და ამ წისქვილში ერთმა ყმაწვილმა საფქვავი წაიღო, მას იქ ახლა ხის ჩეროში სძინავს. თუ მოჰკლავთ და მის გულღვიძლს ხელმწიფეს თვალებზე მოუსვამთ, ბრმა თვალი აეხილებაო.

ხელმწიფის კაცები გამოემშვიდობნენ კუდიან დედინაცვალს და წისქვილისაკენ წავიდნენ. ნახეს, მთაკაცს სძინავს: ჩაისუნთქავს, ხეები მისკენ გადაიხრება, ამოისუნთქავს, ხეები გაიმართება. უნდა მოეკლათ, მაგრამ ერთმა თქვა: ასეთი ვაჟკაცის მოკვლა როგორ იქნება, გავაღვიძოთ, იქნებ მან სხვა წამალი გვასწავლოსო.

გააღვიძეს. უმცროსმა ძმამ თვალები ამოიფშვნიტა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ხელმწიფის კაცებს ზრდილობიანად მიესალმა. მათ უთხრეს:

— ხელმწიფე დაგვიბრძანა, იქნებ წამალი რამე გვასწავლოო!

— ახლავე მოვდივარ, მე მოვარჩენო, — უთხრა ბიჭმა.

წავიდნენ. ცოტა გზა რომ გაიარეს, ხელმწიფეს თვალებში შუქი მიეცა.

— რაღაც ამბავია ჩემ თავსო! — თქვა.

უმცროსმა ძმამ შედგა ფეხი თუ არა ხელმწიფის სასახლეში, ხელმწიფეს სულ აეხილა თვალი. სტუმარი ხიხარულით მიიღო. კარგად გუმასპინძლდა: ერთი კვირა სულ აქეიფა. ბოლოს, ხელმწიფემ უთხრა:

— ამა და ამ მთაში ცხენი გამექცა. ცხრა კვიცი შობა ერთმანეთზე უკეთესი. თუ იმ ცხენს დაიჭერ, ცხენი მე და კვიცები შენაო!

უმცროსმა ძმამ წაიღო სამი დღის საგზალი და გზას გაუდგა. ერთ მაღალ მთაზე დაინახა, ცხენი ბალახს სძოვდა და ცხრა კვიცი უკან ედგა. ესროლა ბიჭმა ქამანდი და ცხენი დაიჭირა. მაგრად ჩააბა ქამანდი, დაიჭირა კვიცებიც და ხელმწიფეს მოუყვანა. ხელმწიფის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მთელი კვირა წვეულება და ქეიფი გრძელდებოდა.

— გხედავ, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ; ამა და ამ ზღვის პირას ვაზი მაქვს გაშენებული, ვაზს ფუტკარი დაეხვია და ვერავინ ეკარება, იქნებ მიწიდან ამოგლიჯო ის ვაზი და აქ მომიტანოო! — უთხრა ხელმწიფემ.

მეორე დღეს უმცროსმა ძმამ შეკაზმა მის მიერ მოყვანილი ცხენი, წაიღო სამი დღის საგზალი და გზას გაუდგა. ვაზს რომ მიუახლოვდა, მინდორში დაკრიფა ყვავილები, შეკრა კონები, ჰკრა დეზი ცხენსა და ვაზთან მიაგდო. ფუტკარი ყვავილის კონებს დაეხვია, ბიჭმა ამოგლიჯა ძირიანად ვაზი და უკანვე გამოქუსლა. მიართვა ხელმწიფეს მისი საყვარელი ვაზი. ხელმწიფემ ძალიან გაიხარა. დააჯილდოვა ეს ბიჭი და თან ცხრა კვიციც გამოატანა.

უმცროს ძმას სახლი მონატრებოდა, მოაქროლებდა ცხრა კვიცს და მოიჩქაროდა. გადაწყვიტა, ძმებისათვის ტყეში მიესწრო და ყველაფერი ეთქვა.

მაღალ მთაზე დაინახა თავისი ძმები: წინ ირემი გამოეგდოთ და უკან დადევნებოდნენ. მათ იცნეს უმცროსი ძმა და გადაეხვივნენ. დასხდნენ და თავგადასავალი გამოჰკითხეს. უმცროსმა ძმამ ყველაფერი უამბო, მაგრამ დედინაცვლისა და რძლების ღალატზე მაინც ვერ ამოიღო ხმა. ჯერ კიდევ შუადღე არ გადასულიყო, მაგრამ შინ დაბრუნდნენ. ძმებს თითო-თითო კვიცი დაურიგა. წიფლის ძირში რომ მოვიდნენ, ამ ბიჭმა ძმებს უთხრა:

— თუ ვაჟკაცები ხართ, ამოიღეთ ისარი, ეს ჩემი დაკრულია სანიშნოდ.

ძმები სწვდნენ, მაგრამ ვერ ამოიღეს მიწიდან. უმცროსმა ძმამ წამოჰკრა ნეკი და ამოაძრო.

— ახლა შედით სახლში და, რაც ნახოთ, დამნაშაულები არ დაინდოთო, — უთხრა ძმებს. თვითონ კი სამზარეულოში შევიდა, სადაც მისი ცოლი მოწყენილი იჯდა და ნაცარს ქექავდა.

ძმები სახლში შეიჭრნენ. ნახეს, მათ ცოლებს საყვარლები მოუპატიჟებიათ და ქეიფობენ. დაერივნენ და სულ დახოცეს. კუდიანი დედინაცვალი ზედ მიაყოლეს. უმცროსი რძალი დასავით შეიყვარეს და შემდეგ ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ხელმწიფე და მწყემსი

იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც იმდენი ოქრო ჰქონდა, რომ ხაზინაში ვერ ეტეოდა. იგი მეტად ძუნწი იყო და სამოწყალოდ ერთ გრამ ოქროსაც არავის აძლევდა.

ერთ დღეს ამ ხელმწიფემ თავისი ვეზირების მეშვეობით ხალხს განუცხადა:

— ვინც დღემდე გაუგონარ სამ ტყუილს მეტყვის, დიდძალი ოქროს ფულით დავასაჩუქრებო.

შეიძრა ხალხი. დიდხანს ფიქრობდნენ, მაგრამ ხელმწიფის წინაშე ტყუილის თქმას ვერავინ ბედავდა. ზოგს ვერც კი მოეფიქრებინა, თუ რა ტყუილი ეთქვა.

გავიდა ერთი კვირა, გაუგონარი ტყუილის მთქმელი კი არსად ჩანდა. ხელმწიფის ნათქვამმა ბოლოს ერთი მწყემსის ყურამდეც მიაღწია. მან შეუთვალა ხელმწიფეს:

— პირველი ტყუილის თქმამდე სამი დღე დამაცადე და შემდეგ ყოველ დღე თითო ტყუილს გეტყვიო.

გაეცინა ხელმწიფეს. დარწმუნებული იყო, რომ მწყემსი გაუგონარს ვერაფერს იტყოდა და გულდამშვიდებით იჯდა თავის ტახტზე. გავიდა ერთი დღე. ხელმწიფე დაღონდა. „ნუთუ სამ დღეში მართლა ძოიფიქრებს მწყემსი ჩემთვის უცნობ ტყუილსო,“ — ფიქრობდა იგი. იხმო ვეზირები და უბრძანა:

— მოიგონეთ ყველა ის ტყუილი, რაც კი დღემდე თქმულა. ერთი დღეღამის შემდეგ კი ყველაფერი მომაბსენეთო!

ვეზირებმა შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება.

გავიდა სამი დღე და მწყემსი წავიდა ხელმწიფის სასახლეში, დარბაზის კარებთან გაიხადა თავისი ქალამნები და შევიდა.

— აბა, რა ტყუილი ამბავი მოგვიტანე? — ჰკითხა ხელმწიფემ.

მწყემსმა უთხრა:

— მამაჩემს თავის ცხოვრებაში მხოლოდ ორი პატარა ყანა ჰქონდა. ერთ ყანაში ხორბალს თესავდა და ყოველ წელიწადს იმდენი მოსავალი მოყავდა, ერთ სახელმწიფოს ეყოფოდაო.

— გაგიგონიათ ასეთი ტყუილი? — ჰკითხა ხელმწიფემ ვეზირებს.

— არაო, უპასუხეს.

გამოემშვიდობა მწყემსი, გავიდა დარბაზიდან, ჩაიცვა ქალამნები და თავის ცხვარს მიაშურა.

მეორე დღეს მწყემსმა კვლავ გასწია ხელმწიფის სასახლისაკენ. ხელმწიფე და ვეზირები ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ არაფერი გამოჰპაროდათ და გაგონილი ამბავი გაუგონრად არ ჩაეთვალათ მწყემსი-

სათვის. მწყემსი მიადგა დარბაზს, სადაც მეფის ტახტი იყო. კვლავ გაიხადა ქალამნები და შევიდა.

— მეორე ყანაში მამაჩემი კვერცხს თესავდა და ყოველ წელიწადს იმდენი ქათამი მოყავდა, რომ მთელ სოფელში ვერ ეტეოდაო, — უთხრა მწყემსმა.

მოულოდნელი ტყუილით გაკვირვებულმა ხელმწიფემ გადახედა ვეზირებს და ჰკითხა:

— გაგიგონიათ ასეთი ტყუილი?

— არაო.

მწყემსმა გააღო კარი და გავიდა. მაგრამ მან კარგად იცოდა ხელმწიფის სიძუნწე. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისგან ადვილად ვერ მიიღებდა ამდენ ოქროს ფულს და მეორე ტყუილის თქმის შემდეგ უნდოდა გაეგო ხელმწიფის აზრი. იგი ნელა იცვამდა, აჭიანურებდა ქალამნების ჩაცმას და ცალი ყური დარბაზისაკენ ჰქონდა.

— ხედავთ, ვეზირებო! — ამბობდა ხელმწიფე. — ხელიდან მეცლება ქონება. თუ ვერაფერი მოგიფიქრებიათ, ხვალინდელი ტყუილის თქმის შემდეგ იმ მწყემსს უთხარით:

— ეს გაგონილი გვაქვს-თქო.

მწყემსმა შეიტყო ეს სიტყვები და წავიდა. იმ დღეს საღამომდე ცხვარს აძოვებდა და ტკბილად უკრავდა თავის სალამურს.

გათენდა მესამე დღე. ხელმწიფე სრულიად დამშვიდებული იყო და წინასწარვე თავს გამარჯვებულად თვლიდა.

მოვიდა მწყემსი.

— აბა, კიდევ ერთი გაუგონარი ტყუილი, მწყემსო, და შენც ჩემსავით გაგამდიდრებო! — სიცილით თქვა ხელმწიფემ.'

— მამათქვენს ბევრი მტერი ჰყავდა და ხშირი ომი ჰქონდა მათთან. ყოველ ომს დიდი ზარალი მოქონდა. თანდათან იცლებოდა მამათქვენის ოქროს ხაზინა. ამიტომ მას ხშირად ქვეშევრდომებიც ეხმარებოდნენ. ერთხელ, ასეთი გაჭირვების დროს, მამაჩემსაც უსესხებია ასი ათასი ოქროს ფული მამაშენისთვისო, — უთხრა მწყემსმა და დაასრულა თავისი ტყუილი.

— ეს ცნობილი ამბავია! — წამოიძახეს ვეზირებმა.

— ეს გაგვიგონია, მწყემსო! — დაუმატა ხელმწიფემ.

— თუ თქვენთვის ეს ამბავი ცნობილია, ვალდებული ხართ, როგორც მამათქვენის მემკვიდრემ, ვალი გადამიხადოთო.

გონს მოსული ხელმწიფე დიდხანს იჯდა ტახტზე ხმაამოულებლად, საწინააღმდეგოს ვერაფერს ამბობდა. შემდეგ გასცა ბრძანება, ასი ათასი ოქროს ფული მიეცათ მწყემსისათვის.

გამარჯვებულმა მწყემსმა წაიღო ოქრო, თვითონაც მოიხმარა და სხვასაც მოახმარა.

ღარიბი გლეხი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი. ჰყავდა ცოლი და ერთი რვა წლის ვაჟიშვილი. მას საყოფი მიწა არ ჰქონდა და მეტად გაჭირვებულად ცხოვრობდა. ცოლი ოჯახურ საქმეებს ვერ აუდიოდა. ქმარი კი მუდამ სხვის მიწას ამუშავებდა,მაგრამ საკმარისი მოსავალი მაინც არასდროს ჰქონდათ. ოჯახი ყოველწლიურად ვალებში იყო ჩავარდნილი. „ნუთუ ყოველთვის ასე უნდა ვიცხოვროო! “ — ამბობდა თავისთვის გლეხი და ბოლოს, საშოვარზე წასვლა გადაწყვიტა. „ვიმუშავებ, ფულს მოვიგებ, დავბრუნდები, ვალებს გავისტუმრებ, მიწას ვიყიდი და ცოლ-შვილიც კარგად მეყოლებაო, “ — ფიქრობდა იგი. თავისი გადაწყვეტილება ცოლს გა უმხილა. შინ სულ ათი ოქრო ჰქონდა. ქმარმა სამი ოქრო აიღო, შვიდი — ცოლს დაუტოვა, მოემზადა, ორი კვირის საგზალი ჩაილაგა ჩანთაში და მეორე დღეს გზას გაუდგა.

ათი დღე-ღამე იარა და, ბოლოს, ერთ დიდ სოფელში შევიდა. სოფლის განაპირას, გზის მახლობლად, წყაროსთან დაჯდა, დაისვენა, პური ჭამა და ამდენი დღის სიარულით დაღლილ-დაქანცულს ტკბილად მიეძინა. გზაზე სამი ცხენოსანი გამოჩნდა. ისინი მოახლოვდნენ, ჩამოხტნენ ცხენებიდან და მოწყურებულები წყაროსთან მივიდნენ. ერთი მათგანი ამ სოფლის ყველაზე მდიდარი კაცი იყო. დაინტერესდა წყაროსთან მძინარე მგზავრის ვინაობით და უბრძანა მხლებლებს, გააღვიძეთო! ღარიბი წამოდგა და მივიდა მდიდართან.

— ისე ღრმად როგორ გეძინა, რომ ცხენების ფეხის ხმამ და ამდენმა ხმაურმა ვერ გაგაღვიძა?! — საყვედურის კილოთი ჰკითხა მდიდარმა.

— შორიდან მოვდივარ, ათი დღეა გზაში ვიმყოფები და დაქანცულმა ვერაფერი გავიგონეო.

— სადაური ხარ, რისთვის მოსულხარ? — კვლავ ჰკითხა მდიდარმა.

ღარიბმა გლეხმა უამბო ყველაფერი.

— თუ ჩემთან წამოხვალ, საქმეს გაგიჩენ და წელიწადში ას ოქროს მოგცემო.

ღარიბი დაეთანხმა და გაჰყვა. გლეხი ყველაფერს აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ და მდიდრის ოჯახში ყველა კმაყოფილი ჰყავდა.

გავიდა ათი წელიწადი. გლეხმა გადაწყვიტა, შინ დაბრუნებულიყო. მდიდარმა მას უანგარიშა ათი წლის ჯამაგირი, ორმოცი ოქრო ყოველწლიურ ჯამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაში გამოუქვითა და გაისტუმრა.

გლეხი ხელცარიელი გაუდგა გზას. ჯიბეში მხოლოდ თავისი სამი ოქრო-ღა ჰქონდა. „ათი წელიწადი ვიმუშავე, ვერაფერი მოვიგე, როგორ მივიდე შინო?“ — ეკითხებოდა თავის თავს გლეხი და განაგრძობდა გზას.

შეხვდა ერთი მგზავრი, მიესალმა, მაგრამ გლეხს არაფერი გაუგონია. მგზავრმა სალამი კვლავ გაუმეორა. გლეხი გამოფხიზლდა და სალმითვე უპასუხა. მგზავრი მეტად დაკვირვებული კაცი აღმოჩნდა, მიუხვდა გლეხს და ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს, მგზავრმა უთხრა:

— ერთ ოქროს თუ მომცემ, ერთ ჭკუას გასწავლიო.

— მე სიღარიბე მაწუხებს, თორემ უჭკუო როდი ვარო, — იწყინა გლეხმა.

— ვიცი, რომ უჭკუო არა ხარ, მაგრამ ზოგი რამ შეიძლება ჩემგანაც ისწავლო და გამოგადგებაო, — უთხრა მგზავრმა.

გლეხს მოეწონა ამ მგზავრის სიტყვები და მისცა ერთი ოქრო. მგზავრმა უთხრა:

— მგზავრობისას მუდამ შორი გზით მოიარეო!

— სულ ეს არისო? — ჰკითხა გლეხმა.

— ერთ ოქროდ ეს არის, თუ ერთსაც მომცემ, კიდევ ერთ ჭკუას გასწავლიო.

მისცა ღარიბმა კიდევ ერთი ოქრო.

— რაც შენ არ გჭირდება, ნუ იკითხავო!

კიდევ ერთი ოქრო ჰქონდა გლეხს. „სამი ოქროც სიღარიბეა და ერთი ოქროცო ," — იფიქრა და უკანასკნელი ოქროც მისცა.

— სანამ საქმეში კარგად არ გაერკვევი, ნუ აჩქარდები, მოითმინე და შემდეგ იმოქმედეო! — უთხრა მგზავრმა, გამოემშვიდობა და წავიდა.

ღარიბი გლეხიც თავის გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთგან მექარავნეები შეხვდნენ. გაუამხანაგდა მათ. „ესენი საჭმელს მაინც მაჭმევენ გზაზეო," — ფიქრობდა. დიდი მანძილი გაიარეს. ერთგან შეჩერდნენ. გზა ორად იყოფოდა: ერთი მოკლე გზა იდო, მაგრამ სახიფათო, მეორე კი გრძელი და ორივე კვლავ ერთდებოდა. მექარავნეებმა გადაწყვიტეს, მოკლე გზით წასულიყვნენ. გლეხს კარგად ახსოვდა ერთ ოქროდ ნაყიდი ჭკუა და შორიდან მოვლა ამჯობინა. გზების შესაყართან რომ მივიდა, მექარვნეები არსად ჩანდნენ. გლეხმა დაიცადა, ეგებ ჩამორჩენენო, მაგრამ არავინ ჩანდა. გზა განაგრძო, მოკლე გზას გაჰყვა და ნახა, რომ მექარავნეები მკვდარი ეყარნენ: ყაჩაღებს გაეძარცვათ და დაეხოცათ.

ღარიბი თავის გზას გაუდგა. დაღამდა. ერთგან ლამპის სინათლე შენიშნა. წავიდა ამ სინათლის მიმართულებით და ფიქრობდა: „თუ მიმიღეს, დავისვენებ, ღამეს იქ გავათევ და ხვალ ისევ გზას დავადგებიო ." მიუახლოვდა სინათლეს და მის წინ დიდი ფიცრული სახლი გამოჩნდა. კარი გაიღო და გამოვიდა ერთი მოხუცებული კაცი.

— მობრძანდითო! — შეიპატიჟა სტუმარი.

შევიდა გლეხი და რას ხედავს: კედლებზე ადამიანის მოჭრილი თავები, ხელები და ფეხები ცალ-ცალკე ჰკიდია. ჯერ გაუკვირდა და შეშინდა კიდეც, მაგრამ ხმა არ ამოუღია. სახლის შუაში ქალი იყო ფეხებით დაკიდებული. ერთ კუთხეში ლამაზ ტახტზე ძაღლი იჯდა და მის წინ დადგმულ სუფრაზე დაწყობილ ქათმებს, ბაკლავას, ბურეღსა და ფლავს გემრიელად შეექცეოდა. ღარიბი გაშტერებული იდგა. შიმოიხედა და მის გვერდით მოხუცებულიც აღარ იყო. ცოტა ხანში კვლავ გამოჩნდა, მაგრამ ღარიბს არაფერი უკითხავს.

— დაჯექი, დაისვენეო! — უთხრა მოხუცმა და კვლავ დაიკარგა. ცოტა ხნის შემდეგ ჭერიდან მოესმა:

— სტუმარო, შენს წინ რამდენი საკვირველი სანახაობაა, ყველაფერს კარგად ხედავ, რატომ არაფერს მეკითხებიო?

ღარიბმა აიხედა მაღლა და დაინახა მოხუცის გამხეცებული სახე.

— რაც მე არ მჭირდება, იმას არ ვკითხულობო, — უპასუხა ღარიბმა გლეხმა და შიშისაგან აკანკალდა.

მოხუცი ჩამოვიდა ჭერიდან, სტუმარს ვახშამი აჭამა და ლოგინი გაუშალა. ღარიბი წავიდა დასაძინებლად, მაგრამ დილამდე ძილი არ მიჰკარებია, ეშინოდა, სულ იმას ფიქრობდა: აგე, ახლა მოვა კაციჭამია მოხუცი და ნაჯახს დამცხებს კისერზეო.

გათენდა. ღარიბი ადგა, მაგრამ ოთახიდან გასვლას ვერ ბედავდა. შემოვიდა მასპინძელი და გააბეს საუბარი. ბოლოს, მოხუცმა უამბო:

— მე ძალიან მდიდარი ვარ. ეცხოვრობ ამ განმარტოებულ ადგილას. ფეხებით რომაა დაკიდული, ის ჩემი ცოლია, ტახტზე — ჩემი ძაღლი. მეტი არავინა მყავს. ცოლს ყოველთვის კარგად ეეპყრობოდი. ერთხელ მოვიმზადეთ რამდენიმე დღის სურსათი, საყოფი ფულიც თან წავიღეთ და წავედით ქვეყნის სანახავად. თან ძაღლიც გავიყოლიეთ. გზაზე მოგვშივდა. დავჯექით წყაროსთან და ვსადილობდით. ყაჩაღები დაგვეცნენ. მე შემკრეს და ცოლთან არშიყობა დაიწყეს. ცოლი მათ ყველაფერზე დაეთანხმა და ჩემზე სრულებით არ უზრუნია. ერთად ჭამეს, სვეს, ყაჩაღები დათვრნენ და იქვე დავარდნენ. ცოლს ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ხელები არ გამიხსნა. ერთგულმა ძაღლმა კი კბილებით დაწყვიტა თოკი და გამათავისუფლა. ყაჩაღები დავხოცე. ცოლი წამოვიყვანე შინ, ფეხებით დავკიდე და არა ვკლავ. ჩემს ერთგულ ძაღლს კი ვაჭმევ იმას, რასაც ადრე ცოლს ვაჭმევდი. ამ საკვირველებით დაინტერესებული ყოველი სტუმარი მეკითხებოდა მიზეზს. ყველას ვკლავდი, ვჭრიდი თავს, ხელებს, ფეხებს და კედელზე ვკიდებდი, რადგან მეგონა, დამცინოდნენ. შენ ჭკვიანი კაცი ყოფილხარ და სიკვდილს გადარჩი. ახლა შენი პატივისცემით ჩემს ცოლს გავათავისუფლებ და მოგემსახუროსო.

მოხუცმა დაამთავრა თავისი სიტყვა, გაათავისუფლა ცოლი სახჯელისაგან და სტუმრისათვის საუზმის მომზადება უბრძანა.

ისაუზმეს. მოხუცმა ოქროთი სავსე ორი ტომარა გადაჰკიდა ერთ კარგ ცხენს და ამით დაასაჩუქრა ღარიბი. იარაღიც თან გამოატანა. მადლობა გადაუხადა და ღარიბი თავის გზას გაუდგა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიუახლოვდა თავის სახლს. ხადამო იყო. სახლიდან მამაკაცის ხმა ისმოდა. მივიდა სახლთან, ფანჯრიდან შეიხედა და დაინახა, რომ ვიღაც კაცი წამოწოლილა და ქალი თავზე ხელს უსვამს. გაბრაზდა ღარიბი, ამოიღო იარაღი და ორივეს მოკვლა მოინდომა, მაგრამ უცბად ერთი ოქროთი ნაყიდი ჭკუა მოუვიდა თავში: სანამ ხაქმეს კარგად გაარკვევ, ნუ აჩქარდები, მოითმინე და შემდეგ იმოქმედეო! შეჩერდა და ყურს უგდებდა.

— დედა, ახლა რომ მამა დაბრუნებულიყო, ხომ კარგად ეიცხოვრებდით, ორივე ვიმუშავებდით და ყველაფერი გვექნებოდაო, — მოესმა ღარიბს სახლიდან.

— კარი გამიღეთ! — შესძახა.

გაიღო კარი და ღარიბი გლეხი შინ შევიდა, გადაეხვია თავის ცოლ-შვილს და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ღარიბი გლეხი და უჭკუო ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ ქვა ჰქონდათ და კბილი ეწყალებოდათ.

ერთ დღეს ქმარი სამუშაოდ წავიდა, ცოლმა კი კოკა აიღო და წყლის მოსატანად გაიქცა. ქარიანი ამინდი იყო და ხეები აქეთ-იქით ირწეოდნენ. წყაროს გვერდით ასკილი ირხეოდა. დედაკაცს ცოტა ჭკუა აკლდა და ასკილს ჰკითხა:

— ნათლიდედ, ნართი რომ მოგიტანო, ნათლიმამას წინდებს ვერ დაუქსოვო?

ასკილი ქარმა ისევ შეარხია და ქალს ეგონა, თანხმობის ნიშნად თავს მიქნევსო. გაიქცა შინ, წამოიღო ნართის გორგალი და ასკილზე გამოაბა:

— სანამ მოვალ, წინდები დაქსოვეო.

მეორე დღეს ქალი ისევ მივიდა და ნახა, ძაფი ქარს სულ მთლად დაეძენძა. გაბრაზდა და ასკილი ძირიანად ამოგლიჯა. ასკილის ძირში ოქროს ფილთაქვა ყოფილა და ამოჰყვა. ქალმა ქვა ქმარს მიუტანა. ქმარმა იცნო, რომ ეს ოქრო იყო, მაგრამ ცოლს უთხრა:

— ეგდოს, სალესავად მაინც გამომადგებაო.

აიღო და თავხეში შეინახა.

მეორე დღეს ქმარი სამუშაოდ წავიდა. ერთმა ვაჭარმა საწვრილმანო ჩამოატარა. ქალმა ჰკითხა:

— ერთი ყვითელი ქვა მაქვს და ხომ აიღებ ჩითებშიო?

— მოიტანე, ვნახო, რა ქვა არისო, — უთხრა ვაჭარმა.

ქალმა ოქროს ფილთაქვა გამოარბენინა. ვაჭარმა სწრაფად აუზომა ჩითი და გზას გაუდგა.

ქალმა გადმოიღო თოჯინები და ამ ჩითით კაბები შეუკერა.

საღამოს ქმარი სამუშაოდან დაბრუნდა და დააკაკუნა. ქალი თვითონ არ ადგა და თოჯინებს დაუძახა:

— თებრო, მაკრო, ჰელო, ადექით და მამათქვენს კარები გაულეთო.

აბა, ვინ გაულებდა კარებს!

გაჯავრებული ქალი წამოდგა, ქმარს კარი გაუღო, მერმე თოჯინებს მოუბრუნდა და სულ ლუკმა-ლუკმა აქცია, დღეს თქვენი მუშა ვიყავი, თქვენ კი ერთი სიტყვაც არ გამიგონეთო!

ქმარი მიხვდა, ქალს ოქროს ფილთაქვა გაუყიდიაო და სახლიდან გამოაგდო.

წავიდა ქალი. იარა, იარა, და გზაზე დაუღამდა. ერთი ოქროვერცხლით დატვირთული ვირი შემოხვდა. სიარულის დროს ვირი თავს იქნევდა. ქალმა ჰკითხა:

— ნათლიმამ, ჩემმა ქმარმა ხომ არ გამოგგზავნა შესარიგებლადო?

ვირი თავს რომ იქნევდა, ქალს დასტურის ნიშანი ეგონა. მოჰკიდა ხელი და წამოიყვანა შინ. ქმარს ეძინა. ქალმა კარზე დააკაკუნა და ქმარს გასძახა:

— მოვედი და შევრიგდეთო!

კაცმა იფიქრა, იქნებ ამ გიჟმა კიდევ რამე იპოვნაო და კარი გაუღო. დაინახა, ოქრო-ვერცხლით დატვირთული ვირი, ძალიან გაუხარდა. ხურჯინი ჩამოხსნა და შინ შეიტანა, ვირი კი მინდორში გააგდო. უნდოდა ოქრო-ვერცხლის დამალვა, მაგრამ იფიქრა: ამასთან რომ დავმალო, ხვალ მთელ ქვეყანას შემიყრისო და ცოლი თონეში ჩასვა, ამაღამ ქვის სეტყვა უნდა მოვიდეს და დაიმალეო. თონეს ზევიდან თუნუქის ნაჭერი გადააფარა, სიმინდი დაყარა და ქათმები მიუსია. ქათმები რომ სიმინდს კენკავდნენ, ქალს ეგონა, მართლა ქვის სეტყვა მოდისო და ხან იქით მიიკუნჭებოდა და ხან აქეთ.

ოქრო-ვერცხლი რომ დამალა, კაცმა ახადა თონეს და ცოლი ამოიყვანა. ქალმა უთხრა:

— მართლა დიდი სეტყვა იყო და შენ სადღა დაიმალეო?

— მე ბუხარში ვიყავი დამალულიო, — უთხრა ქმარმა.

მეორე დღეს კაცი სამუშაოდ წავიდა.

პატრონი დაკარგულ ვირს დაეძებდა და ამ ქალს ჰკითხა:

— ასეთი და ასეთი ვირი ხომ არ გინახავსო?

— როგორ არა, წუხელ ჩვენთან იყოო, — უთხრა ქალმა.

ვირის პატრონმა სასამართლოში იჩივლა. დაიბარეს ცოლ-ქმარი. კაცმა უთხრა:

— სასამართლოში მე წავალ, შენ კი შინ დარჩი, კარებს თავი არ დაანებოო.

ქალი დიდხანს ელოდა ქმარს და რომ აღარ გამოჩნდა, ჩამოიღო კარი, აიკიდა და სასამართლოში წაიღო.

ქმარმა რომ დაინახა, გაჯავრებით უთხრა:

— ხომ გითხარი, კარებს თავი არ დაანებო-მეთქი და შენ აქ რა მოგარ-ბენინებდაო?

— კარები თან წამოვიღე, თავი არ დამინებებიაო, — მიუგო ცოლმა არხეინად.

მოსამართლე ცალი თვალით ბრმა იყო. ქალმა დაინახა თუ არა, შეწუხებულმა ჰკითხა:

— შე საცოდავო, წუხელ ქვის სეტყვა რომ იყო, იმან გამოგთხარა თვალიო? შენც თონეში ჩამჯდარიყავი და არაფერი დაგიშავებოდაო.

აბა ამას რა ჭკუა უნდა მოვთხოვო. ვინა ნახა წუხელ ქვის სეტყვა, რომ ეს გაიძახიხო, ეს გიჟი ყოფილა, მაგისი არაფერი დაიჯერებაო, — იფიქრა მოსამართლემ და კაცი გაათავისუფლა.

დარჩა ის ოქრო-ვერცხლი ამ კაცს.

რძალ-მაზლის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. ერთი დასაკლავი ღორი ჰყავდათ და რძალი ყოველდღე ეჩიჩინებოდა, დაკლათ, დაკლათო, მაგრამ მაზლი არ უშვებდა, ახალ წლამდე შეინახოთ და მერმე დაკლათო.

ერთ დღეს მაზლი სამუშაოდ წავიდა. რძალი შინ მარტოდ დარჩა. ჭკუაზე ცოტა უკაცრავად იყო და გაბრაზებული ყვიროდა: ნეტავ ამ ღორს ან დედა არ ჰყავს ან მამა, ან მამიდა, რომ წაიყვანონ და მეც დავისვენოო?

ეს სიტყვები მგზავრებმა გაიგონეს და თქვეს: ეს ქალი სულელი ყოფილა, ამ ღორს ადვილად დაეტყუებთო! ორი მგზავრი მივიდა და ქალს უთხრა:

— თქვენ ღორს მამიდა ავად გახდომია და მაგის ნახვასა ნატრობსო!

— უი, საცოდავს, აქ ხურას ეტყვით, თორემ ყვირილს დაიწყებს და რა გაუძლებს, წაიყვანეთ და გზაში უთხარითო.

კაცებმა ღორი წაიყვანეს. გასცდნენ თუ არა სოფელს, მაშინვე დაკლეს, არავინ დაგვედევნოსო.

რძალმა ღორის ჭყვირილი გაიგონა და თავში ხელი შემოიკრა: ალბათ, მამიდის ავადმყოფობა აცნობეს, შეხედეთ, როგორ ტირის საწყალიო.

საღამოს მაზლი სამუშაოდან დაბრუნდა, მაგრამ ღორი ვეღარ იპოვა. რძალმა უთხრა: ჩვენს ღორს მამიდა ავად გახდომია და მის სანახავად გაეგზავნე, საწყალს გზაში აცნობეს მამიდის ავადმყოფობა და ტირილით თავს იკლავდაო.

მაზლი ძალიან გაბრაზდა და უნდოდა რძალი მოეკლა, მაგრამ იფიქრა, ჯერ წავალ, ქვეყანას შემოვივლი, თუ ამაზე გიჟი ქალი ვნახე სადმე, არ მოვკლავ, თუ არა და არ დავარჩენო.

წავიდა მაზლი. იარა, იარა და გზაში ზამთარმა უსწრო. ნაბადი დიდი თოვლით დაეფარა. ბოლოს ერთ სოფელში შეეიდა და გადაწყვიტა, ღამე იქ დარჩენილიყო.

იქვე ახლოს ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მთელი ზაფხული ერბოს აგროვებდნენ. ცოლი ეხვეწებოდა: ერბო ეჭამოთო, ქმარი კი უარზე იყო: მოიცა, ჯერ ზამთარი მოვიდესო.

იმ დღეს ქმარი სამუშაოდ იყო წასული. ცოლმა ნაბადდათოვლილი კაცი დაინახა, ძალიან გაუხარდა და უთხრა: მთელი ზაფხული გელოდით და ძლივს არ გამოჩნდი! რამდენი ერბო გვაქვს შენთვის შენახული, მოდი და წაიღეო!

კაცს გაუხარდა, მივიდა, ორი დიდი ქილა ერბო წამოიღო. იფიქრა, ეს ჩემს რძალზე უფრო გიჟი ყოფილაო და გზა განაგრძო.

ერთი სახლიდან ქალის მოთქმის ხმა გაიგონა: საცოდავო, ჩემო ქმარო, როგორ გიყვარდა შენი ოქროს ქამარ-ხანჯალი და მე კი, უბედურმა სამარეში თან ვერ ჩაგატანე. ნეტავ ვინმე მაინც გამოგზავნო, რომ გამოვატანოო.

კაცმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, ქალს გასძახა: შენმა ქმარმა დამაბარა, ჩემი ოქროს ქამარ-ხანჯალი რომ დამრჩა, გამომიგზავნოსო.

— ოჰ, შენი ჭირიმე, მეც სწორედ ამას ვჩიოდი ახლა, წაულე იმ უბედურს, ვინ იცის, როგორ სჭირდება და მე კი ტყუილა მიყრიაო.

მისცა ამ ქალმა ქამარ-ხანჯალი, თან მადლობა გადაუხადა და გამოგზავნა.

ჩემ რძალზე უფრო გიჟებიც ყოფილან ქვეყანაზეო, — იფიქრა მაზლმა და რძალს დანაშაული აპატია.

ცხოველთა სამყარო

დათვი, მელია და მგელი

დათვი, მელია და მგელი დაძმობილდნენ. იპოვეს ერთი მკვდარი ძროხა. მელიამ თქვა:

— სამთ არა გაგვიხდება რაო, მოდი, ვინც ძველი სიტყვა თქვას, ეს ძროხა იმას დარჩესო!

პირველი სიტყვა იყო მგლისა და მგელმა თქვა:

— მე მაშინდელი ვარო, პირველად ცა და ქვეყანა რომ დაარსდაო!

ამოიგმინა მელიამ და თქვა:

— უფროსი შვილი მაშინ მომიკვდაო!

ახლა დათვმა თქვა:

— მე ორი წლისა ვარ, მესამე კი ნულარ მომივიდეს, თუ ან ერთს დაგანებოთ, ან მეორესაო. და მართლაც, ორივე ცარიელზე გაუშვა.

ნათქვამია: ძალა მოვიდაო და სამართალი ბანზე ავიდაო; შეეარდენის ახლო ქედანი ვერ იბოგინებსო!

დათვი და მელია

დათვი და მელია დაძმობილდნენ. დაიწყეს ერთად ცხოვრება. მელიამ უთხრა:

— მოდი, იცი, რა ვქნათ? — ზაფხულში რაც ვიშოვოთ, ხორცი შევჭამოთ, ქონი ერთ ქვევრში მოვაგროვოთ ზამთრისათვისო!

— კარგიო! — უთხრა დათვმა.

მართლაც, ასე მოიქცნენ: ხორცი ჭამეს და ქონი ქვევრში შეინახეს. მთელი ზაფხული აგროვეს, აგროვეს და გაავსეს ქვევრი. დაზამთრდა კიდეც. დაახურეს ქვევრს თავი და თქვეს: ეს ასე შევინახოთ და გაჭირვების დროს გამოგვადგებაო!

ერთ საღამოს მელია დაფიქრებული იჯდა. უცებ წამოხტა ფეხზე, გავიდა კარში და გასძახა:

— რას იძახი, რა...სა?!

— მელია, ვინ გიძახისო? — ჰკითხა დათვმა.

— ერთი კაცი გამომდგარა ეგერ და მიძახის, შვილი მომინათლეო, და რა ვქნა, წავიდე, თუ არაო? — დაეკითხა მელია.

ऐसा भालू देखा कभी?

— წადი, კაცო, წადიო, — უთხრა დათვმა, — და ცოტა რამე მეც მომიტანეო!

— კარგიო! — უთხრა მელიამ და წავიდა.

მივიდა თავის ქვევრთან, მოხადა, ამოფხაჭნა ქონი, გამოძღა ლამაზად და მივიდა დათვთან.

— ოჰ, მოხვედი, ძმობილო, რა ჰქენი, არაფერი მომიტანეო? — ჰკითხა დათვმა.

— რას მოგიტანდი, ძმაო, — უთხრა მელიამ, — ერთი კვერი პური მომიტანეს და ერთი კულა ღვინო; ავაკურკულე, დავაკურკულე და მეც არ მეყო, თორემ შენ რაღას მოგიტანდიო!

— ბავშვს რა დაარქვესო? — ჰკითხა დათვმა.

— თავმოფხოჭილიო! — უთხრა მელიამ.

გამოდგა მელია ახლა მეორე დღეს და გასძახა კიდეე:

— რას იძახი, რა...სა?!..

— ვინ გიძახისო? — ჰკითხა დათვმა.

მელიამ უთხრა:

— ვინ, კაცო, და ჩემი ნათლიმამა მიძახის, კაი ხელი გქონიაო და ახლა ჩემი მეზობელი გეხვეწება, შვილი მომინათლეო! რა ვქნა, წავიდე, თუ არაო?

— წადი, წადი, კაცო, ახლა მაინც მომიტანე რამეო! — უთხრა დათვმა.

— კარგიო! — უთხრა მელიამ და გასწია ქვევრისაკენ.

მიეიდა, მოხადა ქვევრს თავი, ჭამა, ჭამა, დაიყვანა შაუმდის, გამოიბერა კარგად და მივიდა დათვთან. დათვმა ჰკითხა:

— რა ჰქენი, მოხვედი, ძმობილო, არაფერი მომიტანეო?

— ეჰ, რას მოგიტანდი, ძმაო, — უთხრა მელიამ, — ერთი ნაჭური ყველი მომიტანეს და ერთი კულა ღვინო. ავაკურკულე, ყველი ჩავატანე, მეც არ მეყო, შენ რაღას მოგიტანდიო!

— რა გაეწყობა, ძმაო, — უთხრა დათვმა, — ბედი არ მქონიაო. ბავშვს რა დაარქვესო?

— შუა დაარქვესო! — უპასუხა მელამ.

მესამე ღამეს კიდეე წამოხტა მელია და თან გააფურთხა:

— ფუჰ, დაგწყეველოთ ღმერთმა, რომ აღარ მომასვენეთო! — გასძახა. — რას იძახი, კაცო, რა...სა!?..

— ვინ არისო? — ჰკითხა დათვმა.

— ვინა და ჩემი ნათლიმამა მეძახისო, — უთხრა მელიამ, — შენი ნათლული ავად გამიხდა და მოდი, ნახეო!

— წადიო, — უთხრა დათვმა, — ჩემ მაგივრად სთხოვე, გამომიგზავნე რამე-თქო!

წავიდა მელია, მივიდა ქვევრთან, ამოჭამა, რაც იყო, გამოძღა კარგად, ქვევრი ნაცრით გაავსო, დაახურა თავი და მივიდა დათვთან.

— რა ჰქენი, ძმობილო, როგორ არის შენი ნათლულიო, — ჰკითხა დათვმა, — არაფერი მომიტანეო?

— ეჰ, შენც დაგიჯინიაო, — უთხრა მელიამ, — რას მოგიტანდი, კაცო, მომართვეს ნახევარი წიწილა და ერთი კულა ღვინო, გაკერიხე წიწილი,

ავაკურკულე ღვინო, ავწიე, ვნახე, კულა ცარიელი იყო, დავაგდე და წამოვედიო!

— კარგი, ძმაო, წავიდეთ, ჩვენი ქვევრი ვნახოთ, თორემ შენგან და შენი ნათლიმამისაგან ხეირი არც ყოფილა და არც იქნებაო! — უთხრა დათვმა.

გასწია ორივემ, მივიდნენ ქვევრთან. წადგა წინ მელია, მოჰხადა ქვევრს თავი და შეხძახა:

— უჰ, დაიცადე, დაიცადე, ქონს ჰკე მოუკიდნიაო!

— რა უნდა ეშველოს ახლა მაგასო? — ჰკითხა დათვმა.

— ამითი არა უშავსო, — უთხრა მელიამ, — მოდი ახლოს, დააჭყიტე თვალები, სულს შეუბერავ და ჰკეს გადაეყრიო. დააჭყიტა დათვმა თვალები, მელიამ შეუბერა სული და მიაყარა ნაცარი თვალებში. დაეკსო დათვს თვალები და დაიწყო აქეთ-იქით ჩერჩეტი.

მერმე მელიამ უთხრა:

— რაც მოგვიიდა, მოგვიიდა, ახლა მეტი რაღა გაეწყობა, მე კვახში სიმინდის მარცვალს ჩავყრი, გაგიძღვები წინ, გავარიხინებ კვახს და შენ მის რიხინს მოჰყვეიო!

დაჰყაბულდა დათვი. ჩაყარა მელიამ კვახში სიმინდის მარცვალი, მიდის მელია, არიხინებს კვახს და მისდევს დათვი. ატარა, ატარა და აიყვანა ერთი დიდი კლდის თავზე, გაჩერდა და უთხრა დათვს:

— ახლა ძალიან კარგი გზა არის, ვაკე მინდორია, გავიქცევი და შენც გამოიქეცეო!

— კარგიო! — უთხრა დათვმა.

მელიამ გადააგდო კვახი კლდეზე და უთხრა დათვს:

— აბა, ჩქარა მომყეო!

გაჰყვა დათვი კვახის რიხინს და გადავარდა კლდეზე. მელია უკანიდან მისძახის:

— არიქა, დათუნია, არ გაუშვა, სულ მაგ კვახის ბრალია ჩვენი ქვევრის დაცლა, ნაცრით გავსება და შენი თვალების დავსებაო!..

მელია და კაკაბი

ერთხელ მელიამ კაკაბი დაიჭირა და, ფეხებშუა რომ ჩაიჭირა, კაკაბმა შესთხოვა:

— მე ხომ შენი ლუკმა ვარ, სადღა გაგექცევი, მხოლოდ გთხოვ, ერთი ღმერთი ახსენე და მერე შემჭამეო!

მელიამ რომ ტოტები აღაპყრო, კაკაბი გაფრინდა. მაშინ მელიამ ტირილით წარმოთქვა:

კაკბის მოსატყუარა
ვაი-ვაგლახი მელსაო,
ჰქონდა მშიერი მუცელი,
რაღა დიდება ღმერთსაო!..

რწყილი და ჭიანჭველა

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ, წავიდნენ გზასა. მიადგნენ ერთ რუს. რწყილმა უთხრა ჭიანჭველას:

— მე გადავხტები და შენ რაღა გეშველებაო?

— განა მე კი ვერ გადავხტებიო?! — უთხრა ჭიანჭველამ.

რწყილმა ისკუპა — გადახტა; ჭიანჭველამ ისკუპა — წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილს:

— ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობ!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

— ღორო, მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავეგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ღორმა უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

— მუხავ, მომე რკო,
რკოს მივეტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავეგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

მუხამ უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

— ყვავო, ეხსენ მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივეტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავეგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

.ყვავმა უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის წიწილა არ მოგიყვანიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

— კრუხო, მომე წიწილა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავეგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

კრუხმა უთხრა:
— შენ რომ ჩემთვის ფეტვი არ მოგიტანიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

— ორმოვ, მომე ფეტვი,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავეგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ორმომ უთხრა:
— შენ რომ ჩემთვის თაგვი არ მოგიშორებიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა:

— თაგვო, ეხსენ ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავეგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

თაგვმა უთხრა:
— შენ რომ ჩემთვის კატა არ მოგიშორებიაო.
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

— ოსტატმა ეს ქალაქიც

— კატავ, ეხსენ თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მიკუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მიჭვარი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მიკუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დაგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩაუგდებ, ამოიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

კატამ უთხრა:
— შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მიეიდა ძროხასთან და სთხოვა:

— ძროხავ, მომე რძე,
რძეს მიკუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მიკუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მიჭვარი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მიკუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დაგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩაუგდებ, ამოიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ძროხამ უთხრა:
შენ რომ ჩემთვის ბალახი არ მოგიტანიაო!
რწყილი წავიდა, დაგლიჯა მინღორში ბალახი და ძროხას მიუტანა. ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატასა, კატა დაეხსნა თაგვსა, თაგვი მოშორდა ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხსა, კრუხმა მისცა წიწილა, წიწილა მიჰგვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუხასა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ღორსა, ღორმა ჯაგარი უთავაზა, რწყილმა ჯაგრის ბაწარი დაგრიხა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველას, რომელიც ბალახს მოსჭიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზე შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.
ერმე ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა.

ჩიტი და მელია

იყო ერთი ჩიტი-ჩიორა, ტყეში ერთი მოხერხებული ალაგი იპოვა და ბუდე გაიკეთა. მერმე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დადო. სამ კვირაში გამოჩეკა ჰატარა ჩიორები. დედა თავის შვილებს უზიდავდა კალიებს, ჰეპლებს, ბუზებს, აჭმევდა და ზრდიდა.

დიდ სიხარულში იყო ჩიორა. ჩქარა დავაფრენ ჩემს ბარტყებსო. მაგრამ მალე უბედურება ეწვია. წყეულმა მელიამ ბუდეს მიაგნო, ხის ძირში მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმოიგდე,
თორემ შავ დღეს დგაყენებ:
ცელს მოვიტან, ცენცელასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაც,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაც!

შეეშინდა საწყალ ჩიორას. აიყვანა ერთი ბარტყი და გადმოუგდო მელიას. მელიამ პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო!
— ერთი ბარტყი გადმოიგდე,
თორემ შავ დღეს დგაყენებ:
ცელს მოვიტან, ცენცელასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაც,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაც!

დაღონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელიამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მესამედაც მიცუნცულდა მელია და ჩიტს შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმოიგდე,
თორემ შავ დღეს დგაყენებ:

Hungry as a hunter

ცელს მოვიტან, ცენცელსა,
ხელეფის და ნალდუსა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაც,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაც!

მწარედ დაღონებულმა ჩიორამ მესამე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელიამ გაარბენინა და ისიც სწრაფად გადაყლაპა.

უბედური ჩიტი აფრინდა და მოშორდა იმ არემარეს, შემოჯდა ერთ ხეზე მეტად დაღონებული. მონადირემ დაინახა და ჰკითხა:

— ეგრე მწარედ რამ დაგაღონა, ჩიორაო?

— არ გებრალები?! ერთმა წუწკმა მელიამ შვილები დამიჭამაო.

— აბა, წამოდი, მიჩვენე ის წყეული და მე გაყურებინებ მის სეირსაო!

ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელიასთან მიიყვანა. მონადირემ მელიას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევინა. დანით გაუფატრა მუცელი, ბარტყები ამოიყვანა და ბუდეშიეე ჩაუსვა გახარებულ ჩიორას.

დათვი და მელია

იყო ერთი მელია. მუდამ მარტოკა დაცუნცულებდა. ბოლოს, მოწყინდა მარტო ცხოვრება და თქვა: ერთი ძმობილი უნდა ვიშოვნოო. ადგა და წავიდა. გზაზე დათვს შეხვდა. მელიამ უთხრა:

— დავძმობილდეთო!

— კარგიო, — უთხრა დათვმა, — მაგრამ შენ რას მოიტან, მე მუდამ თითო ცხვარს მოვიყვანო!

— ყოველდღე თითო ქათამს მოვათრევო, — უთხრა მელიამ.

დათვს გაუხარდა და დაძმობილდნენ.

დათვს ყოვლდღე მოჰქონდა თითო ცხვარი. მელია აილებდა ქონს, გადაადნობდა და ჩაასხამდა ქოთანში. დათვმა ჰკითხა:

— მაგას რასა შვრები, მელიაკ, რად გინდა ქონიო!

— ძმობილო, — უთხრა მელიამ, — მუდამ ასე მაძღარი კუჭი არ გვექნება, ერთხელაც იქნება, ცხვარ-ქათამი შემოგვაკლდება და მაშინ რა უნდა ვჭამოთ, თუ არაფერს შევინახავთო?

— კარგია ძალიანო, — უთხრა დათვმა, — მაგრამ უჩემოდ კი არ შეჭამოო!

ერთხელ მელიამ და დათვმა ვერაფერი იშოვეს საჭმელად. ძალიან მოჰშივდათ. მელიამ იფიქრა: მოდი, დათვს მოვატყუებ და მე თვითონ მივაძღები მარტოკაო!

ავდარი იყო. მელია ავარდა ბანზე და დაიწყო სირბილი, ვითომ ზეპავდა, რომ წვიმა არ ჩამოგვივიდესო. ზოგჯერ მელია გაჩერდებოდა და დაიძახებდა: არა მცალია, ვერ წამოვალო! დათვმა გაიგონა და ჰკითხა:

— რა არი, ძმობილო, რას იძახიო?

— ნათლობაში მეძახიან და მე კი არა მცალიანო, — უთხრა მელიამ.

— წადი, ჩქარა წადიო! — უთხრა დათვმა.

მელია მართლაც წავიდა, მაგრამ იქ არაფერი ნათლობა არ იყო, თვითონაც იცოდა, დაბრუნდა და დათვს უთხრა:

— რა ნათლობაა! ერთი ხმიადი ჰქონდათ, ააგორებდნენ, ჩააგორებდნენ, კარზე მოაგორებდნენ; ერთი საღვინე ჰქონდათ და შიგ არაფერი ედგათო!

მეორე დღეს მელიამ უთხრა დათვს:

— ერთ ქორწილს გამოვუარე და დამპატიჟესო. რადგან მე ნათლობაში ვიყავ, შენ იქ წადიო!

წავიდა დათვი, მაგრამ რა ქორწილს შეჰხვდებოდა? ერთ მეცხვარესთან მივიდა:

— მეცხვარევ, აბა, მაჭამეთ რამე, ქორწილი გქონიათო!

მწყემსმა წამოაგლო ჯოხს ხელი და ერთი თუ ორი:

— შე აყროლებულო, აქ ქორწილს რა ხელი აქვსო!

დათვმა მთელი ქურქით ძლივს გაასწრო.

სანამ დათვი მივიდოდა, მელიამ ამოჭამა ერთი ქოთანი, შიგ ჩაყარა ნაცარი და ჩადგა იქვე. მივიდა დათვი და უთხრა:

— მე შიმშილით მოვკვდი, ამოიღე ქონი, ვჭამოთ, რაღა შავი დღისთვის ინახავო?!

მელიამ უთხრა:

— ზედ ნაცარი დავაყარე, შენ დიდი სული გაქვს, შეუბერე, მოაშორე და ვჭამოთო. შეუბერა დათვმა და თვალებში ნაცარი შეეყარა. დათვმა თათი თვალებზე იტაცა და წმენდა დაიწყო.

ამ დროს მელია წამოხტა და გაიქცა, დათვმა არ შემჭამოსო. ჩახვრიტა მიწა და ამოსვრილი დაჯდა სოროს პირზე. გამოიარა დათვმა და ჰკითხა:

— ხომ არავინ გინახავს ამაზე გავლილიო?

მელიამ უთხრა:

— ამაზე გაიარა ერთმა მელიამ, იმასა და დათვს ჩხუბი მოსვლოდათ და სადღაც მირბოდაო!

გაიცდინა მელიამ დათვი, დაბრუნდა ისევ უკან და ამოჭამა მეორე ქოთანიც, ააესო ნაცრით და უნდა წამოსულიყო, მაგრამ ამ დროს დათვიც მოვიდა.

მელია სადღა წავიდოდა?! დათვს ვეღარსად გაექცეოდა.

მელიამ ხერხი იხმარა, დათვს უთხრა:

— ბიძავ, ეს ერთი ქოთანი ქონი გვაქვს, შეჭამე, მშიერი იქნებიო! დათვმა უთხრა:

— აბა, ახლა შენ შეუბერე ნაცარს, მე კინაღამ თვალები ამოვითხარეო!

— მე ცოტა სული მაქვს, ვერ შევუბერავ, ისევ შენ შეუბერეო! — უთხრა მელიამ.

— რაო? — შეღრიალა დათვმა, — აუცილებლად შენ უნდა შეუბეროო!

მელიამ შეუბერა ცოტაზე, მაგრამ ვერ გადაყარა ნაცარი და უთხრა დათვს:

— მე ჯერ რა პირი მაქვს, რა სული მედგმისო. სული კუდში მიდგას და აბა კუდიდან საიდან შევუბეროო!

— მაშ, როგორ ვქნაო? — ჰკითხა დათვმა, — თვალები დამეთხრება, რომ კიდევ ნაცარი შემიცვივდესო.

— თვალები დააჭყიტე და ისე შეუბერეო! — ურჩია მელიამ.

დატყვრიცა დათვმა თვალები, რაც ძალა და ღონე ჰქონდა და შეუბერა ნაცარი თვალებში და გამობუგა. დათვმა დიაწყო თვალების წმენდა, მაგრამ რას უშველიდა! მელიამ უთხრა დათვს:

— დამიცადე აქ, წავალ და ექიმს მოვიყვანო!

წავიდა მელია. მოიყვანა ერთი თოფიანი მწყემსი და აჩვენა დათვი. მწყემსმა მოკლა დათვი და ტყავიც წაიღო და ხორციცა. მელიასათვის კი სამ დღეში ერთი ქათამი უნდა ეძლია. მწყემსმა ორჯერ კი მისცა მელიას დედლები, მერმე კი უარი უთხრა. ბევრჯერ სთხოვა მელიამ მწყემსს:

— მომეცი ჩემი დედლები, თორემ ღმერთი არ შეგარჩენსო!

მწყემსმა აინუნშიაც არ ჩააგდო მელიას სიტყვები.

მწყემსს ქორფა ბატკნები ჰყავდა საბატკნეში. შეეჩვია მელია და ყოველდღე თითო მიჰქონდა. მწყემსი ხედავდა, რომ ბატკანი მუდამდღე აკლდებოდა, მაგრამ მიზეზი არ იცოდა. ბოლოს, ერთი ბანი დახურა, მეორე ახდილი გაუშვა, იმის ქვეშ მახე დააგო. მიიპარა ღამით მელია, ნახა, რომ ერთი ბანი ახდილი იყო, ჩახტა შიგა და ხაფანგში გაება.

მეორე დღეს მივიდა მეცხვარე, ნახა მელია, ჩააელო კუდში ხელი, გამოათრია გარეთ და უნდოდა ტყავი გაეძრო. მელიამ უთხრა:

— კაცო, არ მომისმენ? განა აქ მოსამართლე არ არის, რომ გაგვასამართლოსო!

მოიყვანეს ორი მწყემსი და შესჩივლა მელიამ:

— მომისმინეთ, კეთილნო მოსამართლენო! ღმერთმა საწყლად დამბადა, არც მამული მომცა, არც სახლიო. დაეხეტები ასე ქვეყანაზე, ზოგან თაგვს შევხვდები, ზოგან ქათამს და იმასა ვჭამო. დღისით მშიერი ვარ, გარეთ ვერ გამოვდივარ; ყველა ამ ჩემი ტყავისთვინა მმტრობსო. ასე ღამე გამოვდივარ და მეც არ ვიცი, სად დავდივარო. ღამე გამოვიარე მეცხვარის ბანზე და ბანში კი ჩავვარდიო, აბა, მე აქ რა მესაქმებოდაო? მწყემსმა გამომათრია, უნდა მოვეკალიო. ახლა თქვენ იცით, როგორც გაგვასამართლებთ, ცოცხალიც თქვენ ხელში ვარ და მკვდარიცო!

მოსამართლეებმა გაამართლეს მელია და გაუშვეს. გაიღერა მელიამ კუდი და გაეშურა მინდვრისაკენ.

მელია ახლაც ცოცხალია და ლოცავს მეცხვარეებს.

შაშვი და მელია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი შაშვი. გაიკეთა ბუდე ერთ დაბურულ ტყეში, გამოჩეკა ბარტყები და ცხოვრობდა ტკბილად თავისთვის. გაიგო მელიამ, რომ შაშვს ბარტყები ჰყავსო, მოვიდა მის ბუდესთან და შესძახა:

— შაშვო, შვილები მომე, თორემ დაგიჭერ და შენც შეგჭამო!

— თავი დამანებე, — უპასუხა შაშვმა, — თორემ ისეთს დავიძახებ, რომ რაც რამ დედამიწის ზურგზე ორფეხი არის, სულ აქ მოვაო!

— მე კი ისეთს დავიხავლებ, მთელი ოთხფეხობა აქ მოვაო! — უპასუხა მელიამ.

დიაძახა შაშვმა და მოვიდა მთელი ორფეხობა: რაც რამ ფრინველი ან კაცი იყო, სულ იქ მოვიდა. დაიხავლა მელიამ და რაც კი რამ იყო ქვეყანაზე ოთხფეხი, იქ მოიღო გრიალი. შეექნათ საშინელი ომი და სისხლის ღვრა: ოთხფეხებმა დაამარცხეს ორფეხები. დახოცეს სულ ერთიან, ზოგი დაჭრეს და გაფანტეს.

ერთი კაცი გადარჩა ამ ომს. მან გზაზე დაჭრილი სვავი ნახა. შინ წაიყვანა, უწამლა, დაუკლა ცხვარი და აჭამა. როცა მოიკეთა, კაცს უთხრა:

— მოდი, შემაჯექი მხრებზე, ჩემს დედ-მამასთან წაგიყვან. ვიცი, ისინი გკითხავენ: რა მოგცეთ, შვილი რომ მოგვირჩინეო? შენ სხვა არაფერი გამოართვა, ერთი ხელსაფქვავა აქვთ და იმაზე უთხარ, ის მომეცით-თქო.

მეორე დღეს შეისვა ეს კაცი სვავმა მხრებზე და გასწია. სვავის დედ-მამამ სიხარულით მიიღო შვილის გადამრჩენი.

— რა მოგცეთო? — ჰკითხეს, როდესაც კაცი გაემზადა წასასვლელად.

— თქვენ რომ ერთი ხელსაფქვავა გაქვთო, — უპასუხა კაცმა.

მისცეს ხელსაფქვავა და კაცი გახარებული წავიდა შინ. მოდიხ და მოიმღერის. შეხვდა ერთი კაცი, ხმალი ჰკიდია და ჰკითხა:

— რას მოიმღერი, კაცო, რა გაქვს სამღერიო?

— სვავის დედ-მამასთან ვიყავ, ერთი ხელსაფქვავა მომცეს, წაღმა შემოვატრიალებ — ოქროს თვალს დაფქვავს, უკუღმა — ვერცხლისას, — უპასუხა ხელსაფქვავას პატრონმა.

— მოდი, გავცვალოთ, მე ისეთი ხმალი მაქვს, ვეტყვი: ამოდი ვერცხლადა, დაენთე ცეცხლადა, წადი, იმ კაცს თავი მოსჭერ, მოდი და ჩაეგეო! — ყველაფერს ასრულებსო. გაცვალეს. ცოტა რომ გაიარა, მიმართა ხმალს. ამოვარდა ხმალი ვერცხლად, დაენთო ცეცხლად, მოსჭრა თავი ხელსაფქვავას წამღებს, წამოიღო კაცმა ხელსაფქვავაც, ხმალიც და წამოვიდა. გზაზე მოდის და მოიმღერის. წინ კაცი შეჰხვდა, სუფრა მოაქვს.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— რა გამღერებს, რამ გაგახარაო?

— რა არ მახარებს, ისეთი ხელსაფქვავა მაქვს, რომ წაღმა შემოვატრიალებ — ოქროს დაფქვავს, უკუღმა — ვერცხლსაო!

— გამიცვალე სუფრაზედაო, — უთხრა მგზავრმა, — ეს ისეთი სუფრაა, რომ რასაც ეტყვი — სასმელ-საჭმელი იქნება თუ სახლი და კარი, ყველაფერს გააკეთებსო!

გაცვალეს. სუფრა ამან გამოართვა, ხელსაფქვავა იმან წაიღო, მაგრამ როგორც კი გასცდა მგზავრი, წამღები მისი ხელსაფქვავასი, კაცმა ხმალს უთხრა:

— ხმალო, ამოდი ვერცხლადა, დაენთე ცეცხლადა, წადი, ჩემი ხელსაფქვავას წამღებს თავი მოსჭერ, მოდი და ისევ ჩაეგეო!.. ამოვიდა ხმალი ვერცხლად, დაენთო ცეცხლად, მოსჭრა თავი ხელსაფქვავას წამღებს, მოვიდა და ჩაეგო. წამოიღო კაცმა ეს ხელსაფქვავა, ხმალი, სუფრა და წამოვიდა სიხარულით. მოვიდა შინ. სუფრას უთხრა:

— სუფრაავ, აბა, ერთი კარგი სახლი დამიდგიო!

მაშინვე მშვენიერი სახლი წამოიჭიმა. დაიწყო ტკბილად ცხოვრება. ახლაც ცოცხალია და წუთისოფელსა ჭამს.

მელიას ეშმაკობა

მელიამ ნაფეტვარზე გაიარა, ნახა, რომ ბევრი თავთავი ეყარა ტყუილად. იფიქრა: ამ თავთავებით ბევრ ზიანს ვიზამო. დაჯდა და დაიწყო თავთავების კრეფა. აკრიფა ერთი კონა, ამოიღლიავა და გაუდგა გზას.

გზაზე დაუღამდა. მივიდა ერთი სახლის კარებთან და შესძახა:

— არ დამაყენებთო?

— დაგაყენებთო! — უპასუხეს.

მელიამ მიაბარა თავთავების კონა და უთხრა, საქათმეში შეიტანეთო. მელიას თავთავები შეიტანეს საქათმეში და დადეს ისე, რომ ქათმებს არ გამოეჩურჩათ. შუაღამისას, როცა ყველას ეძინა, ადგა მელია, აიღო თავთავები და ერთ დიდ წითელ მამალს დაუდო ცხვირწინ. მეორე დღეს მოსთხოვა მასპინძელს მინაბარები. შევიდა მასპინძელი და მელიას გამოკენკილი თავთავები კი გამოუტანა. მელიამ ტირილი დაიწყო: მაგის მეტი არაფერი მებადა და ეგეც თქვენმა მამალმა შემიჭამაო. მასპინძელმა ჰკითხა:

— რა გიყო ახლა, მელიავ, რაღა ეშველება შენს თავთავებსო?

— ან უნდა მომიტანოთ ჩემი თავთავები, ან არადა ის მამალი მომცეთო!

რას იზამდა მასპინძელი? აიღო და მისცა მამალი. აიყვანა მელიამ და გასწია თავის გზაზე.

ბევრი იარა, თუ ცოტა, დაუღამდა მელიას. გზაზე ერთ მეცხვარესთან დადგა, მიაბარა მამალი და უთხრა:

ছবিতে ছবিতে

— ეგ მამალი არ მომიკლათ, თორემ ცხვარს წაგართმევთო!
— კარგიო! — უთხრეს მელიას.
ღამე ადგა მელია, აიყვანა მამალი და ერთ ერკემალს რქებზე ჩამოაცვა. მეორე დღეს მელიამ მამალი მოითხოვა: უნდა წავიდეო. შეეიდნენ, ნახეს, მამალი ერკემალს კი ჰყავს ჩამოცმული რქებზე. მელიამ ისევ ტირილი დაიწყო განგებ: ეგ ერთი მამალი მყავდა, დილით ეგ მაღვიძებდა და ახლა კი დავრჩი ცარიელიო. მისცეს მელიას ერკემალი და გაისტუმრეს.
გახარებულმა მელიამ გასწია თავის გზაზე. მიდის და მიიმღერის:

ფეტეი გაფიდე მამლადა,
მამალი — ერკემალადა!

დაუღამდა მელიას. დადგა ერთ გლეხთან. ერკემალი მიაბარა და უთხრა:
— არამც და არამც ეგ ერკემალი ხარებს არ მომიკვლევინოთ, თორემ დამღუპავთ და იმ ერკემლის მომკვლელ ხარს წაგართმევო!
ერკემალი შეიყვანეს და დააბეს ხარებთან ცალკე. ღამე ადგა მელია, აიღო ერკემალი და ჩამოაცვა რქებზე ერთ დიდ ხარს. მეორე დღეს წაართვა მასპინძელს ერკემლის მომკვლელი ხარი და გაიგდო წინ სიხარულით.
გზაზე დაუღამდა, მაგრამ შინ არავინ შეუშვა. ბოლოს, ერთ ქვრივთან მივიდა და სთხოვა:
— ხარი მყავს, მეშინია, მგელმა არ შემიჭამოს, ბოსელში დამაბმევინეთ, მე კი კარებზე დავწვები და ვუყარაულებ ჩემს ხარსაო!
ღამე ადგა მელია, გამოსჭრა ხარს ყელი და ბებრის უმცროს ქალს ჩაუდო დანა ჯიბეში. მეორე დღეს მოითხოვა ხარი, უნდა წავიდეო. ნახეს, ხარი მკვდარია. შეწუხდა სახლის პატრონი. ვითომ შეწუხდა მელიაც. მელიამ უთხრა:
— ვინც ის ხარი დაკლა, ის უნდა წავიყვანოო!
დებმა უარი თქვეს:
— ჩვენ არ დაგვიკლავსო!
— მაშ, ვისაც სისხლიანი დანა ჰქონდეს, ის არის დამკვლელიო.
გაუსინჯეს ჯიბეები და სისხლიანი დანა უმცროს დას უნახეს. წამოიყვანა ქალი მელიამ, ჩაისვა გუდაში, მოიკიდა ზურგზე, მიდის და მიიმღერის:

ფეტეი გაფიდე მამლადა,
მამალი — ერკემალადა!
ერკემალაი — ხარადა,
ხარაი — ლამაზ ქალადა!

გზაზე მხვნელ-მთესველები შეხვდა. მათ დაუძახეს:
დაისვენე, მელიავ, პური ჭამეო!
დაისვენა მელიამ. მისცეს ერთი ცხრილი და უთხეს:
— წადი, სანამ ჩვენ სამხარს მოვამზადებდეთ, წყალი ამოგვიტანეო!
წავიდა მელია, ავსებს წყალს, მაგრამ ცხრილი რას დაიჭერდა!.. სანამ მელია წყაროზე იყო, მხვნელებმა მოხსნეს გუდას პირი, ამოიყვანეს ქალი

და იმის მაგიერ ერთი ძაღლი ჩაუსვეს, ჩაუდეს პური, რომ გაჩუმებულიყო და მოუკრეს ისევ პირი. მელია მოვიდა მხვნელებთან და უთხრა:

ახლა კი წავალ, გამიშვითო!

მხვნელებმა გაისტუმრეს მელია.

მიდის მელია და მიიმღერის ისევ წინანდებურად. გაათავა ძაღლმაც პური გუდაში და დაუწყო ფხაკუნი ხმელ გუდას. მელიას ჰგონია — ქალიაო და ეუბნება:

— რა არი, ქალო, რა გაწუხებს? თუ გწყურია, დალიე, ამოგიყვანო... ქალმა მაინც არაფერი შეისმინა მელიისა, ისევ აფხაკუნებდა გუდას. ბოლოს, მოვიდა მელია თავის სოროში. მოხსნა პირი გუდას, ამოვარდა გუდიდან ძაღლი, გაიგდო მელია და გააძრო ქურქი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

მელია და მწყერჩიტა

მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონიერად მიაძღა. გაუჭირდა მონელება. შეეხვეწა მწყერჩიტას:

— მეზობელო, ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, თავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო!

— კარგიო, — უთხრა მწყერჩიტამ, — მე ავფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყეო!

აფრინდა და გაედევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებზე ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, ხანამ ფერდებს დაიხეთქავდა.

— ნათლიმამ, მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერჩიტამ.

— მონელებით მოვინელე, — უპასუხა მელიამ, — მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანო; ერთი გულიანად მაცინე და შენს შვილიშვილებსაც არას დავუშავებო!

— კარგი, ეგეც ადვილი სამსახურია, გამომყე უკან და სიცილით გაგაძღობო! — უთხრა მწყერჩიტამ.

მიიყვანა მელია კალოზე და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლეხმა სახრე მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად გასრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მწყერჩიტა მერმე მაწვნის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლეს, მწყერჩიტამ აიცდინა, მოხვდა ქოთანს, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე დაიღვარა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მოფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა:

— კაი სეირი გაჩვენე თუ არაო?

ამ დროს მელიას კიდეც მოჰშიებოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზე დაჯდა და უთხრა:

— ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო!

მიეპარნენ მწყერჩიტას და მოუქნიეს დიდი ხახრე. აიცდინა მწყერჩიტამ ხახრე, მოხვდა მელიას შიგ თავში და შუაზე გაუტეხა. აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავის ბინისაკენ და მელიას მიაძახა: სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!

ნახევარქათმის ამბავი

ერთი ნახევარქათამი და ერთი მელია დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. მელიამ გზაზე ნახევარქათამი გააჯავრა. ნახევარქათამმა უთხრა მელიას:

— მელია, სუ, თორემ ჩაგყლაპავო!

მელიამ გაიცინა და უთხრა:

— ჩამყლაპეო!

გააღო პირი და გადაყლაპა მელია.

წამოვიდა. გზაზე ერთ მგელს შეხვდა და მასაც დაუძმობილდა. წავიდნენ ერთად, გზაზე მგელმა გააჯავრა ნახევარქათამი. ნახევარქათამმა უთხრა:

— მგელო, ჩაგყლაპავ, თუ თავი არ დამანებეო!

— ჩამყლაპეო! — უთხრა მგელმა.

გააღო პირი ნახევარქათამმა და მგელიც მელიასთან ჩაბრძანა. წამოვიდა ისევ ნახევარქათამი. გზაზე ერთ დათვს შემოხვდა:

— დათვო, ჩაგყლაპავო! — უთხრა ნახევარქათამმა.

დათვმა რაღაც დაიბუტბუტა და ხმა არც კი გასცა. გააღო პირი ამ ნახევარქათამმა და გადაყლაპა დათვიც.

წავიდა ისევ ნახევარქათამი და მივიდა ერთ ზღვასთან. დაღონდა ნახევარქათამი: როგორ უნდა გადავიდეო. იფიქრა, იფიქრა, გააღო პირი და ჩაყლაპა ეს ზღვა და მშრალზე გავიდა ზღვის გაღმა. აქ ამოეფარა კამეჩის ნეხვს და დაიწყო ძახილი:

— დიდებულო ხელმწიფევ, დიდებულო ხელმწიფევ!

გამოგზავნა ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირები: — წადით, ვინ იძახისო!

წამოვიდნენ ეს ნაზირ-ვეზირები, ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ხელმწიფეს მოახსენეს:

— ვეძებთ, მაგრამ ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთო!

ნაზირ-ვეზირები რომ გაშორდნენ, ნახევარქათამმა ისევ მორთო ყვირილი:

— დიდებულო ხელმწიფევ, დიდებულო ხელმწიფევ!

წამოვიდა ახლა თვითონ ხელმწიფე. ეძება ეს მყვირალა და კამეჩის ნეხვის უკან იპოვა. წაიყვანა შინ, მისცა კარისკაცებს და უთხრა:

— საქათმეში შეაგდეთო!

წაიყვანეს ნახევარქათამი და შეაგდეს საქათმეში. ნახევარქათამმა ამოუშვა მელია მუცლიდან. მელიამ დაჭამა ქათმები და გასწია თავის გზაზე. მეორე დღეს შევიდნენ, ნახეს — ქათმები ერთიც აღარ არის. დაიჭირეს ნახევარქათამი და შეაგდეს საბატეში.

ამოუშვა ნახევარქათამმა მგელი. მგელმა დაჭამა ბატები და წავიდა თავის გზაზე. მეორე დღეს შევიდნენ საბატეში, ნახეს, ერთი ბატიც აღარ დარჩენილა. ნახევარქათამი კი ქანდარაზე ზის.

გამოიყვანეს და დაამწყვდიეს საცხვრეში, ეგებ ერკემალმა გაჭყლიტოსო. ამოუშვა ნახევარქათამმა დათვი ამ ცხვრებში. დათვმა დაჭამა ცხვრები და გასწია თავის გზაზე. მეორე დღეს ხელმწიფემ შეგზავნა კაცები: ნახეთ, იმ ეშმაკმა რა ჰქნაო? შევიდნენ. ნახეს, ცხვარიც აღარ არის.

გაჯავრდა ხელმწიფე. მაშინ უბრძანა მისი დაკვლა: მოახრაკვინა და შეჭამა. მუცელში გაცოცხლდა ნახევარქათამი, დაიწყო ხტუნაობა და სიმღერა. ხელმწიფემ უბრძანა ნაზირ-ვეზირებს და მეომრებს: აიღეთ ხმლები და როდესაც ამოფრინდება, მოკალითო! ამოფრინდა ნახევარქათამი და გაიქცა ბაღში. გამოუდგნენ მოსაკლავად. ამოუშვა პირიდან ნახევარქათამმა ზღვა და ჩაახრჩო ხელმწიფე და მისი ნაზირ-ვეზირები.

იერუსალიმს მიმავალი მელია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი, იყო ერთი მელია. იარა, იარა და შეხვდა ერთ მამალსა.

— გამარჯობა, მამალო!

— გაგიმარჯოს, მელია!

— სად მიდიხარ, მამალო?

— არსად! ჩემს პატრონს ორმოც-ორმოცი დედალი ჰყავს, ჩემს მეტი მამალი არ ურევია. ჩემი პატრონი იძახის: ეს მამალი დაბერდა, რიგიანად ვეღარ დადის, უნდა დავკლაო. გამოვიპარე, მინდვრად უნდა ვიცხოვრო. შენ სადღა მიდიხარ, მელიავ?

— მე იერუსალიმს მივდივარ, სული უნდა ვიცხონოო!

— მეც შენი ამხანაგი ვიქნებიო!

— კარგიო! — უპასუხა მელიამ.

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ბატსა:

— გამარჯობა, ბატო!

— გაგიმარჯოთ, მელიავ და მამალო!

— სად მიდიხარ, ბატო? რა გაგჭირვებია?

— ეჰ, რა სად მივდივარ? ჩემს პატრონს ათი-თორმეტი ჭუკი გავუზარდე, თითქმის ჩემი ტოლები გავხადე, ახლა იძახის: ეს ჭუკები შევინახოთ და ეს ბატი კი დაკლათ, დაბერდაო. აედექი და გამოვიპარე, მინდვრად უნდა ვიცხოვროო! — მიუგო ბატმა.

მელიამ უთხრა:

— იერუსალიმს მივდივართ და მოდი, შენც ჩვენი ამხანაგი იყავიო!

— ძალიან კარგიო!

წავიდნენ სამივენი. ბევრი იარეს, თუ ცოტა, შეხვდნენ ძერასა.

— გამარჯობა, ძერავ!

— გაგიმარჯოთ, მელიავ, მამალო და ბატო! სად მიდიხართო?

— იერუსალიმს მივდივართ, სული უნდა ვიცხონოთო!

— მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო!

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ოფოფსა.

— გამარჯობა, ოფოფო!

— გაგიმარჯოს, მელიავ, მამალო, ბატო და ძერავ! — სად მიდიხართო?

— იერუსალიმს, სული უნდა ვიცხონოთო!

— მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო!

— ძალიან კარგიო!

წავიდნენ. იარეს, იარეს და მივიდნენ მელიის სოროსთან.

— აი, მოვედით იერუსალიმსა, მობრძანდითო!

ისინი რომ სოროში შევიდნენ, თვითონ კარში ჩადგა და უთხრა:

— მამალო, აქ უნდა ვილოცოთ და სული ვიცხონოთო!

მამალმა სიხარულით ყივილი მორთო. მელიამ უთხრა:

— შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, შუაღამისას ყივილს დაიწყებ, მე რომ საქათმესთან მოვალ, შენ ხალხს აღვიძებ და პირცარიელს მტოვებო? — მოაგლიჯა თავი და დადო ძირსა. მერმე დაუძახა ბატსა:

— მოდი, ბატო, აქაო! — მივიდა ბატიც. — შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, — უთხრა მელიამ, — შაუღამე რომ გადავა, საათობით დაიწყებ ყიყინსა და ხალხს აგებინებ, მე რომ საქათმესთან მოვალ და პირცარიელს მტოვებო? — მოაგლიჯა თავი და დადო ძირსა.

ძერას უთხრა: — მობრძანდი აქაო! მივიდა ძერა. — შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, — უთხრა მელიამ, — ერთი საწყალი დედაკაცი ერთ-ორ წიწილას ძლივს გამოზრდის, მიხვალ და მოსტაცებ, მე კი ხელცარიელს მიშვებო? — მოაგლიჯა თავი და დადო ძირსა.

დაუძახა ოფოფსა. ოფოფმა უთხრა:

— ოღონდ კი ნუ შემჭამ, ჩემი შეჭმა, აბა, რა გაგიხდება, და ერთს კარგად გაგაძღებ, კარგად გაცინებ და ისე გარბენინებ, რომ შენ დღეში ისე სწრაფად არ გაქცეულიყოო!

— ძალიან კარგიო!

გამოუძღვა ოფოფი. ატარა, ატარა. ერთ დედაკაცს გუთანზე სადილი მიჰქონდა. ოფოფი მივიდა და დედაკაცს წინ დაუჯდა. დედაკაცმა თქვა: თუ ეს ოფოფი არ დავიჭირე და ჩემი გოგოები არ გავახარე, არ იქნებაო. ჯერი ძირს დადგა და თვითონ ოფოფს გამოუდგა. ოფოფი ნელ-ნელა დაფრინავდა და დედაკაცი კარგა შორს გაიტყუა. მელია მივიდა, გადააბრუნა ქოთა-

ნი, ერთი ღონივრად მიაძღა. დედაკაცი მოვიდა. ნახა ცარიელი ქოთანი. თავსა და პირში წაიშინა: უი, დამიდგეს თვალები, ახლა რაღა ექნაო!

— გაძეხ, მელიავ, თუ არაო? — ჰკითხა ოფოფმა.

— ოჰ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ისე გაგძეხ, რომ თავის დღეში ასე არ გაგმძღარვარო!

— მაშ, მოდი, ახლა ერთი კარგა გაცინებო.

ოფოფი გაუძღვა მელიასა და ერთ საყდართან მიიყვანა. საყდართან ორი თავმოტეხილი ბერი დგას, ორივეს ჯოხები უჭირავს. ოფოფი მოფრინდა და ერთ ბერს თავზე დააჯდა, მეორე ბერი გაცეცხლდა: ოი, შე წყეულო და შეჩვენებულოო! დაუქნია ჯოხი, ოფოფი უნდა მოეკლა. ოფოფი აფრინდა და ჯოხი კი ბერს მოხვდა თავში და გაუხლიჩა. ოფოფი ახლა იმ ბერს დააჯდა თავზე. გაჯავრებულმა თავგატეხილმა ბერმა მოუქნია ოფოფს ჯოხი, უნდა მოეკლა, ოფოფი აფრინდა და ჯოხი კი თავის ამხანაგ ბერს მოსდო და თავი შუაზე გაუხლიჩა.

მელია კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

— ხომ კარგად იცინე, მელიავ? — ჰკითხა ოფოფმა.

— უჰ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიცინიაო!

— ეს ხომ გაცინე, მელიავ, და სირბილიც მალე იქნებაო.

წაიყვანა მელია და ერთი ძეძვის ქვეშ დასვა: აქ მოიცადეო. წამოვიდა ოფოფი. მონადირეები მწევრებით კურდღლაობდნენ.

— აქ წამოდით, მე გასწავლით კაი ნადირსაო! — უთხრა ოფოფმა.

გაუძღვა მათ და მელიას ზედ წააყენა.

— აბა, მელიავ, ახლა გაქცევის დროც მოვიდა, ადექი, რაღას ზიხარო?

მელიამ გაალმასებული მწევრები რომ დაინახა, ზეზე წამოიჭრა და გულგახეთქილმა მინდვრებისაკენ მოკურცხლა.

— ეჰო, — თქვა მელიამ, — შენმა დედამ რა მიყოს, ოფოფო, რომ პირველს შენ არ მოგაგლიჯე თავიო!

აბა, რა ხეირს დააყრიდნენ მწევრები მელიას, კარგად მიხვდებით!

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

კატის მოსარჩლე ვეფხვი

სოფლის განაპირა ახოში ერთი ბლეხი მიწას ხნავდა და გუთნეულ საქონელს კატაც თან წამოჰყოლოდა. როცა გაცხარებული ხვნა დაიწყო, კატა ტყის ნაპირას ჰეპლებსა და კალიებზე ნადირობდა. ამ დროს ვეფხვმა ჩამოირბინა. კატა რომ დაინახა, სახტად დარჩა. ძალიან გაიკვირვა და ჰკითხა:

ჯიგის მოსაფრინელი ვეფხვი

— ძამიავ, შენ, როგორც ვეტყობა, ჩვენი ჯიშისა ხარ და რა ცოდვისა გწევია, რამ დაგგვალაო?

ეშმაკმა კატამ თავი მოიკატუნა და უპასუხა:

— ჰმ, დიდებულო ბატონო, ნადირთ მეფევ, თქვენ არ იცით, რა წვასა და დაგვაში ვართ კაცის ხელშიო!

— მერმედა ვინ არის ის კაცი, აგრე უდიერად რომ გეპყრობა და დაუჩაგრიხარო? მაჩვენე შენი დამჩაგვრელი და შენს მაგივრად გავუსწორდებიო! — უთხრა ვეფხვმა.

კატა გაუძღვა ვეფხვს და დაანახვა მას ბალეხი კაცი, რომელიც გუთანს მისდევდა. ვეფხვმა მიმართა კაცს და საყვედურის კილოთი უთხრა:

— შენ ეს ჩემი მოდგმის კაცი რად დაგიჩაგრავს ასე, რომ ტანი ველარ აუყრია, ან ისეთი რა დაგიშავა ამ საცოდავმაო? ამის გულისათვის უნდა შეგებრძოლოო!

— ბატონი ხარო, — უპასუხა ბალეხმა, — მე ძალა შინ დამრჩაო, ჩავალ, ამოვიტან და მაშინ ვიბრძოლოთო!

— კარგიო, — თქვა ვეფხვმა, — წადი და მე აქ დაგიცდიო!

— რომ მომატყუო, წახვიდე სადმე და მე ტყუილად სოფელში წასვლა შემრჩესო? — უთხრა ბალეხმა. — აი, ამ ხეზე თოკით მიგაბამ, სოფელში ჩავირბენ და ჩვენი ძალ-ღონე მაშინ გავსინჯოთო!

— კარგიო! — უპასუხა ვეფხვმა.

ბალეხმა მაგარი საბლით მიაბა ვეფხვი ხეზე, თვითონ იქვე ტყეში კარგი იფნის სახრე გამოსჭრა, მივიდა ვეფხვთან და უთხრა:

— აი, ჩემი ძალაო! — და ისეთები გადაუჭირა სახრით, რომ მთლად გვერდების კანი აუწვა. ვეფხვი სიმწრით სულ მაღლა-მაღლა ხტოდა, იმისი საცოდაობით ცა და ქვეყანა იწვოდა. იმდენი ხანი სცემა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით. როდესაც ბალეხმა ცემით კარგად მიბნიდა, აუშვა ვეფხვი და უთხრა:

— არამკითხე მოამბეო, მიტყეპე და მიაგდეო! წადი, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!

ვეფხვი ლასლასით გაუდგა თავის გზას და უკანა ფეხებს ძლივს მიათრევდა. ამ დროს კატას თვალი მოჰკრა, ამოიოხრა და კვნესით უთხრა:

— ბარაქალა, ჩემო ძიაკ, რომ მაგისთანა მხეცის ხელში კიდევ ეგ ტანი შეგრჩენიაო!

ლომი და კურდღელი

ერთ ჭალაში ხშირად თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხეცები. როცა მხეცებში ლომი გაერეოდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა: ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეექცეოდა.

ლომი და ჯოჯოხეთი

შეკრბნენ მხეცები მოსალაპარაკებლად, როგორ დავაღწიოთ თავი ლომის ბრჭყალებსაო. დიდი ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს: დაეუნიშნოთ ლომს სამუდამო სარჩო, ჩვენვე მიეუტანოთ და ვთხოვოთ: თავი დაგვანებოს და ნუ გვაფრთხობს ყოველდღეო. წავიდნენ და ეს დადგენილება ლომს მოახსენეს. ლომი დათანხმდა, მხოლოდ პირობა დაუდო: ერთი წუთიც არ გადააცილონ დანიშნულ დროს, თორემ დაგეცემით და ერთიანად ამოგჟლეტთ ყველასო! ამნაირად, მხეცები სათითაოდ ყოველდღე მიჰგვრიდნენ ლომს რომელსამე ცხოველს. ჯერი მიდგა კურდღელზე, უნდა წაეყვანათ ლომთან შესაჭმელად.

— რაკი ჩემი რიგია, რა გაეწყობა! გამიშვით მარტო მე და გიჩვენებთ, რომ საღამოს ლომის სახსენებელიც აღარ იქნება და თქვენც სამუდამოდ დაგიხსნით ტანჯვისაგანო.

მხეცებმა გულიანად გადაიხარხარეს: ვერ უყურებთ ამ მშიშარას და უძლურს, როგორი ტრაბახი სცოდნიაო!

კურდღელმა ცოტათი დაიგვიანა. ლომს ძლიერ მოჰშივებოდა, თვალების ბრიალითა და კბილების კაწკაწით მოელოდა სადილს და თანაც ფიქრობდა ბუნაგიდან გამოსვლას, მხეცებში დარეკას. ამ დროს გამოჩნდა კურდღელიც, შიშისაგან სულ ძაგძაგებდა. ლომმა მრისხანედ გადახედა და სასტიკად დაუყვირა:

— სად იყავ ამდენ ხანსაო?

— დიდო ბატონო, — კრძალვით მოახსენა კურდღელმა, — თქვენთან ნადირი მომყავდა, გზაზე მეორე ლომი შემხვდა, გამომტაცა და ჩაათრია ღრმა ღელეში, აქ ახლოს რომ არისო!

— აბა, მიჩვენე, სად არისო? — უთხრა ლომმა.

კურდღელი გაუძღვა, მიიყვანა ერთ ჭასთან და უთხრა:

— აი, ბატონო, აქ არის, მაგრამ მეშინია, მარტო ვერ ჩავიხედავ, ხელში ამიყვანეთ და ერთად ჩავიხედოთო.

ლომმა აიყვანა კურდღელი და ერთად ჩაიხედეს ჭაში; ჭის წყალში გამოჩნდა ლომისა და კურდღლის ლანდი: ლომს კურდღელი აეყვანა და ქვემოდან ზევით ამოიჭყვიტებოდა. ლომმა კურდღელი ფიცხლავ გაუშვა, ჩახტა ჭაში მტრის დასასჯელად და კურდღლის წასართმევად, მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგ ჩაიხრჩო.

გაიგეს მხეცებმა ეს ამბავი თუ არა, შეექმნათ დიდი მხიარულება, რომ მოიშორეს თავიანთი მოსისხლე მტერი, კურდღელს კი დიდი მადლობა გადაუხადეს.

დათვის, მგლისა და მელიის ამბავი

ერთ დათვს ორი ბელი გაჰქეციანებოდა, გამოეყვანა მზეზე, უხილავდა ბეწვს და ფხანდა. მელიამ გამოიარა და ჰკითხა:

— ბიძავ, რას აკეთებო?

— შვილები მყავს ავად და იმათა ვმკურნალობო, — უპასუხა დათვმა.

— არ იცი, ბიძავ, მე როგორი ექიმი ვარ, რატომ არ დამიძახეო?

— აბა, თუ რასმე მიშველი, ახლაც შენს ხელთა ვარო, — უთხრა დათვმა, — მომირჩინე შვილები და მიმსახურეო!

მელიამ უთხრა:

— წადი, ერთი დედალი მომიტანე, ერთი ქადა, ცოტა მშია, შევექცევი ცოტა-მატას და მერმე უფრო ვუექიმებო. თან ერთი ქვაბი წყალი მოიტანე და ცეცხლი, ოფლს მოვადენ შენს შვილებსო.

წავიდა დათვი. ითხოვა, მოუტანა ერთი დედალი, ერთი ქვაბი, წყალი და ცეცხლი. როდესაც ყველაფერი მოიტანა, მელიამ უთხრა:

— წადი ახლა და ის ნიში რომ ჩაწსო, — უჩვენა ერთ მთაზე, ერთ ნანგრევზე, — იქ ილოცე ჩემთვისო.

გაგზავნა დათვი. აადუღა წყალი, აიღო ეს ბელები და ჩაყარა წყალში. თვითონ ქათამი აიღო, ქადა ყელზე ჩამოიცვა და გასწია.

მიდის მელია და გზაზე ერთ მშიერ მგელს წააწყდა. მგელმა ჰკითხა:

— თუ ღმერთი გწამს, ან მაჭამე ეგ დედალი და ქადა, ან მასწავლე სად იშოვეო?

— ჭმეკით ვერ გაჭმეე, რადგანაც მეც არ მეყოფაო, — უთხრა მელიამ, — და გასწავლი კი, სადაც ვიშოვეო. უთხრა: — ესე პირდაპირ რომ წახვიდე, ერთ დათვთან მიხვალ, ორი შვილი დააქორწილა, მიდი, შეჰყმუელე, შეუთამაშე და ქადასაც მოგცემს და დედალსაცაო. მეც იქ ვიყავ და ეს დედალიცა და ქადაც იმან მომცაო.

მგელი გახარებული წავიდა და მელია თავის გზას გაუდგა.

ამ დროისათვის დათვი შინ დაბრუნდა. ნახა, რომ იმის შვილები მოხარშულები ყრია ქვაბში, ხორცი ცალკე წასულა და ძვალი ცალკე-შემოიკრა თავში და ივაგლახა. მივიდა მგელიც, მიუახლოვდა, შეჰყმუელა, შეუთამაშა. დათვმა სტაცა თათი მგელს, დაიდო და ერთი თუ ორი, დაქეჭა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ძლივს დაუძვრა მგელი დათვს და თავს უშველა.

წამოვიდა გაშფოთებული მგელი მელიას საძებნელად. მელიამ შორითვე იცნო მგელი და ერთი ხერხი მოიგონა: ჩახტა თხრილებში და წვრილ წნელებსა და წკეპლებს დაუწყო მტვრევა. მგელი მივიდა მელიასთან და უთხრა:

— შენ არ იყავ, რომ დათვთან გამგზავნეო?

მელიამ უთხრა:

— მე შენთან რა ხელი მქონდა, შვილო, ტყუილად ნურაფერს მაბრალებ, თვალითაც არ მინახიხარო!

— მაგას რას აკეთებო? — ჰკითხა მგელმა.

— რას ვაკეთებ?! ხომ ხედავ, აი, ქვევით ქათმებს, გოდორი უნდა გადავიცვა თავზე, დავგორდე და ჩავიდე ქათმებთანო, მოვიტაცებ ერთ დედალს, შევითრევ გოდორში და ქვეიფს გავწევო.

— თუ ღმერთი გწამს, მე გადამაწანი გოდორიო, — უთხრა მგელმა, — ცხვარი რომ ჩანს, იქითკენ გადავგორდებიო!

გადააწნა თავზე მელიამ მგელს გოდორი და დააგორა. ჯერ ხიმ ისე დაიჟეჟა, მერმე გამოუცვიდნენ მეცხვარეები და ერთი თუ ორი: ზოგმა ხანჯლით დაუწყო ჩხვლეტა, ზოგმა ჯოხით ისე, რომ ბოლოს რის ვაი-ვაგლახით გამოძვრა მგელი და გაიქცა.

მგელი ისევ მელიას საძებნელად წავიდა. მელიამ ისევ შორიდანვე იცნო მგელი. გადახტა კანაფებში, დაუწყო ყრა კანაფს და ბაწრებს გრეხა. მგელი მივიდა და დაულრიალა:

— შენ არ იყავ, ჯერ დათვთან რომ გამგზავნე და მერმე გოდორი გადამაწანიო?

— არაო, — უთხრა მელიამ, — მე შენთან მოკეთეობის მეტი არაფერი მქონია, შენ ვიღაცას მიმამსგავსე და ახლა გინდა ალალ-მართალ კაცს ხათაბალა გადამკიდოო!

როგორც იყო, დააჯერა მელიამ მგელი. მგელმა ჰკითხა:

— მაგას რას აკეთებო?

— მე ხარაზი ვარო, — უთხრა მელიამ, — თოკებს ვგრეხ; ნახევარზე მშიერი დავდივარ. მუდამ საჭმელს ვერსად ვპოულობ, უკანა ტანს გავიკერავ: ერთხელ რომ ვჭამო, აღარ მომინდება გასვლა, ნაკერი მექნება და მუდამ მაძღარი ვიქნებიო!

— თუ ღმერთი გწამს — შეევედრა მგელი, — მეც გამიკერე ეს ოხერი და ტიალი, თუ არა ჩემს მუცელს რა გააძღებსო.

დაუდგა მელია და გაუკერა უკანა ტანი.

წავიდა მგელი თავის გზაზე. მგელს მალე გაუჭირდა საქმე. დაიწყო ყვირილი, როგორც იყო, გამოიგლიჯა უკანა ტანი და მორჩა. მგელმა თქვა: შენი სასაცილო ვიყო, მელიავ, თუ არ გადაგიხადოო!

გამოუდგა მელიას და დაუწყო ძებნა. ბოლოს, იპოვა და გამოუდგა. დაიძრა მელია, მაგრამ ვეღარ გაასწრო მგელს, წამოეწია მგელი, მოჰკრა კუდზე კბილი და მოსწყვიტა. წავიდა უკუდო მელია. დაღონდა: ახლა ვეღარსად დავემალები მგელსაო! იფიქრა, იფიქრა მელიამ და ეს მოიგონა: ამოისურსნა ტალახში და წაწვა გზაზე. მაყრები მოდიოდნენ, დაინახეს მელია, ჩამოხტნენ ცხენიდან. აიღეს მელია და პატარძლის უკან გადადვეს: ხვალ გავატყაოთ და გამოგვადგებაო. მელია მალე მოცოცხლდა, დაინახა, რომ პატარძალს თითებზე ბეჭდები აქვს. მელიამ უთხრა:

— პატარძალო, ეგ ბეჭდები მე მომეც, თორემ გავიპარები და მაყრებს ეგონებათ, პატარძალმა გააქციაო. მისცა ბეჭდები, გადმოხტა მელია და მოძუგა.

გაიარა გზა. ერთ ვაჭარს ცხენით სოფელში თევზი მიჰქონდა. მელია გზაზე გაიძაბა და სული განაბა. გამოიარა ვაჭარმა. დაინახა მელია, ძალიან გაუხარდა, აიღო და ცხენზე დაკრულ დოშებს დააკრა. მელია მალე მოცოცხლდა, გაიხსნა ფეხები, მერმე ერთი დიდი დოში ააგლიჯა და გადმოაგდო გზაზე. გადმოხტა თვითონაც და გასწია.

ერთ ადგილას ორმოცამდე მელია დაინახა, ქორწილი ჰქონოდათ. გაიკეთა ჩვენმა მელიამ ეს პატარძლის ბეჭედი მოგლეჯილ კუდზე, მოიბა დოში და ჩაერია მელიების გროვაში. მსუქანმა დოშმა ბევრ მელიას მოჰგვარა პირში ნერწყვი, შემოეხვივნენ და დაუწყეს თხოვნა, გვაჭამე თევზიო. მელიამ ყველას ციცი უარი უთხრა:

— თქვენთვის როდი ვიშრომე, შვილოსან, წადით და თქვენც დაიჭირეთო!

— როგორ დავიჭიროთ, ის მაინც გვასწავლეო! — უთხრეს მელიებმა.

ამ დროს იანვარი იყო. მელიამ უთხრა:

— წადით. აქა და აქ რომ ერთი ტბა არის, ჩაყავით კუდები, მოგებმებიან თევზები და მერმე ამოიღეთო!

წაასხა მელიამ საღამოზე ეს მელიები, ჩიყვანა ტბაზე, ჩააყოფინა კუდები წყალში და უთხრა:

— დილამდე აქ ისხედითო!

დილამდის მელიებს ჩაეყინათ წყალში კუდები და საძრავი აღარ ჰქონდათ.

უკუდო მელია გაიქცა და ერთ მინდორზე გავიდა. თავადიშვილებს მწევრები გამოეყვანათ და ნადირობდნენ. მწევრებს მელია დაენახვა. მწევრები გამოუდგნენ, მელიამ მოცხრილა, მივიდა და გადაერია ამ ჩაყინულ მელიებში. გადაჰყვნენ მწევრებიც. რაკი დაინახეს მელიებმა ამდენი მწევარი, ზოგი მოიგლიჯა და უკუდო გაიქცა ერთი ვაივაგლახით, ზოგსაც მწევრებმა შემოაფხრიწეს ქურქები. ახლა ჩვენს მელიას აღარ ეშინოდა, რადგანაც ბევრნი იყვნენ უკუდო მელიები.

კარგა ხანს ისეირნა უკუდო მელიამ, მაგრამ აქაც მოაგნო მგელმა. შეყარა ეს მელიები, ხან ერთსა სტაცებდა პირს და ხან მეორეს, შენ მომატყუეო, მაგრამ ყველა მართალი გამოდგა. ბოლოს, ამ მელიას სტაცა პირი. მელია, ცოტა არ იყოს, შეკრთა, მაგრამ თავი შეიმაგრა და უთხრა:

— რას ამბობ, მგელო, ალალ-მართალს რაზე მაწვალებ, ჩემზე ალალი მზის ქვეშ ვერავინ გაიცლის და შენ კი შარსა მდებო!

— კარგიო! — გაუშვა მგელმა და წამოასხა მელიები.

ერთ წყალზე საცალფეხო ხიდი იდო, იმ ხიდზე უნდა გაეტარებინა. მოვიდნენ ხიდთან, მგელმა თქვა: ღმერთო, ჩემო გამჩენო და ჩემო სიალალ-მართლეე! რომელიც ჩემი მოღალატე იყოს, გადავარდესო. გაიარეს მელიებმა და არავინ გადავარდნილა. ჯერი ჩვენს მელიაზე მიდგა: როგორც კი მივიდა შუა ხიდზე, აუკანკალდა ფეხი და წყალში გადავარდა. გადაჰყვა მგელიც, ეცა გამწარებული და წაუჭირა ყელში.

მგელი კარგა ხანს კბენდა მელიას. კაჭკაჭები მოფრინდნენ, გაიგონეს მელიის ყვირილი, უნდოდათ ხორცის ჭამა. მოფრინდნენ სხვა ჭრელი ჩიტებიც წყლის სასმელად. მელიამ კაჭკაჭებსა და ჩიტებს ხელი გაუქნია.

— წადით, წადითო!

მგელმა ჰკითხა:

— მელიავ, რას ეძახი მაგ ჭრელ ჩიტებსო?

— ეგ ჩიტები ჩემი შეგირდები იყვნენ, მე დავაჭრელეო, — უთხრა მელიამ, — გაუგონიათ ჩემი კვნესა და საშველად მოფრინდნენო. ახლა ამას ვეუბნები: წადით, ველარას მიშველით, ჩემო შვილებო, აქ უნდა მოვკვდეო!

— გაგიშვებო, — უთხრა მგელმა, — თუ მეც დამაჭრელებო!

— კარგიო! — უთხრა მელიამ, — წადი, შამფურები მოიტანე, ცეცხლიც და დაგაჭრელებო!

მგელმა ყველაფერი მოუტანა. მელიამ გაუკრა ფეხები მგელს, გაახურა შამფურები და დაუსვა. შამფურებს სულ შიშინი გაჰქონდა სისხლში.

იბრძოლა მგელმა და გაიხსნა ფეხები. მოცხრილა მელიამ, მგელი ძალიან დამწვარი იყო და ვეღარ მიეწია.

ლომის ერთგულება

ერთი ტუსაღი ციხიდან გამოიქცა და მთაში იმალებოდა. აქა-იქ ხეტიალში ნახა გამოქვაბული კლდე და შეეფარა: ავდარ-წვიმაში სისველისაგან მაინც გადავრჩებიო. საღამოჟამდებოდა. დაინახა უზარმაზარი ლომი. ტუსაღი მიხვდა, რომ ლომის ბუნაგში იყო. შიშმა აიტანა, რაღა ექნა, სადღა გაექცეოდა!

ლომი ხინკილ-კოჭლობით მიუახლოვდა ბუნაგს. დაინახა შეშინებული კაცი, გაიშვირა ფესი კაცისკენ. კაცი მიხვდა, ლომი საშიში არ იყო. მივიდა, ფეხი გაუსინჯა. ნახა: ეკალი შერჭობოდა და დასიებოდა; ამოუღო, ჩირქი გამოწურა, თავისი პერანგის სახელო მოხია, შეუხვია და იმ დღიდან დამეგობრდნენ. ლომს ისე შეუყვარდა კაცი, რომ ყოველთვის საზრდოს უზიდავდა მას. ასე ატარებდნენ დროს.

იმ სახელმწიფოში დამნაშავე კაცს ლომებით სჯიდნენ. ამ სასჯელისათვის ეძებდნენ ტუსაღს. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა მიაგნეს. ლომი და კაცი ერთად დაიჭირეს და უკვირდათ მათი მეგობრობა. ტუსაღი ცალკე დაამწყვდიეს, ლომი ლომებთან შეიყვანეს.

ერთ დღეს მეფე-დედოფალი და რჩეულნი პირნი შეიკრიბნენ დროს გასატარებლად და მეფემ ბრძანა, ტუსაღი ლომებისათვის შეებრძოლებინათ. ტუსაღს ხუთი ლომი მიუსიეს. ერთი ყველაზე დიდი და ღონიერი ლომი დანარჩენებს გადაეღობა და დაუწყო ჩხუბი, ტუსაღთან არ უშვებდა. ხან ერთს წააქცევდა, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხეს. ამან მეფე-დედოფალ-მაყურებელთა შორის განცვიფრება გამოიწვია. მიიყვანეს ტუსაღი და ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა თავგანწირული მოსარჩლეობა. ტუსაღმა უამბო მეგობრობა ლომთან: რა დღიდან, რა საბუთით დაამხანაგდნენ. მეფემ მოიწონა ლომის გონიერება და ტუსაღი და ლომი გაათავისუფლა.

ლომი და მელია

ლომი ძლიერ ავად გამხდარიყო და უძრავად იწვა თავის ბუნაგში. მოსულიყვნენ სანახავად სხვადასხვა მხეცები, თავს ეკლებოდნენ და

უვლიდნენ თავიანთ ბატონს. მხოლოდ მელია არსად ჩანდა. ყველა გაკვირვებული იყო და კითხულობდა:

— ნეტავ, სად არის დღეს მელია, რომ არ მოსულა აქაო?

მგელმა დაუმატა:

— როცა საერთო მოლხენა და ქეიფია, მელია ხომ არასოდეს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა, იცის, რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოელისო.

ლომმა ძალიან იწყინა მელიას ასეთი უყურადღებობა. მგლის ნათქვამი მხეცებმა მელიას გადასცეს, მელია გაჯავრდა:

— დამაცადოს, მე ვაყურებინებ იმას სეირსო!

მეორე დღეს, როცა მხეცები ხელახლა ეახლნენ ლომს, მელიაც მიცუნცულდა, თავდაბლად თავი დაუკრა და სალამი მიუძღვნა. ლომმა უსაყვედურა:

— სად იყავ ამდენ ხანს, რატომ არ მნახეო?

მელიამ თავი იმართლა:

— თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიქეცი გიჟივით, ექიმებს დავეძებდი, ყველას ვთხოვდი შველას და რჩევას, რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულ მეფესა-მეთქი. მირჩიეს: მგელს ფეხი მოსტეხონ, კოჭი ამოართვან და ნადირთ მეფეს მიართვანო!

მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი. მგელს თქრიალით წამოუვიდა სისხლი, ფეხები სულ გაუწითლდა და მწარე ღმუილით მოშორდა მხეცებს. უკან მელია გამოედევნა და მისძახოდა:

— წითელჩექმებიანო, საით მიბრძანდები? როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო!

ნადირთა ძმობა

დათვი, მგელი და მელია შეიკრიბნენ და ერთმანეთს შესჩივლეს, რომ ხშირად დიდი ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმებაო, მოდი, დავძმობილდეთ და ამიერიდან რაც მოვინადიროთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეფიცეს, ერთმანეთისათვის არ ეღალატნათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროდ. იმათ ილბალზე დაჭრილი ირმის ნუკრი ნახეს, კისერი მოუგრიხეს, ჩეროში მწვანეზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა უბრძანა მგელს, რომელსაც შიმშილით კბილები უკაწკაწებდა:

— აბა, გაჰყავიო!

მგელმა თქვა:

— თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონსა და მეთაურს, შუა ტანი მე და ფეხები მელიას, რომელსაც ცუნცული უყვარსო.

ეს ფალავანი
ალბადი

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში თათი, რომ მთებმა ბანი მისცეს. მგელი ყმუილით განზე დაჯდა.

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა:

— ჩემო მელიავ, შენ გაჰყავიო!

ცბიერმა მელიამ მოწიწებით წარმოთქვა:

— თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც შენ ჩვენზე მუდამ მამობრივადა ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ არიან წარმართულნი სვლანი შენნიო!

— ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფაო? — ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო:

— შენ რომ წელან ისე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო!

შველი და დათვი

იყო ერთი შველი. ჰყავდა სამი ნუკრი. ერთ გავერანებულ წისქვილში ცხოვრობდნენ. დედა შველი ყოველ დილით მიდიოდა და ნუკრებისათვის საკვები მოჰქონდა. ნუკრები კი ისე იქცეოდნენ, როგორც დედა არიგებდა, კარებს მაგრად ჩარაზავდნენ და არავის უღებდნენ, სანამ დედის ხმას არ გაიგონებდნენ:

კარი გამიღეთ, აცაცა-ბაცაცა,
დედათქვენი ვარ, ძუძუსავსე ბანდლულეცა!

ამ სიტყვებს რომ გაიგონებდნენ, ნუკრები დედას კარს გაუღებდნენ. ჯერ ძუძუს მოსწოვდნენ და შემდეგ მის მოტანილ საკვებსაც გემრიელად მიირთმევდნენ.

ასე გადიოდა დრო. იზრდებოდნენ შვლის ნუკრები.

მათ სამყოფელს დათვმა მიაგნო და ერთ დღეს, სანამ შველსა და მის ნუკრებს ეძინათ, ჩუმად წისქვილის ქვეშ შეძვრა.

გათენდა. შველი წასასვლელად მოემზადა და შვილები ისე დაარიგა, როგორც ყოველთვის. პატარებმა კარი ჩარაზეს და დედა შველი წავიდა.

წისქვილის ქვეშ დამალულმა დათვმა გაიგონა დედა შველის დარიგება და როგორც კი დედა შველი თვალს მიეფარა, ამოვიდა, მიადგა კარს, დაუკაკუნა და შესძახა:

კარი გამიღეთ, აცაცა-ბაცაცა,
დედათქვენი ვარ, ძუძუსავსე ბანდლულეცა!

ერთმა ნუკრმა ხვრელიდან გახედა, იცნო, რომ მათი დედა არ იყო და გასძახა:

— ჩვენს დედას თეთრი შუბლი აქვს, შენ კი — არა, კარს არ გაგიღებთო!

დათვი წავიდა, იშოვა ნალები, წაისვა შუბლზე, გაითეთრა, ისევ დააკაკუნა წისქვილის კარზე, იგივე სიტყვები გაიმეორა და დაუმატა: შუბლი თეთრი მაქვსო. ახლა მეორე ნუკრმა გახედა.

— ჩვენს დედას ძუძუებიც თეთრი აქვს, შენ კი — არაო!

დათვი კელავ წავიდა, ნალებით ძუძუებიც გაითეთრა და დაბრუნდა:

კარი გამიღეთ, აცაცა-ბაცაცა,
დედათქვენი ვარ, ძუძუსავე ბანდღეელეცა!
თეთრი მაქვს შუბლი და ორთავე ძუძუცა!

ნუკრებმა გახედეს, დათვი დედა ეგონათ და კარი გაუღეს. დათვი შევიდა, წამოიკიდა ორი ნუკრი და თავისი ბუნაგისაკენ წამუნძულდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა შველი და, წისქვილის კარი რომ ღია დაინახა, შორიდანვე იგრძნო უბედურება. წისქვილში არავინ ჩანდა. ბევრი იძახა: აცაცა-ბაცაცაო... მაგრამ ხმა არავინ გასცა. ბოლოს კუთხეში მიმალული ნუკრი გამოძვრა და დედას უამბო, რაც მოხდა.

დედა შველი ძალიან შეაწუხა შვილების დაკარგვამ და გადაწყვიტა როგორმე შეხვედროდა დათვს. წისქვილთან ახლოს დიდი ორმო ამოთხარა, ზედ ეკალ-ბარდები წააფარა, მიწაც მიაყარა და ნუკრთან ერთად წისქვილს აღარ მოშორებია. მეორე დილით დათვი ისევ გამოჩნდა. შველმა სტუმარი მიიპატიჟა.

— მობრძანდი, დღეს ერთად ვისაუზმოთო!

დათვი არ მოელოდა ამას, მაგრამ შველი კარგ გუნებაზე რომ დაინახა, იფიქრა: ეტყობა, არაფერი იცის, მივალ და ამათაც შევჭამო.

შველმა სკამი გამოუტანა და ორმოს თავზე დაუდგა. დათვი პირდაპირ სკამისაკენ წავიდა და ორმოში ზღართანი მოადინა. დედა შველმა მაშინვე მოარბენინა ანთებული კვარი, ჩააგდო ორმოში და ზედ ხმელი შეშა დააყარა. დათვმა ხაშინელი ღრიალი მორთო, მერმე ხმამ თანდათან იკლო და ბოლოს სულაც მიწყდა.

მგელი, თხა და ცხენი

დამშეული მგელი თხას შეხვდა და უთხრა: — უნდა შეგჭამოო!

თხა არ დაიბნა: — ერთი ოინი ვიცი, იმას გავაკეთებ და მერმე შემჭამეო.

— რა ოინი იციო? — ჰკითხა მგელმა.

თხამ უთხრა:

— წავალ, აგერ ჯირკზე ავალ, გადმოვხტები და გადავკოტრიალდები. შენ კი მიყურე და მერმე რაც გინდა, ის მიყავიო.

მგელი დაეთანხმა. თხა წავიდა, იქვე ახლოს ერთ ჯირკზე ავიდა, გადმოხტა და გადაკოტრიალდა.

— ახლა მოდი, შეგჭამოო! — უთხრა მგელმა.

— მაცალე, ერთხელ კიდევ გადმოვხტებიო, — უთხრა თხამ.

თხა გადმოხტა და ისე მოკურცხლა, რომ მგელმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო. ხახამშრალი მგელი თავის გზას გაუდგა და წინ ახლა ცხენი შემოეყარა.

— ცხენო, უნდა შეგჭამოო!

— უკან რაღაც ბარათი უნდა მქონდეს მობმული, მოდი, მინახე, ხომ არ დამკარგვია და მერმე შემჭამეო! — უთხრა ცხენმა.

მგელმა შემოუარა ცხენს და უკანიდან შეხედა. ცხენმა წიხლი ჰკრა. მგელი ცხრაჯერ გადაკოტრიალდა და მიწაზე გაიჭიმა. ცხენი გაიქცა. მგელმა, გონს რომ მოვიდა, თავისთვის ჩაილაპარაკა: ახია ჩემზე; ლუკმა შეგხვდეს, შეჭამე და შეირგე, ოინები და ბარათები რაში გესაქმებაო.

კატის ამბავი

პატრონისაგან განაწყენებული კატა გაველურდა. დიდხანს დარბოდა უგზო-უკელოდ და ბინას ეძებდა. ბოლოს მინდორში ერთი მიტოვებული ქოხი დაინახა და შიგ დაბინავდა. მთელი დღე ხეტიალისაგან ღონემიხდილმა დაიძინა და კრუტუნი ამოუშვა.

ცოტა ხნის შემდეგ ქოხს ტურა მიადგა. ისიც ღამის გასათევს ეძებდა გამწარებული. „ნეტავ ქოხში ხომ არავინ არისო", — ფიქრობდა დ: ფრთხილად ზვერავდა იქაურობას. საშინელი ხმა ისმოდა ქოხიდან. ერთხანს ყური უგდო და მუქარად მოეჩვენა: ერთი მობეღოს ვინმემ, დაეფლეთ და შეგჭამო!

შეშინებული ტერა მაშინვე გაეცალა იქაურობას. გზაზე დათვი შემოეყარა.

—საით მიდიხარო! — ჰკითხა დათვმა.

— ერთი კაცი მომყევს და იმუქრება: ქვეყნად ვინც შემხვდება, ავკუწავ და შევჭამო. ამიტომ გავრბივარო.

დათვიც შიშმა შეიპყრო და ტურას შეეხვეწა:

— მეც გამიყოლეო!

გაუდგნენ გზას. ბევრი ირბინეს თუ ცოტა, ერთგან მგელი შემოეყარათ.

— ღვთის გულისათვის, მითხარით, საით გარბიხართო? — შეეკითხა მგელი.

— ერთი კაცია, ცოცხალს არავის ტოვებს, ყველას კლავს და ჭამს. ამიტომ გავრბივართო.

— მეც წამოვალო! — სთხოვა მგელმა.

დაიმბობილეს მგელი და გზა განაგრძეს. ახლა ღორი შემოეყარათ. ისიც გაიამხანაგეს. ბევრი ირბინეს თუ ცოტა, დაიღალნენ და შეისვენეს.

— როდემდის უნდა ვირბინოთ?! — თქვა აქოშინებულმა დათვმა.

— მაინც ვერსად გავექცევით, დავბრუნდეთ და ის კაცი მოვიპატიჟოთო, — თქვა ღორმა.

— რა მივართვათო? — იკითხა ტურამ.

— მე ერთ ძროხას მოვიყვანო, — თქვა დათვმა.

— მე ცხვარს მოვიყვანო, — წამოიძახა მგელმა.

— მე კი ყაურმას გავაკეთებო — დაუმატა ღორმა.

მგელი და დათვი წავიდნენ და ცოტა ხანში ცხვარი და ძროხა მოიყვანეს. ღორმა დააყაურმა და ქოთანში ჩაყარა. მერმე უკან გაბრუნდნენ, ყაურმაც თან წაიღეს და ისევ იმ ქოხთან მივიდნენ. დასხდნენ და ითათბირეს. ქოხში შესვლასა და დაპატიჟებას ვერავინ ბედავდა.

— მე დავპატიჟებო! — თქვა ბოლოს ტურამ. აიღო ყაურმით სავსე ქოთანი და ქოხისაკენ გასწია. დათვი ხეზე აცოცდა, მგელი და ღორი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ და დაიმალნენ. ტურამ ყაურმა კარებთან დადგა და მორიდებით შეიხედა ქოხში. კატა უკვე ამდგარიყო და იზმორებოდა. ტურას დიდად მოეჩვენა, კიდევ უფრო შეშინდა და უკან გამოიქცა. თავზარდაცემული კატაც გამოვარდა ქოხიდან და გასაქცევ გზას დაუწყო ძებნა. ღორმაც გაქცევით უშველა თავს. შეშინებული კატა კი ხეზე ავარდა. „ტურა და ღორი შეჭამა და ახლა ჩემს შესაჭმელად მოდისო", — იფიქრა დათვმა, გადმოხტა და ძირს ზღარბანი მოადინა. სწრაფადვე წამოხტა, დაუძახა მგელს და ორივემ მოკურცხლა.

ცოტა ხნის შემდეგ კატა ქოხში შებრუნდა, ნახა ყაურმით სავსე ქოთანი და გემრიელად შეექცა.

ბუ და კაცი

ერთმა კაცმა ბუ დაიჭირა, კოხტა გალია გაუკეთა, შიგ ჩასვა და კარგად უვლიდა. ოთხი წელიწადი გავიდა, კაცი არაფერს აკლებდა, მაგრამ ბუ მაინც უკმაყოფილო იყო.

ერთხელ კაცმა სადღაც წასვლა დააპირა. ბუმ დაინახა და ჰკითხა:

— საით მიდიხარო?

— ქალაქსო, — უპასუხა კაცმა.

ბუმ უთხრა:

— გზად ტყეზე გაივლი, იქ ჩემი ამხანაგები შეგხვდებიან, უთხარი, რომ ცოცხალი ვარ და გალიაში ვიმყოფები-თქო.

კაცი წავიდა. ქალაქის გზა, მართლაც, ტყეზე გადიოდა. კაცმა დაბალი ხის ტოტზე ჩამომჯდარი ერთი ბუ დაინახა და უთხრა:

Ваше величество, вы не боитесь?

— შენი ამხანაგი ჩემთან არის, გალიაში მყავს და თავს კარგად გრძნობსო.

ეს რომ ბუმ გაიგონა, ხიდან გადმოვარდა. კაცი მივარდა, შეანჯღრია, მაგრამ ბუ მკვდარი ეგდო. კაცმა მიატოვა და გზა განაგრძო.

შინ რომ დაბრუნდა, კაცმა გალიაში მყოფ ბუს უამბო მისი ამხანაგის ამბავი. ბუმ თავი მოიმკვდარუნა და გალიის ერთ კუთხეში მიეგდო. კაცმა სასწრაფოდ გააღო გალიის კარი, გამოიყვანა ბუ და დიდხანს ეცადა, რომ მოესულიერებინა, მაგრამ ბუს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. წაიღო კაცმა და შორს გადააგდო. ბუმ მაშინვე შეიფრთხიალა და ტყისაკენ გაფრინდა.

რატომ ეშინია ბუს?

ერთი მეფის ვაჟს მეორე ქვეყნის მეფის ასული შეუყვარდა და შეუთვალა, ცოლად გამომყვეიო. ქალმა პასუხი არ დაუგვიანა:

— ფრინველის ძვლებისაგან სასახლეს თუ ამიშენებ, გამოგყვებიო.

მეფის შვილი საგონებელში ჩავარდა. ბოლოს რაც კი დედამიწის ზურგზე ფრინველი იყო, ყველა მოიხმო. ბუს გარდა ყველა უკლებლივ გამოცხადდა. მეფის შვილმა ფრინველებს უთხრა:

— იმდენი ჩიტის ძვალი უნდა მომიტანოთ, რომ სასახლის ასაშენებლად მეყოს, თუ არადა, დაგზოცავთო!

ფრინველები გაფრინდნენ და სათათბიროდ თავი ისევ ერთ ადგილას მოიყარეს. ბუ მაინც არსად ჩანდა. გაგზავნეს ერთი ჩიტი და მოიყვანეს.

— რატომ იმალები, მეფის შვილთან რატომ არ გამოცხადდიო? — ჰკითხეს ფრინველებმა.

— ტანზე არაფერი მაცვიაო, — უპასუხა ბუმ.

ბუ, მართლაც ტიტველი იყო, ერთი ბუმბულიც არა ჰქონდა ტანზე. ფრინველებმა თითომ თითო ბუმბული მისცა ბუს და ისიც შეიმოსა. შემდეგ ითათბირეს და გადაწყვიტეს, მეფის შვილთან მოსალაპარაკებლად ბუ გაეგზავნათ. ჩაცმულ-დახურული ბუც გზას გაუდგა.

— რატომ მოხვედიო? — ჰკითხა მეფის შვილმა.

— ფრინველებმა გამომგზავნეს შენთან მოსალაპარაკებლადო.

მეფის შვილმა იფიქრა: ვაითუ ფრინველებმა უარი შემომითვალესო და ბუს უთხრა:

— ლაპარაკით მაშინ ვილაპარაკოთ, სასახლისათვის სამყოფ ძვალს რომ მომიტანთ, ახლა კი ერთი რამ უნდა გკითხო: ქვეყნად ქალი უფრო ბევრია თუ კაცი?

— ქალიო, — მიუგო ბუმ.

— არა, მამაკაცი უფრო ბევრია, — უთხრა მეფის შვილმა.

— ქალიო! — დაიჟინა ბუმ.

— რატომაო? — ჰკითხა მეფის შვილმა.

— ქალის ჭკუაზე გაელილი კაცი თვითონაც ქალია. შენც ქალი ყოფილხარ. შენისთანა კიდევ ბევრია ქვეყანაზე. ამიტომ ქალია უფრო მეტი, ვიდრე კაციო, — უთხრა ბუმ მეფის შვილსა და გაფრინდა; მივიდა ფრინველებთან და ყველაფერი უამბო. გახარებული ფრინველები შემოეხვივნენ ბუს, ყველას უნდოდა ეკოცნა მისთვის, მაგრამ ბუ შეშინდა, ესენი მოკვლას მიპირებენო, — იფიქრა და გაფრინდა.

მას შემდეგ ბუს ეს ფიქრი თავიდან არ მოშორებია, ეშინია სხვა ფრინველებისა, დღისით იმალება, ღამით გამოდის და იძახის: კივიწ! კივიწ!..

მელა, მამალი, ბატკანი და ჩიტი

მელა, მამალი, ბატკანი და ჩიტი დაძმობილდნენ. გაუდგნენ გზას. გზაზე შემოაღამდათ, დადგნენ ერთ ადგილას და დაანთეს ცეცხლი.

მელამ უთხრა მამალს:

— აბა, მამალო, მოდი, ვიჭიდაოთო.

დაიჭიდნენ. მელიამ მოგლიჯა მამალს თავი და ჩაახრამუნა. მერე ბატკანიც შეჭამა.

— მელიავ, მე ცარიელი ქონი ვარ, პირი გაალე, ჩაგივარდები და შემჭამეო, — უთხრა ჩიტმა.

მელიამ გააღო პირი, ჩიტმა აიღო ერთი მუგუზალი და შიგ პირში ჩაჰჩარა, მელიას გამოეწვა პირი და ვეღარ შეჭამა ჩიტი.

ჩიტი გაფრინდა, დაინახა გზაზე — ორი კაცი ერთ ძაღლსა სცემდა.

ჩიტი მიფრინდა და სთხოვა:

— მე მომეცით ეგ ძაღლი და რაც გინდათ, იმახ მოგცემთო.

კაცებმა უთხრეს:

— ოღონდ ეგ მოგვაშორე და, პირიქით, ჩვენ მოგცემთ ფულსაო.

წამოიყვანა ჩიტმა ძაღლი. ძაღლი მშიერი იყო.

ჩიტმა უთხრა:

— აი, იქ დედაკაცები რომ სხედან და მაწონს შეექცევიან, ხომ ხედავო?

— ვხედავო, — უპასუხა ძაღლმა.

— მაშ მე მივალ იმ დედაკაცებთან, დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაჭერად გამომედევნებიან, მიდი შენ და მაწონს მიაძეხიო.

ჩიტმა მართლა გაიტყუა დედაკაცები, და ძაღლი კარგად გაძღა.

წამოვიდნენ იქიდან, გზაზე მელიას შეხვდნენ. ჩიტმა ძაღლი დამალა და მელიას დაუძახა:

— გამარჯობა, მელიავ, მოგირჩა პირი თუ არაო?

მელიამ დაუძახა:

— პირი კი მომირჩა, მაგრამ ლეში კი აღარსად მიჭამიაო.



ჩიტმა დაუძახა:
— წამო, აქ არის ლეშიო.
ძაღლს კი უთხრა:
— წაწექ გზის პირზე და როდესაც მელია მოვა შესაჭმელად, წამოუხტი და ტყავი გაამვრეო.
მართლაც, მივიდა მელია და დასწვდა ძაღლს კუდზე. წამოხტა ძაღლი და შემოაცალა ქურქი.
ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ლომი და თაგვი

ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ტანზე გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და დაიჭირა თაგვი. თაგვმა უთხრა: გამიშვი და შეგიწყალებო. ლომმა გულიანად გაიცინა და გაუშვა.
გავიდა რამდენიმე ხანი. მონადირეებმა ლომი დაიჭირეს და თოკით ხეზე მიაბეს; უნდოდათ მერე მოსულიყვნენ და ცოცხალი წაეყვანათ. მონადირეები რომ წავიდნენ, ლომმა საშინელი ღრიალი მორთო. თაგვს შემოესმა, მიიცუცუნა, გადაღრღნა თოკი, გაათავისუფლა ლომი და უთხრა: „გახსოვს, შენ რომ მე დამცინეო? ახლა ხომ ხედავ, რომ პატარა თაგვსაც შესძლებია მოწყალება დიდი და მძლავრი ლომისათვისაო!

ი რ ე მ ი

ირემმა წყალში ჩაიხედა და თავისი ჩრდილი დაინახა. ძალიან მოეწონა თავისი გრძელი და შტოიანი რქები. მერე ფეხებზე დაიხედა და ხთქვა: რა ლამაზი ვიქნებოდი, ეს წვრილი და გრძელი ფეხები რომ არ მაუშნოებდესო.
უცებ ტყიდან გამოხტა ლომი და გაექანა ირმისაკენ. ირემი ტრიალ მინდორზე ისარივით გაეშვა. ლომი უკან დარჩა. მაგრამ, როცა ირემი ტყეში შევარდა, რქები გაეხლართა ხის ტოტებში. ლომი მივარდა და დაიჭირა. ილუპებოდა ირემი და ამბობდა: „ჰაი, შე სულელო ჩემო თავო! რასაც იწუნებდი, იმათ ხიფათს გადაგარჩინეს, და რაც მოგწონდა, იმათ კი დაგლუპესო“.

კოღო და ლომი

კოღომ ლომი საომრად გამოითხოვა. ლომს ეს საცინლადაც არ ეყო. კოღომ იწყინა, გაგულისდა, გაექანა და შიგ ცხვირში ეცა, დაუწყო მწარედ კბენა ტიტველა ცხვირსა და ტუჩში. ლომს ძალიან ემწარა. იწყო ფეხების ცემა ცხვირ-პირზე, ეგონა, კოღოს მოვახვედრებ და მოვკლავო. მაგრამ კლანჭებით თავ-პირი სულ დაიკაწრა, და კოღო კი ვერ მოიშორა. ბოლოს ლომი საცოდავად დაქანცული დაეცა მიწაზე.

გამარჯვებულმა კოღომ შინისკენ მხიარული ბზუკუნით გასწია, მაგრამ გზაზე უცებ წააწყდა ობობას ქსელსა და შიგ გაება. მივიდა ობობა და წუწვნა დაუწყო. კვდებოდა კოღო და ამბობდა: „ძლიერ ლომს მოვერიე და, დახე, წუწკი ობობასაგან კი ვილუპებიო!

მელიას კუდი მოწმედ

მელია ერთს საქათმეს შეეჩვია და ქათმებს სულ მუსრი გაავლო. ბოლოს საქათმის პატრონმა უხერხა, ხაფანგში გაობა, დაიჭირა და მოკვლა დაუპირა. მელიამ უთხრა: „ტყუილად მკლავ, თავი არ მომიკვდება, მე ამ საქმეში უბრალო ვარო; ამ საქათმისთვის მე ერთი ვარიაც არ მომიკლია და ფეხიც არ შემომიდგამს აქაო; მხოლოდ წუხელის გამიწყრა ღმერთი, ბნელაში გზა დაეკარგე და უნებლიედ აქ მოვეხეტეო". — მერე მაგისი მოწმე გყავს ვინმეო? ჰკითხეს, — „როგორ არაო, ერთი ისეთი მოწმე მყავს, რომ ათზე უფრო სარწმუნოაო". — ვინ არის ეგ მოწმეო? — „ეს ჩემი პატიოსანი კუდიო, — არხეინად მიუგო მელიამ."

ფუტკარი და მტრედი

ჯაფისაგან დაღალული ფუტკარი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა. ახლო ხეზე დედა მტრედი იჯდა. თვალი შეასწრო ფუტკრის გაჭირვებასა,

აფრინდა, მოჰგლიჯა ნეკერჩხალის დიდი ფოთოლი და ჩაუგდო წყალში. ფუტკარი ზედ შეჯდა და წყალმა ნაპირზე გამორიყა. გაიშრო მზეზე სველი ფრთები, აფრინდა და მხიარული ბზუილით გასწია თავისი სკისაკენ.

გავიდა რამდენიმე დღე. ბარტყებისთვის საჭმლის ზიდვით დაღლული მტრედი ხეზე იჯდა და სთვლემდა. ამ დროს მონადირე მიეპარა მტრედსა, ამოეფარა ჩირგვსა და დაუმიზნა თოფი. ამას თვალი მოჰკრა ახლო ყვავილზე მჯდომმა ფუტკარმა, აფრინდა, სწრაფად მოუარა მონადირეს უკანიდან და მარჯვენა ხელზე უკბინა სწორედ იმ დროს, როცა ჩახმახს აცემინებდა. მონადირეს სიმწრისაგან ხელი აუკანკალდა და ტყვია ასცდა მტრედსა.

კ ა ტ ა

იმავე სახლში ცხოვრობდა დიდ-თავა კატა. სიფაქიზე ძალიან უყვარდა. ერთს წამსაც არ დაიყენებდა ნაზ-ბეწვიანს ტანზე უწმინდურს რასმე, მაშინვე ფეხებით, ან ლიპი და ხორკლიანი ენით მოიშორებდა. სახლის პატრონი თავის მურტალ შვილებს მალ-მალ არცხვენდა: ჩვენი კატისაგან მაინც ისწავლეთ სიფაქიზის სიყვარულიო. ადამიანებს ლაქუცით ექცეოდა, ფეხაკრებით მივიდოდა ახლო, საამურად კრუტუნებდა და თავისი მწვანე თვალებით ალერსიანად უცქეროდა. მაგრამ თუ წვეტიანს ყურებზე ან გრძელ ულვაშებზე ვინმე ხელს ახლებდა, მაშინვე თავის ბრჭყალებს მოიხმარებდა და ფიცხლავ ხელს გააშვებინებდა. სახლში ყველას უყვარდა, მეტადრე ბავშვებსა. მაგრამ თაგვებს კი საშინლად ეჯავრებოდათ, როგორც თავისი მოსისხლე მტერი. თაგვები დღისით ხოროებში იყვნენ მიმალულნი, ღამით კი ოთახში ამოდიოდნენ საჭმლის საშოვრად. ეგონათ, წყეული კატა ბნელაში ვერ დაგვინახავს და ვერას დაგვაკლებსო, მაგრამ ძლიერ ტყუვდებოდნენ. კატა ღამითაც თითქმის ისე კარგად ხედავდა, როგორც დღისითა; ეს იმიტომ, რომ თვალის ბაიები დღისით, ხინათლის გამო, ძლიერ დაპატარავებულნი, ღამით ერთი ათად უდიდდებოდნენ, და ამიტომ ცოტაოდენი ვარსკვლავის შუქიც კი საკმარისი იყო, რომ კატას ყველაფერი გაერჩია თვალითა.

აი თაგვები ნელ-ნელა გამოცოცდნენ ხოროებიდან და დაუწყეს ოთახში ძებნა პურის ნამცეცებსა, რძესა, შეჭამადის ცვარებსა და სხვა შესასუნსავსა. ყურ-მახვილმა კატამ მალე გაიგო მათი ცუცუნის ხმაურობა, გააჭყიტა დახუჭული თვალები და თაგვები კარგად გაარჩია. ჩუმად, ფეხაკრებით მიეპარა, სწრაფად იხტუნა, თავზე დაახტა ერთს უფრო მოზრდილ თაგვსა, ჩაუყარა ბრჭყალები, დააკლო პირი და დააწყვეტინა საცოდავად წრუწუნწრუწუნი. გულგახეთქილი სხვა თაგვები სოროებში ფაცხაფუცხით ჩაცვივდნენ; მაგრამ იმათ ამხანაგს კი დღე მოესწრაფა. კატამ მას ღონივრად ჩააკლო პატარა წინა კბილები, დაგლიჯა ოთხი გრძელი და მჭრელი შუა

კბილით, რომელთაც მოახმარა ძირის კბილები, ხერხივით წვეტიანები, და რამდენიმე თვალის დახამხამებაში ვეებერთელა თაგვი თავის მუცელში ჩაგზავნა.

კატა თაგვების ულეტით დიდ სიკეთეს უშვრებოდა თავის პატრონებსა, რადგან თაგვები უიმისოდ გამრავლდებოდნენ და სულ გაუფუჭებდნენ ჭირნახულსა და ხორაგეულობასა. თაგვებს გარდა კატა, სამწუხაროდ, ჩიტებზედაც ნადირობდა და იჭერდა მათ ხეებზე, რომლებზედაც საკვირველი სიმარდით ადიოდა.

გლეხი, დათვი და მელია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. მას ცოლის მეტი არავინა ჰყავდა. ერთხელ გლეხი ყანაში სამუშაოდ წავიდა. გზაზე პანტის ძირში დათვი ნახა. დათვს იმდენი პანტა ეჭამა, რომ იქვე ხის ძირში გორავდა და ველარ მოენელებინა. ეს რომ ნახა, გლეხს სიცილი წასკდა. დათვმა უთხრა: არავისთან გამამხილო, თორემ შეგჭამო, გლეხმა უპასუხა, არავისთან არ გაგამხელო.

როცა გლეხი შინისკენ წამოვიდა, დათვიც ადგა და ჩუმად უკან გამოედევნა. გლეხი რომ შინ მოვიდა, დათვი სახლის ყურეს ამოეტუზა და ლარაპაკს ყური დაუგდო. გლეხი მოუყვა ცოლს დათვის ამბავს. დათვმა ყველაფერი გაიგონა და გამობრუნდა. წავიდა გლეხის ყანაში და ჩაწვა. მეორე დღეს გლეხი ისევ წავიდა ყანაში სამუშაოდ. იქ დაწოლილი დათვი რომ დაინახა, შეეშინდა. წამოდგა დათვი და შესძახა:

ადრე გამოხნავ — ადრე გამოგზრავ,
გვიან გამოხნავ — გვიან გამოგზრავ.

გლეხი შეშინდა. გამოვიდა გზაზე და დაღონებული დაჯდა. შუადღეზე ცოლმა სადილი მოუტანა: ერთი კარგად შემწვარი დედალი, სამი ხაჭაპური და ერთი ბოთლი ღვინო. გლეხმა ცოლს უთხრა:

— რა მესადილება, ქალო, დათვი ყანაში ჩაწოლილა და ასე მეუბნება:

ადრე გამოხნავ — ადრე გამოგზრავ,
გვიან გამოხნავ — გვიან გამოგზრავ.

ცოლმა ჰკითხა:

— რა დაუშავე მაგის ფასიო?

— წუხელის რომ ამბავი გითხარი, იმისათვის მექადნებაო.

ამ დროს, სად იყო და სად არა, გაჩნდა მელია. გლეხი რომ შეწუხებული ნახა, ჰკითხა:

— რამ დაგაღონაო?

— როგორ რამ დამაღონა, აგერ, ყანაში დათვი წევს და შეჭმას მიპ-ირებსო.

მაშინ მელიამ უთხრა:

— თუ მაგ ქათამსა და ხაჭაპურებს მე მაჭმევ, გიშველიო!

გლეხმა მიუგო:

— ოღონდ კი მიშველე და ღვინოც შენი ფეშქაში იყოსო!

დაჯდა მელია და შეექცა გემრიელ საჭმელს, როცა გაათავა, გლეხს უთხრა:

— შენ წადი და დათვის ახლოს დაიწყე ხვნა, მე გავალ პატარა ხერზე და იქიდან დაგიძახებ; შენ კი მაგიერი პასუხი გამეციო.

გლეხმა ხვნა დაიწყო. მელია გორაზე გავიდა და იქიდან გამოსძახა:

— კაცო, შენ, ჰეი!

— რა იყო, რა!

— სამი წლის დათვის კვალი ხომ არ გინახავს, ხელმწიფე მოდის თავისი ჯარით და მისი ნახვა უნდაო.

დათვი გლეხს შეეხვეწა:

— არ მინახავს-თქო, ასე უთხარიო.

— არა, არ მინახავსო! — გასძახა გლეხმა.

— მაშ ეგ რა არისო?

გლეხი დაეკითხა დათვს, რა ეუპასუხოო.

— ჯირკია-თქო, ჯირკიო!

— ეს ჯირკია, ჯირკიო!

— თუ ჯირკია, ურემზე დაუდეო!

დათვი შეგორდა ურემზე. მელიამ გამოსძახა:

— აბა, ჯირკი ურემზე დააკარიო!

გლეხმა დათვი ურემზე თოკით დააკრა.

— აბა, უცულისყურეო!

გლეხმა დასცხო ცული დათვს და მოკლა. მელიამ და გლეხმა ბევრი იცინეს. გლეხმა დათვის სორცი ხორცად გაყიდა, ქონი ქონად მოიხმარა და ტყავი ტყავად.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა;
მთქმელსა და გამგონებელსა
ჭირი გაშოროთ ყველასა.
ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მ ე ლ ი ა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რწყილი და მელია. დაძმობილდნენ და მიდიან. წინ წყალი შემოხვდათ. მელიამ ხორბლის ტომარა ზურგზე შემოიგდო, გადაფრინდა და ფონს გავიდა. მიდის და ერთ ოჯახში დაუღამდა. დაუღამდა და დაუძახა:

— ოჯახიანო, სტუმარი არ გინდათო?

— როგორ არა, მელა, მობრძანდი, მობრძანდი, სტუმარი ღვთისა არისო.

შეიყვანეს მელია, მიართვეს საჭმელი, რაც უნდოდა, და დააძინეს. ყველამ რომ დაიძინა, მელია ადგა, ჩუმად გამოვიდა გარეთ, საქათმეში პური შეიტანა და ქათმებს გაუშალა, თვითონ ისევ შეიპარა სახლში და დაიძინა. ადგნენ მეორე დილით, მოიკითხეს პური, ნახეს, ქათმებს უყრია. მელიამ კი ერთი მამალი დაიჩემა.

— თუ ამას მომცემთ, მომცემთ, თუ არადა აქედან აგყრითო!

აიღეს და მისცეს ის მამალი. წაიყვანა მამალი და კიდევ ერთ ოჯახთან შემოაღამდა. კიდევ ისე დაუძახა მასპინძელს, შეიყვანეს სახლში. რომ დაიძინეს, მელია ადგა, გამოიყვანა თავისი მამალი, კისერი მოუგრიხა და ცხვარს ქვეშ ამოუდო. ადგნენ მეორე დილით, მოიკითხეს მამალი და ნახეს, რომ ცხვრის ქვეშ არის მოტანებული.

— თუ მაგ ცხვარს მომცემთ, მომცემთ, თუ არადა აქედან არ წავალო.

რაღას იზამდნენ, აიღეს და ის ცხვარიც მელიას მისცეს. მიდის მელია და ერთ ოჯახში კიდევ დაუღამდა. აქაც დააძინეს, ღამით მელია ადგა, გამოიყვანა ის ცხვარი, კისერი მოუგრიხა და ხარს ქვეშ ამოუდო.

მეორე დილით კი ცხვარი მოიკითხა:

— ჩქარა, ჩემი ცხვარი მომიყვანეთო.

ნახეს ცხვარი, — ხარქვეშ არი ამოდებული.

— თუ მაგ ხარს მომცემთ, მომცემთ, თუ არადა აქედან აგყრითო!

ხალხი შეშინდა და ხარი მისცეს. წავიდა მელია, მიდის, მიდის და ხედავს, ერთ ოჯახში ქორწილია.

დაინახეს მელია და მიიპატიჟეს:

— მობრძანდი მელია, მობრძანდიო.

მელია მივიდა და პატარძლის გვერდით დასვეს. იქეიფეს იმ ღამეს, მერე დაიძინეს. სულ ყველას რომ დაეძინა, მელა ადგა, ყველას ჯიბეები დაუსინჯა. პატარძლის ჯიბეში დანა ყოფილიყო. ამოიღო დანა, წავიდა და ხარი დაკლა. გასისხლიანებული დანა ისევ პატარძალს ჩაუდო ჯიბეში. მეორე დილით მელიამ ხარი მოიკითხა, მაგრამ დაკლული ნახეს.

— აბა, ვისაც სისხლიანი დანა აღმოაჩნდება, ის უნდა წავიყვანოო, — თქვა მელიამ.

ᲫᲚᲘᲐᲜ

სისხლიანი დანა პატარძალს აღმოაჩნდა. დაღონდა პატარძალი, მაგრამ რაღა იქნებოდა. მელია კი ხალხს აშინებს.

— აბა, თუ მაგ პატარძალს მომცემთ, მომცემთ, თუ არადა დაგხოცავთო.

— გინდა ორი ხარი წაიყვანე და პატარძალს ნუ წაიყვანო, — ეხვეწებიან, მაგრამ მელიამ არა ქნა, ჩასვა გუდაში პატარძალი და წაიყვანა. მიდის და მღერის:

პური გავცვალე მამალზე,
მამალი — ცხვარზე,
ცხვარი — სარზე,
ხარი — პატარძალზე,
ბანი პატარძალო, ი-ი-ი-ი!

ღიღინებს მელია. მიდის, მიდის და მეგუთნეებმა დაინახეს. დაინახეს და დაუძახეს:

— მობრძანდი, მელია, სადილზე გვეწვიეო!

— არა, მადლობთო.

— მობრძანდი, მობრძანდი, წყალი მაინც მოგვიტანეო!

მიბრუნდა მელია და გუდა მოიხსნა. მეგუთნეებმა ცხრილი მისცეს და წყალზე გაგზავნეს. ჩაყოფს მელია ცხრილსა — აივსება, ამოიღებს — დაცარიელდება. ადგა და იქიდან დაუძახა:

— ვერ ვავსებო.

— გაგლისე და გაივსებაო, — უპასუხეს.

— მელია კი ყვირის, მაინც ვერ ვავსებო.

ამასობაში მეგუთნეებმა პატარძალი გუდიდან ამოსვეს და უთხრეს:

— ჩქარა წადი, სულ ირბინეო.

პატარძლის სანაცვლოდ კი დიდი შავი ძაღლი ჩასვეს გუდაში, შიგ პურის ნატეხები ჩაუყარეს. მერე მელიას დაუძახეს:

— მოდი, მელიავ, მოდიო.

მოვიდა მელია და მეგუთნეებს მოახსენა, რამდენი ვეწვალე, მაგრამ ვერ ავავსეო.

არა უშავს რა, მელია, მადლობელი ვართო.

მელიამ აიკიდა გუდა და მიდის, მიდის და მიიმღერის:

პური გავცვალე მამალზე,
მამალი — ცხვარზე,
ცხვარი — სარზე,
ხარი — პატარძალზე,
ბანი პატარძალო, ი-ი-ი-ი!

უცებ ძაღლი დაიღრენს.

— ეს რაღაც ცუდ ხმაზე იძახის ბანს, თუ არა ვნახე, არ იქნებაო.

მელიამ გუდას პირი მოხსნა. მოხსნა პირი და ამოვარდა ძაღლი. ეცა ამ შენს მელიასა და გაგლიჯა და გამოგლიჯა. პატარძალი თავის სახლში მივიდა, ძაღლი კი პატრონს ჩაბარდა.

მელია და მგელი

იყო ერთი კურდღელი. ერთხელ წავიდა კურდღელი და მუხის ძირას დაწვა. მუხაზე ყვავი შემოჯდა და რკო ძირს ჩამოაგდო. რკო კურდღელს თავზე დაეცა. კურდღელს ეგონა, ქვეყანა იქცევაო, წამოხტა და გაიქცა. გზაზე მგელი შემოხვდა და ჰკითხა:

— კურდღელო, სად მირბიხარო?

— მანდეთ, ძმობილო, ცა და ქვეყანა იქცევა და ნუ მიდიხარო, — გააფრთხილა კურდღელმა.

მგელს მართალი ეგონა და ესეც გაიქცა. წინ ახლა მელია შემოეყარა და იმასაც ასე დაემართა. ირბინა სამივემ, ირბინა და ერთ ისეთ ალაგას გავიდნენ, სადაც საჭმელი არ იშოვებოდა. შიმშილით კი კუჭი ეწვოდათ. საქმე რომ გაუჭირდათ, მგელმა და მელამ კურდღელი შეჭამეს. კურდღელი მოინელეს და ისევ მოშიოდათ. მგელმა მელიას შეჭმა დაუპირა. მელია გაიქცა, მგელი უკან დაედევნა, მირბის მელია, მირბის და ერთ წყალს მიადგა. რაღა ქნას ახლა? აიხედა ზევით და სეზე კაჭკაჭი დაინახა. მეტი რომ ვერა მოახერხა რა, მელიამ მგელს უთხრა, თუ დამეხსნები და არ შემჭამ, აიმ კაჭკაჭივით დაგაჭრელებო. მგელი მოტყუედა და მელიას დაუჯერა. მაშინ მელიამ მგელს უთხრა:

— ჯერ წავიდეთ სადმე, კამეჩი ვნახოთ, დაკლათ, ვჭამოთ და გამძღარი უფრო დაჭრელდებიო.

წავიდნენ. მართლაც ნახეს ერთი კამეჩი და დაკლეს. სანამ მელია ჭამას შეუდგებოდა, ცეცხლი და სახნისი იშოვა. ცეცხლი დაანთო და სახნისი შიგ ჩადო გასახურებლად.

— ახლა ეს კამეჩი შუაზე გავხვრიტოთ, შიგ გავძვრეთ ხოლმე და ორივე დავჭრელდებითო, — უთხრა მგელს.

მგელმა დაუჯერა. მელიამ კი კამეჩი ისე გახვრიტა, რომ მხოლოდ თვითონ გატეულიყო, მერე მგელს უთხრა:

— გაიქცეთ და გავძვრეთო.

მელა გაიქცა და გაძვრა. მგელიც გაიქცა, მაგრამ ვერ გაეტია, შიგ გაიჭედა. მელიასაც ეს უნდოდა, წამოუსვა ხელი გახურებულ სახნისს და ზურგზე დასცხო. იქამდის ურტყა, სანამ სული არ გაანთხევინა. მგელმა ბევრი იყვირა, მაგრამ თავს ვეღარ უშველა. მელია კი მოდგა და ქეიფიანად ჭამა კამეჩიცა და მგელიც. ქონი ჭურში ჩაასხა, ძვლები კი ხორად დადგა და მთელი ზამთარი შეშად ეყო.

ხოხობი და მელია

ერთი ჯაგის ძირში ხოხობი იჯდა და ხორბალს კენკავდა. ისე იყო თავისი საქმით გართული, რომ ვერც კი დაინახა, როგორ წამოეპარა მელია. მელიამ ერთი ნახტომით მოიგდო პირში საბრალო ხოხობი და იქვე ჯაგის ძირშივე დაუპირა შეჭმა. ხოხობმა რომ დაინახა, ჩემი საქმე გათავებულია და მელიას კბილების წერა ეხდებიო, ერთი გაიფართხალა და მელიას საყვედურით მიმართა:

— არც კი გრცხვენია, დამიჭირე და შეჭმასაც ისე მიპირებ, ღმერთს არც ახსენებ. განა სადღა გაგექცევი? ადიდე ღმერთი და საქმეს ისე შეუდექიო!

მელიას ჭკუაში დაუჯდა ხოხობის რჩევა. ნაშოვრით გათამამებულმა გაიფიქრა: ამ ხოხობს მერეც ხომ შევჭამ, კარგი იქნება, ღმერთი ვადიდოო და, მართლაც, შესთხოვა:

— კიდევ ბევრჯერ შემეწიე და ასეთი ლუკმა მრავალი მაშოვნინეო!

ხოხობმა ისარგებლა, პირიდან გაუსხლტა მელიას და გაფრინდა.

გამწარებული მელია მოთქმა-გოდებას და თავში ცემას მოჰყვა:

ხოხობის მოტყუებულსა თვალი დაუდგეს მელსაო,
პირში მეჭირა ხოხობი, რაღა დიდება ღმერთსაო.

ეპოსი





ამირანი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მონადირე, სახელად სულუკმახი. ჰყავდა ორი ვაჟიშვილი: ბადრი და უსუპი. სულუკმახი თავის სიცოცხლეში ნადირობდა და განთქმულ მონადირედაც ითვლებოდა. ერთხელაც წავიდა სანადიროდ, დაუღამდა და ერთ გამოქვაბულ კლდეს მიადგა. იქ ქალღმერთი დალი ცხოვრობდა. შუაღამისას მაღლიდან ქალის წივილი მოესმა. სულუკმახი წამოხტა. კლდეს ირგელივ შემოურბინა, მაგრამ ასავალი გზა. ვერ იპოვა. დილით სულუკმახი სოფელში წავიდა. მჭედელს რამდენიმე ცალი სატეხი გააკეთებინა, თან ჩაქუჩიც წამოიღო და უკან დაბრუნდა. სატეხები კლდეს მიაჭედა და საფეხურები გააკეთა. სულუკმახმა მაღლა მწოლარე ქალი ნახა.

— რად ყვირი, რა გაჭირვება გაქვს? — ჰკითხა ქალს.

— მე ვარ განთქმული ქალღმერთი დალი. ერთ ღამეს, როცა მეძინა, გველდით მომწოლოდა ერთი მონადირე, სახელად ცამცუმი, და ჩემი ოქროს ნაწნავები დაეჭრა. გამომეღვიძა, მაგრამ წინააღმდეგობა ველარ გავუწიე და წავიდა. ახლა სიკვდილის დრო მომიახლოვდა. აიღე ჩემი დანა, გამიჭერ შუაზე მუცელი, შიგ ცოცხალი ბავშვი მყავს და ამოიყვანე, ცოდვაა, სამარეში ცოცხალს ნუ ჩამატან. ამას მუცელში დრომდი რომ დასცლოდა, დიდი გმირი გამოვიდოდა. წაიყვანე ბავშვი, თუ ვაჟი იყოს, ამირანი დაარქვი, თუ ქალი — რაც შენი ნებაა,ისა, სამი დღე-ღამე უშობელი დეკეულის გვამში გააჩერე, ერთი დღე და ღამე — კურატის გვამში და გაიზრდება, — უთხრა დალიმ.

სულუკმახმა მაშინვე გაჭრა ქალი და ამოიყვანა ბადრიკით ვაჟი. ქალმა კი სული დალია. სულუკმახმა ბავშვს ამირანი დაარქვა, წაიყვანა შინ, სამი დღე და ღამე დეკეულის გვამში ამყოფა, ერთი დღე და ღამე კი — კურატის გვამში და ზრდის თავის შვილებთან ერთად. შვილებსა და დედას ძალიან უყვართ პატარა ამირანი. სულუკმახმა თქვა: საწყალი კაცი ვარ და ბავშვი მდიდარს უნდა მოვანათვლინოო. ნათლობაში უფალმა ღმერთმა ჩამოიარა და სულუკმახს უთხრა:

— მე მომანათვლინეო!

ხათრი ველარ გაუტეხა და მოანათვლინა. უფალმა ღმერთმა ნათლულს დაანათლა: აღელვებული მტკვრის სიმარდე, მგლის მუხლი და გაქანებული გუთნეულის ძალა. ამირანი მართლა ასეთი ღონიერი გამოვიდა.

სულუკმახმა სიკვდილის წინ შვილებს დაუბარა: მე რომ მოვკვდები, დევები დაგიწყებენ ბრძოლას. აქედან აიყარეთ და ამა და ამ ალაგას იცხოვრეთო. მალე სულუკმახი მოკვდა და შვილები ობლად დარჩნენ.

ბადრი, უსუპ და ამირან
ობლები დავიყარენით,
დეკების შეშინებულნი
ჩაბალხში ჩავიპარენით.

ამირანი როცა წამოიზარდა, ძმებს უთხრა:

— წავიდეთ, ბიჭებო, იქნებ რამე ვიშოვნოთ, თორემ მშიერები დავიხოცებითო. ძმები დაეთანხმნენ.

სამნი ძმანი წამოვიდნენ:
ბადრი, უსუპ, ამირანი.
ცხრა მთანი გადმოიარეს,
მეათე ალგეთისანი.
იქაც ერთი კოშკი იდგა,
ნაგები ბროლის ქვისანი.
ცხრა დღე და ღამე უარეს,
ვერ უპოვეს კარნი მისნი.
ამირანმა წიხლი მისცხო,
იქ შეიბა კარი მისი.
კარებს უკან მკედარი იდო
ხაწყალი და საბრალისი.
თითებს შუა წიგნი პქონდა
დანწერი ქაღალდისი:
— ვინც ჩემ ბაბაყს მომაშორებს,
ჩემი რაში ალალ მისი;
— ვინც ჩემ ბაბაყს მომაშორებს,
ჩემი კოშკიც ალალ მისი;
— ვინც ჩემ ბაბაყს მომაშორებს,
ცოლიც, ოქროც ალალ მისი.
ვინაობას თუ რომ მკითხავთ,
ძმისწული ვარ უსუპისი.

ამირანმა ძმებს უთხრა:

— წავიდეთ, ის ბაბაყ დევი მოვკლათ და ამოდენი სიმდიდრე ჩვენ დაგვრჩებაო.

— არაო, — უთხრა უსუპმა, — ვინც ამას გაიგებს, იტყვის, მკედარი გაუძარცვავთო.

ამირანი და მისი ძმები ისევ წამოვიდნენ. გზაში შემოხვდათ ბაბაყ დევი.

— სად მიდიხარო? — შეეკითხნენ ძმები.

— ერთი მონადირე, ცამცუმი, მომკედარა და იმის შესაჭმელადო.

— გაბრუნდი, წყნარად წადი. შენ ადამიანის ხორცს ვინ შეგაჭმევსო, — უთხრა ამირანმა. ამირანი და ბაბაყ დევი შეიბნენ:

ამირან, დევი შეიბნენ,
მინდორს გაპქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
დაწყებინა ღრიალი,
დასცა და ბეჯი მოსტეხა,

ადგილიც დახვდა ქვიანი.
— მაცა, ამირან, ნუ მომკლავ,
ქალი გასწავლო თმიანი;
წყალს გალმა ქალსა გასწავლი,
სახელად კამარ ქვიანი.
წადი, ამისთვის ითმე,
თუ ომი შეიძლიანო.

— თან შიკრიკსაც გაგაყოლებ, კამარის გზას გასწავლისო, — უთხრა დევმა.

დევი ათთავიანი იყო, ამირანმა მოსჭრა ცხრა თავი.

— ეს ერთი თავი მაინც მაპატიე, — უთხრა დევმა.

— არა, ესეც უნდა მოგჭრაო.

— რახან ამასაც მომჭრი, თავიდან სამი ჭია ამოძვრება და ისინი მაინც გაუშვი ცოცხლებიო.

ამირანმა მოსჭრა მეათე თავიც და ჭიები გაუშვა. უსუპმა უთხრა:

— ბარემ დახოცე ესენიც, რახან ერთი ჭირი მოიშორე, მეორეც ზედ მიაყოლეო.

— ნეტავი შენ, ჭამამ რა ქნა, ლოკვამ რა უნდა ქნასო! — უთხრა ამირანმა.

ეს ჭიები გველეშაპებად იქცნენ.

ძმები წამოვიდნენ. გზაში შეხვდათ ეს გველეშაპები. უსუპმა უთხრა ამირანს:

— წადი და შენ ეომეო! ამირანმა პირველი მოკლა, მეორეც ზედ მიაყოლა, მესამემ კი ამირანი ჩაყლაპა. უსუპს გული მოუვიდა, ჰკრა ისარი გველეშაპს და ბოლო წააწყვიტა რამდენიმე ადლი. წავიდა გველეშაპი. ერთი დიდი ხე უდგას და იმას უნდა შემოეხვიოს, რომ ჩაყლაპული მოინელოს. შემოეხვია ხეს, მაგრამ ბოლო აღარ მიწვდა პირამდის. გველეშაპმა დედას უთხრა:

— მუცელსა მგვრემსო.

დედამ ჰკითხა:

— დარეჯანიანთი ხომ არ ჩაგიყლაპავს? თუ ის ჩაყლაპე, ვერ მოინელებო!

ამირანს ჯიბეში დანა ჰქონდა. ამოიღო, გამოსჭრა გველეშაპს მუცელი და გამოვიდა. გველეშაპი მოკლა, მისი დედაც ზედ მიაყოლა და კიდეც მოვიდნენ ბაღრი და უსუპი.

შეისვენეს, ცოტა პურიც ჭამეს, ადგნენ და წამოვიდნენ კამარის საძებრად. ბაყბაყის მოცემული შიკრიკი გზას ურევდა. ეს უსუპმა შეამჩნია და ჯვარედინ გზაზე, ერთი მუხის კუნძზე, დაკრა ისარი. მეხამე დღეს იხვე იქვე ჩამოიარეს და ისარიც იპოვეს. უსუპმა ურჩა ამირანს:

ვერა უყურებ, ამირან,
არ გამარჯვების ნიშანი,
აი, მესამედ მოვდითა,
გუშინ რომ დაკარ ისარი.

ამირანმა შიკრიკს თავი მოსჭრა. გზაში ერთ კოშკს მიადგნენ. ხმაური ისმოდა. ამირანმა დაუძახა:

— ოჯახის პატრონო, გამოდი გარეთო! კოშკში თურმე დევები ცხოვრობდნენ. თავიანთ დას უთხრეს:

— აბა, გადი, გახედე; ვინ არიან, თუ დარეჯანიანთი არიან, მათთან სიფრთხილე გვმართებს. ამირანს ცხრილის ტოლა თვალები და წინ ოქროს კბილი აქვსო.

ქალი გამოვიდა. უნდა გაიგოს, ამირანს ოქროს კბილი თუ აქვს და გაუცინა. ამირანმა უთხრა:

რას მიცინი, დევის ქალო,
რას მიელვებ თეთრსა კბილსა,
გამივლი და გამომივლი,
გამისინჯავ ბაგე-კბილსა!..

ქალმა დაუნახა ოქროს კბილი, შეევარდა სახლში და ეს ძმებს უთხრა. ამირანიც უკან შეჰყვა და დევებს დაუწყო ბრძოლა. სახლში დახოცა დევები. კარები ჩახურულია. დადგა სისხლის მორევი და იხრჩობა ამირანი. წვდა ერთ დევს და კარებს მიახალა. ფიცარი გაიმტვრა და სისხლის მორევი გამოვიდა. ამირანსაც ეშველა.

წამოვიდა და მოადგნენ ერთ დიდ მდინარეს. ამირანმა უსუპს უთხრა:

— შენი თეთროვანი მათხოვეო (უსუპს კარგი თეთროვანი ჰყავდა!). უსუპს არ უნდოდა თეთროვნის თხოვება, შენი კამარის ძებნით დავიტანჯეთო, მაგრამ მაინც ათხოვა. შეჯდა ამირანი და გავიდა წყალზე.

კამარი კოშკში ზის. ავიდა მასთან ამირანი და უთხრა: ცოლად უნდა წაგიყვანოო. კამარი სპილოთა ხელმწიფის შვილი იყო. მის მამას ფეხები კაცისა ჰქონდა, ტანი კი — სპილოსი. კამარი ჭურჭელს რეცხავდა. ამირანს უთხრა:

— დაალაგე, ოღონდ ფრთხილად, არაფერი გატეხო, თუ გაგიტყდა რამე, მაშინ მამაჩემს ამბავს მიუტანენო.

ამირანს ერთი თეფში სამჯერ დაუვარდა. აიღო, ძირს დაახეთქა და გატესა. ნატეხმა ნატეხს უთხრა, მთელმა მთელსა და ახარეს ხელმწიფეს: კამარ ქალი წაიყვანეს, კამარ ქალი წაიყვანესო!

ამირანმა წამოიყვანა კამარ ქალი. კამარმა თან წამოიღო მარილის კვნიტი, საკარცხელი და სარკე.

სპილოთა ხელმწიფემ ჯარი შეკრიბა და დაედევნა. ამირან წყალს რომ გამოვიდა, ძლიერ დიდი ქარიშხალი ამოვარდა. კამარმა უთხრა: აი, მამაჩემი მოდისო. ადგა და საკარცხელი გადააგდო. უკან გაჩნდა უდაბური ტყე. სპილოთა ხელმწიფემ გადმოლახა ტყე. ამირანიანთ კიდევ წამოეწია ქარიშხალი. ახლა კამარმა მარილის კვნიტი გადააგდო. უკან გაჩნდა ერთი უდაბური პიტალო კლდე. სპილოთა ხელმწიფემ გადმოლახა ესეც. ამირანიანთ კიდევ წამოეწია ქარიშხალი. კამარმა გადააგდო სარკეც. უკან გაჩნდა დიდი ზღვა. შემოესია ამ ზღვას სპილოთა ხელმწიფის ჯარი, ზოგი დაიხრჩო, მეტი ნაწილი გამოვიდა.

ამირანიანთი კოშკში მივიდნენ. ცოტა ხანში კოშკს სპილოთა ხელმწიფის ჯარიც მოადგა.

— აბა, უსუპ, უნდა ეომოო! — უთხრა ამირანმა. უსუპმა დაუბარა ამირანს:

— სანამ ჩემი ხმალი პრიალებდეს, მანამ არ გამოხვიდეთო.

ბევრი იომა უსუპმა, მაგრამ დაინახეს, რომ მისი ხმალი აღარ პრიალებდა. გავიდა ახლა ბადრი. მანაც იგივე უთხრა ამირანს. როდესაც დაინახა კამარმა, რომ ბადრიც აღარ არის, გაალვიძა ამირანი. ჩავიდა ამირანი და დაუწყო ბრძოლა ჯარს.

სპილოთა ხელმწიფეს ერთი ჩარხი ჰქონდა. თვითონ ატრიალებდა მას და ჯარი სულ მრავლდებოდა და მრავლდებოდა. ამირანმა იმდენი იომა, რომ იმ ჩარხს მიადგა, ჰკრა ხმალი და დაამტვრია. მერე ჯარი აღარ მრავლდებოდა და სულ გაწყვიტა. ახლა შეიბნენ ამირანი და სპილოთა ხელმწიფე. ხელმწიფეს სპილოს ტანი აქვს. ამირანი ამ ტანზე სცემს ხმალს და ვერაფერს აკლებს. ეს დაინახა კამარ ქალმა და კოშკიდან გადასძახა:

ამირან, გოლე, გოლეო,
ომში გაქებენ ხოლმეო,
ომი კი კარგი გცოდნია,
სერხი ვერ მოიგოხეო.
ზვითა რატომ სცემ სპილოსა,
ქვეითა მოუხვი რბილოსა!

ეს გაიგონა ამირანმა, მოუსვა ხმალი ფეხებზე და მოსჭრა. მაშინ სპილოთა ხელმწიფემ დაუძახა:

შესედე ავსა კამარსა,
ეს ვინ არჩია მამასა!
ვაი, თუ ხელში ჩაგიგდე,
ყელში გაგიყრი დანასა.

ამირანმა აკუწა სპილოთა ხელმწიფე და აეიდა კოშკში. კამარმა დაუძახა:

— წადი, შენი ძმები იპოვეო! წამოვიდა ამირანი, დახოცილი ჯარი დაათვალიერა და იპოვა მკვდარი ბადრი და უსუპიც, ერთად დააწყო და თქვა: ამათთან მეც უნდა მოვიკლა თავიო. ხან ხმალს დაიკრავს თავში, ხან რას, მაგრამ არ კვდება. გამოვიდა ერთი ქაჯი და ამირანს უთხრა:

— რახან ძალიან გინდა სიკვდილი, შენი ხმლით ნეკა თითიდან სისხლი გამოიშვი და მოკვდებიო. გაიჭრა ნეკა თითი, გამოიშვა სისხლი და სული დალია. კამარმა ეს დაინახა კოშკიდან. გამოიქცა. დაიწყო ტირილი და გნიასი. გამოძვრა ერთი პატარა თაგვი და დახოცილებს დაუწყო სისხლის წუწნა. კამარმა დასცხო მათრახი და თაგვი მოკლა. გამოვარდა მეორე თაგვი და უთხრა:

— აი, შე ავო დიაცო, მთელი ქვეყანა ამოაწყვეტინე, ქმარ-მაზლნიც წინ გიწყვია დახოცილები, ბრალი შენი, თორემ ამ თაგვს მე ახლავე გავაცოცხლებო. მოგლიჯა სამყურა ბალახი, მიუსვ-მოუსვა თაგვს და გააცოცხლა. ეს დაინახა კამარმა. მანაც მოგლიჯა იგივე ბალახი, მიუსვ-მოუსვა დახოცილ ქმარსა და მაზლებს და გააცოცხლა.

წამოვიდნენ კოშკში. ამის შემდეგ მრავალი გმირობა გამოიჩინა ამირანმა. მრავალი დევი და ავი სული დახოცა. მისი მომრევი ქვეყანაზე არავინა იყო.

ერთხელ ამირანს გზაზე შემოხვდა განთქმული გმირის ამბრის და, მკვდარ ძმას მიასვენებდა ურმით. ამბრს ურმიდან ცალი ფეხი გადმოვარდნოდა და ფეხი, როგორც გუთანი, ეგრე ხნავდა. დამ ამირანს შესძახა:

— აუწიე ფეხი და დაუდე ურემზედაო!

დაეჭიდა ამირანი, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. დამ ასწია და დაუდო ურემზე ფეხი. მერმე უთხრა:

ღმერთმა ხომ იცის ამირან,
შენ ამბრს ვერ მიედარები,
ცოცხალი ცოცხალს გჯობდ,
მკვდარსაც ვერ შეედარები.

ამირანს დედამიწაზე მომრევი არავინ ჰყავდა. დევები სულ გაწყვიტა და მერმე აღარ არიან ქვეყანაზე. ერთხელაც ამირანი იალბუზის მთაზე მიდიოდა. გზაში თავისი ნათლია, უფალი ღმერთი, შეხვდა.

— ნათლიავ, ასეთი ღონე რად მინდოდა, ჩემთან შემბმელი აღარავინაა ქვეყანაზე, მოდი, ახლა მე და შენ ვიჭიდაოთო!

უფალი ღმერთი მოხუცია, ხელში ხის ჯოხი უჭირავს.

— აბა, მე ამ ჯოხს დავარჭობ და თუ ამას ამოაძრობ, გამარჯვებული იქნებიო, — უთხრა მან. დაარჭო უფალმა ჯოხი, დაწვდა ამირანი და ამოიღო. მეორედაც დაარჭო, მეორედაც ამოიღო ამირანმა.

— ე, ნეტავი რას მათამაშებ, რად მაწვალებო! მაშინ უფალმა შეულოცა ამ ჯოხსა და ისე დაარჭო. ჯოხმა დედამიწაში ფესვები გაიდგა. დაებღაუჭა ამირანი, მაგრამ ვეღარ იღებს. უფალმა ღმერთმა ამ ჯოხზე გადააგდო ჯაჭვი და ამირანი მიაჯაჭვა. გაუჩინა დღეში ერთი პური და ერთი ჭიქა წყალი. მცველად ყურშა დაუნიშნა.

წლიდან წლამდის ყურშა ლოკავს ჯაჭვს. ამირანს ხელში ურო უჭირავს. დიდ ხუთშაბათ დღეს მოფრინდება ერთი ბოლოქანქალა ჩიტი და ჩამოჯდება ამ ჯოხზე. ამირანი დასცემს უროს. ჩიტი გაფრინდება, ჯოხი კი ისევ ჩაერჭობა მიწაში.

ყურშა ლოკავს ჯაჭვს. სადაცაა უნდა გაწყდეს, მაგრამ დიდ ხუთშაბათ დღეს მჭედლები უროს დაჰკრავენ გრდემლზე და ჯაჭვი ისევ მთელდება. მას შემდეგ ამირანი იალბუზის მთაზეა მიჯაჭვული. რომ აიწყვიტოს, ქვეყანას ააოხრებს და პირველად მჭედლებს მოსპობს...

ეთერი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. უშვილოდ გადაგებას აპირებდნენ, რომ ცოლს არ აენიჟა ქმრისათვის:

— წადი მკითხავთან, აკითხვინე, გაიგე, რა მიზეზით არა გვყავს შვილი, იქნება წამალი იცოდეს რამ, იქნება გასწავლოს და გვეშველოსო.

წავიდა კაცი მკითხავთან და აკითხვინა. მკითხავმა სამი ვაშლი მისცა და თანაც დაარიგა:

— წაიღე ეგ ვაშლები, როდესაც მოჰშივდეს, ეგ ორი ვაშლი მიეც შენ ცოლს, შეჭამოს. ერთიც, რომ მოსწყურდეს, მაშინ შეჭამოს და შვილი გეყოლებათო.

გზაზე კაცს მოჰშივდა, ვეღარ გაძლო და შეჭამა ორი ვაშლი. მოსწყურდა წყალი და შეჭამა მესამეც. ვაშლები შეჭამა თუ არა, კაცს კანჭში ქალი ჩაესახა. მოიჭრა კანჭი კაცმა და გადააგდო გზაზე.

გაიგო სუნზე ორბმა, მოფრინდა, დაჰყოყინა, დაჰყოყინა კანჭს, ჩასჭიდა ბრჭყალები და წაიღო თავის ბუდეში, ერთი მაღალი ხის კენწეროზე.

გაჩნდა ქალი. უვლის ორბი, უზიდავს საჭმელს.

წავიდოდა ორბი, დაივლიდა მთელ ქვეყანას, მოძებნიდა, იპოვიდა, სადაც კარგი საჭმელი იქნებოდა, და მოუტანდა ქალსა.

ქალი დღით იზრდებოდა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ იმაზე მშვენიერი ამომავალი მზეც აღარ იქნებოდა.

იმ ადგილში ერთი ხელმწიფის შვილი იყო, სახელად აბესალომი. იმ ადგილებში, სადაც ხე იდგა, სანადიროდ იარებოდა. შენიშნა ხეზე ქალი და ჩაუვარდა იმისი სიყვარული გულში.

მოდიოდა ყოველდღე ხესთან და ესიყვარულებოდა შორით.

აბესალომს ერთი ყმა ჰყავდა, სახელად მურმანი.

ერთხელ აბესალომმა ყელმოღერებული ეთერი რომ დაინახა, ვეღარ გასძლო და დაუძახა ეთერს:

ჩამოდი, ეთერო, ძირსა,
მანდ რას უზიხარ ხესაო,
ჩამოდი, ცოლად გამომყევ,
მანდ ნუ იღერებ ყელსაო!

— არა, — უპასუხა ეთერმა, — მე შენ ცოლად რას გამოგადგებიო:

მდიდარი ხარ, მდიდრის შვილი,
დედ-მამითა ხარ ქებული;
მე ობოლი, ობლის შვილი,

ობლობით ვარ დაბაგრული.
კაცის კანჭში ჩასახული,
შარიხ პირსა ნაგდებიო,
ორბის კლანჭით აღებული,
ხის კენწერსა გაზრდილიო.
შენ შენი ჰქნა და წახვიდე,
გამიშვა წყალწაღებული!

აბესალომმა ღვთის ფიცი მისცა, რომ არ გიღალატებო:

ზევიდან ღმერთი ცეცხლსა პყრის,
ქვეშ აბესალომ უდგება,
ეთერო, შენსა ამ ღალატს
ღვთის მეტი ვინ შეუდგება,
ომში ხმალამოღებულსა
აბეარიმც ჩამომიწყდება,
წყალი უწყლოსა ალაგსა,
ზღვა იყოს, ამომიშრება,
შვიდი წლის გზასა მავალსა
საგძალი ამომიწყდება,
მუხლებზე ნადები თოვი
უბეშიმც დამიბრუნდება.

დაიჯერა ეთერმაც აბესალომის ფიცი. დათანხმდა ცოლობაზე, აბესალომმა ნიშნად ფიცისა ერთი შავტარიანი დანა მიაყოლა, შეისვა ცხენზე და წაიყვანა შინ.

მურმანი წინ გაგზავნა თავის და მარეხთან და შეუთვალა: ცოლი მომყავს, ოქროსთავმოსნიანი ეთერი და საქორწილოდ ტანისამოსი მოგვიმზადეო.

მიიყვანეს ეთერი შინ, ჩააცვეს ტანისამოსი. დაწერა აბესალომმა წიგნები და კომლზე კაცი დაიბარა თავის სახელმწიფოდან. გაგზავნა მურმანი საპატიჟოდ, გაატანა წერილები.

მიდის მურმანი გზაზე. შეჰყრია ეთერის სიყვარული და კლავს იმისი ხურვილი.

„ვინ არის კაცი ისეთი, იმოდენა შეძლოს, რომ ეთერი აბესალომს შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო! “ — ფიქრობს თავისთვის მურმანი.

შემოხვდება წინ ეშმაკი მურმანს და ჰკითხავს:

— სად მიდიხარ, ან აგრე რას დაუღონებიხარო?

მურმანმა თავისი ამბავი უამბო.

ეშმაკმა უთხრა:

— შორს რად ივლი, წამალს მე გასწავლი, ისეთ წამალს, რომ აბესალომმა ეთერი თავისი ხელით შენ მოგცეს; წამალს გასწავლი, თუ შენს სულს მე მომცემო!

— ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს როგორ დავზოგავო, — უთხრა მურმანმა.

— მაშ ქაღალდი დამიწერე, — უპასუხა ეშმაკმა, — რომ შენს პირს აღარ გადახვალ და მერმე მე გასწავლი წამალსაო.

დაუწერა მურმანმა ქაღალდი და მისცა ეშმაკს.

ეშმაკმა უთხრა:

— ჯვარს რომ დაიწერენ ეთერი და აბესალომი, ეთერს ჩუმად ერთი მუჭა ფეტვი ხელუკუღმა შეაყარე, ეთერს მკბენარი შეეხვევა და, რამდენიც უნდა აცალონ, ვეღარ მოაცლიან, სანამ შენი ხელი არ მოჰხვდებაო!

წავიდა გახარებული ეშმაკი თავის ბუნაგში და სულგაყიდული მურმანი შინ დაბრუნდა.

ჯვარი რომ დაიწერეს ეთერმა და აბესალომმა და გამოდიოდნენ ეკლესიიდან, მურმანმა ქალს ერთი მუჭა ფეტვი შეაყარა; შეეხვია მკბენარი ეთერს; აცლიან, მაგრამ უფრო მეტი ეხვევა.

შეწუხდა აბესალომი, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათს შეყრილ მიჯნურნი
სამშაბათს გაკიყარენით;
ვისაც რომ შეყრა გეწყინათ,
გაყრილვართ, გაიხარენით.
ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე ნადირობას მივალო!

აუსრულდა მურმანს გულის წადილი. გახარებულმა ჩოქით ხალამი მისცა აბესალომს და შეჰღაღადა:

უბოძე შენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

აიღო აბესალომმა ეთერი და მისცა მურმანს.

რაკი მურმანმა ხელი მოსჭიდა, ეთერს მკბენარი იმწამსვე მოშორდა. წაიყვანა და დაისვა ცოლად.

ეთერის სურვილი ცეცხლად მოედო აბესალომს. შეხედა მურმანს, ვეღარ მოითმინა და ეთერის ამბავი ჰკითხა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა,
ეთერი როგორ რამეა?

მურმანმა უპასუხა:

რას კითხულობ, ცათასწორო?
ცოლის ქება აუგია;
შენც გინახავს ბროლის ციხე,
როგორ ცამდის მაღალია;
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოეღერება;
წელი წვრილი, ბეჭი ფართო,
თეძოს თავი დაბალია,
შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი
საფეთქელი მწყაზარია.

ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია;
ცხრანი მულნი გვერდს უსხედან,
ყველა პირისფარეშია;
დედამთილი უკან უზის,
გიშრის დალალის შეკვნელია;
ცხრა მაზლი კარებს ადგანან —
დალესილი ალმასია,
მამამთილი ერდოზე წევს,
გველეშაპის მყლაპავია.

ამის გამგონე აბესალომი ეთერის სიყვარულით უფრო შეწუხდა. ავად გახდა. მოინდომა მურმანის დაშორება და ეთერის ისევ ხელში ჩაგდება. დაიბარა მურმანი და უბრძანა:

— წადი, უკედავების წყალი მომიტანე, ეგებ კარგად გავხდეო.

მურმანი გულში შეფიქრიანდა: ჩემ თავს ფარსაგი არ არისო.

გამოსთხოვა ცხრა დღის ვადა აბესალომს და წავიდა ეთერთან გამოსათხოვებლად. ეთერს უთხრა:

ამალამ კი ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა;
ქალო, ალვეთსა მგზავნიან,
პირსა ალვეთის მთისასა;
ხერვილსა ქვას ისვრიან,
მინატეხსა ლოდისასა;
ვაიმე, თავს გაგვიტეხენ,
უზარელსა ლომისასა.
ნუ შეიხვევ ავსა კაცსა,
ნურცა აკოს გვარისასა,
წავა სწორში დაიკუხებს,
ხვევნას ვიყავ მთვარისასა!

ეთერმა უპასუხა:

გავიხდი ქამსა ატლასსა,
ჩავიცვამ ბამბა-ბუმბასა,
ავიღებ კოკა-კუტალსა,
წყალს შემოვიტან მდინარსა,
არც შევალ შენის ძმისასა,
არც შენის მეზობლისასა,
თუ შევალ, ისრე გამოვალ,
როგორც და თავის ძმისასა.

ის ღამე მურმანმა ეთერთან გაატარა:

ამალამდელო ღამეო,
ნუმც გათენდები მალეო,

ეხვევი ბროლისა მკერდსა,
ყელსრ ვიშოვი სვალეო!

მეორე დღეს დედასა და დას ძალიან შეეხვეწა მურმანი: გაუფრთხილდით ეთერსა, ნიავსა და მზის სხივსაც ნუ მიუშვებთ იმასთანაო.

აბესალომი საშინლად ავად გახდა, კვდებოდა, იმისი წამალი აღარსად იყო.

გამოვა აბესალომის და მარეხი, წავა სოფელში და ჩივის: ძმა მიკვდება: მიშველეთ რამე, უწამლეთ ჩემსა ძმასაო.

— იქნება ეთერის სურვილი ჰკლავდეს, — უთხრეს მარეხს, — შეიტანე, ტახტზე დაუწყე მტრედის ფრთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო და ყორნის ფრთაო.

შეიტანა მარეხმა ყველა ესა და დაუწყო ტახტზე, მობრუნდა აბესალომი. აიღო მტრედის ფრთა ხელში და უთხრა:

— მტრედის ფრთავ, თეთრი ხარ, მაგრამ ეთერისთანა კი ვერ ხარო!

აიღო ახლა გამტკიცული პური და უთხრა:

— პურო, გამტკიცული ხარ, მაგრამ ეთერის სახისთანა კი ვერა ხარო!

აიღო წითელი ღვინო და უთხრა:

— წითელო ღვინოვ, წითელი ხარ, მაგრამ ეთერის ლოყებივით კი ვერაო!

ბოლოს ყორნის ბოლო აიღო და თქვა:

— შავი ხარ, ყორნის ბოლოვ, მაგრამ ეთერის თვალ-წარბისთანა კი ვერაო!

მარეხს უთხრა:

ადე, მარეხო — ვარსკვლავო,
ეთერსა კარსა უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაუკეკ და წვრილად უამბე!

წავიდა მარეხი ეთერის მოსაყვანად. ეთერი დედამთილს გამოჰპარვიყო, აბესალომის ავადობა რომ გაეგო. შევიდა აბესალომის ბაღში, ერთი ჭადრის ქვეშ დაჯდა და დაიწყო ტირილი. ბევრი იტირა, დაიღალა და დაეძინა.

მოვიდა მარეხიც და, რომ დაინახა მძინარი ეთერი, დაუძახა:

მე ბანბან დაგეძებდი,
შენ ბაღნის ბოლოს გეძინა,
ოქროსა ღილი გაგეხსნა,
ბროლისა მკერდი გეჩინა,
ეგ შენი შავი დალალი
მორევისავით გეფინა.

ეთერს მაინც ვერ გააგონა, მეორედ დასძახა:

ეთერო, შემოვიარე
იმ შენი ციხის არესა,

გადმოვიხედე, ავტირდი,
ლოგინი გიგავ მთვარესა.
ეს გაზაფხულიც მოვიდა,
მარტი, აპრილი, მაისი,
ადე, ეთერო, გამომყე,
შენ მომირჩინე ძმა ისი.
ავიღებ ბარსა, ნიჩაბსა,
დავხვეტავ გზასა ხვინჭასა,
ზედ მარმარილოს დაგიგებ,
ფეხი არ დასცე ქვიშასა!
იხეთს სასახლეს აგიგებ,
სულ მარმარილოს ქვისასა;
შიგაშიგ ფიცარს ჩაკეცრი
აბანოურის ხისასა;
წინ საჩრდილობელს მოვიყვან,
მაღალსა ალვის ხისასა;
ზედ ყაჭ-აბრეშუმს გადმოვფენ,
საჩრდილობელსა მზისასა;
შიგ ხალიჩებს დაგიფენ,
ნაქსოვსა ფერადისასა!

ეთერი გაჰყვა: — ნეტავი ჩემი ნახვით კი მოგირჩეს ძმა და როგორ არ წამოვალო.

წავიდნენ და მივიდნენ აბესალომის კარსა. ქალმა რომ ბანზე შედგა ფეხი, აბესალომი სულს ებრძოდა. იცნო კიდევ ეთერის ფეხის ხმა, წამოიწია და დაიძახა:

ეთერი ბანზე შემოდგა,
ბანი და კარი შეინძრა;
ბანიდან ჩამოიხედა,
სულში ნათელი ჩამიდგა!
წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გამიშენებია,
ეთერის მობრძანებისთვის,
მადლი მომიხსენებია!
ეთერი ტყეილა გარეკილა,
ვარ საიქიოს მავალი;
უფალსა უბრძანებია:
გზა ვიწრო, მარტოდ სავალი.

მოვიდა მარეხი და ახარა აბესალომს:

ძმაო, მოვიდა ეთერი,
თუ თვალებში გაქვს ნათელი!

აბესალომმა უთხრა:

თუ მოვა, აქაც შემოვა,
ცოტა აქვს შემოსავალი.
— ეთერსა ცხენი არ უნდა,
არსად არ არის წამსვლელი.

უპასუხა ეთერმა.

ჩავიდა ეთერი. კარებთან რომ მივიდა, ყმაწვილი გადაბრუნდა, პირი კედლისკენა ქნა, მივიდა ეთერი და უთხრა:

შენ, ყმაწვილო ბესიაო,
პირი კედელს გიქნიაო,
გადმობრუნდი, გენაცვალე,
ჩემი არა ბრალიაო!

გადმობრუნდა აბესალომი და იმწამს დალია სული. ეთერიც მივიდა და დაეკონა:

აბესალომის დანაო,
ჯიბეს მიდევარ განაო,
ამოგიღებ და დაგიცემ
მარჯვენა ბეჭესთანაო;
პირი ჩემსკენ, ტარი შენსკენ;
მეც დაგაკვდები თანაო.
ერთადმც დავიხოცებით,
ერთადმც დაგვმარხვიანო,
გზის ძირსამც დაგვაღირებენ,
გზის თავსამც დაგვმარხვიანო,
მიწასაც მოგვაღირებენ,
ფოთოლთამც მოგვაყრიანო!
თავს ვარდი ამოსულიყვეს,
დილის ნიავი შლიდესო.
ზედ მოდიოდნენ ჩიტები,
ბუდობდნენ, ბარტყებს ზრდიდესო;
ზედ ნარი ამოსულიყოს,
ვირი საძოვრად ვიდესო;
ფეხთითა წყარომც გამოვა,
შიგ ოქროს თასი იდესო;
ყველა მუშა და მამვრალი,
ყველა ჩვენ დაგვნატრიდესო!
დალევდეს ამველ-ჩამველი,
შენდობას შეგვითვლიდესო:
რა კარგნი რამ დასოცილან,
ისევამც აღდგებიანო!

წამომდგარა ეშმაკი და უთქვამს:

აღდგომა წესი არ არის,
ხელითამც ცხონდებიანო.

აბესალომ და ეთერი
ლშერთმა შეპყარა ერთფერი!

მოვიდა მურმანი, ნახა ეთერისა და აბესალომის საფლავი. გაითხარა საფლავი და ისიც იმათ შუაში ჩაწვა. იმაზე ნარი ამოვიდა, აბესალომსა და ეთერზე — ვარდი და ია. გადაიხრებიან ვარდი და ია ერთმანეთის მოსახვევად, მაგრამ ეკალი დგას და უშლის. მურმანის ფეხთით ლეკვები ამოძვრებიან ხოლმე და დილა-საღამოს ყმუიან...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო, კარგი მსმელი.

ტარიელი

სამნი ძმანი იყვნენ: ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი. ფრიდონი მამა-პაპის მამულზე დაბინავდა და ცხენის ჯოგი გაიჩინა, ავთანდილმა დასავლეთის ხელმწიფის ქალი შეირთო და იქ დაბინავდა, ტარიელი მივიდა აღმოსავლეთის ხელმწიფესთან და თავისი რაშით მოურავად დაუდგა.

აქ ტარიელს ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი შეუყვარდა. ერთხელ ხელმწიფემ ბეგრის ასაღებად ხატუეთს გაგზავნა. ხელმწიფეს ამ დროს ხოროშაანთ მეფის შვილი ეწვია და ქალი სთხოვა. უნდა წაიყვანოს ტარიელის შეყვარებული ლერწამ-დარეჯანი.

ქალმა წიგნი დაწერა და ტარიელს გაუგზავნა, მტრედს შეაბა ფრთაზე. უთხრა: სადაც იყოს და არ იყოს, ტარიელს მიუტანეო.

ტარიელი მთაზეა, მოკეცილი ზის. მტრედმა წიგნი მიუტანა და კალთაში ჩაუდო. წერილი რომ წაიკითხა, თქვა:

შევდექი ხატუეთზედ,
სადაც რომ დიდი მთანია.
ქალსა წიგნი მოეწერა,
დანწერი ქალალდზედ:
— მამა ჩემსა ქალსა სთხოვენ,
თუ მოესწრებ ბედს დროზედ.

ტარიელი მაშინვე დაბრუნდა უკან. ხოროშაანთ მეფის შვილს ჯვარი დაუწერია ლერწამ-დარეჯანზე და მიყავს. ტარიელმა ქალს უთხრა:

ხალხი მიდის, ხალხი მოდის,
ხალხი მეუცხოებიან.
მამაშენი ქალს რომ ათხოვს,
მე რად არ შემკითხებიან?..

ლერწამ-დარეჯანმა უპასუხა:

ხალხი მიდის, ხალხი მოდის,
ხალხი მეუცხოებიან.
მამაჩემს რომ ქალი ათხოვეს,
არც მე არ შემკითხებიან.

ტარიელმა ლერწამ-დარეჯანს დაუძახა:
— ხარს ვესროლო, თუ ფურსაო?
— ფურისა რა ბრალია, — ხარსაო!
ტარიელმა ესროლა და ხოროშაანთ მეფის შვილს კედელი გაატანინა. გამობრუნდა და მის ჯარს დაუწყო ხოცვა. ლერწამ-დარეჯანმა დაუძახა:

ლომო და გმირო ტარიელ,
მჯობნო ყოველთა გმირთაო,
უბრალოდ კაცის სიკვდილი
ცოდოა, ნუ იტვირთაო!

აღმოსავლეთის ხელმწიფემ გაიგო, რომ ტარიელმა მეფის შვილი მოკლა. ძლიერ გაჯავრდა. მოიხმო ტარიელი და უთხრა:

ტარიელ, დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე?
შვიდი წლის უძრავი ხმალი
ხისხლში რად გამარევინე?
არცა შენ მოგცემ, არც იმას,
ორსავ ხელს აგაღებინებთ.
დავიბარებ ხუროებსა
ძალითა, განა ნებითა,
კიდობანს მოვაჭედინებ
სულ ოქროს ვარაყებითა.
შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,
ზღვას მივცემ, წავაღებინებ.
შიგ ჩაეესვამ სამ წყეულსა:
წითელ-ყვითელსა, რჩეულსა...
ან ერთი შეჭამს, ან მეორე, ან მესამეო.

. ტარიელმა უპასუხა: ვერ იზამ მაგ საქმესაო და სანადიროდ წავიდა. ხელმწიფემ იმავე დღეს დაიბარა ხუროები, გააკეთებინა კიდობანი. ჩაუსვა

შიგ წყეულები და თავისი ქალი ზღვაში გადააგდო. იმისი ტანისამოსი მოხუც ძიძას ჩააცვა: მოვა ტარიელი და მოიტაცებსო.

ტარიელი დაბრუნდა საღამოს, მოიტაცა ქალი და წაიყვანა. ნახა, ბებერს ერთი კბილიც კი არა აქვს. მოაბა ცხენის კუდზე და სულ ლუკმა-ლუკმად დააგლეჯინა.

მოვდივარ, მომიხარიან,
ბებერი მომყავს ქალადა.
დაკეკქ და კბილი ვენახე,
ერთი არ ჰქონდა ცალადა.
მოვიბი ცხენის ძუაზე,
გავხადე ნიავ-ქარადა.

ტარიელი წავიდა ლერწამ-დარეჯანის საძებრად. მივიდა წყლის ნაპირას და წყალს ჩასტირა:

წყალო, მომეცი ჩემი მზე,
შე წყალო, არეზიანო;
არც თოფი გეკვრის, არც ხმალი,
არც შუბი გეცემიანო.

— რაც გინდა მცხელოდეს, შენგან გულს არ გავიგრილებ, ჩემი მზე მანდ არის და უნდა მომცეო. მისდევს ამ წყალს ტარიელი. შეხვდა წყლის მონა.

— ეგრე არ უნდა იტირეო!

— აბა, როგორ? — ჰკითხა ტარიელმა.

— აი, ასეო:

ჩიტი ხოცა და ჭიკჭიკი
ისარმა ჩემმა წყეულმა;
ვჭამე და ცეცხლი მომიდო
მჭადმა, ნაცარში რეულმა.
იმან უარესი მიყო,
ხორცი რომ ვჭამე სნეულმა!..

ტარიელმა წყლის მონას ცერები დააგლიჯა და ყურში გაუკეთა: წადი, შენს ხელმწიფეს ამბავი მიუტანეო.

წყლის მონა მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა:

მინდვრად ერთი მოყმე ვნახე
ნამტირალი წყლისა პირსა,
ხელთ ეჭირა შავი რაში,
დაბღუჯული ჰგავდა გმირსა.
ხშირად ესხა მარგალიტი
იმის ლაგამ-უნაგირსა.
საყვარელი დაკარგოდა,
იჯდა, ძლიერ მწუხრად ტირდა.

ვეუბენ და არ მეუბნა,
ხელი აიღარა პირსა.
ომის ცრემლსა, ცამონდენს
დიდი მთები დაეთრთვილა.
ხელმწიფემ თავის ფალავნებს უთხრა:
ადექით, აიყარენით,
ჩემო ედემ და ომანე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინც იყოს ვლთა მეფდომარე!

ხელმწიფეს ერთი ფალავანი ჰყავდა, სახელად ომანი. ადგა და ხელმწიფეს მოახსენა:

მიდგა ლ მოდგა ომანი,
ლახტსა გაუდის ელერანი,
მე წავალ, მარტო მოვიყვან,
რად მინდა ბევრი სხვანი.

წყლის მონამ უთხრა ხელმწიფეს:
— სამოცი ფალავანი გაგზავნე, თუ მოიყვანენ, ვაუკაცები იქნებიან, ერთი რას დააკლებსო.
ხელმწიფემ გაგზავნა ფალავნები. დაინახეს, ტარიელი წყლის პირს ჩასტირის. შორიდან გაეხმაურნენ, ახლოს ვერ მიბედეს.
ომანმა დაუძახა:

ხალმწიფემ თქვა: ვინ ხარო,
სახელი შენი გვითხარო,
ჯარსა და ტახტსა შენ მოგცემ,
ჯარისა თავი იყავო.

უნდათ მოიტყუილონ, მაგრამ ტარიელმა გადმოსძახა:

მინდორში ერთი ეერჩხა დგას,
ვარს ურიგია თასები.
ახლო მობრძანდით, მიეჯნურნო,
შორით არ დავიფასები.

მივიდნენ ფალავნები თუ არა, ტარიელმა სამოციე დახოცა. წყლის მონა იქ საყურებლად ყოფილიყო. დაიჭირა ტარიელმა, ახლა ფეხის ცერები დააგლიჯა და ყურში გაუკეთა.
— წადი, ერთი გუდა ნაცარი აიკიდე და ხელმწიფეს ამბავი მიუტანეო.
წყლის მონამ ცუდი ამბავი მიუტანა ხელმწიფეს:

დღეს ამ ჩემი სიტყვითაო,
კარგი ვერა ვნახე რაო:
შენი ყველა მეომარი

გაწყვიტა მათრახითაო.
ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი — კაცსა.
შეაყენა დიდი გორა,
ამის შენატყორცნი კაცი,
მაღლა ფრინავს, როგორც ბორა.

ხელმწიფემ ბრძანება გასცა:

— რადაც არ დაგვიჯდეს, ის გმირი უნდა დავიჭიროთო. ტარიელის ძმა, ავთანდილი, ამ ხელმწიფესთან არის სტუმრად. ხელმწიფე ჯარს წამოუძღვა და ავთანდილიც თან წამოიყვანა. ტარიელს წყლის პირას სძინავს. ავთანდილი ძმას ველარ ცნობილობს. მძინარეს ხელმწიფემ ჯარი ცხრაპირად შემოარტყა და ხალხს უთხრა:

— ვინც ამ ტყეს გაუშვებს, იმას სულ დაეწვავო.

რაშმა ფეხი წაჰკრა და ტარიელი გააღვიძა. ტარიელმა ამდენი ჯარი რომ დაინახა, თქვა: ეგ რა ბუზები დამხვევიანო. შემოახტა რაშს, ხელმწიფის სადგომს ზედ გადაახტა და გაიქცა. წამოვიდა ხელმწიფე ისევ უკან. ავთანდილმა ვერც ახლა იცნო თავისი ძმა. წავიდა ტარიელი და ისევ წყალს ჩასტირის. ავთანდილის ცოლი გულთმისანი იყო. ერთ დღეს ქმარს უთხრა:

ავთანდილო, შენ და როსტომს
მინდორს ხორცი მოგეხოცათ,
ნამტირალი ძმა გეპოვნა,
თვალზე ცრემლი მოგეხოცა.
მე გირჩევ, ისევ მონახო
ძმა შენი დაკარგულია...

ავთანდილმა ცოლს უთხრა:

— შენ კურო გეყოლება და იმისთვის მგზავნი, თორემ ის ჩემი ძმა არ ყოფილაო.

ავთანდილის ცოლს თინათინი ერქვა. თინათინმა შეჰფიცა:

თინათინს ჯვარი რისსავდეს
თორმეტი შენი რჯულისა,
გული გაუპოს ხანჯალმა,
შენ გარდა თუ სხვა ხერისა.
მე გირჩევ, ისევ მონახო
ძმა შენი დაკარგულისა.

— საგზლად ჩამიწყვე რამე, იმდენი უნდა ვდიო, გავიგო მისი გზა-კვალიო, — უთხრა ავთანდილმა ცოლს, შეჯდა ცხენზე და წავიდა. დაეწია ტარიელს, წყლის პირს ჩასტიროდა.

შავი ხარ და შავ ცხენს ზიხარ,
შავად რასა შებურულხარ?
მობრუნდი, მისმა პოვნამ,
თორემ დღეზე განწირულხარ!

ტარიელმა უპასუხა:

თეთრი ხარ და თეთრ ცხენს ზიხარ,
თეთრადაცა შუბურულხარ,
გაბრუნდი, მიხმა პოვნამ,
თორემ დღეზე განწირულხარ!

ტარიელმა თქვა, ეს კაცი შემომაკვდებაო, შემოჰკრა რაშს და გაიქცა. ავთანდილი გაედევნა ცხენის კვალს, თუ ჩემი ძმაა, მამიდასთან მივა და იქ ვნახავო.

ტარიელი მიდის. ნახა, შვიდ დევს გუთანი ებათ. დევებს ტარიელის მოკვლა უნდოდათ. ტარიელმა ჯამბარას ხელი ჩააელო და გასტყორცნა, უმცროს დევს მათრახი მოხვდა და მკლავი მოსტეხა.

ტარიელმა კიდევ გაიარა გზა და ნახა, ერთი დევი ურმით მოდის. დევმა თქვა: ღმერთმა ლუკმა მომცაო. ტარიელმა გადაჰკრა ურემს მათრახი და ლუკმა-ლუკმად აქცია. გასწია და მამიდასთან მივიდა. მამიდამ სადილი აჭამა.

— სანადიროდ უნდა წავიდე და თუ ვინმე მოვიდეს, ისე დაიყვირე, ცხრა მთას იქით გავიგონო, — უთხრა ტარიელმა და წავიდა.

ავთანდილმა სდია რაშის ნაფეხურს. ნახა, შვიდ დევს მოუტანია დაგლეჯილი გუთანი და აკონკებენ.

— აქ ცხენით მოყმეს ხომ არ ჩამოუვლიაო? — ჰკითხა მათ.

დევმა უპასუხა:

ერთმა შენფერმა მოყმემ
თაუხეთქით ჩამოიარა,
ჯამბარას ხელი გაგვიკრა,
ზღვის იქით გაგვისროლა.
უმცროს ძმას მათრახი მოხვდა,
მკლავი მოსტეხა ძლიერად.

ავთანდილმა უთხრა:

ეგრე შეპყევით ოლესა,
იქ ტყესთან ამოდენსა,
დანა დამრჩა, მომიტანეთ,
თქვენ ძმას ის მისცემს ლხენსა.

წავიდნენ ექვსნი. ვერც დანა მოიტანეს, ვერც სალესავი. მკლავმოტეხილი დევი წავიდა და ორივე ჩამოუტანა. ავთანდილს უკვდავების ხელსახოცი ჰქონდა, გადაუსვ-გადმოუსვა დევს და მკლავი მოურჩინა. დევებს გამოეშვიდობა და წავიდა. ნახა, დევი აკონკებს დამტვრეულ ურემს.

— აქ ცხენით მოყმეს ხომ არ ჩამოუვლია? — ჰკითხა მას.

დევმა უთხრა:

ერთმა შენფერმა მოყმემა
თავზეთქით ჩამოიარა,
ურემს მათრახი გამიკრა,
ნაცარმტვრად გადიარა.

მივიდა ავთანდილი მამიდასთან. პური ჭამეს. მამიდამ უთხრა:

— ტარიელი რომ მოვიდეს, ერთმანეთს დახოცავთო.

მამიდამ ავთანდილი დამალა. ცოტა ხნის შემდეგ ტარიელიც მოვიდა, ირემი მოეკლა და მოიტანა. შევიდა ტარიელი შინ და მამიდას უთხრა:

— ადამიანის სუნი მომდისო.

— ნამინდვრი ხარ და ის იქნება, მაგრამ შენი ძმა რომ იყოს, ხომ არას ავნებო?

— არაო.

— ავთანდილია აქაო.

— მაშ, მოდი ხელები შემიკარ, რომ გადავეხვიო, არა მოვტეხო რაო.

მამიდამ ტარიელს ხელები შეუკრა. ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ავთანდილმა ამ ხვევნაში ორი წიბო მოსტეხა. გააკეთეს კარგი სადილი და ისადილეს. დაიწყეს სიმღერა. ტარიელმა სიმღერაში უთხრა ავთანდილს:

ავთანდილ, გემღერებიან,
მე კი არ მემღერებიან,
ორი წიბო რომ მომტეხე,
ისინი მეტკინებიან.

ავთანდილმა თავისი უკვდავების ხელსახოცი გადაუსვა და მოურჩინა ნეკნები. სადილის ჭამას რომ მორჩნენ, ერთმანეთს თავგადასავლები უამბეს. ტარიელმა უთხრა:

— მოდი, შენი ცხენი გავატაროო.

შეჯდა ტარიელი. მოუჭირა ლაჯები, ნახევარი ცხენი წინ გადავარდა, ნახევარი — უკან. ავთანდილმა უთხრა:

— მოდი, ახლა მე შავჯდები შენს რაშზეო.

— ნუ შეჯდები, დაგამტვრევსო.

ავთანდილმა არ დაიშალა. ტარიელმა რაშს გაუკეთა შვიდი ლაგამი და შვიდი ქარშიკი. რაშმა გაიტაცა ავთანდილი, ვეღარ მოატრიალა, გადაიყვანა სხვა სახელმწიფოში და ზედ წყლის პირზე დადგა. ამ წყალში თურმე ჭაბუკი ცხოვრობს და წყალს არავის აძლევს. ავთანდილმა ჩასძახა ჭაბუკს:

— წყალი აუშვი, ხალხს უწყლოდ ნუ ხოცავო. ჭაბუკმა წყლიდან გამოსძახა:

შენ კაი კაცი მოსულხარ,
კაი პასუხის მთქმელიო;
შენი რაში მე მომეცი,
ჩვენ ვიყოთ ორი ძმანიო...

ავთანდილმა ჩასძახა:

ტარიელმაც აგრე მითხრა,
წყალში ჭაბუკი არიო,

ავთანდილი მივიდა ამ ქვეყნის ხელმწიფესთან და უთხრა:

— სამი კამეჩის ტყავი მომიტანე, სამი ქარშიკი და ერთი თუნგი ზეთი. უნდა ჩავიდე იმ ჭაბუკთან, ან ის მომკლავს, ან მე მოვკლავო. თუ მე მომკლა, სისხლი ამოვა და თავს უშველეთ, თუ მოვკალი, ზეთს დაღვრი და წყალი წაილეთო.

ავთანდილმა ჩაიცვა სამი კამეჩის ტყავი, სამი ქარშიკიც შემოიკრა, წაიღო თუნგი ზეთი და წავიდა. დაეძგერნენ. ჭაბუკმა სამი კამეჩის ტყავი სულ შემოაგლიჯა. ხორცზე რომ დაუყენა, ავთანდილი მოერია და მოკლა. ზეთი დააქცია და მთელი ქვეყანა გაახარა. ზღვასა და ზღვას შუა ქაჯების ქვეყანა იყო და ავთანდილიც იქითკენ წავიდა. მივიდა ერთ ბებერთან და ჰკითხა:

— აქ ლერწამ-დარეჯანი ხომ არ გამოუყვანიათო?

ბებერმა უპასუხა:

— აქ ცხრა ქაჯი ცხოვრობს და ლერწამ-დარეჯანიც მათ ჰყავთ დატყვეეებულიო.

ავთანდილს თან ტარიელის ბეჭედი ჰქონდა, აჩვენა დედაბერს და უთხრა:

— არ შეგიძლია, ეს ბეჭედი ლერწამ-დარეჯანს მიუტანო?

— შემიძლიაო, — უთხრა. ბებერი იქცა ბუზად და წაიღო ბეჭედი. მიუტანა ლერწამ-დარეჯანს. ქაჯების ბებერმა დედამ შვილებს უთხრა:

— ამ ბუზმა თუ რა ქნასო, ხვალ დილამ ცნასო!

ლერწამ-დარეჯანმა ნახა ბეჭედი და გაიხარა: ჩემი დამხსნელი მოსულაო!

ავთანდილი წამოვიდა ტარიელთან. ტარიელს უტირია: საყვარელი დაკარგე, ძმა დაკარგე, რაში დაკარგეო და... ორთავ თვალით დაბრმავებულა.

ავთანდილმა ჰკითხა.

— რას დაღონებულხარ, ძმაო ტარიელ, შენი საყვარელი ვიპოვეო.

— მე კი დაებრმავდი და აწ გინდ იპოვე და გინდ არაო!

ავთანდილმა თავისი უკვდავების ხელსახოცი გადაუსვ-გადმოუსვა ტარიელს და თვალები მოურჩინა.

— მოდი, ჩვენ ძმასაც, ფრიდონსაც, შევატყობინოთ და ისიც დაგვეხმარებაო, — უთხრა ძმას ავთანდილმა.

ავთანდილი და ტარიელი წავიდნენ ფრიდონთან. მინდორზე ცხენის ჯოგი დაინახეს და მეჯოგეს ჰკითხეს:

— ამ ჯოგში რომელია ყველაზე უკეთესი ცხენი?

— ეზოში შერეკვისა და გამორეკვის დროს ბოლოს რომ დარჩება, იგი დაიჭირეთ, გულთმისანიაო, — უთხრა მეჯოგემ.

ფრიდონთან მეჯოგე გაგზავნეს: ჩვენი მოსვლა შეატყობინეთო. მეჯოგე გაიქცა ფრიდონთან და უთხრა:

— ვილაცეები მოვიდნენ და ცხენებს მტაცებენო.

გამოვიდა ფრიდონი, მოგლიჯა ერთი დიდი მუხა, ხელი გაჰკრა, გალოპრა, გაიდო მხარზე და წავიდა შესახვედრად.

გაჯავრებულმა ფრიდონმა
მუხა მოგლიჯა ძირადა,
გაკრა ხელი და გალოპრა,
მინდორს გააგდო ხიდადა.

ავთანდილმა და ტარიელმა დაუძახეს: შენი ძმები ვართ, სტუმრად გეწვიეთო. იმ ღამეს კარგი დრო გაატარეს. მეორე დღეს ფრიდონმა ცხენი უნდა მისცეს ძმებსა და ყველას უქებს, კარგია, კარგიო! მაგრამ ბოლოს რომ დარჩა, ძმებმა ის ცხენი აირჩიეს. ფრიდონი მიხვდა: მეჯოგე მოუქრთამავთო.

შესხდნენ სამივენი ცხენებზე და გავიდნენ ქაჯებში. ლერწამ-დარეჯანი ტახტზე იჯდა მოკეცილი. ტარიელი რომ დაინახა, იქით იმას წაუვიდა გული, აქეთ — ტარიელს.

ავთანდილმა და ფრიდონმა მუსრი გააკლეს ქაჯებს. გაუქრათ სანთელი და ერთმანეთს დაეძგერნენ. ფრიდონი მოერია და უნდა მოეკლა ავთანდილი. ავთანდილმა დაიყვირა:

— ვაიმე, ძმაო ფრიდონ, მიშველე, ქაჯმა დამიმორჩილაო!

ეს ფრიდონმა გაიგონა და ძმა გაუშვა. აანთეს სანთელი და ქაჯები გაწყვიტეს. წამოიყვანეს ლერწამ-დარეჯანი და წამოვიდნენ.

ამ ქალს ცხრა ქაჯი უზის მუცელში. მიადგნენ ერთ წყლის პირს. ავთანდილმა ტარიელს უთხრა:

— ეს ქალი სამად უნდა გავჭრაო.

— შენი ნება იყოს, მე რა მეთქმისო, — უპასუხა ტარიელმა.

ავთანდილმა ამოიღო ხმალი და მოუქნია ქალს. რამდენჯერაც მოუქნევს ხმალს, იმდენ ქაჯს ამოაგდებს. ექვსი ქაჯი მოკლა და სამი წყალში ჩაუვარდა. წამოიყვანეს ეს ქალი. გზაში დაუღამდათ, იქ კარავი გააკეთეს და დადგნენ; სამმა ქაჯმა კიდევ გაიტაცა ლერწამ-დარეჯანი. გამოუდგა ავთანდილი. ერთი მოკლა, ორი წყალში ჩაუვარდა. ორმა კიდევ გაიტაცა ქალი. კიდევ გამოუდგა ავთანდილი. ერთი ქაჯი მოკლა, ერთიც წყალში ჩაუვარდა. ბოლოს იმ ერთმა ქაჯმა გაიტაცა ლერწამ-დარეჯანი, მაგრამ ისიც მოკლა ავთანდილმა და ქალი გაათავისუფლა.

ტარიელმა ეჭვი აიღო: ჩემი ცოლი აქეთ-იქით დაგყავდათო. ავთანდილმა ძმას უთხრა:

— აიღე თოფი, გულში მესროლე, რა ასოც ლერწამ-დარეჯანისთვის მიჩლია, იქ მომხვდესო. ესროლა ტარიელმა გულში და ნეკა თითი გააგდებინა. ბევრი ინანა ტარიელმა, მაგრამ რაღას იზამდა.

შემდეგ ძმები გაიყარნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ნაცარი იქ დავყარე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

როსტომი

იყო ერთი განთქმული გმირი, როსტომი. ფალავნობდა და აღარავინ დარჩა გამწევი. თანაც ისეთი ხმა ჰქონდა, ისეთი, რომ ყვირილის დროს რკინის სალტე უნდა შემოერტყა, რომ თავი არ გახეთქოდა.

ერთხელ შეხვდა კოჭლი დევი, ხან აქეთ ათამაშა და ხან იქით. კოჭლმა დევმა უთხრა:

— ჩემზე რა ბიჭობას იჩენ, გმირო როსტომ, წადი, ამა და ამ კლდეში ერთი წითელი არაბი არის და იმას ეომეო.

როსტომს ეს სიტყვები ჭკუაში დაუჯდა. მივიდა იმ კლდესთან და ნახა, რომ ხევში სისხლი ჩამოდის. როგორც იყო, აცოცდა კლდეზე. დაინახა, წითელ არაბს ხანჯალი ურჭვია მუხლებში, როდესაც ჩასთელემს, შუბლს დაარტყამს ხანჯალს და სისხლი გადმოსდის. როსტომმა თქვა: მე ხომ ამ არაბს ვერ მოვერევი, წავიდე და, აბა, რა ვაჟკაცობაა გაქცევაო!

— გმირო არაბო, რად იტანჯები ეგრე? — ჰკითხა როსტომმა.

— აღმოსავლეთიდან ერთი შავი არაბი გამოატარებს მზეთუნახავ ქალს, უნდა დავხვდე და ვეომო, ვინც გაიმარჯვებს, ის ქალი მას დარჩებაო. რომ არ დამეძინოს, ხანჯლის წვეროზე დავარტყამ ხოლმე შუბლსაო!

— მოდი, დაიძინე, როცა შავი არაბი გამოივლის, მე გაგაღვიძებო.

— შენ მე ვერ გამაღვიძებ, ფეხისგულში თუ ხანჯალს არ ჩამცემო.

როსტომმა უთხრა:

— ჩემი ხმით ცხრამთას იქით ორსულ დედაბერს ვაბერწებ და განა შენ როგორ ვერ გაგაღვიძებო!

არაბმა დაიძინა. არ გასულა დიდი ხანი და გამოჩნდა შავი არაბი. მოჰყავს ქალი. ბევრი იყვირა როსტომმა, მაგრამ ვერ გააღვიძა. მერე ჩასცა ფეხის გულში ხანჯალი და არაბსაც გაეღვიძა.

— ჩვენი ფეხის ქარი სადმე გადაგაგდებს, ორმო ამოთხარე და შიგ ჩაჯექიო, — უთხრა არაბმა, — თუ შავმა არაბმა ხელი დამრიოს, დასჭყიტლე, მტერს მუხლი მოეჭრება და ვაჯობებო.

მოვიდა შავი არაბი, ქალი დასვა იქით და შეიბნენ. როსტომმა დაატყო, რომ შავი არაბი ჯობნიდა. ამოიღო თავისი რკინის სალტე, შემოიკრა თავზე და დასჭყიტლა. შავ არაბს მუხლი მოეჭრა, წვდა წითელი არაბი და აკუწა. ავიდნენ იმ კლდეზე და ცხოვრობდნენ ერთად. როსტომი ემსახურება წითელ არაბს.

ერთ დღეს თქვა: აბა, მე რა გმირი ვარ, სახელისთვის წამოვედი და წითელ არაბს ვემსახურებიო. მოდი, ამ არაბს მოვკლავ, სახელიც მე დამრჩება და ქალიცაო. არაბს სძინავს. გასინჯა, მაგრამ მისი ხმალი კისრის ნახევრამდისაც არ მისწვდა. უნდოდა არაბის ხმლის აღება, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა. ბოლოს გადაუწყო ფეხები ერთი მეორეზე, დაჰკრა

ხმალი და დააჭრა. თვითონ გადმოხტა და კლდეს ამოეფარა. წამოხტა არაბი, მაგრამ ფეხებზე ვეღარ დადგა. წვდა თავის მოჭრილ ფეხებს და გატყორცნა. როსტომმა არაბი აკუწა. ქალმა ეს რომ დაინახა, გაიქცა.

— აბა, მე რა ვაჟკაცი ვარ, თუ ეს ქალი გამექცაო.

ქალმა დაუძახა:

— შენ ცოლად როგორ გამოგყვები, არაბი ღალატით მოკალი. შენც რომ წითელი არაბი ისე მოგეკლა, როგორც მან შავი არაბი მოკლა, მაშინ გამოგყვებოდიო!

როსტომმა შემოირტყა თავზე რკინის სალტე და დასჭყივლა. გაქცეულ ქალს გული წაუვიდა. როსტომი ამ ქალთან დარჩა რამდენიმე ხანს. ბოლოს უთხრა:

— ვიცი, შვილი გაგიჩნდება, თუ ვაჟი იყოს, ზურაბი დაარქვი, აი, ნიშანი, და ჩემთან გამოგზავნე, თუ ქალი გაგიჩნდეს, შენთვის დაიტოვეო. დაუტოვა ნიშანი და წავიდა.

როსტომ თქვა:
აგერ იმ მთასა, ამ მთასა
სუყველას თავის თავს ვუზამ,
ალაზანსა და იორსა
დავეწაფები, ყლაპს ვუზამ.
თორმეტსა ფუთსა რკინასა
კბილს ქვეშ შევიგდებ,
ნაპს ვუზამ,
თავაღებულსა დიაცსა,
აბა, მითხარი, რას ვუზამ!

მას აქეთ როსტომს შესძულდა დედაკაცი და შავი მატყლი. წამოვიდა როსტომი ქაქუზ მეფესთან საფალავნოდ.

ამ ქალს მართლა გაუჩნდა ვაჟიშვილი, დაარქვა ზურაბი. ექვსი თვისა უკვე ისეთი მძლავრი იყო, რომ კოჭებს ამტვრევდა და თავის ტოლებს სჯობნიდა. ბოლოს ბიჭებმა უთხრეს:

— შენ რა ჩვენზე სინჯავ ღონეს, თუ ვაჟკაცი ხარ, დაკარგული მამაშენი მოძებნეო. ზურაბი შინ გამოიქცა და დედას ძუძუ მოსთხოვა. დედამ უთხრა:

— რა დროს შენი ძუძუა, შვილო, უკვე ვაჟკაცი ხარო!

როცა ძუძუ ჩაიდო პირში, კბილი მოუჭირა:

— მითხარი, მამაჩემი სად არის, თორემ არ გაგიშვებო!

— მამაშენი დაკარგულია, არ ვიცი, სად არის, ნათქვამი აქვს, ზურაბი გამოგზავნე ჩემთანო. აი, მისი იარაღი, ტანსაცმელი და ნაბადიო.

ზურაბმა ჩაიცვა მამის ჯაჭვი, ცოტა ვიწრო მოუვიდა. დედამ მხარზე ნიშანიც დააკერა და გაგზავნა. დედამ თქვა: მოდი, გამოვცდი, ძალა თუ აქვსო. ჩაიცვა ვაჟკაცის ტანსაცმელი და დაუხვდა გზაში. დაუძახა:

— აიღე ცხენზე ხელიო! ზურაბი შემოტრიალდა და შეიბნენ. შუბი დაატაკა და ცხენიდან გადმოაგდო. ქალს ქუდი მოეხადა და თმა გამოუჩნდა.

ცხენსა შუბი დავატაკე,
ვიტაცე როგორც ქარი.

უნდა ხმალით ამეკუწა,
მაგრამ ხელში შემჩა ქალი.

დედა გადაეხვია ზურაბს, გზა დაულოცა და გაუშვა, თანაც დააბარა: მამაშენს კარიანი კბილი აქვს და როცა ჭიდაობს, მარჯვენა ფეხს ათამაშებსო. ბევრი იარა ზურაბმა და მიაღწია ქაქუზ მეფის ქალაქს. გზაში ერთი ბერიკაცი შეხვდა. ნიშნით იცნო: ეს უსათუოდ როსტომის ნათესავია, ჯერ ხომ როსტომმა აგვიკლო და ახლა მეორეც თუ მოემატა, აქედან უნდა ავიყაროთო. ბერიკაცმა ზურაბს უთხრა:

— დიაცი ხომ არა ხარ, მხარზე ეგ ნიშანი რად გინდაო. ზურაბმა ნიშანი მოიხსნა და იღლიის ქვეშ დაიკერა.

ბერიკაცი მივიდა ქაქუზ მეფესთან და უთხრა:

— როსტომის შვილი მოსულა, მაგათ თუ ერთმანეთი არ დავახოცვინეთ, აგვიკლებენ. ქაქუზ მეფესაც სძულდა როსტომი და ბრძანა: როსტომმა და ახალმოსულმა გმირმა უნდა იჭიდაონო.

როსტომმა იმ ღამეს დაათვალიერა ზურაბი. ზურაბმა დაინახა და დაუძახა:

რას იჭვრიტები ბანდა,
სახლში მობრძანდი კარადა.

გათენდა დილა. ზურაბს არ უნდოდა დაჭიდება, ეჭვი ეპარებოდა, ეგებ მამაჩემი არისო.

ბერიკაცო, ჩამომეხსენ,
გული რალაც მეყოფნება,
მე დედეული ნიშანი
გუნებაში მენიშნება.

როსტომმა უთხრა:

მე ერანელი არა ვარ,
არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშქრე თურქი გახლავარ,
დამლეკი მუჯა სისხლისა.

ზურაბმა უთხრა:

ბერიკაცო, ეგ რა მითხარ,
დამიკოდე წყლული გული,
ნეტავი კი არ მენახე,
შინვე დამელია სული.

დაეჯახნენ. ზურაბმა სძლია. შერცხვენილი როსტომი წავიდა და ქაქუზ მეფეს უთხრა:

აქ ფალავანი მოსულა,
ქალაქს დავეგე მახეო,

ომშიც ვნახე, ხმალშიც ვნახე,
მე მოველ მახთან მჩატეო.
იმის ნადგამი ფეხები
ქვესკნელსა ანძრევს, ნახეო!

ქაქუზ მეფემ ჩაალაგა ბარგი-ბარხანა და ქალაქიდან გაპარვა განიზრახა: რახან ასეთი ფალავანი წამიქცია, ქალაქში აღარ მეცხოვრებაო. მაშინ როსტომმა უთხრა:

— დღეს არ ვიყავ გუნებაზე, ხვალ უნდა ვეჭიდაო, ჯერ მაგის გულზე ვარდი არ აყვავებულა, ქალი არ უნახავსო.

იმ ღამეს როსტომმა სულ შხამში ლესა თავისი ხანჯალი.

ვლესე და ვლესე ხანჯალი,
გულს ხელი დამიდებია.
შხამში გავლესე ხანჯალი.
ჩექმაში ჩანდებია.

მეორე დღეს გამოიწვია ზურაბი საჭიდაოდ. ზურაბმა კიდევ უთხრა:

ბერიკაცო, ჩამომეხსენ,
გული რაღაც მეყოფნება,
მე დედეული ნიშანი
გუნებაში მენიშნება.

დაიჯახნენ ხელმეორედ და კიდევ წააქცია ზურაბმა. როსტომმა ქვეშიდან ჩუმად გამოიძრო ხანჯალი და შიგ მუცელში ჩასცა. ზურაბმა უთხრა:

შე, ბერიკაცო, რად მომკალ,
ხმალი რად დამეც ვადამდე,
შენ მამაჩემსა, როსტომსა,
საით წაუხვალ სადამდე?!
ზღვას გახვალ, თან გამოგყვება,
ხმელზე ვერ დაეპალები,
ცად ახვალ, თან ამოგყვება,
ყველგან მიუჭრის თვალები.

როსტომმა თავისი სახელი რომ გაიგონა, თქვენ მტერს, რა დღეც დაადგა.

შე ავი დიაცის შვილო,
აბა ნიშანი სად არი?
აიწია იღლია და...
აი, ნიშანი აქ არი!

— მაქ რად გაკერიაო? — ჰკითხა როსტომმა.

— ქალაქში რომ მოვედი, ერთმა ბებერმა კაცმა მითხრა, დაგცინებენო და ამიტომ დავმალეო. როსტომი ძალიან შეწუხდა. მიიკრა გულზე დაჭრილი შვილი. ზურაბმა უთხრა:

შენ მამაჩემი არა ხარ,
არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშქრე თურქი ყოფილხარ
დამლევი მუჯა სისხლისა.

როსტომმა ქაქუზ მეფეს კაცი გაუგზავნა:
— ჩქარა წამალი გამომიგზავნე, შვილი მიკვდებაო. ქაქუზ მეფეს სძულდა როსტომი, მაგრამ წამლის გაუგზავნელობაც არ იქნებოდა. წამალი გაუგზავნა გიჟი დიაკვნის ხელით და დააბარა:
— როცა ახლო მიხვიდე, წაიქეცი და დაღვარეო. მივიდა თუ არა დიაკვანი როსტომთან, წამალი დაღვარა. როსტომმა ეს დიაკვანი ხმლით შუაზე გაწყვიტა.

როდესაც ომი გაჭირდა,
შეშა ხმალივით გაძვირდა,
აბა უთხარი დიაკვანს,
თუ ჩემი ხმალი არ ჭრიდა?!

ზურაბი მოიწამლა და მოკვდა. როსტომმა შვილი დაასაფლავა ცრემლის ღვრით, შემდეგ წავიდა ქაქუზ მეფესთან. მის ორივე ვაჟიშვილს ქათმებივით წაგლიჯა თავები და ქაქუზ მეფეს უთხრა:
— აბა, ნახე, როგორია შვილის სიკვდილიო!
გამწარებული როსტომი ზღვაში გადავარდა, თავი უნდა დაეხრჩო.

გამწარებული როსტომი
თავში მოიცემდა ქვასა,
ხან აქედან ეცემოდა
და ხან კიდევ იქით მთასა.

შევიდა ზღვაში, მაგრამ ზღვამ პირი შეიკრა და ძირს არ ჩაუშვა. არც იხრჩობა, არც ნაპირზე გამოდის. ქალაქში თქვეს:
— ვინც როსტომს გამოიყვანს, დავასაჩუქრებთო. ერთმა ბებერმა თქვა: მე გამოვიყვან, თუ მომკლავს, დამმარხეთ, თუ ცოცხალი გადავრჩი, შემინახეთო. როსტომს ძალიან სძულდა დედაკაცი და შავი მატყლი. ბებერი მივიდა ზღვის პირზე და დაუწყო რეცხვა შავ მატყლსა. როსტომმა ეს დაინახა, გააჟრჟოლა ტანში და დაუძახა:

აქ რად მოსულხარ, წყეულო,
რას მიბღვერ ვაით, ვიშითა,
არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

დედაბერმაც დაუძახა:

— შე რეგვენო როსტომოო,
ნაპირს გამოდი ქვიშითა,
მკვდარი ვის გაუცოცხლდება
ტირილითა და ვიშითა?

როსტომი გამოვიდა ზღვიდან. ბებერმა თქვა:

დიდება და მადლი ღმერთსა,
როსტომ გამოვიდა ზღვასა,
ცალი ხელით მოცურავდა,
ცალით მოიქნევდა ხმალსა.

წვდა ბებერს და გატყორცნა ზღვაში. ამის შემდეგ ძალიან მგლოვიარედ იყო როსტომი და აღარ ფალავნობდა.

დაბრუნდა სამშობლოში. მას სამი ძმა ჰყავდა: გივი, გოდერძი და გურგენი, ყველა განთქმული გმირი და ვაჟკაცი. არც ერთ ძმას ვაჟი არა ჰყავდა, გარდა გივისა. გივის ვაჟს ბეჟანი ერქვა.

ამათ ხელმწიფეს ქაიხოსრო ერქვა. ერთ დღეს ქაიხოსრო ხელმწიფეს მოახსენეს:

ატირდნენ და მოახსენეს,
დიდებულო ხელმწიფეო,
სარჩო ჩვენი ჭალა იყო
სანადირო ივი ტყეო.
ჭალა ღორით სულ ავსილა,
არ ეტყობა სანერგეო,
ღორებს ეშვები მოუჩანთ,
თითო არის ხმლის სიგრძეო.

ეს მოისმინა ქაიხოსრომ. გამოიტანა დიდი ტაშტით თვალ-მარგალიტი და გამოაცხადა: — ვინც წავა ჭალაში ღორებზე საომრად, ეს თვალ-მარგალიტიც იმისი იყოს, ტახტიც, ხელმწიფობაც და ჩემი საწუთარი ჯამიცო. ვერავინ გაბედა წასვლა. ბეჟანმა ფეხი წადგა წინ. გივიმ გაარჩერა.

— მე ღორები ვერას დამაკლებენ, ოღონდაც, მამავ, შენი ჯაჭვი ჩამაცვიო, — უთხრა ბეჟანმა მამას.

— შვილო, ჩემი რისთვის გინდა
განა შენი არ გაცვია?
— მამავ, შენი მისთვის მინდა,
ომში უფრო ნაცადია!

— მე ღორების გზა არ ვიცი და ვინმე გამაყოლეთო, — უთხრა ბეჟანმა მამას. გივიმ გურგენს უთხრა:

გურგენ, შენ წაყევ ბეჟანსა,
ჩემი ჯაჭვი ჩაიცვია.
აღგა ბეჟან შეიკაზმა,

ტანთ ჩაიცვა საომარი.
ბეჟანმა თქვა: მე იქ წავალ,
მე არა ვარ უსუსური.
გზაში გურგენ გამაყოლეთ,
ჩემი ბიძა გაბედული.

წაჰყვა გურგენი ბეჟანს. მიეიდნენ ტყეში. ბეჟანმა ჯერ პატარა ღორებს დაუწყო ხოცვა. გურგენი შეშინდა და ხეზე ავიდა. პატარა ღორები რომ დახოცა, სად იყო, სად არა, გამოჩნდა დიდი ტახი, ოქროს ეშვებიანი.

ტახმა უთხრა: რითი ვიომოთ, ხერხით თუ ძალითაო. ბეჟანმა უთხრა: როგორც გინდა, იმითო, დადეს სანაძლეო. გაზომეს მანძილი. პირველად ბეჟანი გაიქცა. გამოუდგა ტახი.

ღორი შევიდა დოღშია,
ნელ-ნელა სული დგებაო,
ბეჟანიც ამას ამბობდა,
ნაცადი მეკარგებაო.

ტახმა გადაასწრო და ბეჟანის ცხენს ერთი ძუა გამოაძრო.

ახლა ტახს ერგო გაქცევა. გაიქცა ტახი და გამოუდგა ბეჟანი. ჰკრა ერთი ისარი და დაჭრა ტახი, მეორეცა ჰკრა, მაგრამ წრეს გადაასწრო. მივარდა ბეჟანი და ტახი ხმლით აკუწა.

ბეჟანს ტახმა შეუტია,
ჯაჭვის კალთა დაუხია:
მოუბრუნდა, ლახტი დაკრა,
ტვინი ალაგს დაუნთხია.

მაშინ დაუძახა გურგენს:

გურგენ, გურგენ, შე დიაცო,
ტახი მიწას გამირთხია,
ჩამო მაინც, თავი მოსჭერ
და ხელმწიფეს მიართვია.

გურგენმა უპასუხა:

არც წამოვსულვარ საომრად,
არც ბიჭობა გამიგდია,
საომრადაც შენ წამოხვალ,
ბიჭობაც შენ დაგიგდია.

ჩამოვიდა გურგენი, დააძრეს ტახს ოქროს ეშვები, მოსჭრეს თავი და წამოვიდნენ.

ერთ ჯვარედინ გზაზე დაუღამდათ. პურის ჭამა დაიწყეს. გურგენს გულში ღალატი უდევს, ჯავრი ახრჩობს, რომ ძმისშვილმა აჯობა. ბეჟანს უთხრა:

— შენ ისეთი ვაჟკაცი ხარ, რომ აფრასიონ ხელმწიფის ქალი — მანიჟა შენი შესაფერისიაო.

აფრასიონის მანიჟა
მზე არის ამომავალი,
მზე იყო, მზე დაბნელა,
ცისკარი გადმომავალი.
მდინარე წყალი დაშრო,
ქვიშაზე გადმომავალი.
ვინაც რომ იმას არ ნახავს,
მისი საწუთრო რა არი!
ეჰ, ბეჟან, შენი რაშისთვის
ხულ სანავარდო გზა არი!

ბეჟანმა ჰკითხა: განა შორს არისო? გურგენმა უპასუხა:

არცა შორია, არც ახლო,
და არც მთა-გორა საკალი,
არცა წყალი, არცა ხევი,
ვაკე და კაი გზა არი!

იმ ღამეს ერთად დაიძინეს. ღამით გურგენმა ეშვები გაიტაცა და გაიპარა. ბეჟანი კი მძინარე დატოვა, მივიდა გურგენი შინ და ძმებს მოახსენა:

— ტახი მოვკალი და ეშვები ამოვაცალე, ხოლო ჩვენი ომის დროს ბეჟანი ქარმა გაიტაცა, ველარც მკვდარი ვიპოვე და ველარც ცოცხალიო.

გივიმ მთელ ქალაქს შავი გადააფარა.

მეორე დილით ბეჟანი გვიან ადგა, გურგენი რომ ვერ იპოვა, წავიდა ისევ მანიჟას საძებნად.

აჭა ამბის დასაწყისი,
ბეჟან-მანიჟასიაო.
ჭამენ, ღვინოს ლაღად სვამენ
იაგუნდის მარნისაო...

მოვიდა აფრასიონ ხელმწიფის ქვეყანაში. მანიჟა ცხოვრობს მაღალ კოშკში, რომელსაც ახლოს აქვს წყაროო. ბეჟანი დაჯდა წყაროს პირს და გააკეთა ხის კურდღელი. უკრავს ჩონგურს და ათამაშებს ამ ხის კურდღელს. გამოხედა მანიჟამ და დაინახა ეს უცხო ფალავანი. გამოგზავნა მოახლე: გაიგე, ნახე, ვინ არის, საომრად თუ მოსულა, ჯარი რად არ ახლავს, სტუმრად თუ მოსულა, იარაღი რად უნდაო. მოახლე დაიბნიდა ბეჟანის სილამაზით, უყურა, ველარც თვალი მოაშორა, ველარც წყალი აავსო და ისევ უკან გაბრუნდა.

ცნობისმოყვარე მანიჟამ მეორე დღესაც გაგზავნა მოახლე. კიდევ უცქირა დიდი ხანი და ბოლოს გაბედა ვინაობის კითხვა.

ბეჟანმა უპასუხა, ერანიდან მოვედიო.

ჭალაში ღორი დაუხოცე,
ღორნი ხულ აზამფარიანა,
ოქროს ეშვები დავაჭერ
უფროსი ხმლისა ვადისა.

მოახლე გაიქცა მანიჟასთან და უთხრა:

ერანიანთგან მოხულა
ერთი ვინმეა ბარადა,
ნეტავი იმის დედასა,
ვისაც შეხვდება ქმარადა.
თვრამეტი დღისა მთვარეს ჰგავს
პირმოსილი ვარდივითა,
ერთი მაშინ შეეახელ,
რომ იცინის ბადრივითა!

ღამით მანიჟამ კოშკიდან გადმოუშვა ნაწნავები და ბეჟანი მაღლა აიყვანა. ერთმანეთი ძალიან მოეწონათ და ბეჟანი დარჩა მასთან. ერთი კვირის შემდეგ აფრასიონ ხელმწიფემ ეჭვი აიღო. მაშინვე დანიშნა ყარაული. ყარაულმა გაიგო, რომ მანიჟასთან ერანელი ფალავანი, ბეჟანი, დაიარება. აფრასიონმა შეყარა თავისი ფალავნები და მიიყვანა კოშკთან. ბეჟანი კარებში ჩადგა ხანჯლით და შიგ არავინ შეუშვა.

წამოიწია ბეჟანი,
შეკრა დარბაზის კარია,
ვინც ამ კარებში შემოვა, —
სიცოცხლე გამაძღარია.

აფრასიონმა ფიცი მისცა და ბეჟანმაც გაუღო კარები. ჯერ დაუყვავეს, შემდეგ დაიჭირეს, შეკრეს და დასახრჩობად წაიყვანეს.
ბეჟანმა უთხრა აფრასიონს:

ხელშეკრული ტყვე გახლავარ,
გამიშვი და გამომცადე,
ზემი მძიმე ლახტი მომეც,
ათასხუთასს შემაპირე,
თუ ან ერთიც გადამირჩეს,
ერანეთში შემარცხვინე.

აფრასიონმა დიდ ვეზირს უთხრა:

ხელთა მყავს, ომსაც მიქადის,
ეს ეშმაკი და ფლიდია,
ამართე ძელი მაღალი,
ზედ ბეჟან ჩამოკიდია.

აფრასიონს თავისი ვეზირი, ფრიდონი, გზის დარაჯად ჰყავდა დაყენებული. ფრიდონმა გაიგო ბეჟანის ამბავი და ხელმწიფეს ეახლა.

ფრიდონ ცხენი გაჭენა,
კეიცი ახალ გახედნილი,
შუა გზას რომ მოატანა,
ნალმა დაუწყო ბრჭყიალი:
რა კაცია, რა კაცსა ვლავთ,
რა კაცი გყავთ გაბაწრული,
მაგის ბიძა ყველას მოგსპობთ,
ვაუკაცია და ლომგული.
გივი, როსტომ და გოდერძი
ერანში თავადებია.
მოვლენ, დაგვწეკენ, დაგვდაგენ,
ხანჯლებით მოგვდებიან...

— მაშ, რა ვუყო, რა ქენაო? — ჰკითხა აფრასიონმა.

ქვეყანაზე თავი მომჭრა,
შემარცხვინ ჩემმა ქალმა;
ეგ ბეჟანი უნდა მოვსპო,
რომ არ ნახოს ჩემმა თვალმა.

ფრიდონმა ასწავლა: გავთხაროთ დიდი ორმო, შიგ ბეჟანი ჩავაგდოთ, ზედ არხან დევის მიერ მოტანილი ლოდი დავაფაროთ და

თავს მანიჟა დავაყენოთ
ცხარე ცრემლით მოტირალი,
ქალაქს კაცნი დავატაროთ,
არვინ მისცეს პური, წყალი.

ჩააგდეს ბეჟანი ორმოში, თავს დაადვეს არხან დევის მიერ მოტანილი ლოდი და ზედ მანიჟა დააყენეს. მანიჟამ ორმოს ხელის ჩასაყოფი ჩაუთხარა. დადის ქალაქში, პურს თხოულობს და აწვდის სატრფოს. შვიდი წელიწადი გაატარა ბეჟანმა ამ საშინელ ორმოში.

ბეჟანის ბიძას, როსტომს, საწუთარი ჯამი ჰქონდა, შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაეხედა შიგ, როცა დრო მოვიდა, როსტომმა ჩაიხედა ჯამში და დაინახა ორმოში ჩაგდებული ბეჟანი. ერთი ისეთი გაიცინა, რომ დარბაზმა ზანზარი დაიწყო. გივიმ უთხრა:

— ძმაო, როსტომ, აბა, რას გაიცინე. განა გაგიხარდა ჩემი ბეჟანის დაკარგვა? მე შენ გითხრა, ჩემი ბეჟანი არ დაინახო?!

— შენი ბეჟანი დავინახე სწორედ და იმიტომ გავიცინე, მოდი, შენი თვალით გაჩვენო, აფრასიონ ხელმწიფეს ჰყოლია ორმოში ჩაგდებული და თავს დიაცი ადგიაო. ჩაიხედა გივიმაც და დაინახა თავისი ბეჟანი.

როსტომმა მაშინვე მოაგროვა ფალავნები. რაც ზურაბი მოკლა, შემდეგ საფალავნოდ არ გასულა, მგლოვიარედ იყო, მაგრამ ახლა გაიხსენა ძველი დრო. წაიღო სავაჭროები, აჰკიდა ჯორ-აქლემებს, საცალოებში კი ფალა-

ვნები ჩასხა თავიანთი იარაღით. მივიდნენ აფრასიონის ქვეყანაში. როსტომმა ხელმწიფეს კაცი მიუგზავნა თვალმარგალიტებით: ერთი უცხო ვაჭარი მოვედი, საქონელი მაქვს გასაყიდი და თქვენს ქვეყანაში ვაჭრობის ნება მომეციო. აფრასიონმა ნება მისცა. დაიწყო როსტომმა ვაჭრობა.

ერთი ქოსა კაცი მივიდა და ამ საცალოზე დაჯდა. ფალავანმა მახათი ამოატაკა. მაშინ ქოსამ თქვა: თუ ამ საცალომ რა ქნას, ქვეყანამ ცნოსო! როსტომმა დაიძახა: გააგდეთ აქედან, ვაჭრობას გვიშლისო. ქოსა არ წავიდა. ბოლოს დაუძახა როსტომმა: მოდი აქ, შაქარი უნდა დაგადო ენაზეო. დაწვდა და ენა ამოგლიჯა. გაიქცა ქოსა აფრასიონთან ლულლულით: ოტო, ოტო, ოტოო! ვითომ და როსტომია მოსულიო. ხელმწიფემ ვერაფერი გაიგო და ბრძანა: ვინ არის, მომაშორეთ, თავი მოსჭერითო. მოსჭრეს თავი საწყალ ქოსას.

მანიჟამ გაიგო მდიდარი ვაჭრის მოსვლა და მივიდა როსტომთან: გამიკითხეთ, ჩემი ბეჟანისთვის მომეცით რამეო. როსტომმა რომ ბეჟანის სახელი გაიგო, ერთი მთელი ქათამი და პურები გაატანა, ქათამში თავისი ბეჭედი ჩადო. მანიჟამ ჩააწოდა ესენი ბეჟანს. ბეჟანმა ბეჭდის დანახვაზე ერთი ისეთი გაიცინა, რომ სამი საჟენის სიმაღლეზე შეისროლა არხან დევის მიერ მოტანილი ლოდი. მანიჟამ ტირილი დაიწყო: გაგიჟდა ბეჟანი, ჭკუაზე შეცდაო, მერმე ჩასძახა:

— რა მოგივიდა, ბეჟან, როგორ არის შენი საქმეო?

— ჩვენი მშველელნი მოსულან, მალ-მალე მიდი მათთანო.

მანიჟა მეორე დღესაც მივიდა როსტომთან და უთხრა:

— ერანელებო, ცოტა რამე მომეციოთ.

აქ ერანელი ვინ არი,
ხომ არ შეშლილხარ ჭკუასა.
ხელი პკართ, იქით გააგდეთ,
დაპიდეთ ცხენის ძუასა.

მანიჟამ დაუძახა:

ადათია და წესია,
ფეტვი ალაგზე ხთესია,
არ გაიკითხვენ გლახასა —
თორმე ერანში წესია.

გაბრაზებულმა როსტომმა უპასუხა:

შენისთანა დაიცისთვის
წიხლი, პანლური წესია!

წამოვიდა მანიჟა ტირილით და ჩასძახა ბეჟანს:

— ბიძათქვენებმა არ გამიკითხეს და გამომაგდესო.

— განა, როგორ სთხოვეო!

— ესა და ეს ვუთხარი ლექსადო. მაშინ ბეჟანმა დაუძახა:

— ჯერ ბიძაჩემს ქალები სულ ეჯავრება, მერმე და ლექსად რომ დაგიწყია ლაპარაკი, როგორ გაგიკითხავდაო! ამის შემდეგ მოწიწებით დადექი შორი-ახლო და თვითონ დაგიძახებენო.

წამოვიდა მანიჟა მეორე დღეს და შორი-ახლო დადგა. როსტომმა დაუძახა და ფული მისცა.

— რაც ხვალ ქალაქში შეშა შემოვიდეს, სულ იყიდე. მამაშენსაც სთხოვე ფული: ჩემი ბეჟანი სულს ლევს და უკანასკნელად ცეცხლი უნდა დავუნთო-თქო.

მიდექ და მოდექ, მანიჟა,
პატარა შეშა ნახეო,
ცეცხლი დანთე ძლიერი,
შორიდან დამანახეო.

მანიჟამ მეორე დღეს ქალაქში რაც შეშა შემოვიდა, სულ იყიდა და ორმოს პირზე დააწყობინა. აფრასიონს კაცი მიუვიდა:

— შენი მანიჟაც გაგიჟებულა, რად უნდა, ამოდენა შეშას რომ ყიდულობსო. მანიჟამ მაპასაც სთხოვა ფული შეშისთვის, მაგრამ არ მისცა.

მანიჟამ ორმოზე დიდი ცეცხლი დაანთო. დაინახა თუ არა როსტომმა ცეცხლი, საცალოებს მაშინვე პირი მოხსნა და ამოუშვა ფალავნები. დაეხვივნენ ლოდს, მაგრამ ვერ დაძრეს. როსტომმა ხელი დასტაცა და აფრასიონის ვარდის ბაღში გადააგდო ეს ლოდი. ამოიყვანეს ბეჟანი. დაერივნენ აფრასიონის ჯარებს და მუსრი გაავლეს. ბეჟანმა დაიჭირა აფრასიონი, ჩააგდო იმ ორმოში, მოიტანა ვარდის ბაღიდან არხან დევის მიერ მოტანილი ლოდი და ზედ დაადო. წამოიყვანეს მანიჟა და წამოვიდნენ.

გზაში როსტომმა ბეჟანს უთხრა:

— გურგენს აპატიებ, თუ არაო?

— მე არაფერს ვერჩი, ოღონდ მაღლა ერთ ვაშლს ავისერი, ვისაც დაეცეს, მტყუანი ის იყოსო.

მოვიდნენ შინ. გივიმ დიდი ქორწილი გამართა.

ბეჟანმა ერთი ვაშლი შემოსა ალმასებით და თქვა:

ერთხელ მაინც შემოვსტყორცნი
ვარდის კონას ხუმრობითა,
ბოროტსა და მოლალატეს
თავში მოხვდეს გორებითა.

და გაისროლა. ვაშლი დაეცა გურგენსა და იქვე მოკლა.

გავიდა ხანი. ბეჟანი გაგზავნეს ერთი დიდი დევის მოსაკლავად. მამა უშლიდა, მაგრამ მაინც წავიდა. დევმა დაუძახა:

შან ბეჟანო, გივის შვილო,
სირეგვნე თუ მოგრევია,
თორმეტი შენი გვარისა
სულ სისხლში გამირევია.
შენ წადი და ის მოვიდეს,
ვისაც ბრძოლაში გასელია.
აი, წითელ ხევს შუხედე,
ჩემი ნახოცის სისხლია;
აი, თეთრ მთასა გახედე,

ჩემი ნახოცის ძალია;
აგერ შავ მთასაც გახედე,
ჩემი ნახოცის თმანია.

ბეჟანმა დაუძახა:

ამოვთქვი ჩვენს ერანშია,
გადათქმა როდი იქნება.
მოგკლავ, ან შეშოგაკვლები,
წინ წასვლა როდი იქნება!
ბეჟანი ამას ამბობდა:
ნაცადი მეკარგებაო,
დედ-მამის გაუგონარსა
ჩემი დღე დადგებაო...

ბეჟანმა მოკლა ეს დევი და წამოვიდა გამარჯვებული. ბიძა როსტომმა ხელმწიფობაც და საწუთარი ჯამიც მას დაულოცა. მის შემდეგ ბეჟანმა კიდევ ბევრი გმირობა ჩაიდინა...

შინაარსი

ალ. ლლონტი, წინასიტყვა 3

ჯადოსნური ზღაპრები

კუდიანი დედაბერი და ოქროსთმიანი ბიჭი 7
ნასია 9
მენახირე 12
ასფურკელა 16
ნასყიდა 22
კომბლე 24
მეჩონგურე 27
ცეროდენა 30
სამი და 33
ეშმაკის ლაგამი 38
დღისით მკვდარი 40
გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე 47
გველის ძმობილი 52
ირმისა 56
სიზმარა 64
ფისასო 70
მონადირე და დიდი არწივი 76
ბოქის ყვავილი 81
მუხაგლეჯია სიდედრი და სიმამრი 89
მიწა თავისას მოითხოვს 92
ია ხათუნი 96
სამი ძმა 101
ტარია 105
დედის გული 107
ილანკელა 109
ხუთკუნძულა 112
ხემლმწიფე და მისი ცხრა ეაკი 117
მეთევზე და სამი თევზი 123
მზის ქალი 125
იამ რა უთხრა ეარდსა, ეარდმა რა უთხრა იასა 133
ანანა 137
გაუცინარი ხელმწიფე 140
ზღაპარი საკვირველისა 146
ედემის ყვავილი 155
ფაშგუნდი 160
წიქარა 166

თორმეტთავიანი დევი 171
სასწაულმოქმედი პერანგი 175
მზექალა და მზეეარდა 183
ეაუად ქცეული ქალი 189
გველი და კაცი 198
სიკეთილის ჩამოსვლა დედამიწაზე 201
ბედი და იღბალი 203
მოხუცი სტუმარი 206
სიზმრის ახსნა 210
დედინაცვალი და გერი 212
არეიცია 217
უმცროსი ეაუ და მგელი 221
სამი ძმა და მათი და 224

საყოფაცხოვრებო ზღაპრები, ნოველები

ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანაც ჭამოს 231
ამბავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო 233
ერთი მანეთის შოვნა 236
ნაცარქექია 238
უფროსი ძმა 241
ზნიანი ქალი 244
ღარიბი ბიჭი 246
სამი ტყეული 249
ცრუ და მართალი 252
ძმები 255
ცაზე რამდენი ვარსკვლავია? 257
სამი და 259
გლეხი და ეაჭარი 261
ცოლ-ქმრის ამბავი 264
ქერიეიშვილი 267
ჭკვიანი და გიჟი ძმა 271
გლეხის ცოლი 274
სტუმარი 277
სამი სიტყვა 280
ხელმწიფე და მოჯამაგირე 282
სამი მეცნიერი და გლეხი 284
მეცნიერი და მენავე 285
ბრმა მეჩონგურე 287
მბლეთამბლე 287
ხელმწიფე და მისი შვილი 292
ამისთანა და ამისუარესი 294
მღვდლის ზღაპარი 298
ცერცვი და ცეცხლი 300
ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯეროო 302
ბერიკაცი და მღვდელი 302
მღვდლის ცოლი 309

მეწისქვილის ქალიშვილი და სამი ქოსა 311
სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი..... 313
სოლომონ ბრძენი და ღარიბი გლეხი 314
მედაირე 317
ზარმაცი 321
ორი ცრუპენტელა 325
მუჭანახევარა 327
პური და ხვნა-თესვა 330
სამნი ძმანი 332
ობოლი და ქოსამატყუარა 335
სამი ძმა და ქოსამატყუარა 337
სოვდაგრის შვილი 341
ალალი ორი შაური 346
ორი ბუნწი 350
მოხერხებული მებალე 350
თავგაუტეხელი კაცი 351
მეფის შვილობილი 353
ბუნწი ეაჭარი 353
სამი ცრუ 354
როგორ ანუგეშა მოგვამაგირემ ბატონი 355
ხელმწიფე და გლეხის ქალი 356
ორი სილა 362
მოხუცი ნავეზირალის რჩევა 362
ქალის შარი 369
მზეთუნახავი და ხელმწიფის შვილი 371
ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი 374
ცრუ და მართალი კაცი 375
მეფე და მსახური 378
მზე და წვიმა 379
პატარძალი 381
ბატონი და ყმა გლეხი 381
ჯელელი მოსამართლე და მისი ცოლი 382
ოქრუა 384
ნალის შეჭამადი 390
ჭკვიანი რძალი 392
ბედის მაძებარი კაცი 395
წითელი კაცი 397
მეფე და ვეზირები 400
ქერივი ქალი და ერთი ქოთანი ნადელი 402
ურჩი შვილები 404
სამი ზარმაცი 406
შენ მაგაზე კარგად იცით? 408
ტყეული ტირილი 408
გოლის მორეულება 409
ზენახირის ქალი 410
ბატონი და მოგვამაგირე 411
ასეთ მზეს რა გაუძლებსო?! 413

სამი ზარმაცი და ხანძარი 414
ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი 415
ხელმწიფე და მწყემსი 419
ღარიბი გლეხი 421
გლეხი და უჭკუო ცოლი 425
რძალ-მაზლის ამბავი 428

ცხოველთა სამყარო

დათვი, მელია და მგელი 431
დათვი და მელია 431
მელია და კაკაბი 434
რწყილი და ჭიანჭველა 435
ჩიტი და მელია 439
დათვი და მელია 441
შაშვი და მელია 444
მელიას ეშმაკობა 445
მელია და მწყერჩიტა 448
ნახევარქათმის ამბავი 449
იერუსალიმს მიმავალი მელია 451
კატის მოსარჩლე ვეფხვი 453
ლომი და კურდღელი 455
დათვის, მგლისა და მელიის ამბავი 457
ლომის ერთგულება 461
ლომი და მელია 461
ნადირთა ძმობა 462
შველი და დათვი 464
მგელი, თხა და ცხენი 465
კატის ამბავი 467
ბუ და კაცი 468
რატომ ეშინია ბუს? 470
მელია, მამალი, ბატკანი და ჩიტი 471
ლომი და თაგვი 473
ირემი 473
კოლო და ლომი 474
მელიას კუდი მოწმედ 474
ფუტკარი და მტრედი 474
კატა 475
გლეხი, დათვი და მელია 476
მელია 478
მელია და მგელი 481
ხოხობი და მელია 482

ეპოსი

ამირანი 485
ეთერი 492
ტარიელი 499
როსტომი 510

პირველი წიგნი, რომელიც მომზადდა გამომცემლობა „მერანში“ კომპიუტერზე.
კორექტურა და რედაქცია კომპიუტერზე გაუკეთეს:

თ.ჩახვაძე, ძ.საყვარელიძე, ს.ბოლქვაძე, მ.შანშიაშვილი, ი.სალუქვაძე.

ტექნიკური რედაქტორები. შ. ცინცაძე , მ. მეტრეველი

მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 07. 91 წ. ფორმატი 60x90 1/16 ქაღალდი
საწიგნე-საჟურნალე. გარნიტურა ლიტერატურული. ბეჭდვა ოფსეტური. ნაბეჭდი
ფურცელი 33. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 31,8
ტირაჟი 40.000 შეკვ. № 1—3294.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 40, თბილისი, 1991

დაიბეჭდა და აიკინძა კიევის პოლიგრაფიულ გაერთიანებაში „პოლიგრაფკნიგა“
დოვჟენკოს ქ. N3

Отпечатано с диапозитивов на Головном предприятии РПО «Полиграф-книга». 252057. Киев-57, ул. Довженко, 3. Зак. 1—3294.